

სპეციალური ადმინისტრაცია

საქართველოს
სამართლებრივი
სისტემა

საქართველო

ისტორიული ცნობები

„ბელარუსი... სამყაროსთვის ჩვენ terra incognita ვართ – უცნობი, შეუსწავლელი მიწა. „თეთრი რუსეთი“ – ინგლისურად დაახლოებით ასე ჟღერს ჩვენი ქვეყნის სახელწოდება. ჩერნობილზე ყველამ იცის, მაგრამ მხოლოდ უკრაინასთან და რუსეთთან დაკავშირებით. ჩვენ ახლა ჩვენი ამბავი უნდა მოვყვით“.

„სახალხო გაზეთი“, 27 აპრილი, 1996 წ.

„1986 წლის 26 აპრილი. 1 საათსა 23 წუთსა და 58 წამზე – ბელარუსის საზღვრის ახლოს განლაგებული ჩერნობილის ატომური სადგურის მე-4 ენერგობლოკი რამდენიმე აფეთქებამ დაანგრია. ჩერნობილის ავარია მეოცე საუკუნის ყველაზე დიდი ტექნოლოგიური კატასტროფაა.

პატარა ბელარუსისთვის (მოსახლეობა 10 მილიონი ადამიანი) ის ნაციონალურ უბედურებად იქცა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ბელარუსებს არც ერთი ატომური სადგური არ გვაქვს. ის ძველებურად აგრარული ქვეყანაა – მეტწილად სოფლის მოსახლეობით. დიდი სამამულო ომის დროს გერმანელმა ფაშისტებმა ბელარუსის 619 სოფელი გაანადგურეს მოსახლეობასთან ერთად. ჩერნობილის შემდეგ კი ქვეყანამ 485 სოფელი და დასახლება დაკარგა: ამათგან 70 უკვე სამუდამოდ ჩაიშრება მიწაში. ომში ყოველი მეოთხე ბელარუსი დაიღუპა, დღეს კი ყოველი მეხუთე დაბინძურებულ მიწაზე ცხოვრობს; სულ 2,1 მილიონი ადამიანი, მათგან – 700 ათასი ბავშვი. დემოგრაფიული კვდომის ძირითადი მიზეზი რადიაციაა. გომელისა და მოგილევის რაიონებში (ისინი ყველაზე მეტად დაზარალდნენ ჩერნობილის კატასტროფისგან) სიკვდილიანობა 20%-ით მეტია შობადობაზე.

კატასტროფის შედეგად ატმოსფეროში $50 \times 10(6)$ Ku რადიონუკლიდი გაიტყორცნა, მათი 70% — ბელარუსში: ქვეყნის ტერიტორიის 23% დაბინძურებულია რადიონუკლიდებით უფრო მეტი სიმჭიდროვით, ვიდრე 1 კუ/კმ ცეზიუმით — 137. შედარებისთვის — უკრაინის ტერიტორიის 4,8%-ია დაბინძურებული, რუსეთში კი — 0,5%. სასოფლო-სამეურნეოდ ვარგისი მიწების დაბინძურება უფრო მეტი სიმჭიდროვით, ვიდრე 1 და მეტი Ku/კმ შეადგენს 1,8 მილიონ ჰექტარზე მეტს, სტრონციუმით — 90-ს 0,3 სიმჭიდროვით და მეტი Ku/კმ 0,5 მილიონ ჰექტარს. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის უვარგისია 264 ჰექტარი მიწა. ბელარუსი — ტყეების ქვეყანაა. მაგრამ ტყეების 26% და მდინარეების — პრიპიატის, დნეპრის, სოჟის — კალაპოტების დიდი ნაწილი რადიოაქტიური დაბინძურების ზონაა.

რადიაციის მცირე დოზების განუწყვეტელი მოქმედების შედეგად ქვეყანაში ყოველწლიურად იზრდება იმ ადამიანების რიცხვი, ვინც კიბოთი, გონებრივი ჩამორჩენით, ფსიქო-ნევროლოგიური აშლილობებითა და გენეტიკური მუტაციებითაა დაავადებული“.

კრებული „ჩერნობილი“. „ბელარუსის ენციკლოპედია“. 1996. გვ. 7, 24, 49, 101, 149

„დაკვირვების შედეგად, 1986 წლის 26 აპრილს მაღალი რადიაციის ფონი დარეგისტრირდა პოლონეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, რუმინეთში, 30 აპრილს — შვეიცარიასა და ჩრდილო იტალიაში, 1-2 მაისს — საფრანგეთში, ბელგიაში, ნიდერლანდებში, დიდ ბრიტანეთში, ჩრდილო საბერძნეთში, 3 მაისს — ისრაელში, კუვეიტში, თურქეთში...“

მაღლა ატყორცნილი აირისმაგვარი და მფრინავი ნივთიერებები ყველგან გავრცელდა: 2 მაისს ისინი შენიშნეს იაპონიაში, 4 მაისს — ჩინეთში, 5-ში — ინდოეთში, 5 და 6 მაისს — აშშ-სა და კანადაში.

იმას, რომ ჩერნობილი მთელი მსოფლიოს პრობლემად ქცეულიყო, ერთი კვირა დასჭირდა“.

კრებული „ჩერნობილის ავარიის შედეგები ბელარუსში“. მინ-სკი. სახაროვის სახელობის რადიოეკოლოგიის საერთაშორისო კოლეჯი. 1992. გვ. 82

„მეოთხე რეაქტორი, რომელსაც „დაფარული“ ობიექტი დაარქვეს, საკუთარ ტყვიასა და რკინა-ბეტონის წიაღში 200 ტონაზე მეტ ბირთვულ ნივთიერებას ინახავს. თანაც, საწვავი ნაწილობრივ შეერია ბეტონს. რა ხდება იქ, დღემდე არავინ იცის.

სარკოფაგი ჩქარ-ჩქარა ააშენეს, უნიკალური კონსტრუქციისაა, შეიძლება, პეტერბურგელი ინჟინრები ამაცობენ კიდევ. წესით, 30 წელი უნდა გაძლოს. მაგრამ მას „დისტანციურად“ ამონტაჟებდნენ, შვეულმფრენების და რობოტების დახმარებით — ალბათ, ამიტომაც გაუჩნდა ნაპრალები.

დღეს, ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, ნაპრალებისა და ნახეთქების მთლიანი რაოდენობა 200 კვ. მ-ს აჭარბებს და იქიდან რადიოაქტიური აირები იფრქვევა. თუ ქარი ჩრდილოეთიდან ქრის, მაშინ სამხრეთით — რადიოაქტიურობაა — ურანიტ, პლუტონიუმით, ცეზიუმით. ამას გარდა, მზიან დღეს, როცა შუქი გამორთულია, რეაქტორის დარბაზში ზემოდან მომავალი სინათლის სვეტები ჩანს. რა არის ეს? სარკოფაგის შიგნით წვიმაც ხვდება. ხოლო წყალის მოხვედრამ საწვავის მასაში შეიძლება ჯაჭვური რეაქცია გამოიწვიოს.

სარკოფაგი — მიცვალებულია, რომელიც სუნთქავს. სუნთქავს სიკვდილით. რამდენი ხანი გაძლებს? ამაზე ვერავინ უპასუხებს, აქამდე ვერ ხერხდება კონსტრუქციის რამდენიმე ნაწილთან მიახლოვება იმის დასადგენად, თუ რამდენად მყარია ისინი. სამაგიეროდ ყველას ესმის, რომ სარკოფაგის დანგრევა გაცილებით საშინელ შედეგებამდე მიგვიყვანს, ვიდრე 1986-ში“.

ჟურნალი „ოგონიოკი“, #17, 1996, აპრილი.

„ჩერნობილამდე... ბელარუსის 100 ათას მცხოვრებზე ონკოლოგიური ავადმყოფობის 82 შემთხვევა ფიქსირდებოდა. დღეს

სტატისტიკა ასეთია – 100 ათასზე 6 ათასი ავადმყოფი. დაავადებულების რაოდენობა 74-ჯერ გაიზარდა.

სიკვდილიანობა 23,5%-ითაა გაზრდილი. სიბერეში მხოლოდ 1 ადამიანი კვდება 14-იდან, უმეტესად შრომისუნარიანები მიდიან – 46-50 წლისები. ყველაზე მეტად დაბინძურებულ რეგიონებში სამედიცინო შემოწმებისას, 10 ადამიანიდან 7 ავადმყოფია. მიდიხარ სოფლებშიდა გაზრდილი სასაფლაოები გზარავს“.

„აქამდე ბევრი ციფრია უცნობი... ისეთი საშინელებაა, რომ მათ საიდუმლოდ ინახავენ. საბჭოთა კავშირმა კატასტროფის ადგილას 800 ათასი სწრაფი რეაგირების ჯარისკაცი და ახალწვეული ლიკვიდატორი გაუშვა. უკანასკნელთა საშუალო ასაკი 33 წელია. ბიჭები კი ჯარში სკოლის შემდეგ გაიწვიეს.

მხოლოდ ბელარუსიდან 115493 ადამიანია ლიკვიდატორთა სიებში. ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით 1990-იდან 2003 წლამდე 8553 ლიკვიდატორი მოკვდა. ანუ, დღეში ორი კვდებოდა საშუალოდ“.

ასე იწყებოდა ისტორია...

1986 წელი. საბჭოთა და უცხოური გაზეთების პირველ გვერდებზე იბეჭდება რეპორტაჟები ჩერნობილის კატასტროფის დამნაშავეების სასამართლოს შესახებ...

ახლა კი... წარმოიდგინეთ ცარიელი ხუთსართულიანი სახლი. სახლი ადამიანების გარეშე, მაგრამ ნივთებით, ავეჯით, ტანსაცმლით სავსე, რომელთაც უკვე ველარავინ გამოიყენებს. იმიტომ, რომ სახლი ჩერნობილშია.

მათ, ვისაც ატომური ავარიის დამნაშავეები უნდა გაესამართლებინათ, პრესკონფერენცია ჟურნალისტებისთვის ამ მკვდარ ქალაქში გამართეს. ყველაზე მაღალ დონეზე, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გადაწყდა, რომ სასამართლო სწორედ დანაშაულის ადგილას, ჩერნობილში უნდა გამართულიყო. სასამართლო ადგილობრივი კულტურის სასახლის დარბაზში ჩატარდა. დამნაშავეთა სკამ-

ზე ექვსნი ისხდნენ — ატომური სადგურის დირექტორი ვიქტორ ბრიუხანოვი, მთავარი ინჟინერი ნიკოლაი ფომინი, მთავარი ინჟინრის მოადგილე ანატოლი დიატლოვი, ცვლის უფროსი ბორის როგოჟინი, რეაქტიული ქარხნის უფროსი ალექსანდრ კოვალენკო, სახელმწიფო ატომური ზედამხედველობის ინსპექტორი იური ლუკაშინი.

მაყურებელთა ადგილები ცარიელია. სხვათა შორის, ადამიანები აქ უკვე აღარც არიან, ქალაქი „ჩაიკეტა“, როგორც მკაცრი კონტროლის რადიაციული ზონა. ამ ნიშნით ხომ არ აირჩიეს სასამართლოს ჩასატარებლად? რაც ნაკლები მოწმე იქნება, მით ნაკლები იქნება ხმაურიც. არ არიან ტელეოპერატორები და არც უცხოელი ჟურნალისტები. ცხადია, განსასჯელთა სკამებზე ყველას უნდოდა ეხილა ათობით ჩინოვნიკი, მათ შორის — მოსკოველებიც. პასუხისმგებლობა უნდა აეღო თავზე თანამედროვე მეცნიერებასაც, მაგრამ შეთანხმდნენ, რომ მეისრეები დაისჯებოდნენ...

განაჩენი — ვიქტორ ბრიუხანოვმა, ნიკოლაი ფომინმა და ანატოლი დიატლოვმა 10-10 წელი მიიღეს. სხვებს უფრო ნაკლები მიუსაჯეს. ანატოლი დიატლოვი და იური ლუკაშინი ძლიერი რადიაციული დასხივების გამო პათიმრობისას გარდაიცვალნენ. მთავარი ინჟინერი ნიკოლაი ფომინი შეიშალა. სადგურის დირექტორმა ვიქტორ ბრიუხანოვმა კი სასჯელი თავიდან ბოლომდე მოიხადა — მთელი 10 წელი. ციხის კართან მას ახლობლები და რამდენიმე ჟურნალისტი დახვდა. ამბავმა ჩუმად ჩაიარა.

ყოფილი დირექტორი კიევში ცხოვრობს და ერთ-ერთ ფირმაში ჩვეულებრივ კლერკად მუშაობს.

ასე მთავრდება ისტორია...

„მალე უკრაინა გრანდიოზულ მშენებლობას იწყებს. სარკოფაგზე, რომლითაც 1986 წელს ჩერნობილის ატომური სადგურის დანგრეული მეოთხე ბლოკი დაიფარა, ახალი გადაფარვა

გაჩნდება, სახელად „არკა“. ამ პროექტისთვის 28 ქვეყანა-დონორ-მა პირველადი კაპიტალდაბანდება – 768 მილიონ დოლარზე მეტი – უნდა გაიღოს. ახალმა სარკოფაგმა ოცდაათი კი არა, 100 წელი უნდა გაძლოს. ის გრანდიოზული იქნება, რადგან ითვალისწინებს შესაძლებლობას, რომ ნარჩენებიც დაიმარხოვს. საჭიროა მასიური ფუნდამენტი – ბოძებისა და ფილებისგან ხელოვნური გრუნტი უნდა გაკეთდეს. უნდა მომზადდეს საცავი, სადაც გადაიტანენ რადიოაქტიურ ნარჩენებს, რომლებსაც ძველი სარკოფაგიდან ამოიღებენ. ახალი გადაფარვა დამზადდება მაღალი ხარისხის რკინისგან, რომელიც გამა-გამოსხივებას გაუძლებს. მხოლოდ მეტალი 18 ათასი ტონა იქნება საჭირო.

„არკა“ კაცობრიობის ისტორიაში უნიკალურ სამშენებლო ობიექტად უნდა იქცეს. უპირველესად, გაგაოცებთ მისი მასშტაბი – 150 მეტრიანი ორმაგი გადახურვა. ხოლო ესთეტიკით ეიფელის კოშკის მსგავსი იქნება...

მომზადებულია 2002-2005 წლების ბელარუსული ინტერნეტ-გაზეთების მიხედვით...

მარტოსული ადამიანის ხმა

„არც ვიცი, რაზე ვიამბოთ... სიკვდილზე თუ სიყვარულზე? თუ ეს ორი ერთი და იგივეა? რაზე მოვყვე?“

...ცოტა ხნის წინ დავექორწინდი. ქუჩაში ისევ ხელჩაკიდებულები დავდიოდით, მაღაზიაში თუ შევიდოდით, იქაც. სულ ერთად – ორნი. ვეუბნებოდი „მიყვარხარ“. მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, თუ როგორ მიყვარდა... ვერ წარმომედგინა... იმ სახანძროს საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდით, სადაც მუშაობდა. მეორე სართულზე. სულ სამი ახალგაზრდა ოჯახი ვიყავით. სამს – ერთი

სამზარეულო გვექონდა. ქვემოთ კი, პირველ სართულზე მანქანები იდგა. წითელი სახანძრო მანქანები. ეს იყო მისი სამსახური. სულ უნდა მცოდნოდა — სად იყო, როგორ იყო. შუალამისას რაღაც ხმაური მომესმა. ფანჯრიდან გადავიხედე. დამინახა: „დაკეტე ფანჯარა და დაწეე. სადგურზე ხანძარია. მალე დავბრუნდები“.

აფეთქება არ მინახავს. მარტო ცეცხლი. ყველაფერი განათდა. მთელი ცა. მაღალი ცეცხლი. ჭვარტლი. საშინელი სიციხე. ის კი არა და არ ჩანს. ჭვარტლი იმიტომაა, რომ ბიტუმი იწვის. სადგურის სახურავზე ესხა ბიტუმი. მერე იგონებდა, დავდიოდით, როგორც ფისზეო. აქრობდნენ ცეცხლს და არ ქრებოდა. ძლიერდებოდა. ცეცხლმოკიდებულ გრაფიტს ფეხებით ყრიდნენ. ბრეზენტის კოსტიუმების გარეშე წავიდნენ, როგორც იყვნენ, პერანგებით, ისე. არ გაათრთხილეს, ჩვეულებრივ ხანძარზე გამოიძახეს.

საათის ოთხი... ხუთი... ექვსი... ექვს საათზე მის მშობლებთან უნდა წავსულიყავით. კარტოფილი უნდა დაგვეთესა. ქალაქ პრიპიატიდან სოფელ სპერიჟემდე, სადაც მისი დედ-მამა ცხოვრობდა, ორმოცი კილომეტრია. ხვნა-თესვა ძალიან უყვარდა. დედამისი ხშირად იხსენებდა, როგორ არ უნდოდათ ქალაქში გამოემშვათ, ახალი სახლიც ამიტომ ააშენეს. მერე ჯარში წაიყვანეს. მოსკოვში სახანძრო ბრიგადაში მსახურობდა. დაბრუნდა და მეხანძრეობა მინდაო, სხვა არაფრის გაგონება არ სურდა (ჩუმდება).

ხანდახან თითქოს მისი ხმა ჩამესმის. ცოცხალი ხმა... ფოტოებიც კი ასე არ მოქმედებს ჩემზე, როგორც ხმა. მაგრამ არასდროს მეძახის. სიზმარშიც კი. ეს მე ვეძახი მას...

შვიდი საათი... შვიდზე მითხრეს, რომ საავადმყოფოში იყო. გავიქეცი, მაგრამ საავადმყოფოს ირგვლივ უკვე მილიცია იდგა. არავის უშვებდნენ, მარტო სასწრაფოს მანქანები შედიოდნენ. მილიციონერები ყვიროდნენ: „მანქანები ასხივებს, არ მიუახ-

ლოვდეთ!“ მარტო მე კი არა, ყველა ცოლი მოვარდა, ყველა, ვისი ქმარიც იმ ღამით სადგურზე იყო. ძებნა დაუწყე ნაცნობს, რომელიც იმ საავადმყოფოში ექიმად მუშაობდა. მანქანიდან რომ ჩამოდი-ოდა, მაშინ ჩავავლე ხელი ხალათზე. „შემომიშვი!“ „არ შემოიძლია! ცუდად არის, ყველანი ცუდად არიან“. ვეჭიდები: „მარტო შევხედავ“. „კარგი, მეუბნება — მაშინ გამოიქეცი. თხუთმეტი-ოცი წუთით“. ვნახე... სულ დასიებულია... თვალები აღარ უჩანს. „რძე უნდა. ბევრი რძე, — მითხრა ნაცნობმა, — სამი ლიტრი მაინც უნდა დალიონ, მაგრამ არ სვამს“. „ახლა დალევს“. ამ საავადმყოფოს ბევრი ექიმი, ექთანი, და განსაკუთრებით სანიტრები რაღაც დროის შემდეგ ავად გახდებიან. მოკვდებიან. მაშინ ეს ჯერ არავინ იცოდა...

ოპერატორი შიშენოკი დილის ათ საათზე მოკვდა. ის პირველი მოკვდა. პირველივე დღეს... მერე გავიგეთ, რომ ნანგრევებში დარჩა მეორე — ვალერა ხოდემჩუკი. ვერ ამოიყვანეს. ჩააბეტონეს. მაგრამ მაშინ არ ვიცოდით, რომ ისინი, ყველანი, პირველები იყვნენ.

ვეკითხები: „ვასენკა, რა ვქნა?“ „წადი აქედან! წადი! ბავშვი გეყოლებს!“ ფეხმძიმედ ვარ. მაგრამ როგორ მივატოვებ? მეხვეწება: „წადი! ბავშვი გადაარჩინე!“ „ჯერ რძე უნდა მოგიტანო და მერე გადავწყვიტოთ!“

მოდის ჩემი მეგობარი ტანია კიბენოკი. მისი ქმარიც ამ პალატაშია. მამასთან ერთადაა, მანქანითაა მამამისი. ვსხდებით მანქანაში და უახლოეს სოფელში მივდივართ რძეზე, სადღაც სამ კილომეტრში ქალაქიდან... ბევრ სამლიტრიან ქილას ვავსებთ. ექვსს — ყველას რომ ეყოს. მაგრამ რძეზე ღებინება ეწყებათ. გული მისდით, წვეთოვანებს უდგამენ. ექიმები გვიმტკიცებენ, რომ გაზით მოიწამლნენ. რადიაციამ აწავინა ლაპარაკობს. ქალაქი სამხედრო ტექნიკით ივსება. ყველა გზა გადაიკეტა. გაჩერდა მატარებლები. ქუჩებს რაღაც თეთრი სითხით რეცხავენ. ვნერვიულობ, ხვალ როგორ ჩავაღწიო სოფლამდე, ახალი რძის საყიდლად, არავინ ლაპარაკობს რადიაციამზე. მარტო სამხედროები დადიან რესპირატორებით. მოქა-

ლაქეებს მაღაზიებიდან პური მოაქვთ, კანფეტების გახსნილი ყუთები... ჩვეულებრივად მიდის ცხოვრება. მაგრამ... ქუჩებს რაღაც ხსნარით რეცხავენ...

საღამოს საავადმყოფოში არ მიშვებენ... ზღვა ხალხია ირგვლივ... მისი ფანჯრის წინ ვდგავარ, მოვიდა და რაღაცას მიყვირის განწირულად! ვიღაცამ გაიგონა: ღამით მოსკოვში მიჰყავთ. ცოლები ერთად მოვგროვდით. გადავწყვიტეთ: მათთან ერთად წავალთ! „შეგვიშვით ჩვენს ქმრებთან!“ „არ გაქვთ უფლება!“ ვიბრძვით, ვიკაწრებით, ჯარისკაცები, უკვე ორ რიგად, ჯაჭვად არიან შეკრულები და უკან გვაბრუნებენ. მერე გამოვიდა ექიმი და დავვიდასტურა — თვითმფრინავით გადაფრინდებიან მოსკოვში და ტანისამოსი უნდა მივუტანოთ, რადგან რაც სადგურზე ეცვათ, დაიწვა. ავტობუსები უკვე აღარ დადის და ფეხით დავრბივართ ქალაქში. ჩანთებით ვბრუნდებით, მაგრამ თვითმფრინავი უკვე გაფრენილა. მოგვატყუეს, რომ არ გვეყვირა და გვეტირა...

ღამე... ქუჩის ერთ მხარეს ავტობუსებია, ასობით ავტობუსი (ქალაქს უკვე ამზადებენ ევაკუაციისთვის), მეორე მხარეს კი ასობით სახანძრო მანქანა. ისინიც საიდანღაც მოიყვანეს. ქუჩა სულ თეთრ ქაფშია. მივაბიჯებთ და ვტირით...

რადიოში აცხადებენ, რომ შეიძლება ქალაქი სამი-ხუთი დღით დაცალონ, — აიღეთ თბილი ტანსაცმელი, სპორტული კოსტიუმები, ტყეში იცხოვრებთ, კარვებში. ხალხს გაუხარდა კიდევ. ბუნებაში გავალთ, იქ შევხვდებით პირველ მაისსო. უცნაურია. გზაში იმარაგებდნენ ხორცს მწვადისთვის, ყიდულობენ ღვინოს. მოჰქონდათ გიტარები, მაგნიტოფონები. მაისის დღესასწაულები! მარტო ისინი ტიროდნენ, ვისი ქმარიც დაშავდა.

გზა არ მახსოვს. თითქოს მაშინ გავიღვიძე, როცა დედამისი დავინახე: „დედა, ვასია მოსკოვშია! სპეციალური თვითმფრინავით წაიყვანეს!“ ბოსტანში ვიმუშავეთ — კარტოფილი დავთესეთ, კომბოსტო დავრგეთ (ერთ კვირაში სოფელსაც ევაკუაციაში წა-

იყვანენ!). ვინ წარმოიდგენდა? საღამოს პირღებინება მეწყება. ფეხმძიმობის მეექვსე თვეში ვარ... ისე ცუდად ვარ... ღამით მესიზმრება, რომ მეძახის. სანამ ცოცხალი იყო, სიზმარში მეძახდა: „ლუსია, ლუსიენკა!“ რომ მოკვდა, მერე ერთხელაც არ დაუძახია, არც ერთხელ (ტირის). დილას ვიღვიძებ და გადაწყვეტილი მაქვს, მოსკოვში წავიდე, მარტო. „სად უნდა წახვიდე!“ – ტირის დედა. მამამისიც გაემზადა. „ჩაგიყვანოს“. შემნახველი საღაროდან ფული გამოაქვს, სულ გამოიტანა, რაც ჰქონდათ.

გზა არ მახსოვს. გზა ისევე ამომივარდა თავიდან. მოსკოვში პირველივე მილიციონერს ვკითხეთ, რომელ საავადმყოფოში იწვნენ ჩერნობილელი მეხანძრეები, და მან გვიპასუხა. გამიკვირდა კიდეც, იმიტომ, რომ გვაშინებდნენ – სახელმწიფო საიდუმლოებაა, სრულიად გასაიდუმლოებულიო.

– მეექვსე საავადმყოფო – „შუკინკისკიზე“.

ამ საავადმყოფოში, სპეციალურ, რადიოლოგიურ საავადმყოფოში საშვების გარეშე არავის უშვებდნენ. ვახტიორს ფული მივეცი და ეგრევე მითხრა – „შედი“, სართულიც მიმიტოთა. კიდეც ვიღაცას ვეკითხებოდი, ვევედრებოდი... და, აი, რადიოლოგიური განყოფილების უფროსის, ანგელინა ვასილისის ასულის ოთახში ვზივარ. მაშინ ჯერ კიდეც არ ვიცოდი მისი სახელი, ვერ დავიმახსოვრე. მარტო ის ვიცოდი, რომ ვასკა უნდა მენახა... მომეძებნა...

მაშინვე მკითხა:

– საყვარელო! საყვარელო! შვილები გყავს?

როგორ გამოვტყდე? და უკვე ვხვდები, რომ ფეხმძიმობა უნდა დავმალო. არ შემიშვებენ! კიდეც კარგი, გამხდარი ვარ და არაფერი მეტყობა.

– მყავს, – ვპასუხობ.

– რამდენი?

ვფიქრობ, „უნდა ვთქვა ორი, ერთს თუ ვიტყვი, მაინც არ შემიშვებს“.

— ბიჭი და გოგო!

— ორნი თუ არიან, მეტის გაჩენა, ალბათ, აღარ მოგიწევს. ახლა მისმინე: ცენტრალური ნერვული სისტემა მთლიანად დაზიანებულია, ძვლის ტვინიც სრულიად დაზიანებულია...

ჩემთვის ვფიქრობ — „არა უშავს, ალბათ, ცოტა ნერვიული იქნება“.

— და კიდევ, მისმინე, თუ იტირებ, — ეგრევე გამოგიშვებ. ჩახუტება და კოცნა არ გაბედო. ახლოს არ მიხვიდე. ნახევარ საათს გაძლევ!

უკვე ვიცოდი, რომ არაფრის დიდებით არ წამოვიდოდი. თუ წამოვიდოდი, მხოლოდ მასთან ერთად. დავიფიცე!

შევდივარ... საწოლზე სხედან, ბანქოს თამაშობენ და იცინიან!

— ვასია! — უძახიან.

ბრუნდება:

— ვაიმე, ბიჭებო, დავიღუპე! აქაც მომაგნო!

ისეთი სასაცილოა, ისეთი... ორმოცდარვა ზომა პიჟამა აცვია, არადა, ორმოცდათორმეტი ზომა აქვს. მოკლე სახელოები, მოკლე შარვალი. უკვე ნაკლებადაა სახეზე დასიებული. რაღაც ხსნარს უსხამენ...

— ასე უცებ სად დაიკარგე? — ვეკითხები. უნდა, რომ მომეხვიოს.

— იჯექი, იჯექი! — არ უშვებს ჩემამდე ექიმი. — რა დროს ჩახუტებაა.

შევეცადეთ, ხუმრობაში გაგვეტარებინა. უკვე ყველა მოგროვდა, სხვა პალატებიდანაც. ყველამ მომაგნო. ისინი, ოცდარვა კაცი ჩამოიყვანეს თვითმფრინავით. „რა ხდება? რა ხდება ჩვენთან, ქალაქში?“ ვპასუხობ, რომ დაიწყო ევაკუაცია. მთელი ქალაქი გაჰყავთ სამი ან ხუთი დღით. ბიჭები ჩუმად არიან, მაგ-

რამ მათ შორიც ორი ქალიცაა, ერთ-ერთი შემოსავლელებში მორიგეობდა ავარიის დღეს და ტირის:

— ღმერთო, იქ ჩემი შვილები დარჩნენ. როგორ არიან?!

მარტო მინდა მასთან დარჩენა, თუნდაც ერთი წუთით. ბიჭები მიხვდნენ, ყველამ რაღაც მოიმიზება და დერეფანში გავიდნენ. მაშინ მოვეხვიე და ვაკოცე. გვერდზე გაიწია.

— ახლოს არ ჩამოჯდე. სვამი აიღე!

— რა სისულელეა! — ავიქნიე ხელი. — დაინახე, სად აფეთქდა? რა მოხდა იქ? თქვენ ხომ პირველები მიხვედით...

— ალბათ უფრო მავნებლობაა. ვიღაცამ სპეციალურად მოაწყო. ბიჭები ეგრე ვფიქრობთ...

მაშინ ასე ლაპარაკობდნენ. ასე ფიქრობდნენ.

მეორე დღეს რომ დავბრუნდი, უკვე თითო-თითოდ იწვნენ, ყველანი ცალ-ცალკე პალატებში. კატეგორიულად ჰქონდათ აკრძალული დერეფანში გამოსვლა, ერთმანეთთან ურთიერთობა. კედელზე უკაკუნებდნენ ერთმანეთს: წერტილი-ტირე, წერტილი — ტირე... წერტილი... ექიმები ამბობდნენ, რომ ყოველი ორგანიზმი სხვადასხვანაირად რეაგირებს დასხივებაზე. იქ, სადაც ისინი იწვნენ, კედლებიც ასხივებდა. მარცხნივ, მარჯვნივ და მათ ქვემოთა სართულიდან ყველანი გაიყვანეს, არც ერთი ავადმყოფი არ დატოვეს... მათ ქვემოთ და მათ ზემოთ არავინ იყო...

სამი დღე მოსკოველ ნაცნობებთან ვცხოვრობდი. მეუბნებოდნენ: აიღე ქვაბი, ჯამი, ყველაფერი იხმარე, რაც გჭირდება, ნუ გრცხვენია! ისეთი ადამიანები აღმოჩნდნენ... ისეთი! ინდაურის ბულიონს ექვსი ადამიანისთვის ვხარშავდი. ექვსი ბიჭისთვის. ერთ ცვლაში იყვნენ და იმ ღამეს ყველა მორიგეობდა — ვაშიჩუკი, კიბენოკი, ტიტენოკი, პრავიკი, ტიშიჩურა. საავადმყოფოში ყველას ვუყიდე კბილის პასტა, ჯაგრისი, საპონი. არაფერი არ იყო საავადმყოფოში. პატარა პირსახოცებიც ვუყიდე. ახლა მიკვირს იმ ჩემი ნაცნობების, მათ, რასაკვირველია, ეშინოდათ, უკვე ისეთი ხმები დადიოდა,

და მაინც, თვითონ მთავაზობდნენ: აიღე, რაც გინდა, აიღე! როგორაა? როგორ არიან დანარჩენები? იცოცხლებენ? იცოცხლებენ? (ჩუმდება). მაშინ ძალიან ბევრ კარგ ადამიანს შევხვდი. ყველა არ დამამახსოვრდა. სამყარო ერთ წერტილში შეიკრა — ის... მხოლოდ ის... მოხუცი სანიტარი ქალი დამამახსოვრდა, რომელიც მიხსნიდა: „არის ავადმყოფობა, რომელიც არ იკურნება. უნდა მიუჯდე და ხელზე ეფერო“...

დილაადრინ ბაზარში მივრბივარ, მერე — ნაცნობებთან, ვხარშავ ბულიონს, ვხეხავ, ვაქუცმაცებ და პორციებად ვასხამ. ვიღაცამ მთხოვა: „მომიტანე ვაშლი!“ ექვსი ნახევარლიტრიანი ქილით მივდივარ, ექვსივესთვის ვამზადებ! საავადმყოფოში საღამომდე ვზივარ. საღამოს კი — ისევ ქალაქის მეორე ნაპირას ვბრუნდები. სამი დღის შემდეგ შემომთავაზეს, რომ სამედიცინო მუშაკების სასტუმროში მეცხოვრა, თვითონ საავადმყოფოს ტერიტორიაზე. ღმერთო, რა ბედნიერი ვიყავი!

— მაგრამ იქ სამზარეულო არ არის, როგორ მოვუმზადო საჭმელი?

— აღარაა საჭირო საჭმლის მომზადება. მათი კუჭი მაინც ველარ ინელებს.

იცვლებოდა — ყოველ დღე სხვა ადამიანი მხვდებოდა... დამწვრობა გარეთ გამოსდიოდა... პირში, ენაზე, ლოყებზე... ჯერ პატარა წყლულები ჩნდებოდა, მერე იზრდებოდა. შრეებად გამოდიოდა ლიმფა, თეთრად ეფინებოდა. სახის ფერი... კანის ფერი... ლურჯი, წითელი... ნაცრისფერი... და სულ ჩემი, ისეთი საყვარელი! შეუძლებელია ამის მოყოლა! შეუძლებელია ამის აღწერა! და გაძლება! გადამარჩინა იმან, რომ ეს ყველაფერი უცებ ხდებოდა, ფიქრსაც ვერ ვასწრებდი, ტირილსაც ვერ ვახერხებდი.

მიყვარდა! მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, თუ როგორ მიყვარდა. ახალდაქორწინებულები ვიყავით. ერთმანეთი ვერ მოვიწყინეთ. მივდივართ ქუჩაში, ჩამკიდებს ხელს და ტრია-

ლებს. და მკოცნის, მკოცნის... ირგვლივ ხალხია და ყველა იღიშება.

მწვავე სხივურ დაავადებათა კლინიკა — თოთხმეტი დღე... თოთხმეტ დღეში ადამიანი კვდება...

სასტუმროში რადიაციის მზომავებმა პირველივე დღეს შემამოწმეს. ტანსაცმელი, ჩანთა, საფულე, ფეხსაცმელი, — ყველაფერი „იწვოდა“ და მაშინვე წაიღეს. ქვედა საცვლებიც კი. მხოლოდ ფულისთვის არ უხლიათ ხელი. სამაგიეროდ მომცეს ორმოცდათექვსმეტი ზომა საავადმყოფოს ხალათი მაშინ, როცა ორმოცდაათხი მეცვა და ორმოცდასამი ზომა ფეხსაცმელი ოცდაჩვიდმეტის ნაცვლად. მითხრეს, ტანსაცმელს ან მოგიტანთ, ან — ვერაო, სავარაუდოდ, არ გაირეცხებაო. სწორედ ასე წარვდექი მის წინაშე. შეშინდა: „ღმერთო, რა გჭირს?“ მაინც ვახერხებდი, ბულიონი მომეხარშა — მადულარას მინის ქილაში ვაგდებდი, და ქათმის სულ პატარა ნაჭრებს ვყრიდი... მერე ვიღაცამ თავისი ქვაბი მომცა, ალბათ დამლაგებელმა ან სასტუმროს სართულის მორიგემ... ვიღაცამ — პატარა დაფა, რომელზედაც ახალ ოხრახუშს ვჭრიდი. მე თვითონ საავადმყოფოს ხალათით ბაზარში ვერ გავდიოდი, მწვანილი ვიღაცებს მოჰქონდათ... სულ ტყუილად ვხარშავდი, დალევაც კი არ შეეძლო... არც ახალი კვერცხის გადაყლაპვა... მე კი მინდოდა, რაღაც გემრიელი მომემზადებინა, ვითომ ამით ეშველებოდა! ფოსტამდე მივალწიე: „გოგოებო, შევეხვეწე, სასწრაფოდ დამარეკინეთ მშობლებთან ივანო-ფრანკოვსკში. ქმარი მიკვდება აქ“. რატომღაც ეგრევე მიხვდნენ, საიდანაც ვიყავით მე და ჩემი ქმარიც, მაშინვე შემაერთეს. მამაჩემი და ჩემი და-ძმა იმავე დღეს ჩამოფრინდნენ მოსკოვში. ნივთებიც ჩამომიტანეს, ფულიც.

9 მაისი... ყოველთვის მეუბნებოდა: „ვერ წარმოიდგენ, რა ლამაზია მოსკოვი! განსაკუთრებით, გამარჯვების დღეს, როცა სალუტს ისვრიან! მინდა, ნახო“. გვერდით ვეჯექი პალატაში, თვალი გაახილა:

— დღეა თუ საღამო?

— ღამის 9 საათია.

— ფანჯარა გააღე, იწყება!

ფანჯარა გაავაღე. მერვე სართულზე ვართ, მთელ ქალაქს დავეურებთ! ცეცხლის თაიგული ჰაერში იჭრება.

— მაგარია!

— ხომ შეგპირდი, რომ მოსკოვს გაჩვენებდი?! ხომ შეგპირდი, რომ დღესასწაულებზე მთელი ცხოვრება ყვავილებს გაჩუქებდი?!

მივიხედე, — ბალიშის ქვეშიდან სამ მიხაკს იღებს. ექთნისთვის მიუცია ფული და იმას უყიდა.

მივრბივარ და ვკოცნი!

— ჩემო ერთადერთო! ჩემო სიყვარულო!

ბრაზობს:

— რას გეუბნებიან ექიმები? არ შეიძლება ჩახუტება, არ შეიძლება კოცნა!

მიკრძალავდნენ მიკარებას. მოფერებას... მაგრამ... მე ვწევდი და წამოვაჭენდი საწოლში. ვურეცხავდი თეთრეულს, ვუდებდი თერმომეტრს, მიმქონდა და გამქონდა ღამის ქოთანის, ვზელდი... მთელი ღამე გვერდით ვეჯექი. ვდარაჯობდი ყველა მოძრაობას. სუნთქვას.

კიდევ კარგი, დერეფანში და არა პალატაში... თავბრუ დამეხვა და ფანჯრის რაფას დავეყრდენი... ექიმმა ჩაიარა. ხელი მომკიდა და უცებ:

— ორსულად ხართ?

— არა, არა! — შევშინდი, ნეტავ არავის გაეგო, რაზე ვლაპარაკობდით.

— ნუ მატყუებთ, — ამოიოხრა.

ისე დავიბენი, ვერ მოვახერხე, რაიმე მეთხოვა.

მეორე დღეს განყოფილების გამგემ დამიბარა:

— რატომ მომატყუეთ? — მკაცრად მკითხა.

— არ მქონდა სხვა გზა. ვიტყვოდი სიმართლეს და შინ გამიშვებდით. წმინდა ტყუილია!

— რა ჩაიდინეთ!

— მასთან ვარ...

— ჩემო კარგო! ჩემო კარგო...

მთელი ცხოვრება ანგელინა ვასილევნა გუსკოვას მადლიერი ვარ! მთელი ცხოვრება!

სხვების ცოლებიც ჩამოდიოდნენ, მაგრამ იმათ უკვე აღარ უშვებდნენ. ჩემთან ერთად დედები იყვნენ, დედებს რთავდნენ შემოსვლის ნებას... ვალოდია პრავეიკის დედა ასე ევედრებოდა ღმერთს — „მე წამიყვანე“.

ამერიკელი პროფესორი, ექიმი გეილი... ძვლის ტვინის გადანერგვის ოპერაცია მან გააკეთა... მამშვიდებდა: არის იმედი, ძალიან პატარა, მაგრამ არის! ძლიერი ორგანიზმი აქვს, მაგარი ბიჭია! მისი ყველა ნათესავი დაიბარეს. დები ბელარუსიდან ჩამოვიდნენ, ძმა — ლენინგრადიდან, იქ მსახურობდა, ჯარში. უმცროსს, ნატაშას ძალიან ეშინოდა და სულ ტიროდა. მაგრამ მისი ძვლის ტვინი ყველაზე უკეთ შეესაბამებოდა... (ჩუმდება). ახლა შემიძლია ამაზე ლაპარაკი... ადრე არ შემეძლო. ათი წელი ვდუმდი... ათი წელი... (ჩუმდება).

როცა გაიგო, რომ მისი უმცროსი დის ძვლის ტვინი უნდააეღოთ, ეგრევე უარზე დადგა: „ჯობს მოვკვდე. ხელი არ ახლოთ, პატარაა ჯერ“. უფროსმა დამ, ლიუდამ, თვითონ ექთანმა, ოცდარვა წლისამ, იცოდა, რაზედაც მიდიოდა. სულ ამბობდა: „ნეტავ, გადარჩეს“. ოპერაციას ვუყურე. გვერდიგვერდ იწვნენ საოპერაციოში. დიდი ფანჯარა ჰქონდა საოპერაციოს. რომ ამთავრებდნენ, ლიუდა უფრო ცუდად იყო, თვრამეტი ნახვრეტი ჰქონდა მკერდზე, ძლივს გამოიყვანეს ნარკოზიდან. ახლა ავადობს, ინვალიდობის ჯგუფი აქვს. ძლიერი, ლამაზი გოგო იყო, არ გათხოვილა... ორ პალატას შორის დავრბოდი. ის უკვე ჩვეულებრივ პალატაში აღარ იწვა. ბაროკამერაში,

გამჭვირვალე საფარის ქვეშ მოათავსეს და აღარ მიშვებდნენ. იქ რაღაც სპეციალური მოწყობილობებია, რომ საფარის ზემოდან გაუკეთო ნემსი, ჩაუდგა კათეტერი... ყველაფერი იხსნება და იკეტება. ვისწავლე როგორ გამომეყენებინა... და მასთან შევმძვრალიყავი... მისი საწოლის გვერდით პატარა სკამი იდგა... უკვე ძალიან ცუდად იყო, ცუდად... „ლუსია, სადა ხარ, ლუსინკა!“ მეძახდა და მეძახდა... სხვა ბაროკამერებს ჯარისკაცები ემსახურებოდნენ, სანიტრებმა უარი თქვეს, სპეციალური ტანსაცმელი მოითხოვეს. ჯარისკაცებს გაჰქონდათ ღამის ქოთნები, წმენდნენ იატაკს, ცვლიდნენ თეთრეულს... ყველაფერს აკეთებდნენ. როგორ გაჩნდნენ იქ ჯარისკაცები? არ ვკითხულობდი, არ მაინტერესებდა... მხოლოდ ის... ის... და ყოველ დღე მესმის — მოკვდა, მოკვდა... მოკვდა ტუშჩურა, მოკვდა ტიტენოკი... „მოკვდა“ — ეს სიტყვა ჩაქუჩივით მირტყამდა თავში...

დღე-ღამეში ოცჯერ, ოცდახუთჯერ გადიოდა კუჭში. სისხლსა და ლიმფას აყოლებდა... კანი სძვრებოდა ხელებზე, ფეხებზე... მთელი ტანი წყლულებით დაეფარა. თავს რომ გაანძრევდა, ბალიში თმით იფარებოდა... და ასეთი ჩემი, ასეთი საყვარელი... ცდილობდა ეხუმრა — ასე ჯობია, სავარცხელი აღარ დამჭირდება... მალევე ყველას გადაპარსეს თავი... ფიზიკურად რომ შემძლებოდა, 24 საათი მასთან ვიქნებოდი, ყველა წუთი მენანებოდა... წუთიც კი მენანებოდა (სახეს ხელებში ფარავს და ჩუმდება)... ჩემი ძმა ჩამოვიდა და შეშინდა: „აღარ შეგიშვებ მასთან“. მამაჩემი ეუბნებოდა: „როგორ არ შეუშვებ, ფანჯრიდან შევა, სახანძრო კიბიდან აძრება!“

ცოტა ხნით გავედი... ვბრუნდები და — მაგიდაზე ფორთოხალია... დიდი, თანაც ყვითელი კი არა, ვარდისფერი. მეუბნება: „მაჩუქეს. აიღე და ჭამე!“ მედდა მანიშნებს გარედან — არ შეიძლება ამ ფორთოხლის ჭამა. მასთან ახლოს იდო რაღაც ხანი და აღარ იჭმებოდა. ვიღებ ფორთოხალს, ამ დროს თვალს ხუჭავს

და იძინებს. სულ რაღაც ნემსებს უკეთებდნენ, საძილეს. ნარკოტიკებს. მედლა შიშით მიყურებს. მე კი? მე მზად ვარ ყველაფრისთვის, ოღონდაც სიკვდილზე არ იფიქროს... იმაზე, რომ საშინელება სჭირს, რომ მე მისი მეშინია... საუბრის ნაგლეჯი... მახსოვს, ვიღაცამ მითხრა: „ნუ გავიწყდებათ, თქვენ წინ საყვარელი ადამიანი კი არა, რადიაქტიური ობიექტია დაბინძურების მაღალი ხარისხით. თვით-მკვლელებით ნუ იქცევით, აიყვანეთ თავი ხელში!“ მე კი, როგორც გონებაწართმეული, ვიმეორებდი: „მიყვარს“, „მიყვარს“. ეძინა, ვჩურჩულებდი „მიყვარხარ!“, საავადმყოფოს დერეფანში მივდიოდი და „მიყვარხარ!“ ღამის ქოთანს გამქონდა და „მიყვარხარ“. ვისვენებდი, როგორ ვცხოვრობდით ადრე... საერთო საცხოვრებელში. ღამე რომ ეძინა, ჩემი ხელი ეჭირა. ჩვევა ჰქონდა ასეთი – ხელჩაკიდებულებს გვეძინა. მთელი ღამე...

საავადმყოფოში კი მე მიჭირავს მისი ხელი და არ ვუშვებ...

ღამე. სიჩუმე. მარტონი ვართ. ყურადღებით მიყურა ერთხანს და უცებ თქვა:

– როგორ მინდა ჩვენი შვილის ნახვა. ნეტავ როგორია?

– რა დავარქვათ?

– ამას უკვე შენ მოიფიქრებ...

– რატომ მარტო მე, როცა ორნი ვართ?

– მაშინ, თუ ბიჭი დაიბადა, ვასია დავარქვათ. თუ გოგონა – ნატა-შა.

– რატომ ვასია? მე უკვე მყავს ერთი ვასია. შენ! სხვა აღარ მინდა.

მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, როგორ მიყვარდა! ის... მხოლოდ ის... თითქოს დავბრმავდი. ბავშვის მოძრაობასაც ვერ ვგრძნობდი მუცელში. არადა, უკვე ნ თვის ფეხმძიმე ვიყავი... ვფიქრობდი, რომ ის, პატარა, ჩემს წიაღში დაცული იყო. ჩემი პატარა...

იმის შესახებ, ღამე ბაროკამერაში რომ ვრჩებოდი, არც ერთმა ექიმმა არ იცოდა. ვერ ხვდებოდნენ. ექთნები მიშვებდნენ. თავიდან ცდილობდნენ, მოვებრუნებინე: „ახალგაზრდა ხარ. რას აკეთებ? ის

უკვე აღარაა ადამიანი, რეაქტორია. ერთად დაიწვებით“. მე კი, როგორც ძალი, არ ვშორდებოდი... საათობით ვიდექი კართან, გაუჩერებლად ვეხვეწებოდი: „ჯანდაბას შენი თავი, არანორმალური ხარ!“ და მიშვებდნენ. დილობით, სანამ რვა გახდებოდა, რვაზე ექიმების შემოვლა იწყებოდა, მანიშნებდნენ „გამოდი“ და ერთი საათით გავრბოდი სასტუმროში. დილის 9-იდან საღამოს 9-მდე კი საავადმყოფოს საშვი მქონდა. ვიღლებოდი, ფეხები დამისივდა, დამილურჯდა. მაგრამ სული სხეულზე ძლიერი მქონდა. ვუძლებდი...

სანამ მასთან ვიყავი, არ გაუბედავთ, მაგრამ როცა გავდიოდი, ფოტოებს უღებდნენ... ტანსაცმელი არ ეცვა... ტიტველს. ერთი მსუბუქი ზეწარი ეფარა. ყოველ დილას ვცვლიდი ამ ზეწარს, საღამოს სულ სისხლიანი იყო. ავწევდი და ხელებზე კანის ნარჩენები მრჩებოდა. ვეხვეწებოდი: „საყვარელო, მომეხმარე! დამეყრდენი ხელზე, რამდენადაც შეგიძლია, რომ თეთრეული გაგისწორო, ნაკერზე ან ნაკეცზე რომ არ იწვე“... გაინძრეოდა და — ეგრევე ტრილობა უჩნდებოდა. ფრჩხილებს ბოლომდე ვიჭრიდი, რომ არ გამეკაწრა... ვერც ერთი მედდა ვერ ბედავდა მოახლოვებას, შეხებას, რაღაც რომ იყო საჭირო, მე მეძახდნენ. ისინი კი... ისინი ფოტოებს უღებდნენ... ამბობდნენ, მეცნიერებისთვისო... რომ შემძლებოდა, ყველას გავყრიდი! ვუყვირებდი და ვცემდი! როგორ შეეძლოთ! რომ შემძლებოდა და არ შემეშვა! რომ შემძლებოდა...

პალატიდან დერეფანში გავდივარ... კედელს, დივანს მივყვები, იმიტომ, რომ ვერაფერს ვხედავ. მორიგე ექთანს ვაჩერებ: „კვდება“... ის კი მპასუხობს: „აბა როგორ გინდა? ათას ექვსასი რენტგენი მიიღო, მაშინ, როცა ოთხასი უკვე სასიკვდილო დოზაა“. ვეცოდები ამასაც, მაგრამ თავისებურად. ის კი სულ ჩემია... სულ, სულ საყვარელი.

როცა ყველანი მოკვდნენ, საავადმყოფოში რემონტი გააკეთეს. კედლები ჩამოანგრის, პარკეტი აყარეს და გაიტანეს. თავიდან გალესეს.

მერე — დასასრულია... ნაწყვეტებად მახსოვს... ამომივარდა თავიდან...

ღამეა. გვერდით ვუზივარ. სკამზე. რვა საათია. „ვასენკა, წავალ, ცოტას დავისვენებ“. ალებს და ხუჭავს თვალებს. გამიშვა. მივდივარ სასტუმრომდე და იატაკზე ვწვები. ლოგინზე ვერ ვწვებოდი, ყველაფერი მტკიოდა. ეგრევე დამიკაკუნა სანიტარმა. „გაიქეცი! გაუჩერებლად გეძახის!“ დილას ტანია კიბენოკი მეხვეწა: „წამომყევი სასაფლაოზე, უშენოდ არ შემიძლია“. იმ დღეს დამარხეს ვიტია კიბენოკი და ვალოდია პრავიკი. ვიტია მისი ძველი ამხანაგი იყო, ოჯახები თაც ვმეგობრობდით. აფეთქებამდე ერთი დღით ადრე ერთად გადავიღეთ ფოტო ჩვენთან, საერთო საცხოვრებელში. რა ლამაზები არიან ამ ფოტოზე ჩვენი ქმრები! მხიარულები! ჩვენი ცხოვრების, ჩერნობილამდელი ცხოვრების ბოლო დღე! როგორი ბედნიერები ვიყავით!

დავბრუნდი სასაფლაოდან. ეგრევე დავურეკე მედდას. „როგორაა?“ „თხუთმეტი წუთის წინ მოკვდა!“ როგორ? მთელი ღამე მასთან ვიყავი. მხოლოდ სამი საათით დავტოვე! ფანჯარასთან დავდექი და ვყვიროდი: რატომ? რისთვის? ცას შეეყვიროდი. მთელ საავადმყოფოს ესმოდა. ვერავინ მომიახლოვდა. ეშინოდათ. გამოვფხიზლდი: უკანასკნელად ვნახავ! ვნახავ! კიბეზე დავეშვი. ისევ ბაროკამერაში იწვა. ჯერ არ წაეყვანათ. უკანასკნელი სიტყვები ყოფილა: „ლუსია! ლუსენკა!“ ამ წუთას გავიდა, მალე მოვაო, — უთქვამთ ექთნებს. ამოისუნთქა და დადუმდა.

მერე აღარ მოვშორებივარ... სანამ კუბოში არ ჩაასვენეს... მაგრამ კუბო კი არა, დიდი პოლიეთილინის პაკეტი დამამახსოვრდა. ეს პაკეტი... მორგში მკითხეს: „გინდათ, გაჩვენებთ, რას ჩავაცმევთ! მინდა! საზვიამო ფორმა ჩააცვქს! ქუდი დაადეს მკერდზე. ფეხსაცმე-

ლი ვერ მოარგეს. ფეხები დაუსივდა, ბომბებივით გაუხდა. საზეიმო ფორმაც ვერ ჩააცვეს, გაჭრეს. აღარც იყო სხეული. ერთ მთლიან ჭრილობად იქცა. საავადმყოფოში, ბოლო ორ დღეს... ავწევდი ხელს, ძვალი მოუჩანდა, ხორცი ძვალს შორდებოდა... ფილტვებისა და ღვიძლის ნაწილები პირიდან ამოსდიოდა. საკუთარი შიგნეული ახრჩობდა... ხელზე ბინტს ვიხვევდი, პირში ვუყოფდი და ვწმენდდი... შეუძლებელია ამის მოყოლა... შეუძლებელია ამის აღწერა... ამის გადატანა... ამ დროს ისეთი საყვარელი, ისეთი... არც ერთი ზომა ფეხსაცმელი არ მოერგო... კუბოში ფეხშიშველა ჩააწვინეს...

ჩემ თვალიწინ... საზეიმო ფორმით ჩააწვინეს ცელოფანის ტომარაში და თავი მოუკრეს. მერე ეს ტომარა ჩადეს ხის კუბოში. კუბო კიდევ ერთ ტომარაში მოათავსეს. გამჭვირვალე, მაგრამ მუშამბასავით სქელ ცელოფანში. მერე ეს ყველაფერი თუთიის კუბოში ჩატენეს, ძლივს ჩაატიეს... გარეთ მხოლოდ ქუდი დატოვეს...

ყველანი ჩამოვიდნენ... მისი მშობლები, ჩემი მშობლები... მოსკოვში შავი მოსახვევები იყიდეს... საგანგებო კომისიამ მიგვიღო. ყველას ერთსა და იმავეს გვეუბნებოდნენ, რომ არ შეუძლიათ ჩვენი ქმრების, ჩვენი შვილების სხეულები გადმოგვცენ, რადგან ისინი ძალიან რადიოაქტიურია და მოსკოვის სასაფლაოზე საგანგებო წესით უნდა დაიმარხოს. დალუქული თუთიის კუბოებით, ბეტონის ფილების ქვეშ. თუკი ვინმე გამოთქვამდა უკმაყოფილებას, არწმუნებდნენ, რომ გმირები არიან და უკვე აღარ ეკუთვნიან მხოლოდ ოჯახებს... სახელმწიფოს ეკუთვნიან და სახელმწიფო უპატრონებს.

ჩავსხედით კატაფალკაში. ნათესავები და კიდევ ვიღაც სამხედროები. პოლკოვნიკი რაცით. რაციაში გადმოსცემდნენ: „დაელოდეთ ჩვენს მითითებებს! დაელოდეთ!“ ორი თუ სამი საათი მოსკოვში ვიარეთ, მერე ქალაქიდან გავედით, მერე ისევ

მოსკოვში დავბრუნდით. რაციაში გადმოსცემდნენ: „სასაფლაოზე ჯერ ვერ შეხვალთ. სასაფლაო სავსეა უცხოელი კორესპონდენტებით. კიდევ დაიცადეთ!“ მშობლები ჩუმად არიან. დედამისს შავი მანდილი ახვევია. ვხვდები, რომ გონებას ვკარგავ. ისტერიკაში ვვარდები. „რატომ მაღავთ ჩემს ქმარს? ვინ არის? მკვლეელია? დამნაშავეა? ავაზაკია? ვის ვმარხავთ?“ დედაჩემი მაწყნარებს: „გაჩუმდი, გაჩუმდი, შვილო!“ თავზე მეფერება, ხელს მკიდებს. პოლკოვნიკი გადასცემს: „მოგვეცით უფლება სასაფლაოზე შევიდეთ. ცოლი ისტერიკაშია“. სასაფლაოზე ჯარისკაცები შემოგვეხვივნენ. ბადრაგებს შორის მივდიოდით. კუბოც ბადრაგებს შორის მიჰქონდათ. დასამშვიდობებლად არავინ შემოუშვეს. მხოლოდ ნათესავები... მაშინვე დამარხეს. „ჩქარა! ჩქარა!“ – იძლეოდა ბრძანებას ოფიცერი. იმის უფლებაც არ მოგვცეს, კუბოსთან გვეტირა.

და ეგრევე ავტობუსებში ჩავსხეს.

მაშინვე გვიყიდეს და მოგვცეს დასაბრუნებელი ბილეთები. მეორე დღესვე... არ გვშორდებოდა ვიღაც კაცი, სამოქალაქო ტანსაცმელში, ოღონდ სამხედროს მანერებით, იმის უფლებაც კი არ მოგვცა, ნომრიდან გამოვსულიყავით და საჭმელი გვეყიდა. ღმერთმა არ ქნას და ვინმეს არ გამოვლაპარაკებოდით, განსაკუთრებით – მე. თითქოს მაშინ ლაპარაკი შემეძლო! ისე ვიყავი, უკვე ველარც ვტიროდი. როცა სასტუმროდან გავდიოდით, მორიგე მ ყველა პირსახოცი და ბეწარი დაითვალა... იქვე დებდა პოლიეთილენის პარკში, ალბათ დაწვეს... სასტუმროს ფულიც ჩვენ გადავიხადეთ... თოთხმეტი დღისა...

სხივური დაავადებების კლინიკა – თოთხმეტი დღე... თოთხმეტი დღეში ადამიანი კვდება...

სახლში დავიძინე. შევედი თუ არა, საწოლზე დავეცი. საში დღე მეძინა... ვერ მალვიძებდენ... მოვიდა სასწრაფო დახმარების ბრიგადა. „არა, თქვა ექიმმა, არ მომკვდარა. გაიღვიძებს. ეს საშინელი სიზმარია“.

ოცდასამი წლისა ვიყავი...

მახსოვს, მესიზმრა... გარდაცვლილმა ბებია მამაკითხა, ის ტანსაცმელი ეცვა, რითიც დავმარხეთ. და ნაძვის ხეს აწყობდა. „ბებია, რატომ დგამ ნაძვის ხეს? ახლა ხომ ზაფხულია?“, — „ასეა საჭირო. მალე შენი ვასკა მოვა ჩემთან“. და უცებ ტყიდან ამოიზარდა. მეორე სიზმარიც მახსოვს. ვასია მოდის თეთრებში ჩაცმული და ნატაშას ეძახის. ჩვენს გოგონას, რომელიც ჯერ არ დაბადებულა. ის კი უკვე დიდია. მიკვირს, როდის გაიზარდა ამხელა. ვასია ჭერში ისვრის მას და ორივენი იცინიან. მე კი შევეყურებ ორივეს და ვფიქრობ, რომ ბედნიერება ძალიან უბრალო რამაა. ძალიან უბრალო! მერე მესიზმრა... მასთან ერთად წყალზე დავდივარ. დიდხანს მივდივართ... ალბათ იქიდან მანიშნა, რომ არ მეტირა. ზემოდან (კარგა ხნით ჩუმდება).

მოსკოვში ორი თვის შემდეგ ჩავედი. სადგურიდან ეგრევე სასაფლაოზე გავიქეცი. მასთან! იქვე, სასაფლაოზე დამეწყო ჭინთვები. როგორც კი გავესაუბრე. გამოიძახეს სასწრაფო. მისამართი მივეცი. იქვე გავაჩინე, იმ ანგელინა ვასილევნა გუსკოვასთან. ადრევე გამაფრთხილა: „აქ ჩამოდი სამშობიაროდ“. სად წავიდოდი სხვაგან? დროზე ორი კვირით ადრე ვიმშობიარე...

მაჩვენეს... გოგონა. „ნატაშენკა, — ეგრევე დავუძახე. — მამამ ასე დაგარქვა“. გარეგნულად ჯანმრთელი ბავშვი იყო. ხელები, ფეხები... მაგრამ ღვიძლის ციროზით დაიბადა. ღვიძლში — ოცდარვა რენტგენი... გულის თანდაყოლილი მანკი... ოთხი საათის შემდეგ მითხრეს, რომ მოკვდა. და რომ ისევ, ვერ მომცემენ! როგორ არ მომცემთ? მეცნიერებას სჭირდება? მძულს ეგ თქვენი მეცნიერება! ჯერ ქმარი წამართვა, ახლა ეს... არ მოგცემთ! მე თვითონ დავმარხავ. მამასთან (ჩურჩულზე გადადის)...

ვერ გიყვებით კარგად... სწორი სიტყვებით... ჩემთვის ინსულტის შემდეგ ყვირილი არ შეიძლება... არც ტირილი შეიძლება. მაგრამ მინდა, მინდა, რომ იცოდეთ... აქამდე არავისთვის მიამ-

ბნია... მაშინ არ დავუთმე ჩემი პატარა გოგონა. ჩვენი გოგონა... მერე მომიტანეს ხის ყუთი. „აქაა“. ჩავხედე. შეუხვევიათ. სახვევებში იყო. მაშინ ავტირდი: „ფეხებთან ჩაუდეთ, უთხარით, რომ ეს ჩვენი ნატაშენკაა“.

იქ, საფლავზე არ აწერია: ნატაშა იგნატენკო... მარტო ვასკას სახელია. ის კი უსახელოდ მოკვდა, უარაფროდ... მარტო სული... სული დავმარხე იქ...

ყოველთვის ორი თაიგულით მივდივარ: ერთს ვასკას ვუდებ, მეორეს კუთხეში — ნატაშას. საფლავზე მუხლებით ვხობავ... ყოველთვის მუხლებზე ვდგავარ. (გაურკვეველად) მე მოვკალი... მან — კი გადამარჩინა... ჩემმა გოგონამ გადამარჩინა, მან მიიღო რადიოდარტყმა. ასეთმა პატარამ, სულ პაწაწინამ (იხრჩობა) გადამარჩინა. ორივე მიყვარდა... მაგრამ... მაგრამ შეიძლება სიყვარული კლავდეს? ასეთი სიყვარული? რატომ არიან ერთად? სიყვარული და სიკვდილი. სულ ერთად არიან. ვინ ამიხსნის ამას? ვინ მაჩვენებს? საფლავზე სულ მუხლებზე ვხობავ... (კარგა ხნით ჩერდება).

...კიევში ბინა მომცეს. დიდ სახლში, სადაც ახლა ისინი ცხოვრობენ, ვინც ატომური სადგურიდან წამოვიდა. სულ ნაცნობები არიან. დიდი ბინაა, ოროთახიანი, მე და ვასია ასეთზე ვოცნებობდით. მე კი აქ ჭკუიდან ვიშლებოდი. ყველა კუთხეში, სადაც არ გავიხედავდი, ის მელანდებოდა. რემონტი დავიწყე, რომ არ გავჩერებულიყავი, რალაც მაინც მეკეთებინა. მესიზმრა... ერთად მოვდივართ, მას კი ფეხზე არ აცვია. რატომ ხარ სულ ასე ფეხშიშველი? — იმიტომ, რომ არაფერი მაქვს. ეკლესიაში წავედი. მღვდელმა მასწავლა: დიდი ზომის ფეხსაცმელი უნდა იყიდო და ვინმეს ჩაუდო კუბოშიო. ბარათიც ჩააყოლო, რომ მას უგზავნიო. ასეც მოვიქეცი. ჩავედი მოსკოვში და ეგრევე ეკლესიაში გავიქეცი. მოსკოვში მასთან ახლოს ვარ... იქ წევს, მიტინსკის სასაფლაოზე... ვუყვები ეკლესიის მსახურს, რომ ასეა, ფეხსაცმელი უნდა გავუგზავნო. „იცი, როგორ უნდა გააკეთო?“ კიდევ ერთხელ ამიხსნა. სწორედ მაშინ ვიღაც ბაბუას ასაფლავებ-

დნენ. მივდივარ კუბოსთან, სუდარას ვწევ და ფეხსაცმელს ვდებ. „დაწერე?“ „კი, დავწერე, მაგრამ არ დამიწერია, რომელ სასაფლაოზეა“, „ერთ სამყაროში არიან, იპოვნიან ერთმანეთს“ – დამამშვიდა.

ალარაფერი მინდოდა. ღამით ვიდექი ფანჯარასთან, შევყურებდი ცას. „ვასენკა, რა უნდა ვქნა? არ მინდა უშენოდ სიცოცხლე“. დღისით მივდიოდი საბავშვო ბაღთან, ვჩერდებოდი და ვდგავარ. ვუყურებ და ვუყურებ ბავშვებს... ჭკუიდან ვიშლებოდი! მერე ღამლამობით ვეხვეწებოდი: „ვასენკა, ბავშვს გავაჩენ. მეშინია მარტოს, ვეღარ გავუძლებ ამას. ვასენკა!“ სხვა დროს კი ასე ვეუბნებოდი: „ვასენკა, მამაკაცი არ მჭირდება. შენზე უკეთესს ვის ვნახავ. მარტო ბავშვი მინდა“.

ოცდახუთი წლის ვიყავი...

ვიპოვე მამაკაცი. ყველაფერი მოვუყევი... მთელი სიმართლე: ერთი სიყვარული მაქვს; მთელი სიცოცხლე. არაფერი დამიმაღლავს... ვხვდებოდი, მაგრამ სახლში არასდროს მომიყვანია... იქ – ვასიაა...

კონდიტერად ვმუშაობდი. ტორტს ვრთავდი და ცრემლი მომდიოდა. არ ვტიროდი, მაგრამ ცრემლი მაინც მოდიოდა. ერთს ვეხვეწებოდი გოგოებს: „არ შემიცოდოთ, თუ შემიცოდებთ, წავალ აქედან“. მინდოდა ვყოფილიყავი ისე, როგორც ყველა... საცოდავი არ ვარ... ოდესღაც ხომ ბედნიერი ვიყავი...

ვასიას ორდენი მომიტანეს... წითელი... დიდხანს ვერ ვუყურებდი... ცრემლი მომდიოდა...

ბიჭი გავაჩინე. ანდრეი... ანდრეიკა... მეგობრები მაფრთხილებდნენ: „არ შეიძლება შენთვის გაჩენა“, ექიმებიც მაშინებდნენ: „თქვენი ორგანიზმი ვერ გადაიტანს“... მერე, მერე მითხრეს, რომ ხელი არ ჰქონდა, მარჯვენა ხელი... აპარატმა უჩვენა... „რა მოხდა? მარცხენა ხელით ვასწავლი წერას“. არადა, ჩვეულებრივი დაიბადა, ლამაზი ბიჭია... უკვე სკოლაში სწავლობს,

ხუთოსანია... ახლა უკვე მყავს ვიღაც, ვისითაც ვსუნთქავ და ვცხოვრობ. ჩემი ცხოვრების ნათელი. მშვენივრად ესმის ყველაფერი: „დედიკო, ბებიასთან რომ წავიდე ორი დღით, სუნთქვას შეძლებ?“ ვერ შევძლებ, მეშინია, ერთი დღითაც რომ დამტოვოს. ქუჩაში მოვდიოდით, მივხვდი, ვეცემოდი... მაშინ პირველად დამემართა ინსულტი. ქუჩაში... „დედა, წყალი მოგიტანო?“ — „არა, ჩემთან იყავი, არ მიმატოვო!“ და ხელი ჩავჭიდე. მერე აღარ მახსოვს. თვალი საავადმყოფოში გავახილე. თურმე ისე ჩავჭიდებივარ, ექიმებმა ძლივს გამისხნეს ხელი. მკლავი კარგა ხანს ჰქონდა დალურჯებული. ახლა სახლიდან რომ გავდივართ, მეუბნება: „დედიკო, ოღონდაც ხელს ნუ მომკიდებ, არსად წავალ“. ხშირად ავადმყოფობს. ორი კვირა სკოლაშია, მერე ორი კვირა ექიმებში დავდივართ. ასე ვცხოვრობთ. გვეშინია. თან ყოველ კუთხეში ვასიაა. მისი ფოტოები... ღამღამობით ველაპარაკები და ველაპარაკები... ხანდახან სიზმარში მთხოვს, „მანახე ჩვენი ბავშვი“, მივდივართ მე და ანდრეი, მას კი გოგონასთვის აქვს ხელი ჩაჭიდებული და მოჰყავს. სულ გოგონასთან ერთადაა და მარტო მას ეთამაშება...

ასე ვცხოვრობ... ერთდროულად რეალურ და არარეალურ სამყაროში. და არ ვიცი, სად ვარ უკეთესად... (დგება და ფანჯარასთან მიდის) ჩვენ აქ ბევრნი ვართ. მთელი ქუჩა. ასეც დაარქვეს — ჩერნობილის ქუჩა. ამ ადამიანებმა მთელი ცხოვრება სადგურზე იმუშავეს. ბევრი ახლაც დადის იქ, ახლა სადგურს ვახტორის მეთოდით ემსახურებიან. იქ არავინ ცხოვრობს და არც არასდროს იცხოვრებს. ყველას მძიმე დაავადებები აქვთ, დაინვალიდნენ, მაგრამ სამსახურს ვერ ეშვებიან. ამაზე ფიქრიც კი უჭირთ. იქ არავინაა! ამაზე ფიქრისაც კი მეშინია. მათთვის ცხოვრება არ არსებობს რეაქტორის გარეშე. რეაქტორია მათი ცხოვრება. დღეს ვის სჭირდება ისინი სხვა ადგილას? ხშირად კვდებიან. უცებ კვდებიან. ზეზეურად კვდებიან: მიდის — დაეცემა, დაიძინებს — ვერ იღვიძებს. მედლისთვის ყვავილები მიჰქონდა და გული გაუჩერდა. ავტობუსის გაჩერებაზე... კვდებიან ისე,

რომ არავინ ინტერესდება, რა გამოიარეს... რა ნახეს... სიკვდილზე არ უნდათ მოისმინონ... ეშინიათ...

მაგრამ მე სიყვარულზე გიამბოეთ... ისე მიყვარდა..."

ლიუდმილა იგნატენკო
დალუპული მეხანძრის,
ვასილი იგნატენკოს ცოლი.

ავტორის ინტერვიუ საკუთარ თავთან, ისტორიის აცდენებისა და იმის შესახებ, როგორ აყენებს ჩერნობილი ჩვენი სამყაროს სურათს კითხვის ნიშნის ქვეშ

— ჩერნობილს შევესწარი. მეოცე საუკუნის ყველაზე მთავარ მოვლენას, მთავარს, მიუხედავად იმისა, რომ ეს საუკუნე საშინელი ომებითა და რევოლუციებითაა აღბეჭდილი. კატასტროფიდან უკვე ოცი წელი გავიდა და დღემდე მაწვალებს კითხვა — რისი მოწმე ვარ — წარსულის თუ მომავლის? აქ იოლია ბანალობაში გადავარდნა. საშინელების ბანალობაში... მაგრამ მე ვუყურებ ჩერნობილს, როგორც ახალი ისტორიის დასაწყისს. ეს არა მხოლოდ ცოდნაა, არამედ რაღაც მეტი, რადგან ადამიანი უკვე ვეღარ ენდობა იმ წარმოდგენებს, რომელიც საკუთარი თავისა და სამყაროს შესახებ აქამდე ჰქონდა. როცა წარსულზე და მომავალზე ვსაუბრობთ, ამ სიტყვებში ჩვენს წარმოდგენებს ვდებთ დროის შესახებ, მაგრამ ჩერნობილი — უპირველეს ყოვლისა დროის კატასტროფაა. რადიონუკლიდები, რომლებიც დედამიწაზე გამოიტყორცნა, ორმოცდაათ, ას, ორას, ათას წელს იცოცხლებს... და მეტსაც... ადამიანის ცხოვრების ხანგრძლივობის თვალსაზრისით ისინი მარადიულია. რა შეგვიძლია, გავიგოთ?

შეგვიძლია კი ჩავწვდეთ და მივხვდეთ ჩვენთვის აქამდე უცნობი სა-
შინელების აზრს?

— რაზეა ეს წიგნი? რატომ ვწერ?

— ეს წიგნი ჩერნობილზე კი არა, ჩერნობილის სამყაროზეა. თვითონ მოვლენაზე ათასობით ფურცელია უკვე დაწერილი და ასო-
ბით ათასი მეტრი კინოფირი გადაღებული. მე კი ვსწავლობ იმას, რასაც აცდენილ ისტორიას ვუწოდებ, დედამიწაზე და დროში ჩვენი ყოფნის უკვალო კვალს. ვცდილობ, სხვა ცხოვრებას ჩავწვდე. ჩვე-
ულებრივი ადამიანების ჩვეულებრივ ცხოვრებას. აქ კი ყველაფერი უჩვეულოა: გარემოებებიც და ადამიანებიც, რომლებსაც ამ გარე-
მოებებმა აიძულეს, ახალ სივრცეებში დამკვიდრებულიყვნენ. ჩერ-
ნობილი მათთვის მეტაფორა და სიმბოლო კი არა — სახლია. რამ-
დენჯერ უცდია ხელოვნებას აპოკალიფსის რეპეტიცია გაეგლო, აე-
სახა ქვეყნის დასასრული სხვადასხვა ტექნოლოგიის საშუალებით, მაგრამ დღეს ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ ცხოვრება გაცილებით ფან-
ტასტიკურია. კატასტროფიდან ერთ წელიწადში ვილაცამ მკითხა: „ყველანი წერენ. თქვენ აქ ცხოვრობთ და არ წერთ. რატომ?“ მე კი არ ვიცოდი, როგორ მეწერა, რომელი ინსტრუმენტებით და საიდან დამეწყო. თუკი ადრე, როცა ვწერდი, სხვის ტანჯვაში ვიხედებოდი, ახლა ჩემი ცხოვრებაც და მეც ამ მოვლენის ნაწილად ვიქეცი, ისე, რომ შორიდან ვეღარ ვუყურებდი. ჩემი პატარა, ევროპაში ჩაკარგუ-
ლი ქვეყნის სახელი, რომელიც ადრე არავის გაეგო, ახლა ყველა ენაზე ისმოდა, ბელარუსი წყეული ჩერნობილის ლაბორატორიად იქცა, ჩვენ, ბელარუსები — ჩერნობილის ხალხად. სადაც არ უნდა მოვხვდე, ყველანი ცნობისმოყვარეობით მეკითხებიან: „საიდან ხართ? რა ხდება იქ?“ ცხადია, შეიძლებოდა ჩქარ-ჩქარა დამეწერა ისეთი წიგნი, როგორებიც მერე მალევე გაჩნდა ერთიმეორის მიყო-
ლებით — რა მოხდა იმ დამეს სადგურზე, ვინ იყო დამნაშავე, როგორ უმაღავდნენ ავარიას სამყაროს და საკუთარ ხალხს, რამდენი ტონა ქვიშა და ბეტონი გახდა საჭირო, რომ სიკვდილით მხრჩოლავი რე-

აქტორი სარკოფაგში მოექციათ, — მაგრამ რაღაც ხელს მკიდებდა და მაჩერებდა. რა? იღუმალების განცდა. ეს განცდა მაშინვე გაგვიჩნდა და წარმართავდა ჩვენს საუბრებს, ქმედებებს, შიშებს. ის თან ახლდა ამ მოვლენას, საზარელ მოვლენას. ყველას გაგვიჩნდა გრძნობა, რომელსაც ზოგი გამოვთქვამდით, ზოგი — ვერა, რომ რაღაც წარმოუდგენელს შევეჯახეთ. ჩერნობილი საიდუმლოა, რომელიც მომავლაში უნდა აიხსნას, ამოუცნობი ნიშანსვეტია. შეიძლება, გამოცანაა ოცდამეერთე საუკუნისთვის, მისი გამოწვევა. ჩერნობილით ცხადი გახდა, რომ კომუნისტური, ნაციონალური, რელიგიური გამოწვევების გარდა, რომელთა წიაღშიც ვცხოვრობთ და გადარჩენისთვის ვიბრძვით, მომავალში სულ სხვა გამოწვევები გველის, უფრო მეტად მზაკვრული და ტოტალური, მაგრამ ჯერ უხილავი. თუმცა, ჩერნობილის შემდეგ რაღაც უკვე გაცხადდა...

26 აპრილის ღამე... ერთ ღამეში ისტორიის სულ სხვა მხარეს გადავინაცვლეთ. ახალ რეალობაში გადავხტით, და ის, ახალი რეალობა, არა მხოლოდ ჩვენი ცოდნის, არამედ ჩვენი წარმოსახვის მიღმაც კი აღმოჩნდა. დროთა კავშირი დაირღვა... უცებ წარსული უსარგებლო გახდა, იქ აღარაფერი დარჩა, რასაც მოეჭიდებოდი, კაცობრიობის ყოვლისმცოდნე (როგორც გვეგონა) არქივში არ მოიძებნა გასაღები, რომელიც ამ კარს გააღებდა. იმ დროს არაერთხელ მომიხმენია: „ვერ ვპოულობ სიტყვებს, რომ აღვწერო ის, რაც ვნახე და განვიცადე“, „ასეთი აქამდე არაფერი გამიგია“, „არც ერთ წიგნში არ წამიკითხავს და და არც კინოში მინახავს“. დროის იმ მონაკვეთში, როცა კატასტროფა მოხდა და შემდეგ, როცა მასზე საუბარი დაიწყო, იყო პაუზა. მუნჯი დრო... ეს მომენტი ყველას გვახსოვს. სადღაც, ზემოთ იღებდნენ გადაწყვეტილებებს, ადგენდნენ საიდუმლო ინსტრუქციებს, ცაში წევდნენ შვეულმფრენებს, გზებზე ტექნიკის წარმოუდგენელ რაოდენობას ამოძრავებდნენ, ქვემოთ — ელოდებოდნენ ცნობებს და

ეშინოდათ, ჭორებით ცხოვრობდნენ, მაგრამ მთავარის შესახებ დუმდნენ, – რა მოხდა სინამდვილეში? ვერ პოულობდნენ სიტყვებს ახალი გრძნობების გამოსახატად და გრძნობებს – ახალი სიტყვებისთვის, აღარ შეეძლოთ თვითგამოხატვა, ნელ-ნელა იძირებოდნენ ახალი ფიქრების ატმოსფეროში – შეიძლება, ასეც განისაზღვროს ჩვენი მაშინდელი მდგომარეობა. მხოლოდ ფაქტები უკვე აღარ იყო საკმარისი, ფაქტებს იქით უნდა გადაგხედოდა, რომ მომხდარის საზრისს რაღაცნაირად ჩაწვდომოდი. თავზარდაცემულები ვიყავით. მე კი ვეძებდი ამ თავზარდაცემულ ადამიანებს. ისინი ახალი ტექსტებით ლაპარაკობდნენ. ხმები ხანდახან წყდებოდა და ძილსა თუ ბოდვაში, პარალელურ სამყაროებში გადადიოდა. ჩერნობილთან ყველანი ფილოსოფოსობას იწყებდნენ. ფილოსოფოსებად იქცეოდნენ. ეკლესიები ისევ ადამიანებით გაივსო... მორწმუნეებით და ახლო წარსულში – ათეისტებით. ეძებდნენ პასუხებს, რომელზედაც ფიზიკა და მათემატიკა არაფერს ეუბნებოდათ. სამგანზომილებიანი სამყარო გაიწელა, არ შემხვედრია არც ერთი მამაცი, ვინც კვლავაც დაიფიცებდა მატერიალისტების ბიბლიაზე. უცებ მკვეთრი უსასრულობა ამოიფრქვა. დადუმდნენ კულტურითა და ტრადიციით გამობრძმედილი ფილოსოფოსები და მწერლები. პირველ დღეებში ყველაზე საინტერესო მოსაუბრეები მეცნიერები, ჩინოვნიკები და დიდჩინიანი სამხედროები კი არა, მოხუცი გლეხები იყვნენ. ისინი ტოლსტოისა და დოსტოევსკის, ინტერნეტის გარეშე ცხოვრობენ, მაგრამ მათმა ცნობიერმა რაღაცნაირად მაინც დაიტია ახალი სამყაროს სურათი და არ დაანგრია ის. როგორც ჩანს, ჩვენ ყველანი ასე თუ ისე გაუუმკლავდებოდით ატომური ომის სიტუაციას, როგორც ჰიროშიმაში, და შეიძლება ითქვას, ამისთვის ვემზადებოდით კიდევ. მაგრამ კატასტროფა მშვიდობიან ატომურ ობიექტზე მოხდა, ჩვენ კი, საბჭოთა ადამიანებს გვასწავლიდნენ, რომ საბჭოთა ატომური სადგურები მსოფლიოში ყველაზე საიმედოა, იმდენად, რომ შეიძლება წითელ მოედანზეც კი ააშენო. სამხედრო

ატომი — ეს ჰიროშიმა და ნაგასაკია, მშვიდობიანი ატომი კი — მოკაშკაშე ნათურაა ყველა სახლში. მანამდე არავის უეჭვია, რომ მშვიდობიანი და სამხედრო ატომი ტყუპები და თანამოაზრეები არიან. დაჭკვიანდით, მთელი მსოფლიო დაჭკვიანდა, მაგრამ მხოლოდ ჩერნობილის შემდეგ. დღეს კი ბელარუსი ხალხი, როგორც ცოცხალი „შავი ყუთი“, სამომავლო ინფორმაციას იწერს. იწერს ყველასთვის.

ამ წიგნს დიდი ხნის განმავლობაში ვწერდი. თითქმის ოც წელიწადს... ვხვდებოდი და ველაპარაკებოდი სადგურის თანამშრომელებს, მეცნიერებს, ექიმებს, ჯარისკაცებს, გადმოსახლებულებს, თვითნასახლებულებს... მათ, ვისთვისაც ჩერნობილი სამყაროს ძირითად შინაარსად იქცა; ვისთვისაც არა მხოლოდ მიწა და წყალი, არამედ ყველაფერი — შიგნით და გარეთ — ჩერნობილითაა მოწმალული. ისინი ყვებოდნენ, ეძებდნენ პასუხებს... ჩვენ ერთად ვფიქრობდით... ხშირად ჩქარობდნენ, შიშობდნენ, ვერ მოვასწრებთო, და მე მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ მათი მოწმეობის საფასური — მათივე სიცოცხლე იყო. „ჩაიწერეთ, — მიმეორებდნენ, — რაც ვნახეთ, ყველაფერი ვერ გავიგეთ, მაგრამ, დაე, დარჩეს. ვილაც წაიკითხავს და მიხვდება. მერე, ჩვენ შემდეგ...“ ტყუილად არ ჩქარობდნენ, ბევრი უკვე აღარაა ცოცხალი. მაგრამ სიგნალის გადაცემა მოასწრეს...

— ის, რაც აქამდე საშინელებასა და შიშზე ვიცოდით, ყველაზე მეტად ომს უკავშირდებოდა. სტალინის გულაგი და ოსვენციმი ბოროტების შედარებით ახალი ფორმებია, რომელთა შესახებაც სულ ცოტა ხნის წინ გავიგეთ. ისტორია ყოველთვის იყო ომებისა და მხედართმთავრების ამბები და საშინელების საზომადაც სწორედ ომი იქცა. ამიტომაცაა, რომ ადამიანები ომსა და კატასტროფებს ერთმანეთთან აკავშირებენ. ჩერნობილში სახეზეა ომის ყველა ნიშანი: ბევრი ჯარისკაცი, ევაკუაცია, მიტოვებული სახლკარი. დარღვეულია ცხოვრების მდინარეება. გაზეთებშიც ინფორ-

მაცია ჩერნობილის შესახებ მხოლოდ ომის სიტყვებით აღიწერება: ატომი, აფეთქება, გმირები... ეს ართულების იმის გაგებას, რომ ისტორიის ახალ ფაზაში შევედით — დაიწყო კატასტროფების ისტორია. ადამიანს კი არ უნდა ამაზე იფიქროს, რადგან აქამდე არასდროს უფიქრია და ემალება იმას, რაც უკვე ნახა. წარსულისგან დამალვას ცდილობს. მონუმენტებიც კი, რომელიც ჩერნობილს დაუდგეს, სამხედრო ძეგლებს ჰგავს...

ჩემი პირველი შესვლა ზონაში...

ბალები ყვალდა, მზეზე სიხარულით ელავდა მწვანე ბალახი. ჩიტები ჭიკჭიკებდნენ. ისეთი ნაცნობი იყო სამყარო... ეგრევე გამიელვა: ყველაფერი ადგილზეა და ყველაფერი ისეა, როგორც ადრე. იგივეა დედამიწა, იგივეა წყალი, იგივეა ხეები. ფორმაც, ფერიც და სუნიც მარადიულია და აქ ვერავინ ვერაფერს შეცვლის. მაგრამ პირველივე დღეს ამიხსნეს: ყვავილების მოწყვეტა არ შეიძლება, მიწაზე არ უნდა ვიდგე და წყაროს წყალი არ უნდა დავლიო. საღამოს დავაკვირდი, როგორ უნდოდათ მწყემსებს მდინარეში შეერეკათ დაღლილი ჯოგი, მაგრამ ძროხები მიდიოდნენ წყალთან და ეგრევე უკან ბრუნდებოდნენ. ისინი რაღაც გუმანით ხვდებოდნენ, რომ წყალი საშიში იყო. კატები კი, — მიყვებოდნენ, — არ ეკარებოდნენ მომაკვდავ თაგვებს, რომლებიც ყველგან ეყარნენ — მინდვრებში, ეზოებში. ყველგან სიკვდილი იმალებოდა, მაგრამ ეს რაღაც სხვანაირი სიკვდილი იყო. ახალ ნიღაბში, ახლებურად შემოსილი. ადამიანს მოსდევდა და ეწეოდა, ის კი არ იყო მზად. არ იყო მზად, როგორც ბიოლოგიური სახეობა, არ მუშაობდა მისი ბუნებრივი ინსტრუმენტები, რომლებიც მომართულია, რომ დაინახოს, მოისმინოს, ხელით შეეხოს. ეს ყველაფერი აღარ იყო შესაძლებელი, თვალები, ყურები, თითები უკვე აღარ გამოდგებოდა, იმიტომ, რომ რადიაცია არ ჩანს, არც სუნი აქვს და არც — ხმა. უსხეულოა. მთელი სიცოცხლე ჩვენ ან ვომობდით, ან ომისთვის ვემზადებოდით, ამდენი რამე ვიცოდით მასზე — და უცებ! მტრის ხატი შეიცვალა. უცებ სულ სხვა მტერი გაგ-

ვიჩნდა. მტრები... კლავდა ნათიბი ბალახი, დაჭერილი თევზი, ნა-
ნადირევი, ვაშლი. ჩვენი სამყარო, ასეთი დამყოლი და მეგობრუ-
ლი, ახლა შიშის წყაროდ იქცა. მოხუცები მიდიოდნენ ევაკუ-
აციაში, ჯერ წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ სამუდამოდ და ცას
შეჰყურებდნენ: „მზე ანათებს... არც კვამლია, არც გაზი. არ ის-
ვრიან. ნუთუ ეს ომია? ჩვენ კი დევნილებად ვიქცევით?“ ერ-
თდროულად ნაცნობი და უცნობი სამყარო.

როგორ გავიგოთ, სად ვართ? რა ხდება ჩვენს თავს? აქ და ახ-
ლა... ვერც ვერავის ვეკითხებით...

გაგაოცებდათ ზონაში და ზონის ირგვლივ უთვალავი რაოდე-
ნობის სამხედრო ტექნიკა. ჯარისკაცები მარშირებდნენ ახალ-
ახალი ავტომატებით, სრული სამხედრო აღჭურვილობით. ყვე-
ლაზე მეტად რატომღაც შვეულმფრენები და დაჯავშნული მანქა-
ნები კი არა, ეს მოელვარე ავტომატები დამამახსოვრდა. იარა-
ღი. თოფიანი კაცი ზონაში... ვისთვის უნდა ესროლა ან ვისგან უნ-
და დაეცვა თავი? ფიზიკისგან? უჩინარი ნაწილაკებისგან? დაბუნ-
ძურებული მიწა უნდა დაეხვრიტათ თუ ხე? სადგურზე უშიშროე-
ბის სამსახური მუშაობდა. ჯაშუშებსა და დივერსანტებს დაეძებ-
დნენ, ხმები დადიოდა, რომ ავარია — დასავლურმა სპეცსამსახუ-
რებმა სოციალისტური ბანაკის ასაფეთქებლად დაგვემეს. ამი-
ტომაც ფეხიზღად უნდა ყოფილიყვნენ.

ომის სურათი, ომის კულტურა ჩემ თვალწინ დაინგრა. უცებ
რაღაც ბლანტ სამყაროში მოვხვდით, სადაც ბოროტება არა-
ფერს გვიხსნის, საკუთარ თავს არ გასცემს და არანაირ კანონს
არ ცნობს.

მე შევესწარი, როგორ იქცა ჩერნობილამდელი ადამიანი
ჩერნობილის ადამიანად.

— არც ერთხელ, და ამაზე საჭიროა დაფიქრება, არ მომისმე-
ნია მოსაზრება, რომ მეხანძრეებისა და ლიკვიდატორების მოქ-
მედება, რომლებიც ატომურ სადგურზე ავარიის პირველ ღამეს

აქრობდნენ ხანძარს, თვითმკვლელობას ჰგავდა, კოლექტიურ თვითმკვლელობას. ლიკვიდატორები ხშირად დამცავი სპეცტან-საცმლის გარეშე მუშაობდნენ, უსიტყვოდ მიდიოდნენ იქ, სადაც რობოტები „კვდებოდნენ“. მათ უმაღლავდნენ სიმართლეს მიღებული მაღალი დოზების შესახებ, და ისინი ამას ურიგდებოდნენ, შემდეგ კი სიკვდილის წინ მადლიერებით იღებდნენ სამთავრობო მედლებსა და სიგელებს. ბევრის დაჯილდოვებაც კი ვერ მოასწრეს. ვინ არიან ისინი? გმირები თუ თვითმკვლელები? თუ საბჭოთა იდეისა და აღზრდის სისტემის მსხვერპლნი? გადის დრო და რატომღაც გვავიწყდება, რომ მათ მთელი ქვეყანა გადაარჩინეს. ევროპა გადაარჩინეს. წამითაც რომ წარმოვიდგინოთ, რა მოხდებოდა, დანარჩენი სამი რეაქტორიც რომ აფეთქებულიყო...

– ისინი გმირები არიან. ახალი ისტორიის გმირები, რომელთაც სტალინგრადის ან ვატერლოოს ბრძოლის გმირებს ადარებენ, მაგრამ მათ რაღაც უფრო დიდი გადაარჩინეს, ვიდრე სამშობლო. მათ თვით სიცოცხლე იხსნეს. სიცოცხლის დრო. ცოცხალი დრო.

– ჩერნობილში ადამიანმა უღალატა ყველაფერს, მთელ სამყაროს, სადაც, ადამიანის გარდა, ათასობით სხვა ცოცხალი არსება ცხოვრობს – ცხოველებს და მცენარეებს უღალატა. როცა იქ მივდიოდით, ვისმენდი ნაამბობს იმის შესახებ, რომ ისინი (პირველები და პირველად) აკეთებდნენ ადამიანურად არაადამიანურ საქმეს – მიწას მიწაში მარხავდნენ, დაბუნძურებულ მონაკვეთებს ჭრიდნენ და სპეციალურ ბეტონის ბუნკერებში ათავსებდნენ მთელი ცოცხალი სამყაროთი – ხოჭოებით, ობობებით, მატლებით, სხვადასხვა ქვეწარმავლებით, რომელთა სახელებიც კი არ იცოდნენ. არ ახსოვდათ. მათ სიკვდილის სრულიად სხვა აღქმა ჰქონდათ, ის ვრცელდებოდა ყველაფერზე: ჩიტებიდან – პეპლებამდე. მათი სამყარო უკვე სხვა იყო – ახალი კანონებით, ახალი პასუხისმგებლობითა და დანაშაულის ახალი განცდით. მათ ნაამბობში მუდმივად ჩნდებოდა დროის თემა, ისინი ამბობდნენ – „პირველად“, „უკანასკნელად“,

„სამუდამოდ“. ისენებდნენ, როგორ დადიოდნენ დაცარიელებულ სოფლებში, სადაც ხანდახან ხვდებოდნენ მარტოხელა მოხუცებს, რომლებმაც უარი თქვეს, წასულიყვნენ სხვებთან ერთად და ან სულაც — დაბრუნებულიყვნენ: საღამოობით ისხდნენ ანთებულ კვართან, ცელით თიბავდნენ, ნამგლით მკიდნენ, ხეებს ცულით ჭრიდნენ, ლოცვებში ცხოველებს და სულებს მოუხმობდნენ. ღმერთსაც. ყველაფერი ისე იყო, როგორც ორასი წლის წინ, ხოლო ზემოთ, ცაში, კოსმოსური ხომალდები დაფრინავდნენ. დრომ კუდი მოიკვნიტა, საწყისი და დასასრული შეერთდა. ჩერნობილი მათთვის, ვინც იქ იყო, ჩერნობილში არ დასრულებულა. ომიდან კი არ დაბრუნდნენ, არამედ — თითქოს სხვა პლანეტიდან... მიხვდი, რომ მათ განსაცდელი სრულიად ცნობიერად ახალ ცოდნად აქციეს, რომელსაც გვჩუქნიდნენ: აიღეთ, თქვენ მოგიწევთ რამენაირად გაუმკლავდეთ ამ ახალ ცოდნას, როგორღაც უნდა გამოიყენოთ ის.

ჩერნობილის გმირებს ერთი მონუმენტი უდგათ. ეს ის სარკოფაგია, რომელშიც მათ ბირთვული ცეცხლი მოათავსეს. მეოცე საუკუნის პირამიდა.

— ადამიანი ჩერნობილის მიწაზე ცოდოა, მაგრამ მხეცი კიდევ უფრო საცოდავია. არა, არ შემშლია. ახლავე ავხსნი. რა რჩება მკვდარ ზონაში მას შემდეგ, რაც მას ადამიანი ტოვებს? ძველი სასაფლაოები და ბიოსაფლაოები, ასე ეძახიან ცხოველთა სამარხებს. ადამიანმა თავს უშველა და დანარჩენებს უღალატა, მისი წასვლის შემდეგ სოფლებში ჯარისკაცების რაზმები შედიოდნენ და ცხოველებს ხვრეტდნენ. ადამიანის ხმის გაგონებაზე ძაღლები ეგრევე გამორბოდნენ, კატებიც. ვერაფერს იგებდნენ ცხენებიც... ისინი ხომ უდანაშაულოები იყვნენ — ცხოველებიც, ფრინველებიც. ხმისამოუღებლად იხოცებოდნენ, რაც კიდევ უფრო შემზარავია. ოდესღაც მექსიკელი ინდიელები და ქრისტიანობამდელი სლავები პატიებას სთხოვდნენ ცხოველებსა და ფრინ-

ველებს, რომელთაც თავის გამოსაკვებად კლავდნენ. ძველ ეგვიპტეში კი ცხოველს ჰქონდა ადამიანის წინააღმდეგ ჩივილის უფლება. ერთ-ერთ პაპირუსზე, რომელიც პირამიდაში აღმოაჩინეს, წერია: „ვერ მოიძებნა ხარის ვერც ერთი საჩივარი ნ-ს წინააღმდეგ“. მიცვალებულთ სამეფოში წასვლამდე ეგვიპტელი კითხულობდა ლოცვას, სადაც იყო ასეთი სიტყვები: „მე არ დამიჩაგრავს არც ერთი სულიერი. ცხოველისთვის არ წამირთმევია არც მარცვალი, არც ბალახი“.

რა მოგვცა ჩერნობილის გამოცდილებამ? მოგვაბრუნა თუ არა ამ მღუმარე და საიდუმლო „სხვების“ სამყაროსკენ?

— ერთხელ ვნახე, როგორ შევიდნენ ჯარისკაცები სოფელში, საიდანაც ადამიანები წავიდნენ, და სროლა დაიწყეს...

ცხოველთა უსასლო ხმები... ისინი თავიანთ ენებზე ყვიროდნენ. ამაზე ერთხელ უკვე დაიწერა ახალ აღთქმაში. იესო იერუსალიმის ტაძარში შედის და იქ სარიტუალო მსხვერპლშეწირვისთვის გამზადებულ ცხოველებს ხედავს — ყელგადაჭრილებს და სისხლისგან დაცლილებს — და ამბობს: „გაიყვანეთ ესენი აქედან და ნუ აქცევთ მამაჩემის სახლს სავაჭრო სახლად“, შეეძლო დაემატებინა, — სასაკულაოდ. ჩემთვის ზონაში დატოვებული ათასობით ბიოსამარხი სამსხვერპლოა. ოღონდ, რომელი ღმერთის? მეცნიერებისა და ცოდნის ღმერთის თუ ცეცხლის ღმერთის? ასე თუ შევხედავთ, ჩერნობილი ოსვენციმსა და კოლიმაზე უარესია, ჰოლოკოსტზე უარესია. ის დასასრულს გვთავაზობს. უსასრულობაში იკარგება.

ახლა უკვე სხვა თვალთ ვუყურებ სამყაროს. მიწაზე პატარა ჭიანჭველა მიცოცავს და ის უკვე გაცილებით ახლოსაა ჩემთან, ვიდრე ადრე. ცაში რომ ჩიტი ფრენს, ისიც ახლოსაა. ჩემსა და მათ შორის მანძილი შემცირდა. აღარაა უფსკრული. ეს ყველაფერი — სიცოცხლეა.

ასეთი ამბავიც მახსოვს, მოხუცმა მეფუტკრემ მიაშობ (მერე სხვებმაც მითხრეს იგივე): „დილას გამოვედი ბაღში და რაღაც მაკლია, არც ერთი ნაცნობი ხმა არ მესმის. არც ერთი ფუტკარი არ

ჩანს... არც ერთის ხმა არ ისმის. რა ხდება? არც მეორე დღეს გამოფრენილან, არც — მესამეს. მერე გვაუწყეს, ატომურ სადგურზე ავარიას. ფუტკრებმა უკვე იცოდნენ, ჩვენ — არა. ახლა სულ მათ ვუყურებ. იმათ იციან ცხოვრება, ჩვენ — არა“. კიდევ ერთი მაგალითი — მდინარესთან მეთევზეებს ველაპარაკე და გაიხსენეს: „ველოდით, როდის აგვისნიდნენ ტელევიზორიდან, მოგვიყვებოდნენ, როგორ უნდა გადავრჩეთ... ჭიები კი, ჭიები ღრმად ჩავიდნენ მიწაში, ნახევარ მეტრზე, ან მეტრზე უფრო ღრმად. ჩვენ კი ვერ ვხვდებოდით, რატომ ვერ ვიპოვეთ ვერც ერთი ჭიაყელა სათევზაოდ“.

რომელია ჩვენში პირველი, გამძლე და მარადიული დედამიწაზე — ჩვენ თუ ისინი? მათგან უნდა ვისწავლოთ, როგორ გადავრჩეთ, როგორ ვიცხოვროთ...

— ორი კატასტროფა დაემთხვა ერთმანეთს: სოციალური — ჩვენ თვალწინ დაინგრა საბჭოთა კავშირი, ჩაიძირა გიგანტური სოციალისტური მატერიკი და კოსმიური — ჩერნობილი. ორი გლობალური აფეთქება. პირველი — უფრო გასაგები და ახლოა. ადამიანები ყოველდღიურობით არიან დაკავებულნი: რითი ვიყიდო, სად წავიდე? რისი მწამდეს? ახლა რომელი დროშის ქვეშ დავდგე, თუ უნდა ვისწავლო მხოლოდ ჩემი ცხოვრებით ცხოვრება? უკანასკნელი კი ჩვენთვის უცნობია, არ ვიცით, აქამდე ასე არასდროს გვიცხოვრია. ამას განიცდის ყველა და თითოეული. ჩერნობილის დავიწყება ყველას უნდოდა, რადგან ცნობიერება მის წინაშე დამარცხდა. ეს ცნობიერების კატასტროფაც იყო. ჩვენი წარმოდგენებისა და ღირებულებების სამყარო აფეთქდა. ჩვენ რომ დაგვემარცხებინა ჩერნობილი, ან ბოლომდე მიმხვდარიყავით, რა მოხდა, მასზე უფრო მეტს ვიფიქრებდით და დავწერდით. ასე კი ვცხოვრობთ ერთ სამყაროში, ცნობიერება კი სადღაც სხვაგანაა. რეალობა გაგვირბის, ვერ თავსდება ადამიანში.

— ჰო... რეალობას ვეღარ ვეწევი...

— ერთი ძველი მაგალითი — აქამდე ვიყენებთ სიტყვებს: „შორს-ახლოს“, „ჩვენები — სხვები“. მაგრამ რას ნიშნავს შორს ან ახლოს, როცა მეოთხე დღეს ჩერნობილის ღრუბელი აფრიკისა და ჩინეთის თავზე დაფინავდა? უცებ დედამიწა ძალიან დაპატარავდა, აღარ იყო იმხელა და უსასრულო, როგორც კოლუმბის დროს. სივრცეს ახლა უკვე სულ სხვანაირად აღვიქვამთ — გაბანკროტებულ სივრცეში ვცხოვრობთ. კიდევ ერთი — უკანასკნელი ასი წელია ადამიანი უფრო დიდხანს ცოცხლობს, მაგრამ მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა არარააობა და პატარა ნაგლეჯია იმ რადიონუკლიდების გვერდით, რომლებიც პლანეტაზე დასახლდნენ. მათი დიდი ნაწილი ათასწლეულებს გაუძლებს. ჩვენ ამ სიშორეზე ვერ გავიხედავთ! მათ გვერდით უკვე სხვანაირად აღიქვამ დროს. და ეს ყველაფერი — ჩერნობილია. მისი ნაკვალევი. იგივე დაემართა ჩვენს წარმოდგენებს წარსულთან, ფანტასტიკასთან, ცოდნასთან მიმართებაში. წარსული სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდა, ცოდნიდან გადარჩა მხოლოდ ჩვენი ცოდნა არცოდნის შესახებ. გრძობებიც შეიცვალა. ახლა, ხშირად ექიმი ჩვეულებრივი თანაგრძნობის სიტყვების ნაცვლად მომაკვდავი მამაკაცის ცოლს ეუბნება: „ახლოს მისვლა არ შეიძლება, კოცნა არ შეიძლება, მოფერება არ შეიძლება! ეს აღარაა საყვარელი ადამიანი, ობიექტია, რომელიც ასხივებს“. აქ დუმს შექსპირიც და დიდი დანტეც. ჩნდება კითხვა: „მივიდე-არ მივიდე?“ „ვაკოცო — არ ვაკოცო?“ ჩემი ერთი გმირი (რომელიც ფეხმძიმედ იყო იმ დროს), მიდიოდა, კოცნიდა და ქმარი სიკვდილამდემარ დაუტოვებია. საფასურად კი საკუთარი ჯანმრთელობა და შვილის სოცოცხლე გადაიხადა. აბა, როგორ გაეკეთებინა არჩევანი სიყვარულსა და სიკვდილს შორის? წარსულსა და გაურკვეველ აწმყოს შორის? და ვინ გაბედავს განიკითხოს ის ცოლები და დედები, რომლებიც ვერ ისხდნენ მომაკვდავი ქმრებისა და შვილების გვერდით? რადიოაქტიური ობიექტების გვერდით? მათ სამყაროში სიყვარულიც შეიცვალა და სიკვდილიც.

ყველაფერი შეიცვალა, ჩვენ გარდა.

— მოვლენა რომ ისტორიად იქცეს, სულ ცოტა 50 წელიწადია საჭირო. აქ კი ცხელ კვალზე გვიწევს სიარული...

— ზონა ცალკე სამყაროა... დანარჩენ დედამიწას არაფრით ჰგავს... თავიდან ის ფანტასტმა მწერლებმა მოიფიქრეს, მაგრამ ლიტერატურამ რეალობის წინაშე უკან დაიხია. ჩვენ დღეს აღარ შეგვიძლია გვჯეროდეს ისე, როგორც ჩეხოვის პერსონაჟს: „ასი წლის შემდეგ ადამიანი მშვენიერი იქნება! ცხოვრება მშვენიერი იქნება!“ ეს მომავალი უკვე დავკარგეთ. ასი წლის შემდეგ იყო სტალინის გულაგი, ოსვენციმი, ჩერნობილი... და სექტემბერი ნიუ-იორკში. სრულიად გაუგებარია როგორ მოთავსდა ეს ყველაფერი ერთი თაობის ცხოვრებაში, ამ ზომებში. მაგალითად, მამაჩემის ცხოვრებაში, რომელიც ახლა ოთხმოცდასამი წლისაა. გადარჩა ადამიანი?!

ბედი — ერთი ადამიანის ცხოვრებაა. ისტორია — ჩვენი, ყველასი. მინდა ისე მოვყვე ისტორია, რომ არ დავკარგო ერთი ადამიანის ბედი...

— ყველაზე მეტად ჩერნობილში გამახსოვრდება ცხოვრება „ყველაფრის შემდეგ“: ნივთები ადამიანის შემდეგ, პეიზაჟი ადამიანის შემდეგ. გზა არსაით... ელექტროხაზები არსაით... შეხედავ და გაიფიქრებ, — წარსულია თუ მომავალი?

— ხანდახან მეჩვენება, რომ მომავალს ვიწერ...

თავი პირველი - მკვდართა მიწა

მონოლოგი იმაზე, რატომ იხსენებენ ადამიანები
„მეც მაქვს შეკითხვა, რომელმაც პასუხს ვერ ვპოულობ...“

გადაწყვეტით, ამის შესახებ წეროთ? ამაზე წეროთ? მაგრამ არ მინდა, ეს იცოდნენ. იცოდნენ, რაც გადავიტანე... ერთი მხრივ, კარგია, თუ გავიხსენები და ამოვთქვამ, ხოლო მეორე მხრივ — ვგრძნობ, როგორ გავშიშვლდები და ეს არ მსურს...

გახსოვთ, ტოლსტოისთან? პიერ ბებუხოვი ისეა თავზარდაცემული ომისგან, რომ ეჩვენება, — თვითონაც შეიცვალა და სამყაროც. მაგრამ გადის რაღაც დრო და აღმოაჩენს, რომ ისევ ისე ეჩხუბება მეეტლეს, ისევ ისე ბურღლუნებს. მაშ, რატომ იხსენებენ ადამიანები? ჭეშმარიტება რომ დაადგინონ? თუ სამართლიანობა? თუ იმიტომ, რომ გათავისუფლდნენ და დაივიწყონ? ხვდებიან, რომ რაღაც გრანდიოზული მოვლენის მოწმეები გახდნენ? და თანაც — მოგონება მსხვრევადი რამაა, ეფემერული, ეს არაა ზუსტი ცოდნა, ესაა ადამიანის ვარაუდი საკუთარი თავის შესახებ. ეს არაა ცოდნა, ეს ჯერ კიდევ მხოლოდ განცდაა.

ჩემი განცდები... ვიტანჯე, ვიქექე მეხსიერებაში და გავიხსენე.

ყველაზე დიდი საშინელება ბავშვობაში გადავიტანე — ომი.

მახსოვს, რომ ჩვენ, ბიჭები ვთამაშობდით „დედ-მამობანას“: ვხდიდით ჩვილებს და ერთმანეთზე ვაწვენდით... ეს იყვნენ ომის შემდეგ დაბადებული პირველი ბავშვები. მთელმა სოფელმა იცოდა, რომელი სიტყვა როდის ისწავლეს, როდის გაიარეს, იმიტომ, რომ ომის დროს ბავშვებიც დაივიწყეს. ჩვენ ახალი სიცოცხლის დაბადებას ველოდებოდით, „დედ-მამობანა“ — ასე ერქვა ამ თამაშს. გვინდოდა, სიცოცხლის დაბადება გვენახა. არადა, მაშინ მხოლოდ შვიდი-რვა წლისანი ვიყავით...

მინახავს, როგორ იკლავდა ქალი თავს. ბუჩქებში, მდინარესთან. აგური ეჭირა და თავში ირტყამდა. ორსულად იყო პოლიციისგან, რომელიც მთელ სოფელს სძულდა. კიდევ, ბავშვობაში ვნახე, როგორ ჩნდებიან კნუტები. დედას ვეხმარებოდი, როცა ძროხა მშობიარობდა, ხბოს ვიჭერდი, წავასწარი ტახს და ჩვენს დედაღორს... მახსოვს, როგორ მოიტანეს მკვდარი მამაჩემი, როგორც ჩანს, ავ-

ტომატით ან ტყვიამფრქვევით დაცხრილულს, რაღაც ნაგლეჯები ცვიოდა სისხლიანი ჯემპრიდან. ჩვენს ერთადერთ საწოლზე დავაწვინეთ, მერე კი სახლის წინ დავმარხეთ, სხვაგან არ შეიძლებოდა. მსუბუქი მიწის კი არა, მძიმე თიხის ქვეშ, იქვე, ჭარხლის კვლებთან. ომი იყო, ქუჩებში დახოცილი ცხენები და ადამიანები ეყარნენ.

ეს ყველაფერი ისეთი ჩაკეტილი მქონდა აქამდე, ხმამაღლა მარტოსაც არ ამომითქვამს.

მაშინ სიკვდილსაც ისევე აღვიქვამდი, როგორც დაბადებას. დაახლოებით ერთნაირი გრძნობა მქონდა, როცა ძროხას ხბო უჩნდებოდა, ან კნუტები იბადებოდნენ. და როცა ქალი იკლავდა თავს ბუჩქებში. რატომღაც ეს ყველაფერი ერთი მეგონა, ერთნაირიც – დაბადება და სიკვდილი.

ბავშვობიდან მახსოვს, როგორი სუნი იდგა, როცა ღორს ვკლავდით. თქვენ შემეხეთ და უკვე იქ დავეცი, იმ კოშმარში, იმ საშინელებაში... მივფრინავ...

ასევე მახსოვს, რომ ჩვენ, პატარები ქალებს აბანოში დავყავდით. ყველა ქალს და დედაჩემსაც, საშვილოსნო უვარდებოდა (ამას უკვე ვხვდებოდით) და ჩრებით იხვევდნენ. მე ეს მინახავს. საშვილოსნოები მძიმე სამუშაოსგან ვარდებოდა. კაცები არ იყვნენ, ან ფრონტზე გაიწვიეს, ან პარტიზანობდნენ, არც ცხენები იყო, ქალები თავად მიათრევდნენ გუთანს. ხნავდნენ საკუთარ ბოსტნებსა და კოლმეურნეობის მინდვრებს. როცა გავიზარდე და პირველად ვიწექი ქალთან, სწორედ ეს გამახსენდა, ის, რაც აბანოში მინახავს...

მინდოდა, დამევიწყებინა. ყველაფერი დამევიწყებინა... ვივიწყებდი კიდევ... და ვფიქრობდი, რომ ყველაზე საშინელი – ომი, უკვე უკან დარჩა. რომ დაცული ვარ, რომ აი, ახლა უკვე ნამდვილად დაცული ვარ. ჩემი გამოცდილება მიცავს... მიცავს, ის, რაც მაშინ ვნახე... მაგრამ...

ჩავედი ჩერნობილის ზონაში... ბევრჯერ ვყოფილვარ უკვე იქ... და იქ მივხვდი, რომ ახლაც დაუცველი ვარ. აღარაფერი მესმის და საკუთარი უძლურება მანგრევს... ბოროტებამ სხვა სახე შეიმოსა. წარსული უკვე ვეღარ მიცავს, ვეღარც მამშვიდებს. იქ აღარაა პასუხები, არადა, ადრე ყოველთვის იყო, ახლა — აღარაა. მომავალი მანგრევს და არა — წარსული (ჩაფიქრდება).

რატომ იხსენებს ადამიანი? ესაა ჩემი ჩემი შეკითხვა. აი, გელაპარაკეთ, სიტყვებით ამოვთქვი და თითქოს, რაღაც გავიგე... ამის შემდეგ აღარ ვიქნები ასე მარტო. სხვებიც ასე არიან, ნეტავ?"

პეტერ ს.

ფსიქოლოგი

მონოლოგი იმაზე, რომ შეიძლება ელაპარაკო ცოცხლებსაც და მკვდრებსაც

„ღამით მგელი შემოვიდა ეზოში... ფანჯარაშიც შემოიხედა — დგას და აკვესებს თვალებს, მოელვარე თვალებს...

ყველაფერს მივეჩვიე. შვიდი წელია, მარტო ვცხოვრობ, შვიდი წელია, ადამიანები წავიდნენ. ხანდახან ღამდამობით ვზივარ, სანამ არ გათენდება, და ვფიქრობ, ვფიქრობ... წუხელაც ასე მოკუნტული ვიჯექი მთელი ღამე, მერე კი გავედი, რომ მენახა, როგორია მზე. რას გეტყვით? სამყაროში ყველაზე სამართლიანი სიკვდილია. მიწა ყველას მიგვიღებს: კეთილებს, ბოროტებს, ცოდვილებს. სხვა სამართალი არაა დედამიწაზე. მთელი ცხოვრება მძიმედ და პატიოსნად ვშუშაობდი. სინდისიერად ვცხოვრობდი. სამართლიანობამ კი გვერდზე ჩამიარა. სადღაც ღმერთმა გაანაწილა და სანამ რიგი ჩემამდე მოვიდა, აღარაფერი დარჩა, რომ მოეცა. ახალგაზრდა შეიძლება მოკვდეს, ხოლო მოხუცი — უნდა მოკვდეს. არავინაა უკვდავი

— არც მეფე, არც ვაჭარი... თავიდან ველოდი ადამიანებს, ვფიქრობდი, დაბრუნდებიან-მეთქი. აქამდე სამუდამოდ არავინ წასულა, დროებით მიდიოდნენ. ახლა სიკვდილს ველი... სიკვდილი არაა ძნელი, მაგრამ საშიშია. არც ეკლესიაა, არც მღვდელი მოდის. ვერავის მოვუყვები ჩემი ცოდვების შესახებ...

...თავიდან გვითხრეს, რომ ჩვენთან რადიაციაა. ვიფიქრეთ — ეს რაღაც ავადმყოფობაა, ვინც დაავადდება — ეგრევე მოკვდება. არაა, მერე გვითხრეს, ეს ისეთი რაღაცაა, რაც მიწაზე ძევს და მიწაში ძვრება, მაგრამ უხილავია. ცხოველი შეიძლება გრძობდეს და ესმოდეს კიდევ, მაგრამ ადამიანი ვერ ხედავს. ეს ტყუილია! მე ვნახე... ეს ცემიუმი ჩემს ბოსტანში ეგდო, სანამ წვიმამ არ დაასველა. რაღაც მეღნისფერი ეგდო. ეგდო და ფერები ერთმანეთში გადადიოდა. კოლმეურნობის მინდვრიდან დავბრუნდი და ჩემს ბოსტანში შევედი... ვხედავ, რაღაც ლურჯი ნაჭერი აგდია... ორასი მეტრის იქით, კიდევ ერთი... ჩემი თავსაფრისხელა, აი, თავზე რომ მახვევია. დავუძახე მეზობელს, სხვა ქალებს და ყველაფერი შემოვირბინეთ. ყველა ბოსტანი, ირგვლივ მინდვრები... ალბათ, ორ ჰექტარამდე... ოთხი ნაჭერი ვიპოვეთ, ერთი წითელიც იყო. მეორე დღეს გაწვიმდა... დილიდან წვიმდა. სადილობისას კი არც ერთი აღარ იყო. მოვიდა მილიცია, მაგრამ აღარაფერი იყო და რა უნდა გვეჩვენებინა. მარტო მოვუყვევით. აი, ამხელა ნაჭრები იყო (ხელებს შლის). ჩემი თავსაფრისხელა. ლურჯი და წითელი.

ამ რადიაციისა ძალიანაც არ მეშინია. როცა ვერ ვხედავდით, არ ვიცოდით, შეიძლება, გვეშინოდა კიდევ, მაგრამ აი, ვნახეთ და უკვე აღარაა საშიში. მილიციონერებმა ჯარისკაცებთან ერთად ტრაფარეტები დადგეს. ვილაცასთან — სახლის წინ, ზოგან — ქუჩაში და წააწერეს: სამოცდაათი კიური, ოთხმოცი კიური... სულ ჩვენს კარტოფილზე და ფუნთუშაზე გვიცხოვრია და ახლა გვეუბნებიან — არ შეიძლებაო. არც ხახვი ჭამოთ, არც სტაფი-

ლოლ. ვილაცას ეშინია, ვილაცას — ეცინება. ბოსტანში დოლბანდის სახვევებითა და რეზინის ხელთათმანებით იმუშავეთო, ღუმელიდან რომ ნაცარს გამოყრით, დამარხეთო. ოჰ! კიდევ ერთი ჭკვიანი მეცნიერი ჩამოვიდა და კლუბში გვითხრა, შეშა უნდა გარეცხოთო! ეს რა გავიგონე! გვიბრძანეს, გარეცხეთ ლეიბისპირები, ზეწრები, ფარდებიო! ისინი ხომ ქოხშია! კარადებში და სკივრებში. რა უნდა ქოხში რადიაციას? შუშაში შემოაღწევს? კარებში შემოვა? ტყეებში და მინდვრებში ეძებთ... ჭები ბოქლომებით დაკეტეს, ცელოფანი შემოახვიეს. წყალი „ჭუჭყიანიაო!“ რანაირადაა ჭუჭყიანი, როცა ისეთი წმინდაა! სისულელეებს ლაპარაკობენ! ყველანი დაიხოცებით, უნდა წახვიდეთ, დატოვოთ აქაურობაო...

შეშინდა ხალხი. შიშმა აიტანა... ვილაცები ღამლამობით მარხავდნენ ქონებას. მეც კი ჩავალაგე ჩემი ტანსაცმელი. წითელი სიგელები პატიოსანი შრომისთვის და ის კაპიკები, შავი დღისთვის რომ მქონდა გადანახული. როგორი ნაღველი, როგორი ნაღველი მეწვა გულზე! მოვკვდე, თუ გატყუებდეთ! ამ დროს გავიგე, რომ ერთ სოფელში ჯარისკაცებმა ხალხი ევაკუაციაში წაიყვანეს, ერთი ბერიკაცი და დედაბერი კი დარჩნენ. იმ დროს, როცა ხალხს ავტობუსებში ყრიდნენ, იმათ მოკიდეს ძროხას ხელი და ტყეს შეაფარეს თავი. იქ დაიცადეს, როგორც ომის დროს... როცა სოფელი გადაწვეს... საიდან მოდის ეს უბედურება (ტირის)? საცოდავი ჩვენი ცხოვრება... არ მინდა ვიტყვო და ცრემლი თავისით მომდის...

ოჰ! შეხედეთ ფანჯარას: კაჭკაჭი მოფრინდა... არ ვაგდებ, მერე რა, რომ ხანდახან კაჭკაჭები კვერცხს მპარავენ ნალიიდან. მაინც არ ვყრი. ახლა ყველანი ერთ დღეში ვართ. არავის არ ვყრი! წუხელ კურდღელმა მოირბინა...

ნეტავ ყოველ დღე მოდიოდნენ ჩემს ქოხში ადამიანები. აქვე, ახლოს, სხვა სოფელში კიდევ ერთი დედაბერი ცხოვრობს, ვთხოვე, ჩემთან მოდი-მეთქი. ან მომეხმარება, ან — არა, მაგრამ დაველაპარაკები მაინც. დავუძახებ... ღამლამობით ყველაფერი მტკივა. ფხვებ-

ში მამტვრევს, მაჟრჟოლებს, ეს ნერვი დამიდის ტანში. რალაცას ვიჭერ ხელში, თავთავს ვსრეს და ნერვიც წყნარდება. რამდენი მიმუშავია ამქვეყნად, რამდენი უბედურება მინახავს. საკმარისია, მეტი აღარაფერი მინდა. ნეტავ მოვმკვდარიყავი, დავისვენებდი. სული გათავისუფლდებოდა და სხეული დამშვიდდებოდა. ქალიშვილებიც მყავს, ვაჟებიც. ყველანი — ქალაქში. მეძახიან, მაგრამ აქედან წასვლა არ მინდა. ღმერთმა წლები მომცა, ბედი კი — არა. ვიცი, მოსაწყენია მოხუცი, ბავშვები მოითმენენ, მოითმენენ და მერე აწყენინებენ. დიდი სიხარული არაა ბავშვებისგან. ჩვენი ქალები, ვინც ქალაქში წავიდნენ, ყველანი ტირიან. ხან რძალი აბრაზებთ, ხან — ქალიშვილი. დაბრუნება უნდათ. ჩემი ქმარი აქაა... სასაფლაოზე წევს... აქ რომ არ იწევს, სხვა ადგილას იცხოვრებდა და მეც მასთან ერთად ვიქნებოდი (უცებ გახალისდა). სად წავიდე? აქ კარგია! ყველაფერი იზრდება, ყვავილობს! ჩრჩილიც ცოცხლობს და ცხოველიც.

თქვენთვის ყველაფერს გავიხსენებ... დაფრინავენ და დაფრინავენ თვითმფრინავები, დაბლა-დაბლა, პირდაპირ ჩვენს თავზე. რეაქტორზე მიფრინავენ. სადგურზე. ერთმანეთს მიჰყვებიან. ჩვენთან კი — ვვაკუაციაა. გადასახლება. იერიში მიაქვთ ქოხებზე. ადამიანები შეიყუჟნენ, იმალებიან. საქონელი ყვირის, ბავშვები — ტირიან. ომი! მზე კი ანათებს... მე დავჯექი და ქოხიდან არ გამოვდივარ, კარი არ ჩამიკეტავს. დამიკაკუნეს ჯარისკაცებმა. „ჰა, რა ჰქენი, გაემზადე?“ ვეკითხები: „ხელ-ფეხს შემიკრავთ და ისე წამიყვანთ?“ გაჩუმდნენ, მიყურეს და გავიდნენ. სულ ახალგაზრდები იყვნენ. მოხუცი ქალები ქოხების წინ მუხლებზე დახობავდნენ, ლოცულობდნენ. ჯარისკაცები ჰკიდებდნენ ხელს და მანქანაში აგდებდნენ. მე კი დავემუქრე, ვინც ხელს მახლებთ, ჩემს ძალას გაჩვენებთ-მეთქი. ვილანძღებოდი! ძალიან ვილანძღებოდი! არ მიტირია, იმ დღეს ცრემლი არ გადმომვარდნია.

ქოხში ვიჯექი. ხან მესმოდა ყვირილი, ხან ისევ სიჩუმე იდგა... იმ დღეს... იმ პირველ დღეს ქოხიდან არ გამოვსულვარ...

ყვებოდნენ: მოდიოდა ადამიანების კოლონა. მოდიოდა საქონლის კოლონა. როგორც ომის დროს!

ჩემს ქმარს უყვარდა თქმა: ადამიანი ისვრის, ტყვია კი ღმერთს დააქვსო. ბედია! ახალგაზრდები, ვინც წავიდნენ, დაიხოცნენ. ახალ ადგილას. მე კი ჯოხით დავდივარ. მომწყინდება და, ვტირი. ცარიელია სოფელი... ყველანაირი ჩიტია... დაფრენენ... ხან ლოსი მოდის, ვითომც აქ არაფერიაო... (ტირის)

ყველაფერს გავიხსენებ... ადამიანები წავიდნენ, ძაღლები და კატები კი — დატოვეს. პირველ დღეებში დავდიოდი და ყველას ვუსხამდი რძეს, ყველა ძაღლს ვაძლევდი პურის ნაჭერს. ისინი საკუთარ ეზოებთან იდგნენ და პატრონებს ელოდნენ. დიდხანს ელოდნენ ადამიანებს. მშვიერი კატები კიტრს და პომიდორს ჭამდნენ. შემოდგომამდე მეზობლის ჭიშკართანაც ვთიბავდი ბალახს. ჩამოვარდა ღობე და ქვეშ მოიყოლა. ადამიანებს ელოდა. მეზობელს ძაღლი ჰყავდა, ჟუჩოკს ეძახდა. „ჟუჩოკ, — ვთხოვე, — თუ ჩემზე ადრე დაინახავ ადამიანებს, შემომძახე“.

ღამლამობით მესიზმრება, რომ ევაკუაციიაში მივყავარ... ოფიცერი მიყვირის: „დიასახლისო! ჩვენ ახლა მალე ყველაფერს დავეწვავთ და დავმარხავთ! გამოდი!“ და სადღაც, უცნობ ადგილას მივყავარ. გაუგებარ ადგილას. ეს არც ქალაქია და არც — სოფელი. არც მიწაა...

ასეთი ამბავიც მოხდა: კარგი ფისო მყავდა, ვასკას ვეძახდი. ზამთარში მშვიერი ვირთხები დამესხნენ თავს, ვიღუპებოდი. საბანში მიძვრებოდნენ. მარცვალი მეყარა კასრში, გახვრიტეს. ვასკამ გადამარჩინა. მის გარეშე დავიღუპებოდი. ერთად ვსადილობდით, ვლაპარაკობდით... მერე დაიკარგა ვასკა... იქნებ მშვიერი ძაღლები დაესხნენ თავს და შეჭამეს? ძაღლები სულ მშვივრები დაძრწოდნენ, სანამ არ დაიხოცნენ. კატები ისეთი მშვივრები იყვნენ, საკუთარ კნუ-

ტებს ჭამდნენ, ზამთარშიც, ზაფხულშიც. გვაპატიე, ღმერთო! ერთი დედაბერი მშიერმა ვირთხებმა შეჭამეს, წითურმა ვირთხებმა... არ ვიცი, სიმართლეა თუ არა, ყვებიან... პირველ წლებში ყველაფერი იყო: პერანგები, მაისურები, ქურქები. აიღე და წადი ძველმანების ბაზრობაზე... აი, დათვრებიან, მღერებენ. ერთი ველოსიპედიდან ჩამოვარდა და ქუჩაში დაეძინა. დილას ორი ძვალი და ველოსიპედი იპოვეს. სიმართლეა თუ ტყუილი? არ ვიცი, ყვებიან...

აქ ყველაფერი ცოცხალია! სულ, სულ ყველაფერი. ხვლიკი დადის, ბაყაყი ყიყინებს. ჭიაცელა დაცოცავს. თაგვებიც არიან! ყველაფერი! განსაკუთრებით კარგია გაზაფხულზე. მიყვარს, როცა იასამანი ყვავის, შორთხვის სუნი დგას. სანამ ფეხები მივარგოდა, მე თვითონ დავდიოდი პურზე, მხოლოდ ერთ მხარეს — 15 კილომეტრს. ახალგაზრდობაში კი არ დავდიოდი, დავფრინავდი. შეჩვეული ვიყავი. ომის შემდეგ, თესლებისთვის უკრაინაში დავდიოდით. ოცდაათ, ორმოცდაათ კილომეტრზე. სხვებს რომ ერთი ტომარა ეკიდათ, მე — სამი. ახლა კი ქოხშიც ვერ დავდივარ. დედაბერს ზაფხულში ღუმელზეც კი სცივაო. აქ მილიციონერები დადიან, სოფელს ამოწმებენ და ჩემთვის პური მოაქვთ. მაგრამ რა უნდა შეამოწმონ? მე და ჩემი კატა ვართ მარტონი. ეს სხვა კატაა. დავვისიგნალებენ მილიციონერები, მე და ფისოს გვიხარია, ვეგებებით. ფისოსთვის ძვლები მოაქვთ. მე კი მეკითხებიან: „ყაჩაღები რომ შემოგივარდნენ?“ „და რას გამომრჩებიან? რას წაიღებენ? სულს? მე ხომ მარტო სულილა შემრჩა“... კარგი ბიჭები არიან. იცინიან. რადიომიმღების ბატარეები მომიტანეს და ახლა რადიოს ვუსმენ ხოლმე. ლიუდმილა ბიკინას მოსმენა მიყვარდა, მაგრამ ახლა იშვიათადაა. ალბათ, ჩემსავით დაბერდა. ჩემი ქმარი ამბობდა... აი, ასე ამბობდა — „დასრულდა ბალი — ვიოლინოები — ყუთებში!“

მოგიყვებით, როგორ ვიპოვე კატა. დაიკარგა ჩემი ვასკა. ერთი დღე ველოდე, მეორეც... მთელი თვე ველოდე... სულ, სულ მართლ დავრჩი. ვერავის ველარ ველაპარაკებოდი. წავედი სოფელში, სხვის ბაღებში და ვიძახდი: „ვასკა, მურკა... ვასკა! მურკა!“ თავიდან ბევრნი დარბოლნენ, მერე სადღაც გაქრნენ. სიკვდილმა არ იცის, ყველა ერთნაირად მიჰყავს. მე კი დავდივარ... დავდივარ. ორი დღე ვიარე. მესამე დღეს — ვხედავ, მალაზიის წინ ზის. შევათვალე ერთ თმანეთი. იმასაც უხარია, მეც. „წამოდი, — ვეხვეწები, სახლში წამოდი!“ ზის. მიაუ... დავუწყე ხვეწნა: „რას იზამ მარტოკა? მგელი შეგჭამს, დაგგლეჯს. მე კვერცხი მაქვს, საღაც მაქვს, წამოდი“... აბა, როგორ ამეხსნა? კატას ადამიანის ენა არ ესმის, მაგრამ როგორ გამიგო მაშინ? წინ მე მივდივარ, ის უკან მომსდევს. მიაუ... „სალას ჩამოგიჭრი!“ მიაუ... „ერთად ვიცხოვრებთ!“ მიაუ... „ვასკას დაგარქმევ!“ მიაუ... აი, უკვე ორი ზამთარი გადავიტანეთ ერთად...

დამესიზმრება ღამით — ვიღაც მეძახის... მეზობლის ხმაა: „ზინა!“ მერე გაჩუმდება... მერე ისევ: „ზინა!“

მოვიწყენ და, — ვტირი...

საფლავებზე დავდივარ. დედაჩემიც იქ წევს. ჩემი გოგონაც. ომის დროს მომიკვდა ტიფით. როგორც კი დავმარხეთ, ღრუბლებიდან მზემ გამოსანათა. ანათა და ანათა. ჩემი ქმარიც იქაა, ფედია... ყველა საფლავთან ჩამოვჯდები ხოლმე. ჰაერს ვსუნთქავ. ლაპარაკი ცოცხალთანაც შეიძლება და მკვდართანაც. სულ ერთია ჩემთვის. ერთისაც მესმის და მეორესიც. როცა მარტო ხარ და როცა დარდი გაქვს... დიდი დარდი...

სასაფლაოს გვერდით მასწავლებელი ცხოვრობდა, ივან პროხორინი გავრილენკო, წავიდა შვილთან, ყირიმში. იმის შემდეგ — პიოტრ ივანოვიჩ მიუსკი — ტრაქტორისტი, სტახანოველი (სტახანოველი — სტახანოვეური მოძრაობა სსრ კავშირში, მოწინავე მუშების, კოლმეურნეების, ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალის მასობრივი მოძრაობა ახალი ტექნიკის ათვისების ბაზაზე შრომის ნაყოფიერების ასა-

მალეებლად; წარმოიშვა 1935 წელს. „სტახანოვური მოძრაობა“ ეწოდება მისი წამომწყების — „ცენტრალნაია — ირმინოს“ (დონბასი) შახტის მნგრეველისა. სტახანოვის პატივსაცემად, რომლის მიღწეულ რეკორდს მისმა მიმდევრებმა გადააჭარბეს 1936 წელს.), მაშინ ყველას სტახანოველობა უნდოდა. ოქროსხელება. ხისგან მაქმანებს ქსოვდა. სახლი ჰქონდა, მთელი სოფლის სიამაყე. ვაი, ისე შემებრადა, რომ ანგრევენ, სისხლი ამივარდა თავში. ოფიცერი იგინებოდა, მთვრალი იყო. მივედი და თურმე — ტირის. „დედი, გადი, გადი!“ — გამომავლო. შემდეგ მიშა მიხალიოვის მამული იყო, ფერმაში მუშაობდა. მიშა მალევე მოკვდა. წავიდა და ეგრევე. იმის შემდეგ ზოლოტეჟნიკოსის, სტეპან ბიხოვის სახლი იდგა. დაიწვა. ღამით დაწვეს ბოროტმა ადამიანებმა. არც სტეპანს უცხოვრია დიდხანს. მოგილევთან დამარხეს, სადაც მისი შვილები ცხოვრობენ. მეორე ომი! იმდენი ადამიანი დავკარგეთ. ვასილი მაკარიჩ კოვალიოვი, ანნა კოცურა, მაქსიმ ნიტიფორენკო... ოდესღაც მხიარულად ვცხოვრობდით. დღესასწაულებზე — ვმღეროდით, ვცეკვავდით, გარმონს ვუკრავდით. ახლა კი ისე ვარ, როგორც ციხეში. ხან დავხუჭავ თვალებს და თითქოს სოფელში დავდივარ. გეუბნებით, სადაური რადიაციაა აქ? პეპლები დაფრენენ, კრაზანები ბზუიან. ჩემი ვასკა კი თავგებს იჭერს (ტირის)...

შენ კი, საყვარელო, გაიგე რამე ჩემი დარდისა? წაუღებ ადამიანებს? მე, ალბათ, უკვე აღარც ვიქნები. მიწაში მიპოვნიან... ფესვებს ქვემოთ...”

ზინაიდა ევლოკიმოვნა კოვალენკო
თვითჩასახლებული

კარზე აღწერილი მთელი სიცოცხლის მონოლოგი

„მინდა, დავამოწმო...“

ეს იყო მაშინ, ათი წლის წინ და ახლა ყოველ დღე ხდება ჩემს თავს. ახლა... სულ ჩემთანაა.

ქალაქ პრიპიატში ვცხოვრობდით. თვით იმ ქალაქში, რომელსაც ახლა მთელი მსოფლიო იცნობს. მე არ ვარ მწერალი, მაგრამ მოწმე ვარ. აი, როგორ იყო... სულ თავიდან...

ცხოვრობ... ჩვეულებრივი ადამიანი ხარ. პატარა. ისეთი, როგორიცაა ირგვლივ ყველა — მიდიხარ სამსახურში და ბრუნდები სამსახურიდან. ჩვეულებრივ ხელფასს იღებ. წელიწადში ერთხელ შვებულებაში გადიხარ. გყავს ცოლი, შვილები. ნორმალური ადამიანი ხარ! მაგრამ უცაბედად, ერთ დღეში ჩერნობილის ადამიანად იქცევი. საოცრებად! რაღაც ისეთად, რაც ყველას აინტერესებს და არავინ იცის, რა არის. გინდა, რომ იყო ისე, როგორც ყველა დანარჩენი, მაგრამ ახლა უკვე შეუძლებელია. აღარ შეგიძლია დაუბრუნდე იმ წინა სამყაროს. სხვანაირი თვალთ გიყურებენ. შეკითხვებს გისვამენ: „საშინი იყო? როგორ იწვოდა სადგური? რა ნახე? და საერთოდ, შეიძლება გყავდეს შვილი? ცოლმა არ მიგატოვა?“ პირველ ხანებში მაინც, ჩვენ ყველანი იშვიათ ექსპონატებად ვიქცით. თვითონ სიტყვა „ჩერნობილელი“ აქამდე წააგავს რაღაც ხმოვან სიგნალს. ყველანი შენკენ ატრიალებენ თავს... იქიდან ხარ!

ეს პირველი დღეების განცდებია... ჩვენ ქალაქი კი არა, მთელი ცხოვრება დავკარგეთ.

სახლი მესამე დღეს დავტოვეთ... რეაქტორი იწვოდა, დამამახსოვრდა, როგორ თქვა რომელიღაც ნაცნობმა: „რეაქტორის სუნია“. შეუძლებელია ამ სუნის აღწერა. ამის შესახებ გაზეთებში ყველას წაუკითხავს. თითქოს ჩერნობილი საშინელებათა ფაბრიკად აქციეს, სინამდვილეში კი — მულტფილმად. მე მხოლოდ ჩემსას მოგიყვებით. ჩემს სიმართლეს...

ასე იყო... რადიოში გამოაცხადეს: არ შეიძლება კატის წაყვანა! გოგონა ამიტირდა და შიშისგან, რომ შეიძლებოდა საყვარელი ფი-

სო დაეკარგა, ენა დაება. ჩემოდანში ჩავსვით! მაგრამ არ უნდა კატას ჩემოდანში, მოძვრება. ყველანი დაგვკაწრა. ნივთების გამოტანა არ შეიძლება. ნივთები არ გამომაქვს, მაგრამ ერთი — აუცილებლად უნდა გამოვიტანო. მხოლოდ ერთი! ბინას კარი უნდა მოვხსნა და წავიღო, არ შემიძლია კარის დატოვება... შესასვლელს ფიცრებით ავჭედავ...

ჩვენი კარი... ჩვენი თილისმა! ოჯახური რელიკვია. ამ კარზე მამაჩემი იწვა. არ ვიცი, რომელი წეს-ჩვეულების თანახმად, ყველგან ასე არაა, მაგრამ ჩვენ, — მითხრა დედამ, — მიცვალებული საკუთარ კარზე უნდა დავაწვინოთ. იქ უნდა იწვეს, სანამ კუბოს არ მოიტანენ. მამას გვერდით ვეჯექი მთელი ღამე, ის ამ კარზე იწვა... სახლი ღია იყო... მთელი ღამე... კარზე ნიშნებია დატოვებული... მან იცის, როგორ ვიზრდებოდი. აღნიშნულია: პირველი კლასი, მეორე, მეშვიდე, ჯარში წასვლის წინ... იქვე — როგორ იზრდებოდა ჩემი ბიჭი... ჩემი გოგონა... ამ კარზე მთელი ჩვენი ცხოვრებაა აღწერილი, როგორც ძველ პაპირუსებზე. როგორ დამეტოვებინა?

მეზობელს ვთხოვე, მანქანა ჰყავდა: „მომეხმარე“. თავზე მიმანიშნა, ვაიმე, მეგობარო, გაგიჟებულხარო. მაგრამ მაინც გამოვიტანე... კარი... მოტოციკლით... ტყეზე ვიარე... ორი წლის შემდეგ გამოვიტანე, ჩვენი სახლი უკვე გაქურდული იყო. სულ გასუფთავებული. მილიცია გამომეკიდა: „გესვრით! „გესვრით!“ იფიქრეს, რომ მოროდლორი ვიყავი. ასე მოვიპარე საკუთარი სახლის კარი...

...ცოლი და გოგონა საავადმყოფოში გავუშვი. სხეულზე შავი ლაქები უჩნდებოდა. ხან ქრებოდა ეს ლაქები, ხან ისევ ჩნდებოდა, ხელისგულისოდენა... არაფერი სტკიოდათ... გამოიკვლიეს. ვიკითხე: „როგორია შედეგი?“ „თქვენ ვერ გეტყვით“. „აბა, ვის ეტყვით?“

მაშინ ყველა ლაპარაკობდა: მოვკვდებით, მოვკვდებით... ორი ათასი წლისთვის ბელარუსები გაქრებიან. გოგონა ექვსი წლისა ზუსტად ავარიის დღეს გახდა. ვაწვენდი დასაძინებლად და უცებ ყურში მიჩურჩულა: „მამა, არ მინდა მოვკვდე, ჯერ ძალიან პატარა ვარ“. მე კი მეგონა, რომ არაფერი ესმოდა. დაინახავდა თეთრხალათიან ძიძას საბავშვო ბაღში ან სასადილოში — მზარეულს და ეგრევე ისტერიკაში ვარდებოდა: „არ მინდა საავადმყოფოში! არ მინდა სიკვდილი!“ ვერ იტანდა თეთრ ფერს. ახალ სახლში თეთრი ფარდებიც კი გამოვცვალეთ.

წარმოიდგენთ შვიდ მელოტ გოგონას ერთად? პალატაში შვიდნი იწვნენ. არა, საკმარისია, დავამთავრე! როცა ვყვები, ისეთი განცდა მაქვს, გული მეუბნება, რომ რაღაცას ვაშავებ. როგორ უნდა აღვწერო ის, როგორც სხვა... მისი ტანჯვა... ცოლი დაბრუნდა საავადმყოფოდან და მითხრა: „ასეთ წამებას, ჯობია მოკვდეს, ან მე მოვკვდე, რომ აღარ ვუყურო“. არა, საკმარისია! ვამთავრებ! არა!

კარზე დავაწვინეთ... იმ კარზე, რომელზეც ოდესღაც მამაჩემი იწვა. სანამ არ მოიტანეს პატარა კუბო. ისეთი პატარა იყო, როგორც დიდი თოჯინის ყუთი. როგორც ყუთი...

უნდა დავამოწმო — ჩემი გოგონა ჩერნობილისგან მოკვდა. ჩვენგან კი მოითხოვენ, რომ დავდუმდე. მეცნიერებას ჯერ არ დაუმტკიცებიაო, მონაცემთა ბაზა არ გვაქვსო. ასობით წელი უნდა ველოდოთ. მაგრამ ჩემი, ადამიანის ცხოვრება... ხომ ხანმოკლეა... ვერ მოვესწრები. ჩაიწერეთ, თქვენ მაინც ჩაიწერეთ: გოგონას კატია, კატიუშენკა ერქვა. შვიდი წლისა მოკვდა“.

ნიკოლაი ფომიჩკალუგინი
მამა

ერთი სოფლის მონოლოგი იმაზე, თუ როგორ იძახებენ სულელებს ზეციდან, რომ მათთან ერთად იტირონ და ისადილონ სოფელი ბელი ბერეგი, ნაროვლიანსკის რაიონი, გომელის ოლქი.

ლაპარაკობენ: ანა პავლოვა არტიუშენკო, ევა ადამოვნა არტიუშენკო, ვასილი ნიკოლაევიჩ არტიუშენკო, სოფია ნიკოლაევნა მოროზი, ნადეჟდა ბორისოვნა ნიკოლაენკო, ალექსანდრ ფეოდოროვიჩ ნიკოლაენკო, მიხაილ მარტიმოვიჩ ლისი.

— სტუმრები გვყავს... კეთილი ხალხი... არ გელოდით, არც არანაირი ნიშანი ყოფილა. ხანდახან ხელისგული მომექავება, რაღაცას მივხვდები. დღეს კი არ მიმკითხავია. წუხელ ერთი ბულბული გალობდა მთელი ღამე — მზიანი დღე გათენდა. ჩვენი ქალები ახლავე მოირბენენ. აი, ნადია უკვე მოფრინავს...

— ყველაფერი გადავიტანეთ, მოვითმინეთ...

— ვაი, არც კი მინდა, გავიხსენო. მეშინია. გვერიდნენ, ჯარისკაცები გვერიდნენ! სამხედრო ტექნიკამ გადაგვიარა. თვითმაგლებმა. ერთი მოხუცი ბაბუა... იწვა და კვდებოდა. სად წავიდოდა? „აი, ავდგები, — ტიროდა, — და პირდაპირ სასაფლაოზე წავალ, ჩემი ფეხით!“ რა გადაგვიხადეს ჩვენს ქოხებში? რა? შეხედეთ, აქ რა სილამაზეა! ვინ გადაგვიხდის ამ სილამაზის ფასს? საკურორტო ზონაა!

— თვითმფრინავები, შვეულმფრენები — გუგუნებდა აქაურობა. მისაბმელიანი კამაზები... ჯარისკაცები. ვიფიქრე, ომი დაიწყო-მეთქი. ჩინელებთან ან ამერიკელებთან.

— ქმარი კოლმეურნეობის კრებიდან დაბრუნდა და მეუბნება: „ხვალ ევაკუაციაში მივყავართ“. მე კიდევ: „და კარტოფილი რომ არ ამოგვითხრია!“ მეზობელმა დააკაკუნა, დასალევად დასხდნენ. დალიეს და თავმჯდომარის ლანძღვა დაიწყეს. „არსადაც არ წავალთ. ომი გადავიტანეთ და ახლა — რადიაციაო. თუ გინდა, მიწაში ჩაძვერი. არ წავალთ!“

— თავიდან გვეგონა, ორ-სამ თვეში ყველანი დავიხოცებოდით. ასე გვაშინებდნენ. აგიტაცია მიდიოდა, რომ წავსულიყავით. მადლობა ღმერთს — ცოცხლები ვართ!

— მადლობა ღმერთს!

— არავინ იცის, რა არის იქ, მკვდრების სამყაროში. აქ ჯობია... აქ ყველაფერი ნაცნობია. როგორც დედაჩემი ამბობდა: იპრანჭები, ხარობ და შენს ჭკუაზე დადიხარ.

— წავიდეთ, დავდგეთ ეკლესიაში, ვილოცოთ...

— მივდიოდით.... დედაჩემის საფლავიდან მიწა ავიღე და ტომსიკაში ჩავყარე. მუხლებზე დავდექი: „გვაპატიე, რომ გტოვებთ“. დამით მივაკითხე, არ შემშინებია. ადამიანები საკუთარ გვარებს წერდნენ ქოხებზე, ხეებზე, ღობეებზე, ასფალტზე.

— ძაღლები ჯარისკაცებმა დახოცეს. ესროდნენ. ბახ-ბახ! იმის შემდეგ ვერ ვუსმენ, ცოცხალი არსება რომ ყვირის.

— ვბრიგადირობდი აქ. ორმოცდახუთი წელი. მეცოდებოდა ხალხი... მოსკოვში, გამოფენაზე სელი მიგვქონდა, კოლმეურნეობა გვიშვებდა. სამკერდე ნიშანი და წითელი სიგელი ჩამოვიტანე იქიდან. აქ ყველა მაფასებდა: „ვასილი ნიკოლაევიჩ... ჩვენი ნიკოლაევიჩი...“ იქ კი ვინ ვარ, ახალ ადგილას? ერთი მოხუცი ბაბუა. აქ თუ მოვკვდები, ქალები წყალს მომაწვდიან, ქოხს დამითბობენ. მეცოდებოდა ხალხი... საღამოს მოდიოდნენ ქალები მინდვრიდან და მღეროდნენ, მე კი ვიცოდი, რომ ვერაფერსაც ვერ მიიღებდნენ. მხოლოდ შრომადღეებს აღნიშნავდნენ ბარათში. ისინი კი მღეროდნენ.

— ჩვენთან, სოფელში ადამიანები ერთად ცხოვრობენ. ერთი სამყარო აქვთ.

— ქალაქში რომ ვცხოვრობდი, შვილთან, მაშინ ვნახე ეს სიზმარი — ვითომ სიკვდილს ველი, უნდა მოვკვდე. ბიჭებს ვეუბნები: „ჩვენს სასაფლაოზე წამიღეთ, ხუთი წუთით მაინც დადექით ჩემს კუბოსთან ჩვენი ქოხის წინ“. ზემოდან დავყურებ, როგორ მივყავარ ბიჭებს იქ...

— მერე რა, რომ რადიაციითაა მოწამლული, მაინც სამშობლოა. სხვაგან არსად ვართ საჭირო. ჩიტსაც კი თავისი ბუდე უყვარს.

— ბოლომდე მოვყვები... შვილთან მეშვიდე სართულზე ვცხოვრობდი. მივალ ფანჯარასთან, გავიხედები და პირჯვარს ვიწერ. მეჩვენება, რომ ცხენის ხმა მესმის. მამლის ყვილი. ისე მწყდება გული! ხან ჩემი ეზო მესიზმრება. მივაბამ ძროხას და ვწველი, ვწველი... ვიღვიძებ და ადგომა არ მინდა. ისევ იქ ვარ. ხან იქ ვარ, ხან — აქ.

— დღისით ახალ ადგილას ვცხოვრობდით. ღამით — სამშობლოში. სიზმარში.

— ზამთარში გრძელი ღამეებია, ხან ვზივართ და ვითვლით: კიდევ ვინ მოკვდა? ქალაქში ნერვიულობისგან და დარღვევებისგან ბევრი დაიხოცა, ორმოცი, ორმოცდაათი წლისები — განა ეს სიკვდილის დროა? ჩვენ კი ცოცხლები ვართ. ყოველ დღე ვლოცულობთ. ღმერთს მარტო ერთს ვეხვეწებით — ჯანმრთელობას.

— ნათქვამია, ვინც სად დაიბადება, იქვე ივარგებსო.

— ჩემი ქმარი ორი თვე იწვა... ჩუმად იყო, პასუხს არ მცემდა. თითქოს ნაწყენიაო. გავალ ეზოში, შემოვალ: „როგორ ხარ?“ ხმაზე მხოლოდ თვალებს ახელს და უკვე გულზე მეშვება. წოლილიყო, ხმა არ ამოეღო, ოღონდ ქოხში ყოფილიყო. როცა ადამიანი კვდება, ტირილი არ შეიძლება. სიკვდილის გზას აურევ და დიდხანს იწვალებს. კარადაში სანთელი მოვძებნე და ხელში ჩავუდგი. დაიჭირა და სუნთქავს. ვხედავ, თვალები დაბინდული აქვს. არ მიტირია. მხოლოდ ერთს ვთხოვდი: „მოკითხვა გადაეცი იქ ჩვენს გოგონას და ჩემს საყვარელ დედიკოს“. ვლოცულობდი, ერთად წავეყვანეთ... ვიღაცები ღმერთს არც ეხვეწებიან, მან კი მე სიკვდილი არ მალირსა. ვცოცხლობ.

— მე კი სიკვდილისა არ მეშინია. ორჯერ არავინ ცხოვრობს. ფოთოლიც ცვივა, ხეც წაიქცევა.

— ქალებო, ნუ ტირით! სულ მოწინავეები იყავით, სტახანოველები. სტალინის დრო გადაიტანეთ, ომი გადაიტანეთ! რომ არ გვეცინა და გვემხიარულა, აქამდე თავს ჩამოვიხრჩობდით. მოკლედ, ორი ჩერნობილელი ქალი ლაპარაკობს. ერთი: „გაიგე, ახლა ჩვენ ყველას სისხლის გათეთრება გვაქვს?“ მეორე: „რა სისულელეა, გუშინ თითი გავიჭერი და სულ წითელი სისხლი წამომივიდა!“

— მშობელ მხარეში ისე ხარ, როგორც სამოთხეში. უცხოობაში კი მზეც არ ანათებს.

— დედაჩემმა მასწავლა. აიღე ხატი და გადააბრუნე, უკანა მხრიდან ეკიდოს საში დღე. სადაც არ უნდა იყო, აუცილებლად დაბრუნდები შინო. ორი ძროხა, ორი ხბო, ხუთი ღორი, ბატები, ქათმები მყავდა. ძაღლიც. თავზე ხელებს შემოვიწყობ და ასე დავდივარ ბაღში. ვაშლი, რამდენი ვაშლია! ტფუ, ყველაფერი გაწყალდა, დაიკარგა!

— გავრეცხე ქოხი, შვეათეთრე ღუმელი. პური და მარილი უნდა დატოვო მაგიდაზე, ჯამი და საში კოვზი. კოვზი იმდენი, რამდენი სულიც ცხოვრობს ქოხში. ყველანი რომ დაბრუნდნენ...

— ქათმებს რადიაციისგან წითელი ბიბილოები გაუშავდათ. ყველიც ვერ ამოგვეყავდა. მთელი თვე ხაჭოსა და ყველის გარეშე ვიცხოვრეთ. რძე არ იჭრებოდა, ფხვნილად იქცეოდა, თეთრ ფხვნილად. რადიაცია...

— ეს რადიაცია ჩემთანაც იყო, ბოსტანში. მთელი ბოსტანი გადათეთრდა, თითქოს რაღაც მოუფანტავთო. რაღაც ნაწილაკები ეყარა. ვიფიქრე, ქარმა ხომ არ მოიტანა ტყიდან-მეთქი...

— არ გვინდოდა წასვლა. ოჰ, როგორ არ გვინდოდა! მთვრალი კაცები ბორბლებქვეშ ვარდებოდნენ. უფროსობა დადიოდა ქოხებში და თითოეულს არწმუნებდა. თან გვაფრთხილებდნენ: „არაფერი არ წამოიღოთ!“

— საქონელი სამი დღის მწყურვალი, მშიერი. განწირული! გაზეთის კორესპონდენტი ჩამოვიდა: „როგორი განწყობა გაქვთ? როგორაა საქმე?“ — მთვრალმა მწველავმა ქალებმა კინალამ მოკლეს.

— ჩემს ქოხთან თავმჯდომარე და ჯარისკაცები არიან შეკრებილები. მაშინებენ: „გამოდი, თორემ გადაგწვავთ! აბა, მომაწოდეთ ბენზინის ბიდონი!“ ხან ბალიშს ვეცი, ხან — საბანს...

— აბა, მეცნიერულად ამიხსენით, როგორ მოქმედებს ეს რადიაცია? სიმართლე გვითხარით, მაინც მალე დავიხოცებით.

— როგორ გგონიათ, მინსკში არ არის, რახან უხილავია?

— შვილიშვილმა ლეკვი ჩამოიყვანა. რადი დავარქვით, მაინც რადიაციაში ვცხოვრობთ. სადაა ახლა ჩემი რადი? სულ ფეხებში მებლანდება. მეშინია, სოფელში არ გაიქცეს, მგლები შეჭამენ. სულ მარტო დავრჩები.

— ომის დროს მთელი ღამე აკაკუნებდნენ — იარაღს აკეთებდნენ. ჩვენ კი ტყეებში მიწას ვთხრიდით. გვბომბავდნენ და გვბომბავდნენ. ყველაფერი გადაწვეს, — ქოხებიც, ბოსტანიც, ალუბლებიც.

ოღონდაც ომი ნუ იქნება! ისე მეშინია ომის!

— სომხურ რადიოს ეკითხებიან: „შეიძლება ჩერნობილის ვაშლის ჭამა?“ პასუხი: „შეიძლება, ოღონდ ვაშლის ნარჩენები მიწაში ღრმად უნდა ჩამარხოთ“. მეორე შეკითხვა: „რამდენია შვიდს მივუმატოთ შვიდი?“ პასუხი: „მაგას ნებისმიერი ჩერნობილელი იანგარიშებს საკუთარ თითებზე“. ხა-ხა-ხა!

— ახალი სახლი მოგვცეს. ქვისა. შვიდი წლის მანძილზე ერთი ლურსმანიც არ ჩავვიჭედებია — უცხო მხარე, ყველაფერი უცხო. ჩემი ქმარი ტიროდა და ტიროდა. მთელი კვირა კოლმეურნეობაში მუშაობდა ტრაქტორზე, კვირა დღეს ელოდა. კვირაობით კი იწვა კედელთან და ტიროდა.

– ამის შემდეგ ველარ მოგვატყუებენ, ჩვენი ადგილიდან არსად არ ავიყრებით. არც მაღაზიაა, არც – საავადმყოფო, არც – შუქი. ნავთის ლამფასთან და კვართან ვსხედვართ. და კარგად ვართ! შინ ვართ!

– ქალაქში ჩემი რძალი ჩვრით დამყვებოდა და ყველაფერს წმენდა – კარის სახელურს, სკამს... არადა, ყველაფერი ჩემი ფულითაა ნაყიდი, მთელი ავეჯი და მანქანა „ჟიგული“. ფული აღარ მაქვს და დედაც აღარაა საჭირო.

– ფული შვილებმა წაიღეს. რაც დაგვრჩა, ინფლაციამ შეჭამა, ისიც, რაც მოგვცეს ჩვენს მეურნეობაში, ქოხებში, ვაშლის ხეებში...

– მაინც მხიარულად ვართ. სომხურ რადიოს ეკითხებიან: „რა არის რადიოძიძა?“ – „ესაა ბებია ჩერნობილიდან!“ ხა-ხა-ხა!

– ორი კვირა ფეხით მოვდიოდი. ჩემი ძროხაც მომყავდა... ადამიანები არ მიშვებდნენ სახლებში. ტყეში ვათევდი ღამეს...

– ჩვენი ეშიანიათ. ამბობენ – დაბინძურებულები ხართო. რატომ დაგვსაჯა ღმერთმა? გაბრაზდა? ადამიანებივით არ ვცხოვრობთ, ღმერთის კანონებს არ ვიცავთ, ერთმანეთს ვჭამთ. აი, ამის გამო.

– ზაფხულში შვილიშვილები იყვნენ... პირველ წლებში არ მოდიოდნენ, იმათაც ეშინოდათ... ახლა ჩამოდიან, პროდუქტიც მიაქვთ, ყველაფერი მიაქვთ, რასაც ჩავულაგებ. მკითხეს: „ბებია, წაგიკითხავს წიგნი რობინზონზე?“ თურმე მარტო ცხოვრობდა, ჩვენსავით. ადამიანებისგან შორს. მე აქ ნახევარი ტომარა ასანთი წამოვიღე. ცული და ბარი... ახლა სალა, კვერცხი, რძე – ყველაფერი მაქვს. ერთი ეგაა, შექარს ვერ დათესავ. მიწა იმდენია, რამდენსაც ინატრებ. არც ხელისუფლება არ არის. აქ ადამიანს არავინ უშლის ხელს. არაა უფროსობა... თავისუფლები ვართ.

– კატებიც დაბრუნდნენ და ძაღლებიც. ერთად დავბრუნდით. ჯარისკაცები არ გვიშვებდნენ. სპეცრაზმელები. ჰოდა, ჩვენც ტყეებზე ვიარეთ, პარტიზანების გზებზე...

— სახელმწიფოსგან არაფერი გვინდა. ყველაფერს ჩვენ თვითონ ვაწარმოებთ. ოღონდ ხელი არ გვახლოთ! არც მაღაზია გვინდა, არც ავტობუსი. პურზე და მარილზე ოც კილომეტრში მივიღვართ ფეხით. თავად გავიტანთ თავს.

— ბანაკივით დავბრუნდით. სამი ოჯახი... აქ ყველაფერი განადგურებული დაგვხვდა: ღუმელი გაუტეხავთ, კარ-ფანჯრები მოუხსნიათ. იატაკი აუყრიათ. ნათურები, გამომრთველები, შესაერთებლები — ყველაფერი მოუხსნიათ. არაფერი დაგვხვდა მთელი. აი, ამ ხელებით აღვადგინე ყველაფერი, ამ ხელებით! აბა როგორ?!

— ველური ბატები ყვირიან — დადგა გაზაფხული. თესვის დროა. ჩვენ კი ცარიელ ქოხებში ვსხედვართ. მხოლოდ სახურავებია მთელი.

— მილიციონერები ყვიროდნენ. მოდიოდნენ მანქანებით — ტყეში გავრბოდით. ერთხელ პროკურორიც დაგვესხა თავს, გვემუქრებოდა, დაგიჭერთო. ვუთხარი: „დაე, მომისაჯონ ერთი წელი, გამოვალ და ისევ აქ დავბრუნდები!“ იმათი საქმე ყვირილია, ჩვენი — ჩუმად მოსმენა. ორდენი მაქვს, როგორც მოწინავე კოლმეურნეს, ის კი მემუქრებოდა — მეათე მუხლით გაგასამართლებ, დამნაშავე ხარო...

— ყოველ დღე მესიზმრებოდა ჩემი ქოხი. ვითომ ვბრუნდები: ხან ბოსტანს ვბარავ, ხან საწოლებს ვალაგებ. და ყოველთვის რაღაცა ვპოულობ: ხან ფეხსაცმელს, ხან — წიწილებს. კარგად, სასიხარულოდ ამიხდა. მართლაც, დავბრუნდი...

— ღამღამობით ღმერთს ვევედრებით, დღისით — მილიციონერებს. მკითხავთ: „რატომ ტირი?“ მე კი არ ვიცი... ბედნიერი ვარ, ჩემს ეზოში რომ ვცხოვრობ.

— ყველაფერი გადავიტანეთ, მოვითმინეთ...

— ახლა ანეკდოტს მოგიყვებით... მთავრობის დადგენილება ჩერნობილელების შეღავათების შესახებ. მათ, ვინც სადგური-

დან ოც კილომეტრში ცხოვრობს, გვარზე ემატაბათ „ფონ“. ვინც ათ კილომეტრშია, იმათ, „თქვენო ბრწყინვალეებავ“, ხოლო ვინც სადგურთან ახლოს იყვნენ და გადარჩნენ — „თქვენო უწმინდესობავ“. აი, ჩვენც ვცხოვრობთ, თქვენო ბრწყინვალეებავ! ხა-ხა...

— მივალწიე ექიმთან: „საყვარელო, ფეხები მტკივა, სახსრებში მტეხს“, „ბებია, ძროხა უნდა ჩააბაროთ, რძეა მოწამლული“. „ვაიმე, არა! — ვტირი, — ფეხები მტკივა, მუხლები მტკივა, მაგრამ ძროხას ვერ მოგცემთ. ჩემი მარჩენალია“.

— შვიდი შვილი მყავს. ყველანი ქალაქში ცხოვრობენ. მე კი აქ მარტო ვარ. მენატრებიან, ვზივარ და ფოტოებს ვუყურებ... ველაპარაკები. ყველაფერს მარტო ვაკეთებ, ყველაფერს... სახლიც მარტომ შევღებე, ექვსი ქილა საღებავი დასჭირდა. აი, ასე ვცხოვრობ. ოთხი ბიჭი და სამი გოგო გავზარდე. მარტომ. ქმარი ადრე მომიკვდა.

— მგელს კი ასე შევხვდი: ისიც დადგა და მეც. შევყურებთ ერთმანეთს თვალებში და უცებ, გვერდზე გაბრუნდა და გაიქცა. შიშისგან თმა ყალყზე დამიდგა.

— ნებისმიერ მხეცს ეშინია ადამიანისა. არ შეეხო და არ შეგეხება. ადრე ტყეში რომ მიდიოდი და რაღაც ხმები გესმოდა, ადამიანებისკენ მორბოდი. ახლა ადამიანი ადამიანს ემალება. ღმერთმა არ ქნას, ტყეში ადამიანს შეხვდე.

— რაც ბიბლიაში წერია, ყველაფერი ახდება. იქ ჩვენი კოლმეურნეობის შესახებაც წერია. გორბაჩოვზეც წერია... რომ იქნება დიდი ხელისუფალი შუბლზე ნიშნით და დიდი სახელმწიფო დაიშლება. შემდეგ კი ღვთის სამსჯავრო იქნება. ვინც ქალაქში ცხოვრობს, ყველანი დაიხოცებიან. მარტო სოფლებში გადარჩება თითო ადამიანი. ადამიანს გაახარებს ადამიანის ნაკვალევის დანახვა, ადამიანი კი არა, მისი ნაკვალევიც...

— ჩვენი შუქი — ლამთაა. ნავთის ლამთა. აჰ, ქალებმა უკვე გითხრეს, ჰო? ღორს რომ ვკლავთ, ან სარდაფში ჩაგვაქვს, ან ღრმად

ვმარხავთ მიწაში. მიწაში ხორცი სამი დღე ძლებს. შინნახადსაც ჩვენ თვითონ ვხდით. მურაბისგან.

— ორი ტომარა მარილი მაქვს მომარაგებული. არ დავიკარგებოთ სახელმწიფოს გარეშე. შეშა არის — ირგვლივ ტყეებია. ქობში თბილა. ლამფა ანთია. კარგია! თხა მყავს, ციკანი, სამი ღორი, თოთხმეტი ქათამი. მიწა — ულევია, ბალახიც — ულევი. თავისუფლებათ! კარგად ვართ! კოლმეურნეობა კი არ გვაქვს, კომუნაში ვცხოვრობთ. კომუნისტებში. ერთ ცხენსაც ვიყიდით. მეტი არაფერი გვინდა. მხოლოდ ერთი ცხენი!

— ჩვენ შინ კი არ დავბრუნდით, — ერთი კორესპონდენტი იყო აქ და ძალიან გაუკვირდა, არამედ — ასი წლით უკან. ნამგლით ვჭრით, ცელით ვთიბავთ. პირდაპირ ასფალტზე ვნაყავთ მარცვლეულს. ჩემი ქმარი კალათებს წნავს, მე კი ზამთარში ვქარგავ, ვართავ.

— ომში ჩვენი ოჯახიდან ჩვიდმეტი ადამიანი დაიღუპა. ჩემი ორი ძმაც მოკვდა... დედაჩემი ტიროდა და ტიროდა... ერთი ბებერი დადიოდა სოფლებში, მათხოვრობდა. „გლოვობ“ — უთხრა დედას, — „ნუ გლოვობ, ვინც სხვებისთვის გასწირა თავი, ის წმინდანი“. მეც ყველაფერს შევძლებ სამშობლოსთვის, მაგრამ არ შემიძლია, მოვკლა. მასწავლებელი ვარ... ვასწავლიდი — გიყვარდეთ ადამიანი. სიკეთე სულ იმარჯვებს. ბავშვები, პატარები ისეთი სუფთები არიან...

— ჩერნობილი... ომია ომთა შორის. ვერსად ვერ გადარჩება ადამიანი. ვერც მიწაზე, ვერც წყალში, ვერც ცაში.

— რადიო მაშინვე გამორთეს. ახალი ამბებისა არაფერი ვიცით, მაგრამ მშვიდად ვცხოვრობთ. ნერვებს არ ვიშლით. ჩამოდიან ადამიანები, გვიყვებიან: ყველგან ომია. თითქოს სოციალიზმი დამთავრებულა და ახლა კაპიტალიზმში ვცხოვრობთო. მეფე უნდა დაბრუნდესო. მართალია?

— ხან ტახი შემოგვივარდება ტყიდან ბოსტანში, ხანაც — ლოსი. ადამიანები კი არ მოდიან, მართო მილიციონერები...

— ჩემს ქოხშიც შემოდიო.

— ჩემთანაც. დიდი ხანია ჩემს ქოხში სტუმრები აღარ მსხდარან.

— პირჯვარსაც ვიწერ და ვლოცულობ კიდეც... ღმერთო! მილიციამ ორჯერ დამინგრია ღუმელი. ტრაქტორით გამოიტანეს. მე კი ისევ უკან დავბრუნდი! აქ ადამიანებს რომ უშვებდნენ, ჩვენი საცოდაობით მუხლებზე იხოხებდნენ. ჩვენს უბედურებასმთელ ქვეყანას გააგებინებდნენ. მხოლოდ მკვდრებს აძლევენ დაბრუნების უფლებას. ცოცხლები კი — ღამით, ტყეებით შემოვდივართ ...

— რადუნიცაზე(რადუნიცა — მიცვალებულთა მოსახსენებელი დღე ბელარუსში. დღესასწაულობენ აღდგომის შემდეგ კვირაში.) ყველანი ჩამოდიან. სულ ყველანი. ყველას უნდა თავისიანი მოიხსენიოს. მილიცია სიების მიხედვით უშვებს, 18 წლამდე ბავშვებს არ უშვებენ. ჩამოვლენ და და ისეთი ბედნიერები არიან საკუთარი ქოხების წინ... საკუთარ ბაღებში, ვაშლის ხესთან... ჯერ საფლავებზე ტირიან, მერე საკუთარ ეზოებს მიაკითხავენ. იქაც ტირიან და ლოცულობენ. სანთლებს ანთებენ. ღობეებზე ამაგრებენ, როგორც სასაფლაოზე. ხანდახან გვირგვინებიც მოაქვთ სახლებთან. ჭიშკარზე თეთრ რუშნიკს ჰკიდებენ. მღვდელი ლოცვას კითხულობს: „ძმებო და დებო, დაითმინეთ“!

— სასაფლაოზე მიაქვთ კვერციხი, ფუნთუშები... ბევრს მიაქვს ბლინები პურის ნაცვლად. ვისაც რა აქვს, ის... ყველა თავისი ახლობლების საფლავის წინ ჯდება. ელაპარაკებიან: „დაო, მოვედით შენს სანახავად. მოდი, სადილზე დაგვეწვი“... ან „ჩვენო დედიკო... ჩვენო მამიკო“... სულებს ელაპარაკებიან ზეცაში. ვისაც იმ წელს ჰყავთ გარდაცვლილები, ტირიან, ვისაც არა — არ ტირიან. ილაპარაკებენ, გაიხსენებენ. ყველანი ლოცულობენ, ისინიც კი, ვინც ლოცვა არ იცის.

— ღამით კი არ შეიძლება მიცვალებულზე ტირილი. მზე რომ ჩავა, მერე უკვე აღარ შეიძლება. მოიხსენე, უფალი სული მათი, დაუმკვიდრე სასუფეველი!

— აი, ხოხლუშკა(რუშნიკი — სლავი ხალხების სარიტუალო, ხელითნაქსოვი პირსახოცი. იხმარება სხვადასხვა სარიტუალო დანიშნულებით. ქორწილებში, გასვენებებში, ნათლობისას და ა. შ.) ბაზარში დიდ წითელ ვაშლებს ჰყიდდა. გაჰყვიროდა: „იყიდეთ ვაშლი, ჩერნობილის ვაშლი!“ ვიღაცამ ურჩია: „ბებო, ნუ ამბობთ, რომ ეგ ვაშლი ჩერნობილისაა, არავინ იყიდის!“ „ართქვათ, ყიდულობენ! ვიღაცას სიდედრისთვის, უნდა, ვიღაცას — უფროსისთვის!“

— აქ ერთი ციხიდან დაბრუნდა. ამინისტიით. გვერდით სოფელში ცხოვრობდა. დედა მოუკვდა. სახლი დაუმარხეს. ჩვენ მოგვეკვდლა. „დეიდა, მომეცით პურის ნაჭერი და სალა. შეშას დაგიჩეხავთ“...

— არეულია ქვეყანა — აქ გამორბიან ადამიანები. ადამიანებისგან გამორბიან. კანონისგან. ცხოვრობენ მარტო. არ არიან აქაურები. მოღუშულები დადიან, სალამს არ იძლევიან. სვამენ და ცეცხლს გვიკიდებენ. ღამით გვძინავს და საწოლის ქვეშ ბარს და ცულს ვინახავთ. სამზარეულოს კარებთან — ჩაქუჩს.

— გაზაფხულზე ცოფიანი მელია დარბოდა. როცა ცხოველი ცოფიანია, ალერსიანი ხდება. მაგრამ არ შეუძლია წყალს შეხედოს. ეზოში ვედროთი წყალი უნდა დადგა და ნულარ გეშინია — წავა.

— ჩამოდიან... ფილმებს იღებენ ჩვენზე, რომლებსაც ჩვენ ვერასდროს ვნახავთ. არც ტელევიზორი გვაქვს და არც — ელექტროენერგია. ერთი — ფანჯარაში ყურებალა დაგვრჩენია. ჰო, და რა თქმა უნდა, ლოცვაც. ადრე ღმერთის ნაცვლად კომუნისტები იყვნენ. ახლა მარტო ღმერთი დარჩა.

— ჩვენ დამსახურებული ხალხი ვართ. მე პარტიზანი ვარ. ერთი წელი ვიყავი პარტიზანებთან. როცა გერმანელები აქედან გაყარეს, ფრონტზე მოვხვდი. რაიხსტაგზე ჩემი გვარი წავაწერე — არტიუშენკო. გავიხადე შინელი, კომუნიზმს ვაშენებდი. სადაა ახლა ეს კომუნიზმი?

— ჩვენთან კომუნიზმია. ვცხოვრობთ, როგორც დები და ძმები...

— ომი რომ დაიწყო, იმ წელს არც სოკო ყოფილა, არც კენკრა. გჯერათ? მიწამაც კი იგრძნო უბედურება. ორმოცდაერთი წელი... ჰო, ვიხსენებ. ომი არ მავიწყდება. ერთხელ ხმა გავარდა, ჩვენი ტყვეები მოიყვანეს, ვინც თავისიანს იცნობს, შეუძლია წაიყვანოსო. გაიქცნენ ჩვენი ქალები. საღამოს დაბრუნდნენ, ვინ მართლა თავისიანი მოიყვანა, ვინ — უცხო. ერთმა ნაძირალამ, აქ ცხოვრობდა, ისე როგორც ყველა, ცოლიანი, ორშვილიანი, კომენდატურას განუცხადა, უკრაინელები შეიფარესო. ვასკო, საშკო... მეორე დღეს გერმანელებმა მოგვაკითხეს, მოტოციკლეტებით. ვებვეწეთ, მუხლებზე დავდექით... იმათ კი, სოფელს გააცილეს და ავტომატის ჯერი დაუშვეს. ცხრა კაცი. პატარები, ახალგაზრდები, კარგები! ვასკო, საშკო!

ოღონდაც ომი ნუ იქნება. ისე მეშინია ომის!

— მოდის ხელმძღვანელობა, გვიყვირის, გვიყვირის, ჩვენ კი ყრუმუნჯები ვართ. ყველაფერი გადავიტანეთ, მოვითმინეთ...

— მე კი ისევ ჩემსას გეტყვით... ჩემს საფიქრალს ვფიქრობ და ვფიქრობ... სასაფლაოზე... მიცვალებულს ვიღაც ჩუმად ელაპარაკება, ვიღაც — ხმამაღლა... ზოგიერთი წინასწარმეტყველებს: „გაიხსენი, ყვითელი ქვიშავ, გაიღე, შავბნელო ღამე!“ ტყიდან დაელოდები, ქვიშიდან კი — არასდროს. ალერსიანად ვეტყვი: „ივან... ივან... როგორ ვიცხოვრო?“ ის კი არაფერს მპასუხობს, არც კარგს, არც — ცუდს.

— არ მეშინია: არც მკვდრების, არც მხეცების, არავის. შვილი მაკითხავს ქალაქიდან და ჩხუბობს: „რას უზიხარ აქ მარტო? ვინმემ რომ დაგახრჩოს?“ და რას წაიღებს ჩემგან? მარტო ბალიშებს... უბ-

რალო ქოხის მორთულობა ბალიშებია. ყაჩაღი აქ შემოდრომას რომ დააპირებს, თავს ხომ შემოჰყვოდს ფანჯარაში? მე კი ცუღს მოვუღერებ და გავაგდებ. ჩვენებურად... შეიძლება, არც არის ღმერთი, შეიძლება ვიღაც სხვაა... მაგრამ იქ, ზევით ვიღაც ნამდვილად არის. მე კი აქ ვცხოვრობ.

— ზამთარში ბაბუამ ეზოში ხბო დაკიდა გასატყავებლად. ამ დროს მოიყვანეს უცხოელები. ეკითხებიან: „ბაბუ, რას აკეთებ?“ „რადიაციას ვღვენ“.

— მომხდარა, — ხალხი ყვებოდა. კაცმა ცოლი დამარხა, პატარა ბიჭი დარჩა. მარტოა კაცი... დაიწყო სმა. გამოუცვლის ბავშვს სველ საცვლებს და ბალიშის ქვეშ აწყობს. ცოლი კი, ან ცოლის სული — მოღის ღამით, რეცხავს, აშრობს და კეცავს ღამაზად. ერთხელაც დაინახა... მაგრამ დაუძახა თუ არა, მაშინვე გაქრა... ჰაერად იქცა. მეზობლებმა ურჩიეს: როგორც კი აჩრდილი გაჩნდება, კარი გასაღებით გადარაზე, ეგებ მალე არ გაიქცესო. ის კი აღარ მოსულა. რა იყო ეს? ან ვინ მოღიოდა?

არ გჯერათ? მაშინ მიპასუხეთ, საიდან გაჩნდა ზღაპრები? იქნებ ეს ყველაფერი ოდესღაც სიმართლე იყო? აი, თქვენ, განათლებულები ხართ...

— რატომ აფეთქდა ჩერნობილი? ერთნი ამბობენ — მეცნიერები არიან დამნაშავეებიო. ღმერთს წვერებში წვდნენ და იცინის. ჩვენ კი აქ ვიტანჯებით!

კარგად არასდროს გვიცხოვრია. მშვიდად. ომამღეც მიჰყავდათ ადამიანები. იჭერდნენ. ჩვენგან სამი წაიყვანეს... შავი მანქანებით მოვიდნენ და მინდვრიდან წაიყვანეს. დღემღე არ დაბრუნებულან. ყოველთვის გვემინოდა.

— არ მიყვარს ტირილი... ახალი ანეკდოტების მოსმენა მიყვარს... ჩერნობილის ზონაში თამბაქო მოიყვანეს. ფაბრიკაში ამ თამბაქოსგან სიგარეტი დაამზადეს. თითოეულ კოლოფს კი წააწერეს: „ჯანმრთელობის სამინისტრო უ-კა-ნას-კნე-ლად გაფ-

რთხილებთ, რომ მოწევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისთვის“. ხა-ხა-ხა! არადა, ჩვენი ბაბუები ეწეოდნენ!

— ერთადერთი, რაც მყავს, ძროხაა. წავიდოდი და ჩავაბარებდი, ოღონდაც ომი ნუ იქნება. ძალიან მეშინია ომის!

— გუგული გუ-გუს იძახის, კატკატი ლაქლაქებს, შვლები დარბიან. მომავალში რა იქნება, არავინ იცის. დილას ბაღში გავიარე, ტახებს გადაუთხრიათ. ველურებს. ადამიანების გადასახლება შეიძლება, ლოსის და ტახისა — არა. წყალიც არ ცნობს საზღვრებს. თავის ჭკუაზე დაიარება მიწაზეც და მიწის ქვეშაც.

სახლი ვერ ძლებს უადამიანოდ. მხეცსაც კი ადამიანი სჭირდება. ყველანი დაეძებენ ადამიანს. წერო მოფრინდა... ხოჭო გამოძვრა... ყველაფერს სიხარულით ვხვდები.

— მტკივა, ბებო გენაცვალოს... ვაი, როგორ მტკივა... ნელა უნდა... კუბო ნელა გააქვთ... ფრთხილად... კარს, საწოლს ან რაიმეს არ უნდა შეეხოს და შეეჯახოს, თორემ უბედურება დატრიალდება — კიდევ ერთი მიცვალებული გავა სახლიდან. მოიხსენე, უფალი მათი სულები. დაუმკვიდრე სასუფეველი. სადაც მარხავენ, იქვე ლოცულობენ. აქ კი სულ საფლავებია. ირგვლივ — სასაფლაოა. თვითმცლელები და ბუღდობერები გუგუნებენ, ქოხები იქცევა. მესაფლავეები მუშაობენ და მუშაობენ. ჩამარხეს სკოლა, სოფლის საბჭო, აბანო. ქვეყანა იგივე დარჩა, მაგრამ ხალხი შეიცვალა. ერთი არ ვიცი, აქვს კი სული ადამიანს? როგორია? და იმქვეყნად როგორ ეტევა ამდენი სული?

ბაბუა ორი დღე კვდებოდა. ღუმლის უკან ვიმალებოდი და ვდარაჯობდი: როგორ გამოფრინდებოდა სული სხეულიდან. ძროხის მოსაწველად გავედი... ქოხში შევვარდი... დავუძახე... წევს გახელილი თვალებით... სული გაფრინდა. თუ არაფერია, მაშინ როგორღა შევხვდებით?

— მღვდელი გვეუბნება, გვპირდება, რომ ჩვენ უკვდავები ვართ. ასე ვლოცულობთ: ღმერთო, მოგვეცი ძალა ჩვენი ცხოვრების სიძნელების გადასატანად...“

მონოლოგი იმაზე, რომ იპოვი ჭიაყელას და ქათამს უხარია. ის კი, რაც თუჯის ქვაბში

თუხთუხებს, მარადიული არ არის

„პირველი შიში...“

პირველი შიში ციდან ჩამოვარდა... წყლით მოცურდა... ბევრი კი ისე მშვიდად იყო, თითქოს ქვისააო. ხატზე დავიფიცებ! ხანშიშესული კაცები სვამდნენ: „ბერლინამდე ჩავედით და გავიმარჯვეთ!“ ისე ამბობდნენ, პირდაპირ კედელზე აჭედებდნენ სიტყვას... გამარჯვებულები! მედლებით!

პირველი შიში... დილაობით ბოსტანში დამხრჩვალ თხუნელებს ვნახულობდით. ვინ ახრჩობდა? დღისით ხომ მიწაში არიან!? რაღაც ერეკვებოდა ზემოთ! ხატზე დავიფიცებ!

შვილმა დამირეკა გომელიდან:

— მაისის ხოჭოები დაფრენენ?

— არ არის ხოჭოები. მატლებიც კი არ ჩანან. დაიმაღლნენ.

— ჭიაყელები არის?

— დაინახავ ჭიაყელას და ქათამს უხარია. არა, არც ჭიაყელები არ არის.

— ეგაა პირველი ნიშანი: სადაც მაისის ხოჭო და ჭიაყელა არ არის, იქ ძლიერი რადიაციაა.

— რა არის რადიაცია?

— დედა, ეს სიკვდილია. მოელაპარაკე მამას, წამოდით, ჩვენთან იქნებით.

— ბოსტანი რომ არ დაგვითესავს ჯერ...

ცოტა ჭკუა რომ გვექონოდა, ვყოფილიყავით, ასე არ გავსულელდებოდით. იწვის და დაე, დაიწვას. ხანძარი — დროებითი ამბავია, მაშინ არც არავის ეშინოდა. არ ვიცოდით, ატომი რა იყო. ხატბე დავიფიცებ! არადა, იქვე, ატომურ სადგურთან ვცხოვრობდით, ოცდაათ კილომეტრში. ძალიანაც კმაყოფილები ვიყავით. ვიყიდდით ბილეთს და წავიდოდით. მომარაგება იქ მოსკოვური იყო — იაფიანი ძეხვი, მაღაზიაში სულ ჰქონდათ ხორცი, ასარჩევად. რა კარგი დრო იყო!

ახლა კი — მხოლოდ შიში! ამბობენ, ბაყაყები და ქინქლები გადარჩება, ადამიანი კი — ვერაო. ქვეყანა უადამიანოდ დარჩებაო. რაღაც ზღაპრებს ყვებიან. რომელი სულელი დაიჯერებს ამას? მაგრამ ჭორშიცაა რაღაც სიმართლე... ეს უკვე ძველი ამბავია...

ჩავრთავ რადიოს. გვაშინებენ და გვაშინებენ ამ რადიაციით. არადა, რადიაციისას უკეთ ვცხოვრობთ! ხატბე დავიფიცებ! აბა, უყურე: ფორთოხალი შემოიტანეს, სამი სახეობის ძეხვი... სოფელში! ჩემმა შვილიშვილებმა ნახევარი მსოფლიო შემოიარეს. უმცროსი გოგო საფრანგეთიდან დაბრუნდა, ეს იქაა, საიდანაც ოდესღაც ნაპოლეონი გვითევდა... „ბებია, მე ანანასი ვნახე!“ მეორე შვილიშვილი, იმისი ძმა, ბერლინში ჰყავდათ სამკურნალოდ... ეს კი იქაა, საიდანაც ჰიტლერი დაგვესხა თავს... ტანკებით... შეიცვალა ყველაფერი, სხვანაირია ახლა სამყარო... რადიაციაა დამნაშავე თუ რამე სხვა? და როგორია? გინახავთ? კინოში ხომ არ აჩვენეს სადმე? თეთრია? რა ფერია? ერთნი ამბობენ, უფერო და უსუნოაო, მეორენი — შავია, როგორც მიწაო! თუ უფერულია, ღმერთივით ყოფილა. ღმერთი ყველგანაა და ვერავინ ხედავს. გვაშინებენ! ბაღში ვაშლიც ასხია ხეს და ფოთოლიც, მინდორში — კარტოფილია. მე მგონია, არანაირი ჩერნობილი არ არსებობს, მოიგონეს, ხალხი მოატყუეს... ჩემი და და მისი ქმარი წავიდნენ... აქვე, ოც კილომეტრში. გავიდა ორი თვე და მეზობელი მორბის: „თქვენი ძროხიდან ჩემსას რადიაცია გა-

დაედო. მიკვდება ძროხა!“ „როგორ გადაედო?“, „ჭაერში დაფრენს, როგორცმტვერი. მფრინავია!“ ზღაპრები, ზღაპრები! ეს კი ნამდვილად იყო — ბაბუაჩემს ფუტკარი ჰყავს, ხუთი სკა. სამი დღე არ გამოფრენილა არც ერთი. ისხდნენ სკებში. დაიცადეს. ბაბუა აქეთ-იქით აწყდებოდა: რა დაგვეცა თავს? ქოლერაა თუ რა არის? ბუნებაში მოხდა რაღაც. მერე აუხსნა მეზობელმა, მასწავლებელია, ჩვენზე უკეთ ესმის, გონიერია, რომ იმათი სისტემა სხვანაირია და მაშინვე მიხვდნენ. რადიო და გაზეთები არაფერს ამბობდნენ და ფუტკრებმა უკვე იცოდნენ. კრაზანები... კრაზანებიც იყვნენ, ბუდე ჰქონდათ ჭიშკართან, ხელს არ ვახლებდით და დილას აღარ დაგვხვდნენ, არც ცოცხლები არც მკვდრები... ექვსი წლის შემდეგ დაბრუნდნენ. რადიაცია... ის ადამიანებსაც აშინებს და მხეცსაც... ჩიტსაც... ხესაც კი ეშინია, მაგრამ ვერაფერს ამბობს. ვერც იტყვის, უენოა. კოლორადოს ხოჭოები კი ისევე დახოხავენ, როგორც დახოხავდნენ, ჭამენ ჩვენს ხენდროს, ფოთოლსაც არ უტოვებენ, მიეჩვივნენ საწამლავს. აი, როგორც ჩვენ.

მაგრამ რომ დავფიქრდები — ყველა ქოხში მოკვდა ვიღაც... იმ ქუჩაზე, მდინარის მეორე ნაპირას... ქალები დარჩნენ მარტო, აღარ არიან კაცები, დაიხოცნენ. ჩვენს ქუჩაზე ერთი ბაბუაჩემია, და ერთი კიდევ — იქით... ღმერთს კაცები აღრე მიჰყავს. რატომ ხდება ასე? ამას ვერავინ გვეტყვის, ეს საიდუმლო არავინ იცის. რომ დაფიქრდე: მარტო რომ დარჩნენ კაცები, ქალების გარეშე — ეგ უფრო არ ივარგებს. სვამენ, ჩემო კარგო, სვამენ. დარდისგან სვამენ. ვის უნდა სიკვდილი? ისეთი დარდია, როცა ადამიანი კვდება, ვერავინ განუგეშებს, ვერავინ და ვერაფრით. სვამენ და ლაპარაკობენ, განსჯიან... დალევს, იცინის და ბაც! — აღარაა. იოლ სიკვდილზე ყველა ოცნებობს. მაგრამ როგორ უნდა დაიშახურო? სული — ერთადერთი ცოცხალი არსებაა. ჩემო კარგო... ჩვენი ქალები კი სულ გამოცარიელდნენ, ქალური რაც ჰქონ-

დათ, დაკარგეს. ყოველი მესამე ასეა. ახალგაზრდაც და მოხუციც! ყველამ ვერ მოასწრო, გაეჩინა... რომ დავფიქრდები... ცხოვრება ისე გავიდა, თითქოს არც ყოფილაო...

რა დავამატო? უნდა ვიცხოვროთ... მეტი არაფერი...

აღრე კი... აღრე ჩვენ თვითონ ვდღვებდითკარაქს, არაჟანს, ვაკეთებდით ხაჭოს, ამოგვყავდა ყველი. რძის ატრიას ვხარშავდით. ჭამენ ნეტავ ასეთ რამეს ქალაქში? ფქვილს წყალს ასხამ და ურევ, ცომის ნაგლეჯები ჩნდება, მერე მდულარეწყლიან ქვაბში ყრი. მოხარშავ და რძით მოათეთრებ. დედაჩვენი გვაჩვენებდა და გვეუბნებოდა: „ბავშვებო, ისწავლეთ. მეც დედაჩემისგან ვისწავლე“. არყისა და ნეკერჩხლის წვენს ვსვამდით. მწვანე ლობიოს დიდ ღუმელში ვხარშავდით თუჯის ქვაბით. შტომის კისელს ვაკეთებდით. ომის დროს კი ჭინჭარს და ნაცარქათამას ვკრეფდით. შიმშილისგან ვსივდებოდით, მაგრამ არ დავხოცილვართ. კენკრა იყო ტყეში, სოკო... ახლა ისეთი ცხოვრება მოვიდა, ყველაფერი დაინგრა. ვფიქრობდით, რომ ეს ყველაფერი მუდმივი იყო, სულ ასე იყო და ასე იქნებოდა. კიდევ გვეგონა, რომ ის, რაც თუჯის ქვაბში იხარშება, მარადიულია. ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ შეიცვლებოდა. მაგრამ შეიცვლა. რძე — არ შეიძლება, ლობიო — არ შეიძლება. სოკო და კენკრაც აკრძალეს... ნაბრძანებია, ხორცი სამი საათით ჩაალბეთ წყალშიო. კარტოფილს ხარშვისას სამჯერ გამოუცვალეთ წყალიო. ღმერთს ხომ არ ეჩხუბები? რალაცნაირად უნდა იცხოვრო.

გვაშინებენ, თქვენი წყალიც აღარ ისმევალ. კი, მაგრამ როგორ ვიყოთ უწყლოდ? ყველა ადამიანიშია წყალი. უწყლოდ ადამიანი არ არსებობს. წყალს ქვაშიც კი იპოვი. იქნება წყალი იყოს მარადიული? სიცოცხლე მისგანაა... ვის ჰკითხავ? ვერავინ გეტყვის. ღმერთზე კი ლოცულობენ, იმას არავინ არაფერს არ ეკითხება. მაინც ვცხოვრობთ...

აი, ჟიტო(ჟიტო — ხორბალი ან რომელიმე მარცვლეული; ხორბლის ან რომელიმე მარცვლის (შვრიის, ქერის, წიწიბურის) ფაფა უკრაინაში.) გადმოდის, კარგია ჟიტო...“

ანა პეტროვნა ბადეევა
თვითნასახლებული

მონოლოგი უსიტყვო სიმღერაზე...

„მუხლებში ჩაგივარდებით, ისე გთხოვთ...“

გვიპოვეთ ანა სუშკო... ჩვენს სოფელში ცხოვრობდა. სოფელ კოჟუშკიში. სახელი — ანა სუშკო. მის ყველა ნიშანს აღგიწერთ, თქვენ კი დაბეჭდეთ. კუზი აქვს, ბავშვობიდან მუნჯია... მარტო ცხოვრობდა. სამოცი წლისაა. გადასახლების დროს სასწრაფო დახმარების მანქანაში აიყვანეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. წერა არ უსწავლია, ამიტომ, მისგან არანაირი წერილი არ მოგვსვლია. მარტოხელები და ავადმყოფები თავშესაფრებში მიჰყავდათ. მაღავდნენ. არავინ იცის მისამართი. დაბეჭდეთ...

მთელ სოფელს გვეცოდებოდა. ისე ვუვლიდით, როგორც პატარა ბავშვს. ვილაც შეშას უპობდა, ვილაც რძეს მიუკითხავდა. ვილაც ქოხში ეჯდა და ღუმელს უნთებდა. ორი წელია, რაც ჩვენ, სხვადასხვა მხარეში გაფანტულები მშობლიურ ქოხებში დაბრუნდით. გადაეცით, რომ მისი ქოხი ისევ დგას. სახურავიც აქვს, ფანჯრებიც. რაც გაფუჭდა და დაარბიეს, ერთად გაუვკეთებთ. მხოლოდ მისამართი გაგვიგეთ, სად ცხოვრობს, სად იტანჯება და წავალთ, წამოვიყვანთ. აქ ჩამოვიყვანთ. თორემ დარდით მოკვდება... მუხლებში ჩაგივარდებით... უდანაშაულო სული უცხოობაში იტანჯება...

კიდევ ერთი ნიშანი... დამავიწყდა... როცა მას რაღაც სტკივა, სიმღერას იწყებს. უსიტყვოდ. ერთ ხმაში. აი, ლაპარაკი კი არ შეუძლია... როცა სტკივა, ხმას უშვებს: ა-ა-ა... ცდილობს...

ა-ა-ა“.

მარია ვოლჩოკი

მეზობელი

სამი მონოლოგი ძველ შიშზე და იმაზე, თუ რატომ დუმდა ერთი კაცი, როცა ქალები ლაპარაკობდნენ

კ-ს ოჯახი. დედა და ქალიშვილი. და მამაკაცი (ქალიშვილის ქმარი), რომელსაც ერთი სიტყვაც არ უთქვამს.

ქალიშვილი:

— პირველ დღეებში დღე და ღამ ვტიროდი. მინდოდა მეტირა და მელაპარაკა! ტაჯიკეთიდან ვართ, დუშამბედან. იქ — ომია...

ჩემთვის არ შეიძლება... ფეხმძიმედ ვარ, მაგრამ მაინც მოგიყვებით. დღისით ავტობუსში ამოვიდნენ პასპორტების შესამოწმებლად... ჩვეულებრივი კაცები, მაგრამ ავტომატებით... ამოწმებენ დოკუმენტებს, კაცებს ავტობუსიდან ყრიან და იქვე, კართან ხვრეტენ, მოშორებითაც კი არ გაჰყავთ. დავინახე, როგორ ჩაიყვანეს ორი კაცი, ერთი — სულ ახალგაზრდა, ლამაზი, ყვიროდა — ტაჯიკურად, რუსულად... ყვიროდა, რომ ცოლმა ახლახან იმშობიარა, რომ სამი პატარა ბავშვი ჰყავს. ისინი იცინოდნენ, თვითონაც ახალგაზრდები, სულ პატარები. ჩვეულებრივები, მაგრამ ავტომატებით. ის დაეცა... ფეხსაცმელებს უკოცნიდა. ყველა გაჩუმდა, მთელი ავტობუსი. გამოვცდით და აყაყანდნენ... შიშით უკან ვერ იხედებოდნენ (ტირის)...

ჩემთვის არ შეიძლება, ბავშვის ველოდები... გთხოვთ, არ გამხილოთ ჩემი გვარი, სვეტლანა მქვია... იქ ნათესავები დარჩნენ, დახოცავენ... ადრე მეგონა, რომ ჩვენთან აღარასდროს იქნებოდა ომი. ვეებერთელა და საყვარელი ქვეყანა გვქონდა. ყველაზე ძლიერი! გვეუბნებოდნენ, საბჭოეთში ახლა ღარიბულად იმიტომ ვცხოვრობთ, რომ დიდი ომი გამოვიარეთ, ქვეყანა დაზარალდა, მაგრამ უძლიერესი არმია გვყავს და ხელს ვერავინ გვახლებსო. ვერავინ მოგვერევაო! ჩვენ კი ერთმანეთს დავუწყეთ სროლა... ახლა ისეთი ომი აღარაა, როგორც ადრე. იმ ომს ბაბუა იხსენებდა, — გერმანიამდე ჩავიდა, ბერლინამდე... ახლა კი — მეზობელი მეზობელს ესვრის, ბიჭები სკოლაში ერთად სწავლობდნენ და ახლა ერთმანეთს ხოცავენ, იმ გოგოებს აუპატიურებენ, ვისთან ერთადაც სკოლაში იხსდნენ. ყველა გაგიჟდა...

ქმრები ჩუმიად არიან. კაცები დადუმდნენ, ისინი არაფერს გეტყვიან. იმათ უყვიროდნენ, რომ ქალებივით გარბიან, მშიშრები! სამშობლოს მოღალატეები! რა დააშავეს? რა მათი ბრალია, თუ სროლა არ შეუძლიათ? არ უნდათ! ჩემი ქმარი ტაჯიკია, ომში უნდა წასულიყო და მოეკლა. „წავიდეთ, წავიდეთ. არ მინდა ომში, არ მჭირდება ავტომატი“, — მითხრა და წამოვედით. უყვარს დურგლობა, ცხენები. არ უყვარს სროლა. ნადირობაც კი არ უყვარს. იქაა მისი სამშობლო, მის ენაზე ლაპარაკობენ, ის კი წამოვიდა. იმიტომ, რომ არ უნდოდა მოეკლა მეორე ტაჯიკი, ისეთივე, როგორიც თვითონაა. ტელევიზორსაც კი არ უყურებდა. ყურებზე ხელს იფარებდა. აქ ძალიან მარტოა, იქ კი მისი ღვიძლი ძმები იბრძვიან. ერთი მოკლეს კიდევ. იქ დარჩა დედამისიც. დებიც. დუშანბეს მატარებლით ვიმგზავრეთ. შუშები არ ჰქონდა, გავიყინეთ, არ ათბობდნენ. სროლით არ უსვრიათ, მაგრამ გზაში ფანჯრებს ქვები დაუშინეს, შუშები ტყდებოდა: „რუსებო, წაეთრიეთ! ოკუპანტებო! გეყოთ, რაც გვძარცვთ“. ის ხომ ტაჯიკია და ეს ყველაფერი ესმოდა. ჩვენს შვილებსაც ესმოდათ. ჩვენი გოგონა უკ-

ვე პირველ კლასში დადიოდა. ერთი ტაჯიკი ბიჭი მოეწონა. მოვიდა სკოლიდან და მკითხა: „დედა, ვინ ვარ? ტაჯიკი თუ რუსი?“ ბავშვს ეს როგორ ავუხსნა?

არ შეიძლება ჩემთვის... მაგრამ მაინც მოგიყვებით... იქ პამირელი ტაჯიკები კულიაბელ ტაჯიკებს ეომებიან. ყველანი ტაჯიკები არიან, ერთი ყურანი აქვთ, ერთი რწმენა, მაგრამ კულიაბელები პამირელებს კლავენ, პამირელები კი კულიაბელებს. თავიდან მოედნებზე იკრიბებოდნენ, ყვიროდნენ, ლოცულობდნენ. მინდოდა გამეგო, რა ხდებოდა და მოედანზე გავედი. მოხუცებს ვკითხე: „ვის წინააღმდეგ გამოდიხართ?“ მიპასუხეს: „პარლამენტის წინააღმდეგ. ჩვენ გვითხრეს, რომ ეს პარლამენტი ძალიან ცუდი კაცია“. მერე მოედანი დაცარიელდა და სროლა დაიწყო. უცებ სხვა ქვეყანაში აღმოვჩნდით — ამოუცნობი აღმოსავლეთი! აქამდე გვეგონა, რომ ჩვენს მიწაზე ვცხოვრობდით. საბჭოთა კანონებით. რამდენი რუსის საფლავი დარჩა იქ და არავინაა, რომ დაიტეროს. საქონელს მწყემსავენ რუსულ სასაფლაოებზე... თხებს... რუსი მოხუცები ნაგავში იქექებიან...

სამშობიაროში ვმუშაობდი, ექთნად. ერთი ღამის მორიგეობაზე ქალი მშობიარობდა. მძიმე მშობიარობა ჰქონდა, უჭირდა, ძალიან ყვიროდა. შემოვარდა სანიტარი... არც სტერილური ხელთათმანი ეკეთა, არც ტანსაცმელი ეცვა... რა მოხდა, რა! ასე რატომ შემოდინხართ სამშობიარო ბლოკში?! „გოგოებო, ყაჩაღები!“ და ეგრევე შემოვარდნენ ჩვენთან — ნიღბიანები, იარაღიანები. მოგვვარდნენ: „ნარკოტიკები! სპირტი!“ ექიმი მაშინვე კედელთან მიაყენეს: „არ გვაქვს არც ნარკოტიკი, არც სპირტი!“ ამ დროს ქალმა, რომელიც აჩენდა, შვებით ამოიყვირა. გააჩინა! სიხარულია! ბავშვმაც იტირა, იმ წუთას დაბადებულმა. აღარ მახსოვს, გოგო იყო თუ ბიჭი. არც სახელი ჰქონდა ჯერ, არც არაფერი. ბანდიტები მოგვვარდნენ: ვინ არის? კულიაბელია თუ პამირელი? კი არ უკითხავთ, ბიჭია თუ გოგო, კულიაბელია თუ პამირელიო. ენა ჩაგვივარდა... ისინი კი

გვიყვირიან: „ვინ არის“? ჩვენ ვერაფერს ვამბობთ. მაშინ დაავლეს ბავშვს ხელი, ის სულ ხუთი, ათი წუთის დაბადებული იყო და ფანჯრიდან ისროლეს. ექთანი ვარ, ბევრჯერ მინახავს, როგორ იღუპებოდნენ ბავშვები... მაგრამ აქ... აქ გული გამეგლიჯა... არა, არ შეიძლება, ამას რომ ვიხსენებ... (ისევ ტირის). ამ ამბის შემდეგ ეგზემა გამიჩნდა ხელებზე... ვენები გამომივარდა... ისეთი გულგრილი გავხდი ყველაფერის მიმართ, რომ ლოგინიდან ადგომაც კი არ მინდოდა. საავადმყოფოში მივიდიოდი და უკან ვბრუნდებოდი... როგორ მეცხოვრა იქ? როგორ გამეჩინა? აქ ჩამოვედით. ბელარუსში... ნაროვლია — პატარა, წყნარი ქალაქია. მეტი აღარაფერი მკითხოთ. ნუ შემეხებით... (ჩუმდება). მოიცადეთ... მინდა, იცოდეთ, ღმერთის არ მეშინია... ადამიანის მეშინია. პირველ დღეებში ვკითხულობდით: „სად არის რადიაცია? — „სადაც დგახართ, იქაა რადიაცია!“ ეს ხომ მთელი აქაურობაა? (ცრემლს იწმენდს) ადამიანები წავიდნენ... ეშინიათ...

მე კი აქ ისე არ მეშინია, როგორც — იქ. ჩვენ სამშობლოს გარეშე დავრჩით, ჩვენ — არავისი აღარ ვართ. გერმანელები გერმანიაში დაბრუნდნენ; თათრები, როცა უფლება დართეს — ყირიმში; ჩვენ კი, რუსები, არავის ვუნდივართ. რისი იმედი უნდა გვექონდეს? რას უნდა ველოდეთ? რუსეთი არასდროს ფიქრობდა თავის ხალხზე, იმიტომ, რომ დიდია, უსასრულოა... სიმართლე რომ ვთქვა, ვერც ვგრძნობ, რომ რუსეთი ჩემი სამშობლოა. გვასწავლიდნენ, რომ ჩვენი სამშობლო საბჭოთა კავშირი იყო. ჰოდა, ახლა არ ვიცი, როგორ გადავრჩეთ. აქ არავინ გვიკეტავს კარს და ეს უკვე კარგია. სახლიც მოგვცეს, ქმარს — სამსახური. ახლობელებს წერილი მისწერა და გუშინ ისინიც ჩამოვიდნენ. საღამოს ჩამოვიდნენ და სადგურის შენობიდან გამოსვლისა ეშინოდათ. ჩემოდნებზე ისხდნენ, დილას ელოდნენ. მერე დაინახეს — ქუჩებში ადამიანები დადიან, იცინიან, ეწევიან... ჩვენი ქუჩა აჩვენეს, ჩვენს სახლამდე მოიყვანეს... გაცელებულები იყვნენ, იმიტომ,

რომ ჩვენ ჩვეულებრივ, მშვიდობიან ცხოვრებას გადავეჩვიეთ. გადავეჩვიეთ, რომ შეიძლება საღამოთი გაისეირნო, რომ შეიძლება იცინო... დილით გასტრონომში შევიდნენ, კარაქი და ნაღები დაინახეს. იქვე, მაღაზიაშივე, — თვითონვე მოგვიყვანენ, — ხუთი ბოთლი ნაღები იყიდეს და მაშინვე დალიეს. ისე უყურებდა ხალხი, როგორც შეშლილებს. მათ კი ორი წელია, არც კარაქი და არც ნაღები არ უნახავთ. იქ პურსაც ვერ იყიდი... ამის ახსნა შეუძლებელია ადამიანისთვის, ვისაც ომი ცხადში არ უნახავს... მარტო ვინოში...

იქ მკვდარი ვიყავი... იქ როგორ უნდა გამეჩინა ბავშვი, მკვდარს? აქ ცოტანი არიან ადამიანები. სახლები ცარიელია. ტყესთან ვცხოვრობთ. მეშინია, როცა ბევრ ხალხს ვხედავ ერთად, როგორც მაშინ, სადგურზე... ომში... (ატირდა და გაჩუმდა).

დედა:

— მარტო ომზე, მარტო ომზე შემოიძლია ლაპარაკი... რატომ ჩამოვედით აქ, ჩერნობილის მიწაზე? იმიტომ, რომ აქედან აღარ გაგვყრიან. ამ მიწიდან. ის უკვე აღარავისია, ღმერთმა წაიღო... ადამიანებმა მიატოვეს.

დუშამბეში სადგურის უფროსის მოადგილედ ვმუშაობდი, უფროსს კიდევ ერთი მოადგილე ჰყავდა, ტაჯიკი. ჩვენი შვილები ერთად გაიზარდნენ, სადღესასწაულო სუფრებს ერთად ვუსხედით: ახალ წელს, პირველ მაისს, გამარჯვების დღეს... ერთად ვსვამდით ღვინოს, ვჭამდით ფლავს. ასე მეძახდა: „დაო, დაიკო, ჩემო რუსო დაიკო!“ ერთ დღესაც მოდის, ერთ კაბინეტში ვისხედით, ჩემი მაგიდის წინ ჩერდება და მიყვირის:

— ბოლოს და ბოლოს, როდის წახვალ შენს რუსეთში? ეს ჩვენი მიწაა!

იმ წუთას მეგონა, რომ ჩემი გონება ამას ვერ გადახარშავდა. მივვარდი:

— სადაური ქურთუკი გაცვია?

— ლენინგრადის, — მოულოდნელობისგან მიპასუხა.

— გაიხადე რუსული ქურთუკი, ნაძირალავ! — ვხდი ქურთუკს, — საიდანაა ქუდი? ტრაბახობდი, ციმბირიდან გამომიგზავნესო! მოიხადე ქუდი, ნაძირალავ! პერანგიც გაიხადე და შარვალიც! ეგენი მოსკოვის ფაბრიკაშია შეკერილი! ეგენიც რუსებია!

ნიფხვამდე გავხდიდი. ზორბა კაცი იყო, მხრებამდე ძლივ-სვწვდებოდი, მაგრამ იმ წუთას, არც ვიცი, რა მჭირდა, მზად ვიყავი, გამეშიშვლებინა! ხალხი შეიკრიბა. ყვიროდა:

— მომშორდი, შემლილო!

— არა, მომეცი ყველაფერი, რაც რუსულია! ჩემსას ყველაფერს წავიღებ! — გონება დავკარგე. — წინდებიც გაიხადე, ფეხსაცმელიც!

დღე და ღამე ვმუშაობდით. გადავსებული ვაგონები გადიოდა — ხალხი გარბოდა... რუსები ყველანი მიდიოდნენ... ათასობით! ათი ათასობით! ასობით! იქ კიდევ ერთი რუსეთი ყოფილა! ღამის ორ საათზე გავუშვი მოსკოვის მატარებელი, დარბაზში დარჩნენ ბავშვები ქალაქ კურგან-ტიუბედან, ვერ მიუსწრეს მოსკოვის მატარებელს. შევიფარე, დავმალე. ორი ავტომატიანი დამადგა თავზე.

— ვაიმე, ბიჭებო, აქ რას აკეთებთ? — თან გული მეპარება.

— შენი ბრალია, ყველა კარი ღიაა.

— მატარებელი გავუშვი, ვერ მოვასწარი დამეკეტა.

— ვინ არიან ეგ ბავშვები?

— ჩვენები არიან, დუშანბელები.

— კურგანიდან ხომ არ არიან? კულიაბელები?

— არა, არა ჩვენები...

წავიდნენ. დარბაზი რომ გაეღოთ? იმათაც და მეც — ტყვიას დაგვატყედებდნენ. იქ ერთი ხელისუფლებაა — თოფიანი კაცი. დილით ბავშვები ასტრახანის მატარებელზე დავსვი. ვუბრძანე, ისე წაეყვანათ, ვითომ საზამთრო მიაქვთ. კარი არ გაეღოთ (ჩუმდება

და მერე დიდხანს ტირის). არსებობს რამე ამქვეყნად ადამიანზე სა-
შინელი? (ისევ ჩუმდება).

აქაც რომ მივდიოდი ქუჩაში, ყოველ წუთას უკან ვიყურებო-
დი, მეჩვენებოდა, რომ უკნიდან ვილაც მომეპარება... დღე არ გა-
სულა, სიკვდილზე არ მეფიქრა. სახლიდან ყოველთვის სუფთა
ტანსაცმლით გამოვდიოდი — ახალგარეცხილი ბლუზით, ქვედაბო-
ლოთი, სუფთა თეთრეულით. უცებ არ მომკლან-მეთქი! ახლა ტყეში
დავდივარ მარტო და არ მეშინია. ტყეში არავინაა, არც ერთი ადამი-
ანი. მივდივარ და ვიხსენებ: ეს ყველაფერი მართლა იყო ჩემს თავს?
შეიძლება მონადირეებს შეხვდე: თოფით, ძაღლითა და დობიმეტ-
რით. ისინიც თოფიანი მამაკაცები არიან, მაგრამ ადამიანებს არ
დასდევენ მოსაკლავად. თუ სროლა მესმის, ვიცი, ყვავებს ესვრიან
და კურდღლებს მისდევენ (ჩუმდება)... ამიტომ არ მეშინია აქ... არ
შემიძლია მეშინოდეს მიწის, წყლის...ადამიანის მეშინია... იქ ას დო-
ლარად ბაზარში ყიდულობენ ავტომატებს...

ერთი ბიჭი მახსოვს. ტაჯიკი... მეორეს მისდევდა. ადამიანს მის-
დევდა! ისე მირბოდა, ისე სუნთქავდა, ეგრევე მიხვდი, უნდოდა,
რომ მოეკლა. გაექცა, დაემალა. ეს დაბრუნდა, გვერდზე ჩამიარა და
მეუბნება: „დედავ, წყალი სად შეიძლება დავლიო?“ ჩვეულებრივად
მეკითხება, ვითომც აქ არაფერიაო. სადგურზე წყლის ბიდონი გვედ-
გა და ვუჩვენე. თვალეში ჩავხედე და ვუთხარი: „რატომ დასდევთ
ერთმანეთს? რატომ კლავთ?“ უცებ თითქოს შერცხვა. „დედავ, გა-
ჩუმდი“. მაგრამ როცა ერთად არიან, სხვანაირები ხდებიან. სამნი ან
ორნი რომ ყოფილიყვნენ, კედელთან მიმაყენებდნენ. ერთ ადამიანს
კიდევ შეიძლება, ელაპარაკო.

დუშანბედან ტაშკენტში ჩავედით, მერე მინსკში მოვდიოდით. ბი-
ლეთები არ არის და — მორჩა. ისე ეშმაკურად აქვთ აწყობილი, სანამ
ქრთამს არ გადაიხდი, თვითმფრინავში ვერ ჩაჯდები. ყველაფერზე
შარს გდებენ — წონაზეც, ზომაზეც: ეს არ შეიძლება, ის მოაშორე.
ორჯერ მიგვიყვანეს სასწორთან. ძლივს მიხვდი, ჩავუდე ფული...

„ადრე გექნა, რას ჩხუბობდი!“ თურმე, რაში ყოფილა საქმე! მანამდე ორი ტონაა კონტეინერიო, — გვაიძულეს დაგვეშალა. „ცხელი ადგილიდან მოდიხართ, ეგებ იარაღი ან ანაშა მოგაქვთ? უფროსთან შევედი და იქ, მისაღებში ერთი კარგი ქალი გავიცანი, იმან ამიხსნა: „აქ ვერაფერს მიაღწევთ. სამართლიანობას თუ მოითხოვთ, თქვენს კონტეინერს მინდორში დააგდებენ და გაძარცვავენ“. რა გვექნა? ღამე არ გვიძინია, დაგვაშლევინეს. და რა მოგვექონდა? ტანსაცმელი, მატრასები, ძველი ავეჯი და მაცივარი. ორი ტომარა წიგნები. შეხედეს: „ძვირფასი წიგნები მოგაქვთ?“ გახსნეს ჩერნიშევსკის „რა ვაკეთოთ“, შოლოხოვის „გატეხილი ყამირი“, — გაეცინათ... „რამდენი მაცივარი მიგაქვთ?“ — „ერთი და ისიც გაგვიტეხეს!“ „რატომ არ გაქვთ დეკლარაცია?“ — „არ ვიცოდით, ომიდან პირველად გამოვრბივართ“. ერთდროულად დავკარგეთ ორივე სამშობლო — ჩვენი ტაჯიკეთი და საბჭოთა კავშირი.

ტყეში დავდივარ და ვფიქრობ. ჩვენები სულ ტელევიზორს უსხედან: რა ხდება იქ? რა ამბებია? მე კი აღარ მინდა.

ვცხოვრობდით... სულ სხვა ცხოვრება გვექონდა... იქ დიდი ადამიანი ვიყავი, სამხედრო წოდებაც მაქვს — რკინიგზის ჯარების პოდპოლკოვნიკი. აქ უმუშევარი ვიყავი, სანამ დამლაგებლად არ მოვეწყვე ქალაქის საბჭოში. იატაკებს ვრეცხავ... გავიდა ცხოვრება... თავიდან დასაწყებად უკვე აღარ მაქვს ძალა... აქ ვიღაცებს ვეცოდებით, ვიღაცები ბრაზობენ: „ლტოლვილები კართოფილს იპარავენ. ღამით თხრიან“. იმ ომის დროს, დედაჩემი იგონებდა, ადამიანებს უფრო ეცოდებოდათ ერთმანეთით. ამასწინათ ტყესთან მკვდარი უპატრონო ცხენი ნახეს. იქვე — კურდღელი. მოკლულები კი არა, მკვდრები იყვნენ. ყველა შეწუხდა. ვიღაც უსახლკაროც ნახეს მკვდარი და — ვითომც არ ყოფილაო.

მკვდარ ადამიანს ხალხი ყველგან შეეჩვია...

ლენა მ. ყირგიზეთიდან. სახლის წინ, როგორც ფოტოზე, ისე ის-
ხდნენ მისი ხუთი შვილი და კატა მეტელიცა, რომელიც თან წამოიყ-
ვანეს...

მოვდიოდით, როგორც ომიდან...

ნივთები წამოვიღეთ, კატა სადგურამდე მოგვსდევდა და რაღა
გვექნა, წამოვიყვანეთ. თორმეტი დღე მოვდიოდით, ბოლო ორ
დღეს საჭმელად მართო ქილებში ჩაწყობილი კომბოსტოს მწნილი
და მდულარე გვექონდა. კარს ლომებით, ცულებითა და ჩაქუჩებით
დარაჯობდნენ. ამასაც გეტყვით — ერთ ღამეს ყაჩაღები დაგვესხნენ
თავს. კინალამ დაგვხოცეს. ჩვენ გამოვიქეციით ისე, თითქოს ომი
იყო, არადა ყირგიზეთში, სადაც ვცხოვრობდით, ჯერ არ ისვრიან. ქა-
ლაქ ოშში შეტაკებები იყო ყირგიზებსა და უზბეკებს შორის, მაგრამ
მალევე მიჩუმდნენ. რაღაც ავი კი ეკიდა ჰაერში... ქუჩებში... ჩვენ,
გასაგებია, რუსები ვართ, მაგრამ თვითონ ყირგიზებს ეშინოდათ...
პურზე დიდი რიგები იდგა, გვიყვიროდნენ ხოლმე: „რუსებო, წაეთ-
რიეთ სახლებში. ყირგიზეთი — ყირგიზებისთვის!“ — და რიგიდან
გვაგდებდნენ. მერე ყირგიზულად აგრძელებდნენ, რომ ჩვენთვის
არ გვეოფნის პური და კიდევ ამათ უნდა ვაჭამოთო. მე მათი ენა არ
მესმოდა, რამდენიმე სიტყვა ვიცოდი, რომ ბაზარში მევაჭრა, რაიმე
მეყიდა.

ჩვენ გვექონდა სამშობლო და ახლა აღარ გვაქვს. ვინ ვარ მე? დე-
და უკრაინელი მყავს, მამა — რუსი. დავიბადე და გავიზარდე ყირგი-
ზეთში, ცოლად თათარს გავყევი. ვინ არიან ჩვენი შვილები? რა
ეროვნების არიან? აირია, ყველა სისხლი ერთმანეთში აირია. ჩვენ
— საბჭოთა ადამიანები ვართ, მაგრამ ქვეყანა, სადაც დავიბადეთ,
აღარ არსებობს. აღარც ის ადგილია, რომელსაც სამშობლოს ვუწო-
დებდით და არც ის დრო, როცა სამშობლო გვექონდა. ახლა ისე
ვართ, როგორც ღამურები. ხუთი შვილი მყავს: უფროსი ბიჭი მერვე
კლასშია, უმცროსი გოგონა — საბავშვო ბაღში, აქ ჩამოვიყვანე. ჩვე-
ნი ქვეყანა აღარაა, მაგრამ ჩვენ ვარსებობთ.

მე იქ დავიბადე და გავიზარდე. ვაშენებდი ქარხანას, მერე იმავე ქარხანაში ვმუშაობდი. „იქ წადი, სადაც შენი მიწაა, აქ ყველაფერი ჩვენია. არაფრის წამოღების უფლება არ მომცეს, ბავშვების გარდა. „აქ ყველაფერი ჩვენია“ და ჩემი სადღაა? გამორბიან ადამიანები. მოდიან. რუსები ყველანი მოდიან. საბჭოთა ადამიანები. ისინი არსად არავის სჭირდება, მათ არავინ ელის.

ოდესღაც მეც ვიყავი ბედნიერი. ბავშვები სიყვარულით გავაჩინე... ასე მიყვლობით: ბიჭი, ბიჭი, გოგონა, გოგონა... მეტს ველარაფერს გეტყვით... ავტირდები... (მაინც ამატებს რამდენიმე სიტყვას). ჩვენ აქ დავრჩებით. ჩვენი სახლი ახლა აქაა. ჩერნობილი – ჩვენი სახლია. ჩვენი სამშობლოა... (უცვებ იღიმება). აქ ისეთივე ჩიტები დაფრენენ, როგორც იქ. ლენინის ძეგლიც დგას. (ჭიშკართან, დამშვიდობებისას) დილით გვერდით სახლში ჩაქუჩების ხმა გავიგე. ქალი შემხვდა: „საიდან ხართ?“ „ჩენიეთიდან“, მეტი არაფერი უთქვამს, შავი კაბით დადის.

აქ ხალხი მხვდება... უკვირთ... არ ესმით, მეუბნებიან, რას უკეთებ შენს შვილებს, კლავო. თვითმკვლელი ხარო. კი არ ვკლავ, გადავარჩინე. აი, ორმოცი წლის ვარ და სულ გამითეთრდა თმა. ერთხელ გერმანელი ჟურნალისტი მომიყვანეს სახლში და მკითხა: „ჩაიყვანდით იქ შვილებს, სადაც ჭირი და ქოლერაა?“ ჭირი და ქოლერა... ეს შიში, რომელიც აქაა, ჩემთვის უცნობია. მე მას ვერ ვხედავ. არაა ჩემს მესხიერებაში.

მე ადამიანების მეშინია... თოფიანი ადამიანის...“

მონოლოგი იმაზე, რომ მართო ბოროტებაშია ადამიანი გაწაფული, მაგრამ როგორი უბრალო და უმწეოა სიყვარულის მარტივ სიტყვებში

გამოვიქეცი... მთელ სამყაროს გამოვექეცი... პირველ ხანებში სადგურებს ვაფარებდი თავს, მომწონდა სადგურები, მომწონდა, რომ უამრავი ადამიანია, შენ კი — მარტო ხარ. მერე გაბეთებში წავიკითხე და აქ ჩამოვედი. აქ თავისუფლებაა. მე ვიტყვოდი — სამოთხეა. ადამიანები არ არიან. ცხოველებსა და ფრინველებთან ერთად ვცხოვრობ. ნუთუ მაინც მარტო ვარ?

დავივიწყე საკუთარი ცხოვრება... ნულა გამომკითხავთ... მახსოვს ის, რაც წიგნებში წამიკითხავს, ისიც მახსოვს, რასაც სხვები მიყვებოდნენ, ჩემი ცხოვრება კი დამავიწყდა. ახალგაზრდა ვიყავი. ცოდვა მადევს... არ არსებობს ისეთი ცოდვა, რომელსაც ღმერთი არ გვაპატიებს, თუ გულწრფელად მოვინანიებთ. როგორაა? ადამიანები უსამართლოები არიან, ღმერთი კი მომთმენი და მოწყალეა...

რატომ... რატომ არ გვაქვს პასუხები? ადამიანს არ შეუძლია, იყოს ბედნიერი. არ შეუძლია. ღმერთმა ნახა მარტოხელა ადამი და აჩუქა ევა. ბედნიერებისთვის აჩუქა და არა — ცოდვისთვის. მაგრამ არ გამოსდის ადამიანს ბედნიერება. აი, მე, არ მიყვარს ბინდი. სიბნელე. არ მიყვარს ის მომენტი, როცა დღე ღამით იცვლება. ვფიქრობ და ვერ გამიგია, სად ვიყავი აქამდე. სადაა ჩემი ცხოვრება? ჩემთვის სულერთია. რალაცნაირად... შემიძლია ვიცხოვრო და შემიძლია, არც ვიცხოვრო. ადამიანის ცხოვრება ბალახითაა — იფურჩქნება, მერე იფიტება და ცეცხლში იწვის... შემიყვარდა ფიქრი... აქ შეიძლება ერთნაირად მოკვდე მხეცისგან, სიცვიისგან და ფიქრისგანაც. ათეულობით კილომეტრზე ერთი ადამიანიც კი არ შეგხვდება. ეშმაკს ლოცვისა და მარხვის ეშინია. მარხვა — სხეულისთვისაა, ლოცვა — სულისთვის. მაგრამ მე არასდროს ვარ მარტო. მორწმუნე ადამიანი აღარაა მარტო... როგორღაც... სოფლებში დავდივარ. ადრე ვნახულობდი მაკარონს, ფქვილს, მცენარეულ ზეთს და კონსერვებს. ახლა საფლავებზე დავდივარ. მკვდრებს უტოვებენ საჭმელსასმელს. მათ კი არ სჭირდებათ და არ ბრაზობენ. მინდორში — ვე-

ლურად იზრდება მარცვლეული. ტყეში — სოკო და კენკრა. აქ თავისუფლებაა. ბევრს ვკითხულობ.

გადავშალოთ წმინდა წიგნები... იოანეს გამოცხადება: „მესამე ანგელოზმა ჩაჰბერა და ჩამოვარდა ზეცით ლამპარივით მოელვარე ვეება ვარსკვლავი და დაეცა მესამედს მდინარეთა და წყაროებს წყალთა. ხოლო სახელად ვარსკვლავისა ითქმის აფსინთი, და წყლის მესამედი აფსინთად იქცა, და ურიცხვი ხალხი ამოწყდა წყალთაგან, რადგანაც მწარენი გახდნენ“.

ამ წინასწარმეტყველების აზრს მივხვდი... წმინდა წიგნებში უკვე ყველაფერი ნაწინასწარმეტყველებია, მაგრამ ჩვენ კითხვა არ ვიცით. აღარ გვესმის. „აფსინთი“ უკრაინულად „ჩერნობილია“. ღმერთმა მოგვცა ნიშანი, მაგრამ ადამიანი მოუსვენარი და ამპარტავანია, პატარაა...

მამა სერგი ბულგაკოვთან ვიპოვე: „უთუოდ ღმერთმა შექმნა სამყარო და ამიტომ, შეუძლებელია რომ სამყარომ არ გაამართლოს“ და „საჭიროა მამაცურად და მოთმინებით გავიაროთ ისტორია“... თითქოს... თუ სხვასთან ვნახე? სახელი არ მახსოვს. აზრი დამამახსოვრდა: „ბოროტება არ არის სუბსტანციური, არამედ სიკეთის ნაკლებობაა, ისევე, როგორც სხვა არაფერია სინენლე, თუ არა სინათლის ნაკლებობა“. წიგნებს აქ იოლად ვპოულობ, აქ უკვე თიხის ქოთანს და კოვზს ვერ იპოვი, თორემ წიგნები ბლომადაა. ამასწინათ პუშკინის ტომი ვიპოვე. დამამახსოვრდა: «И СМЕРТИ МЫСЛЬ МИЛА ДУШЕ МОЕЙ» (ციტატა ალექსანდრე პუშკინის ლექსიდან „ნაცნობი ბრძოლა“: „სიკვდილზე ფიქრიც ძვირფასია ჩემი სულისთვის“.

). როგორღაც... აქ სრულიად მართო ვარ. სიკვდილზე ვფიქრობ. შემიყვარდა ფიქრი. სიჩუმე გეხმარება მოსამზადებლად... ადამიანი სიკვდილში ცხოვრობს და არ ესმის, ვერ ხვდება ამას. მე კი აქ მართო ვარ. გუშინ მგელი და მისი ლეკვები გამოვყარე სკოლის შენობიდან. იქ ცხოვრობდნენ.

კითხვა: ნამდვილია თუ არა სამყარო, რომელიც უკვე სიტყვაშია მოქცეული? სიტყვა დგას ადამსა და სულს შორის... როგორღაც...

კიდევ ერთს გეტყვით: ჩიტების, ხეების, ჭიანჭველების მესმის. ადრე ასეთი გრძნობები არ მქონია. არც მიეჭვია. კიდევ, ვილაცასთან წავიკითხე: „სამყარო ჩვენ ზემოთ და სამყარო ჩვენს ქვემოთ“. ყველაზე და ყველაფერზე ფიქრობ. ადამიანი საშიშია. და უცნაურია. მაგრამ აქ არ მინდა, რაიმე მოვკლა. ვთევზაობ, ანკესი მაქვს... მაგრამ მხეცს ვერ ვესვრი. არც ხაფანგებს ვუდგამ... ჩემი საყვარელი გმირი, თავადი მიშკინი ამბობდა: „შეიძლება ხედავდე ხეს და არ იყო ბედნიერი?“ როგორღაც... შემეყვარდა ფიქრი... ადამიანი კი, უფრო ხშირად წუწუნებს, ვიდრე ფიქრობს...

რატომ ვუყურებთ ბოროტებას? რა თქმა უნდა, გვაღელვებს... ცოდვა — ეს ხომ ფიზიკის სფეროდან არ არის... აუცილებელია ვადიაროთ არარსებული. „თქვენ მოგეცათ, რომ იცოდეთ ღვთის სასუფევლის საიდუმლოებანი, ხოლო სხვებს იგავებით მიეცათ(ლუკა 8.10.

)“... მაგალითად, ჩიტი ან რომელიმე სხვა სულიერი... მათ ვერ გაუგებთ, იმიტომ, რომ თავისთვის ცხოვრობენ და არა — სხვებისთვის. როგორღაც... ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ირგვლივ ყველაფერი მიედინება...

ყველა სულიერი ოთხ ფეხზე დადის, მიწას უყურებს და მიწისკენ მიისწრაფვის. მარტო ადამიანი დგას მიწაზე, ხოლო ხელებით და თავით ზეცისკენაა მიმართული. ლოცვისკენ... ღმერთისკენ... ბებერი ეკლესიაში ლოცულობს: „ცოდვების გამო ვისჯებით“. მაგრამ არც მეცნიერი, არც ინჟინერი და არც სამხედრო ამას არ აღიარებს. ფიქრობენ, — მე არაფერი მაქვს მოსანანიებელიო, რატომ უნდა მოვინანიო... რატომღაც...

მარტივად ვლოცულობ... ჩემთვის ვკითხულობ... ღმერთო, მომხედე, გაიგონე ჩემი ხმა! მარტო ბოროტებაშია ადამიანი გაწაფული, მაგრამ როგორი უბრალო და უმწეოა სიყვარულის მარტივ სიტყვებ-

ში. სიტყვებს ფილოსოფოსებთანაც კი მიახლოებითი მნიშვნელობა აქვთ იმ აზრებთან მიმართებაში, რომლებსაც ისინი ჩაწვდნენ. სიტყვა მხოლოდ ლოცვის დროს შეესაბამება ზუსტად იმას, რაც სულშია. მე ამას ფიზიკურად ვგრძნობ. ღმერთო, მომხედე და მომისმინე!

მეც ადამიანი ვარ...

მეშინია ადამიანის. და მაინც მინდა, რომ შევხვდე... კარგად ადამიანს. როგორღაც... აქ ან ბანდიტები ცხოვრობენ, იმალებიან, ან ისეთები, როგორც მე ვარ. წამებულები.

რა გვარი ვარ? პასპორტი არა მაქვს. მილიციამ წაიღო. მცემეს. „რას დახეტილობ?“ – არ დახეტილობ, ვინანიებ. თავში მირტყეს... ასე რომ, დაწერეთ: მონა ღვთისა, ნიკოლაი.

უკვე – თავისუფალი ადამიანი...”

ჯარისკაცთა ქორო

არტიომ ბახტიაროვი, რიგითი; ოლეგ ლეონტიევიჩ ვორობეი, ლიკვიდატორი; ვასილი იოსიფოვიჩ გუსინოვიჩი, მძღოლი-მზვერავი; გენადი ვიქტოროვიჩ დემენევი, მილიციონერი; ვიტალი ბორისოვიჩ კარბალევიჩი, ვალენტინ კომკოვი, მძღოლი, რიგითი; ედუარდ ბორისოვიჩ კოროტკოვი, მფრინავი; იგორ ლიტვინი, ლიკვიდატორი; ივან ალესანდროვიჩ ლუკაშუკი, რიგითი; ალექსანდრ ივანოვიჩ მიხალევიჩი, დოზიმეტრისტი; ოლეგ ლეონიდოვიჩ პავლოვი, მაიორი, მფრინავი; ანატოლი ბორისოვიჩ რიბაკი, დაცვის ცვლის უფროსი; ვიქტორ სანკო, რიგითი; გრიგორი ნიკოლაევიჩ ხვოროსტი, ლიკვიდატორი; ალექსანდრ ვასილევიჩ შინკევიჩი, მილიციონერი; ვლადიმირ პეტროვიჩ შვე-

დი, კაპიტანი; ალექსანდრ მიხაილოვიჩ იასინსკი, მილიციონერი.

„ჩვენი პოლკი განგაშით წამოაგდეს... დიდხანს ვიარეთ. კონკრეტულს არავინ არაფერს გვეუბნებოდა. ბოლოს და ბოლოს, მოსკოვში, ბელარუსის სადგურზე გამოგვიცხადეს, სადაც მივდიოდით. ერთმა ბიჭმა, მგონი, ლენინგრაძელმა, გააპროტესტა: „მინდა ვიცოცხლო!“ ეგრევე ტრიბუნალით დაემუქნენ. მწყობრში ვიდექით და მეთაურმა უთხრა: „წახვალ ციხეში ან დაგხვრეტენ!“ მე კი სხვა განცდები მქონდა. სულ საპირისპირო. გმირობა მინდოდა. საკუთარი თავის გამოცდა. შეიძლება ბავშვური აღტყინებაც იყო? მაგრამ ჩემნაირები უფრო მეტნი აღმოვჩნდით. მთელი საბჭოთა კავშირიდან მსახურობდნენ ბიჭები ჩვენთან — რუსები, უკრაინელები, კაზაკები, სომხები... გვეშინოდა და თან ვმხიარულობდით კიდევ.

ჩამოგვიყვანეს... პირდაპირ სადგურზე მიგვიყვანეს. თეთრი ხალათები და თეთრი ქუდები მოგვცეს. დოლბანდის პირბადე. ტერიტორიას ვასუფთავებდით. ერთი დღე ქვემოთ ვთხრიდით, მეორე დღეს — ზემოთ, რეაქტორის სახურავზე. ორივეგან ნიჩბებით. იმათ, ვინც ზემოთ ადიოდა, „წეროებს“ ეძახდნენ. რობოტები ვერ უძლებდა, ტექნიკა იშლებოდა ჭკუიდან. ჩვენ კი ვმუშაობდით. სისხლი ყურებიდან და ცხვირიდან მოგვასხამდა, ყელში გვებზინებოდა, თვალებში გვიბნელდებოდა. ყურები გამუდმებით გვიწულოდა. გვინდოდა დაგვეღია, მაგრამ არ შეგვეძლო. ტყუილად რომ არ გვესუნთქა რადიაცია, ვარჯიში აგვიკრძალეს. სამუშაოზე კი ღია სატვირთო მანქანებით მივყავდით.

მაგრამ კარგად ვმუშაობდით და ამით ძალიან ვამაყოფდით“.

„შევედით... ნიშანი იდგა: „დახურული ზონა“. ომში არ ვყოფილვარ, მაგრამ თითქოს ნაცნობი განცდა იყო... სადღაც, მახსოვრობაში დალექილი... საიდან იყო ეს გრძნობა? რაღაც სიკვდილს უკავშირდებოდა...

გზებზე გაველურებულ ძაღლებს და კატებს ვხვდებოდით... უცნაურად იქცეოდნენ, ვერ ცნობდნენ ადამიანებს, გაგვიბობდნენ... ვერ ვხვდებოდი, რა სჭირდათ, სანამ არ გვიბრძანეს, — დაგვეხვრიტა. სახლები დალუქული იყო, კოლმეურნეობის ტექნიკა — მიტოვებული... საინტერესო სანახავი იყო. არავინ არ არის, მხოლოდ ჩვენ და მილიცია. ვპატრულირებთ. შედისარ სახლში — ფოტოები კიდია, დოკუმენტები ყრია: კომკავშირის ბილეთები, მოწმობები, ქების სიგელები... ერთი სახლიდან დროებით ტელევიზორი გამოვიტანეთ, მაგრამ ვინმეს რამე რომ მოეპარა, არ მინახავს. ჯერ ერთი, გვეგონა, რომ ადამიანები სულ მალე დაბრუნდებიან, მეორეც — ეს... ეს იყო რაღაც, რაც სიკვდილს უკავშირდებოდა...

მივდიოდით ბლოკთან, პირდაპირ რეაქტორთან... ფოტოების გადასაღებად... გვინდოდა, ჩვენთანებთან გვეტრაბახა... გვეშინოდა, მაგრამ თან ძალიან გვინტერესებდა: რა არის? მე ვერ გავხედე და უარი ვთქვი, ახალგაზრდა ცოლი მყავდა დატოვებული, მაგრამ ბიჭები ორას გრამს გადაკრავდნენ და მიდიოდნენ... აი, ასე... (გაჩუმდა) ცოცხლები დაბრუნდნენ — ე. ი. ყველაფერი რიგზეა.

შევუდექი ღამის მორიგეობას. ვპატრულირებთ... ნათელი მთვარე, როგორც ფარანი, ისე კიდია.

სოფლის ქუჩა... არც ერთი ადამიანი. პირველ დღეებში სახლებში შუქი ენთო, მერე ელექტროენერგია გამორთეს. მივდივართ — სკოლის კარიდან პირდაპირ ჩვენკენ გარეული ტახი მორბის ან მეღია. სახლებში, სკოლებში, კლუბებში მხეცები დასახლდნენ. იქ კი ეკიდა პლაკატები: „ჩვენი მიზანი — მთელი კაცობრიობის ბედნიერებაა!“ „პროლეტარიატი მთელ მსოფლიოში გაიმარჯვებს!“ „ლენინის იდეები სამარადეჟამოდ იცოცხლებს!“ კოლმეურნეობის შენობებში — წითელი დროშები, ახალი ალმები... მჭიდროდ ჩალაგებული სიგელები ბელადების პროფილე-

ბით, კედლებზე — ბელადების პორტრეტები... მაგიდებზეც — თაბაშირის ბელადები. სხვა ძეგლები არც მინახავს. სახლში დამზადებული ნაცრისფერი პატარა ბეტონის საძროხეები, სენაჟის დაჟანგული კოშკები და ისევ — დიდი და პატარა დიდების ყორღანები... „ესაა ჩვენი ცხოვრება? — ვეკითხებოდი საკუთარ თავს და ყველაფერს სხვისი თვალით ვუყურებდი. — ეს ჩვენ ვცხოვრობთ ასე?“ თითქოს საომარი ცეცხლი მოწყდა დროებით სადგურს და სადღაც გაფრინდა...

ჩერნობილმა ტვინი ამიფეთქა. ფიქრი დავიწყე“.

„მიტოვებული სახლი... დაკეტილი. ფანჯარაზე — კნუტი ზის. მეგონა, თიხის იყო. მივუახლოვდი: ცოცხალია. ქოთნებში ყველა ყვავილი გაუკვნეთია. ნემსიწვერები. როგორ მოხვდა აქ? შეიძლება, დაავიწყდათ, რომ წაეყვანათ?“

კარზე წარწერაა: „კეთილო გამვლელო, ძვირფასეულობას ნუ მოძებნი. არ გვქონია. გამოიყენე ყველაფერი, მაგრამ არ გაგვექურდო. ჩვენ დავბრუნდებით!“. სხვა სახლებზე ფერადი საღებავით წაწერათ: „გვაპატიე, ჩემო სახლო“. სახლს ისე ემშვიდობებოდნენ, როგორც ადამიანს. წერდნენ: „სალამოს წავედით“, ან „დილით წავედით“, აღნიშნავდნენ თარიღს, საათს, წუთსაც კი. ბავშვის ხელით მოსწავლის რვეულის ფურცლებზე გაკეთებული წარწერები: „ნუ ცემ კატას, ვირთხები ყველაფერს გადაჭამენ“, ან „არ მოკლათ ჟულკა, ის კარგია“ (თვალეხს ხუჭავს). ყველაფერი დამავიწყდა. მარტო ის მახსოვს, სად წავედი დამეტი აღარაფერი. ყველაფერი დამავიწყდა. დემობილიზაციიდან მესამე დღეს მესხიერებას რაღაც დაემართა... ექიმებიც ვერ ხვდებიან. ფულის დათვლაც კი არ შემიძლია, მემღეობა... დავძრწივარ საავადმყოფოებში...

მოგიყევით უკვე თუ არა? მიხვალ და გგონია, სახლი ცარიელია. გააღებ და — კნუტი ზის. და ეს ბავშვების დატოვებული წარწერები...“

„მოგვიყვანეს სამუშაოზე.“

სამუშაო კი ასეთი იყო: ადგილობრივები გამოსახლებულ სოფლებში არ უნდა შეევშვათ. ვიდეით და ვდარაჯობდით გზებს, ვაშენებდით მიწაყრილებს, სათვალთავლო კოშკებს. მშვიდობიანი დროებაა... მაგრამ ჩვენ ვდგავართ. რატომღაც პარტიზანები შეგვარქვეს. სამხედრო ფორმა გვეცვა. გლეხებს არ ესმოდათ, თუ რატომ არ შეიძლებოდა საკუთარი ეზოდან წამოეღოთ ვედრო, დოქი, ხერხი და ცული. ან მოსავალი აეღოთ. როგორ აგვეხსნა? სინამდვილეში ასე იყო: გზის ერთ მხარეს დგანან ჯარიკაცები, ხალხს არ უშვებენ, ხოლო მეორე მხარეს — ძროხებს მწყემსავენ, კომბაინები გუგუნებს და ყანებს მკის. შეიკრიბებიან ქალები და ტირიან: „ბიჭებო, შეგვიშვით, ეს ხომ ჩვენი მიწაა... ჩვენი ქოხებია... მოაქვთ კვერცხი, სალა, არაყი... შეგვიშვით... ტიროდნენ მოწამლული მიწის, ავეჯის, ნივთების გამო...“

ჩვენი სამსახური კი ასეთი იყო: არ უნდა შეგვეშვა. ბებიას ერთი კალათა კვერცხი მოჰქონდა — კონფისკაცია უნდა მოგვეხდინა და დაგვემარხა. ძროხა მოუწველია, ვედროთი რძე მოჰქონდა და ჯარისკაცი მოსდევდა... ჩუმად თხრიდნენ კარტოფილი — ჩვენ უნდა წაგვერთმია... ჭარხალიც, ხახვიც, გოგრაიც. უნდა დაგვემარხა ყველაფერი. მოსავალი მოწეულია. ირგვლივ სილაამაზეა. ოქროს შემოდგომაა. მაგრამ ყველანი შემლილი სახეებით დავდივართ. ისინიც, ჩვენც...

გაბეთებში კი ჩვენს გამირობაზე წერდნენ. იმაზე, რომ გმირი ბიჭები ვართ. მოხალისე კომკავშირლები!

და ვინ ვიყავით სინამდვილეში? რას ვაკეთებდით? მინდა, ამის შესახებ გავიგო... წავიკითხო... მიუხედავად იმისა, რომ თავად ვიყავი იქ...“

„მეომარი ვარ. მიბრძანებენ და უნდა შევასრულო. ფიცი მაქვს დადებული...“

თუმცა, ეს ყველაფერი არ არის... გმირული სულისკვეთებაც იყო. ასე გვასწავლიდნენ... სკოლიდანვე გვინერგავდნენ... მშობლებიც... იქაც გამოდიოდნენ პოლიტაგიტატორები... რადიო... ტელევიზია... ადამიანები სხვადასხვანაირად რეაგირებდნენ: ვიღაცებს უნდოდათ, რომ მათგან აეღოთ ინტერვიუ, დაებეჭდათ გაზეთში, მეორენი ყველაფერს უყურებდნენ, როგორც სამუშაოს, ხოლო მესამენი... ასეთებიც მინახავს, ცხოვრობდნენ განცდით, რომ გმირები არიან. ისტორიაში მონაწილეობენ. კარგად გვიხდიდნენ, მაგრამ ფულის ამბავი გადამწყვეტი არ ყოფილა. ხელფასი ოთხასი მანეთი მქონდა. იქ კი ათას მანეთს მიხდიდნენ, საბჭოთა მანეთს. იმ დროს ეს დიდი ფული იყო. მერე გვაყვედრიდნენ: „ფულს ნიჩბებით ხვეტავდნენ, დაბრუნდნენ და მანქანებს, ავეჯს ურიგოდ იღებენ!“ რა თქმა უნდა, საწყენია, იმიტომ, რომ გმირული სულისკვეთება იყო...

სანამ ჩავიდოდი, შიში გამიჩნდა, ცოტა ხნით. ჩავედი და შიშიც გაქრა. რომ შემძლებოდა და დამენახა — ეს შიში... ბრძანება... სამუშაო... დავალეხა... ძალიან მაინტერესებდა რეაქტორისთვის ზემოდან, შვეულმფრენიდან დამეხედა: რა მოხდა? როგორ გამოიყურებოდა რეაქტორი? მაგრამ ამის გაკეთებას გვიკრძალავდნენ. ბარათში ოცდაერთი რენტგენი ჩემიწერეს, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ ეს ასეა. ყველაზე მარტივი პრინციპით მუშაობდნენ: ჩაფრინდებოდი რაიონულ ცენტრ ჩერნობილში (სხვათა შორის, ეს სულ პატარა ქალაქია და არა ისეთი გრანდიოზული, როგორიც წარმომედგინა), იქ, სადგურიდან ათ-თხუთმეტ კილომეტრში დოზიმეტრისტი იჯდა და რადიაციულ ფონს ზომავდა. ეს ანაზომები მერე იმ საათების რაოდენობაზე მრავლდებოდა, რამდენსაც იმ დღეს ვიფრენდით. მაგრამ ავფრინდი და რეაქტორთან მივფრინდი: იქით-აქეთ, ორი მიმართულებით, დღეს იქ ოთხმოცი რენტგენია, ხვალ — ას ოცი. ღამით ორი საათი რეაქტორის თავზე ვტრიალებდი. ინფრაწითელ სხივებს ფოტოკამერით ვიღებდით, გამოტყორცნილი გრაფიტის ნაწი-

ლაკები ფირზე „ნათდებოდა“. დღისით მათი გარჩევა შეუძლებელი იყო.

მეცნიერებს ველაპარაკე: ერთი მეუბნებოდა: „შემიძლია თქვენი შვეულმფრენი ენით ავლოვო და არაფერიც არ დამემართებაო“, მეორე კი: „ბიჭებო, დამცავის გარეშე დაფრინავთ? სიცოცხლეს იმოკლებთ? შეიფუთნეთ, დაიმაღეთ!“ ნათქვამია, იმან, ვინც იხრჩობა, საკუთარ თავს თავადვე უნდა უშველოსო. სკამებზე ტყვიის ფირფიტები დავაწყვეთ. ასევე თხელი ტყვიის ფირფიტებისგან ჟილეტები ამოვჭერით. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ისინი ერთი სახის გამოსხივებისგან გვიცავდა, სხვებისგან კი – არა. სახე ყველას დაგვეწვა, დაგვეშაშხა, ვერ ვიპარსავდით. დილიდან ღამემდე დავფრინავდით. ფანტასტიკური არაფერი ყოფილა. მძიმე სამუშაო იყო და ვმუშაობდით. ღამღამობით ტელევიზორთან ვისხედით, იმ დროს მსოფლიო ჩემპიონატი იყო ფეხბურთში. ცხადია, ფეხბურთზეც ვლაპარაკობდით.

დავფიქრდით... რომ არ მოგატყუოთ... ალბათ სამი-ოთხი წლის მერე დავფიქრდით... როცა ჯერ ერთი გახდა ავად, მერე — მეორე... ვიღაც მოკვდა... ვიღაც გაგიჟდა... ვიღაცამ თავი მოიკლა... მაშინ დავიწყეთ ფიქრი... მე მგონია, შეიძლება ოცი-ოცდაათი წლის მერე გავიგოთ, რა მოხდა. ჩემთვის კი ავღანეთი (ორი წელი ვიყავი იქ) და ჩერნობილი (იქ სამი თვე დავყავი) განვლილი ცხოვრების ყველაზე ელვარე მომენტებია...

მშობლებისთვის არ მითქვამს, ჩერნობილში რომ გამგზავნეს. ძმამ შემთხვევით იყიდა გაზეთი „იზვესტია“ და იქ ჩემი პორტრეტი ნახა... მიუტანა დედას და აჩვენა — „აი, შეხედე, გმირი“... დედა ატირდა...“

„სადგურისკენ მივემართებოდით...

გზაში ევაკუირებული ადამიანების კოლონები გვხვდებოდა. ტექნიკა გამოყავდათ. საქონელი, დღე და ღამე. მშვიდობიან დროს...

მივდიოდით... და იცით, რა დავინახე? ჩვეულებრივ გზაზე. მზის სხივების ქვეშ... ულამაზესი ნათება... რაღაც კრისტალებით ანათებდა... უმცირესი ნაწილაკები... კალინკოვიჩის მხარეს მივდიოდით, მოზირის გავლით... რაღაც ელვარებდა... ერთმანეთს გადავულაპარაკეთ, ძალიან გვიკვირდა. სოფლებში, სადაც ვმუშაობდით, ფოთლებზე ნახვრეტები შევნიშნეთ, განსაკუთრებით ალუბლის ხეებზე. კიტრს და პამიდორს ვკრეფდით და ფოთლები სულ შავად ჰქონდათ დახვრეტილი... შემოდგომა იყო. მოცხარის ბუჩქები ალისფერი ნაყოფით ელავდა, ვაშლისგან დახუნძლული ტოტები მიწაზე იყო გართხმული — რა გასაკვირია, ვერ ვიკავებდით თავს და ვჭამდით. გვისხნიდნენ, რომ არ შეიძლება. ჩვენ კი ვჩხუბობდით და მაინც ვჭამდით.

წავედი... თუმცა, შემეძლო, არც წავსულიყავი. მოხალისედ ჩავეწერე. პირველ დღეებში იქ გულგრილი არავინ მინახავს, ეს მერე იყო — სიცარიელე თვალეებში, როცა უკვე შევეჩვიეთ... ორდენი მინდოდა? შეღავათები? რა სისულელეა! არაფერიც არ მჭირდებოდა. ბინა, მანქანა... კიდევ რა? აგარაკი... ყველაფერი მქონდა. მამაკაცური აზარტის ბრალი იყო... ნამდვილი მამაკაცები ნამდვილი საქმის საკეთებლად წავედით. დანარჩენები? დაე, მსხდარიყვნენ ქალების კალთების ქვეშ! ერთმა ცნობა მოიტანა — ცოლი მშობიარობსო, მეორემ — პატარა ბავშვი მყავსო... ჰო, სარისკო იყო. რადიაცია საშიშია, მაგრამ ვილაცას ხომ უნდა გაეკეთებინა საქმე? ხომ მიდიოდნენ ჩვენი მამები ომში?

შინ დავბრუნდით. ყველაფერი, რაც მეცვა, მთელი ტანსაცმელი ნაგავში გადავყარე. პილოტურა(პილოტურა — სამხედრო ფორმის ქუდი, რომელიც საბჭოთა ჯარისკაცებს ეხურათ.

) კი ჩემს ბიჭუნას ვაჩუქე. ძალიან ბევრი მეხვეწა. სულ ეხურა, არ იხდიდა. ორი წლის შემდეგ კი დიაგნოზი დაუსვეს: თავის ტვინის სიმსივნე...

დანარჩენი, თქვენ დაამთავრეთ... აღარ მინდა დანარჩენზე ვილაპარაკო..."

„ახალდაბრუნებული ვიყავი ავღანეთიდან. სიცოცხლე მინდოდა... მინდოდა, ცოლი მომეყვანა... ეგრევე ცოლის მოყვანაზე ვფიქრობდი..."

უცებ წითელბოლიანი უწყება მოვიდა: „სპეცშეკრება“ — ერთ საათში უნდა მივსულიყავი მითითებულ მისამართზე. დედა მაშინვე ატირდა. იფიქრა, რომ ისევ ომში მივყავდი.

სად მივყავართ? რატომ? ძალიან მწირი ინფორმაცია გვქონდა. რეაქტორი აფეთქებულა? და მერე რა? სლუცკიში გამოვიცვალეთ, სამხედრო აღჭურვილობა მოგვცეს და იქ გაირკვა, რომ რაიონულ ცენტრ ხოინიკიში მივდივართ. ჩავედით ხოინიკიში, იქ ხალხმა ჯერ არაფერი იცოდა. ისინიც, ჩვენსავით პირველად ხედავდნენ დობიშტერს. რაღაც სოფელში ჩაგვიყვანეს, სადაც ქორწილი დაგვხვდა — ახალგაზრდები ერთობოდნენ, ცეკვავდნენ, არაყს სვამდნენ. გვიბრძანეს — გრუნტის ზედაპირი მოჭერით, ხეები ამოთხარეთო...

იარაღი მოგვცეს. ავტომატები. იმ შემთხვევისთვის, თუკი ამერიკელები დაგვესხმებოდნენ თავს... პოლიტმეცადინეობებზე კითხულობდნენ ლექციებს დასავლური სპეცსამსახურების დივერსიულ და ძირგამომთხრელ საქმიანობაზე. საღამოობით იარაღს ცალკე გამოყოფილ კარავში ვტოვებდით. ბანაკშივე. ერთი თვის შემდეგ წაიღეს. არავითარი დივერსანტები არ მოსულან — მხოლოდ რენტგენები... კიურები...

ცხრა მაისს — გამარჯვების დღეს გენერალი ჩამოვიდა. მოგვაწყვეს. დღესასწაული მოგვილოცეს. ერთი გამოდგა მამაცი და იკითხა: „რატომ გვიმალავთ, როგორია რადიოფონი? რა დოზე-

ბის ვიღებთ?“ მხოლოდ ერთმა გაბედა. გენერალი რომ წავიდა, მეთაურმა დაიბარა და კარგად გამოლანძღა: „პროვოკაციას აწყობ! პანიკორი ხარ!“ რამდენიმე დღის შემდეგ რაღაც აირწინალები მოგვცეს, მაგრამ არავის უხმარია. დოზიმეტრები ორჯერ გვაჩვენეს, მაგრამ არ მოუციათ. სამ თვეში ერთხელ შინ გვომშვებდნენ. ერთს გვთხოვდნენ — არაყი გვეყიდა. ბოთლებით სავსე ორი რუკზაკი წავიღე. ხელისგულზე მატარეს.

სახლში გამგზავრებამდე ყველას გვიბარებდა „კაკებეშნიკი“ (კაკებეშნიკი — ასე უწოდებდნენ საბჭოთა უშიშროების სპეცსამსახურის (КГБ) თანამშრომლებს.

) და დაჟინებით მოითხოვდა: არსად და არავისთვის არ მოგვეცოლა იმის შესახებ, რაც ვნახეთ. ავლანეთიდან რომ დავბრუნდი, ვიცოდი — ვიცოცხლებდი! ჩერნობილში კი ყველაფერი უკუღმა იყო: ვიცოდი, შინ დაბრუნებულს მომკლავდა.

დავბრუნდი... და ყველაფერი ახლა იწყება...”

„რა დამამახსოვრდა... რა ჩამებეჭდა მეხსიერებაში?

მთელი დღეები დავძრწოდით სოფლებში... დოზიმეტრისტებითან ერთად. არც ერთი ქალი არ გვთავაზობდა ვაშლს... კაცებს ნაკლებად ეშინოდათ: შინნახადი არაყი და სალა მოჰქონდათ: „მოდით, ვისადილოთ!“ უხერხულია უარის თქმა, მაგრამ ცეზიუმით სადილობაც არაა სახალისო. ვსვამდი. მაგრამ არაფერს ვაყოლებდი.

მანქანის ბორბლებქვეშ თეთრი სოკოები ხრატუნობდა. ნუთუ ეს ნორმალურია? მდინარეში მსუქანი და ზარმაცი ლოქოები დაცურავდნენ, ჩვეულებრივზე ხუთჯერ-შვიდჯერ დიდები. ნუთუ ეს ნორმალურია? ნუთუ?

ერთ სოფელში მაინც დაგვსვეს სასადილოდ... შემწვარი ცხვრის ხორცი ჰქონდათ. მასპინძელმა დალია და გამოგვიტყდა: „ბატკანი იყო, დავკალი, იმიტომ რომ აღარ შემეძლო მეყურებინა. ისეთი მახინჯი იყო! ამ სიტყვების გაგონების შემდეგ ეგრევე გადავკარი შინ-

ნახადი არაყი. მასპინძელი იცინოდა: „ჩვენ აქ ვადაპტირდით, როგორც კოლორადოს ხოჭოები“.

დოზიმეტრი მივიტანეთ სახლთან და — ელავდა...

„ათი წელი გავიდა... თითქოს არც არაფერი ყოფილა... ავად რომ არ გავმხდარიყავი, ახლა უკვე აღარც მემახსოვრებოდა...“

სამშობლოს უნდა ემსახურო! სამშობლოს სამსახური — წმინდა საქმეა. მიიღებ თეთრეულს, ფეხსახვევს, ჩექმას, სამხრეულეებს, პილოტურას, შარვალს, გიმნასტურას, ქამარს, ჩანთას და უნდა წახვიდე! თვითმცლელი მომცეს. ბეტონი გადამქონდა. კაბინაში ვიჯექი და მჯეროდა, რომ რკინა და შუშები მიცავდა. იყო და თითქოს არც იყო... გვჯეროდა, ყველაფერი კარგად იქნებოდა... ახალგაზრდა ბიჭები ვიყავით, უცოლოები. რესპირატორებს არ ვხმარობდით. მხოლოდ ერთი მახსოვს, მოხუცი მძღოლი, ის ყოველთვის ნიღბით იყო. ჩვენ — არა. ავტონისპექტორებიც უნიღბოდ იყვნენ. ჩვენ კაბინაში მაინც ვისხედით, ისინი — რადიოაქტიურ მტვერში ატარებდნენ რვა საათს. ყველას კარგად გვიხდიდნენ — სამი თვის ხელფასს და კიდევ სამივლინეზო თანხასაც. ვიცოდით, არაყი გვშველიდა, ორგანიზმის დამცავი მექანიზმის აღსადგენი უპირველესი საშუალება. სტრესსაც ხსნიდა. ტყუილად კი არ აძლევდნენ ომის დროს ცნობილ ნარკომისეულ(ნარკომი — სახალხო კომისრის (Народный комиссар) შემოკლებული ფორმა. სსრკ-ში სახალხო კომისარიატი აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იყო 1919-1949 წლებში. სამინისტროს ანალოგი, რომელსაც სახალხო კომისარი მართავდა.

) 100-100 გრამს. ჩვეულებრივი სურათი: მთვრალი პოლიციელი მთვრალ მძღოლს აჯარიმებდა.

საბჭოთა გმირების სასწაულებზე ნუ დაწერთ! ჰო, იყო გმირობებიც. მაგრამ უპირველესად — გულგრილობა, უთავბოლობა, მერე კი, — გმირობებიც. ამბრაზურას მკერდით რომ ეფარებოდ-

ნენ... ამგვარი ბრძანების გაცემა რომ არ შეიძლება, ამაზე არავინ წერს. ისე მიგვაყარეს რეაქტორს, როგორც ქვიშა. ყოველ დღე ახალ „საბრძოლო ფურცელს“ გამოკიდებდნენ ხოლმე: „მამაცურად და თავდადებულად მუშაობენ!“, „გავძლებთ და გავიმარჯვებთ!“ ლამაზ სიტყვებს „ცეცხლის ჯარისკაცებს“ გვეძახდნენ.

გმირობისთვის სიგელი და ათასი მანეთი მომცეს...”

„თავიდან ვერ ვხვდებოდით... გვეგონა, რომ საბრძოლო სწავლება იყო... ან თამაში...”

მაგრამ ეს ნამდვილი ომი იყო. ატომური ომი. ჩვენთვის მანამდე უცნობი: არავინ იცოდა, რა იყო საშიში და რა არა; რას უნდა მოვრიდებოდით და რას — არა... ვერც ვერავის ჰკითხავდი. ნამდვილი ევაკუაცია... სადგურებზე... რა ხდებოდა სადგურებზე? ჩვენ ვეხმარებოდით და ბავშვებს ვაგონების ფანჯრებში ვტენიდი. რიგებში წესრიგს ვამყარებდით... სალაროებთანაც დიდი რიგები იყო და აფთიაქებშიც — იოდზე. რიგებში იგინებოდნენ და ჩხუბობდნენ. ღვინისა და პროდუქტის მაღაზიების კარებს ტეხდნენ, შუშებს ამსხვრევდნენ, ცხაურებს ლეწდნენ. ცხოვრობდნენ კლუბებში, სკოლებში, საბავშვო ბაღებში. ნახევრად მშვირები დადიოდნენ. ფული ყველას მალე გაუთავდა. მაღაზიებშიც დამთავრდა პროდუქტი.

ვერ ვივიწყებ ქალებს, ჩვენს თეთრეულს რომ რეცხავდნენ. სარეცხი მანქანები არ იყო და არც არავინ იფიქრა, შემოეტანათ. ხელით რეცხავდნენ. ყველანი ხანში შესულები იყვნენ. ხელები სულ დაწყლულებული და დასისხლიანებული ჰქონდათ. თეთრეული მართო ჭუჭყიანი კი არ იყო, ათობით რენტგენს ასხივებდა... „ბიჭებო, ჭამეთ“, „ბიჭებო დაიძინეთ“, „ბიჭებო, თქვენ ხომ ასეთი ახალგაზრდები ხართ. თავს გაუფრთხილდით“... გვიცოდებდნენ და ტირილობდნენ...

ნეტავ, ცოცხლები არიან ახლა?

ყოველ წელს ოცდაექვს აპრილს ვიკრიბებით, ისინი, ვინც იქ ვიყავით. ისინი, ვინც ცოცხლები ვართ. იმ დროს ვიხსენებთ. ჯარისკა-

ცები ვიყავით, ომში ვიყავით, საჭირონი ვიყავით... ცუდი დაგვა-
ვიწყდა, ეს კი გვახსოვს. გვახსოვს, რომ ჩვენ გვერდს ვერ აგვივ-
ლიდნენ. ჩვენი სისტემა, რომელიც სიმართლე რომ ითქვას, ისე-
დაც სამხედროა, კარგად მუშაობს განსაკუთრებული ვითარებე-
ბის დროს. და შენც, ბოლოს და ბოლოს, იქ თავისუფალი და აუ-
ცილებელი ხარ. თავისუფლება! რუსი ადამიანი სწორედ ასეთ
დროს აჩვენებს, თუ როგორი ძლიერი და უნიკალურია! ჰოლან-
დიელებად და გერმანელებად ჩვენ ვერასდროს ვიქცევით. არას-
დროს გვექნება გამძლე ასფალტის საფარი და გაკრეჭილი გაზო-
ნები. მაგრამ გმირები ყოველთვის მოიძებნებიან!”

„ჩემი ისტორია...”

მოგვიწოდეს და — წავედი. ასე იყო საჭირო! პარტიის წევრი
ვიყავი. კომუნისტებო, წინ! — ასეთი მდგომარეობა იყო. მილი-
ციაში ვმუშაობდი. უფროსი სერჟანტი ვიყავი. ახალ „ვარსკვლავ-
საც“ დამპირდნენ. 1988 წლის ივნისი იყო. სამედიცინო შემოწმე-
ბა უნდა გაგვევლო, მე შემოწმების გარეშე წამიყვანეს. ვიღაცამ
ცნობა მოიტანა, რომ კუჭის წყლული ჰქონდა და იმის ნაცვლად
მე წავედი. სასწრაფოდ! აი, ასეთი მდგომარეობა იყო (იცინის). იმ
დროისთვის უკვე ანეკდოტებიც გაჩნდა... ერთი წუთით... მოდის
ქმარი სახლში და ცოლს ეწუწუნება, — „გვითხრეს ხვალ ან ჩერ-
ნობილში მიდიხართ, ან პარტიილეთს დადებთ მაგიდაზე“, —
„და შენ რომ უპარტიო ხარ?“ — „ჰოდა, მაგას ვფიქრობ, საიდან
მოვიტანო ხვალამდე პარტიილეთი!“

მივდიოდით, როგორც სამხედროები, მაგრამ პირველ ხანებ-
ში სამშენებლო ბრიგადაში გაგვაერთიანეს. აფთიაქს ვაშენებ-
დით. ეგრევე დამეწყო სისუსტე, ღამლამობით — ხველა. ექიმთან
წავედი: „ყველაფერი რიგზეა, ცხელა!“ სასადილოში კოლმეურ-
ნეობიდან მოჰქონდათ ხორცი, რძე, არაჟანი. ექიმს პირი არაფ-
რისთვის დაუკარებია. ამზადებდნენ საჭმელს, ექიმი ჟურნალში
აღნიშნავდა, რომ ნორმას შეესაბამება, მაგრამ თვითონ არა-

ფერს ეკარებოდა. ჩვენ ამას ვხედავდით. ასეთი მდგომარეობა იყო... სასოწარკვეთილები ვიყავით... მერე მარწყვი შემოვიდა, თაფლით სავსე სკები...

დაიწყო ყაჩაღობაც. ყველაფერი გაჰქონდათ. ჩვენფანჯრებსა და კარებს ვჭედავდით. კოლმეურნეობის შენობებში სეიფებს ვლუქავდით, სოფლის ბიბლიოთეკებს... შემდეგ კომუნკაცციებს ვთიშავდით, ცეცხლი რომ არ წაკიდებოდა შენობას...

მაღაზიები გაქურდულია, ფანჯრები — ჩალეწილი. ფქვილი და შაქარი ფეხებში გვიყრია, კანფეტებს ფეხით ვჭყლეთ... ყრია გატეხილი ქილები... ერთი სოფლიდან ხალხი გაასახლეს, ათ-თხუთმეტ კილომეტრში კი ვიღაცები ისევ ცხოვრობენ. მიტოვებული სოფლიდან ნივთებს თავისთან ეზიდებიან. ასეთი მდგომარეობაა. ჩვენ კი ვიცავთ... ყოფილი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჩამოდის ადგილობრივებთან ერთად, ისინი უკვე სადღაც ჩაუსახლებიათ, ახალი სახლები აქვთ, მაგრამ მოდიოდნენ, რომ მარცვალი აეღოთ, დაეთესათ. თივის ფუთები გაჰქონდათ. ამ ფუთებში ვპოულობდით დამალულ საკერავ მანქანებს, მოტოციკლებს, ტელევიზორებს. ისეთი გამოსხივება იყო, რომ ტელევიზორები არ ირთვებოდა... ბარტერი: გაძლევდნენ შინნახადი არაყის ბოთლს, ჩვენ კი — უფლებას, ბავშვის ეტლი წაეღოთ. ყიდდნენ და ცვლიდნენ ტრაქტორებს, სათეს მანქანებს... ერთი ბოთლი... ათი ბოთლი... ფული არავის აინტერესებდა... (იცინის). ყველაფერს თავისი ფასი ჰქონდა: ერთი ბიდონი ბენზინი — ნახევარი ლიტრი შინნახადი არაყი ღირდა, კარაკულის ქურქი — ორი ბოთლი, მოტოციკლი — გააჩნია, რამდენზე მოილაპარაკებდით. ნახევარ წელიწადში წამოვედი. ნახევარი წელი იყო გაწერილი დრო. შემდეგ სხვები მოდიოდნენ. ჩვენ ცოტა მეტ ხანს დავტოვეს, იმიტომ, რომ ბალტიისპირეთიდან უარი თქვეს ჩამოსვლაზე. ასეთი მდგომარეობა იყო... მაგრამ ვიცი, რომ მოიპარეს, წამოიღეს ყველაფერი, რისი აწევა და წამოღებაც შეიძლებოდა. სკოლის ქიმიის ლაბორატორიიდან გამოჰქონდათ ხელსაწყოები... ზონა აქ

გადმოიტანეს... მოძებნეს ბაზრებში, საკომისიო მაღაზიებში, აგარაკებზე...

მავთულხლართებს იქით მარტო მიწა დარჩა... და საფლავები... ჩვენი წარსული — ჩვენი დიდი ქვეყანა“.

„ჩავედით ადგილზე. მოვემზადეთ... შევიმოსეთ...“

ვიკითხეთ — „სად მოვხვდით?“ „ავარიას, გვამშვიდებს კაპიტანი, დიდი ხნის წინ მოხდა, სამი თვე გავიდა და უკვე აღარაა საჭირო“. სერჟანტმა: „ყველაფერი კარგადაა, ოღონდ ხელები დაიბანეთ ჭამის წინ“.

ღობიმეტრისტად ვმსახურობდი. შებინდებოდა და ჩვენს სავახტო ვაგონთან მოდიოდნენ ბიჭები მანქანებით. ფული... სიგარეტი... არაფი... ჩანთებს ალაგებდნენ. სად მიჰქონდათ? ალბათ კიევში ან მინსკში... ძველმანების ბაზრობებზე... რაც რჩებოდა, ვმარხავდით. კაბებს, ჩექმებს, სკამებს, გარმონებს, საკერავ მანქანებს... ორმოებში ვმარხავდით, რომლებსაც მერე „ძმათა სასაფლაოებს“ ვეძახდით.

შინ დავბრუნდი. საცეკვაოდ წავედი. გოგონა მომეწონა.

— მოდი, ვიმეგობროთ,

— რატომ? შენ ახლა ჩერნობილელი ხარ. ვინღა გამოგყვება ცოლად?

მეორე გოგონა გავიცანი. ვკოცნიდით, ვეხვეოდით ერთმანეთს. მმაჩის ბიურომდე მივიდა საქმე.

— მოდი, ვიქორწინოთ, — შევთავაზე.

რალაც ასეთი მკითხა: და შენ შეგიძლია?

წავიდოდი, და ალბათ, წავალ კიდევ... მაგრამ მშობლები მეცოდება...“

„მეც ჩემი მოგონებები მაქვს...“

ჩემი ოფიციალური თანამდებობა ასეთი იყო: დაცვის ცვლის უფროსი... რალაც აპოკალიფსის ზონის დირექტორივით (იცინის). ასე ჩაწერეთ.

პრიპიატიდან მომავალ მანქანას ვაჩერებთ. ქალაქი უკვე ევაკუირებულია. ხალხია აღარაა. „გვიჩვენეთ საბუთები“ — არ აქვთ არანაირი საბუთი. საბარგული ბრეზენტითაა დახურული. ვწევთ ბრეზენტს: ოცი ჩაის სერვიზი, ავეჯი, სავარძლები, ტელევიზორი, ხალიჩები, ველოსიპედები...

ოქმს ვწერ.

მოაქვთ ხორცი დასამარხად. მთელ-მთელი ძროხებია, მაგრამ ბარკლები არ არის. მოუჭრიათ.

ოქმს ვწერ.

მივიღეთ ცნობა, რომ მიტოვებულ სოფელში სახლს შლიდნენ. ნომრავდნენ და მისაბმელიან ტრაქტორზე აწყობდნენ მორებს. სასწრაფოდ გავემართეთ მითითებულ მისამართზე. დამნაშავეები დავიჭირეთ. უნდოდათ გაეტანათ სახლი და გაეყიდათ, როგორც აგარაკი. უკვე ავანსად ფულიც აეღოთ მომავალი მფლობელებისგან.

ოქმს ვწერ.

ცარიელ სოფელში გაველურებული ღორები დაძრწოდნენ. ძაღლები და კატები კი პატრონებს ჭიშკრებთან ელოდნენ. ცარიელ სახლებს დარაჯობდნენ.

ძმათა სასაფლაოზე დადგები... დაბზარული ქვა სახლებით: კაპიტანი ბოროდინი, უფროსი ლეიტენანტი... რიგითების სახელების გრძელი სიები, ლექსებივით... ბირკები, ჭინჭრები, ოროვანდები...

მოვლილ ბოსტანს წავაწყდით. კუთხეში პატრონი დგას, გვხედავს:

— ბიჭებო, არ იყვიროთ. უკვე მოვაწერეთ ხელი. გაზაფხულზე მივდივართ.

— მაშ, რატომ ხნავთ ბოსტანს?

— ეს ხომ საშემოდგომო სამუშაოებია...

მესმის, მაგრამ ოქმი მაინც უნდა შევადგინო..."

„წადით, თქვენი..."

ცოლმა დაავლო ხელი ბავშვს და წავიდა. ძუკნა! თავს არ ჩამოვიხრჩობ ვანკა კოტოვივით... არც მეშვიდე სართულიდან გადავხტები. ძუკნა! იქიდან ფული ჩემოდნით ჩამოვიტანე, მანქანაც ვიყიდე, იმას — წავის ქურქი... მაშინ კი ცხოვრობდა ჩემთან. არ ეშინოდა (უცებ სიმღერას იწყებს)...

Даже тысяча рентген

Не положит русский член... („რუსულ ასოს ათასი რენტგენიც კი ვერ დააგდებს“ (ბჭკარედული თარგმანი).

),

კარგი ჩასტუშკაა(ჩასტუშკა — რუსულ ფოლკლორში გავრცელებული სახუმარო პატარა ლექსი.

). იქიდანაა. გინდათ ანეკდოტი? (მაშინვე ყვება) ქმარი შინ ბრუნდება რეაქტორიდან. ცოლი ექიმს ეკითხება: „რა მოვუხერხო ქმარს?“ ექიმი პასუხობს: „დაბანეთ, ჩაეხუტეთ, დემაქტივაცია მოახდინეთ“. ძუკნა! ჩემი ეშინია. ბავშვი წაიყვანა! (უცებ სერიოზულად) ჯარისკაცები ვმუშაობდით... რეაქტორის გვერდით... ცვლიდან ცვლამდე ვხედავდი ხოლმე: „ბიჭებო, ასამდე ვითვლი! მორჩა! წინ!“ მეც, ისევე როგორც სხვებს, ყელზე მთვლეელი მეკიდდა. ცვლის შემდეგ ვაგროვებდი და პირველ, საიდუმლო განყოფილებაში ვაბარებდი... იქ იწერდნენ მონაცემებს, ვითომ ჩვენს ბარათებში შეჭქონდათ, მაგრამ ვინ რამდენი რენტგენი მიიღო — სამხედრო საიდუმლო იყო. ძაღლები! რაღაც დრო გადის და გუბნებიან: „სტოპ! შენთვის აღარ შეიძლება!“ მთელი სამედიცინო ინფორმაცია... წამოსვლისასაც კი არ გაგვიმხილეს, რამდენი ძაღლები! ახლა ისინი ძალაუფლებისთვის იბრძვიან! პორტფელისთვის... არჩევნები აქვთ... კიდევ გინდათ ანეკდოტი? ჩერნობილის შემდეგ ყველაფრის ჭამა შეიძლება, ოღონდ განავალი — ტყვიაში უნდა ჩაიმარხოს... ხა-ხა-ხა! ცხოვრება მშვენიერია, მაგრამ ისეთი ხანმოკლე...

როგორ უნდა გვიმკურნალონ? არავითარი დოკუმენტი არ წამოგვიღია... მე ვეძებდი... ყველა ინსტანციას მივმართე... მივიღე და ვინახავ სამ პასუხს. პირველი: დოკუმენტები განადგურებულია, რადგან მათი შენახვის ვადა სამი წელია. მეორე — დოკუმენტები განადგურებულია ჯარის პერესტროიკის შემდგომი(პერესტროიკა — საბჭოთა რეფორმებისა და ახალი იდეოლოგიის სახელწოდება, რომელიც პარტიის გენერალურმა მდივანმა მიხაილ გორბაჩოვმა 1985 წელს დაიწყო და გულისხმობდა სხვადასხვა რეფორმას — პოლიტიკურს, სოციალურს და ა. შ.

) შემცირებისა და ნაწილების რეფორმირების გამო, მესამე — დოკუმენტები განადგურებულია, რადგან ისინი რადიოაქტიური იყო. და იქნებ იმიტომ გაანადგურეს, რომ სიმართლე არავის გაეგო? ჩვენ — მოწმეები ვართ. მაგრამ მალე დავიხოცებით. როგორ დავუმართო ჩვენს ექიმებს? ახლა რომ მქონდეს ცნობა, რამდენი რენტგენი მივიღე! ჩემს ძუკნას ვუჩვენებდი... მე მას კიდევ დავუმტკიცებ, რომ ჩვენ გადავრჩებით ნებისმიერ პირობებში, ცოლსაც მოვიყვანთ და ბავშვებსაც გავაჩენთ.

აი, ლიკვიდატორის ლოცვა: „ღმერთო, თუკი ისე გააკეთე, რომ არ შემიძლია, გააკეთე ისეც, რომ არ მიხდოდეს“... წადით, თქვენი...

„იწყებოდა... ყველაფერი ისე იწყებოდა, როგორც დეტექტივი...

ქარხანაში სადილის დროს დარეკეს. რომელიღაც თადარიგის რიგითს ქალაქის სამხედრო კომისარიატში იბარებენ საბუთებში რაღაცის დასაზუსტებლად. თანაც — სასწრაფოდ. კომისარიატში კი... ჩემნაირი იქ ბევრი იყო, კაპიტანი დაგვხვდა და სათითაოდ ყველას გვიმეორებდა: „ხვალ წახვალთ დასახლება კრასნოეში და გავივლით სამხედრო შეკრებას“. მეორე დღით ყველანი სამხედრო კომისარიატთან შევიკრიბეთ. სამოქალაქო დოკუმენტები, სამხედრო ბილეთები გამოგვართვეს და ავტობუსებში ჩავსხვს. მერე გაურკვეველი მიმართულებით წაგვიყვანეს. ოფიცრები ყველა შეკითხვაზე დუმილით გვპასუხობდნენ. „ძმებო! ჩერნობილში ხომ არ მივ-

ღივართ?“ — ვილაც მიხვდა. უფროსობა: „გაჩუმდით! პანიკის და-
თესვისთვის სამხედრო ტრიბუნალი გაგასამართლებთ საომარი
დროის კანონებით!“ რამდენიმე ხანში კი განგვიმარტეს: „სამ-
ხედრო მდგომარეობაში ვართ. არავითარი საუბრები! ვინც სამ-
შობლოს უბედურების დროს მიატოვებს, — გამყიდველია!“

პირველ დღეს ატომური სადგური შორიდან დავინახეთ. მე-
ორე დღეს უკვე მის გვერდით ვაგროვებდით ნაგავს. ვედროებით
გამოგვქონდა... ჩვეულებრივი ნიჩბებით ვიღებდით, ისეთივე
ცოცხებით ვმუშაობდით, მეგზოვები რომ ხმარობენ... აქანდაბე-
ბით. მარტივი ამბავია — ნიჩაბი სილისთვის და ქვიშისთვისაა.
მაგრამ არა — ნაგვისთვის, სადაც ყველაფერი იყო: არმატურის,
ხის, ბეტონის ნაჭრები... როგორც იტყვიან, ატომზე ნიჩბით! მე-
ოცე საუკუნე. ტრაქტორები და ბულდოზერები, რომლებსაც იქ
იყენებდნენ, მძლოლის გარეშე, დისტანციურად იმართებოდა.
ჩვენ კი მათ უკან მივსდევდით და ნარჩენებს ვაგროვებდით. იმ
მტვერს ვსუნთქავდით. ცვლის განმავლობაში ოცამდე „ისტრია-
კოვის ფურცელს“ (ისტრიაკოვის ფურცელი (пепестков Истриякова)
— ასე უწოდებდნენ ჩერნობილის ლიკვიდატორები სპეციალურ
პირბადეს, რომელიც რადიაციისგან იცავს.

) ვიცვლიდით, ხალხი მათ „ალიკაპებს“ ეძახდა. ხშირად ვიძ-
რობდით... ვერ ვსუნთქავდით, განსაკუთრებით, სიცხეში, მზის
ქვეშ.

ამ ყველაფრის შემდეგ... კიდევ სამ თვეს გავდიოდით სამხედ-
რო შეკრებას... მიზანში ვისროდით... ახალი ავტომატის ხმარე-
ბას ვსწავლობდით, ატომური ომის დროს გამოგვადგებოდა...
(ირონიით) მე ასე მგონია... ტანსაცმელიც არ შეგვიცვალეს, იმა-
ვე გიმნასტურებში და ჩექმებში ვიყავით, რაც რეაქტორთან გვეც-
ვა.

ჰო, ხელი მოგვაწერინეს ქალაქდზე... რომ არაფერს ვიტყო-
დით. მეც ვდუმდი... და რომც მოეცათ უფლება, ვისთვის უნდა მო-

მეყოლა? ჯარის შემდეგ ეგრევე მეორე ჯგუფის ინვალიდი გავხდი. ქარხანაში ვმუშაობდი. ქარხნის უფროსი: „მორჩი ავადმყოფობას, თორემ შეგამცირებთ!“ შემამცირეს. წავედი დირექტორთან: „არ გაქვთ უფლება! ჩერნობილელი ვარ, თქვენ გადაგარჩინეთ, დაგიცავით!“ „ჩვენ არ გაგვიგზავნიხარ იქ!“

ღამდამობით დედანემის ხმა მალვიძებს: „შვილო, რატომ ხარ ჩუმად? არ გძინავს, გახელილი თვალებით წევხარ. შუქიც გინთია...“ მე ვდუმვარ. ვინ მომისმენს? ვინ დამელაპარაკება ისე, რომ ვუპასუხო... ჩემს ენაზე...

მარტოსული ვარ...“

„სიკვდილის უკვე აღარ მეშინია... თვითონ სიკვდილის...“

მაგრამ არ ვიცი, როგორი სიკვდილით მოვკვდები... მეგობარი კვდებოდა... გაიზარდა, გაიბერა... ვასრივით... მეზობელი... ისიც იქ იყო, ამწებზე მუშაობდა. ნახშირივით გაშავდა და გამოხმა, დაპატარავდა... სიკვდილს თუ ვინატრებ, ჩვეულებრივს, და არა ჩერნობილურს. ერთი რამე ვიცი: ჩემი დიაგნოზით დიდხანს არ ცოცხლობენ. იგრძნობ დასასრულს და ტყვიას დაიხლი შუბლში. ავღანეთშიც ვიყავი... ის უფრო ადვილია, ეს... ტყვია...

ავღანეთში მოხალისედ წავედი. ჩერნობილშიც. თავად ჩავეწერე. ქალაქ პრიპიატში ვმუშაობდი. ქალაქი ორმაგი მავთულხლართებით იყო გარშემორტყმული, თითქოს სახელმწიფოს საზღვარი იყო. სუფთა მრავალსართულიანი სახლები და ქვიშის სქელი ფენით დაფარული ქუჩები ამოთხრილი ხეებით... ფანტასტიკის ჟანრის ფილმის კადრებს ჰგავდა. ვასრულებდით ბრძანებას — უნდა გაგვერეცხა ქალაქი და დაბინძურებული მიწის ოცსანტიმეტრიანი ფენა ამხელავე ქვიშის ფენით შეგვეცვალა. გამოსასვლელი დღეები არ გვექონდა — როგორც ომში. საგაზეთო სტატიას ვინახავ... ოპერატორ ლეონიდ ტოპტუნოვზე, იმ ღამეს მორიგეობდა სადგურზე და სწორედ მან დააჭირა ხელი აფეთქებამდე რამდენიმე წუთით ადრე სა-

ავარიო წითელ ღილაკს, რომელმაც არ იმუშავა. მოსკოვში მკურნალობდნენ. „რომ გადარჩეს, საჭიროა სხეული“ – ხელებს შლიდნენ ექიმები. მას კი მხოლოდ ერთი სუფთა, დაუსხივებელი ლაქა ჰქონდა ზურგზე. მიტინსკის სასაფლაოზე დაკრძალეს. კუბოს ფოლგა ამოაკრეს... გულზე მეტრნახევრიანი ბეტონის, ტყვისსარჩულიანი ფილები დაადეს. ჩავიდა მამა... დგას, ტირის... ხალხი დადის და ეუბნებიან: „მაგ ძაღლისშვილმა ააფეთქა!“ არადა, ის ოპერატორი იყო... ისე დამარხეს, როგორც კოსმოსიდან მოფრენილი...

სჯობდა, ავღანეთში მოვეკალი! მართალს ვამბობ, ასეთი ფიქრები მომდის თავში... იქ სიკვდილი ჩვეულებრივი, გასაგები ამბავი იყო...“

„შვეულმფრენიდან...

მიწასთან ახლოს მივდიოდი, ვაკვირდებოდი... შვლები, გარეული ტახები... გამხდრები, ძალადაღეულები... ისე მოძრაობდნენ, თითქოს შენელებული კადრებიანო. იქაური ბალახით იკვებებოდნენ და იქაურ წყალს სვამდნენ. არ ესმოდათ, უნდა წასულიყვნენ, ადამიანებთან ერთად უნდა გაქცეულიყვნენ...

წასულიყავი თუ არა? გაფრენილიყავი თუ არა? კომუნისტი ვარ, როგორ შემეძლო, არ გავფრენილიყავი? ორი შტურმანი დადგა უარზე, ახალგაზრდა ცოლები გვყავს, შვილები ჯერ არ გაუჩენიათ... შეარცხვინეს. მორჩა მათი კარიერაც. კაცების სასამართლოც მოუწყვეს. ღირსების სასამართლო! გესმით, აზარტიცაა – სხვამ ვერ შეძლო, მე კი – წავალ. ახლა სხვანაირად ვფიქრობ – ცხრა ოპერაცია და ორი ინფარქტი გადავიტანე. არავის განვსჯი, მესმის მათი, ახალგაზრდები იყვნენ. მაგრამ მე მაინც გავფრინდებოდი. ზუსტად ვიცი. სხვამ ვერ შეძლო, მე კი – წავალ. მამაკაცურია!

ზემოდან... სიმაღლიდან... ტექნიკის რაოდენობა ძალიან შთამბეჭდავი იყო: მძიმე შვეულმფრენები, საშუალო ზომის შვე-

ულმფრენები... MI-24 — სამხედრო შვეულმფრენია... რა უნდა გაგეკეთებინა სამხედრო შვეულმფრენით ჩერნობილში? ან სამხედრო გამადგურებლით MI-2-ით? მფრინავები... პატარა ბიჭები... ტყეში, რეაქტორის გვერდით იდგნენ და რენტგენებს იჭერდნენ... ბრძანება! სამხედრო ბრძანება! მაგრამ რა საჭირო იყო იქ ამ რაოდენობის ხალხის დასასხივებლად გაგზავნა? რატომ? (ყვირილზე გადადის). სპეციალისტები იყო საჭირო და არა — ბევრი ადამიანი. ზემოდან დანგრეული შენობა და ჩამოქცეული ხარახურის გროვები ჩანდა... და ადამიანების პატარა ფიგურების გიგანტური რაოდენობა. რალაც გერმანიიდან ჩამოტანილი ამწე იდგა, ერთი გაიარა სახურავზე და მოკვდა. ჩვენი რობოტები, მარსზე სამუშაოებისთვის აკადემიკოს ლუკაჩოვის მიერ შექმნილები... გარეგნულად ადამიანის მსგავსი იაპონური რობოტი... მაგრამ მათ, როგორც ჩანს, შიგნეული მაღალი რადიაციისგან დაეწვათ... ჯარისკაცები კი რეზინის კოსტიუმებში, რეზინის ხელთათმანებით დარბოდნენ... ისეთი პატარები ჩანდნენ, როცა ზემოდან დაჰყურებდი...

ყველაფერს ვიმახსოვრებდი... ვფიქრობდი, ჩავალ, ბიჭს მოვუყვები-მეთქი... ჩამოვედი და: „მამა, რა იყო იქ? „ომი“. ველარ ვიპოვე საჭირო სიტყვები...“

თავი მეორე

ქმნილებათა გვირგვინი

მონოლოგი ძველი წინასწარმეტყველებების გამო

„ჩემი გოგონა... ისეთი არ არის, როგორც ყველა... აი, გაიზრდება და მკითხავს: „რატომ არ ვარ ისეთი?“

როცა დაიბადა... ბავშვი კი არა, ცოცხალი ტომარა იყო, ყველა მხრიდან გაკერილი, ერთი ნახვრეტიც კი არ ჰქონდა, მარტო თვა-

ლებს ჭყეტდა. სამედიცინო ბარათში წერია: „გოგონა, დაბადებული მრავალი კომპლექსური პათოლოგიით: ანუსის აპლაზია, საშვილოსნოს აპლაზია, მარცხენა თირკმლის აპლაზია“... ასე ჟღერს სამედიცინო ენაზე, ჩვეულებრივზე კი — არც ფუჩუ, არც ტაკო, ერთი თირკმელი... მეორე დღესვე საოპერაციოდ წავიყვანე, სიცოცხლის მეორე დღეს... თვალი გაახილა და იმ წამსვე გამიცინა, თავიდან ვიფიქრე, რომ ტირილი უნდოდა... ღმერთო, გამიცინა! მისნაირები ვერ ცოცხლობენ, ეგრევე კვდებიან. ის კი ცოცხლობს, იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს. ოთხ წელიწადში — ოთხი ოპერაცია გაუკეთეს. ბელარუსში ერთადერთი ბავშვია, რომელიც გადარჩა ასეთი კომპლექსური პათოლოგიებით. ძალიან მიყვარს (ჩერდება). მეტ ბავშვს ველარ გავაჩენ. ვერ გავბედავ. სამშობიაროდან დავბრუნდი... ღამით ქმარი მკოცნის და მთელი სხეულით ვკანკალებ — ჩვენთვის არ შეიძლება... ცოდვა... მეშინია... გავიგონე, ექიმები ერთმანეთში როგორ ლაპარაკობდნენ: „ბავშვი პერანგით კი არა, ჯავშნით დაიბადა. ტელევიზორში რომ აჩვენონ, არც ერთი ქალი აღარ გააჩენს...“ ჩვენს გოგონაზე ამბობდნენ. ამის შემდეგ როგორ უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი?

ეკლესიაში წავედი. მღვდელს მოვუყევი. მითხრა, ცოდვები უნდა მოინანიო. ჩვენს გვარში არავის მოუკლავს... რაში ვარ დამნაშავე? თავიდან უნდოდათ ჩვენი დასახლებაც გაეყვანათ ევაკუაციაში, მაგრამ მერე სიიდან ამოგვიღეს: სახელმწიფოს ფული აღარ ეყო. მე კი სწორედ ამ დროს შემიყვარდა. გავთხოვდი. არ ვიცოდი, თუ ჩვენთვის სიყვარული არ შეიძლებოდა. წლების წინ ბებიაჩემი კითხულობდა ბიბლიაში, რომ დადგება ბოროტი ხანა, როცა ყველაფერი ბლომად იქნება, ყველაფერი აყვავდება და ნაყოფით დაიხუნძლება, მდინარეები თევზით აივსება, ტყეები — მხეცებით, მაგრამ ამ ყველაფრის გამოყენებას ადამიანი ველარ შეძლებს. ველარ შეძლებს გააჩინოს თავისნაირები, გა-

აგრძელოს უკვდავება. ძველ წინასწარმეტყველებს ისე ვისმენდი, როგორც ზღაპრებს. მაშინ არ მჯეროდა. ყველას მოუყევით ჩემი გონას შესახებ. დაწერეთ. ოთხი წლისაა და მღერის, ცეკვავს, ლექსებს ამბობს ზეპირად. გონებრივად სრულიად ნორმალურადაა განვითარებული, არაფრით განსხვავდება დანარჩენი ბავშვებისგან, თუმცა, მაინც სხვანაირია. თოჯინებით „სკოლობანას“ და „მალაზიობანას“ კი არა, „საავადმყოფობანას“ თამაშობს: ნემსებს უკეთებს, თერმომეტრს უდებს, წვეთოვანს უდგამს, უკვდება თოჯინა და თეთრ ბეწარს აფარებს. ოთხი წელია საავადმყოფოში ვცხოვრობთ, არ შეიძლება მისი იქ მართო დატოვება და თან არც იცის, რომ სახლში უნდა იცხოვროს. როცა ორი-სამი თვით შინ მომყავს, მეკითხება: „საავადმყოფოში როდის დავბრუნდებით?“ მეგობრებიც იქ ჰყავს, იქ ცხოვრობენ და იბრუნდებიან. ტაკო გაუკეთეს... საშვილოსნოს გაკეთებას ცდილობენ. ბოლო ოპერაციის შემდეგ სრულიად შეწყდა შარდის გამოყოფა, კათეტერი ვეღარ ჩაუდგეს — კიდევ რამდენიმე ოპერაციაა საჭირო. გვირჩიეს, უცხოეთში წადით საოპერაციოდო. საიდან მოვიტანო ათობით ათასი დოლარი, როცა ჩემი ქმრის ხელფასი თვეში ას ოცი დოლარია? ერთმა პროფესორმა ჩუმად მითხრა: „ასეთი პათოლოგიებით თქვენი შვილი საინტერესოა მეცნიერებისთვის. მისწერეთ უცხოურ კლინიკებს. წესით, უნდა დაინტერესდნენ“... და მეც ვწერ... (ცდილობს, არ ატირდეს). ვწერ, რომ ნახევარ საათში ერთხელ მუცელზე ხელით ვაწვები, შარდი რომ გამოიყოს. შარდი საშვილოსნოს მიდამოებში გადმოდის პატარა ნახვრეტით. ეს რომ არ გავაკეთო, ერთადერთი თირკმელიც უღალატებს. სადმე მსოფლიოში არის კიდევ სხვა ბავშვი, რომელსაც ნახევარ საათში ერთხელ შარდს ხელით უღებენ? და რამდენ ხანს შეიძლება ამას გაუძლო? (ტირის). არ ვაძლევდი ჩემს თავს ტირილის უფლებას, არ შეიძლება ჩემთვის ტირილი... ყველა კარზე ვაკაკუნებ. ვწერ. მიიღეთ ჩემი გოგონა, თუნდაც თქვენი ცდებისთვის... სამეცნიერო გამოკვლევებისთვის. თანახმა ვარ, იყოს საცდელი ბაყაყივით, საცდელი

ბოცვერით, ოღონდაც გადარჩეს (ტირის). ათობით წერილი დაწერე... ღმერთო!

ჯერ არ ესმის, მაგრამ ოდესმე მკითხავს: რატომ არაა ისეთი, როგორც ყველა? რატომ ვერ შეძლებს, მამაკაცი შეიყვაროს? რატომ ვერ შეძლებს ბავშვის გაჩენას? რატომ არ ექნება ის, რაც აქვს პეპელას... ჩიტს... ყველას, მის გარდა... მე მინდოდა... მე მინდოდა დამემტკიცებინა... რომ გაიზრდებოდა, ცოდნოდა, რომ მე და მამამისი... ჩვენი სიყვარული არაა დამნაშავე... (ისევე ცდილობს, არ ატირდეს). ოთხი წელი ვიბრძოლე — ექიმებთან, ჩინოვნიკებთან... დიდ კაბინეტებში შეღწევას ვცდილობდი... ოთხი წლის შემდეგ მომცეს სამედიცინო ცნობა, რომელიც ამტკიცებს იონიზებული რადიაციის (მცირე დოზების) კავშირს მის საშინელ პათოლოგიებთან. ოთხი წლის განმავლობაში უარით მისტუმრებდნენ. მიმტკიცებდნენ, „თქვენი გოგონა — ბავშვობის ინვალდიიაო“. როგორაა ბავშვობის ინვალდი? ჩერნობილის ინვალდიია. მთელი საგვარეულო ხე შევისწავლე: ჩვენს გვარში ყველანი ოთხმოც-ოთხმოცდაათ წლამდე ცოცხლობდნენ. — ბაბუაჩემი ოთხმოცდაათოთხმეტი წლისა მოკვდა. ექიმები თავს იმართლებდნენ: „მსგავსი შემთხვევები უნდა შეფასდეს, როგორც ზოგადი დაავადება. ხოლო ოცი, ოცდახუთი წლის შემდეგ, როცა მონაცემების ბაზამოგროვდება, დავიწყებთ დაავადებების კავშირის ძებნას იონიზებულ რადიაციასთან, მცირე დოზებთან... იმასთან, რასაც ვჭამთ და ვსვამთ... ჯერ კი მედიცინისთვის ამ ყველაფრის შესახებ ძალიან ცოტა რამაა ცნობილი“. ჰო, მაგრამ მე არ შემიძლო მომეცადა ოცი და ოცდახუთი წელი, ნახევარი სიცოცხლე! მინდოდა, მათთვის მეჩვილა... სახელმწიფოსთვის მეჩვილა... მეუბნებოდნენ, გიჟი ხარო, იცინოდნენ, ასეთი ბავშვები ძველ საბერძნეთშიც კი იბადებოდნენო, ძველ ჩინეთშიცო... ერთი ჩინოვნიკი მიყვიროდა: „ჩერნობილის შეღავათები მოგინდა?! ჩერნობილის ფული?!“ არ ვიცი, როგორ არ დავკარგე გონე-

ბა მის კაბინეტში, როგორ არ გამისკდა გული... მაგრამ ჩემთვის არ შეიძლება...

ერთი რამე არ ესმოდათ... არ უნდოდათ, გაეგოთ... მინდოდა მცოდნოდა, რომ მე და ჩემი ქმარი არ ვიყავით დამნაშავე, არც ჩვენი სიყვარული... (ფანჯრისკენ მიტრიალდა და წყნარად ტიროდა).

გოგონა იზრდება... მაინც გოგონაა... არ მინდა, გვარი დაწეროთ... მეზობლებმაც კი... კარის მეზობლებმაც კი არ იციან ბოლომდე... კაბას ვაცმევ, ნაწნავს ვუწნი: „რა ლამაზია თქვენი კატენკა“ — ასე მეუბნებიან. მე თვითონ ისე უცნაურად ვუყურებ ფეხმძიმე ქალებს... თითქოს შორიდან, თითქოს მალულად... კი არ ვუყურებ, ვუთვალთვალე... განცდები ერთმანეთში მერევა: გაოცება და შიში, შური და სიხარული, თითქოს რაღაც შურისძიებაც... ჩემი თავი იმაზეც დავიჭირე, რომ ასეთივე განცდით შევყურებდი მეზობლის მაკე ძაღლს... წეროს ბუდეში...

ჩემი გოგონა...“

ლარისა ზ.

დედა

მონოლოგი მთვარიანი პეიზაჟის გამო...

„უცებ დავეჭვდი, რა სჯობია: მახსოვდეს თუ დავივიწყო?

ნაცნობებსაც გამოვკითხე. ზოგმა დაივიწყა, სხვებს აღარ უნდათ, გაიხსენონ, იმიტომ, რომ ჩვენ არაფრის შეცვლა არ შეგვიძლია, აქედან წასვლაც კი არ შეგვიძლია. ესეც კი...

რა დამამახსოვრდა... ავარიის პირველსავე დღეებში ბიბლიოთეკებში გაქრა წიგნები რადიციის, ჰიროშიმასა და ნაგასაკის, რენტგენის შესახებაც კი. ხმა დაირხა, ეს უფროსობის ბრძანებაა, პანიკა რომ არ გაჩნდესო. ჩვენივე სიმშვიდეზე იზრუნეს. ხუმრობდნენ, ჩერნობილი პაპუასებთან რომ აფეთქებულიყო, მთელი მსოფლიო შეშინდებოდა, თვითონ პაპუასების გარდაო. არავითარი სამედიცინო რეკომენდაცია... არავითარი ინფორმაცია... ვისაც შეეძლო, შოულობდა იოდიანი კალიუმის ტაბლეტებს (ჩვენი ქალაქის აფთიაქებ-

ში არ იყიდებოდა, დიდი ნაცნობობით შოულობდნენ). მომხდარა, რომ ამ ტაბლეტებს მუჭით სვამდნენ და მთელ ჭიქა სპირტსაც აყოლებდნენ. მერე „სასწრაფო დახმარებას“ მოჰყავდა გონებაზე...

პირველი უცხოელი ჟურნალისტები ჩამოვიდნენ... პირველი კინოზგუფი... პლასტმასის კომბინიზონები ეცვათ, ჩაფხუტები ეხურათ, ფეხებზე — რეზინის ბახილები, ხელებზე — ხელთათმანები. კამერაც კი სპეციალური საფარის ქვეშ ჰქონდათ დამალული... თან ახლდათ მთარგმნელი, აქაური გოგონა... საზაფხულო კაბასა და სანდლებში...

ადამიანებს თითოეული ნაბეჭდი სიტყვისა სჯეროდათ, მიუხედავად იმისა, რომ სიმართლეს არავინ წერდა და არც ამბობდა. ერთი მხრივ, მაღავდნენ; მეორე მხრივ, გენსეკით(გენსეკი — პარტიის გენერალური მდივანი, სსრკ-ს სახელმწიფოს მეთაური. იმჟამად — მიხაილ გორბაჩოვი).

) დაწყებული მეგობრით დამთავრებული — არც არავის ესმოდა, რა ხდებოდა. მერე რაღაც ნიშნებს უყურებდნენ — სანამ სოფელში ან ქალაქში ბელურები და მტრედები არიან, ადამიანმაც შეიძლება იცხოვროსო. ფუტკარი თუ მუშაობს — სისუფთავეაო. ტაქსით მივდიოდი, მძღოლს ძალიან უკვირდა, რომ ჩიტები, როგორც ბრმები... როგორც არანორმალურები... მძინარენი... შუშას ისე ეხეთქებოდნენ... რაღაც თვითმკვლევლობას წააგავდა... ცვლის შემდეგ კი, ეს ყველაფერი რომ დაევიწყებინა, იჯდა და მეგობრებთან ერთად სვამდა.

დამამახსოვრდა, როგორ ვბრუნდებოდი მივლინებიდან. ორივე მხრიდან — ნამდვილი მთვარით განათებული პეიზაჟი... ჰორიზონტის ბოლომდე თეთრი დოლომიტით მოფენილი მინდვრები იშლებოდა. მიწის ზედა, დაბინძურებული ფენა მოხსნეს და დამარხეს, მის ნაცვლად კი დოლომიტის ქვიშა დაყარეს. მიწა და არცაა მიწა... დიდხანს მაწვალებდა ეს სურათი და მოთ-

ხრობის დაწერა ვცადე. წარმოვიდგინე, რა მოხდებოდა აქ, რა შეიძლებოდა მომხდარიყო ასი წლის შემდეგ: თითქოს ადამიანია და არც არის ადამიანი, ოთხით დარბის, გრძელი უკანა ფეხები მოხრილი მუხლებით უკან რჩება, ღამე მესამე თვალით ხედავს, ხოლო მის ერთადერთ ყურს, რომელიც კინკრიხობზე აქვს, ჭიანჭველას ხმაც არ გამოეპარება. მხოლოდ ჭიანჭველები გადარჩნენ — ყველაფერი და-ნარჩენი, მიწაზეც და ცაშიც, ყველა სულიერი დაიღუპა.

მოთხრობა ჟურნალში გავაგზავნე. მომივიდა პასუხი, რომ ეს ლიტერატურული ნაწარმოები კი არაა, საშინელებათა გადმოცემააო. ცხადია, ნიჭი არ მეყო. მაგრამ აქ, ვგონებ, კიდევ ერთი მიზეზია. დავფიქრდი: რატომ წერენ ჩერნობილზე ასე ცოტას? ჩვენი მწერლები აღწერენ ომს, სტალინურ ბანაკებს, მაგრამ აქ ჩუმდებიან. სულ ერთი-ორი წიგნია. გგონიათ, შემთხვევით ხდება ასე? ეს მოვლენები ჯერ კიდევ კულტურის მიღმაა, კულტურის ტრავმაა. ჩვენი ერთადერთი პასუხი კი სიჩუმეა. თვალებს ვხუჭავთ, როგორც პატარა ბავშვები, ვფიქრობთ, რომ დავიძალეთ და ვერ შეგვამჩნევენ. მომავლიდან რაღაც ისეთი გვიყურებს, რაც სრულიად შეუსაბამოა ჩვენს განცდებთან, ჩვენი გაძლების უნართან... დაელაპარაკები ადამიანს — იწყებს მოყოლას და მარტომიტომია შენი მადლობელი, რომ მოუსმინე. ვერაფერს მიხვდი, მაგრამ მოუსმინე. იმიტომ, რომ თვითონაც ისევე ვერ გაიგო, როგორც შენ. აღარ მიყვარს ფანტასტიკის კითხვა...

რა სჯობს: გვახსოვდეს თუ დავივიწყოთ?“

ევგენი ალექსანდროვიჩ ბროვკინი

გომელის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი

მოწმის მონოლოგი, რომელსაც ყური სტკიოდა, როცა დაინახა, თუ როგორ ჩამოვარდა ქრისტე და ყვირილი დაიწყო

„მაშინ სულ სხვა რაღაცაზე ვფიქრობდი... უცნაურად მოგეჩვენებოდა, მაგრამ სწორედ იმ დროს ცოლს ვშორდებოდი...

უცებ მოდიან, უწყებას მიწვდიან და მეუბნებიან, რომ ქვემოთ მანქანა უკვე მელოდება. სპეციალური „ვორონკა“ (ვორონკა — ასე ეძახდნენ საბჭოთა მილიციის მანქანებს, რომლითაც პატიმრები გადაჰყავდათ.

) დგას. ღამლამობით გაყავდათ... ლოგინიდან, ნახევრად მძინარეები... როგორც ოცდაჩვიდმეტ წელს... მალე ეს სქემა აღარ მუშაობდა — ცოლები კარს არ აღებდნენ ან იტყუებოდნენ, რომ ქმრები მივლინებაში, კურორტზე, ან სოფელში, მშობლებთან იყვნენ. ცდილობდნენ, უწყება მაინც გადაეცათ, მაგრამ ქალები არ იტოვებდნენ. მერე უკვე სამსახურებიდან, ქუჩებიდან, ქარხნების სასადილოებიდან მიჰყავდათ.... შესვენების დროს... როგორც ოცდაჩვიდმეტში... მე კი მაშინ თითქმის ჭკუიდან ვიშლებოდი... ცოლმა მიღალატა და ყველაფერი დანარჩენი სისულელედ მეჩვენებოდა. ჩავჯექი ამ „ვორონკაში“... ორს მივყავდი, სამოქალაქო ტანსაცმლიანებს, მაგრამ სამხედროებივით გაჯგიმულებს, გვერდით მომყვებოდნენ, როგორც ჩანს, ეშინოდათ, არ გავქცეოდი. როცა მანქანაში ვჯდებოდი, რატომღაც ამერიკელი კოსმონავტები გამახსენდნენ, რომელებიც ჯერ მთვარეზე გაფრინდნენ, ხოლო შემდეგ კი ერთ-ერთი მათგანი მღვდელი გახდა. მეორე კი მგონი შეიშალა, ჰო? წამიკითხავს, რომ მათ მოეჩვენათ... თითქოს იქ რაღაც ქალაქების ნარჩენები ნახეს, თითქოს — ადამიანის ნაკვალევი. მესხიერებაში გამიკრთა ოდესღაც გაბნეობაში ამოკითხული, რომ ჩვენი ატომური სადგურები სრულიად უსაფრთხოა, რომ შეიძლება, ისინი წითელ მოედანზე ააშენო, კრემლის გვერდით... რომ სამოვრებივითაა... რომ ვარსკვლავებს ჰგავს და ჩვენ მათით მთელ დედამიწას მოვფენთ. მაგრამ ცოლი წავიდა... და მე... მხოლოდ ამაზე შემეძლო ფიქრი... რამდენჯერ-

მე თავის მოკვლაც ვცადე. რაღაც ტაბლეტებს ვსვამდი და ვოცნებობდი, აღარ გამღვიძებოდა. ერთ საბავშვო ბაღში დავდიოდით, ერთ სკოლაში ვსწავლობდით, ერთ ინსტიტუტში (სიგარეტს ეწევა და დიდხანს არ იღებს ხმას)...

გაფრთხილებდით... არაფერი მაქვს მოსაყოლი ისეთი, მწერლის კალამს რომ გამოადგეს. ხან ვფიქრობდი, ომი ხომ არ არის, რატომ უნდა გავრისკო მაშინ, როცა ჩემი ცოლის გვერდით ვიღაც სხვას სძინავს; რატომ მაინცდამაინც მე და არა — ის? სიმართლე რომ ვთქვა, იქ გმირები არც მინახავს. გიჟები ვნახე, რომლებსთვისაც საკუთარი სიცოცხლე ჩირად არ ღირდა, თავგებულად უღებდნენ საკმარისად იყვნენ, თუმცა, ეს ყველაფერი იქ დიდად არც სჭირდებოდათ. მეც მაქვს მადლობის სიგელები... მაგრამ მარტო იმიტომ, რომ სიკვდილის არ მეშინოდა! სულ ერთი იყო! ხსნადაც კი მეჩვენებოდა — პატივით დამკრძალავდნენ, თანაც, სახელმწიფოს ხარჯით...

...იქ პირდაპირ ფანტასტიკურ სამყაროში ხვდებოდი, სადაც სამყაროს დასასრული ქვის ხანას უერთდებოდა. მე ისედაც მძაფრად აღვიქვამდი ყველაფერს... შიშვლად... ტყეში ვცხოვრობდით. კარვებში. რეაქტორიდან ოც კილომეტრში. „ვპარტიზანობდით“. „პარტიზანები“ — ეს ისინი არიან, ვინც სასწავლო სამხედრო შეკრებებზე მიჰყავთ. ასაკი — ოცდახუთიდან ორმოც წლამდე, ბევრნი — უმაღლესი განათლებით, საშუალო ტექნიკურით... მე, მაგალითად ისტორიის მასწავლებელი ვარ. ავტომატების ნაცვლად ნიჩბები მოგვცეს. ნაგვის გროვებს და ბოსტნებს ვმარხავდით. სოფლებიდან ქალები გვიყურებდნენ და პირჯვარს იწერდნენ. ხელთათმანებით, სპეცხალათებით, რესპირატორებით ვმუშაობდით... მზე აცხუნებდა... იმათ ბოსტნებში ისე ვჩნდებოდით, როგორც ეშმაკები. უცხოპლანეტელები... არ ესმოდათ, რატომ ვთხრიდით კვლებს, ვყრიდით ნიორს და კომბოსტოს, მაშინ, როცა ნიორი ნიორს ჰგავდა და კომბოსტო — კომბოსტოს. ქალები პირჯვარს იწერდნენ და ამბობდნენ: „ჯარისკაცებო, ეს სამყაროს დასასრულია?!“

ქოხში ღუმელი გუზგუზებს, სალა იწვება. დოზიმეტრს მიუახლოებ და ღუმელი კი არა, — პატარა რეაქტორია. „ბიჭებო, მაგიდასთან დასხედით“ — გვეძახიან, გვეპატიუებიან. უარს ვეუბნებით. გვეხვეწებიან: „ასი გრამი მოგვეპოვება. დასხედით, მოგვიყევით“. რა უნდა მოგვეყოლა? რეაქტორზე მეხანძრეები რაღაც რბილ საწვავზე დააბიჯებდნენ, რომელიც ასხივებდა და არ იცოდნენ, რა იყო. ჩვენ რა უნდა გვცოდნოდა?

მთელი განყოფილება გავდივართ. მხოლოდ ერთი დოზიმეტრი გვაქვს. სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა დონეა: ვიღაც იქ მუშაობს, სადაც ორი რენტგენია, ვიღაც იქ — სადაც ათია. ერთი მხრივ, ისეთივე უკანონობაა, როგორც ზეკებთან(ზეკ-ი (ЗК — ЗЭК, ЗАКЛЮЧЕННЫЙ) — პატიმარი, დაპატიმრებული; З/К — საბჭოთა კავშირში, 1920-1950-იან წლებში ოფიციალურ დოკუმენტებში ასე უწოდებდნენ პატიმრებს.

), მეორე მხრივ — გვეშინია. თუმცა, მე არ მეშინოდა. ყველაფერს შორიდან ვუყურებდი.

მეცნიერთა ჯგუფი მოფრინდა შვეულმფრენით. რეზინის სპეცტანსაცმლით, მაღალი ჩექმებით, დამცავი სათვალეებით... კოსმონავტები... ბებია მიუახლოვდა: „ვინ ხარ?“ „მეცნიერი“, — „აჰ, მეცნიერი?! შეხედეთ ერთი, როგორ გამოწყობილა! შენიღბულა! და ჩვენ?“ ჯოხის კაკუნით მისდევდა უკან. მაშინ გავიფიქრე, რომ როდესმე მეცნიერების დევნასაც ისევე დაიწყებენ, როგორც შუა საუკუნეებში იჭერდნენ და ახრჩობდნენ ექიმებს... ან ცეცხლზე წვავენ.

ვნახე კაცი, რომლის თვალწინაც ამოთხარეს და დამარხეს მისი სახლი... (დგება და ფანჯარასთან მიდის). ახალგათხრილი საფლავი დარჩა. უზარმაზარი მართკუთხედი. დამარხეს ჭა, მთელი ბაღი (ჩუმდება). ჩვენ მიწას ვმარხავდით... დიდ ნაწილებად ვჭრიდით... ხომ გაგაფრთხილეთ, არანაირი გმირობები არ ყოფილა.

გვიან ღამით ვბრუნდებოდით, იმიტომ, რომ დღეში თორმეტ საათს ვმუშაობდით. დასვენების დღეების გარეშე. დასასვენებლად მარტო ღამე გვქონდა. ერთხელაც ბეტეერი (ბეტეერი — საბჭოთა სამხედრო, ბრონირებული მანქანა.

) მივიღვართ. ცარიელ სოფელში ვილაც შევნიშნეთ. ვუახლოვდებით და ახალგაზრდა ბიჭია, მხარზე ხალიჩა უდევს. იქვე, ახლოს „ჟიგული“ დგას. ვჩერდებით. საბარგული ტელევიზორებითა და გადაჭრილი ტელეფონებითაა სავსე. ბეტეერი მობრუნდა და „ჟიგული“ ისე გაჭყლიტა, თითქოს კონსერვის ქილა ყოფილიყოს. ხმა არ გაუღია არავის...

ტყეს ვმარხავდით... ხეებს მეტრნახევარზე ვჭრიდით, ცელოფანში ვახვევდით და სამარხში ვყრიდით. ღამე არ მეძინა. დავხუჭავდი თვალებს და რაღაც შავი ამიფრიალდებოდა... როგორც ცოცხალი... მიწის ცოცხალი შრეები... ხოჭოებით, ობობებით, ჭიაყელებით... არც ერთი მათგანის დასახლება არ ვიცოდი... უბრალოდ ხოჭოები, ობობები, ჭიანჭველები... ისინი კი იყვნენ დიდები და პატარები, სულ სხვადასხვა ფერისანი. რომელიღაც პოეტთან წამიკითხავს, რომ ცხოველები ცალკე სამყაროა. მე მათ ვკლავდი ათობით, ასობით, ათასობით და არც კი ვიცოდი, რა ერქვათ. სახლებს ვუნგრევდი, საიდუმლოებს... და ვმარხავდი, ვმარხავდი...

ლეონიდ ანდრეევს (ლეონიდ ანდრეევი (1871-1919) — რუსი მწერალი, რუსული ექსპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

), რომელიც ძალიან მიყვარს, აქვს იგავი ლაზარზე, რომელმაც აკრძალულ ხაზს იქით გადაიხედა. ის უკვე სხვაა, უკვე ვეღარასოდეს იქნება ადამიანთა ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტემ მკვდრეთით აღადგინა...

იქნებ, საკმარისი იყოს? მესმის, თქვენ გაინტერესებთ, იმათ, ვინც იქ არ ყოფილა, ყოველთვის აინტერესებთ. ერთი ჩერნობილი — მინსკშია, მეორე — თვითონ ზონაში. მესამე — სადღაც ევროპაშია. ზონაში გვაოგნებდა გულგრილობა, რომლითაც იქ საუბრობდნენ...

მკვდარ სოფელში მოხუცს შევხვდით. შევეკითხეთ: „არ გეშინია? ის კი გვპასუხობს: „რა არის საშიში? შეუძლებელია სულ შიშში ცხოვრება, არ შეუძლია ადამიანს, გადის რაღაც დრო და ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრება იწყება. ნორმალური... კაცები არაყს სვამდნენ, ბანქოს თამაშობდნენ, ქალებს დასდევდნენ, ბევრს საუბრობდნენ ფულზე. თუმცა, იქ ფულის გამო არ მუშაობდნენ, ფული არ ყოფილა გადამწყვეტი. იმიტომ მუშაობდნენ, რომ ასე იყო საჭირო. უთხრეს და მუშაობდნენ. შეკითხვებს არ სვამდნენ. ოცნებობდნენ სამსახურში დაეწინაურებინათ. ეშმაკობდნენ, იპარავდნენ. შეპირებული შეღავათების იმედი ჰქონდათ: ბინის ურიგოდ მიღებისა და ბარაკიდან გამოსვლის, ბავშვის საბავშვო ბაღში მოწყობის, მანქანის ყიდვის. ჩვენთან ერთს შეეშინდა, კარვიდან არ გამოდიოდა, რეზინის თვითნაკეთ კოსტიუმში ეძინა. მშიშარა! პარტიიდან გარიცხეს. ყვიროდა: „მინდა, ვიცოცხლო!“ ყველაფერი აირია... იქ ვნახე ქალები, რომლებიც საკუთარი ნებით ჩამოდიოდნენ. მობობდნენ. მათ უარს ეუბნებოდნენ, უხსნიდნენ, რომ მძღოლები, ხარატები, მეხანძრეები სჭირდებათ, მაგრამ ქალები მაინც ჩამოდიოდნენ... ყველაფერი აირია... ათასობით მოხალისე იყო, სტუდენტური რაზმები სპეციალური „ვორონკებით“ ჩამოჰყავდათ, ღამლამობით ყარაულობდნენ... ნივთები გროვდებოდა, დაზარალებულთა ფონდში ფული ირიცხებოდა, ასობით ადამიანი უფასოდ იღებდა სისხლს და ძვლის ტვინსაც კი... და აი, ამ დროს, ერთი ბოთლი არყით ყველაფრის ყიდვა შეიძლებოდა — საპატიო სიგელის, შვებულების... ერთმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დოზიმეტრისტების რაზმში მთელი ყუთი არაყი მიიტანა, რომ მისი სოფელი ევაკუაციაში არ წაეყვანათ, მეორე თავმჯდომარეს კი ასევე ერთი ყუთი არაყი მოჰქონდა, რომ მისი კოლმეურნეობა რაც შეიძლება მალე გაესახლებინათ. მას თურმე უკვე დაჰპირდნენ სამოთახიან ბინას მინსკში. რადიოანაზომებს არავინ უყურებდა. ჩვეულებრი-

ვი რუსული ქაოსი... ასე ვცხოვრობდით... რაღაც-რაღაცებს ჩამოწერდნენ და ყიდდნენ... ერთი მხრივ, გულისამრევი იყო, მეორე მხრივ — ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი!

სტუდენტები გამოგზავნეს. მინდვრებში ნაცარქათამას გლეჯდნენ. თივას ნიჩბებით თხრიდნენ. რამდენიმე სულ ახალგაზრდა წყვილიც იყო — ცოლი და ქმარი. ხელჩაკიდებულები დადიოდნენ. შეუძლებელი იყო ამის ყურება. ისეთი ლამაზია იქაურობა! ისეთი საოცარი! ამ სილამაზის ფონზე ეს საშინელება კიდევ უფრო საზარელი ხდებოდა. ადამიანი იქიდან უნდა წასულიყო. უნდა გაქცეულიყო, როგორც ბოროტმოქმედი, როგორც დამნაშავე.

გაზეთები ყოველ დღე მოჰქონდათ. მე მარტო სათაურებს ვკითხულობდი: „ჩერნობილი — გმირობის ადგილი“, „რეაქტორი დამარცხებულია“, „ცხოვრება კი გრძელდება“. პოლიტბელმძღვანელებიც იყვნენ. გვიტარებდნენ პოლიტსაუბრებს. გვეუბნებოდნენ, რა უნდა დაგვემარცხებინა. რა? ატომი? ფიზიკა? კოსმოსი? გამარჯვება ჩვენთან ხომ მოვლენაა და არა პროცესი. ცხოვრება კი ბრძოლაა. ამიტომაც გვიყვარს წყალდიდობები, ხანძრები, მიწისძვრები... ადგილი გვჭირდება, სადაც შევძლებთ „სიმამაცისა და თავდადების გამოვლენას“ და დროშის აღმართვას. პოლიტბელმძღვანელი გაზეთებში კითხულობდა „მაღალ თვითშეგნებასა და სწორ ორგანიზებაზე“, იმაზე, რომ ავარიიდან რამდენიმე დღეში მეოთხე რეაქტორზე ფრიალებდა წითელი დროშა. წითლად მართლაც გიზგიზებდა, მაგრამ რამდენიმე თვეში მაღალმა რადიაციამ გამოიწვა. ისევ აღმართეს, ახალი... ძველი კი დახიეს და ნაკუწები სამახსოვროდ შეინახეს, ბუშ-ლატის ქვეშ, მკერდთან ახლოს იფენდნენ, მერე შინ მიჰქონდათ... სიამაყით უჩვენებდნენ შვილებს. ინახავდნენ... გმირული სიგიჟე! მაგრამ მეც ასეთი ვარ, არაფრით უკეთესი... მინდოდა, ფიქრებში წარმომიდგინა, როგორ ადიოდნენ ჯარისკაცები სახურავზე... სასიკვდილოდ განწირულები.... მაგრამ გრძნობით აღსავსენი... ჩვენთვის პირველი — პასუხისმგებლობის, ხოლომეორე კი — სამშობ-

ლოს სიყვარულის გრძნობაა. იტყვით — საბჭოთა კერპთაყვანისმცემლობაო?! მაგრამ საქმეც ისაა, დროშა რომ მოეცათ, მეც ავიდოდი. რატომ? არ გიპასუხებთ. ცხადია, ისიც იყო, რომ მაშინ სიკვდილისა არ მეშინოდა... ცოლმა წერილიც კი არ მომწერა. ექვს თვეში არც ერთი წერილი... (ჩერდება).

გინდათ ანეკდოტი? ციხიდან პატიმარი გაიქცა და ოცდაათკილომეტრიან ზონაში დაიმალა. დაიჭირეს. დოზიმეტრისტებთან მიიყვანეს. ისე „ასხივებდა“, არსად არ შეიძლებოდა მისი გაშვება — არც ციხეში, არც საავადმყოფოში, არც ადამიანებთან... (იცინის) იქ ანეკდოტები გვიყვარდა. შავი იუმორი.

როცა ჩავედი, ჩიტები ბუდეებში ისხდნენ, მოვდიოდი და — თოვლში ვაშლები ეყარა. ყველას დამარხვა ვერ მოვასწარი. მიწას მიწაში ვმარხავდით... ხოჭოებით, ობობებით, ჭიაყელეებით... ამ ცალკე ქვეყანას, ცალკე სამყაროს... ჩემი ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება ესაა... მათზეა...

ვერაფერიც ვერ მოგიყვით... ნაწყვეტები... იმავე ლეონიდ ანდრეევს აქვს მოთხრობა: იერუსალიმის ერთმა მაცხოვრებელმა, რომლის სახლთანაც ჩაატარეს იესო, ყველაფერი დაინახა, ყველაფერი გაიგონა, მაგრამ ამ დროს კბილი სტკიოდა. ქრისტე მის თვალწინ დაეცა, როცა ჯვარი მიჰქონდა... ქრისტე დაეცა და დაიწყო ყვირილი, ის ამ ყველაფერს ხედავდა, მაგრამ კბილი სტკიოდა და არ გამოვიდა ქუჩაში. ორი დღის შემდეგ, როცა კბილის ტკივილი გაუჩერდა, მოუყვინ, რომ ქრისტე აღსდგა. მაშინ კი იფიქრა: „მეც ხომ შემეძლო, დავსწრებოდი, მაგრამ კბილი მტკიოდა...“

ნუთუ ყოველთვის ასეა? ადამიანი ვერასდროს ვერ წვდება დიად მოვლენებს. ის ყოველთვის სადღაც შორსაა. ორმოცდაორში მამანჩემი მოსკოვს იცავდა. იმას კი, ისტორიაში რომ მონაწილეობდა, ათეულობით წლის შემდეგ მიხვდა — წიგნებით და ფილმებით. თვითონვე იხსენებდა: „სანგარში ვიჯექი. ვისროდი.

აფეთქდა და დამფარა. ნახევრად მკვდარი სანიტრებმა ამომთხარეს. სულ ესაა“.

მე კი მაშინ ცოლმა მიმატოვა...“

არკადი ფილინი

ლიკვიდატორი

სამი მონოლოგი „მოსიარულე ნეშტსა“ და

„მოლაპარაკე მიწაზე“

ხოიკინის მონადირეთა საზოგადოების თავმჯდომარე და მეთევზე ვიქტორ იოსიფოვიჩ ვერჟიკოვსკი და ორი მონადირე — ანდრეი და ვლადიმირი, რომელთაც გვარები არ გამიმხილეს...

— პირველად მოვკალი მეღია... ბავშვობაში... მეორეჯერ — ლოსი. დავიფიცე, ლოსი აღარასდროს მომეკლა... ისეთი მეტყველი თვალები აქვს...

— ეს ჩვენ, ადამიანებს გვესმის რაღაც. ცხოველები უბრალოდ ცოცხლობენ. ჩიტებიც.

— შემოდგომით შველი ძალიან ფრთხილია. თუკი ქარმა ადამიანის სუნი მოუტანა — აღარ მიუშვებს. მეღია კი ეშმაკია...

— აქ ერთი დაიარება... დაღვეს და ყველას ლექციებს გვიკითხავს. ჯერ ფილოსოფიის ფაკულტეტზე უსწავლია, მერე ციხეში მჯდარა. ზონაში რომ ადამიანს შეხვდები, თავის თავზე სიმართლეს არ მოგიყვება, ძალიან იშვიათად... ეს კი ჭკვიანი კაცია. ამბობს, ჩერნობილი იმიტომ მოხდა, რომ ფილოსოფოსები გააჩინოსო. ცხოველებს ეძახის ასე: „მოსიარულე ნეშტი“, ხოლო ადამიანს — „მოლაპარაკე მიწა“, იმიტომ, რომ ჩვენ მიწას ვჭამთ, მიწიდან ვართ შექმნილები...

— გეუბნებით, ზონა ისე გიზიდავს, როგორც მაგნიტი... ოჰ, ქალბატონო! ვინც იქ ყოფილა, იმის სული ვეღარ მოისვენებს...

— წიგნი წავიკითხე... ყოფილან წმინდანები, რომლებიც ჩიტებს და ცხოველებს ელაპარაკებოდნენ. ეს ჩვენ გვგონია, რომ იმათ ადამიანისა არ ესმით.

— აბა, ბიჭებო, ყველაფერი წესის მიხედვით...

— მიდი, მიდი, თავმჯდომარე, ჩვენ კი ერთს გავაბოლებთ...

— მოკლედ, ასე იყო... რაისპოლკომში(რაისპოლკომი (райисполком) — ადგილობრივი მმართველობის ორგანო საბჭოთა კავშირში — სახალხო დეპუტატების საბჭო.) დამიბარეს: „გვისმინე, მთავარო მონადირე: ზონაში ბევრი შინაური ცხოველი დარჩა. კატები, ძაღლები. ეპიდემიის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მათი დახვრეტა. მიდი! მეორე დღეს ყველას დავუძახე, ყველა მონადირეს. გამოვუცხადე, ასეა და ასე საქმე-მეთქი. არავის უნდა წამოსვლა, იმიტომ, რომ არანაირი დამცავი საშუალებები არ მოუციათ. სამოქალაქო თავდაცვას მივმართე — არც იმათ ჰქონდათ არაფერი. ბოლოს ცემენტის ქარხნიდან წამოვიღე ნიღბები... ცემენტის მტვრისგან დამცავი... თხელი, თხელი პოლიეთილენის... რესპირატორები კი არ მოუციათ.

— იქ ჯარისკაცებს შევხვდით. ნიღბებში, ხელთათმანებში, ბრონირებულ მანქანებში... ჩვენ კი პერანგებით ვიყავით, ცხვირახვეულები. იმავე ჩექმითა და პერანგით ვბრუნდებოდით შინ, ოჯახში.

— ორი ბრიგადა შევაკოწიწე. მოხალისეებიც მოიძებნენ. ორი ბრიგადა... ოც-ოცკაციანი. თითოეულს მიამაგრეს ვეტერინარი და სანდისპანსერის თანამშრომელი. კიდევ იყო დიდნიჩბიანი ტრაქტორი და თვითმცლელი. საწყენია, რომ არ მოგვცეს დამცავი საშუალებები, ადამიანებზე არ იფიქრეს...

— სამაგიეროდ პრემიებს გვაძლევდნენ, ოცდაათ მანეთს, ერთი ბოთლი არაყი კი იმ დროს სამი მანეთი ღირდა. საიდანლაც გაჩნდა რეცეპტებიც, ერთი კოვზი ბატის სკინტლი ერთ ბოთლ არაყზე. ორი დღე უნდა დააყენო და მერე დალიო. რომ ეს საქმე...

ჩვენი, კაცური ამბები... არ დაზარალებულიყო... ჩასტუმკებიც გაჩნდა, გახსოვთ? უამრავი...

«Запорожец» — не машина, киевлянин — не мужчина. Если хочешь быть отцом, оберни яйцо свинцом». („ზაპოროჟეცი მანქანა არ არის, კიეველი კაცი — მამაკაცი არ არის. თუ გინდა მამა გახდე, კვერცხზე ტყვია შემოიკარი“ (ბჭკარედული თარგმანი).

) Ха-ха...

— ზონაში ორი თვის მანძილზე დავდიოდით. ჩვენს რაიონში სოფლების ნახევარი ევაკუაციაში წაიყვანეს. ათობით სოფელი: ბაბიჩინი, ტულგოვიჩი... პირველ დღეს რომ ჩავედით, ძაღლები საკუთარი ეზოების წინ დარბოდნენ. დარაჯობდნენ. ადამიანებს ელოდნენ. გაუხარდათ ჩვენი დანახვა, ადამიანის ხმის გაგონებაზე გამოიქცნენ. შემოგვეგებნენ. ვისროდით სახლებში, ფარდულებში, ბოსტნებში. მერე ქუჩაში გამოგვექონდა და თვითმცლელზე ვყრიდით. ცხადია, უსიამოვნო იყო. ვერ ხვდებოდნენ, რატომ ვკლავდით. ადვილი დასახოცები კი იყვნენ, არც ადამიანის ეშინოდათ და არც იარაღის... მორბოდნენ ჩვენი ხმის გაგონებაზე....

— ღმერთო! კუ მოლოღავდა! ცარიელი სახლის წინ. ბინებში აკვარიუმები იდგა... თევზებით...

— კუებს არ ვკლავდით. „უაზის“ წინა ბორბლითაც რომ გადაუარო კუს, ბაკანი უძლებს. არ ტყდება. რა თქმა უნდა, მთვრალეები, წინა ბორბლით... ეზოები სავსეა გალიებით... კურდღლები დარბიან... ნუტრიებიც ჩაკეტილები დაეტოვებინათ, თუკი ახლოს ან მდინარე იყო ან ტბა, ვუშვებდით და მიცურავდნენ. ყველაფერი დროებით მიეტოვებინათ... დროებით. როგორ იყო, გახსოვთ? ევაკუაციის ბრძანებაში ეწერა: „სამი დღით“.... ქალები ყვიროდნენ, ბავშვები ტიროდნენ, საქონელი ბლაოდა. პატარა ბავშვებს ატყუებდნენ, „ცირკში მივდივართო. ხალხს ეგონა, დავბრუნდებითო. ვერავის წარმოედგინა სიტყვა — „სამუდამოდ“... ეჭ, ქალბატონო, ამას გეტყვით — საომარი მდგომარეობა იყო. კატები თვალეებში გვიყურებ-

დნენ, ძაღლები ცდილობდნენ ავტობუსებში ასულიყვნენ. ეზოს ძაღლებიც, ნაგაზებიც... ჯარისკაცები ყრიდნენ, აგდებდნენ... მერე დიდხანს მისდევდნენ მანქანებს... ევაკუაცია... ღმერთმა გვაშოროს!

— მოკლედ, ასეთი ამბავი იყო... აი, იაპონიაში ჰიროშიმა მოხდა და ახლა ისინი ჩვენზე წინ არიან. მსოფლიოში პირველ ადგილას... ასე რომ...

— შესაძლებლობა, რომ ესროლო... თანაც მორბენალს, ცოცხალს... მონადირული აზარტია. ვსვამდით და მივდიოდით. სამსახურში სამუშაო დღედ მითვლიდნენ. ხელფასს მირიცხავდნენ. შეიძლება, ასეთი სამუშაოსთვის მოემატებინათ კიდევ. პრემიას ოცდაათ მანეთს გვაძლევდნენ, მაგრამ ეს უკვე აღარ იყო ის ფული, რაც კომუნისტების დროს... იმ დროს უკვე შეცვლილი იყო...

— ასე იყო... თავიდან სახლები დალუქული იყო, ლუქებით. ლუქებს არ ვხსნიდით. ფანჯარაში იჯდა კატა. როგორ მივწვდებოდით? აღარ ვახლებდით ხოლმე ხელს. მანამ, სანამ მოროდორები არ გამოჩნდნენ — იმათ კარები მოამტკრიეს, ფანჯრები და სარკმლები ჩაღეწეს. გაიტანეს ყველაფერი. პირველად გაქრა მაგნიტოფონები, ტელევიზორები... ბეწვეული... მერე კი სულ გაასუფთავეს... იატაკზე მარტო ალუმინის კოვზები ეყარა... გადარჩენილი ძაღლები სახლებში დასახლდნენ... შედიხარ და თავს გესხმის... უკვე აღარ ენდობოდნენ ადამიანს... შევედი — ძუ ძაღლი წევს შუა ოთახში და იქვე ლეკვები. ცოდოა? რა თქმა უნდა, არ არის სასიამოვნო. მე ვადარებდი... სიმართლე რომ ითქვას, ჩვენ ვმოქმედებდით, როგორც სადამსჯელო რაზმი... როგორც ომში. იმავე სქემის მიხედვით... სამხედრო ოპერაციაა. მივდივართ, სოფელს ალყაში ვაქცევთ, ძაღლები, პირველი გასროლის ხმაზე, ეგრევე ტყისკენ გარბიან. კატა ეშმაკია, უფრო ადვილად იმალებოდნენ. ერთი კნუტი თიხის ქოთანში ჩაძვრა... ამოვათრიე... ღუმელიდანაც გამომყავდა... უსიამოვნო გრძნო-

ბაა... შედიხარ სახლში, კატა ფეხებში ტყვიასავით გიძვრება, შენ კი თოფით მისდევ. გამხდრები არიან, ჭუჭყიანები. ბეწვი ნაგლეჯ-ნაგლეჯ ჰკიდიათ. პირველ ხანებში ბევრი კვერცხი იყო — ქათმებიც დატოვეს. ძაღლები და კატები კვერცხს ჭამდნენ, როცა კვერცხი გათავდა, მერე ქათმებს მისდგნენ. მეღიებიც ჭამდნენ ქათმებს, მეღიები სოფელში ძაღლებთან ერთად ცხოვრობდნენ. მოკლედ, აღარ იყვნენ ქათმები და ძაღლებმა კატები შეჭამეს... ისეც ხდებოდა, საღორეებში ჩაკეტილ ღორებს ვნახულობდით. საკუჭნაოებში ყველანი მწნილეულს — კიტრს, პომიდორს... ვხსნიდით და ღორებს ვუყრიდით... ღორებს არ ვხოცავდით...

— ბებერს წავაწყდით... ქოხში შეკეტილა და ხუთი კატა და სამი ძაღლი შეუფარებია. „ნუ კლავ ძაღლს, ოდესღაც ადამიანი იყო“... არ გვაძლევდა, გვწყევლიდა. ძალით წავართვით, მაგრამ ერთი კატა და ერთი ძაღლი დავუტოვეთ. გვიყვიროდა: „ყაჩაღებო! მკვლელებო!“

— Ха-ха... «Под горою пашет трактор, на горе горит реактор. Если б шведы не сказали, до сих пор ещё б пахали!» („გორაკის ძირში ტრაქტორი ხნავს, გორაკზე რეაქტორი იწვის. შვედებს რომ არ ეთქვათ, გააგრძელებდნენ მოხვნას“ (ბწკარედული თარგმანი).

) Ха-ха...

— ცარიელი სოფლები... მარტო ღუმელები და დგას... ნასახლარები... ბაბუა და ბებია ცხოვრობენ. როგორც ზღაპარში. იმათ არ ეშინიათ. ნებისმიერი გაგიჟდებოდა! ღამით ძველ კუნძებს წვავენ. მგლებს ცეცხლისა ეშინიათ.

— მოკლედ... ასე იყო... სუნი... მაინც ვერ ვხვდებოდი, საიდან იყო ასეთი სუნი სოფელში? რეაქტორიდან ექვს კილომეტრში... სოფელ მასალაში... აი, როგორც რენტგენის კაბინეტში... იოდის სუნი იდგა... რაღაც მჟავისმაგვარი... არადა, ამბობენ, რადიაციას სუნი არა აქვსო. არ ვიცი... ჰო, პირდაპირ ვესროდით... მოკლედ, წევს ძუკნა შუა ოთახში და ლეკვები ახვევია ირგვლივ... თავს დამესხა და ეგრე-

ვე ვესროლე... ლეკვები ხელებს მილოკავენ, მეთამაშებიან. ჰო, პირდაპირ ვესროდით... ეჰ, ქალბატონო! ერთი ძალღი, შავი პუდე-ლი... ახლაც მეცოდება. მთელი თვითმცლელი გავავსეთ, გორა დაფ-დგით. „სამარხთან“ მიგვაქვს. სიმართლე რომ ითქვას, ჩვეულებრი-ვი ორმოა, თუმცა, წესის მიხედვით ისე უნდა გავკეთხარა, რომ გრუნტის წყლებამდე არ ჩაგვეღწია და ძირში ცელოფანი დაგვე-ფინა. მაღალი ადგილი უნდა გვეპოვა... მაგრამ ეს წესი, თქვენც ხვდებით ალბათ, ყველგან ირღვეოდა: ცელოფანი არ გვექონდა, შემალღებული ადგილის მოძებნა კი გვეზარებოდა. ისინი, რომ-ლებიც დახოცილები კი არა, დაჭრილები იყვნენ, კვნესოდნენ, ტიროდნენ... ჩამოვყარეთ თვითმცლელიდან ორმოში, ეს პუდე-ლი კი ფართხალებს, მოძვრება. ტყვია არავის არ აღმოგვან-ნდა... ვერ ვესროლეთ... ერთი ტყვიაც კი... უკან ჩავაგდეთ ორ-მოში და მიწა დავაყარეთ. დღემდე მეცოდება.

კატები კი ბევრად ნაკლებნი იყვნენ, ვიდრე ძაღლები. ადამიან-ებს გაეკიდნენ? თუ დაიმაღლნენ? სახლის პუდელი... ნებიერა...

— ჯობია შორიდან მოკლა, რომ თვალებში არ ჩაგხედოს.

— კარგად უნდა ისროდე, რომ მერე რომ აღარ მოგიწიოს ხელმეორედ სროლა!

— ეს ჩვენ, ადამიანებს გვესმის რალაც, თორემ ეგენი ისე ცხოვრობენ, „მოსიარულე ნეშტები“ არიან...

— ცხენები... დასახოცად რომ მიგვყავდა... ტიროდნენ...

— მეც ვიტყვი... სული ყველა ცოცხალ არსებას აქვს... მამა-ჩემმა ნადირობას ბავშვობიდანვე შემაჩვია. დაჭრილი შველი... უნდა, შეიცოდო, შენ კი კლავ... უკანასკნელ წუთებში მას სრული-ად აზრიანი, თითქმის ადამიანური მზერა აქვს. სძულხარ ან გე-ვედრება: მეც მინდა სიცოცხლე! მინდა სიცოცხლე!

— ისწავლე! აი, რას გეტყვით! დაჭრილის მოკვლა უარესია, ვიდრე პირდაპირ გათავება. ნადირობა — სპორტია, სპორტის

ერთ-ერთი სახეობა. რატომღაც არავინ არ ლანძღავს მეთევზეებს, მონადირეებს კი ყველა აგინებს. უსამართლობაა!

— ნადირობა და ომი — მამაკაცების მთავარი საქმეა. ასეა დასაბამიდან.

— ბიჭს ვერ გამოვუტყდი... ბავშვია. სად ვიყავი? რას ვაკეთებდი? ახლაც ჰგონია, რომ მამამისი იქ ვიღაცას იცავდა. საბრძოლო პოსტზე იდგა! ტელევიზორში უჩვენებდნენ: სამხედრო ტექნიკაა, ჯარისკაცებია... ბევრი ჯარისკაცია. შვილი მეკითხება: „მამა, შენც ასეთი ჯარისკაცი იყავი?“

— ერთხელ ტელევიზიის ოპერატორი გვახლდა. კამერით. კაცია... და ტიროდა. სულ უნდოდა, სამთავიანი ტახი ენახა...

— ხა-ხა-ხა... მელია ხედავს, როგორ მოგორავს ტყეში კალაბოკი (კალაბოკი — რუსული ზღაპრის გმირი, გამომცხვარი მრგვალი კაცუნა).

). „კალაბოკ, სად მიგორავ?“ — „მე კალაბოკი არ ვარ, მე ჩერნობილელი ზღარბი ვარ! ხა-ხა.... როგორც ამბობენ, მშვიდობიანი ატომი — ყველა სახლში!

— აი, რას გეტყვით, ადამიანი ისევე კვდება, როგორც ცხოველი. მინახავს... ბევრჯერ. ავღანეთში... მუცელში დავიჭერი და მზებზე ვგდე... აუტანელ სიცხეში... წყალი! „აი, — ვფიქრობდი, — ნადირივით ვკვდები!“ რას გეტყვით, იცით? ერთნაირად გვდის სისხლი. იმათაც და ჩვენც, და გვტკივა.

— ის მილიციონერი, ჩვენთან ვინც დადიოდა, შეიშალა... საავადმყოფოში იწვა... სიამის კატები ეცოდებოდა, ძვირია, ბაზარში კარგად იყიდებო. ლამაზებიანო. ჭკუიდან გადავიდა...

— მოდიან ძროხა და ხბო. არ ვესროდით. არც ცხენებს ვესროდით. მათ მგლების ეშინოდათ, ადამიანებისა — არა. მაგრამ ცხენს მაინც შეუძლია თავი დაიცვას, ამიტომაც, ჯუნგლების კანონების მიხედვით, მგლებმა ჯერ ძროხები შეჭამეს. — ბელარუსიდან საქონელი რუსეთში გადაჰყავდათ და ყიდიდნენ. სამაგიეროდ, იათად.

— ყველაზე ცოდონი მოხუცები იყვნენ... მოდიოდნენ ჩვენს მანქანებთან: „შეხედეთ რა, ბიჭებო, ჩემს ქოხს“ და გასაღებს გვაჩეხებენ. „კოსტიუმი და ქუდი წამომიღე“... კაპიკებს გვთავაზობდნენ. „ნეტავ, როგორაა ჩემი ძაღლი?“ ძაღლი მოკლეს, სახლი კი გაქურდეს. ისინი ვერასდროს დაბრუნდებიან. როგორი სათქმელია? არ ვიღებდი გასაღებებს. არ მინდოდა, მომეტყუებინა. ვიღაცები იღებდნენ: სად ინახავდი შინნახადს, რომელ ადგილას?“ და ბაბუაც გვეუბნებოდა. ჰოდა, სავსე ბიდონებს ნახულობდნენ, რძის ბიდონებს...

— ქორწილისთვის გარეული ტახის მოკვლა მთხოვეს. შეკვეთა! ღვიძლი ხელში ჩამეშალა... მაინც გვიკვეთავდნენ. საქორწილოდ, ნათლობისთვის...

— მეცნიერებისთვისაც ვკლავთ. კვარტალში ერთხელ: ორ კურდღელს, ორ მელიას, ორ შველს. ყველა დაავადებულია. მაგრამ ჩვენთვისაც მიგვაქვს. ვჭამთ. თავიდან გვეშინოდა, ახლა მივეჩვიეთ. რაღაც უნდა ვჭამოთ, მთვარეზე ვერ გადავსახლდებით. ვერც სხვა რომელიმე პლანეტაზე.

— ვიღაცამ მელიის ქუდი იყიდა და გამელოტდა. სომეხმა „სამარხიდან“ ამოღებული ავტომატი იყიდა იაფად და მოკვდა — ასე ვაშინებდით ერთმანეთს.

— იქ არც თავში, არც სულში არაფერიც არ ხდებოდა... ეჰ, ქალბატონო. ვესროდი. ვმუშაობდი.

— მძლოლს ველაპარაკე, რომელსაც სახლები გამოჰქონდა იქიდან. ზონას ქურდავენ. მერე ყიდიან. თუმცა, ეს უკვე აღარაა არც სკოლა, არც სახლი და არც ბაღი, რადიოაქტიური გამოსხივების კერებია. გააქვთ! სად შევხვდი, აღარ მახსოვს, აბანოში, ან ლუდის მაღაზიასთან. მოკლედ, ზუსტად აღარ მახსოვს. მომიყვა: მიდიან კამაზით, სამ საათში შლიან სახლს და ქალაქთან მოაგარაკეები ეგრევე ყიდულობენ. ზონა აგარაკებად გაიფანტა. ფულსაც აძლევენ, აჭმევენ და ასმევენ კიდევ.

— ჩვენში, მონადირეებში არიან მტაცებლებიც. მონადირე-მტაცებლები. ზოგს კი მხოლოდ ტყეში გავლა უყვარს. პატარა ცხოველებე ნადირობენ ან ფრინველებე.

— აი, რას გეტყვით... რამდენი ადამიანი დაზარალდა და პასუხი არავის უგია. ატომური სადგურის უფროსობა ჩასვეს და სულ ეგაა. ძნელია თქმა, ვინ იყო დამნაშავე. თუკი ზემოდანაა მითითება, შენ რას გახდები? უნდა შეასრულო. მგონი, რაღაც ცდას ატარებდნენ. გაზეთში წავიკითხე, რომ სამხედროები პლუტონიუმს ამუშავებდნენ... ატომური ბომბებისთვის... ამიტომაც იფეთქა... უხეშად რომ ვთქვათ, საკითხი ასე დგას: რატომ ჩერნობილი? რატომ ჩვენთან და არა ფრანგებთან ან გერმანელებთან?

— ტვინიდან არ ამომდის... ასეთი ამბავია... ცუდია, რომ არავის დაგვრჩა არც ერთი ტყვია, არაფერი გვექონდა, რომ გვესროლა. ის პუდელი... ოცი კაცი და არც ერთი ტყვია დღის ბოლოს...”

მონოლოგი იმაზე, რომ არ ვიცით ცხოვრება ჩეხოვისა და ტოლსტოის გარეშე...

„რაზე ვლოცულობ? მკითხეთ: რაზე ვლოცულობ? ეკლესიაში არ დავდივარ. მარტო... დილით ან ღამით... როცა სახლში ყველას სძინავს...”

მინდა, მიყვარდეს! ჩემი სიყვარულისთვის ვლოცულობ! ჩემთვის კი... (სიტყვები უწყდება, ვხედავ, არ უნდა ლაპარაკი). გავიხსენო? იქნებ სჯობს ეს ყველაფერი მოვიშორო თავიდან... გვერდით გავწიო... მე ასეთი რამ წიგნებში არ წამიკითხავს... კინოში არ მინახავს... კინოში ომი მინახავს. ბებია და ბაბუა იხსენებენ, რომ არ ჰქონიათ ბავშვობა, იმიტომ, რომ ომი იყო... მათი ბავშვობა ომია, ჩემი კი — ჩერნობილი. იქიდან ვარ... აი, თქვენც წერთ, მაგრამ ვერც ერ-

თი წიგნი ვერ დამეხმარა, ვერ ამიხსნა.. არც თეატრი, არც კინო... გარკვევას მე თვითონ ვცდილობ. ყველაფრის გარეშე. ჩვენ ყველანი მარტო ვართ და არ ვიცით, რა ვუყოთ ამას. ჩემი გონება ვერაფერს ხვდება. დედა ძალიან დაბნეულია, სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი იყო და მეც სულ წიგნებით ცხოვრებას მასწავლიდა. და უცებ... არაა ასეთი წიგნები... დედა დაიბნა... უწიგნებოდ მან ცხოვრება არ იცის... ჩეხოვისა და ტოლსტოის გარეშე...

გავიხსენო? თან მინდა გავიხსენო და თან — არც მინდა... (თითქოს საკუთარ თავს უსმენს, თითქოს საკუთარ თავს ეკამათება). თუკი მეცნიერებმა არაფერი იციან, თუკი მწერლებმა არაფერი იციან, მაშინ ჩვენ დავვებმარებით მათ ჩვენი ცხოვრებითა და სიკვდილით. ასე ჰგონია დედაჩემს. მე კი არ მინდა ამაზე ვიფიქრო, მინდა ბედნიერი ვიყო. რატომ არ შემიძლია, ვიყო ბედნიერი?

პრიპიატში ვცხოვრობდით, ატომური სადგურის გვერდით, იქ დავიბადე და გავიზარდე. დიდ, პანელებისგან აშენებულ სახლში, მესუთე სართულზე. ფანჯრები სადგურს გადაჰყურებდა. ოცდაექვს აპრილს... ბევრი ყვებოდა მერე, რომ აფეთქების ხმა გაიგონა... არ ვიცი, ჩვენს ოჯახში არავის გაგვიგია. დილით გავიღვიძე და ჩვეულებრივ, სკოლაში წასასვლელად ვემზადებოდი. გუგუნი მომესმა. ფანჯრიდან დავინახე, რომ ჩვენი სახლის თავზე შვეულმფრენი ეკიდა. ძალიანაც კარგი! კლასელებისთვის მაქვს მოსაყლოი! მაშინ ხომ არ ვიცოდი... რომ მხოლოდ ორი დღე დარჩა... ძველი ცხოვრებიდან... ორი დღე იყო დარჩენილი — ჩვენი ქალაქის ცხოვრების ორი უკანასკნელი დღე. ის უკვე აღარ არსებობს. რაც დარჩა, უკვე აღარაა ჩვენი ქალაქი. დამამახსოვრდა, როგორ უყურებდა ჩემი მემობელი ხანძარს ჭოგრიტით. სამი კილომეტრია დაახლოებით. ჩვენ კი... გოგოები და ბიჭები... დღისით სადგურამდე ველოსიპედებით ვსეირნობდით,

ვისაც არ ჰქონდა ველოსიპედი, ჩვენი შურდა. არავინ გვიბრაზდებოდა. არავინ! არც მასწავლებლები და არც — მშობლები. შუადღისას კი მდინარის პირას არც ერთი მეთევზე აღარ იყო. შავები დაბრუნდნენ, ასე ერთ თვეშიც ვერ გაშავდები სოჭში! ბირთვული რუჯი! სადგურის თავზე შავი ან ყვითელი კი არა, ცისფერი კვამლი იდგა. მოცისფრო. მაგრამ ჩვენ არავინ გაგვიბრაზდა. ისე გვზრდიდნენ, რომ გვეგონა, საშიშროება მხოლოდ საომარი შეიძლებოდა ყოფილიყო: აფეთქება მარჯვნივ, აფეთქება — მარცხნივ. აქ კი, ჩვეულებრივი ხანძარი ენთო, რომელსაც ჩვეულებრივი მეხანძრეები აქრობდნენ. ბიჭები ხუმრობდნენ: „აბა, გრძელ რიგებად მოეწყვეთ სასაფლაოზე. ვინც ყველაზე მაღალია, პირველი ის მოკვდება. პატარა ვიყავი, შიში არ მახსოვს, მაგრამ ბევრი უცნაური რამ ხდებოდა. ჰო, უცნაური.. მეგობარი მიყვებოდა, როგორ დამარხა დედამისთან ერთად ეზოში ფული და ოქროულობა და მერე როგორ ეშინოდა, რომ ადგილს ვეღარ მიაგნებდა. ბებიანივით, როცა პენსიაზე აცილებდნენ, სამოვარი აჩუქეს, ის რატომღაც ყველაზე მეტად ამ სამოვარზე და ბაბუას მედლებზე დარდობდა. და კიდევ — ძველ საკერავ მანქანა „ზინგერზე“. სად დავმალეთ? მალევე წაგვიყვანეს ევაკუაციაში. ეს სიტყვა, „ევაკუაცია“ მამამ სამსახურიდან მოიტანა: „ევაკუაციაში მივდივართ!“, როგორც წიგნებში ომის შესახებ! უკვე ავტობუსში ვისხედით, როცა მამას გაახსენდა, რაღაც დამრჩაო. სახლში გაიქცა და ვხედავთ, ორი ახალი პერანგით მორბის... საკიდით... ეს უცნაური იყო... მამას საქციელს არ ჰგავდა... ავტობუსში ჩუმად ვისხედით, ფანჯარაში ვიყურებოდით. ჯარისკაცები დედამიწელებს არ ჰგავდნენ, ქუჩებში თეთრი ხალათებითა და თეთრი ნიღბებით დადიოდნენ. „რა გვეშველება?“ — მოდიოდნენ ჩვენთან ვიღაცები“. — ჩვენ რას გვეკითხებით?“ — ბრაზობდნენ ისინი, — „აი, თეთრ „ვოლგებში“ ზის უფროსობა!“

მივდივართ... ცა კი ისეთი ცისფერია! სად მივდივართ? ჩანთებსა და ბადურებში სააღდგომო კულიჩებითა და წითელი კვერცხებით.

ნუთუ ესაა ომი? წიგნების მიხედვით სხვანაირად წარმომედგინა. ნელა მივდიოდით, საქონელი გვიშლიდა. გზებზე ძროხები და ცხენები მოჰყავდათ... მტვრისა და რძის სუნი იდგა. მძლოლები იგინებოდნენ, მწყემსებს უყვიროდნენ: „რას დადიხართ ამ გზაზე, რას ამტვერებთ ამ რადიოაქტიურ მტვერს! მინდვრებზე რატომ არ წამოხვედით! ისინიც გინებით პასუხობდნენ, — მწვანე ბალახი და მარცვლეული გვენანებაო. არავის ეგონა, თუ უკან ველარ დავბრუნდებოდით. ასე ხომ არასდროს ყოფილა, რომ ადამიანები შინ ვერ დაბრუნებულიყვნენ. თავბრუ ოდნავ მეხვეოდა და ყელში მილიტინებდა. მოხუცი ქალები არ ტიროდნენ, ტიროდნენ ახალგაზრდები. ტიროდა დედაჩემიც...

მინსკში წამოვედით, ბილეთი გამცილებელმა სამმაგ ფასად მოგვყიდა. ჩაი ყველას მოუტანა, ჩვენ კი გვითხრა: „ამოიღეთ თქვენი ფინჯნები და ჭიქები!“ თავიდან ვერ მივხვდით, ვიფიქრეთ, ჭიქები არ ჰყოფნითო. მაგრამ არა! ჩვენი ეშინოდათ. „საიდან ხართ?“ „ჩერნობილიდან“. და ეგრევე შორდებოდნენ ჩვენს კუპეს, ბავშვებს არ უშვებდნენ, რომ ჩვენ გვერდით ერბინათ. ჩავედით მინსკში. დედაჩემს ახლაც რცხვენია, რომ ღამით, „ჭუჭყიანი“ ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით შევვარდით სხვის სახლში. იქ მიგვიღეს, გაგვიმასპინძლდნენ, შეგვიცოდეს. მეზობლები შემოვიდნენ: „სტუმრები გყავთ?“ „საიდან არიან?“ — „ჩერნობილიდან“ და მაშინვე გავიდნენ.

მშობლებს ერთი თვის შემდეგ დართეს ნება, სახლი ენახათ. თბილი საბანი, ჩემი საშემოდგომო პალტო და დედაჩემის უსაყვარლესი ჩეხოვის ტომები წამოიღეს. მგონი, შვიდი ტომი... ბებიია... ჩვენი ბებიია ვერაფრით ხვდებოდა, რატომ არ წამოიღეს რამდენიმე ქილა მარწყვის მურაბა, რომელიც ასე ძალიან მიყვარდა... ის ხომ ქილებში იყო, მოხუფული, რკინის თავსახურებით... საბანზე „ლაქა“ აღმოვაჩინეთ. დედამ გარეცხა, მტვერსასრუტით გაწმინდა, მაგრამ ვერაფრით უშველა. ქიმწმენდაში ჩავა-

ბარეთ... ის კი მაინც „ანათებდა“... ეს „ლაქა“... სანამ მაკრატლით არ ამოვჭერით. ნაცნობი და შეჩვეული: საბანი, პალტო... მე კი იმ საბნის ქვეშ ძილი არ შემეძლო... პალტოს ტარება... ფული არ გვექონდა, ახალი რომ გვეყიდა, მე კი არ შემეძლო... მძულდა ეს ნივთები! არ მეშინოდა, დამიჯერეთ, მძულდა! ამ ყველაფერს შეეძლო მოვეკალი! დედაჩემიც მოეკლა! მტრად აღვიქვამდი... ახლა ვერაფრით ვხსნი... ყველგან ავარიანზე ლაპარაკობდნენ: სახლში, სკოლაში, ავტობუსში, ქუჩაში. ჰიროშიმას ადარებდნენ, თანაც, არავის სჯეროდა. როგორ უნდა დაიჯერო, როცა არ გესმის? როგორც არ უნდა ეცადო, მაინც გაუგებარია. მახსოვს: ჩვენს ქალაქს ვტოვებთ და ცა ისეთი ცისფერია..

ბებია... ახალ ადგილს ვერ შეეჩვია. დარდობდა. სიკვდილის წინ გვთხოვდა – „მჟაუნა მინდა“, მჟაუნას ჭამა კი რამდენიმე წელიწადს არ იყო ნებადართული, თურმე ყველაზე მეტად იღებს რადიაციას. მშობლიურ სოფელში, დუბროვნიკიში დავკრძალეთ. იქ უკვე ზონა იყო, ავტომატიანი ჯარისკაცები იდგნენ. მავთულხლართის იქით მხოლოდ ზრდასრულებს უშვებდნენ... დედა, მამა, ნათესავები შევიდნენ. მე კი არ დამრთეს ნება: „ბავშვებისთვის აკრძალულია“. მივხვდი, რომ ბებიას საფლავზე ველარასდროს მივიდოდი. მივხვდი... სად შემეძლო ასეთი რამ წამეკითხა? სად მომხდარა ასე? დედა გამომიტყდა: „იცი, მძულს ხეები და ყვავილები“. თქვა და საკუთარი თავის შეეშინდა, იმიტომ, რომ სოფელში გაიზარდა და ეს ყველაფერი იცოდა და უყვარდა... ადრე... როცა ქალაქგარეთ მასეირნებდა, მზად იყო მოეწყვიტა ნებისმიერი ყვავილი და ბალახი: ვირისტერფა, ზუბროვკა... სასაფლაოზე... ბალახზე გადააფარეს სუფრა, დადეს საჭმელი, არაყი... ჯარიკაცებმა დოზიმეტრით გაზომეს და ყველაფერი გადაუყარეს. ჩამარხეს. ბალახი, ყვავილები – ყველაფერი „ელავდა“. სად წავიყვანეთ ჩვენი ბებია?

სიყვარულს ვითხოვ... მაგრამ მეშინია... სიყვარულის მეშინია... საქმრო მყავს, განცხადებაც შევიტანეთ მამჩის ბიუროში. გაგიგიათ

რაიმე ჰიროშიმელი „ჰიბაკუსის“ შესახებ? იმათ შესახებ, ვინც ჰიროშიმას გადაურჩა? მათ მხოლოდ ერთმანეთთან შეუძლიათ დაქორწინება. ჩვენთან ამბზე არ წერენ, არ ლაპარაკობენ... მაგრამ ჩვენ ვართ... ჩერნობილელი „ჰიბაკუსები“... სახლში მიმიყვანა, დედამისი გამაცნო. მისი კარგი დედა... ქარხანაში ეკონომისტად მუშაობს... ყველა ანტიკომუნისტურ მიტინგს ესწრება, სოლჟენიცინს კითხულობს. და აი, ამ კარგმა დედამ, რომ გაიგო, ჩერნობილელი ოჯახიდან ვარ, ჩამოსახლებული, გაიკვირვა: „საყვარელო, შეძლებთ ბავშვის გაჩენას? ჩვენ კი უკვე განცხადება გვაქვს შეტანილი... ის მეხვეწება: „სახლიდან წამოვალ, ბინა ვიქირაოთ“... მე კი ჩამესმის: „საყვარელო, ზოგიერთებისთვის ბავშვის გაჩენა ცოდვაა“... ცოდვაა სიყვარული...

აქამდე ერთი ბიჭი მყავდა, მხატვარი. გვინდოდა, ოჯახი შეგვექმნა. ყველაფერი კარგად იყო, სანამ ერთი ამბავი არ მოხდა. მისი სახელოსნოს კარი შევადღე და გავიგონე, როგორ უყვიროდა ვიღაცას ტელეფონში: „როგორ გაგიმართლა! შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ გაგიმართლა!“ როგორც ყოველთვის, ისეთივე მშვიდი, არც ერთი ძახილის ნიშანი ლაპარაკის დროს. და უცებ! თურმე რა მოხდა? მისი მეგობარი სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს. გვერდით ოთახში შეიხედა და იქ ჩამომხრჩვალა გოგონა დახვდა. სარკმელზე, გრძელი ნეილონის წინდით ჩამოუხრჩვია თავი. მეგობარმა ჩამოხსნა... სასწრაფო დახმარება გამოიძახა... ეს კი აღტაცებული, აკანკალებული მეუბნება: „ვერ წარმოიდგენ, რა ნახა! რა გადაიტანა! ხელში აყვანილი მიჰყავდა, გოგოს თეთრი ქაფი ჰქონდა ტუჩებზე...“ იმ მკვდარ გოგომზე არაფერი უთქვამს, არც შეცოდებია. მისთვის მთავარი იყო, დაენახა, დაემახსოვრებინა... მერე კი დაეხატა... მაშინვე გამახსენდა, როგორ დამკითხა, რა ფერის იყო ხანძარი სადგურზე, მინახავს თუ არა, გახრწნილი კატები და ძაღლები როგორ

ეყარნენ ქუჩებში... მინახავს, თუ არა, როგორ ტიროდნენ ადამიანები? ან როგორ კვდებოდნენ...

ამ ამბის მერე... აღარ შემეძლო მასთან ყოფნა... მის შეკითხვებზე პასუხების გაცემა... (დუმილის შემდეგ) არ ვიცი, მომინდება თუ არა კიდევ შეგხვდეთ... მეჩვენება, რომ თქვენც ისე მიყურებთ, როგორც ის. უბრალოდ, მაკვირდებით. მიმახსოვრებთ. რაღაც ექსპერიმენტი ტარდება ჩვენზე. ვერ ვთავისუფლდები იმ განცდისგან... და იქნებ თქვენ იცით, ვისი ცოდვის გამო ვისჯებით? მე ხომ არაფერი დამიშავებია?

ნუთუ იმაში ვარ დამნაშავე, რომ ბედნიერი მინდა, ვიყო?...“
კატია პ.

მონოლოგი იმის გამო, რასაც წმინდა ფრანცისკე ჩიტებს უქადაგებდა

„ეს ჩემი საიდუმლოა. ამის შესახებ არავინ იცის. მხოლოდ ერთ მეგობარს მოვუყევი...

კინოლოპერატორი ვარ. იქ რომ მივდიოდი, მახსოვდა, რაც მასწავლეს: ომი გაქცევს ნამდვილ მწერლად და ეგეთები... საყვარელი მწერალი — ჰემინგუეი, საყვარელი წიგნი — „მშვიდობით, იარაღო!“ ჩავედი. ხალხი ბოსტანშია თავჩახრილი, მინდვრებში — ტრაქტორები და მთესველებია. არსად არაფერი ფეთქდება...

პირველი გადაღება. სოფლის კლუბში. სცენაზე ტელევიზორი აიტანეს. ხალხი შეაგროვეს. გორბაჩოვს უსმენდნენ. ყველაფერი კარგადაა. ყველაფერს ვარეგულირებთ. იმ სოფელში, სადაც ვიღებდით, „დემოკრატია“ მიდიოდა — სახურავებს რეცხავდნენ, ახალი მიწა შემოჰქონდათ. მაგრამ როგორ უნდა გაირეცხოს სახურავი, თუ ბებოს წყალი ჩასდის? ბარის ტარამდე ჭრიდნენ მიწას, მთელ ნაყო-

ფიერ ზოლს. ქვემოთ ყვითელი ქვიშა რჩებოდა. აი, ბებოც, მიწას ნიჩბით იღებს, ნაკველს კი იქვე აგროვებს. ცუდია, არ გადავიღე. სადაც არ მივდიოდით, გვესმოდა: „კინოშნიკებო“, ახლავე მოგინახავთ გმირებს“. გმირები — მოხუცი და მისი შვილიშვილი, ორი დღე მოჰყავდათ ჩერნობილიდან კოლმეურნეობის საქონელი. გადაღების შემდეგ ბოლოტექნიკოსმა უზარმაზარ ქვაბულთან მიმიყვანა — ბულდოზერით მარხავდნენ ამ ძროხებს. თავში არ მომსვლია, გადამელო. ქვაბულთან ზურგით დავდექი და გადავიღე კადრები საბჭოთა კინოლოკუმენტალისტიკის საუკეთესო ტრადიციების დაცვით: ბულდოზერის მძღოლები გაზეთ „პრავდას(„პრავდა“ — საბჭოთა კავშირში კომუნისტური პარტიის გაზეთი. გამოდის 1912 წლიდან.)“ კითხულობენ. სათაური მთავრული ასოებით: „ქვეყანა უბედურებაში არ მიგატოვებს“... თანაც, გაგვიმართლა: ვხედავ — წერო დაფრინდა მინდორზე. ესეც — სიმბოლო! როგორი უბედურებაც არ უნდა დაგვატყდეს თავს, ჩვენ გავიმარჯვებთ! ცხოვრება გრძელდება...

სოფლის გზები. მტვერი. მე უკვე ვხვდებოდი, რომ ეს უბრალო კი არა, რადიოაქტიური მტვერი იყო. კინოკამერას ვმაღავდი, რომ არ დამტვერილიყო, მაინც ოპტიკაა. მშრალი მაისი იდგა. არც ვიცი, რამდენი მტვერი ვყლაპეთ. ერთი კვირის შემდეგ კი ლიმფური ჯირკვლები გამიდიდდა. კინოფირს ისევე ვუფრთხილდებოდი, როგორც ომში — ტყვიებს, იმიტომ, რომ ცეკას(ცეკა — საბჭოთა კავშირში კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მმართველობის უმაღლესი ორგანო.

) პირველი მდივანი, სლუნკოვი უნდა ჩამოსულიყო. ზუსტად სად ჩამოვიდოდა, არავის გამოუცხადებია, მაგრამ მივხვდით. წინა დღეს მივდიოდით გზაზე, სადაც მტვერი სვეტებად ადიოდა, დღეს კი იქ ასფალტს აგებდნენ, თან როგორ ასფალტს, ორ-სამ ფენას! ცხადი იყო: სწორედ აქ ელოდნენ მაღალ უფროსობას! მერე გადავიღე ეს უფროსობაც — გაჯგიმულები სწორ ხაზზე დადი-

ოდნენ იმ ასფალტზე. გვერდზე ერთი სანტიმეტრითაც კი არ გადაუხვევიათ! ესეც მქონდა გადაღებული, მაგრამ სიუჟეტში აღარ გასულა...

არავის არაფერი ესმოდა და ყველაზე საშინელიც ეს იყო. დოზიმეტრისტები ერთ ციფრებს ამბობდნენ, ხოლო გაზეთებში სულ სხვას ვკითხულობდით. ნელ-ნელა ვხვდებოდით რაღაცას. მე კი... მე სახლში პატარა ბავშვი და საყვარელი ცოლი მელოდა. რა სულელი უნდა ვყოფილიყავი, აქ რომ ჩამოვსულიყავი! კი, მედლით დამაჯილდოვებდნენ, მაგრამ... ცოლი წავიდოდა... იუმორს ვაფარებდით თავს. ანეკდოტებს ვყვებოდით: მიტოვებულ სოფელში ბომჟი დასახლდა, კიდევ ოთხი ქალი დარჩა იქ. ეკითხებიან: „როგორაა თქვენი კაცი?“ „ეგ ოხერი კიდევ მეზობელ სოფელშიც დარბის!“ რომ ვცადო და ბოლომდე გულწრფელი ვიყო... უკვე აქ ხარ, და უკვე გესმის, რა არის ჩერნობილი... გრძელი გზა გაწოლილა, ნაკადული მირბის, უბრალოდ, ნაკადული... ეს კი უკვე მოხდა... პეპლები დაფრენენ... ლამაზი ქალი ნაკადულთან დგას... ეს კი უკვე მოხდა. რაღაც ამის მსგავსს ვგრძნობდი, როცა ჩემთვის ძალიან ახლობელი ადამიანი მოკვდა. მზე... კედლის იქით ვიღაც მუსიკას უკრავს... მერცხლები სახურავქვეშ დაფრენენ... ის კი მოკვდა... წვიმს... ის კი მოკვდა... გესმით? მინდა, ჩემი გრძნობები სიტყვებში მოვამწყვდიო, გადმოგცეთ, როგორ იყო ეს ყველაფერი მაშინ ჩემში. სხვა განზომილებაში მოხვედრას ვცდილობ...

ვაშლი ყვავილობდა, — დავინახე და გადაღება დავიწყე... თეთრი საქორწილო ფერია... ისევ ისე — ადამიანები მუშაობენ, ბალები — ყვავის... ხელში კამერა მიჭირავს და ვხვდები... რაღაც ისე ვერ არის. ექსპოზიცია კარგია, კადრიც ლამაზია, მაგრამ რაღაც ისე ვერ არის. და უცებ, მივხვდი: სუნი არ არის! ბალი ყვავის და არაფრის სუნი არ დგას. მერე, გვიან გავიგე, რომ მაღალ რადიაციამზე ჩვენი სხეული ასე რეაგირებს — რაღაც ორგანოებს ბლოკავს. დედაჩემი სამოცდათოთხმეტი წლისაა და სულ წუწუნებს, რომ ყნოსვა გაუქრა. ვიფიქ-

რე, რომ მეც იგივე დამემართა. ჯგუფის წევრებს ვეკითხები, სამ-
ნი ვიყავით, „როგორი სუნი აქვს ვაშლის ხეს?“ მიპასუხეს, საერ-
თოდ არა აქვს სუნიო; მათაც რაღაც დაემართათ... იასამანსაც არ
ჰქონდა სუნი... იასამანს! უცებ ვიფიქრე, რომ ყველაფერი, რაც
ირგვლივია, ტყუილია, რომ რაღაც დეკორაციაში მოვხვდი...
რომ ჩემს გონებას არ ძალუძს ამ ყველაფრის აღქმა, ვერაფერს
ეყრდნობა. არ არსებობს სქემა!

ბავშვობიდან მახსოვს... მეზობლის ქალი, ძველი პარტიზანი
ყვებოდა, როგორ გამოდიოდა მისი რაზმი ალყიდან... ხელში
ბავშვი ეჭირა, ერთი თვის... ჭაობზე მოდიოდნენ, ირგვლივ დამ-
პყრობლები... ბავშვი ტიროდა... შეეძლო, მთელი რაზმი დაეღუ-
პა — ხმაზე იპოვნინდნენ. და მოახრჩო. ისე შორიდან ლაპარაკობ-
და ამაზე, თითქოს თვითონ კი არა, ვიღაც სხვა ქალმა გააკეთა
და ბავშვიც სხვისი იყო. რატომ გაიხსენა ეს ამბავი, უკვე აღარ
მახსოვს. სხვა რამ მახსოვს ძალიან ნათლად — ჩემი გაოგნება:
როგორ გააკეთა? როგორ შეძლო? მეჩვენებოდა, რომ პარტიზა-
ნების მთელი რაზმი ალყიდან სწორედ ამ ბავშვის გამო, ამ ბავ-
შვის გადასარჩენად გამოდიოდა. და ამ დროს, ჯანსაღი, ძლიერი
მამაკაცები რომ გადარჩენილიყვნენ, ჩვილი დაახრჩეს. მაშინ სა-
დაა ცხოვრების აზრი? სიცოცხლე აღარ მინდოდა ამის შემდეგ.
მე, პატარა ბიჭს ამ ქალისკენ გახედვისაც კი მრცხვენოდა, იმი-
ტომ, რომ მის შესახებ და ზოგადად, ადამიანის შესახებ რაღაც
საშინელება გავიგე... და ის ქალი როგორ მიყურებდა? (რაღაც
დროით ჩუმდება) აი, რატომ არ მინდა გავიხსენო.. ის დღეები,
ბონაში... ჩემთვის ბევრნაირ ახსნას ვუძებნი... არ მინდა იმ კარის
გაღება... მინდოდა მცოდნოდა, როდის ვარ ნამდვილი და რო-
დის — ვტყუი. შვილები მყავს, პირველი — ბიჭი. ბიჭი რომ შეგვე-
ძინა, სიკვდილის აღარ მეშინოდა — ჩემს ცხოვრებას აზრი მიეცა.

ღამით, სასტუმროში... ვიღვიძებ და რაღაც მონოტონური ხმა-
ური მესმის ფანჯრიდან, რაღაც გაუგებარი ლურჯი ნათებაც აღ-

წევს. ფარდებს ვწევ: ქუჩაში ათობით მანქანა მიდის წითელი ჯვრებითა და ლურჯი ციმციმებით. სრულ სიჩუმეში. რაღაც შოკის მსგავსი იყო... რომელიღაც ფილმის კადრებმა გამიელვა... ეგრევე ბავშვობაში გადავვარდი... ომისშემდგომ ბავშვებს გვიყვარდა ფილმები ომზე... აი, ასეთი კადრები და ბავშვური შიში... ქალაქიდან ყველა შენიანი გასულია, მარტო დარჩი და რაღაც გადაწყვეტილება უნდა მიიღო. როგორ უნდა მოიქცე? თავი მოიმკვდარუნო? თუ როგორ? და თუკი მაინდამაინც რაიმე უნდა მოიმოქმედო, მაშინ რა?

ხოინიკიში, ქალაქის ცენტრში საპატიო დაფა ეკიდა რაიონის საუკეთესო ადამიანების ფოტოებით. თუმცა, დაბინძურებული ზონის საბავშვო ბაღიდან ლოთმა მძლოლმა გამოიყვანა ბავშვები და არა იმან, ვისი სურათიც ეკიდა დაფაზე. და კიდევ — ევაკუაცია... პირველად ბავშვები გამოჰყავთ. დიდ ავტობუსებში, „იკარუსებში“ ჩასხეს. საკუთარ თავს ვიჭერ, რომ ზუსტად ისევე ვიღებ, როგორც ომზე გადაღებულ ფილმებში მინახავს. იმასაც ვხვდები, რომ მარტო მე კი არ ვიქცევი ასე, არამედ ყველა ადამიანი, ვინც ამ სცენაში მონაწილეობს, ამავე სქემით მოქმედებს. თავი ისე უჭირავთ, როგორც ოდესღაც... გახსოვთ, ყველას საყვარელ ფილმში, „მიფრინავენ წეროები“ იშვიათად ჩანს ცრემლი თვალებზე, დამშვიდობებისას კი მხოლოდ რამდენიმე სიტყვას ამბობენ... გაშლილი ხელები... გამოდის, რომ ჩვენ ყველანი ვცდილობდით, მოგვეძებნა სქემა, რომელიც ნაცნობი იქნებოდა... ვცდილობდით, რაღაცას მოვრგებოდით, გოგონა ხელს უქნევს დედას და ანიშნებს, რომ ყველაფერი კარგადაა, რომ ის მამაცია. რომ ჩვენ გავიმარჯვებთ! ჩვენ... ჩვენ — ასეთები!

მეგონა, მინსკში ჩავალ და იქაც ევაკუაცია დამხვდება-მეთქი. წარმოვიდგენდი, როგორ დავემშვიდობებოდი ჩემებს — ცოლს, შვილს... წარმოვიდგენდი ამ შესტსაც — ჩვენ გავიმარჯვებთ! ჩვენ ხომ ჯარისკაცები ვართ. მამაჩემი, რაც თავი მახსოვს, სულ სამხედრო ფორმით დადიოდა, მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო არ ყოფილა. ფულზე ზრუნვა მეშჩანობად მიაჩნდა, საკუთარ ცხოვრებაზე

ფიქრი — სამშობლოს ღალატად. მისთვის შიმშილი ჩვეულებრივი რამ იყო. მათ, ჩვენმა მშობლებმა გადაიტანეს ნგრევა და ალბათ, ჩვენც უნდა გადავიტანოთ — სხვანაირად ადამიანად ვერ იქცევი. ბრძოლას და ნებისმიერი პირობების გაძლებას გვასწავლიდნენ. ჯარში სამსახურის შემდეგ სამოქალაქო ცხოვრება მოსაწყენად მეჩვენებოდა. ღამლამობით ქუჩებში ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ თავგადასავლების მაძიებლები. ბავშვობაში შესანიშნავი წიგნი, „მწმენდავები“ წავიკითხე, ავტორი ვინაა, დამავიწყდა. იქ დივერსანტებს, ჯაშუშებს დასდევდნენ. აზარტი! ნადირობა! ასე ვართ მოწყობილები! ყოველ დღე სამსახურში სიარული და კარგი საჭმელი — აუტანელია, არაკომფორტულია!

ლიკვიდატორებთან ერთად რომელიღაც სასწავლებლის საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი. პატარა ბიჭები იყვნენ. რადიაცია გამოაქვსო და მთელი ჩემოდანი არაყი მოგვცეს. უცებ გაირკვა, რომ ამავე საერთო საცხოვრებელში მედღახმარების ჯგუფიც განუთავსებიათ. მხოლოდ გოგონები. „აი, ახლა გავერთობით!“ — ამბობდნენ ბიჭები. ორნი წავიდნენ დასაზვერად და აი, გადიდებული თვალებით დაბრუნდნენ... გვეძახიან. ასეთი სურათია: დერეფანში გოგონები მოდიან... გიმნასტურების ქვეშ შარვლები და კარსლონები აცვიათ, ყველაფერი იატაკზე დასთრევთ, მაგრამ არავის რცხვენია. ტანსაცმელი ნახმარი და ჩემოწერილია, ზომებიც სხვადასხვა... საკიდებივით ჰკიდიან. გიმნასტურების ზემოდან კი რაღაცა ქიმიური ხსნარით გაჟღენთილი რეზინებიანი სპეცტანსაცმელი აცვიათ... სუ-ნი... ზოგიერთი ღამითაც კი არ იხდის. მძიმე სანახაობაა... და არც მედღები არიან... ინსტიტუტიდან, სამხედრო კათედრიდან წამოუყვანიან, უთქვამთ, ორი დღითო, მაგრამ თვეზე მეტია, იქ არიან. მოგვიყვანენ, რეაქტორზე დავყავდით, დამწვრობების სანახავადო, დამწვრობებზე პირველად მათგან გავიგონე... აი, ვდგავარ და ვუყურებ — დადიან საერთო საცხოვრებელში, როგორც სიმშარში...

გაზეთებში წერდნენ, რომ საბედნიეროდ, ქარი იმ მხარეს არ ქროდა... ქალაქის მხარეს.. კიევის მხარეს... მაშინ ჯერ არავინ იცოდა... არავის უეჭვია, რომ ქარი ბელარუსის მხარეს ქროდა... ჩემსა და ჩემი იურიკას მხარეს. იმ დღეს ტყეში ვისეირნეთ, კურ-დღეებს კომბოსტო დავუკუწეთ. ღმერთო, როგორ არავინ გამაფ-რთხილა!

ექსპედიციიდან მინსკში დავბრუნდი... ტროლეიბუსით სამსა-ხურში მივდივარ. ჩემამდე საუბრის ნაგლეჯები აღწევს: „ფილმს იღებდნენ ჩერნობილში და ერთი ოპერატორი პირდაპირ იქვე მოკ-ვდა. დაიწვა“. ვფიქრობ: ნეტავ, ვინ? საუბარი გრძელდება: „ახალ-გაზრდა ყოფილა. ორი შვილი დარჩა“. სახელსაც ამბობენ — ვიტია გურიევიჩი. არის ასეთი ოპერატორი ჩვენთან. ორი შვილი ჰყავს? რატომ გვიმალავდა? კინოსტუდიას ვუახლოვდებით და აზუსტებენ — გურიევიჩი კი არა, გურინი, და სერგეი ჰქვია. ღმერთო, ეს ხომ მე ვარ? ახლა მეცინება, მაგრამ მაშინ, მეტროდან კინოსტუდიაში რომ მივდიოდი, მეშინოდა... აი, კარს გავაღებ და... ფიქრმაც გამიელვა „სად იშოვეს ჩემი ფოტო? კადრების განყოფილებიდან აიღეს?“ სა-იდან გავრცელდა ეს ხმა? მომხდარის მასშტაბები მსხვერპლთა რა-ოდენობას არ შეესაბამებოდა. მაგალითად, კურსკის ბრძოლა — ათასი დაღუპული... ეს გასაგები ამბავია. აქ კი, პირველ დღეებში, თითქოს მხოლოდ შვიდი მეხანძრე... მერე კიდევ — სულ რამდენიმე ადამიანი... ხოლო შემდეგ ჩვენი ცნობიერებისთვის ძალიან აბ-სტრაქტული ცნებები: „რამდენიმე თაობა“... სამუდამოდ“ „არაფე-რი“. ჭორები გავრცელდა: სამთავიანი ჩიტები დაფრენენ, ქათმები მელიას ახრჩობენ, მელოტი ზღარბები გაჩნდნენ...

მერე... მერეც ვიღაც უნდა შესულიყო ზონაში. ერთმა ოპერა-ტორმა ცნობა მოიტანა, კუჭის წყლული მაქვსო, მეორე შვებულება-ში გაიპარა... გამომიძახეს: „უნდა წახვიდე!“ — „მე ხომ ახლახან დავ-ბრუნდი“, — „შენ იქ უკვე იყავი, გესმის? შენთვის სულ ერთია. და კი-დევ — შვილები უკვე გყავს. ისინი კი ახალგაზრდები არიან“. იქნებ

მინდა, რომ ექვსი ან შვიდი შვილი მყავდეს? დაიწყეს ზეწოლა, რომ აი, მალე იქნება ტარიფიკაცია, კომბირი გექნება, ხელფასს მოგიმატებენ... სევდიანი და სასაცილო ამბავია. ცნობიერში ვერ თავსდება...

ერთხელ გადავიღე ადამიანები, რომლებმაც საკონცენტრაციო ბანაკები გამოიარეს. როგორც წესი, ისინი ერთად არ იკრიბებიან. რაღაც არაბუნებრივია იმაში, რომ შეიკრიბონ და ომი მოიგონონ. გაიხსენონ, როგორ კლავდნენ მათ და როგორ კლავდნენ თვითონ. ადამიანები, რომლებმაც ერთად გადაიტანეს დამცირება. ისინი ერთმანეთს გაუბრიან. საკუთარი თავისგანაც გარბიან. გარბიან იმისგან, რაც ადამიანის შესახებ იციან... რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი დაკარგეს იქ... აი, რატომ... ჩერნობილში... მეც გავიგე, ვიგრძენი ის, რაზედაც ლაპარაკი არ მინდა. მაგალითად, ის, რომ ჩვენი წარმოდგენები ჰუმანიზმის შესახებ ძალიან ფარდობითია. ექსტრემალურ სიტუაციაში ადამიანი აღარ არის ის, ვისზეც წიგნებს წერენ. ადამიანი, ვისზეც წიგნებში წამიკითხავს, იქ ვერ ვიპოვე, არ შემხვდა. უფრო პირიქით. ადამიანი — გმირი არ არის. ჩვენ ყველანი აპოკალიფსის გამყიდველები ვართ — დიდები და პატარები. გონებაში ნაწყვეტებად მიულავს... სურათებად... კოლმეურნეობის თავმჯდომარეს უნდა, რომ ორი მანქანით გაიყვანოს ოჯახი, წაიღოს ნივთები, ავეჯი, ხოლო პარტორგი(პარტორგი — პარტიული ორგანიზაციის მდივანი დაწესებულებებში.

) ერთ მანქანას თავისთვის ითხოვს და არგუმენტად სამართლიანობა მოჰყავს. მე კი უკვე რამდენიმე დღეა ვუყურებ, რომ ბაგა-ბაღის ბავშვები ვერ გაჰყავთ. ტრანსპორტი არაა საკმარისი და იმიტომ. ამათ კი ორი მანქანა არ ჰყოფნით, რომ ჩაატონ მთელი სახლის ნაგავი, მწნილებისა და მურაბების სამლიტრიანი ქილების ჩათვლით. ეგეც არ გადამიღია... (უცვებ გაიცინა) იქ, მაღაზიაში ძხვი, კონსერვები ვიყიდეთ და შეგვემინდა, გვეჭამა.

თან დაგვექონდა, მაინც გვენახებოდა გადაყრა. (უკვე სერიოზულად) აპოკალიფსის დროსაც ბოროტების მექანიზმი ამუშავდება. ასევე იჭორავებენ, უფროსობის წინაშე ენას ჩაიგდებენ, ასევე გადაარჩენენ საკუთარ ტელევიზორსა და კარაკულის ქურქს. ქვეყნიერების აღსასრულის დროსაც ადამიანი ისეთივე იქნება, როგორც დღესაა. სულ ასეთი იქნება.

ახლა მერიდება კიდევ, მაგრამ გადამღებ ჯგუფს ვერავითარი შეღავათები ვერ გავუხერხე. ერთ ჩვენს ბიჭს ბინა სჭირდებოდა, პროფკომში(პროფკომი – პროფესიული კავშირის ხელმძღვანელი საბჭოთა დაწესებულებებში.) მივედი: „მოგვხმარეთ, ნახევარი წელიწადი ზონაში ვისხედით. შეღავათები გვეკუთვნის“... „კარგი, გვითხრეს – მოგვიტანეთ ცნობები. ოღონდ, ცნობები აუცილებლად ბეჭდიანი უნდა იყოს“. ჩავედით, მივედით რაიკომში მაგრამ დერეფნებში მარტო ნასტია დეიდა დაგვხვდა ცოცხით. ყველანი გაქცეულან. სამაგიეროდ, რეჟისორი გვყავს, მთელი დასტა ცნობები აქვს, სად იყო, რა გადაიღო. გმირია!

მეხსიერებაში დიდ გრძელ ფილმს ვინახავ, რომელიც ვერ გადავიღე. ბევრ სერიას (ჩუმდება). ჩვენ ყველანი აპოკალიფსის გამყიდველები ვართ...

ჯარისკაცებთან ერთად ქოხში შევდივარ. ერთი ბებია ცხოვრობს.

– აბა, ბებია, წავედით!

– წავიდეთ, შვილებო.

– მაშინ გაემზადე, ბებო!

ქუჩაში ველოდებით, ვეწევით. აი, ბებოც გამოდის – ხელში ხატი, კატა და ფუთა უჭირავს. სულ ესაა, რისი წამოღებაც უნდა.

– ბებო, არ შეიძლება კატის წამოყვანა, აკრძალულია. ბეწვი აქვს რადიოაქტიური.

– არა, შვილებო, კატის გარეშე არ წამოვალ. როგორ დავტოვო მარტო? ჩემი ოჯახიესაა.

აი, ამ ბებოსგან... და იმ მოყვავილე ვაშლის ხისგან დაიწყო ყველაფერი... მე ახლა მხოლოდ ცხოველებს ვიღებ. ხომ გითხარით, ცხოვრების აზრი ვიპოვე...

ერთხელ ჩემი ჩერნობილის სიუჟეტები ბავშვებს ვაჩვენე. გამიწყონენ: რატომ? არ შეიძლება. არაა საჭიროო. ისედაც ამ შიმში ცხოვრობენ, ამ საუბრებში... სისხლში ცვლილებები აქვთ, იმუნური სისტემა — დარღვეული. მეგონა, ხუთი ან ათი ადამიანი მოვიდოდა. არადა, მთელი დარბაზი გაივსო. სულ სხვადასხვა შეკითხვებს მისვამდნენ, მაგრამ ერთი სულ მახსოვს. ბიჭმა, რომელიც ჭოჭმანობდა და თანაც, გაწითლდა, როგორც ჩანს, მორცხვი და ჩუმი იყო, მკითხა: „რატომ არ შეიძლებოდა იმ ცხოველების შველა, რომელებიც იქ დარჩნენ?“ რატომ? ეს შეკითხვა მე არ გამჩენია და ვერც ვუპასუხე. ჩვენი ხელოვნება მხოლოდ ადამიანის ტანჯვისა და სიყვარულის აღწერაა, და არა — მთელი ცოცხალი სამყაროსი. მხოლოდ ადამიანის! ჩვენ ვერ მივდივართ იმათთან: ცხოველებთან, მცენარეებთან... სულ სხვა სამყაროა... ადამიანს კი შეუძლია ყველაფერი გაანადგუროს, ყველა დახოცოს და ეს უკვე ფანტაზია აღარ არის. მიამბეს, რომ ავარიის პირველ თვეებში გაჩნდა პროექტი, რომლის მიხედვითაც ადამიანებთან ერთად ცხოველებიც უნდა გადაესახლებინათ. მაგრამ როგორ? შეიძლება რამენაირად გადაერეკათ ისინი, რაც მიწაზე დადის, მაგრამ ის, რაც მიწაშია — ხოჭოები და ჭიები? რაც ცაშია? როგორ უნდა წაიყვანო ევაკუაციაში ბელურა ან მტრედი? რა უნდა ვუყოთ მათ? საშუალება არ გვაქვს გადავცეთ საჭირო ინფორმაცია.

მინდა ფილმი გადავიღო... „მძევლებს“ დავარქმევ... ცხოველების შესახებ. გახსოვთ სიმღერა „ოკეანეში მიცურავდა ჟღალი ხომალდი“... გემი იძირება, ადამიანები ნავეებში ჩასხდნენ, ცხენებმა კი არ იცოდნენ, რომ ნავეებში მათთვის ადგილი არ იყო...

თანამედროვე იგავი... მოქმედება შორ პლანეტაზე ხდება. სკაფანდრიან კოსმონავტს ყურსასმენებში ხმაური ესმის. ხე-

დავს, რომ რაღაც ძალიან დიდი უახლოვდება. უზარმაზარი. დინოზავრია? ჯერ ვერ ხვდება, რა არის, მაგრამ მაინც ესვრის. წამიც არ გადის და ისევ მოდის მეორე. კიდევ რამდენიმე წამში — მთელი ჯოგი. ბრძოლას იწყებს. სინამდვილეში კი, თურმე, ხანძარია და ცხოველები სწორედ იმ გზით გამოურბიან ხანძარს, სადაც კოსმონავტი დგას. ადამიანი! მე კი... გეტყვით, რომ ჩემს თავს უჩვეულო ამბავია. უკვე სხვა თვალთ ვუყურებ ცხოველებს, ხეებს... ჩიტებს... დავდივარ ზონაში... მთელი ეს წლებია... მიტოვებული, დარბეული სახლიდან გარეული ტახი გამორბის... მეღია გამოდის... აი, ეს გადავიღე. აი, ამას დავეძებ. მინდა, ახალი ფილმი გადავიღო. ყველაფერი ცხოველის თვალთ დავინახო. მეუბნებიან, რას იღებ, — ირგვლივ მიმოიხედე, ჩეჩნეთში ომიო. წმინდა ფრანცისკე კი ჩიტებს უქადაგებდა. ჩიტებს ელაპარაკებოდა, როგორც თანასწორებს. იქნებ პირიქით იყო — ჩიტები ელაპარაკებოდნენ თავიანთ ენაზე? ესაუბრებოდნენ, მას კი ჩიტების საიდუმლო ენა ესმოდა.

გახსოვთ... დოსტოევსკისთან... როგორ ურტყამდა ცხენს კაცი ლამაზ თვალებში, გონდაკარგული! გავაზე კი არა, ლამაზ თვალებში ურტყამდა...

სერგეი გურინი
კინოლოპერატორი

მონოლოგი სათაურის გარეშე — ყვირილი

კეთილო ხალხო, ნუ შეგვეხებით! დაგვეხენით! თქვენ წახვალთ და ჩვენ კი აქ უნდა ვიცხოვროთ!

აი, აქ მიდევს სამედიცინო ბარათები. ყოველდღე ვშლი და ვკითხულობ...

ანია ბუდაი — დაიბადა 1985 წელს — 380 ბერი.

ვითა გრიშკევიცი — დაიბადა 1986 წელს — 785 ბერი.

ნასტია შაბლოვსკაია — დაიბადა 1986 წელს — 570 ბერი.

ალიოშა პლენინი — დაიბადა 1985 წელს — 570 ბერი.

ანდრეი კოტჩენკო — დაიბადა 1987 წელს — 450 ბერი...

დღეს ერთმა ქალმა თავისი პატარა გოგონა მომიყვანა გასასინჯად.

— რა გტკივა?

— ყველაფერი მტკივა, ისე, როგორც ბებიაჩემს — გული, ზურგი, თავბრუ მეხვევა.

ბავშვობიდან იციან სიტყვა „ალოპეცია“, იმიტომ, რომ ბევრი გამელოტდა. თმა აღარ აქვთ. აღარც წარბები და წამწამები. ამას ყველანი შეეჩვივნენ. მაგრამ ჩვენს სოფელში მხოლოდ დაწყებითი სკოლაა, მეხუთე კლასიდან 10 კილომეტრით დაშორებით დაჰყავთ ავტობუსით. ტირიან, არ უნდათ წასვლა. იქ სხვა ბავშვები დასცინიან.

ხომ ნახეთ... მთელი დერეფანი სავსეა ავადმყოფებით. მელოდებიან. ყოველ დღე ისეთებს ვისმენ, ტელევიზორის საშინელებათა ფილმები იმასთან შედარებით ხარახურაა! ასე გადაეცით უფროსობას დედაქალაქში, ხარახურა!

მოდერნი... პოსტმოდერნი... ღამით წამომადგეს სასწრაფო გამოძახებაზე. მივედი. დედა მუხლებზე იდგა შვილის საწოლთან. მისი ჩურჩული გავიგონე: „შვილო, თუკი ეს უნდა მომხდარიყო, ზაფხულში მაინც... ზაფხულში თბილა, ყვავილებია, მიწა მსუბუქია... ზაფხულამდე მაინც დაიცადე...“ როგორ დაწერთ ამას?

ამათი უბედურებით ვაჭრობა არ მინდა, არც ფილოსოფოსობა. ამისთვის საჭიროა, განზე გადგე. მე ყოველ დღე ვისმენ, რას ლაპარაკობენ... როგორ წუწუნებენ და ტირიან... ღმერთო... გინდათ, გაიგოთ სიმართლე? ჩამოჯექით აქვე ჩემ გვერდით და ჩაიწერეთ... მაგრამ ასეთ წიგნს არავინ წაიკითხავს...

ჯობია, ნუ შეგვეხებით... ჩვენ აქ უნდა ვიცხოვროთ“...
არკადი პავლოვიჩ ბოგდანკევიჩი
სოფლის ექიმი

მონოლოგი ორი ხმისათვის – ქალისა და კაცის

ნინა კონსტანტინოვნა და ნიკოლაი პროხოროვიჩ ჟარკოვები.
კაცი შრომის გაკვეთილებს უძღვება, ქალი – ფილოლოგია
ქალი:

– იმდენად ხშირად ვფიქრობ სიკვდილზე, რომ უკვე აღარ მინდა, ვნახო. ოდესმე მოგისმენიათ როგორ ლაპარაკობენ ბავშვები სიკვდილზე?

ჩემთან კი... უკვე მეშვიდე კლასელები კამათობენ და განიხილავენ – საშიშია თუ არ არის საშიში? თუკი სულ ცოტა ხნის წინ პატარა ბავშვებს უნდოდათ გაეგოთ, საიდან გაჩნდნენ, საერთოდ, როგორ ჩნდებიან ბავშვები, ახლა მათ აინტერესებთ, რა იქნება ატომური ომის შემდეგ. კლასიკური ლიტერატურა აღარ უყვართ. ზეპირად ვუკითხავ პუშკინს და ცივი, უემოციო თვალებით მიყურებენ... სიცარიელე... მათ ირგვლივ უკვე სხვა სამყაროა... ფანტასტიკას კითხულობენ, იტაცებთ ამბები იმის შესახებ, თუ როგორ მოსწყდა ადამიანი დედამიწას, დაეუფლა კოსმოსურ დროს, სხვადასხვა პლანეტებს. არ შეიძლება, პატარებს სიკვდილის ისე ეშინოდეთ, როგორც დიდ ადამიანებს, მაგალითად, მე... ის მაინც აღელვებთ, როგორც რაღაც ფანტასტიკური... სადღაც გადასახლება...

უკვირდები... სულ ვფიქრობ ამის შესახებ... სიკვდილი აქ გვაიძულებს, ბევრი ვიფიქროთ. ბავშვებს რუსულ ლიტერატურას ვასწავლი, მაგრამ ისინი ათი წლის წინანდელ მოსწავლეებს აღარ ჰგვანან. ამათ თვალწინ სულ ვიღაცას ასაფლავებენ. მიწაში მარხავენ...

ნაცნობ ადამიანებს... სახლებს და ხეებს... ყველაფერს მარხავენ... ყველანი მარხავენ... ხაზზე მოწყობილებს გული მისდით, ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ ცხვირიდან სისხლდენა ეწყებათ. მათ ვერაფრით გააკვირვებ და ვერც ვერაფრით გაახარებ. სულ მოთენთილები და დაღლილები არიან — ნაცრისფერი, გაცრეცილი სახეებით. არ თამაშობენ და არ ეშმაკობენ. თუ იჩხუბეს და ფანჯარა უნებურად ჩაამსხვრიეს, მასწავლებლებს უხარიათ კიდევ. არ უბრაზდებიან, იმიტომ, რომ ესენი დანარჩენ ბავშვებს არ ჰგვანან. ძალიან ნელა იზრდებიან. გაკვეთილზე სთხოვ, რაიმე გაიმეოროს და — არ შეუძლია, იქამდეც კი მიდის საქმე, რომ იტყვი წინადადებას, სთხოვ, იმ წუთასვე გაიმეოროს და — არ ახსოვს. „სად ხარ, სად!“ — ცდილობ გამოაფხიზლო. ვფიქრობ... მართლა ბევრს ვფიქრობ.. თითქოს შუშაზე წყლით ვხატავ, მხოლოდ მე ვიცი, რას ვხატავ, ვერავინ ვერ ხედავს, ვერავინ ვერ ხვდება, ვერავინ ვერ წარმოიდგენს...

ჩვენი ცხოვრება ერთი რაღაცის გარშემო, ჩერნობილის გარშემო ტრიალებს... სად იყავი მაშინ? რეაქტორიდან რამდენად შორს ცხოვრობდი? რა ნახე? ვინ მოკვდა? და ვინ წავიდა? სად? პირველ თვეებში, კარგად მახსოვს, ისევ აგუგუნდა რესტორნები, ახმაურდა საღამოები... „ერთხელ ვცხოვრობთ“, „თუ სიკვდილია, მუსიკით მოვკვდეთ“... ჩამოდიოდნენ ჯარისკაცები, ოფიცრები... ჩერნობილი აღარასდროს დაგვტოვებს... ახალგაზრდა, ფეხმძიმე ქალი უცებ მოკვდა. დიაგნოზის გარეშე, პათანატომმაც კი ვერ დაუსვა დიაგნოზი. პატარა გოგონამ თავი ჩამოიხრჩო... მეხუთეკლასელმა... ისე, არაფრის გამო... მშობლები შეიშალნენ. ამ ყველაფერს ერთი დიაგნოზი აქვს — ჩერნობილი. გვაყვედრიან: „ავად იმიტომ ხდებით, რომ გეშინიათ. შიშისგან, რადიოფობიისგან ხდებით ავად“. მაგრამ რატომ ავადმყოფობენ და კვდებიან პატარა ბავშვები? ისინი ხომ ჯერ ვერ ხვდებიან ვერაფერს და არც შიში იციან?

მახსოვს ის დღეები... ყელი მეწვოდა, სიმძიმე, საშინელი სიმძიმე მედგა მთელ სხეულში. „ექვნიანობთ, — მითხრა ექიმმა, — ყველანი ექვნიანები გახდით, რაც ჩერნობილი აფეთქდა“. „რა შუაშია ექვნიანობა? ყველაფერი მტკივა. ძალა სულ გამომეცალა. გვრცხვენოდა — მე და ჩემი ქმარი ერთმანეთს ვერ ვუტყდებოდით, რომ ფეხებში ძალა გვეცლებოდა. ირგვლივ ყველა წუწუნებდა, ჩვენი მეგობრები, ყველანი, — რომ აი, გზაზე მიდიხარ და უცებ გინდება, დაწვე. დაწვე და დაიძინო. მოსწავლეები თავს მერხებზე დებდნენ და გაკვეთილზე ეძინებოდათ. საშინლად მოწყენილები, მოლუშულები გავხდით, მთელი დღე ერთ კეთილსახიან ადამიანს ვერ შეხვდები, არავინ იღიმის. დილის რვა საათიდან საღამოს ცხრამდე ბავშვები სკოლაში იყვნენ. მკაცრად იყო აკრძალული ქუჩაში თამაში, სირბილი. ტანსაცმელიც მისცეს: გოგონებს — ქვედაბოლო და პერანგები, ბიჭებს — კოსტიუმები. მაგრამ ისინი ამავე ტანსაცმლით ბრუნდებოდნენ სახლში და ჩვენ არ ვიცოდით, შინ რა ეცვათ. ინსტრუქციის მიხედვით დედებს ყოველ დღე უნდა გაერეცხათ ტანსაცმელი, რომ მეორე დილას სკოლაში ყველაფერი სუფთა სცმოდათ, მაგრამ თითო ხელი მისცეს და კიდევ, დედები ისედაც გადაღლილები იყვნენ სამეურნეო საქმეებით — ქათმები, ძროხა, გოჭები, და არც ესმოდათ, რომ ტანსაცმელი ყოველ დღე უნდა გაერეცხათ. მათთვის ჭუჭყი — ესაა მელნის ლაქა, მიწა, ცხიმის ლაქები და არა მცირე ხნით ცოცხალი იზოტოპები. როცა ვცდილობდი, ჩემი მოსწავლეების მშობლებისთვის რაიმე ამეხსნა, მათ ჩემი ისევე ესმოდათ, როგორც რომელიმე აფრიკული ტომის ბელადისას გაიგებდნენ. „და რა არის ეს რადიაცია? არც ჩანს და არც ისმის... მე კი ფული ხელფასიდან ხელფასამდე არ მყოფნის. ბოლო სამი დღეა რძებზე და კარტოფილზე ვართ...“ მეტყოდა და ხელსაც ჩაიქნევდა... რძე არ შეიძლება, არც — კარტოფილი... მაღაზიაში ჩინური ხორცის კონსერვები და წიწიბურა შემოიტანეს, მაგრამ რითი ვიყიდოთ? კუბოსას... საკუბოვედ გვაძლევენ... კომპენსაციას იმის გამო, რომ აქ ვცხოვრობთ... მაგრამ ვაპიკებს... მხო-

ლოდ ორ ქილა კონსერვს ეყოფა... ინსტრუქციები წერა-კითხვის მცოდნე ხალხისთვისაა განკუთვნილი, მათთვის, ვისაც რაღაც ყოფითი კულტურა აქვს. ჩვენთან ეს არაა! არაა ჩვენთან ის ხალხი, ვისთვისაც გასაგები იქნებოდა ეს ინსტრუქციები. ამას გარდა, არ არის იოლი თითოეულს აუხსნა, რითი განსხვავდება ბერი რენტგენისგან... ან მცირე დოზების თეორია...

ჩემი აზრით... მე ჩვენს ფატალიზმზე, რაღაც მსუბუქ ფატალიზმზე ვილაპარაკებდი... მაგალითად, პირველ წელს ბოსტნიდან არაფრის გამოყენება არ შეიძლებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჭამდნენ, ზამთრისთვისაც ინახავდნენ. აბა, სცადე და უთხარი, რომ კიტრის ჭამა არ შეიძლება, ან პომიდვრის... რას ნიშნავს, არ შეიძლება? გემო კარგი აქვს... ჭამს და არც მუცელი სტკივა... და არც სიბნელეში ანათებს... ჩვენმა მეზობლებმა იმ წელიწადს ადგილობრივი ხის მასალით იატაკი დააგეს, რომ გაზომეს — ფონი დასაშვებზე ასჯერ უფრო მეტი იყო. არავის აუყრია ის იატაკი, ეგრე ცხოვრობენ დღესაც. ამბობდნენ, ყველაფერი მოგვარდება, ისე, თავისით, ჩვენ გარეშეო. თავიდან რაღაც პროდუქტები მიჰქონდათ დოზიმეტრისტებთან, ამოწმებდნენ — ყველაფერი ათჯერ აჭარბებდა ნორმას, მერე ამასაც შეეშვნენ... „არ ისმის, არ ჩანს... რას არ მოიფიქრებენ ეს მეცნიერები!“ ყველაფერი ოდითგან დადგენილი წესით გრძელდებოდა: ბარავდნენ, თესავდნენ, მოსავალს იღებდნენ... წარმოუდგენელი რამ მოხდა, ადამიანები კი ცხოვრობდნენ ისე, როგორც ადრე. და საკუთარ ბაღში მოწეულ კიტრზე უარის თქმა უფრო დიდი ამბავი იყო მათთვის, ვიდრე ჩერნობილი. ბავშვები მთელი ზაფხული სკოლაში გვყავდა, ჯარისკაცებმა იატაკი სპეციალური ფხვნილით მოწმინდეს, ირგვლივ მიწის ფენა აიღეს... შემოდგომაზე? შემოდგომაზე მოსწავლეები ჭარხლის მოსავლის ასაღებად გაუშვეს. სტუდენტებიც ჩამოიყვანეს მინდორში სამუშაოდ, პროფსასწავლებლიდან. ყველანი მოგროვდნენ... ჩერნობილი არ აღ-

მოჩნდა ისეთი საშიში, როგორც მოწეული კარტოფილის მოსავლის მიწაში ჩატოვება...

ვინა არის დამნაშავე? აბა, ვინ არის დამნაშავე ჩვენ გარდა?

ადრე ვერ ვამჩნევდით სამყაროს ჩვენ ირგვლივ. ის იყო, როგორც ცა, როგორც ჰაერი, თითქოს ის ვილაცამ სამუდამოდ მოგვცა და ჩვენზე არაფერია დამოკიდებული. მუდმივად იქნება. ადრე ძალიან მიყვარდა ტყეში ბალახზე წამოწოლა და ცაში ყურება, ამ დროს საკუთარი სახელიც კი მავიწყდებოდა. ახლა? ტყე ისევ ლამაზია, სავსეა მოცხარით, რომელსაც არავინ კრეფს. შემოდგომის ტყეში ადამიანის ხმას ვეღარ გაიგონებთ. შიში ღრმად ქვეცნობიერის დონეზე გამჯდარი... მხოლოდ ტელევიზორი და წიგნებიღა დავგრჩა... წარმოსახვის უნარი... ბავშვები სახლებში იზრდებიან... ტყისა და მდინარის გარეშე... ფანჯრებიდან იყურებიან. სულ სხვანაირები არიან. მივდივარ მათთან, „ნაღვლიანო დრო შემოდგომის, თვალთა მშვენებავ...“. ისევ პუშკინით, რომელიც მე მარადიული მეგონა. ხანდახან მკრეხელური აზრიც გამიელვებს ხოლმე: იქნებ მთელი ჩვენი კულტურა – ძველი ხელნაწერებით სავსე სკივრია და სხვა არაფერი... ყველაფერი ის, რაც ასე მიყვარს...

კაცი:

– სხვანაირი მტერი გაგვიჩნდა... მტერი ჩვენ წინ სხვა სახით აღმართა...

ჩვენთან აღზრდაც სამხედრო იყო და აზროვნებაც. ჩვენ ატომური თავდასხმის გასაძლეხად და ლიკვიდაციისთვის გვამზადებდნენ. ჩვენ უნდა შევწინააღმდეგებოდით ქიმიურ, ბიოლოგიურ და ატომურ ომებს. ის კი არ ვიცოდით, როგორ უნდა გამოგვედევნა ორგანიზმიდან რადიონუკლიდები... დაგვეთვალა... დავკვირვებოდით ცეზიუმს და სტრონციუმს... ომთან შედარება არ შეიძლება, ზუსტი ვერ იქნება, მაგრამ მაინც ყველა ადარებს. ბავშვობაში ლენინგრადის ბლოკადა გამოვცადე. შედარება არ შეიძლება. ჩვენ იქ ვცხოვრობდით, როგორც ფრონტზე – მუდმივი დაბომბვის პირობებში. იყო შიმში-

ლი, რამდენიმეწლიანი შიმშილი, როცა ადამიანი ცხოველურ ინსტინქტებამდე ეშვება. ცხოველი იღვიძებს მასში. აქ კი, გეთაყვა, გახვალ და ბოსტანში ყველაფერი ხარობს! მინდორშიც არაფერი შეცვლილა, არც ტყეში. შეუძლებელია შედარება. მაგრამ სხვა რაღაც უნდა მეთქვა... დამეკარგა აზრი... გამებნა... როცა დაბომბვა იწყება, მტერს! შეიძლება მოკვდე არა ოდესმე, არამედ, იმ წუთას. ზამთარში — გშია. ავეჯს ვწვავდით, ბინაში რაც ხისა გვექონდა, ყველაფერი დაწვით, რაღაც ძველი ჭინჭებითაც კი ვათბობდით. კაცი ქუჩაში მიდის, ჯდება, მეორე დღეს გადიხარ და ისევ ისე ზის, ანუ, გაიყინა, ზის მთელი კვირის განმავლობაში, ან — სულაც გაზაფხულამდე, დათბობამდე. არავის აქვს ძალა, რომ ყინულიდან ამოთხაროს, ძალიან იშვიათად ხდებოდა, თუკი ვინმე ქუჩაში წაიქცეოდა, აეყენებინათ და დახმარებოდნენ. ყველანი გვერდს უვლიდნენ. მახსოვს, ადამიანები ისე ნელა დადიოდნენ, დახობავდნენ. ამის რაიმესთან შედარება შეუძლებელია!

მაშინ, როცა რეაქტორი აფეთქდა, დედაჩემი ჩვენთან ცხოვრობდა, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და მიმეორებდა: „შვილო, ყველაზე საშინელი ჩვენ უკვე გამოვიარეთ. ჩვენ ბლოკადა გამოვიარეთ. ამაზე საშიში არაფერი იქნება“. ასე ეგონა...

ომისთვის ვემზადებოდით, ბირთვულ თავშესაფრებს ვაშენებდით. ატომისგან დამალვა გვინდოდა, როგორც ჭურვების ნამსხვრევებისგან. ის კი ყველგანაა... პურში... მარილში... რადიაციას ვსუნთქავთ, რადიაციას ვჭამთ... მესმოდა, რომ არ იყო პური და მარილი, შეიძლებოდა ყველაფერი გვეჭამა, ისიც კი შეიძლებოდა, რომ ტყავის ქამარი მოგვეხარშა და სუნით დავნაყრებულყავით. ეს კი არ მესმის... ყველაფერი მოწამლულია... ძალიან გვჭირდება ვიცოდეთ, როგორ უნდა ვიცხოვროთ... პირველ თვეებში გვეშინოდა, განსაკუთრებით ექიმები, მასწავლებლები, მოკლედ, ინტელიგენცია, უფრო მცოდნე ადამიანები ყველაფერს ტოვებდნენ და გარბოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ

მათ უკრძალავდნენ, არ უშვებდნენ... სამხედრო დისციპლინა... პარტბილეთი მაგიდაზე... მე კი მინდა მივხვდე, ვინაა დამნაშავე? იმისთვის, რომ პასუხი გავცეთ შეკითხვას, თუ როგორ ვიცხოვროთ, აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, ვინაა დამნაშავე – ვინ? მეცნიერები? სადგურის პერსონალი? თუ ჩვენ თვითონ, და ის, თუ როგორ სამყაროს ვაშენებთ?... ვერ ვახერხებთ მოვთხოვთ ჩვენი სურვილები, რომ გვეყოს და მოვიხმართ ის, რაც გვაქვს... იპოვეს დამნაშავეები – დირექტორი, მორიგე ოპერატორები, მეცნიერება. მაგრამ რატომ არ ვებრძვით ავტომობილებს, როგორც ადამიანის გონების შედეგს, რეაქტორს კი ვებრძვით? რატომ მოვითხოვთ, დახურონ ყველა ატომური სადგური და მეცნიერები გაასამართლონ? ვწყევლით! ადამიანის ცოდნას ვაღმერთებ. ყველაფერს, რაც ადამიანის გონების მიერაა შექმნილი. ცოდნა... თვითონ ცოდნა ვერ იქნება დამნაშავე... დღეს მეცნიერებიც ჩერნობილის მსხვერპლები არიან. მინდა ჩერნობილის შემდეგ ცხოვრება, არ მინდა სიკვდილი ჩერნობილის შემდეგ. მინდა ვიცოდე, რას შეიძლება მოვეჭიდო ჩემი რწმენით... რა მომცემს ძალას?

ჩვენთან ყველა ამაზე ფიქრობს... ადამიანებს განსხვავებული რეაქციები აქვთ, რაც არ უნდა იყოს, ათი წელი უკვე გავიდა და მაინც ადარებენ ომს. ომი ოთხი წელი გრძელდებოდა. უკვე ორი ომისხელა დროა გასული. ახლა ჩამოგითვლით, როგორი რეაქციები აქვთ: „უკვე ყველაფერი უკან დარჩა“, „როგორმე გამოვძვრებით“, „ათი წელი გავიდა, უკვე აღარ გვეშინია“, „ყველანი დავიხოცებით! ყველანი მალე მოვკვდებით!“ „უცხოეთში მინდა წასვლა,“ „უნდა დაგვეხმარონ“, „მიმიფურთხებია! უნდა ვიცოცხლოთ“. მგონი, არაფერი გამომრჩა... აი, ამ ყველაფერს ყოველ დღე ვისმენთ! სულ მეორდება... ჩემი აზრით, ჩვენ სამეცნიერო კვლევებისთვის კარგი მასალა ვართ. საერთაშორისო ლაბორატორია... ევროპის ცენტრში... ჩვენ, ბელარუსები, ათი მილიონი ვართ, ორ მილიონზე მეტი კი დაბინძურებულ მიწაზე ცხოვრობს. ბუნებრივი ლაბორატორია... ჩაიწერე

მონაცემები, შეადარე... და ჩამოდიან... ჩვენთან მთელი მსოფ-
ლიოდან ჩამოდიან... დისერტაციებს იცავენ, მონოგრაფიებს წე-
რენ... მოსკოვიდან, პეტერბურგიდან, იაპონიიდან, გერმანი-
იდან, ავსტრიიდან... (კარგა ხნით ჩერდება).

რაზე დაფიქრდი? ისევ შევადარე... დაფიქრდი, რომ ჩერნო-
ბილზე შემიძლია ლაპარაკი, ხოლო ბლოკადაზე — არა. ლენინ-
გრადიდან წერილი მივიღე. მაპატიეთ, მაგრამ ჩემს ცნობიერში
სიტყვა ლენინგრადი ისევ ცოცხლობს, იმიტომ, რომ იქ ვკვდებო-
დი... წერილით მეპატიუბოდნენ შეხვედრაზე „ბავშვები ლენინ-
გრადის ბლოკადიდან“. წავედი. მაგრამ იქ სიტყვაც არ დამცდე-
ნია. შიშზე მომეყოლა? ცოტაა, მხოლოდ შიში... რა გამიკეთა ამ
შიშმა? აქამდე არ ვიცი... სახლში ბლოკადაზე არასდროს ვლაპა-
რაკობდით, დედას არ უნდოდა, რომ გაგვეხსენებინა. ჩერნო-
ბილზე კი ვლაპარაკობთ... არა (ჩერდება), ერთმანეთში არ ვლა-
პარაკობთ, მაგრამ ვლაპარაკობთ მაშინ, როცა ვიღაც ჩამოდის:
უცხოელები, ჟურნალისტები, ნათესავები, ისინი, ვინც აქ არ
ცხოვრობენ... რატომ არ ვლაპარაკობთ სახლში ჩერნობილზე?
არ არსებობს ჩვენთვის ეს თემა... სკოლაში, მოსწავლეებთან და
სახლშიც ის დაბლოკილია. ამაზე საუბარი უწევთ იმათ, ვინც ავ-
სტრიაში, საფრანგეთში, გერმანიაში დადის სამკურნალოდ. ვე-
კითხები ბავშვებს, რის შესახებ გაიგეს უცხოეთში, რამ დააინტე-
რესათ... მათ კი ძალიან ხშირად არ ახსოვთ არც ქალაქის, არც
სოფლის, და არც იმ ადამიანების სახლები, ვინც მიიღო. ჩამოთ-
ვლიან ხოლმე საჩუქრებს, რას ჭამდნენ გემრიელს... ვიღაცას
მაგნიტოფონი აჩუქეს, ვიღაცას — არა. ჩამოდიან ტანსაცმლით,
რომელიც არც თვითონ და არც მათ მშობლებს არ უყვიათ.
თითქოს რაღაც გამოფენაზე იყვნენ. დიდ მაღაზიაში... და სულ
ელოდებიან, როდის წაიყვანენ კიდევ. აჩვენებენ, დაასაჩუქრე-
ბენ. ამასაც მიეჩვივნენ. ეს უკვე მათი ცხოვრების სტილია, მათი
წარმოდგენებია ცხოვრებაზე. ამ უზარმაზარი მაღაზიის შემდეგ,

რომელსაც უცხოეთი ჰქვია, ამ ძვირფასი გამოფენის შემდეგ უნდა მივიდე მათთან კლასში, გაკვეთილზე. შევდივარ და ვხედავ — უკვე დამთვალე რეგლებად ქცეულან... აკვირდებიან, კი არ ცხოვრობენ. უნდა მივხებარო... უნდა ავუხსნა, რომ სამყარო სუპერმარკეტი არ არის. ეს რაღაც სხვაა — ბევრად უფრო რთული და მშვენიერი. სახელოსნოში შემყავს, იქ ჩემი ხის სკულპტურები დგას. მოსწონთ. ვეუბნები: ეს ყველაფერი შეგიძლიათ ჩვეულებრივი ხის მორისგან შექმნათ. სცადეთ თქვენ თვითონ! გამოიღვიძეთ! მე ეს მომეხმარა ბლოკადა დამეძლია, წლების განმავლობაში გამოვდიოდი მდგომარეობიდან...

სამყარო გაიყო: ვართ ჩვენ — ჩერნობილელები და ხართ თქვენ — დანარჩენები. შეამჩნიეთ? აქ აღარ აკეთებენ აქცენტს ასე: ბელორუსი ვარ, რუსი ან უკრაინელი. თავის თავს ყველა ჩერნობილელს უწოდებს: „ჩვენ ჩერნობილიდან ვართ“, მე ჩერნობილის ადამიანი ვარ. თითქოს რაღაც ცალკე ხალხი ვიყოთ, ახალი ნაცია...

მონოლოგი იმის შესახებ, თუ როგორ შემოდის შენში სრულიად წარმოუდგენელი რამ

„ჭიანჭველები... პატარა ჭიანჭველები მიცოცავს ხეზე...

ირგვლივ სამხედრო ტექნიკა გრუხუნებს. ჯარისკაცები, ყვირილი, ჩხუბი, გინება... ისინი კი მიცოცავენ... ზონიდან ვბრუნდებოდი და იმ დღეს ნანახიდან გონებაში ნათლად მხოლოდ ეს სურათი ჩამჩა... ეს მომენტი... ტყეში შევჩერდით და მოსაწევად არყის ხესთან დავდექი. ახლოს ვიდექი, ვეყრდნობოდი. პირდაპირ ჩემ ცხვირწინ ჭიანჭველები მიცოცავდნენ არყის ტანზე, ჩვენი არაფერი ესმოდათ და ყურადღებას არ გვაქცევდნენ... ჯიუტად მიჰყვებოდნენ საკუთარ

მარშრუტს... ჩვენ გავქრებით, ისინი კი ვერ შეგვამჩნევენ — რა-
ღაც ასეთმა გამიელვა თავში. ნაწყვეტ-ნაწყვეტად. რამდენი შთა-
ბეჭდილება მქონდა, მაგრამ ვერაფერზე ფიქრობდი. ვუყურებ-
დი მათ... მე, მე, რომელსაც მათი არსებობა ასე ახლოს არას-
დროს შემიმჩნევია... ახლო მანძილზე...

თავიდან ყველანი ამბობდნენ „კატასტროფა“, მერე „ბირთვე-
ლი ომი“. წამიკითხავს ჰიროშიმასა და ნაგასაკიზე, მინახავს დო-
კუმენტური ფილმებიც. ეს ყველაფერი შემეძლო კიდევ, წარმო-
მედგინა. მაგრამ ის, რაც ჩვენთან მოხდა... საშიშია, მაგრამ მა-
ინც გასაგებია — ატომური ომი, აფეთქების რადიუსი... ამის წარ-
მოდგენა კიდევ შემეძლო, მაგრამ ის, რაც ჩვენ დაგვემართა...
ამისთვის არ მეყო... არ მეყო არც ცოდნა, არც ის წიგნები, რომ-
ლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე წამეკითხა. მივლინებიდან
დაბრუნებული ეჭვის თვალით ვუყურებდი წიგნის თაროებს ჩემს
კაბინეტში... ვკითხულობდი... და შეიძლებოდა, არც წამეკითხა...
რაღაც სრულიად წარმოუდგენელმა დაანგრია ჩემი სამყარო. აი,
ის გიძვრება, შემოდის შენში... შენი ნების საწინააღმდეგოდ...
ერთ მეცნიერთან საუბარი მახსოვს: „ეს ათასი წლის ამბავია“, —
ამიხსნა მან. „ურანის დაშლა — ეს ორას ოცდარვა ნახევრადდაშ-
ლაა. დროზე რომ გადავიტანოთ: ერთი მილიარდი წელია. თო-
რიუმისთვის — თოთხმეტი მილიარდი წელი. ორმოცდათი, ასი,
ორასი წელი... მაგრამ შემდეგ? შემდეგ დასასრულია! შოკია! უკ-
ვე აღარ მესმის, რა არის დრო? სად ვარ მე?“

ამაზე წერა, როცა მხოლოდ ათი წელია გასული... წამი... წე-
რა? ფიქრობ, სარისკოა! არაა სანდო. სულ ერთია, მაინც შევეც-
დებით რაღაც ჩვენს ცხოვრებას მივამსგავსოთ... ასლი ავიღოთ.
ვცადე და არაფერი გამომივიდა... ჩერნობილის შემდეგ ჩერნო-
ბილის მითოლოგია გაჩნდა? გაზეთები და ჟურნალები ერთმა-
ნეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო უარეს საშინელებას დაწერს. საშიში
ამბები განსაკუთრებით იმათ უყვართ, ვინც აქ არ ყოფილა. ყვე-

ლამ წაიკითხა ადამიანის თავისხელა სოკოების შესახებ, მაგრამ არავის უნახავს... ორნისკარტიანი ჩიტების შესახებ... ამიტომ, კი არ უნდა ვწეროთ, უნდა ჩავიწეროთ. აღვწესოთ. აბა, მაჩვენეთ ფანტასტიკის ჟანრის რომანი ჩერნობილზე... არ არსებობს და არც იქნება! გარწმუნებთ, არც იქნება...

ერთი ბლოკნოტი მაქვს... პირველივე დღეებიდან... ვიწერდი საუბრებს, ჭორებს, ანეკდოტებს. ეს ყველაზე საინტერესო და სანდოა. ზუსტი ანაბეჭდია. რა დარჩა ძველი საბერძნეთიდან? ძველი ბერძნული მითები...

მოგცემთ ამ ბლოკნოტს... სადღაც ფურცლებში მიგდია, შეიძლება, რომ გაიზრდებიან, ბავშვებს წავაკითხო... მაინც ისტორიაა...

საუბრებიდან:

„რადიოდან უკვე სამი თვეა ისმის: მდგომარეობა სტაბილური ხდება, მდგომარეობა სტაბილური ხდება, მდგომარეობა სტაბ...“

„უცაბედად აღდგა დავიწყებული სტალინური ლექსიკა: „დასავლეთის სპეცსამსახურების აგენტები“, „სოციალიზმის მალული მტრები“, „ჯაშუშური გამოხტომა“, „დივერსიული აქცია“, „ზურგში ჩარტყმა“ „საბჭოთა ხალხების მძლე კავშირის აფეთქება“. ირგვლივ ყველანი შემოგზავნილი ჯაშუშებისა და დივერსანტების შესახებ ლაპარაკობან და არა — იოდით პროფილაქტიკაზე. ნებისმიერი არაოფიციალური ინფორმაცია აღიქმება, როგორც უცხო იდეოლოგია“.

„გუშინ ჩემი რეპორტაჟიდან რედაქტორმა ამოიღო ერთ-ერთი მეხანძრის დედის მონათხრობი, რომელიც იმ ღამეს ბირთვულ ხანძარს აქრობდა. ის მწვავე სხივური დაავადებით მოკვდა. შვილი მოსკოვში დაკრძალეს და მშობლები სოფელში დაბრუნდნენ, საიდანაც მალევე გაასახლეს. მაგრამ შემოდგომაზე, ისინი ჩუმად, ტყის გავლით დაბრუნდნენ თავიანთ მამულში და რამდენიმე ტომარა კიტრი და პომიდორი აიღეს. დედა კმაყოფილი იყო: „ოცი ქილა მოვხუფეთ“... მიწას ენდობიან... სამუდამო გლეხურ გამოცდილებას... შვილის სიკვდილმაც კი ვერ დაურღვიათ პირველადი წესრიგი...“

„რადიო „თავისუფლებას“ უსმენ? — რედაქტორმა გამომიძახა. გავჩუმდი. — „გაზეთში პანიკის მთესველები არ მჭირდება. გმირებზე წერე... ჯარისკაცები რეაქტორის სახურავზე აძვრნენ...“

„გმირები... გმირები... ვინ არიან ისინი დღეს? ჩემთვის ეს ის ექიმია, რომელიც მიუხედავად ზემოდან წამოსული ბრძანებებისა, ადამიანებს სიმართლეს ეუბნება. ჟურნალისტიც, მეცნიერიც. მაგრამ დაგეგმვისას რედაქტორმა გვითხრა: „დამიხსოვრეთ! ჩვენ არ გვყავს არც ექიმები, არც მასწავლებლები, არც მეცნიერები, არც ჟურნალისტები, ჩვენ ყველას ახლა ერთი პროფესია გვაქვს — საბჭოთა ადამიანები ვართ.“

სჯეროდა თუ არა საკუთარი სიტყვების? ნუთუ არ ეშინია? ჩემი რწმენა დღითი დღე ილევდა...“

„ცეკადან ინსტრუქტორები ჩამოვიდნენ. მათი მარშრუტი ასეთია: სასტუმროდან მანქანით პარტიის კომიტეტამდე, უკანა გზაზეც — მანქანით. მდგომარეობას ადგილობრივი გაზეთების მიხედვით სწავლობენ. ჩანთები მინსკიდან წამოღებული ბუტერბროდებით აქვთ სავსე. ჩაისთვის მინერალურ წყალს ადუღებენ. ისიც ჩამოუტანიათ. ამის შესახებ იმ სასტუმროს მორიგემ გვითხრა, სადაც ცხოვრობდნენ. ადამიანები ვერ ენდობიან გაზეთებს, ტელევიზიას და რადიოს და ინფორმაციას უფროსობის საქციელში ეძებენ. ის მეტ-ნაკლებად სანდოა.“

რა ვუყო ბავშვს? მინდა ავიკრა გუდა-ნაბადი და გავიქცე. მაგრამ ჯიბეში პარტბილეთი მიდევს. არ შეიძლია“.

„ზონის ყველაზე პოპულარული ზღაპარია: სტრონციუმისგან და ცეზიუმისგან ყველაზე უკეთ არაყი „სტოლიჩნაია“ გვიცავს“.

უცებ სოფლის მაღაზიებში გაჩნდა დეფიციტური საქონელი. მოვუსმინე, ობკომის(ობკომი (Областной комитет КПСС) — პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოლქო ორგანო.) მდივანი ამბობდა: „ჩვენ ცხოვრებას სამოთხედ გიქცევთ. თქვენ მართო

დარჩით და იმუშავეთ. ძეხვს და წიწიბურას არ მოგაკლებთ. გექნებათ ყველაფერი ის, რაც სპეცმაღაზიებშია“. ანუ იმათ ობკომისეულ ბუფეტებში. ხალხთან დამოკიდებულება ასეთია: მას მხოლოდ არაყი და ძეხვი სჭირდება.

მაგრამ ეშმაკმა დალახვროს! არასდროს მინახავს, რომ სოფლის მაღაზიაში სამი სახეობის ძეხვი ყოფილიყოს. ამასწინათ ცოლს იქ უცხოური კოლგოტები ვუყიდე“.

„ერთი თვის მანძილზე იყიდებოდა დოზიმეტრები, მერე გაქრა. ამაზე წერა არ შეიძლება. სად და რამდენი რადიონუკლიდები გავრცელდა — არც ამაზე. არც ის შეიძლება დაწეროთ, რომ სოფლებში მხოლოდ ვაცები დარჩნენ და ქალები და ბავშვები გახიზნეს. მთელი ზაფხული ვაცები თვითონ რეცხავდნენ, ძროხებს წველიდნენ, ბოსტანში მუშაობდნენ. და რა თქმა უნდა, სვამდნენ, ჩხუბობდნენ. სამყარო ქალების გარეშე. რა ცუდია, სცენარისტი რომ არ ვარ. ფილმის სიუჟეტია... სადაა სპილბერგი? ჩემი საყვარელი ალექსეი გერმანი? დაწერე... მაგრამ აქვია რედაქტორის წითელი მინაწერი: „ნუ დავიწყებთ, რომ მტრები გვყავს, ოკეანის გაღმა ბევრი მტერი გვყავს“. ამიტომ, რომ ჩვენთან ყველაფერი კარგია, ცუდი კი არ არის. არც გაუგებარი შეიძლება იყოს რამე.

მაგრამ სადღაც სპეციალური შემადგენლობები გადის, ვილაცას უფროსობა დაუნახავს ჩემოდნებით“...

„მილიციის პოსტთან მოხუცმა ბებომ გამაჩერა: „შეხედე ჩემს ქოსს. კარტოფილია ამოსაღები და ჯარივაცები არ მიშვებენ“. გადასახლეს — მოატყუეს, სამი დღით, თორემ არ წავიდოდნენ. ადამიანი ვაკუუმში, ადამიანი ყველაფრის გარეშე... და ისინი თავიანთ სოფლებში სამხედრო პოსტებს შორის მიძვრებიან... ტყის ბილიკებით... ჭაობებზე... ღამით... დასდევენ და იჭერენ. მანქანებითა და შვეულმფრენებით. „როგორც გერმანელებს“ — ამბობენ მოხუცები, ომის დროს...“

„პირველი მოროდირი ვნახე. ახალგაზრდა ბიჭი, ორი ბეწვის ქურთუკი ეცვა. სამხედრო პატრულს უმტკიცებდა, ასე ვმკურნალობ რადიკულიტსო. როცა სხვა გზა არ ჰქონდა, გამოტყდა: პირველადაა საშიში, მერე ეჩვევი... გადაჰკრავ და — მიდიხარ. თვითგადარჩენის ინსტინქტს ახშობ. ნორმალურ მდგომარებაში ეს შეუძლებელია. ასე მიდის ჩვენი ადამიანი გმირობის ჩასადენად. ასევე მიდის დანაშაულის ჩასადენადაც“.

„ცარიელ ქოხში შევედი — თეთრ სუფრაზე ხატი დევს... „ღმერთისთვის“, — თქვა ვილაცამ.

მეორეში — მაგიდაა გაშლილი თეთრ სუფრაზე. „ადამიანისთვის“ — თქვა ისევ ვილაცამ.

მშობლიურ სოფელში ერთი წლის შემდეგ ჩავედი. ძაღლები გაველურდნენ. ვიპოვე ჩვენი რექსი, ვეძახი და — არ მოდის. ვერ მიცნო? არ უნდა, რომ მიცნოს? გაბრაზდა...“

„პირველ კვირებში და თვეებში ყველანი ჩაჩუმდნენ, დადუმდნენ. უნდა წავსულიყავით, მაგრამ ბოლო წამამდე ვამბობდით — „არა“. ცნობიერება გამეთიშა. სერიოზული საუბრები არ მახსოვს. დამამახსოვრდა ანეკდოტები: „ახლა ყველა მაღაზიაში რადიოსაქონელია“, „იმპოტენტები ორ ჯგუფად იყოფიან — რადიოაქტიური და რადიოპასიური. მერე უცებ ანეკდოტებიც გაქრა“.

„საავადმყოფოში გოგონა დედას უყვება:

ბიჭი მოკვდა, არადა, გუშინ კანფეტებით მიმასპინლდებოდა“.

„შაქრის რიგში:

— ვაი, ხალხო, რამდენი სოკოა წელს. სოკოსაც, კენკრასაც ბევრი ასხია!

— დაბინძურებულია...

— სულელია ადამიანი... ვინ გაიძულეს, ჭამო?! — მოაგროვე, გააშრე და წაიღე მინსკის ბაზარში გასაყიდად. მილიონერი გახდები!“

„გვეშველება რამე? და როგორ? ხალხს კანადაში ან ავსტრალიაში ხომ არ გადაასახლებენ? ამბობენ, დროდადრო ასეთი საუბრები მიდის სადღაც ყველაზე ზემოთ“.

„ეკლესიისთვის ადგილი პირდაპირ ზეცაში მოუნიშნავთ. ეკლესიის ხალხს გამოცხადებები ჰქონიათ. საიდუმლოებები ტარდებოდა მშენებლობის საწინააღმდეგოდ“. ატომურ სადგურს კი აშენებდნენ, როგორც ქარხანას ან ღორების ფერმას. სახურავზე ასფალტი და ბიტუმი დაუსხამთ. რომ იწვოდა, თურმე დაცურავდნენ...“

„წიაკითხე? გაქცეული ჯარისკაცი დაუჭერიათ, ჩერნობილთან მიწა გაუთხრია რეაქტორის გვერდით და მთელი წელი იქვე უცხოვრია. დადიოდა თურმე მიტოვებულ სახლებში, სადღაც სალას პოულობდა, სადღაც – კიტრის მწნილს. მხეცებს ხაფანგებს უდგამდა. გაქცეულა ჯარიდან, იმიტომ, რომ იქ უფროსები სასიკვდილოდ სცემდნენ. ჩერნობილში უძებნია ხსნა...“

„ფატალისტები ვართ. არაფერს არ ვაკეთებთ, იმიტომ, რომ გვჯერა: ყველაფერი მაინც ასე იქნება. ასე იქნება. ბედისა გვჯერა. ასეთი ისტორია გვაქვს. ყველა თაობამ გადაიტანა ომი, სისხლი. როგორ უნდა ვიყოთ სხვანაირები? ჩვენ – ფატალისტები ვართ...“

„გაჩნდნენ მგელძაღვლები, რომლებიც ძუ მგლებს ტყეში გაქცეული ძაღლებისგან გაუჩენიათ. მგლებზე დიდები არიან, არ აქცევენ ყურადღებას არაფერს, არ ეშინიათ სინათლის და ადამიანის, არ მოდიან „ვაბაზე“ (მონადირეების მიმბაძველობითი დაძახილი). გაველურებული კატები ჯოგებად დაძრწიან და არ უფრთხიან ადამიანებს. აღარ ახსოვთ, ადამიანს რომ ემორჩილებოდნენ. რეალურსა და არარეალურს შორის ზღვარი იშლება...“

„გუშინ მამაჩემი ოთხმოცდახუთიწლის გახდა... მთელი ოჯახი შევიკრიბეთ მაგიდასთან. ვუყურებდი და ვფიქრობდი, რამდენი რამ დაიტია მისმა ცხოვრებამ – სტალინის გულაგი, ომი, და ახლა – ჩერნობილი. ეს ყველაფერი მისი თაობის სიცოცხლეში მოხდა. ერთი თაობის სიცოცხლეში. მას კი თევზაობა უყვარს, ბაღში მიწის ჩიჩ-

ქნა... ახალგაზრდობაში, დედა ბრაზობდა, თურმე მექალთანეც ყოფილა: ყველა კაბიანს დასდევდაო. ახლაც, შემიმჩნევია, როგორ ხრის თვლებს, როცა პირდაპირ ხვდება ახალგაზრდა ლამაზ ქალს.

რა ვიცით ადამიანზე? იმაზე, თუ რა შეუძლია... იმაზე, თუ რას გასწვდება...”

ჭორებიდან:

„ჩერნობილთან ბანაკს აშენებენ, სადაც მოათავსებენ ყველას, ვინც რადიაციის ზემოქმედების ქვეშ მოყვა. ეყოლებათ, დააკვირდებიან და მერე დამარხავენ“.

„სადგურის ახლომდებარე სოფლებიდან ათასობით მიცვალელებული ავტობუსებით გააქვთ სასაფლაოზე და პირდაპირ სამძმო საფლავებში მარხავენ. როგორც ლენინგრადის ბლოკადის დროს“.

„რამდენიმე ადამიანმა აფეთქებამდე ცოტა ხნით ადრე შენიშნა უცნაური ნათება სადგურის თავზე. ვილაცას ფოტოზეც გადაუღია. ფირზე ჩანს, რომ რაღაც არამიწიერი სხეული იწვის...“

„მინსკში მატარებლები და სავაჭრო შემადგენლობები გაურეცხავთ. მთელ დედაქალაქს ციმბირში ასახლებენ. იქ უკვე არემონტებენ ბარაკებს, იმას, რაც სტალინის ბანაკებიდან გადარჩა. ჯერ ქალებს და ბავშვებს გაიყვანენ. უკრაინელები, თურმე, უკვე გაჰყავთ“.

„მეთევზეებს სულ უფრო და უფრო ხშირად ხვდებათ თევზი-ამფიბიები, რომლებსაც შეუძლიათ იცოცხლონ როგორც წყალში, ისევე მიწაზეც. მიწაზე ისინი ფარფლებიანი თათებით დაცოცავენ. ასევე იჭერენ უთავო და უფარფლო ქარიყლაპიებს. მხოლოდ სხეული დაცურავს...“

რაღაც ამგვარი მალე დაემართებათ ადამიანებს. ბელარუსები ჰუმონოიდებად იქცევიან“.

„ეს ავარია კი არა, მიწისძვრა იყო. რაღაც მოხდა დედამიწის ქერქში. გეოლოგიური აფეთქება. გეოფიზიკური და კოსმოფიზიკური ძალების მონაწილეობით. სამხედროებმა ამის შესახებ წინასწარ იცოდნენ, შეეძლოთ გაფრთხილებაც, მაგრამ ყველაფერი მკაცრად გასაიდუმლოებული აქვთ“.

„ტყეში მხეცებს სხივური დაავადება აქვთ. მოწყენილები დაბოდილობენ და თვალეზიც მოწყენილი აქვთ. მონადირეებს ეშინიათ და ეცოდებათ, რომ ესროლონ. თან მხეცებს ადამიანის აღარ ეშინიათ. მელიები და მგლები სოფლებში შედიან და ბავშვებს ეფერებიან“.

„ჩერნობილელეებისგან შეიძლება ბავშვების გაჩენა, მაგრამ მათ სისხლის მაგივრად რაღაც აქამდე უცნობი ყვითელი სითხე უდგათ. არიან მეცნიერები, რომლებიც ამტკიცებენ, მაიმუნი იმიტომ გახდა ჭკვიანი, რომ რადიაციაში ცხოვრობდაო. ბავშვები, რომელებიც სამი-ოთხი თაობის მერე დაიბადებიან, აინშტაინივით ჭკვიანები იქნებიან. ეს კოსმოსური ექსპერიმენტია, რომელსაც ჩვენზე ატარებენ“.

ანატოლი შიმანსკი

ჟურნალისტი

მონოლოგი კარტეზიანულ ფილოსოფიაზე და კიდევ იმაზე, რომ გრცხვენია და ჭამ დაბინძურებულ ბუტერბროდს უცხო ადამიანთან ერთად

„წიგნებით ვცხოვრობდი... ოცი წელი უნივერსიტეტში ვკითხულობდი ლექციებს...“

აკადემიური მეცნიერი... ესაა ადამიანი, რომელმაც ამოიჩინა ისტორიაში საყვარელი ხანა და იქვე ცხოვრობს. მთლიანად ამ საქმეშია ჩაფლული, საკუთარ სამყაროშია ჩაძირული... იდეალი ესაა...

ფილოსოფია იმ დროს ჩვენთან მარქსისტულ-ლენინური იყო და დისერტაციებისთვისაც შემდეგი თემები იყო განსაზღვრული: „მარქსიზმ-ლენინიზმის როლი სოფლის მეურნეობის განვითარებაში“ ან „ყამირი მიწების ათვისებაში“. მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის როლი... მოკლედ, კარტეზიანული მოსაზრებებისთვის არავის ცხელოდა. მე კი გამიმართლა... ჩემი სტუდენტური ნაშრომი, როგორც საუკეთესო, მოსკოვში მოხვდა და იქიდან დარეკეს: „ხელი არ ახლოთ მაგ ბიჭს, დაე, წეროს!“ მაშინ ფრანგი რელიგიური მოაზროვნის, მალბრანშის(ნიკოლა მაბრანში (1638-1715) – ფრანგი ფილოსოფოსი, მისი მთავარი ნაშრომია „ჭეშმარიტების ძიება“ (1674 წ.). მას ეკუთვნის ფილოსოფიური, თეოლოგიური და ასკეტური ხასიათის მრავალი ნაწარმოები, მათ შორის აღსანიშნავია: „ქრისტიანული საუბრები“ (1676 წ.), „ქრისტიანული და მეტაფიზიკური მედიტაციები“ (1683 წ.), „ზნეობრივი ტრაქტატი“ (1684 წ.) შესახებ ვწერდი, რომელიც ბიბლიას რაციონალური გონების პოზიციებიდან განიხილავდა. მეთვრამეტე საუკუნე – განმანათლებლობის ეპოქა! რწმენა და გონება! ის, რომ შეგვიძლია სამყარო ავხსნათ. ახლა რომ ვუყურებ, მაშინ გამიმართლა... ბორმანქანასა და ხორცსაკვებში არ მოვყევი... სასწაულია! მანამდე რამდენჯერმე გამაფრთხილეს: სტუდენტური ნამუშევრისთვის მალბრანში შეიძლება საინტერესოც კი იყოს, მაგრამ დისერტაციისთვის სხვა თემა უნდა მოძებნო, ეს უკვე სერიოზული ამბავია. ჩვენ ასპირანტურაში მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრაზე გტოვებთ... თქვენ კი წარსულში იქექებითო... ხომ გესმით...

გორბაჩოვის პერესტროიკა დაიწყო... დრო, რომელსაც დიდხანს ველოდით. პირველი, რაც შევამჩნიე, ის იყო, რომ ადამიანებს სახეები შეეცვალათ, უცებ საიდანლაც ახალი სახეები გაჩნდა. სხვანაირად დაიწყეს სიარული, ცხოვრებამ ადამიანთა მოძრაობაშიც კი შეცვალა რაღაც, უფრო მეტადაც უღიმოდნენ ერ-

თმანეთს. სხვა ენერგია გამოჩნდა... რალაც... ჰო, რალაც სრულიად შეიცვალა... ახლა მიკვირს, ასე უცებ როგორ მოხდა ეს ყველაფერი. და მეც... მეც რალაცამ უცებ ამომავლო კარტეზიანული ცხოვრებიდან. ფილოსოფიური წიგნების ნაცვლად ახლა გაზეთებს და ჟურნალებს ვკითხულობდი, მოუთმენლად ველოდი პერესტროიკისდროინდელი „ოგონიოკის“ („ოგონიოკი“ – რუსული საბჭოთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი. გამოდის 1919 წლიდან.) ყოველ ნომერს. დილაობით „სოუზპეჩატის“ ჯიხურებთან რიგები იდგა, არადა, არც მანამდე და არც შემდეგ გაზეთებს არ კითხულობდნენ. არასდროს სჯეროდათ მათი. ზღვა ინფორმაცია წამოვიდა, გამოქვეყნდა ლენინის პოლიტიკური ანდერძი, რომელიც ნახევარი საუკუნე სპეცარქივებში ინახებოდა. წიგნის მალაზიებში გაჩნდა სოლჟენიცინი (ალექსანდრე სოლჟენიცინი (1918-2008) – რუსი მწერალი, პუბლიცისტი და დისიდენტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში (1970), ავტორი ტრილოგიისა „არქიპელაგი გულაგი“.), შალამოვი (ვარლამ შალამოვი (1907-1982) – რუსი პოეტი და მწერალი. წერდა საბჭოთა ბანაკების შესახებ, სადაც არაერთი წელი გაატარა.), ბუხარინი (ნიკოლაი ბუხარინი (1888-1938) – საბჭოთა პოლიტიკური სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, აკადემიკოსი. დახვრიტეს 1938 წელს.)... ცოტა ხნით ადრე ამ წიგნების გამო იჭერდნენ და წლებს უსჯიდნენ. გადასახლებიდან დააბრუნეს აკადემიკოსი ანდრეი სახაროვი (ანდრეი სახაროვი (1921-1989) – რუსი ფიზიკოსი, დისიდენტი და ადამიანთა უფლებების აქტივისტი. 1975 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში.), ტელევიზორში პირველად უჩვენებდნენ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომებს. მთელი ქვეყანა სუნთქვაშეკრული მისჩერებოდა ტელეეკრანებს... დაუსრულებლად ვლაპარაკობდით... ხმამაღლავლაპარაკობდით იმის შესახებ, რაზედაც ცოტა ხნით ადრე მხოლოდ სამზარეულოში ვჩურჩულებდით. რამდენი თაობის ცხოვრებამ გაიარა ასე – სამზარეულოს

საუბრებში! რამდენი ჩაიკარგა ოცნებებში! სამოცდაათზე მეტი წელი... მთელი საბჭოთა ისტორია... ახლა ყველანი მიტინგებზე და დემონსტრაციებზე დავდიოდით, რაღაც ფურცლებზე ვაწერდით ხელს, რაღაცის წინააღმდეგ ვაძლევდით ხმას. მახსოვს, ტელესტუდიაში ვიღაც ისტორიკოსი მივიდა და სტალინის ბანაკების რუკა მიიტანა. მთელი ციმბირი წითელი ალმებით იყო მოფენილი. გავიგეთ სიმართლე კუროპატების(კუროპატი (Куропаты) – ტყის მასივი მინსკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადაც 1937-40-იან წლებში ხვრეტდნენ და მარხავდნენ პატიმრებს.) შესახებ. საზოგადოება დამუნჯდა! ბელარუსის კუროპატები – ოცდაჩვიდმეტი წლის საძმო საფლავია. იქ ერთად წვანან ბელარუსები, რუსები, პოლონელები, ლიტველები... ათობით ათასი... შინსახკომელები(შინსახკომი – შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (НКВД), საბჭოთა კავშირში დანაშაულთან ბრძოლის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და სამოქალაქო წესრიგის უზრუნველყოფი ცენტრალური სახელმწიფო ორგანო 1934-1946 წლებში.

) ორი მეტრის სიღრმის ორმოებს თხრიდნენ და ადამიანებს ორ-სამ რიგად ყრიდნენ. ოდესღაც ეს ადგილი მინსკისგან მოშორებით იყო, მაგრამ მერე ქალაქში შემოვიდა, ქალაქად იქცა. შეიძლება ტრამვით მიხვიდე. ორმოცდაათიან წლებში იყო ტყე გააშენეს, ფიჭვები გაიზარდა და ქალაქელები, რომლებმაც არაფერი იცოდნენ, მათში, შაბათ-კვირას პიკნიკებს აწყობდნენ, ზამთარში კი თხილამურებით სრიალებდნენ. დაიწყეს გათხრები... ხელისუფლება, კომუნისტური ხელისუფლება იტყუებოდა. გამოძრომას ცდილობდა. ღამით მილიცია გათხრილ საფლავებს მიწას აყრიდა, დღისით კი ისევ თხრიდნენ. დოკუმენტური კადრებიც მინახავს – მიწისგან გასუფთავებული თავის ქალათა რიგები... თითოეული – საფეთქელთან გახვრეტილი...

ცხადია, გვქონდა განცდა, რომ რევოლუციაში ვმონაწილეობთ...ახალ ისტორიაში...

ჩვენი თემისგან არ გადამიხვევია... არ იღარდოთ... მინდა გავიხსენო, როგორები ვიყავით, როცა ჩერნობილი მოხდა. სოციალიზმის დამხობა და ჩერნობილის კატასტროფა ისტორიაში ერთად დარჩება. ეს ორი მოვლენა ერთად მოხდა. ჩერნობილმა საბჭოთა კავშირის დაშლა დააჩქარა. იმპერია ააფეთქა.

მე კი პოლიტიკოსად მაქცია.

ოთხ მაისს... ავარიიდან მეცხრე დღეს გამოვიდა გორბაჩოვი, რა თქმა უნდა, შეშინებული იყო, დაბნეული. როგორც ომის პირველ დღეებში... ორმოცდაერთში... გაბეთებში მტრული განზრახვების და დასავლეთის ისტერიის შესახებ წერდნენ. ანტისაბჭოთა აჟიოტაჟისა და პროვოკაციული ჭორების შესახებ, რომელსაც ჩვენი მტრები ავრცელებდნენ. ვიხსენებ იმ დროს... შიში დიდხანს არ ყოფილა, თითქმის ერთი თვე ველოდით, რომ გამოგვიცხადებდნენ: კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენმა მეცნიერებმა... ჩვენმა გმირმა მეხანძრეებმა და ჯარისკაცებმა... კიდევ ერთხელ დაამარცხეს სტიქია, მოიპოვეს არნახული გამარჯვება, კოსმიური ცეცხლი უკან ჩააბრუნეს. ეგრევე არ შეგვშინებია, შიშს არ ვიკარებდით... ზუსტად ასე... მშვიდობიან ატომს ვერაფრით ვუკავშირებდით... სკოლის სახელმძღვანელოებიდან, წაკითხული წიგნებიდან... ჩვენს წარმოსახვაში სამყაროს სურათი ასე იხატებოდა – სამხედრო ატომი ცამდე აზიდული ბოროტი სოკოა, რომელმაც ჰიროშიმასა და ნაგასაკიში ადამიანები წამში აქცია ფერფლად, ხოლო მშვიდობიანი ატომი – უსაფრთხო ელექტრონათურაა. სამყაროს ბავშვის თვალებით ვუყურებდით და ანბანის მიხედვით ვცხოვრობდით. მარტო ჩვენ კი არა, მთელი კაცობრიობა დატკვიანდა ჩერნობილის შემდეგ... გაიზარდა... სხვა ასაკში შევიდა.

საუბრები პირველ დღეებში:

– ატომური სადგური იწვის. სადღაც შორს, მგონი უკრაინაში...

– გაბეთებში წავიკითხე: სამხედრო ტექნიკა და ჯარი შეუყვანიათ. გავიმარჯვებთ!

— ბელარუსში არც ერთი ატომური სადგური არ არის. მშვიდად ვართ.

პირველი ჩასვლა ზონაში...

მივდიოდი და ვფიქრობდი, რომ იქ ყველაფერი ფერფლით იქნებოდა დაფარული. შავი ჭვარტლი დამხვდებოდა. ბრიულოვის(კარლ ბრიულოვი (1799-1852) — რუსი ფერმწერი.) სურათი „პომპეის უკანასკნელი დღე“... იქ კი.... ჩადიხარ და სილამაზე გხვდება. ულამაზესია! აყვავებული მინდვრები, გაზაფხულის ღია მწვანით შეფერილი ტყეები. ძალიან მიყვარს ეს დრო... ყველაფერი ხარობს, იზრდება და მღერის... ყველაზე მეტად შიშისა და სილამაზის თანაარსებობამ შემაშფოთა. შიში აღარ არსებობდა სილამაზის გარეშე და სილამაზე — შიშის გარეშე... ყველაფერი აირია... როგორც ახლა ვხვდები, პირიქით... სიკვდილის უცნობი გრძნობა გაჩნდა...

მთელი ჯგუფი წავედით. არავის გავუგზავნივართ... ბელარუსი ოპოზიციონერი დეპუტატების ჯგუფი... დრო! როგორი დრო იყო! კომუნისტური ხელისუფლება უკან იხევდა... სუსტდებოდა და ძალა ეცლებოდა... ირყეოდა... ადგილობრივი მთავრობა ცუდად შეგვხვდა: „ნებართვა გაქვთ? რა უფლება გაქვთ ხალხი შეაწუხოთ? შეკითხვები დაუსვათ? ვინ დაგავალათ?“ ზემოდან მიღებული ინსტრუქციის მიხედვით მოქმედებდნენ: „არ დათესოთ პანიკა. დაელოდეთ მითითებებს“. „აი, თქვენ ახლა დააშინებთ, ამიჯანყებთ ხალხს, ჩვენ კი გეგმები გვაქვს შესასრულებელი — რესპუბლიკის და საკავშიროც“, ზემდგომებისა ეშინოდათ. იმათ კი, იმ ზემდგომებს უფრო ზემოთ მყოფების და ასე გენსეკამდე. ვილაც ერთი ადამიანი წყვეტდა ყველაფერს, იქ, ზემოთ, ზეცაში. ასე იყო ხელისუფლების პირამიდა ნაგები. თავში — მეფით, იმ დროინდელი კომუნისტური მეფით. ვცდილობდით აგვეხსნა: „აქ ყველაფერი უცხოურია. ის, რასაც თქვენ აწარმოებთ, უკვე აღარ ვარგა გამოსაყენებლად“... „პროვოკატორები ხართ, შეწყვიტეთ

მტრული აგიტაცია! ჩვენ დავრეკავთ... ყველაფერს დავამტკიცებთ...
და რეკავდნენ, სადაც საჭირო იყო, ამტკიცებდნენ კიდევ...

სოფელი მალინოვკა... ორმოცდაცხრამეტი კიური კვადრატულ
მეტრზე...

სკოლაში შევედით.

— აბა, როგორ ცხოვრობთ?

— რა თქმა უნდა, გვეშინია. მაგრამ დაგვამშვიდეს: სახურავები
გარეცხეთ, ჭებს მუშამბა გადააფარეთ, გზები მოაასფალტეთ და შე-
გიძლიათ იცხოვროთ! მაგრამ კატები განუწყვეტლად იფხანენ და
ცხენებს კი მიწამდე სდით ცინგლი.

სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ სახლში დაგვპატიჟა. ახალი
სახლი ჰქონდა, ორი თვის წინ უბეიმიათ ახალმოსახლეობა. ბელა-
რუსული ტრადიციის მიხედვით „ვხოლინები“ არიან — ეს ნიშნავს,
რომ ადამიანები ახალ სახლში გადავიდნენ. სახლის გვერდით მყა-
რად ნაშენი ფარდული დგას, საწყობიც. ყველაფერი ისეა, რასაც
ოდესღაც კულაკური(რუსეთში „კულაკს“ უწოდებდნენ გლეხს, რო-
მელსაც მდიდარი მეურნეობა ჰქონდა. საბჭოთა კავშირში 30-იანი
წლებიდან დაიწყო ე. წ. კულაკების რეპრესიები — ქონებას ართმე-
ვდნენ, დევნიდნენ, ასახლებდნენ, ხვრეტდნენ.

) მეურნეობა ერქვა, ასეთებს აკულაკებდნენ. გასახარად და შე-
საშურად კარგად არიან.

— მაგრამ მაინც მოგიწევთ აქედან წასვლა.

— არაფრით! აქ იმდენი ვიშრომეთ.

— შეხედეთ დოზიმეტრს!

— ჩამოდიან აქ... თქვენი დედაც! არ აძლევენ ხალხს მშვიდად
ცხოვრების უფლებას! — მასპინძელმა ხელი ჩაიქნია და მინდორში
წავიდა ცხენთან... არ დაგვემშვიდობა.

სოფელი ჩუიანი... ასორმოცდაათი კიური კვადრატულ მეტრზე...

ქალები ბოსტნებში მუშაობენ, ბავშვები ქუჩებში დარბიან. სოფლის ბოლოს კაცებს ახალმოჭრილი ხეების მორები მოაქვთ. იმათთან გავაჩერეთ მანქანა. შემოგვეხვივნენ. სიგარეტი გვთხოვეს.

— როგორაა საქმე? არაყს გაძლევენ? ჩვენთან — შეფერხებაა. ის გვშველის, რომ შინნახადს ვხდით. გორბაჩოვი თვითონ არ სვამს და ჩვენც გვიკრძალავს.

— აჰა... ესე იგი, დეპუტატები ხართ... ჩვენთან თამბაქოს ამბავიც ცუდადაა.

— კაცებო, — ვცდილობთ ავუხსნათ, — მალე მოგიწევთ აქაურობის დატოვება. აი, დოზიმეტრი... ნახეთ: რადიაცია ამ ადგილას, სადაც ახლა ვდგავართ, დასაშვებ ნორმაზე ასჯერ მაღალია.

— რაებს რომავ... ჰაა! ვის სჭირდება აქ შენი დოზიმეტრი?! გაიარე, შენ წახვალ, ჩვენ აქ უნდა დავრჩეთ! მოაშორე ეგ დოზიმეტრი აქედან!

რამდენჯერმე ფილმს „ტიტანიკის“ დაღუპვის შესახებ ვუყურე და ყოველთვის იმას მაგონებდა, რაც იქ ვნახე... რამაც ჩემ თვალწინ გაიარა... რაც ჩერნობილის პირველ დღეებში მე თვითონ გადავიტანე... ყველაფერი ისე იყო, როგორც „ტიტანიკზე“. ადამიანებიც ისევე იქცეოდნენ. ერთი ფსიქოლოგია მუშაობდა. ვცნობდი... ერთმანეთს ვადარებდი... აი, ხომალდის ფსკერი უკვე გახეთქილია, წყალი ავსებს ქვედა ტრიუმებს, კასრები, ყუთები დაცურავს... წყალი წინ მიიწევს და... ზემოთ ჩირალდნები ანთია. მუსიკა უკრავს. გამოაქვთ შამპანური. გრძელდება საოჯახო ჩხუბები, იწყება სასიყვარულო ურთიერთობები, წყალი მოიწევს... კიბეებზე ადის... კაიუტებში შედის...

ჩირალდნები ანთია. მუსიკა უკრავს. შამპანური მოაქვთ.

ჩვენი მენტალობა... ცალკე საუბრის თემაა... ჩვენთვის პირველ ადგილას გრძნობებია. ეს გვაძლევს გაქანებას, ცხოვრებას

ალამაზებს, მაგრამ მეორე მხრივ — დამღუპველია. რაციონალური არჩევანი ყოველთვის საზიანო გვეგონია, საქციელს გულით ვამოწმებთ და არა — გონებით. სოფელში ვინმეს ეზოში თუ შეხვალ — უკვე სტუმარი ხარ. უკვე უხარიათ. განიცდიან. თავს აქნევენ: „ვაი, ახალი თევზი არ მაქვს, რითი გაგიმასპინძლეთ?“ ანდა „რძეს ხომ დაღვეთ? ახლავე დაგისხამთ ტოლჩაში“. უკან არ გიშვებენ. ქოხში გეპატიუებიან. ვიღაცებს ეშინოდათ, მე კი მივყვებოდი. შევდიოდით, მაგიდასთან ვსხდებოდით. ვჭამდი დაბინძურებულ ბუტერბროდს, იმიტომ, რომ ყველანი ჭამდნენ. თასით ვსვამდი. რაღაც სიამაყესაც კი ვგრძნობდი იმის გამო, რომ ასეთი ვარ — შევძელი. შევძელი! ჰო, ჰო! საკუთარ თავს ვეუბნებოდი: „თუკი ამ ადამიანის ცხოვრებაში არაფრის შეცვლა არ შემიძლია, მასთან ერთად ამ დაბინძურებულ ბუტერბროდს მაინც შევჭამ, რომ არ შემრცხვეს, მისი ბედი რომ გავიზიარო“. საკუთარ სიცოცხლეს ასე ვექცევით. არადა, ცოლი და ორი შვილი მყავს, მათ წინაშე პასუხისმგებელი ვარ. ჯიბეში დოზიმეტრი მიღვეს... როგორც ახლა მესმის... ესაა ჩვენი სამყარო, ასეთები ვართ ჩვენ. ათი წლის წინათ ამით ვამაყობდი, ახლა კი მრცხვენია. მაგრამ მაინც ისევ დაჯდები მაგიდასთან და ისევ შევჭამ იმ დაწყველილ ბუტერბროდს. ვფიქრობდი... ვფიქრობდი იმაზე, რა ხალხის ვართ ჩვენ? ის დაწყველილი ბუტერბროდი თავიდან არ მშორდებოდა. ვიღაცამ კარგად დაწერა, რომ მეოცეში... და ახლაც, ოცდამეერთე საუკუნეში ჩვენ ისევ ისე ვცხოვრობთ, როგორც მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურამ გვასწავლა. ღმერთო! ძალიან მაწამებს ეს ამბავი... ბევრთან მისაუბრია ამაზე. ვინ ვართ ჩვენ? ვინ?

საინტერესოდ ვისაუბრე ერთი დაღუპული მფრინავის ცოლთან, ახლა რომ უკვე ქვრივია. ჭკვიანი ქალია. დიდხანს ვისხედით. მასაც უნდოდა გაეგო... გაეგო და მიეღო ქმრის სიკვდილი. შეგუებოდა. მაგრამ არ შეეძლო. ბევრჯერ წამიკითხავს გაბეთებში, როგორ მუშაობდნენ შვეულმფრენები რეაქტორის თავზე. თავიდან ტყვიის ფილებს ისროდნენ, რომლებიც ხვრელში უკვალოდ ქრებოდა, მერე

ვილაცას გაახსენდა, რომ ტყვია 700 გრადუსზე ორთქლად იქცევა, იქ კი ორი ათასი გრადუსი იყო. ამის შემდეგ ქვემოთ დოლომიტით და ქვიშით სავსე ტომრების სროლა დაიწყო. მტვრის დამე იდგა რეაქტორის თავზე. სიბნელე იყო. ზუსტად რომ მოეხვედრებინათ მიზანში, მფრინავები კაბინების ფანჯრებს ალებდნენ და იყურებოდნენ, როგორ აეღოთ გები: მარჯვნივ-მარცხნივ, ზემოთ-ქვემოთ. წარმოუდგენელი დოზები! მახსოვს სტატიების სათაურები: „გმირები ცაში“, „ჩერნობილელი შევარდნები“. ეს ქალი... საკუთარი ეჭვები გამიზიარა: „ახლა წერენ, რომ ჩემი ქმარი გმირია. დიახ, — გმირია, მაგრამ რა არის გმრობა? ვიცი, რომ ჩემი ქმარი პატიოსანი და კარგი შემსრულებელი ოფიცერი იყო. დისციპლინას იცავდა. ჩამოვიდა ჩერნობილიდან და რამდენიმე თვეში ავად გახდა. კრემლში გადასცეს ჯილდო, იქ ნახა თავისი ამხანაგები, რომლებიც ასევე ავად იყვნენ. მაგრამ მაინც უხაროდათ, ერთმანეთი რომ ნახეს. შინ ბედნიერი დაბრუნდა... ორდენით... მაშინ ვკითხე: „შეგეძლო, ჯანმრთელობა შეგენარჩუნებინა და ასე ძალიან არ დაზარალებულიყავი?“ მიპასუხა: „ალბათ შევძლებდი, ცოტა მეტი რომ მეფიქრა. კარგი დამცავი კოსტიუმი, სპეციალური სათვალე და ნილაბი იყო საჭირო, მაგრამ არც ერთი, არც მეორე, არც მესამე არ გვექონია. თანაც, ჩვენც არ ვიცავდით უსაფრთხოების წესებს. ვერ ვიფიქრეთ...“ ჰო, ჩვენ მაშინ არ გვიფიქრია... რა საწყენია, რომ ადრე ასე ცოტას ვფიქრობდით“... მეც ვეთანხმები... ჩვენი კულტურის მიხედვით საკუთარ თავზე ფიქრი ეგოიზმად ითვლება, სულიერ სისუსტედ. რაღაც ყოველთვის არსებობს, რაც შენზე, შენს ცხოვრებაზე მეტი ღირს.

ოთხმოცდაერთი წელი... ოცდაექვსი აპრილს — მესამე წლისთავია. სამი წელი გავიდა კატასტროფის შემდეგ. ადამიანები გამოასახლეს ოცდაათ კილომეტრიანი ზონიდან, მაგრამ ორ მილიონ ბელარუსზე მეტი ისევ დაბინძურებულ ტერიტორიაზე რჩე-

ბა. ისინი დაივიწყეს. ბელარუსის ოპოზიციამ ამ დღეს დემონსტრაცია დაგეგმა, მაგრამ ხელისუფლებამ შაბათობა მოაწყო. ქალაქში ყველგან წითელი დროშები იდგა, სავლელ ბუფეტები მუშაობდა იმ დროისთვის დეფიციტური ასორტიმენტით: უმად შებოლილი ძეხვით, შოკოლადის კანფეტებით, ხსნადი ყავის ქილებით. ყველგან დადიოდნენ მილიციის მანქანები, ბიჭები სამოქალაქო ტანსაცმლით მუშაობდნენ. ფოტოებს იღებდნენ. მაგრამ... მათ უკვე აღარავინ აქცევდა ყურადღებას, როგორც ადრე, ისე უკვე აღარ ეშინოდათ. ხალხმა ჩელუსკინელების ხიდთან დაიწყო შეკრება. მოდიოდნენ და მოდიოდნენ. ათი საათისთვის უკვე ოცი-ოცდაათი ათასი ადამიანი იყო (მილიციის ცნობებს ვიმოწმებ, მერე ტელევიზორშიც თქვეს) და ხალხის მასა ყოველ წუთში იზრდებოდა. არც ველოდით ამდენს... ყველანი ამალღებულ განწყობაზე იყვნენ... ვინ დაუდგება ხალხის ზღვას წინ? ზუსტად ათ საათზე, როგორც გვექონდა დაგეგმილი, კოლონა ცენტრისკენ, ლენინის პროსპექტისკენ დაიძრა, სადაც მიტინგი უნდა გამართულიყო. ახალი ჯგუფები მთელ გზაზე გვიერთდებოდნენ, კოლონას პარალელურ ქუჩებზე, შესახვევებში, სადარბაზოებში ელოდებოდნენ. ხმა დაირხა: მილიციამ და სამხედრო პატრულებმა ქალაქში შესასვლელი გზები ჩახერგა, დემონსტრანტების მანქანებსა და ავტობუსებს აჩერებენ, უკან აბრუნებენო, მაგრამ პანიკას არავინ აწყობია. ადამიანები ტრანსპორტს ტოვებდნენ და ფეხით მოდიოდნენ ჩვენკენ. ამის შესახებ მეგაფონით გამოაცხადეს. კოლონას ზემოდან მოეფინა ხმამალალი „ვა-ა-შა!“ აივნებზე ხალხის ტევა არ იყო. ყველანი ამალღებულ განწყობაზე იყვნენ. ფანჯრებიც ბოლომდე გაეღოთ, რაფებზე იყვნენ შემომსხდარი, ხელებს გვიქნევდნენ, საბავშვო დროშები და ნაჭრები ეჭირათ. და უცებ შევნიშნე... და სხვებმაც ამაზე დაიწყეს ლაპარაკი, რომ მილიცია სადღაც გაქრა, ის ბიჭებიც, სამოქალაქო ტანსაცმლიანები და ფოტოაპარატიანები... როგორც ახლა მგონია, ბრძანება მიიღეს, ებოებში შევიდნენ, ბრებენტგადაფარებულ მანქანებში ჩასხდნენ და

ჩაიმაღლნენ. ხელისუფლება გაისუსა. იცდიდა. ხელისუფლება და-
იმალა. ადამიანები მოდიოდნენ და ტიროდნენ, ხელი ხელს
ჰქონდათ ჩაკიდებული. ტიროდნენ, რადგან საკუთარ შიშზე გა-
იმაჩვენეს. გათავისუფლდნენ შიშისგან.

მიტინგი დაიწყო... მართალია, მანამდე ბევრს ვემზადებო-
დით, გამომსვლელების სიას განვიხილავდით, მაგრამ იქ ეს სია
არავის გახსენებია. სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნასთან
თვითონ მოდიოდნენ და ყოველგვარი ფურცელების გარეშე ლა-
პარაკობდნენ უბრალო ადამიანები, რომლებიც ჩერნობილის
ახლო ადგილებიდან ჩამოვიდნენ. ცოცხალი რიგი დადგა. ჩვენ
მოწმეებს ვუსმენდით. მოწმეები ჩვენებას იძლეოდნენ... ცნობი-
ლი ადამიანებიდან მხოლოდ აკადემიკოსი ველოხოვი გამოვი-
და, ავარიის ლიკვიდაციის შტაბის ყოფილი თანამშრომელი,
მაგრამ მისი გამოსვლა არ მახსოვს. სულ სხვა ვილაყები დამა-
მახსოვრდა...

ქალი ორი ბავშვით... გოგონათი და ბიჭით...

ქალმა ბავშვები ტრიბუნაზე აიყვანა: „ესენი უკვე დიდი ხანია,
არ იცინიან. არ ერთობიან. ეზოში არ დარბიან. მათ ძალა არ
აქვთ. ისე არიან, როგორც მოხუცები“.

ქალი — ლიკვიდატორი...

როცა მან სახელოები აიწია და ხალხს ხელები უჩვენა, ყვე-
ლამ დაინახა, რომ ხელები დაწყლულებული ჰქონდა. სულ ნაი-
არევი. „მე ვურეცხავდი ტანსაცმელს ჩვენს კაცებს, როცა ისინი
რეაქტორის ახლოს მუშაობდნენ“ — ყვებოდა ის, — „ძირითადად
ხელით ვრეცხავდით, იმიტომ, რომ ძალიან ცოტა სარეცხი მანქა-
ნა შემოიტანეს. რაც იყო, ისინიც მალე გაფუჭდა“.

ახალგაზრდა ექიმი...

დაიწყო იქიდან, რომ ჰიპოკრატეს ფიცი ჰქონდა დადებული...
ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ დაავადებების მონაცემები და-

ხურულია შიფრის ქვეშ „საიდუმლო“ და „სრულიად საიდუმლო“, რომ მედიცინას და მეცნიერებას პოლიტიკაში რთავენ...

ეს ჩერნობილის ტრიბუნალი იყო.

ვალიარებ და არ დავმაღავ: ეს იყო ყველაზე დიდი დღე ჩემს ცხოვრებაში. ბედნიერები ვიყავით... ვალიარებ...

მეორე დღეს, ჩვენ, დემონსტრაციის ორგანიზატორები მილიციაში დაგვიბარეს და გაგვასამართლეს, რადგან მრავალრიცხოვანმა ბრბომ პროსპექტი გადაკეტა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობას ხელი შეუშალა. არასანქცირებული ლობუნგებიც გვეჭირა. თითოეულ ჩვენგანს თხუთმეტი დღე მოგვცეს „ბოროტი ხულიგნობის“ მუხლით. მოსამართლეს, რომელმაც განაჩენი გამოგვიტანა და მილიციონერებს, რომელებიც იზოლატორამდე მიგვაცილებდნენ, რცხვენოდათ. მათ ყველას რცხვენოდათ. ჩვენ კი ვიცინოდით... ჰო, ჰო, ვიცინოდით, იმიტომ, რომ ბედნიერები ვიყავით.

ახლა ჩვენ წინაშე სულ სხვა შეკითხვა დადგა: რა შეგვიძლია? რა უნდა ვაკეთოთ მომავალში?

ჩერნობილის ერთ-ერთ სოფელში, როცა გაიგო, რომ მინსკიდან ვიყავით, ვიღაც ქალი ჩვენს წინაშე მუხლებზე დაეცა: „გადამირჩინეთ შვილი! თან წაიყვანეთ! ჩვენმა ექიმებმა არ იციან, რა სჭირს. ის კი იხრჩობა, ლურჯდება. მიკვდება“ (გაჩუმდა).

საავადმყოფოში მივედი... ბიჭი... შვიდი წლის... ფარისებრი ჭირკვლის კიბო. მინდოდა, გამერთო, ხუმრობა დავიწყე. ის კი კედლისკენ გადაბრუნდა: „ოღონდაც არ მითხრათ, რომ გადავრჩები. ვიცი, რომ მოვკვდები“.

მეცნიერებათა აკადემიაში... ჰო, იქ... მაჩვენეს „ცხელი ნაწილაკებით“ ამომწვარი ადამიანის ფილტვების სურათი. ფილტვები ვარსკვლავიან ცას ჰგავდა. „ცხელი ნაწილაკები“ უმცირესი მიკროსკოპული ნაწილაკებია, რომლებიც მაშინ გაჩნდა, როცა ცეცხლმოკიდებულ რეაქტორს ტყვიას ასხამდნენ და ქვიშას აყრიდნენ. ტყვიის, ქვიშისა და გრაფიტის ატომები დარტყმისგან ზემოთ ადიოდა და

დიდ მანძილზე იფანტებოდა... ასობით კილომეტრზე... სასუნთქი გზებით ისინი ახლაც ხვდება ადამიანის ორგანიზმში. ყველაზე ხშირად ტრაქტორისტები და მძღოლები იღუპებიან. ისინი, ვინც ხნავენ, ვინც მზისგულზე მუშაობენ. ნებისმიერი ორგანო, სადაც ეს ნაწილაკები ხვდება, სურათებზე „ანათებს“. ასობით ნახვრეტია, დაცხრილულია. ადამიანი კვდება. იწვება. და თუ ადამიანი მოკვდავია, ეს „ცხელი ნაწილაკები“ უკვდავია. ადამიანი მოკვდება და ათასი წლის შემდეგ მიწად, მტვრად იქცევა, ეს „ცხელი ნაწილაკები“ კი იცოცხლებს. და ეს მტვერი ისევ შეძლებს, მოკლას... (ჩუმდება).

ვბრუნდებოდი მივლინებებიდან... სავსე ვიყავი... ვყვებოდი... ჩემი ცოლი, რომელიც განათლებით ლინგვისტია, ადრე არასდროს დაინტერესებულა პოლიტიკით, ისევე როგორც, მაგალითად, სპორტით, ახლა კი დაუსრულებლად მეკითხებოდა ერთსა და იმავეს: „რა შეგვიძლია ჩვენ? რა უნდა ვაკეთოთ მომავალში?“ და ისეთი საქმე დავიწყეთ, რომელსაც საღად თუ შევხედავთ, შეუძლებელი იყო. ამის მსგავს რამეზე ადამიანი მხოლოდ დიდი რყევების დროს, სრული სულიერი თავისუფლების დროს მიდის. მაშინ კი ასეთი დრო იყო... გორბაჩოვის დრო... იმედის დრო! რწმენის დრო! გადავწყვიტეთ, ბავშვები გადაგვერჩინა. მსოფლიოსთვის გვეთქვა, როგორი საშიშროების ქვეშ ცხოვრობენ ბელარუსი ბავშვები. დახმარება გვეთხოვა, გვეყვირა, ყველა ბარისთვის შემოგვეკრა! ხელისუფლება ჩუმადაა, საკუთარი ხალხი გაწირა, მაგრამ ჩვენ არ გავჩუმდებით... და მალე, ძალიან მალე შეიკრა თანამოაზრეებისა და დამხმარეების წრე. პაროლი გვექონდა: „რას კითხულობ? სოლჟენიცინს... პლატონოვს(ანდრეი პლატონოვი (1899-1951) – რუსი მწერალი და დრამატურგი.)... მოდი მაშინ ჩვენთან...“ დღეში თორმეტ საათს ვმუშაობდით. ჯერ ორგანიზაციის სახელი უნდა მოგვეფიქრებინა. ათობით ვარიანტი ვსინჯეთ და ყველაზე მარტივზე შევჩერდით „ფონდი – ჩერნობილის ბავშვებს“. დღეს უკვე შეუძლებელია ჩვენი მა-

შინდელი ეჭვების, კამათის, ჩვენი შიშების წარმოდგენა და ახსნა... ისეთ ფონდებს, როგორც ჩვენი, ახლა ვეღარ დაითვლი, ათი წლის წინ კი პირველები ვიწყებდით. პირველი სამოქალაქო ინიციატივა იყო... ზემოდან სანქციების გარეშე. ყველა ჩინოვნიკს ერთნაირი რეაქცია ჰქონდა: „ფონდი? რა ფონდი? ამისთვის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო გვაქვს“.

როგორც ახლა ვხვდები... ჩერნობილი გვათავისუფლებდა... ვსწავლობდით, როგორ ვყოფილიყავით თავისუფლები...

სულ თვალწინ მიდგას... (იცინის) ეს სულ თვალწინ მიდგას... ჰუმანიტარული ტვირთით სავსე პირველი მაცივრები რომ შემოვიდა ჩემს ეზოში. ჩემი სახლის მისამართზე. ფანჯრიდან ვუყურებდი და ვერ წარმომედგინა, ან როგორ უნდა გადმოგვეტვირთა, ან სად უნდა შეგვენახა. კარგად მახსოვს, მანქანები მოლდოვეთიდან იყო. ჩვიდმეტი-ოცი ტონა ხილის წვენები, ხილფაფები, ბავშვთა კვება... მაშინ ასეთი ხმა დადიოდა, რადიაციის გამოსადევნად ყველაზე ეფექტური ხილია, რაც შეიძლება მეტი ხილიო. მეგობრებს დავურეკე — ვიღაც აგარაკზე იყო, ვიღაც — სამსახურში. მე და ჩემმა ცოლმა დავიწყეთ ჩამოცლა, მაგრამ თანდათან ერთი-მეორის მიყოლებით სახლიდან (ცხრა სართულიანია) ადამიანები გამოდიოდნენ, გამვლელებიც ჩერდებოდნენ: „რა მანქანებია?“ — „ჩერნობილის ბავშვების დახმარება“. საკუთარ საქმეებს ტოვებდნენ და გვეხმარებოდნენ. საღამოსთვის მანქანები დავცალეთ. ტვირთს ავტოფარეხებსა და სარდაფებში ვაწყობდით, რომელიღაც სკოლასაც მოველაპარაკეთ. ამაზე ძალიან ბევრს ვიცინოდით... მაშინ კი, როცა ეს დახმარება დაბინძურებულ რაიონებში ჩავიტანეთ... გაცემა დავიწყეთ... როგორც წესი, ხალხი სკოლებში ან კულტურის სახლებში იკრიბებოდა. ვეტკოვსკის რაიონში... ახლა გამახსენდა... ერთი შემთხვევა... ახალგაზრდა ოჯახი... მათაც ისევე მიიღეს, როგორც ყველამ — ქილები ბავშვთა კვებით, პაკეტები, ხილის წვენები. კაცი ჩამოჯდა და ატირდა. ამ ქილებს და პაკეტებს მისი შვილების გადარჩე-

ნა არ შეეძლო, ხელიც ჩაექნია — სისულელეა ესეცო! მაგრამ იჭადა და ტიროდა, თურმე იმიტომ, რომ როგორც გაირკვა — არ დაივიწყეს, ვიღაცამ იფიქრა მათზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იმედი მაინც ცოცხლობს...

მთელი მსოფლიო გამოგვეხმაურა... ჩვენი ბავშვები სამკურნალოდ იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში მიიღეს... ავიაკომპანია „ლუფტჰანზამ“ გერმანიაში საკუთარი ხარჯით გადააფრინა. გერმანელებმა მფრინავები კონკურსის წესით შეარჩიეს. საუკეთესო მფრინავები გაფრინდნენ. როცა ბავშვები თვითმფრინავში ადიოდნენ, ეგრევე ხვდებოდა თვალს, როგორი ფერმკრთალები, როგორი ჩუმები იყვნენ. კურიოზებიც ხდებოდა... (იციან) ერთი ბიჭის მამა კაბინეტში შემომივარდა და შვილის საბუთების დაბრუნება მომთხოვა: „ჩვენს ბავშვებს იქ სისხლს აუღებენ! მათზე ექსპერიმენტებს ჩაატარებენ!“ რა თქმა უნდა, იმ საშინელი ომის ხსოვნა ისევ ცოცხალია... ხალხს ახსოვს... მაგრამ ისიცაა — ძალიან დიდხანს ვიცხოვრეთ მავთულხლართებში... სოციალისტურ ბანაკში. დანარჩენი მსოფლიოსი გვეშინოდა. არ ვიცნობდით... ჩერნობილელი დედები და მამები — კიდევ ცალკე თემა... ჩვენი მენტალობის, საბჭოთა მენტალობის შესახებ საუბრის გაგრძელება... დაეცა... დაიშალა საბჭოთა კავშირი... ჩვენ კი ისევ დიდხანს ველოდით დახმარებას იმ დიდი და ძლიერი ქვეყნისგან, რომელიც უკვე აღარ არსებობდა. ჩემი დიაგნოზი... გითხრათ? ციხისა და საბავშვო ბაღის ნაზავი — აი, რა არის სოციალიზმი. საბჭოთა სოციალიზმი. ადამიანი სახელმწიფოს აძლევდა სულს, სინდისს, გულს და სანაცვლოდ დღიურ ნორმას იღებდა. ვის როგორ გაუმართლებდა — ვიღაცას დიდი ნაჭერი ხვდებოდა, ვიღაცას — პატარა, მაგრამ ერთი საერთო იყო — სანაცვლოდ სულს ითხოვდნენ. ყველაზე მეტად იმის მეშინოდა, ფონდი ამ „დღიური ნორმის“ გამცემადარ ქცეულიყო. ჩერნობილის დღიური ნორმის. ხალხი კი უკვე მიეჩვია ლოდინს და წუ-

წუნს: „მე — ჩერნობილელი ვარ. მე მეკუთვნის, იმიტომ, რომ ჩერნობილელი ვარ“. როგორც ახლა მესმის, ჩერნობილი ჩვენი სულისთვისაც ძალიან დიდი გამოცდა იყო... და ჩვენი კულტურისთვისაც.

პირველ წელს უცხოეთში ხუთი ათასი ბავშვი გავუშვით, მეორე წელს — ათი, მესამე წელს — თხუთმეტი...

გისაუბრიათ ბავშვებთან ჩერნობილში? უფროსებთან კი არა, ბავშვებთან. ისინი უცნაურად მსჯელობენ. მე, როგორც ფილოსოფოსს, მაინტერესებს. მაგალითად... ერთი გოგონა მიყვებოდა, როგორ გაგზავნეს მისი კლასი ოთხმოცდაექვსი წლის შემოდგომაზე მინდორში... ჭარხლისა და სტაფილოს ასაღებად. ყველგან მკვდარ თავგებს ნახულობდნენ და მერე იცინოდნენ: აი, დაიხოცებიან თავვები, ხოჭოები, ჭიები... მერე მოკვდებიან კურდღლები და მგლები, მათ შემდეგ კი — ჩვენ. ადამიანები სულ ბოლოს მოკვდებიან. მერე ცდილობდნენ წარმოედგინათ, როგორი იქნებოდა სამყარო ჩიტებისა და ცხოველების გარეშე... თავგების გარეშე. რაღაც დროს ადამიანი მართლ დარჩებოდა, ყველას გარეშე. ბუზებიც კი აღარ იფრენდნენ. მაშინ ისინი თორმეტი-თოთხმეტი წლისები იყვნენ. და მომავალს ასე ხედავდნენ.

საუბარი მეორე გოგონასთან: პიონერთა ბანაკში ჩავიდა და იქ ერთ ბიჭს დაუმეგობრდა. „ისეთი კარგი ბიჭი იყო, — იხსენებდა, სულ ერთად ვატარებდით დროს“. მისმა ამხანაგებმა უთხრეს ამ ბიჭს, რომ ჩერნობილიდან იყო და ის ბიჭი შემდეგ აღარ გაკარებია, არც ერთხელ. ამ გოგოს წერილებსაც ვწერდი. „ახლა, როცა ჩემს მომავალზე ვფიქრობ, — მწერდა, — ვოცნებობ, რომ სკოლას დავამთავრებ და სადმე, ძალიან შორს წავალ, სადაც არავის ეცოდინება, საიდან ვარ. იქ ვიღაც შემიყვარებს და მეც ყველაფერს დავივიწყებ“.

ჩაიწერეთ, ჩაიწერეთ... ჰო, ჰო! მესხიერებიდან ყველაფერი წამეშლება, დამავიწყდება. გული მწყდება, რომ თავის დროზე არ ვიწერდი... კიდევ ერთი ისტორია... დაბინძურებულ სოფელში ჩავედით. სკოლის წინ ბიჭები ბურთს თამაშობენ. ბურთი გაუვარდათ და

პატარა ყვავილების ბაღში ჩაგორდა. ბავშვები ირგვლივ უვლიდნენ და ბურთის ამოღება ეშინოდათ. თავიდან ვერც მივხვდი, რა ხდებოდა, თეორიულად კი ვიცოდი, მაგრამ იქ არ ვცხოვრობდი და მუდმივად დაძაბული არც ვყოფილვარ, ნორმალური სამყაროდან ჩავედი იქ. ყვავილნარისკენ გადავდგი თუ არა ნაბიჯი, ბავშვებმა მაშინვე დამიყვირეს: „არ შეიძლება! არ შეიძლება! ბიძია, არ შეიძლება!“ სამი წლის განმავლობაში (ოთხმოდცდაცხრა წელი იყო) შეეჩვივნენ იმას, რომ არ შეიძლება ბალახზე დაჯდომა, არ შეიძლება ყვავილის მოწყვეტა, არ შეიძლება ხეზე აძრომა. როცა ბავშვები უცხოეთში მიგვყავდა და ვთხოვდით: „წადით ტყეში, მიდით მდინარესთან, იბანავეთ და გაირუჯეთ“, უნდა გენახათ, როგორ ფრთხილად ჩადიოდნენწყალში... როგორ ეფერებოდნენ ბალახს... მერე, კი... მერე როგორ გაიხარეს! ყვინთვა შეიძლებოდა, ქვიშაზე წოლაც... სულ თაიგულებით დადიოდნენ, მინდვრის ყვავილებისგან გვირგვინებს წნავდნენ. რაზე ვფიქრობდი? როგორც ახლა მგონია... ჰო, ჩვენ შეგვიძლია ისინი წავიყვანოთ და ვუმკურნალოთ, მაგრამ როგორ დავუბრუნოთ მათ ადრინდელი სამყარო? როგორ დავუბრუნოთ წარსული? და მომავალიც...

აქ ჩნდება შეკითხვა... ჩვენ უნდა გავცეთ პასუხი შეკითხვას: ვინ ვართ? ამის გარეშე არც არაფერი მოხდება და არც არაფერი შეიცვლება. რას ნიშნავს ჩვენთვის ცხოვრება? როგორ გვესმის თავისუფლება? თავისუფლებაზე მხოლოდ ოცნება შეგვიძლია. შეგვეძლო ვყოფილიყავით თავისუფლები, მაგრამ არ ვართ. ისევ არ გამოგვივიდა. სამოცდაათი წელი კომუნისტს ვაშენებდით, ახლა — კაპიტალიზმს ვაშენებთ. ადრე მარქსზე ვლოცულობდით, ახლა დოლარზე ვლოცულობთ. როცა ჩერნობილზე ფიქრობ, მაშინვე აქ ბრუნდები: ვინ ვართ? რა ვიცით საკუთარი თავის შესახებ? ჩვენი სამყაროს შესახებ? სამხედრო მუზეუმებში, და ისინი გაცილებით უფრო მეტი გვაქვს, ვიდრე ხელოვნების მუ-

ზეუმები, ძველი ავტომატები, ხმლები, ყუმბარები ინახება. ეზოებში დგას ტანკები და ქვემეხები. მოსწავლეები იქ ექსკურსიებზე დაჰყავთ და უჩვენებენ — ესაა ომი. ასეთია ომი. არადა, დღეს ის სხვანაირია. ათას ცხრაას ოთხმოცდაექვსი წლის ოცდაექვს აპრილს ჩვენ კიდევ ერთი ომი გადავიტანეთ, რომელიც ჯერაც არ დასრულებულა.

და ჩვენ... ვინ ვართ ჩვენ?

გენადი გრუშევოი,

ბელარუსის პარლამენტის დეპუტატი

ფონდ „ჩერნობილის ბავშვების“ თავმჯდომარე

მონოლოგი იმაზე, რომ დიდი ხანია, რაც ხიდან ჩამოვცოცდით, მაგრამ ვერ მოვიფიქრეთ, როგორ შეიძლება ხე ეგრევე ბორბლად გავზარდოთ

„ჩამოჯექით... უფრო ახლოს... გულწრფელად გეტყვით, არ მიყვარს ჟურნალისტები, არც ისინი მწყალობენ.

— და... რატომ?

— არ იცით? ვერ მოასწრეს, გაეფრთხილებინეთ? მაშინ გასაგებია, რატომაც ხართ აქ. ჩემს კაბინეტში. მე — ოდიოზური ფიგურა ვარ. ასე მომიხსენიებს თქვენი ერთი ძმა ჟურნალისტი. ირგვლივ ყველანი ყვირიან: ამ მიწაზე ცხოვრება არ შეიძლება. მე კი ვპასუხობ — შეიძლება. უნდა ისწავლო, როგორ იცხოვრო. სიმაძაცე უნდა გეყოს. მოდიოთ, დავხუროთ დაბინძურებული ტერიტორია (ქვეყნის მესამედი), შემოვაავლოთ მავთულხლართები, მივატოვოთ და გავიქცეთ. მიწა ისედაც ბევრი გვაქვს. არა! ერთი მხრივ, ჩვენი ცივილიზაცია ანტიბიოლოგიურია — ადამიანი ბუნების ყველაზე დიდი მტერია, მეორე მხრივ კი — ის შემოქმედია, სამყაროს ცვლის. მაგალითად,

ეიფელის კოშკი ან კოსმოსური ხომალდი... მაგრამ პროგრესი ითხოვს მსხვერპლს და რაც უფრო შორს მივდივართ, მით უფრო დიდია მსხვერპლი. ბევრისთვის ეს ომზე უფრო იოლი გასაგები აღმოჩნდა. ჰაერის დაბინძურება, მიწის მოწამვლა, ოზონის ხვრელები... დედამიწის კლიმატი იცვლება და შეგვეშინდა. მაგრამ თავისთავად ცოდნა ვერ იქნება დანაშაული. ჩერნობილი... ვინაა დამნაშავე – რეაქტორი თუ ადამიანი? რა თქმა უნდა, ადამიანი, ის ცუდად ემსახურებოდა, წარმოუდგენელი შეცდომები დაუშვა, შეცდომათა მთელი წყება. არ ჩავუღრმავდები ტექნიკურ საკითხებს, მაგრამ ეს უკვე ფაქტია... ასობით კომისიამ და ექსპერტმა იმუშავა. კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი ტექნოლოგიური კატასტროფაა, წარმოუდგენელი დანაკარგებით. მატერიალურ დანაკარგს როგორმე დავთვლით, მაგრამ არამატერიალურს? ჩერნობილმა ჩვენს ცნობიერებას დაარტყა, ჩვენს მომავალს. მომავლისა შეგვეშინდა. მაშინ არ უნდა ჩამოვსულიყავით ხიდან და მოგვეფიქრებინა რაღაც ისეთი, რომ ხე ეგრევე ბორბლად გაზრდილიყო. მსხვერპლთა რაოდენობით ჩერნობილის კატასტროფა კი არა, ავტომობილებია დღეს პირველ ადგილას. რატომ არ ვკრძალავთ ავტომობილების წარმოებას? ველოსიპედით ან ვირით სიარული გაცილებით უფრო უსაფრთხოა... ურმითაც...

აქ ჩუმდებიან... ჩუმდებიან ჩემი ოპონენტები...

ბრალს მდებენ... მეკითხებიან: „როგორ უყურებთ იმას, რომ ბავშვები სვამენ რადიოაქტიურ რძეს? ჭამენ რადიოაქტიურ კენკრას?“ ცუდად ვუყურებ, ძალიან ცუდად! მაგრამ ვთვლი, რომ ამ ბავშვებს ჰყავთ დედები და მამები, გვყავს ხელისუფლება, რომლებმაც ამაზე უნდა იფიქრონ. მე ერთი რამის წინააღმდეგი ვარ – იმისი, რომ ადამიანებმა, რომლებმაც არასდროს სცოდნიათ ან უკვე დაივიწყეს მენდელეევის ცხრილი, გვასწავლონ, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ. გვაშინებენ. ჩვენი ხალხი ისედაც სულ

შიშში ცხოვრობს — რევოლუცია, ომი. ეს სისხლიანი ვამპირი... ემ-
მაკი... სტალინი... ახლა — ჩერნობილი... მერე გვიკვირს, რატომ
არის ჩვენი ხალხი ასეთი. თავისუფლები არ არიან. ეშინიათ თავი-
სუფლების?! მათთვის ნაცნობია ცხოვრება მეფის ქვეშევრდომობის
ქვეშ. მამა-მეფის ქვეშ. ამ მეფეს შეიძლება გენსეკი ან პრეზიდენტი
ერქვას, რა მნიშვნელობა აქვს ამას? მაგრამ მე პოლიტიკოსი კი არა,
მეცნიერი ვარ. მთელი ცხოვრებაა მიწაზე ვფიქრობ, მიწას ვსწავ-
ლობ. მიწა ისეთივე ამოუცნობი მატერიაა, როგორც სისხლი. თით-
ქოს მასზე ყველაფერი ვიცით, არადა, რაღაც საიდუმლო მაინც რჩე-
ბა. ჩვენ დავიყავით, იმის მიხედვით კი არა, ვინც თანახმაა აქ იცხოვ-
როს და ვინც — არა, არამედ — მცოდნეებად და არ მცოდნეებად. თუ-
კი აპენდიციტის შეტევა გაქვთ, ვის აკითხავთ? რა თქმა უნდა, ქი-
რურგს და არა სამოქალაქო ენთუზიასტებს. ამ დროს სპეციალისტს
უსმენთ. მე პოლიტიკოსი არ ვარ. ვფიქრობ — კიდევ რა არის ბელა-
რუსში გარდა მიწისა, წყლისა, ტყისა? ნავთობია? ალმასებია? არა-
ფერიც არ არის. ამიტომაც უნდა გავუფრთხილდეთ იმას, რაც
გვაქვს. აღვადგინოთ. ჰო, რა თქმა უნდა, თანაგვიგრძნობენ, მსოფ-
ლიოში ბევრი ადამიანია, ვისაც უნდა, დაგვეხმაროს, მაგრამ უსას-
რულოდ ხომ ვერ ვიცხოვრებთ დასავლეთის, სხვისი ჯიბის დახმარე-
ბით? ვისაც წასვლა უნდოდა, უკვე წავიდა, მხოლოდ ისინი დარჩნენ,
ვისაც ჩერნობილში ცხოვრება უნდა და არა — სიკვდილი. აქაა მათი
სამშობლო.

— რას გულისხმობთ? როგორ უნდა იცხოვროს აქ ადამიანმა?

— ადამიანი იკურნება... ჭუჭყიანი მიწის განკურნებაც შეიძლება...

უნდა ვიმუშაოთ. ვიფიქროთ. პატარა ნაბიჯებით, მაგრამ მაინც
უნდა მივდიოდეთ სადმე. წინ უნდა წავიდეთ. ჩვენ კი? როგორ ხდება
ჩვენთან? ჩვენი წარმოუდგენელი სლავური სიზარმაცის გამო გვირ-
ჩევნია სასწაულის გვკეროდეს, ვიდრე შესაძლებლობისა, რომ რა-
ღაც შეიძლება შენივე ხელით გააკეთო. შეხედეთ ბუნებას... მისგან
უნდა ვისწავლოთ... ბუნება მუშაობს, ნელ-ნელა იწმინდება, გვეხმა-

რება. ბევრად უფრო გონივრულად იქცევა, ვიდრე ადამიანი. პირველყოფილი წონასწორობისკენ მიილტვის. მარადისობისკენ.

საოლქო კომიტეტში დამიბარეს...

— უჩვეულო ამბავია... გაგვიგეთ, სლავა კონსტანტინოვნა, არ ვიცით, ვის დაუჯეროთ. ათობით მეცნიერი ერთს ამტკიცებს, თქვენ — მეორეს. გაგიგიათ რაიმე ცნობილი ჯადოქრის, პარასკას შესახებ? გადავწყვიტეთ, მოვიწვიოთ, დაგვპირდა — ზაფხულის განმავლობაში გამაფონს შევამცირებო.

თქვენ გეცინებათ, მაგრამ მე სერიოზული ადამიანები მელაპარაკენ, ამ პარასკას კი უკვე ხელმოწერილი ჰქონდა ხელშეკრულებები ზოგიერთ მეურნეობასთან. უკვე დიდი ფულიც ჰქონდათ გადახდილი. ეს გატაცებაც გამოვიარეთ. ტვინების დაბნელება... საზოგადო ისტერია... გახსოვთ? ტელევიზორების წინ ათასები, მილიონები ისხდნენ და ჯადოქრები, რომელებმაც საკუთარ თავს ექსტრასენსები დაარქვეს, ჩუმაკი და კიდევ კაშპიროვსკი, წყალს „წმენდნენ“. და ჩემი კოლეგები, სამეცნიერო ხარისხი რომ ჰქონდათ, ისეთები, სამლიტრიან ქილებს ტელევიზორების ეკრანების წინ დგამდნენ. ამ წყალს სვამდნენ, ბანაობდნენ... ამტკიცებდა, რომ კურნავდა. ჯადოქრები სტადიონებზე გამოდიოდნენ, სადაც იმდენი ხალხი იკრიბებოდა, ალა პუგაჩოვსაც რომ შეშურდებოდა. ხალხი იქ მიდიოდა, მიხობავდა. დაუჯერებელია, მაგრამ სჯეროდათ, ჯადოსნური ჯოხი ყველა დაავადებისგან განგვკურნავსო! რა იყო ეს? ახალი ბოლშევიკური პროექტი. თავები ახალი უტოპიით გაივსო. მაშინვე ვიფიქრე: „ახლა ჩერნობილსაც ჯადოქრები უმკურნალავენ-მეთქი“.

მეკითხებიან:

— რა აზრის ხართ? რა თქმა უნდა, ჩვენ ყველანი ათეისტები ვართ, მაგრამ აი, ამბობენ... გაბეთებში წერენ... მოდით, შევახვედრებთ...

ამ პარასკას შევხვდი. საიდან გაჩნდა, არ ვიცი. მგონი, უკრაინიდან. უკვე ორი წელი იყო, ასე დადიოდა ყველგან და გამაფონს ამცირებდა.

— რა უნდა გააკეთოთ? — ვკითხე...

— მე ისეთი შინაგანი ძალები მაქვს... ვგრძნობ, რომ შემძლია გამაფონის შემცირება.

— რა გჭირდებათ ამისთვის?

— შვეულმფრენი მჭირდება.

აი, აქ კი ძალიან გავმწარდი. პარასკაზეც, ჩვენს ჩინოვნიკებზეც, რომლებიც პირდაღებულები უსმენდნენ, როგორ თვალსა და ხელს შუა ატყუებდა.

მე კი ვეუბნები — რად გინდათ ეგრევე შვეულმფრენი? ახლავე მოვიტანო და აქ, იატაკზე დაგიყრით დაბინძურებულ მიწას. ნახევარ მეტრს, მეტს არა. და მიდით... შეამცირეთ ფონი...

ასეც მოვიქეციოთ. მოვიტანეთ მიწა. ამანაც დაიწყო... რაღაცას ჩურჩულებდა, იწყებდებოდა. რაღაც სულებს ხელებით დევნიდა. და რა? რა გამოუვიდა? არაფერიც არ გამოუვიდა. ახლა პარასკა სადღაც უკრაინაში ციხეში ბის თაღლითობის გამო. მეორე ჯადოქარი... გვპირდებოდა, ას ჰექტარზე სტრონციუმის და ცეზიუმის დაშლას დავაჩქარებო. საიდან ჩნდებოდნენ? ხანდახან მგონია, რომ ჩვენი სურვილი, გვეხილა სასწაული და ჩვენი მოლოდინები აჩენდა ამ ხალხს. მათი ფოტოები... მათი ინტერვიუები... ვიღაც ხომ აძლევდა მათ მთელ გვერდებს გაზეთებში, ყველაზე ძვირფას დროს ტელევიზიებში? თუკი ადამიანი უარს ამბობს გონიერებაზე და რწმენაზე, მის სულში შიში ისადგურებს... ურჩხული იბადება...

აქ ჩუმდებიან... ჩუმად არიან ჩემი ოპონენტები...

მხოლოდ ერთი დიდი ხელმძღვანელი იყო, რომელმაც დამირეკა და მთხოვა: „მოვალ თქვენთან და ამიხსენით, რა არის კიური? რა არის მიკრორენტგენი? როგორ იქცევა ეს მიკრორენტგენი იმპულსად? სოფლებში დავდივარ, მეკითხებიან, მე კი ისე ვდგავარ, რო-

გორც იდიოტი, როგორც სკოლის მოსწავლე“... მხოლოდ ერთი შემხვდა ასეთი. ალექსი ალექსევიჩი შახნოვი. ჩაიწერეთ ეს გვარი... ხელმძღვანელთა უმეტესობას კი არაფრის გაგონება არ უნდოდა, არც ფიზიკისა და არც — მათემატიკის... მათ ყველას უმაღლესი პარტიული სკოლა ჰქონდათ დამთავრებული, იქ კი კარგად მხოლოდ ერთ საგანს ასწავლიდნენ — მარქსიზმს. როგორ უნდა შთაბერო სული და გააღვიძო მასები... კომისრების ნააზრევს... მხედარი ბუდიონის(სემიონ მიხაილოვიჩი ბუდიონი (1883-1973) — რუსი სამხედრო მოღვაწე, სამოქალაქო ომის გმირი, საბჭოთა კავშირის მარშალი.) შემდეგ რომ არ შეცვლილა... მახსოვს სტალინის საყვარელი კომანდრომის(კომანდრომი (ჟარგონი) — ასე მოიხსენებდნენ მეთაურს საბჭოთა ჯარში.) სიტყვები: „ჩემთვის სულერთია, ვის მოვკლავ. მე შაშხანის აქეთ-იქით ქნევა მომწონს...“

რაც შეეხება რეკომენდაციებს... როგორ უნდა ვიცხოვროთ ამ მიწაზე, ვგონებ, ეს თქვენთვისაც ისეთივე მოსაწყენი იქნება, როგორც სხვებისთვისაა. ვერც სენსაციას ნახავთ და ვერც ფოიერვერკს. რამდენჯერ მილაპარაკია ჟურნალისტებთან — ვეუბნებოდი ერთს და მეორე დღეს გაზეთში სულ სხვა რამეს ვკითხულობდი. მკითხველი, წესით, შიშისგან უნდა მომკვდარიყო. ვილაცამ ბონაში ყაყაჩოს პლანტაციები და ნარკომანების დასახლებები დაინახა, ვილაცამ — სამკუდიანი კატები... ავარიის დღეს კი რალაც ნიშნები ზეცაში...

აი, ჩვენი ინსტიტუტის მიერ შემუშავებული პროგრამები. სამხსოვროები კოლმეურნეობებისთვის და მოსახლეობისთვის... გაავრცელეთ...

სამახსოვრო კოლმეურნეობებისთვის (კითხულობს):

რას გთავაზობთ? გთავაზობთ ისწავლოთ რადიაციის მართვა, ისევე, როგორც ელექტროენერჯისა, რომ თანდათან ადამიანისთვის სასარგებლო გახადოთ. ამისთვის საჭიროა ჩვენი მეურ-

ნეობების გარდაქმნა. კორექცია... რძისა და ხორცის ნაცვლად ახლა ტექნიკური კულტურების წარმოება უნდა დაიწყოს, ისეთებისა, რომლებიც საჭმელად არ გამოიყენება. მაგალითად, სელისა. მისგან შეიძლება გამოხადო ზეთი, მათ შორის ტექნიკური ზეთი. იხმარო, როგორც ძრავის საწვავი. შეიძლება გაზარდო თესლები და ნერგები. თესლს სპეციალურად ლაბორატორიებში ატარებენ რადიაციის ქვეშ, რათა ჯიშის სისუფთავე შეინარჩუნონ. მათთვის ის უსაფრთხოა. ეს ერთი გზა. არის მეორეც... თუკი მანაც ვაწარმოებთ ხორცს... ჩვენ არ ვიცით, როგორ გავასუფთავოთ მზა მარცვალი, ვნახულობთ გზას — ვაჭმევთ საქონელს, ცხოველებში ვატარებთ. ეს ეგრეთ წოდებული ბოლოდებაქტივაციაა. დაკვლამდე რამდენიმე თვით ადრე ხარები გადაგვყავს ბაგაზე კვებაზე, მათთვის „სუფთა“ საჭმელი მიგვაქვს. ისინი იწმინდება.

მგონი, საკმარისია... მთელ ლექციას ხომ არ წაგიკითხავთ? ჩვენ სამეცნიერო იდეებზე ვსაუბრობთ. მე ამას გადარჩენის ფილოსოფიას ვუწოდებდი...

სამახსოვრო გლეხისთვის...

სოფლებში ბებიებთან დაბაბუებთან ჩავდივარ... ვუკითხავ... ისინი კი ფეხებს მიბაკუნებენ. არ უნდათ მოისმინონ, უნდათ, ისევე იცხოვრონ, როგორც მათი ბაბუები და დიდი პაპები ცხოვრობდნენ. წინაპრებივით უნდათ ცხოვრება. უნდათ, დალიონ რძე... რძის დაღვევა კი აკრძალულია. იყიდე სეპარატორი და გააკეთე რძისგან ხაჭო, კარაქი შედღვიბე. შრატი კი გადაასხი, მიწაზე დაასხი... უნდათ სოკო გააშრონ... ჯერ წყალში ჩაალბე, მთელი ღამე გარეთ, ტაშტში წყალდასხმული გააჩერე და მერე გამოაშრე. უკეთესია, საერთოდ თუ არ შეჭამ. მთელი საფრანგეთი ქამა სოკოს მიაქვს, მაგრამ ქუჩაში კი არა, სათბურებში მოჭყავთ. სახლები ბელარუსში ხისა აქვთ, საუკუნეებია ბელარუსები ტყეებთან ახლოს ცხოვრობენ, ახლა კი უკეთესია, სახლები აგურით მოაპირკეთონ, რადგან აგური კარგად ირეკლავს, ანუ ფანტავს იონიზირებულ რადიაციას (ოცჯერ ინტენსი-

ურად, ვიდრე ხე). ხუთ წელიწადში ერთხელ მიწის ნაკვეთის გაკირიანებაა საჭირო. ვერაგია სტრონციუმი და ცეზიუმი, თავის დროს ელოდება. მიწის განოციერება საკუთარი ძროხის ნაკელით არ შეიძლება, უკეთესია, მინარაღური სასუქის ყიდვა...

— თქვენი გეგმების შესასრულებლად საჭიროა სხვა ქვეყანა, სხვა ადამიანი და სხვა ჩინოვნიკი. ჩვენს მოხუცებს პენსია პურზე და შაქარზე არ ჰყოფნით, თქვენ კი ურჩევთ — მინერალური სასუქი იყიდეთო, სეპარატორი მოიტანეთო...

— გიპასუხებთ. მე ახლა მეცნიერებას ვიცავ. გიმტკიცებთ, რომ მეცნიერება კი არ არის დამნაშავე ჩერნობილში, არამედ — ადამიანი. არა რეაქტორი, არამედ — ადამიანი. პოლიტიკურ შეკითხვებს კი მე ნუ მისვამთ. მისამართი შეგეშალათ...

აი... კიდევ... კინალამ დამავიწყდა, ფურცელზეც მოვინიშნე, რომ გამხსენებოდა და თქვენთვის მომეყოლა... ჩვენთან მოსკოვიდან ახალგაზრდა მეცნიერი ჩამოვიდა, ოცნებად ჰქონია ჩერნობილის პროექტში მონაწილეობა. იურა ჟუჩენკო... ორსული ცოლიც თან ჩამოიყვანა... ხუთი თვის ორსული... ყველანი ხელებს შლიან — რატომ? რის გამო? ჩვენები მიდიან, უცხოები კი — მოდიან. იმიტომ, რომ ის ნამდვილი მეცნიერია და უნდა, დაამტკიცოს, რომ ნასწავლ ადამიანს აქ ცხოვრება შეუძლია. ნასწავლსა და დისციპლინის მქონეს — ჩვენში კი სწორედ ეს ორი თვისებაა ყველაზე ნაკლებად დაფასებული. ჩვენ შეგვიძლია ქვემეხს შიშველი მკერდით გადავფაროთ... ჩირაღდნით ვირბინოთ... აქ კი... უნდა ჩააღბო სოკო, კარტოფილი რომ ადუღდება, პირველი წყალი გადაღვარო... რეგულარულად სვა ვიტამინები... ლაბორატორიაში შესამოწმებლად წაიღო კენკრა... ნაცარი მიწაში ჩამარხო... გერმანიაში ვიყავი და ვნახე, როგორი ყურადღებით ახარისხებს თითოეული გერმანელი ნაგავს ქუჩაში — ამ კონტეინერში თეთრ შუშას აგდებს, იმაში — წითელს... რძის პაკეტის სახურავს ცალკე აგდებს, იქ, სადაც პლასტმასაა, თვითონ პაკეტს

იქ — სადაც ქალაქია. ფოტოაპარატის ბატარიებსაც ცალკე ყრის, ცალკე ბიონარჩენებს... გერმანელი მუშაობს... ასე მომუშავე ჩვენი ადამიანი კი ვერ წარმომიდგენია: თეთრი შუშა, წითელი... მისთვის ეს მოსაწყენი და შეურაცხმყოფელია — დახარისხება. ურჩევნია ციმბირის მდინარეებს შეუცვალოს მიმართულება... ან რამე ასეთი გააკეთოს... „გაიშალე მხარო, გაიხსენი ხელო“. აუცილებლად უნდა შევიცვალოთ, რომ გადავრჩეთ.

ეს უკვე აღარაა ჩემი შევითხვები... ან თქვენი... ეს კულტურის შევითხვებია. მენტალობის. მთელი ჩვენი ცხოვრების.

აქ ჩუმდებიან... ჰო, ჩუმდებიან ჩემი ოპონენტები... (ჩაფიქრდა)

მინდა ვიოცნებო... იმის შესახებ, რომ მალე ჩერნობილის სადგურს დახურავენ. აიღებენ. მის ადგილას კი ლამაზ, მწვანე მდელოს გააშენებენ...“

სლავა კონსტანტინოვნა ფირსაკოვა,

სოფლის მეურნეობის მეცნიერების დოქტორი

მონოლოგი დახურულ ჭასთან

გაზაფხულის უგბობის გამო ძველ ხუტორამდე ძლივს ჩავაღწიე. ჩვენი ბევრის მნახველი მილიციის უაზი საბოლოოდ დადუმდა — საბედნიეროდ, უკვე იმ მამულთან ახლოს, რომელიც დიდი მუხებიტა და ნეკერჩხლებით იყო გარშემორტყმული. პოლესიეში ცნობილ მეზღაპრესა და მომღერალს მარია ფედოტოვნა ველიჩკოს ვესტუმრე.

ეზოში მის ვაჟიშვილებს შევხვდი. გამეცნენ: უფროსი, მატფეი — მასწავლებელია, უმცროსი — ანდრეი — ინჟინერი. მხიარულად მელაპარაკებიან და როგორც ირკვევა, ყველანი ღელავენ აბარგების წინ.

— სტუმარი მოდის, მასპინძელი კი უკვე წასასვლელად ემზადება. დედა ქალაქში მიგვყავს. მანქანას ველოდებით. რაზე წერთ წიგნს?

— ჩერნობილზე იქნება?

— დღეს ჩერნობილის გახსენება მართლა საინტერესოა. სულ თვალყურს ვადევნებ, რას წერენ გაზეთები ამაზე. წიგნები კი ჯერ ცოტაა. მე, როგორც მასწავლებელს, მჭირდება ვიცოდე, როგორ უნდა ველაპარაკო ბავშვებს ამ თემაზე. ამას კი არავინ გვასწავლის. ფიზიკა არ მაინტერესებს... ლიტერატურას ვასწავლი და აი, რა მადელვებს: აკადემიკოსმა ლევასოვმა (ვალერი ალექსეევიჩ ლევასოვი (1936-1988) — ქიმიკოსი, აკადემიკოსი, ჩერნობილის ავარიის შედეგების სალიკვიდაციო სამთავრობო კომისიის წევრი. სიცოცხლე დაასრულა თვითმკვლელობით.), რომელიც ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც ავარიის ლიკვიდაციაზე მუშაობდა, რატომ მოიკლა თავი? შინ, მოსკოვში დაბრუნდა და ტყვია დაიხალა. ატომური სადგურის მთავარი ინჟინერი ჭკუიდან შეიშალა... ბეტა-ნაწილაკი, ალფა-ნაწილაკი... ცეზიუმი, სტრონციუმი... ეგენი გაიფანტება, განქარდება, დაიკარგება.. და ადამიანი?

— მე კი პროგრესის მხარეს ვარ! მეცნიერების მხარეს! უკვე ვერც ერთი ჩვენგანი ვერ იტყვის უარს ელექტრონათურაზე... ჩვენ შიშით ვვაჭრობთ... ჩერნობილის შიშს ვყიდით, იმიტომ, რომ სხვა მსოფლიო ბაზარზე გასაყიდი არც არაფერი გვაქვს. ახალი საქონელია — ჩვენს ტანჯვას ვყიდით.

— ასობით სოფელი გადაასახლეს... ათობით ათასი ადამიანი... გლეხების მთელი ატლანტიდა, ისე გაიფანტა ყოფილ საბჭოთა კავშირში, რომ მისი თავიდან შეგროვება წარმოუდგენელია. ველარ გადარჩება. მთელი სამყარო დაიკარგა.. ისეთი უკვე აღარასდროს იქნება. ვერ განმეორდება. აი, მოუსმინეთ დედაჩვენს...

საუბარი, რომელიც მოულოდნელად და ასე სერიოზულად დაიწყო, ვედარ გავაგრძელებთ. საჩქარო საქმე ჰქონდათ. მივხვდი — სამუდამოდ ტოვებდნენ მშობლიურ სახლს.

ამ დროს კარის ზღურბლზე ქალი გამოვიდა. როგორც ახლობელს, ისე მომეხვია, მაკოცა.

— შვილო, აქ ორი ზამთარი მარტომ გადავიტანე. ადამიანი აქამდე ვერ აღწევდა... მხეცები კი მოდიოდნენ... ერთხელ მელიამ შემოირბინა, დამინახა და ძალიან გაუკვირდა. ზამთრობით დღეც გრძელია და ღამეც, გიმღერებდი კიდევ და ზღაპრებსაც გიამბობდი. მოხუცის ცხოვრება სევდიანია და საუბარი მისთვის — სამუშაოა. ოდესღაც ჩემთან დედაქალაქიდან სტუდენტებიც ჩამოდიოდნენ, მაგნიტოფონზე იწერდნენ. დიდი ხნის წინ... ჩერნობილამდე...

რა მოგიყვებოდა? რას მოვასწრებ? ამასწინათ წყალზე ვიმკითხავე და გზაზე მიმანიშნა... ამოიძირკვა ამ მიწიდან ჩვენი გვარი. ჩვენი პაპები, პაპის პაპები აქ ცხოვრობდნენ. აქ, ამ ტყეებში იბადებოდნენ და საუკუნეების მანძილზე ერთი მეორეს ცვლიდნენ, მაგრამ ახლა ის დრო დადგა, როცა უბედურება ჩვენი მიწიდან გვერეკება. ასეთი უბედურება ზღაპრებშიც კი არ არის, არ ვიცი... ვაი...

ჰო, გავიხსენებ, ჩემო გოგონა, როგორ ვმკითხაობდით ახალგაზრდობაში... კარგ ამბავს გავიხსენებ, მხიარულს... როგორ დაიწყო აქ ჩემი ცხოვრება... ჩვიდმეტ წლამდე დედიკოსთან ხარ ბედნიერად, მერე კი უკვე უნდა გათხოვდე... საბედოს უნდა ჩაბარდე. ზაფხულობით წყალზე ვმკითხაობდით, ხოლო ზამთრობით კვამლზე, საითაც მილიდან ამომავალ კვამლს ქარი წაიღებს, იმ მხარეს გათხოვდები. მე წყალზე მკითხაობა მიყვარდა. მდინარეზე... პირველად წყალი იყო დედამიწაზე, იმან ყველაფერი იცის, შეუძლია მიგანიშნოს... წყალზე სანთლებს ვუშვებდით, ცვილს ვასხამდით. თუკი სანთელი გაცურდება, მაშინ სიყვარულიც ახლოსაა, თუკი ჩაიძირება, იმ წელიწადს ისევ ქალიშვილად დარჩები. ისევ იგოგოვებ... სად არის ჩემი ნაწილი? სად არის ჩემი ბედნიერება? ბევრნაირად ვმკითხაობ-

დით... სარკეს ვიღებდით და აბანოში მივდიოდით, იქ მთელი ღამე ვისხედით, თუ სარკეში ვინმე გამოჩნდებოდა, მაშინვე მაგიდაზე უნდა დაგვედო, თორემ იქიდან ეშმაკი გადმოვიდოდა. ეშმაკებს უყვართ სარკეებში სიარული... იქედან გადმოსვლა... კედლის ჩრდილებზეც ვმკითხავოდით — წყლიანი ჭიქის თავზე ქალაღდს ვწვავდით და ჩრდილს კედელზე ვუყურებდით. თუ ჯვარს დავინახავდით, ეს სიკვდილს ნიშნავდა, თუ ეკლესიის გუმბათს — ეს ქორწილს. ვინ ტირის, ვინ იცინის... ვის რა ერგება... ღამით ფეხსაცმელს ვიხდიდით და ბალიშის ქვეშ ვიდებდით. ძილში საბედო მოვიდოდა და გახდას დაგიპირებდა, შენ ამ დროს შეხედავდი და დაიმახსოვრებდი. ჩემთან ვილაც სხვა მოვიდა და არა ჩემი ანდრეი, ვილაც მაღალი, თეთრსახიანი, ჩემი ანდრეი კი საშუალო სიმაღლისა იყო, შავ-თვალწარბა და სულ მოცინარი: „ეჰ, ქალბატონო, ჩემი ქალბატონი ხარო“... (იცინის)... სამოცი წელი ვიცხოვრეთ ერთად... სამი შვილი გავზარდეთ... აღარაა ბაბუა... შვილებმა საფლავზე აიტანეს... სიკვდილის წინ უკანასკნელად მაკოცა: „ეჰ, ჩამო ქალბატონო, მარტო დარჩები...“ რა ვიცი? დიდხანს რომ ცხოვრობ, ცხოვრებაც გავიწყდება... სიყვარულიც გავიწყდება. ღმერთმა მოგვცეს! გოგოლობაში ბალიშის ქვეშ სავარცხელსაცვიდებდით. გაიშლი თმას და ისე გძინავს. მოდის საბედო ძილში. გთხოვსწყალს ან თავისთვის, ან ცხენის დასარწყულებლად...

ჭის ირგვლივ როგორ ვყვიროდით... წრებზე ვიდექით... საღამოთი კი ვიკრიბებოდით და ჭას ჩავყვიროდით: „ბედო... უუუ... ოლო...“ ექო ამოდიოდა და ბგერებს ვარჩევდით, ვის რა არგო. ახლაც მინდოდა ჭასთან მისვლა... ბედის კითხვა... თუმცა, ჩემი ბედიდან ძალიან ცოტაღა დარჩა. სულ პაწაწინა, გამომხმარი მარცვალი. ჩვენს სოფელში კი ყველა ჭა ჯარისკაცებმა დახურეს. ფიცრები გადააჭედეს. მკვდარია ჭები... დახურული... ერთი რკინის მილიღა დარჩა კოლმეურნეობის შენობასთან. ერთი მკითხა-

ვი იყო ჩვენს სოფელში, ბედისას მკითხაობდა, მაგრამ ისიც ქალაქში წავიდა, ქალიშვილთან. ტომრები... სამკურნალო ბალახებით სავსე ორი ტომარა წაიღო თან. ღმერთმა მისცეს... ოოჰ! ძველი თიხის ჯამები, რომლებშიც ნაყენებს ხარშავდა... თეთრი ტილოები... ვის სჭირდება ესენი ქალაქში? ქალაქში სხედან და ტელევიზორს ატრიალებენ ან წიგნებს კითხულობენ... ეს ჩვენ ვართ აქ... როგორც ჩიტები... მიწაზე, ბალახზე, ხეებზე ვკითხულობთ. თუ გაბაფხულზე მიწა დიდხანს არ ჩანს, არ დნება, მაშინ ბაფხულში გვალვა იქნება. თუკი მთვარე ოდნავ ბჟუტავს, ბნელია, მაშინ საქონელი არ დაიბადება... თუ წეროები ადრე გაფრინდნენ, ყინვებს დაიჭერს (ჰყვება და თან ნელა ირწევა საკუთარი ნაამბობისტაქტზე)...

ბიჭები კარგები მყავს, რძლებიც თბილები... შვილიშვილებიც. მაგრამ აბა, ქალაქში ვისთან დაილაპარაკებ ქუჩაში? ყველა უცხოა. გულისათვის ცარიელი ადგილია. რას გაიხსენებ უცხო ადამიანებთან ერთად? ტყეში მიყვარდა სიარული, ტყით ვცხოვრობდით, იქ კი ყოველთვის ერთად მივდიოდით. ახლა ტყეში აღარ გვიშვებენ. მილიცია დგას. რადიაციას დარაჯობს.

ორი წელი... ღმერთმა მოგცეთ! ორი წელია შვილები მეხვეწებიან: „დედა, წამოდი ქალაქში!“ ბოლოს და ბოლოს, დამითანხმეს. ბოლოს და ბოლოს... ისეთი კარგია ჩვენი ადგილები, ირგვლივ ტყეებია, ტბები. სუფთა ტბებია, რუსალკებით(რუსალკა – სლავური მითოლოგიის მიხედვით, ქალთევზა, რომელიც წყალში ცხოვრობს.

). ძველი ხალხი ამბობდა, გოგონები, ვინც ადრე კვდებიან, რუსალკებად იქცევიანო. ტანსაცმელს ბუჩქებზე უტოვებდნენ, ქალის პერანგებს. ბუჩქებსა და თოვლებზე მარცვალს უყრიდნენ. გამოდიოდნენ წყლიდან და მარცვალზე დარბოდნენ. გჯერა შენ ჩემი? ოდესღაც სჯეროდათ ადამიანებს... ისმენდნენ... როცა ტელევიზორი არ იყო, სანამ მოიგონებდნენ. (იცინის) ოოჰ! ლამაზია ჩვენი მიწა! ჩვენ აქ ვიცხოვრეთ, ჩვენი შვილები კი აღარ იცხოვრებენ... არა... მიყვარს ეს დრო. მზე მაღლა ადის ცაზე, ჩიტები ბრუნდებიან. ზამთარი გადის.

საღამოს ქოხიდან ვერ გახვალ... გარეული ტახები სოფელში ისე დარბიან, თითქოს ტყეაო. თესლი გადავარჩიე... ხახვი მინდოდა, დამეთესა. რაღაც ხომ უნდა აკეთო, ხელებჩამოყრილი ხომ არ დაჯდები და სიკვდილს ხომ არ დაელოდები. მაშინ უკუნისამდე არ მოვა...

აი, კიდევ გავიხსენებ, შვილო... დომოვიკზე(დომოვიკი — სლავური ხალხური წარმოდგენით, სული, რომელიც სახლში ცხოვრობს. ის ხან ავია, ხან სახლს მფარველობს.

) დიდი ხანია, ჩემთან ცხოვრობს, ზუსტად არ ვიცი, სად, მაგრამ ყოველთვის ღუმლიდან გამოდის, შავი ტანსაცმლით, შავი ქუდით, კოსტიუმზე ღილები უელავს. სხეული არა აქვს, მაგრამ მოდის. ერთი ხანობა ვიფიქრე, ჩემი ქმარი ხომ არ მოდის-მეთქი, მაგრამ არა... ოოჰ... დომოვიჩოკი... მარტო ვცხოვრობ, ვერავის ველაპარაკები, ჰოდა, ღამით იმას ვუყვები ჩემი დღის შესახებ: „ადრე გამოვედი, ისე ანათებდა მზე, რომ ვიდექი და შევხაროდი... ისეთი ბედნიერი იყო ჩემი გული“... არადა, უნდა წავიდე... მშობლიური მხარე დავტოვო... გამოვედი, ბზობას(სლავურ ქვეყნებში ბზობას კრეფენ ტირიფის ტოტებს და დღესასწაულსაც ასე ჰქვია — ტირიფობის კვირა.

) ტირიფის ტოტებს ყოველთვის ვკრეფდი. მღვდელი არ არის, მივდიოდი მდინარესთან და თავად ვაკურთხებდი. ჭიშკარში ჩავდგამდი. ქოხში შემომქონდა, ლამაზად ვალაგებდი. შევარტობდი კედლებში, კარებში, ჭერში, სახურავზეც ამქონდა. დავდიოდი და ვლოცულობდი: „ტირიფო, გადაარჩინე ჩემი ძროხა, ისე ჰქენი, რომ მარცვალი უხვად მოვიდეს, ვაშლებიც, წიწილებიც დაიჩეკონ და ბატის ჭუკებიც“. ასე უნდა იარო და დიდხანს ილაპარაკო.

ადრე გაზაფხულს მხიარულად ვხვდებოდით... ვთამაშობდით, ვმღეროდით. იმ დღეს ვიწყებდით, როცა ქალები პირველად გაუშვებდნენ ძროხებს მდინარეზე. კუდიანები უნდა გაგვედევნა... ძროხებს რომ არ გაკიდებოდნენ, რძე რომ არ მოეწვე-

ლათ, თორემ შინ მოწვევლილები დაბრუნდებოდნენ და შეშინებუ-
ლები. შენ დაიმახსოვრე, ეს ყველაფერი შეიძლება ისევ მობრუნ-
დეს, ეკლესიის წიგნებში ეგრეა დაწერილი. როცა ჩვენთან მღვდე-
ლი მსახურობდა, გვიკითხავდა. კიდევ მომისმინე... ახლა ცოტას თუ
ახსოვს, ცოტა ვინმე თუ მოგიყვება. სანამ საქონელი პირველად გა-
მოვა, წინ გზაზე თეთრი სუფრა უნდა გადაუფარო, ზედ უნდა გადაირ-
ბინონ და მერე მწყემსებმაც უნდა გაიარონ. მწყემსები ამ სიტყვებს
იტყვიან: „ბოროტო კუდიანო, ამის შემდეგ ქვა მოლოღნე, მიწა მო-
ლოღნე, თქვენ კი, ძროხებო, მინდვრებზე და ჭაობებში მშვიდად
იარეთ. არავისი არ შეგეშინდეთ – არც ცუდი ადამიანების, არც
მძვინვარე მხეცისა“. გაზაფხულზე მიწიდან მარტო ბალახი კი არ
ამოდის, ყველაფერი ამოდის, ყველანაირი სიბილწე. იქ იმალება,
სადაც სიბნელეა, სახლის კუთხეებში. ბოსელში, სადაც თბილა. ან-
კარა ეზოში ტბიდან მოცოცავს, დილას ნამზე გაცურავს. ადამიანმა
თავი უნდა დაიცვას. კარგია ჭიანჭველების სახლის მიწის ჭიშკარ-
თან ჩამარხვა, მაგრამ ყველაზე სანდო მაინც ძველი გასაღების ჭიშ-
კართან ჩაფლვაა. ასე ყველა ბოროტს დავუკეტავთ კბილებს და ტუ-
ჩებს. და მიწა? მას მარტო სასუქი და წყალი კი არა, დაცვა სჭირდება.
ბოროტი სულებისგან დაცვა. შენი მინდორი ორჯერ უნდა მოიარო,
სიარულისას კი უნდა თქვა: ვთესავ, ვთესავ, გადავთესავ... კარგ მო-
სავალს ველი. თავგებმა ბევრი მარცვალი არ შეჭამონ“.

კიდევ რა გავიხსენო? გაზაფხულზე ყარყატს, ჩვენებურად, ბუ-
სელ-ბუსკოსაც უნდა ვცეთ თაყვანი. უნდა ვუთხრათ მადლობა, ძველ
ადგილს რომ დაუბრუნდა. ყარყატი ხანძრისგან გვიცავს, ბავშვები
მოჰყავს. ასე ეძახიან: „კლეე-კლეე, ბრუსკო, მოდი ჩვენთან!“ ახალ-
გაზრდები კი, რომლებიც ახლახან დაქორწინდნენ, ცალკე ეხვეწე-
ბიან: „კლეე-კლეე... რომ გვიყვარდეს და მაძღრად ვიყოთ... ბავშვე-
ბი ჯანსაღები გაიზარდონ, ტირიფებივით“.

აღდგომას კვერცხს ყველა ღებავს... წითლად, ცისფრად, ყვით-
ლად ღებავენ... ვისაც ახალი გარდაცვლილი ჰყავს ქოხში, ერთ

კვერცხს შავად შეღებავს. სასაყვედუროდ, მწუხარების აღსანიშნად. წითელი — სიყვარულს ნიშნავს, ცისფერი — დიდხანს ცხოვრებას... ააჰ... როგორც მე. ვცხოვრობ და ვცხოვრობ... უკვე ყველაფერი ვიცი: რა იქნება გაბაფხულზე, რა იქნება ზაფხულში... შემოდგომით და ზამთარში. და რისთვის ვცხოვრობ? მშვენიერად... და იმასაც არ ვიტყვი, რომ არ მიხარია... შვილო... აბა, ესეც მოისმინე: აღდგომას წითელი კვერცხი წყალში უნდა ჩადო, ამ დროს გახვიდე და პირი დაიბანო. სახე გაგილამაზდება, გაგისუფთავდება. თუ გინდა, ვინმე დაგესიზმროს, ვინც მოკვდა, მიხვალ საფლავზე, კვერცხს გააგორებ მიწაზე: „ჩემო დედიკო, მოდი ჩემთან, მოფერება მინდა“ და ყველაფერს მოუყვები. შენს ცხოვრებას. თუკი ქმარი გაბრაზებს, რჩევას მოგცემს. იქამდე, სანამ კვერცხს გააგორებდე, ხელში დაიჭირე, თვალეები დახუჭე და იფიქრე. საფლავისა არ შეგეშინდეს, მარტო მაშინაა საშიში, როცა მიცვალებული მიაქვთ. ფანჯრებს და კარებს კეტავენ, სიკვდილი სახლში რომ არ შეფრინდეს. ის სულ თეთრებშია, თეთრებში და ნაწნავით. მე თვითონ კი არ მინახავს, მაგრამ ხალხი ლაპარაკობს. არ უნდა მოხვდე თვალში, ასე იცინის: „ხა-ხა-ხა—ა!“

სასაფლაოზე რომ მივდივარ, ორი კვერცხი მიმაქვს: წითელი და შავი. ერთი სასაყვედურო ფერისა. ქმარს მივუჯღები გვერდით, იქ საფლავზე მისი ფოტოა, არც ახალგაზრდაა, არც მოხუცი, კარგი ფოტოა: „მოვედი, ანდრეი, ვილაპარაკოთ“. ახალ ამბებს მოვუყვები... საიდანლაც ჩამესმის ხმა „ეჰ... ჩემო ქალბატონო“... ანდრეის რომ ვესტუმრები, მერე ჩემს გოგოსთან მივდივარ. გოგო ორმოცი წლისა მოკვდა, ეს კიბო შეუძვრა, სად არ გვყავდა, არაფერი ეშველა. ახალგაზრდა ჩაწვა მიწაში. ლამაზი... იმ ქვეყანაშიც ყველანაირები უნდათ: ახალგაზრდებიც და მოხუცებიც, ლამაზებიც და უშნოებიც. სულ პატარებიც კი. ვინ ეძახის მათ იქ? რას მოყვებიან ისინი აქაურ ცხოვრებაზე? მე არ მესმის, მაგრამ ჭკვიან ხალხსაც არ ესმის, ქალაქელ პროფესო-

რებს. შეიძლება მღვდელმა იცის, ეკლესიაში. რომ შემხვდება, ვკითხავ. ოოჰ... ჩემს გოგონასთან ასე ვლაპარაკობ: „ჩემო შვილო, ჩემო ლამაზო! რომელ ჩიტუნიებთან ერთად მოფრინდები შორი ქვეყნიდან? ბულბულებთან ერთად თუ გუგულებთან ერთად? რომელი მხრიდან გელოდო?“ ასე ვუმღერო და ველი. უცებ გამოჩნდება, რაიმე ნიშანს მომცემს... მაგრამ სასაფლაოზე ღამემდე დარჩენა არ შეიძლება, ხუთ საათზე, სადილის მერე უნდა დაბრუნდე. მზე ისევ მაღლა უნდა იდგეს, ქვემოთ რომ დაიწყებს დაშვებას... ქვემოთ... უნდა დაემშვიდობო... მათაც ისევე უნდათ იქ ყოფნა, როგორც ჩვენ... ერთნაირად... მკვდრებს თავისი ცხოვრება აქვთ, ისევე, როგორც ჩვენ. არ ვიცი, მაგრამ ვხვდები. ასე ვფიქრობ. კიდევ... კიდევ იმას გეტყვი... როცა ადამიანი კვდება, თან დიდხანს წვალობს და ამ დროს ქოხში ბევრი ხალხია, ყველა გარეთ უნდა გავიდეს, მარტო უნდა დარჩეს. დედ-მამაც და ბავშვებიც უნდა გავიდნენ.

დღეს დილიდან დავდივარ ეზოში, ბოსტანში და ჩემს ცხოვრებას ვიხსენებ. ისეთი კარგი ბიჭები გავზარდე, ნამდვილი მუსიკოსები. ბედნიერიც ვიყავი, მაგრამ დიდხანს არა, მთელი ცხოვრება ვმუშაობდი. რამდენი თესლი გაურჩევია ჩემს ხელებს? რამდენი გადაუტანია? ვფარცხავდი, ვთესავდი... (იმეორებს) ვფარცხავდი, ვთესავდი... ახლაც... თესლებიან ცხავს გამოვიტან, ცოტა თესლი დამრჩა — ლობიო, მზესუმზირა, ჭარხალი... ტიტველ მიწაზე დავყრი, დაე, იცოცხლონ. კვეთოჩკებსაც დავრგავ ეზოში, ყვავილებს ასე ვეძახით — კვეთოჩკებს. იცი, როგორი სურნელი აქვს ასტრას შემოდგომის ღამეში? განსაკუთრებით ძლიერი სურნი იცის წვიმის წინ. ტკბილმა ბარდამაც... მაგრამ ახლა ისეთი დრო მოვიდა, რომ თესლის ხელის ხლებას აზრი არა აქვს, ჩააგდებ მიწაში, გაიზრდება, გალამაზდება, მაგრამ ადამიანისთვის გამოუსადეგარია. ასეთი დროა... ღმერთმა ნიშანი მოგვცა... იმ დღეს, როცა ეს დაწყევლილი ჩერნობილი მოხდა, ფუტკრები მესიზმრნენ, ბევრი, ბევრი ფუტკარი... სადღაც მიფრინავდნენ, რიგ-რიგად... ფუტკარი კიდევ ხანძარს ნიშნავს... მიწა

ააღდება... ღმერთმა მიგვანიშნა, რომ სტუმარია აქ ადამიანი, სახლში კი არაა, სტუმრად... სტუმრები ვართ ჩვენ... (ატირდა).

— დედა, — დაუძახა ერთ-ერთმა შვილმა, დედა! მანქანა მოვიდა...
და...

მონოლოგი სევდაზე როლისა და სიუჟეტის გამო

„უკვე ათობით წიგნი დაწერეს... ფილმები გადაიდეს... შეაფასეს, მაგრამ ეს მოვლენა მაინც სადღაც შორსაა, ნებისმიერი შეფასების მიღმა...“

ერთხელ სადღაც გავიგონე ან წავიკითხე, რომ ჩერნობილი ჩვენ წინაშე დგას უპირველესად, როგორც საკუთარი თავის შეცნობის პრობლემა. ამას დავეთანხმე, ეს დაემთხვა ჩემს განცდას. სულ ველი, რომ ვინმე ჭკვიანი ყველაფერს ამიხსნის. წინ დამილაგებს... ახლა ასე მიხსნიან, მანათლებელ სტალინის, ლენინის, ბოლშევიზმის შესახებ. ან გაუჩერებლად იმეორებენ: „ბაზარი, ბაზარი! თავისუფალი ბაზარი“ ხოლო ჩვენ... ადამიანები, რომლებიც ჩერნობილის გარეშე გავიზარდეთ, ახლა ჩერნობილთან ერთად ვცხოვრობთ.

მე თვითონ პროფესიონალი მერაკეტე ვარ, რაკეტების საწვავის სპეციალისტი. ბაიკონურში(ბაიკონური — კოსმოდრომი ბაიკონური, პირველი და მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი კოსმოდრომი, მდებარეობს ყაზახეთში.

) ვმუშაობდი, პროგრამებში „კოსმოსი“ და „ინტერკოსმოსი“ — ეს ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილია. მშვენიერი დრო! მიდიხარ ცაში! მიდიხარ არქტიკაში! მიდიხარ ყამირზე! გაგარინთან ერთად მთელი საბჭოეთი გაფრინდა კოსმოსში, მოსწყდა მიწას... ჩვენ ყველანი! მე დღემდე მიყვარს ის! ლამაზი რუსი კაცი! ლამა-

ზი ღიმილით! თითქოს მისი სიკვდილიც კი დადგმული იყო. ოცნება გაფრენაზე, თავისუფლებაზე... სურვილი, სადღაც გაიჭრა... ეს მშვენიერი დრო იყო! ოჯახური გარემოებების გამო გადმოვედი ბელარუსში, აქ გავაგრძელე სამსახური. როცა ჩამოვედი... ჩავიფალი ჩერნობილის სივრცეში, რომელმაც ჩემი გრძნობები შეცვალა. შეუძლებელი იყო რაიმე ამის მსგავსის წარმოდგენაც კი, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ცხოვრება ყველაზე თანამედროვე, კოსმოსურ ტექნიკასთან მქონდა საქმე... ვერ გამოვთქვამ ახლა... არ მყოფნის ფანტაზია... რაღაც... (ჩაფიქრდა) ერთი წამის წინ კი მეგონა, რომ აზრი გამიჩნდა... წამის წინ... ფილოსოფოსობა მინდა... ყველას ფილოსოფოსობა უნდა.

სჯობს, ჩემს სამუშაოზე მოგიყვებით. რას არ ვაკეთებთ! ეკლესიას ვაშენებთ... ჩერნობილის ეკლესიას ღვთისმშობლის ხატის სახელზე, „მიცვალებულთა მოძიების შემწე“. შემოწირულობებს ვაგროვებთ, ავადმყოფებთან და მომაკვდავებთან მივდივართ. ხელნაწერებს ვწერთ. მუზეუმს ვაკეთებთ. თავიდან მეგონა, რომ ასეთ ადგილას ჩემი გულის პატრონი ვერც ვიმუშავებდი. პირველი დავალება მომცეს: „აი, ფული და დაურიგე ოცდათხუთმეტ ოჯახს. ოცდათხუთმეტ ქალს, ვისი ქმრებიც გარდაიცვალნენ“. ისინი ყველანი ლიკვიდატორები იყვნენ. სამართლიანად უნდა გაანაწილო, მაგრამ როგორ? ერთ ქალს პატარა გოგონა ჰყავს ავად, მეორეს — ორი შვილი ჰყავს, მესამე თავადაა ავად, იმას სახლი არა აქვს, ნაქირავებშია, კიდევ ერთს — ოთხი შვილი ჰყავს. როგორ შევძლოთ, რომ არავის ვაწყენინოთ? ვფიქრობდი და ვანგარიშობდი, ვანგარიშობდი და ვფიქრობდი. და ვერ შევძელი... ფული ყველას თანაბრად გაუწიანაწილეთ, სიის მიხედვით. მაგრამ ჩემი პირმშო — მუზეუმი. ჩერნობილის მუზეუმი (ჩუმდება). ხანდახან კი მგონია, რომ აქ მუზეუმი კი არა, დამკრძალავი ბიურო იქნება, რომ დამკრძალავი ჯგუფის წევრი ვარ. დღეს დილით პალტოს გახდა ვერ მოვასწარი, რომ კარი გაიღო და ქალმა ზღურბლზევე ტირილი დაიწყო, კი არ ტირის, ყვირის:

„წაიღეთ მისი მედალი და ყველა სიგელი! წაიღეთ ყველა შეღავათი! დამიბრუნეთ ჩემი ქმარი!“ დიდხანს ყვიროდა. დატოვა მედალი, სიგელები... ჰო, ისინი მუზეუმში, შუშის ქვეშ იქნება, ნახავენ... მაგრამ მისი ყვირილი ჩემ მეტს არავის გაუგონია და მხოლოდ მე გამახსენდება მაშინ, როცა ამ სიგელებს დავალაგებ.

პოლკოვნიკი იაროშუკი კვდება, ქიმიკოს-დოზიმეტრისტი. ზორბა მამაკაცი იყო, ახლა პარალიზებული წევს. ცოლი ისე იღებს და წევს, როგორც ბალიშს. კოვბით აჭმევს. თირკმელებში კენჭები აქვს, უნდა დაიშალოს კენჭები, ჩვენ კი ოპერაციისთვის ფული არ გვაქვს. ღატაკები ვართ, იმაზე ვარსებობთ, რასაც მოგვცემენ. სახელმწიფო კი ისე იქცევა, როგორც თაღლითი — მიატოვს ეს ხალხი. მოკვდება და მის სახელს ქუჩას, სკოლას ან სამხედრო ნაწილს დაარქმევენ, მაგრამ ეს მერე, როცა მოკვდება... პოლკოვნიკი იაროშუკი... ზონაში დადიოდა და მაქსიმალური დაბინძურების წერტილებს აღნუსხავდა. ადამიანი გამოიყენეს, როგორც ბიორობოტი. მან ეს იცოდა, მაგრამ მაინც მიდიოდა, ატომური სადგურიდან მოყოლებული მთელი რადიუსის მანძილზე, სექტორებში. ფეხით. ხელში დოზიმეტრის ხელსაწყოებით. შენიშნავდა „ლაქას“ და ამ „ლაქის“ საზღვრამდე გადიოდა, სწორად რომ დაეტანა რუკაზე.

და ჯარისკაცები, რომლებიც რეაქტორის სახურავზე მუშაობდნენ? ავარიის სალიკვიდაციოდ სულ ცხრაას ათი სამხედრო ნაწილი გადაისროლეს, დაახლოებით სამასი ათას ოთხასი სამხედრო მოსამსახურე. ყველაზე ხვატში ისინი აღმოჩნდნენ, ვინც რეაქტორის სახურავზე მუშაობდა... მათ ტყვიის წინსაფრებს აძლევდნენ, მაგრამ მხურვალემა ქვემოდან ამოდიოდა და ჯარისკაცი დაუცველი იყო, ჩვეულებრივ სამხედრო ჩექმებში. დღეში წუთს, წუთნახევარს ატარებდნენ სახურავზე. მერე მათ ჯარიდან ათავისუფლებდნენ, სიგელს და პრემიას, 100 მანეთს აძლევდნენ. მერე ისინიც ჩაიკარგნენ ჩვენი სამშობლოს უკიდევანო

სივრცეებში. სახურავზე საწვავს, რეაქტიულ გრაფიტს, ბეტონისა და არმატურის ნაწილებს ნიჩბებით ხვეტდნენ... ოც-ოცდაათ წამში უნდა დაეტვირთათ ურიკები, და ამდენივე დრო ჰქონდათ, ნაგავი სახურავიდან რომ ჩამოეყარათ. მხოლოდ ეს სპეციალური ურიკები ორმოც კილოგრამს იწონიდა. აბა, ახლა წარმოიდგინეთ, ტყვიის წინსაფარი, ნიღბები, ეს ურიკები და გიჟური სისწრაფე... წარმოიდგინეთ? კიევში, მუზეუმში გრაფიტის მულაჟი დევს, სამხედრო ფორმის ქუდის ზომისა. ისეთი მტკიცე და მძიმეა, ამბობენ, ნამდვილი რომ იყოს, თექვსმეტი კილოგრამი იქნებოდაო. რადიომართვადი მანიპულატორები ხშირად არ ასრულებდა დავალებას ან სრულიად სხვა რამეს აკეთებდა, რადგან მათი ელექტრონული სქემები მაღალი ველის ზემოქმედებით იშლებოდა. ყველზე სანდო „რობოტები“ ჯარისკაცები იყვნენ. მათ „მწვანე რობოტები“ დაარქვეს (სამხედრო ფორმის ფერის გამო). დანგრეული რეაქტორის სახურავზე სამი ათას ექვსასმა ჯარისკაცმა გაიარა. მიწაზე ეძინათ... ყველაფერს ჰყვებიან, პირველ ხანებში კარვებში მიწაზე თივას აფენდნენ. იქვე, რეაქტორის გვერდით ზვინებიდან იღებდნენ.

პატარა ბიჭები... კვდებიან ახლა, მაგრამ იციან, ისინი რომ არა... ეს სრულიად განსაკუთრებული კულტურის მქონე ხალხია — გმირობის და მსხვერპლის კულტურისა.

რალაც მომენტში ბირთვული აფეთქების საშიშროება იყო და რეაქტორის ქვემოდან გრუნტის წყლის გამოშვება გახდა აუცილებელი, რათა იქ გრაფიტისა და ურანის ნაერთი არ მოხვედრილიყო, წყალთან ერთად ისინი კრიტიკულ მასას ქმნის. აფეთქება — სამიხუთი მეგატონისა იქნებოდა. არა მხოლოდ კიევი და მინსკი აღიგვებოდა მიწის პირიდან, არამედ ევროპის უდიდეს ნაწილში ცხოვრება შეუძლებელი გახდებოდა. წარმოგიდგენიათ? ევროპული კატასტროფა. იდგა ამოცანა: ვინ ჩაყვინთავდა და ვინ გახსნიდა გამშვები სარქველის ურდულს? ჰპირდებოდნენ მანქანას, ბინას, აგარაკს, და სიკვდილამდე ოჯახის რჩენას. მოხალისეებს ეძებდნენ. ისინიც გა-

მოჩნდნენ! ბიჭები მიდიოდნენ, ბევრჯერ ჩაყვინთეს და, ბოლოს და ბოლოს, გახსნეს ის ურდული. მთელ ჯგუფს შვიდი ათასი მანეთი მისცეს, შეპირებული მანქანებისა და ბინების შესახებ კი დაივიწყეს. არა, ამისთვის არ ჩაუყვინთავთ ამ ბიჭებს! მატერიალური სარგებლის გამო, ყველაზე ნაკლებად ამის გამო... არაა ჩვენი ადამიანი ასეთი მარტივი... ასე გასაგები... და ზედაპირზე... (აღელდა)

დღეს ისინი უკვე აღარ არიან. მხოლოდ საბუთებია ჩვენს მუზეუმში... გვარები... და რომ არ ჩაეყვინათ? ჩვენი მზაობა თვითშეწირვისთვის... ამაში ვერავინ შეგვედრება...

აქ ერთს ვეკამათე... მიმტკიცებდა, ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ ჩვენთან ადამიანის სიცოცხლეს ფასი არა აქვს, ამიური ფატალიზმია. ადამიანი, რომელიც მსხვერპლად საკუთარ სიცოცხლეს სწირავს, თავს უნიკალურ, განუმეორებელ პიროვნებად არ აღიქვამს.... ის როლზე ოცნებობდა, ადრე ტექსტის გარეშე იყო — ადამიანი-სტატისტი. სიუჟეტიც არ ჰქონდა, უბრალოდ, ფონს ქმნიდა. აქ კი უცებ მთავარ მოქმედ პირად იქცა. ცხოვრების საზრისზე ოცნებობდა. რა არის ჩვენი პროპაგანდა? ჩვენი იდეოლოგია? გთავაზობენ, მოვკვდეთ და საზრისი მოვიპოვოთ. აგვამაღლებენ. როლს გვანიჭებენ! სიკვდილი დიდი ღირებულებაა, იმიტომ, რომ სიკვდილის შემდეგ მარადისობააო. მიმტკიცებდა... მაგალითები მოჰყავდა, მაგრამ მე არ ვეთანხმები! კატეგორიულად არ ვეთანხმები! ჰო, ჩვენ აღგვზარდეს, როგორც ჯარისკაცები. ასე გვასწავლეს. სულ მობილიზებულები ვართ, სულ მზად ვართ შეუძლებელი შევძლოთ. მამაჩემი, როცა სკოლის შემდეგ სამოქალაქო უმაღლეს სასწავლებელში დავაპირე სწავლა, სასოწარკვეთამდე მივიდა: „მე კადრის სამხედრო ვარ, შენ კი პიჯაკს ჩაიცვამ? სამშობლო უნდა დაიცვა!“ რამდენიმე თვე არ მელაპარაკებოდა, მანამ, სანამ საბუთები სამხედრო სასწავლებელში არ გადავიტანე. მამა ომის მონაწილე იყო, უკვე გარდაიც-

ვალა. არანაირი ქონება არ დარჩენია, არც სახლი, არც მანქანა, არც მიწა... რა დამრჩა მისგან? ოფიცრის საველე ჩანთა, რომელიც ფინეთთან სამხედრო კამპანიის წინ მიიღო. იქ კი მისი საბრძოლო ორდენები დევს. კიდევ პოლიეთილენის პარკში მიდევს ომიდან გამოგზავნილი მამაჩემის სამასი წერილი, დედამ შეინახა... სულ ესაა, რაც დარჩა... მაგრამ მე ვთვლი, რომ ეს შეუფასებელი კაპიტალია!

ახლა ხვდებით, როგორ ვუყურებ ჩვენს მუზეუმს? აი, იქ, ქილაში ჩერნობილის მიწაა... ერთი მუჭა... აი, მეშახტის ჩაფხუტი... ისიც იქიდან... გლეხების ჭურჭელი ზონიდან... აქ დოზიმეტრისტების შემოშვება არ შეიძლება. ელავს! აქ ყველაფერი ნამდვილი უნდა იყოს! მულიაჟების გარეშე! ჩვენი უნდა სჯეროდეთ. და მხოლოდ ნამდვილს დაიჯერებენ, ჩერნობილის ირგვლივ ისედაც ბევრი ტყუილია. იყო და კიდევ იქნება. ასეთი გამონათქვამიც გავრცელდა — ატომი შეიძლება გამოიყენოს არა მხოლოდ სამხედრო და მშვიდობიანი მიზნებისთვის, არამედ, პირადისთვისაც. გამდიდრდნენ ფონდებით, კომერციული სტრუქტურებით...

თუკი ასეთ წიგნს წერთ, აუცილებლად უნდა ნახოთ ჩვენი უნიკალური ვიდეომასალა... სათითაოდ ვაგროვებთ. ჩათვალეთ, რომ ჩერნობილის ქრონიკა არ არსებობს. არავის აძლევდნენ გადაღების უფლებას, ყველაფერი გაასაიდუმლოვეს. თუკი ვინმე რაიმეს გადაიღებდა, შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლები მაშინვე ართმევდნენ მასალას და ცარიელ ფირებს უბრუნებდნენ. არ გვაქვს ქრონიკა, როგორ მიჰყავდათ ადამიანები ევაკუაციაში, როგორ გაჰყავდათ საქონელი... ტრაგედიის გადაღება არ შეიძლებოდა, გმირობებს იღებდნენ! დღეს მაინც გამოიცა ჩერნობილის ალბომები, მაგრამ რამდენჯერ გაუტეხავთ კამერები კინო და ტელე ოპერატორებისთვის! ინსტანციებში დაატარებდნენ... ჩერნობილზე პატიოსნად რომ მოჰყვე, ამისთვის ადრეც სიმამაცე იყო საჭირო და ახლაც საჭიროა. დამიჯერეთ! თქვენ ეს კადრები უნდა ნახოთ! პირველი მე-

ხანძრეების გრაფიტივით შავი სახეები! და თვალები? ეს იმადამიანის თვალებია, ვინც იცის, რომ უკვე მიდის ჩვენგან. ერთ ფრაგმენტზე ქალის ფეხებია, რომელიც კატასტროფის დილას ატომური სადგურის გვერდით ბოსტნის დასამუშავებლად მიდიოდა. მიდიოდა ბალახზე, რომელზეც ცვარი იყო დაფენილი... ფეხები ცხრილს ჰგავს, მუხლამდე დახვრეტილია... ეს უნდა ნახოთ, თუკი ამ წიგნს წერთ...

სახლში რომ ვბრუნდები, ჩემს პატარა ბიჭს ხელში ვერ ვიჭერ. ბავშვი ხელში რომ ავიყვანო, ორმოცდაათი-ასი გრამი არაფი უნდა დავლიო...

მუზეუმში ცალკე განყოფილება შეეუღლმფრენების მფრინავებზე იქნება... პოლკოვნიკი ვოდოლაჟსკი... რუსეთის გმირი, რომელიც ბელარუსის მიწაში, სოფელ ჟუკოვ ლუგში განისვენებს. როცა წარმოდგენლად დიდი დობა მიიღო, უნდა წასულიყო, მაგრამ დარჩა და კიდევ ოცდაცამეტ ეკიპაჟს ასწავლა. თვითონ ას ოცჯერ გაფრინდა, სამასი-ოთხასი ტონა ტვირთი ჩამოაგდო. დღეში ოთხჯერ, ხუთჯერ მიფრინავდა, რეაქტორიდან სამასი მეტრის სიმაღლეზე... კაბინაში ტემპერატურა სამოც გრადუსამდე იყო. და რა ხდებოდა ქვემოთ, როცა ქვიშიანი ტომრები ცვიოდა? წარმოიდგინეთ... იწვოდა... აქტიურობა ათას რვაას რენტგენს აჭარბებდა. პილოტები ჰაერშივე ხდებოდნენ ცუდად. ზუსტად რომ მოერტყათ, მიბანში, ცეცხლოვან ხახაში რომ მოეხვედრებინათ, კაბინებიდან თავებს ყოფდნენ... სხვა გზა არ იყო... სამთავრობო კომისიის სხდომებზე... უბრალოდ და საქმიანად ამბობდნენ: „ამისთვის საჭიროა ორი სამი სიცოცხლე. ამისთვის კი — ერთი“... უბრალოდ და საქმიანად...

პოლკოვნიკი ვოდოლაჟსკი მოკვდა. ბარათში, სადაც რეაქტორზე მიღებულ დოზებს აღნუსხავდნენ, ექიმებმა მას ჩაუწერეს... შვიდი ბერი... მაშინ, როცა სინამდვილეში... ექვსასი მიიღო!

და ის ოთხასი მეშახტე, რომლებიც რეაქტორის ქვეშ დღედაღამ თხრიდნენ გვირაბს? გვირაბი უნდა გათხრილიყო, რომ იქ თხევადი აზოტი ჩაესხათ და „მიწის ბალიში“ გაეყინათ, ასე ითქმის ინჟინრების ენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში რეაქტორი გრუნტის წყლებში წავიდოდა... მოსკოველი, კიეველი, ღნებროპეტროვსკელი მეშახტეები... მათზე არსად არაფერი წამიკითხავს... ისინი კი, ორმოცდაათ გრადუს ტემპერატურაზე, თითქმის შიშვლები, ვაგონებს ოთხზე დამდგარები მიაგორებდნენ. იქ ხომ... ნამდვილად იყო ასობით რენტგენი...

დღეს ისინი კვდებიან... თუმცა, მაშინ ეს ყველაფერი რომ არ გაეკეთებინათ? მგონია, რომ გმირები არიან და არა იმ ომის მსხვერპლები, რომელიც თითქოს არც ყოფილა. ავარიას, კატასტროფას უწოდებენ, არადა, სინამდვილეში ომი იყო და ჩერნობილის მონუმენტებიც საომარ ძეგლებს ჰგავს...

არის საკითხები, რომლებზე საუბარიც ჩვენთან მიღებული არ არის, სლავური სიმორცხვის ბრალია. წიგნს წერთ და თქვენ უნდა იცოდეთ... მათ, ვინც რეაქტორზე ან მასთან ძალიან ახლოს მუშაობდა, როგორც წესი... უზიანდებათ... იგივე სიმპტომი აქვთ მერაკეტეებსაც... ნაცნობი ამბავია... როგორც წესი, უზიანდებათ შარდსასქესო სისტემა... მამაკაცური... მაგრამ ამაზე ჩვენთან არ ლაპარაკობენ... არაა მიღებული... ერთხელ თან ვახლდი ინგლისელ ჟურნალისტს, რომელსაც სწორედ ამ თემაზე ძალიან საინტერესო კითხვები ჰქონდა მომზადებული, მას პრობლემის ადამიანური მხარე აინტერესებდა. რა ემართება ამის შემდეგ ადამიანს — შინ, ყოფაში, როგორ მისდის ინტიმური ცხოვრება? ოღონდ არც ერთი არ დაელაპარაკა გულახდილად. მთხოვა შემეკრიბა, მაგალითად, მფრინავები... ელაპარაკა მხოლოდ მამაკაცებთან... ისინიც მოვიდნენ, ოცდაათხუთმეტი, ორმოცი წლისანი, მაგრამ ზოგი — უკვე პენსიონერი. ერთი ფეხმოტეხილიც მოიყვანეს, ძვლის მოტეხილობა ჰქონდა, იმის გამო, რომ რადიაციის ზემოქმედების შედეგად ძვალი იშლე-

ბა... ისიც მოიყვანეს... ინგლისელი ეკითხებოდა: რა ხდება ოჯახში, რას ამბობენ თქვენი ახალგაზრდა ცოლები? მფრინავები გაჩუმდნენ, ისინი მოვიდნენ, რათა მოეყოლათ, როგორ დაფრინავდნენ დღეში ხუთჯერ რეაქტორის თავზე. აქ კი... ცოლებიო... ეს ისეთი რამეა... ერთხმად პასუხობდნენ — ჯანმრთელობას არაუშავს, სახელმწიფო გვაფასებს, ცოლებს ვუყვარვართ... წავიდნენ... ვხედავ, ინგლისელს იმედები გაუცრუვდა: „ახლა ხომ ხვდები, რატომ არ სჯერა თქვენი არავის? საკუთარ თავსაც კი ატყუებთ“. შეხვედრა კაფეში შედგა, ორი ლამაზი ოფიცინატი გვემსახურებოდა. როცა მაგიდიდან ყველაფრის ალაგებას მორჩნენ, ახლა იმათ ჰკითხა: „შეგიძლიათ რამდენიმე შეკითხვაზე მიპასუხოთ?“ ამ გოგოებმა ყველაფერი თქვეს. ინგლისელი: „დაქორწინება გინდათ?“ „ჰო, მაგრამ აქ არა. თითოეული ჩვენგანი უცხოელზე გათხოვებაზე ოცნებობს, რომ ჯანმრთელი შვილები გვყავდეს“. ინგლისელი უფრო გათამამდა: „პარტნიორები გყავთ? ხომ გესმით, რასაც ვგულისხმობ?“ გოგოებმა გაიცინეს: „აი, აქ ბიჭები ისხდნენ, მფრინავები, ორმეტრიანები. მედლები უელავთ. პრემიდიუმებისთვის ძალიანაც კარგები არიან, მაგრამ საწოლში — არა“. წარმოგიდგენიათ? ფოტო გადაუღო ამ გოგოებს, მე კი იგივე ფრაზა გამიმეორა: „ახლა ხომ ხვდები, რატომ არ სჯერა თქვენი არავის? საკუთარ თავსაც კი ატყუებთ“.

ზონაშიც ერთად წავედით. ცნობილია სტატისტიკა: ჩერნობილის ირგვლივ რვაასი სამარხია. ის ელოდა, რომ რაღაც სასწაულ საინჟინრო ნაგებობებს ნახავდა და მხოლოდ ორმოები დახვდა. იქ „ჟღალი ტყეა“ დამარხული, რომელიც რეაქტორის ირგვლივ ას ორმოცდაათი ჰექტარის რადიუსზე მოჭრეს. (ავარიის შემდეგ, პირველი ორი დღე ფიჭვები გაწითლდა, ხოლო შემდეგ ჟღალად შეიფერა). ათასობით ტონა მეტალი და რკინა, წვრილი მილები, სპეცტანსაცმელი, ბეტონის კონსტრუქციებია ჩამარხული... ინგლისურ ჟურნალში გამოქვეყნებული პანორამული ფო-

ტო მაჩვენა... ზემოდან გადაღებული... ათასი ერთეული ტრაქტორები და საავიაციო ტექნიკა... სახანძრო და სასწრაფო დახმარების მანქანები... ყველაზე დიდი სამარხი რეაქტორის გვერდით. უნდოდა გადაეღო — ახლა, ათი წლის შემდეგ. ამ ფოტოსთვის დიდ თანხებს შეჰპირდნენ. ვიარეთ, ვიარეთ... ერთმა უფროსმა მეორესთან გავგზავნა, ხან რუკა არ ჰქონდათ, ხან ნებას არ გვრთავდნენ... ვიბოდიალეთ, სანამ არ მივხვდი, რომ აღარ არის ეს სამარხი, რეალურად აღარ არსებობს, მარტო ანგარიშებშია, იმიტომ, რომ დიდი ხანია, რაც ბაზრებში გაზიდეს, სათადარიგო ნაწილებად წაიღეს კოლმეურნეობებში და საკუთარ ეზოებში... გაქურდეს და გაიტანეს. ინგლისელმა ეს ვერაფრით გაიგო. არ სჯეროდა! სიმართლე რომ ვუთხარი, ვერ იჯერებდა! მეც კი, ახლაც, როცა ყველაზე გაბედულ სტატიას ვკითხულობ, ქვეცნობიერში სულ მიტრიალებს აზრი: „და ესეც რომ ტყუილი იყოს? ან რაღაც მონაჭორი? ტრაგედიამე საუბარი გასართობ ამბად იქცა... მოარულ შტამპად! საფრთხობელად! (გულდაწყვეტილი აქნევს თავს და კარგა ხნით ჩუმდება)

ყველაფერი მუზეუმში მიმაქვს... მივათრევ... თუმცა, ხანდახან ვფიქრობ: „დააგდე, გაიქეცი! როგორ გავუძლო?

ერთ ახალგაზრდა მღვდელს ველაპარაკე...

ზემდეგ საშა გონჩაროვის ახალ საფლავთან ვიდექით... მაშინ ისიც რეაქტორის სახურავზე იყო... თოვდა, ქარი ქროდა, საზიზღარი ამინდი იყო. მღვდელი პანაშვიდს ატარებდა. ლოცვას კითხულობდა. თავშიშველა. რომ დაამთავრა, ვკითხე: „თითქოს არ გრძნობდით სიცივეს?“ არაო, მიპასუხა — „ასეთ დროს მხიარულად ვარ. არც ერთი საეკლესიო წესი არ მაძლევს ისეთ ენერგიას, როგორსაც პანაშვიდი“. დავიმახსოვრე იმ ადამიანის სიტყვები, ვინც ყოველთვის სიკვდილის გვერდითაა. არაერთხელ მიკითხავს უცხოელი ჟურნალისტებისთვის, ბევრი უკვე რამდენჯერმეა აქ ნამყოფი, რატომ მოდიან, რით იზიდავთ ზონა? სისულელე იქნებოდა, მეფიქრა, რომ მხოლოდ ფულის და კარიერის გამო ჩამოდიან. „აქ, თქვენთან მოგ-

ვწონს, — მეუბნებოდნენ, — ახალ ენერგეტიკულ მუხტს ვიღებთ“. წარმოგიდგენიათ? ხომ მოულოდნელია ეს პასუხი? მათთვის, ალბათ, ჩვენი ადამიანი, მისი გრძნობები, მისი სამყარო — რაღაცა ახალია. იდუმალი რუსული სული? ჩვენც გვიყვარდა სამზარეულოში, სმის დროს ამაზე ლაპარაკი... ერთმა ჩემმა მეგობარმა ერთხელ თქვა: აი, გავძლებით. გადავეჩვევით ტანჯვას. ვიღასთვის ვიქნებით საინტერესო? ვერ ვივიწყებ ამ სიტყვებს... თუმცა, ის მაინც ვერ გავიგე, სხვებსრა მოსწონთ ჩვენში. ჩვენ თვითონ? იქნებ ის, რაც შეუძლიათ ჩვენზე დაწერონ ან ჩვენი საშუალებით გაიგონ?

რატომაა ასე, რომ სულ სიკვდილის ირგვლივ ვტრიალებთ?

ჩერნობილი... ჩვენ სხვა სამყარო უკვე აღარ გვექნება... თავიდან, როცა ფეხქვეშ მიწა გამოგვეცალა, ეს ტკივილი ღიად გამოგვექონდა, ახლა კი უკვე მივხვდით, რომ სხვა სამყარო არ არსებობს და ვერსად გავიქცევით. ჩერნობილის მიწაზე ყოფნის ტრაგიკული გრძნობა სულ სხვანაირი მსოფლგანცდაა. ომიდან „დაკარგული“ თაობა დაბრუნდა. გახსოვთ რემარკი? ჩერნობილით კი „დაბნეული“ თაობა ცხოვრობს... ჩვენ დავიბენით... უცვლელი კი მხოლოდ ადამიანური ტანჯვა დარჩა... ჩვენი ერთადერთი კაპიტალი. აუწონელი!

...შინ ვბრუნდები... ამ ყველაფრის შემდეგ... ცოლს ვუყვარვარ, მეფერება, მერე კი ჩუმიად მეუბნება: „მიყვარხარ, მაგრამ ჩემს ბიჭუნას ვერ მოგცემ. ვერავის ვერ მივცემ. ვერც ჩერნობილს, ვერც ჩენეთს... ვერავის!“

სერგეი ვასილიევიჩ სობოლევი

რესპუბლიკური ასოციაცია „ჩერნობილის ფარის“

თავმჯდომარის მოადგილე

ხალხის ქორო

კლავდია გრიგორევნა ბარსუკი, ლიკვიდატორის ცოლი; თამარა ვასილევნა ბელოოკაია, ექიმი; ეკატერინა ფედოროვნა ბობროვა, ქალაქ პრიპიატიდან გადმოსახლებული; ანდრეი ბურტისი, ჟურნალისტი; ივან ნაუმოვიჩ ვერგაიჩიკი, პედიატრი; ელენა ილინინა ვორონკო, ქალაქური დასახლება ბრაგინის მკვიდრი; სვეტლანა გოვორი, ლიკვიდატორის ცოლი; ნატალია მაქსიმოვნა გონჩარენკო, გადმოსახლებული; თამარა ილინინა დუბიკოვსკია, ქალაქური დასახლება ჰაროვლიას მკვიდრი; ალბერტ ნიკოლაევიჩ ზარიცკი, ექიმი; ალექსანდრა ივანოვნა კრავცოვა, ექიმი; ელენორა ლადუტენკო, რადიოლოგი; ირინა იურევნა ლუკაშევიჩი, ბებიაქალი; ანტონინა მაქსიმოვნა ლარივონიკი, გადმოსახლებული; ანატოლი ივანოვიჩ პოლიშჩუკი, ჰიდრომეტეოროლოგი; მარია იაკოვლევნა საველიევა, დედა; ნინა ხანცევიჩი, ლიკვიდატორის ცოლი.

„კარგა ხანია აღარ მინახავს ბედნიერი ფეხმძიძე ქალი... ბედნიერი დედა...“

სულ ახლახან გააჩინა. გონზე მოვიდა. მეძახის: „ექიმო, მაჩვენეთ! მომიყვანეთ!“ ხელით ეხება თავზე, შუბლზე, ტანზე. თითებს ითვლის... ხელებზეც, ფეხებზეც... ამოწმებს. უნდა დარწმუნდეს: „ექიმო, ნორმალური ბავშვი გავაჩინე? ყველაფერი კარგადაა? მიუყვან, რომ აჭამოს და ეშინია: „ჩერნობილთან ვცხოვრობ... „შავ წვიმაში“ მოვეყვი...“

სიზმრებს მიყვებიან: რვაფეხიანი ხბო გავაჩინე, ან ზღარბისთავიანი ლეკვიო... ისეთი უცნაური სიზმრებია... ადრე ასეთ სიზმრებს ქალები არ ნახულობდნენ. მე არასდროს გამიგია.

ბებიაქალობის ოცდაათწლიანი სტაჟი მაქვს“...

„მთელი ცხოვრებაა სიტყვით ვცხოვრობ... სიტყვაში...“

სკოლაში რუსულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლი. მგონი, ივნისის დასაწყისში იყო, გამოცდების დროს. უცებ სკოლის დირექტ-

ტორმა დაგვიბარა და გამოგვიცხადა: „ხვალ ყველანი ნიჩბებით მოხვალთ“. გაირკვა, რომ სკოლის ირგვლივ მიწის ზედა, დაბინძურებული ფენა უნდა აგველო, მერე კი ჯარისკაცები მოვიდოდნენ და ასფალტს დაასხამდნენ. ვიკითხეთ: „დამცავ საშუალებებს მოგვცემენ? მოიტანენ სპეციალურ კოსტიუმებს, რესპირატორებს?“ გვიპასუხეს, არაო. „აიღეთ ნიჩბები და თხარეთ“. უარი მხოლოდ ორმა, ახალგაზრდა მასწავლებელმა თქვა, დანარჩენები წავიდნენ და თხრიდნენ. ჩვენში ცოცხლობს შიში, და ამავე დროს, ვალის აღსრულების გრძნობა: ვიყოთ იქ, სადაც სიძნელეებია, საშიშია, დავიცვათ სამშობლო. განა სხვა რამეს ვასწავლიდი ჩემს მოსწავლეებს? მხოლოდ ამას: წადი, გადაეშვი ცეცხლში, დაიცავი, თავი შესწირე. ლიტერატურა, რომელსაც მე ვასწავლიდი, ცხოვრებაზე კი არა, ომზე და სიკვდილზეა. შოლოხოვი, სერაფიმოვიჩი, ფურმანოვი, ფადეევი, ბორის პოლევოი... მარტო ორმა ახალგაზრდა მასწავლებელმა თქვა უარი. მაგრამ ეს ახალი თაობაა, სხვა ადამიანები...

მიწას დილიდან დაღამებამდე ვთხრიდით. შინ რომ ვბრუნდებოდით, გვიკვირდა, რომ ქალაქში მაღაზიები მუშაობდა, ქალები ყიდულობდნენ წინდებს, სუნამოებს. ჩვენ ომის განცდა გვქონდა. ჩვენთვის უფრო ბუნებრივი იყო, როცა პურის, ასანთის, მარლის რიგები გაჩნდა... ყველამ ორცხობილების გამოშრობა დაიწყო... იატაკს დღეში ხუთჯერ-ექვსჯერ ვრეცხავდით, ვქოლავდით ფანჯრებს... გამუდმებით ვუსმენდით რადიოს. ქცევის ეს წესი ნაცნობი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ომის შემდეგ დავიბადე. ვცდილობდი, ჩემი გრძნობები გამეანალიზებინა და ძალიან მიკვირდა, რამდენად ადვილად გარდაიქმნა ჩემი ფსიქიკა, სრულიად აუხსნელი იყო, მაგრამ საომარი გამოცდილება მეცნობოდა. შემეძლო წარმომედგინა, როგორ მივატოვებ სახლს, როგორ წავალ ბავშვებთან ერთად, რომელ ნივთებს წავიღებთ, რას მივწერ დედას. თუმცა, ირგვლივ ჩვეულებრივი, მშვიდობიანი ცხოვრება

გრძელდებოდა და ტელევიზორშიც კინოკომედიებს უჩვენებდნენ.

ამას ჩვენი მეხსიერება გვკარნახობდა... ჩვენ ყოველთვის ვცხოვრობდით შიშში, ჩვენ ვიცით შიშით ცხოვრება, ეს — ჩვენი არსებობის სივრცეა.

აქ ჩვენს ხალხს ვერავინ შეედრება“.

„ომში არ ვყოფილვარ... მაგრამ ეს მახსენებდა...“

ჯარისკაცები შედიოდნენ სოფლებში და ადამიანები ევაკუაციაში მიჰყავდათ. სოფლების ქუჩები სავსე იყო სამხედრო ტექნიკით: ჯავშანტრანსპორტიორებით, მწვანე ბრემენტგადაფარებული სატვირთო მანქანებით, ტანკებითაც კი. ადამიანები საკუთარ სახლებს ჯარიკაცების თანდასწრებით ტოვებდნენ, ეს ყველაფერი დამთრგუნველად მოქმედებდა, განსაკუთრებით მათზე, ვინც ომი გამოიარა. თავიდან რუსებს ადანაშაულებდნენ — დამნაშავეები არიან, მათი სადგურიანო, მერე — კომუნისტების ბრალიანო. გული არაადამიანური შიშისგან გვისკდებოდა...

მოგვატყუეს. დაგვიბრდნენ, სამ დღეში დაბრუნდებითო. დავტოვეთ სახლი, აბანო, გაჭრილი ჭა, ძველი ბაღი. წასვლის წინა ღამეს ბაღში შევედი და ვნახე, როგორ იშლებოდა ყვავილები. დილას კი ყველა წაქცეული დამხვდა. დედამ გადასახლება ვერ გადაიტანა. ერთი წლის შემდეგ მოკვდა. ორი სიზმარი სულ მიმეორდება... პირველი — ჩვენს ცარიელ სახლს ვხედავ, მეორე — ჩვენს ჭიშკართან, გეორგიანებში დედაჩემი ზის... ცოცხალი... და იღიმება...

ყოველთვის ომს ადარებენ. მაგრამ... ომის გაგება კიდევ შეუძლებელია. ომზე მამაჩემი მიყვებოდა, წიგნებშიც წამიკითხავს... აქ კი... ჩვენი სოფლისგან სამი სასაფლაო დარჩა: ერთგან ადამიანები წვანან, ის ძველია, მეორეგან — მიტოვებული და მერე დახვრეტილი ძაღლები და კატები, მესამეგან — სახლები.

ჩვენი სახლებიც კი დამარხეს“.

„ყოველდღე... ყოველდღე დავდივარ ჩემს მოგონებებში...“

იმავე ქუჩებში, იმავე სახლების გვერდით. ისეთი ჩუმი, პატარა ქალაქი იყო. არავითარი ქარხნები, ერთი კანფეტების ფაბრიკა... ვვირაა... ვწევარ, მზეზე ვირუჯები. დედა მორბის: „შვილო, ჩერნობილი აფეთქდა, ადამიანები სახლებში იმალებიან, შენ კიდევ მზეზე წევხარ!“ გამეცინა — ჩერნობილამდე ნაროვლიადან ორმოცი კილომეტრია.

სადამოს ჩვენს სახლთან „ჟიგული“ გაჩერდა, ჩემი ნაცნობი და მისი ქმარი შემოვიდნენ: ქალი — სახლის ხალათით, კაცი — სპორტული ტრიკოთი და ძველი ჩუსტებით. ტყით, სოფლებს შორის უვლიათ, პრიპიატიდან მოდიოდნენ... გამოიქცნენ... გვებზე მილიცია მორიგეობდა, სამხედრო პოსტები დააყენეს, არავის არ უშვებდნენ. პირველი, რაც დამიყვირა: „სასწრაფოდ უნდა ვიშოვოთ რძე და არაყი! სასწრაფოდ!“ მიყვიროდა და მიყვიროდა: „ახლახან ვიყიდეთ ახალი ავეჯი, ახალი მაცივარი. ქურქი შევიკერე. ყველაფერი დავტოვე, ცელოფანი შემოვაკარი... ღამე არ გვიძინია... რა იქნება? რა იქნება? ქმარი ამშვიდებდა. გვიყვებოდა, რომ ქალაქის თავზე შვეულმფრენები დაფრენენ, ქუჩებში და სამხედრო მანქანები დადიან და რაღაც ქათს უშვებენ. კაცები ნახევარი წლით მიჰყავთ ჯარში, როგორც ომში. დღეობით ვისხედით ტელევიზორების წინ და ველოდით, როდის გამოვიდოდა გორბაჩოვი. ხელისუფლება დუმდა...

მხოლოდ მაშინ, როცა მაისის დღესასწაულები იზეიმეს, გამოვიდა გორბაჩოვი და თქვა: ამხანაგებო, ნუ ღელავთ, სიტუაციას ვაკონტროლებთ... ხანძარი, უბრალოდ ხანძარი იყო. არაფერი განსაკუთრებული... იქ ადამიანები ცხოვრობენ, მუშაობენ...

ჩვენ გვჯეროდა...“

„როგორი სურათები... ღამით ძილისა გვეშინოდა... თვალეზის დახუჭვის...“

საქონელს მოერეკებოდნენ... მთელი გამოსახლებული სოფლების საქონელი ჩვენს რაიცენტრში, მიმღებ პუნქტებში მოჰყავ-

დათ. გონდაკარგული ძროხები, გოჭები, ცხვრები ქუჩებში დარბოდნენ. ვისაც უნდოდა, იჭერდა. ხორცკომბინატიდან დატვირთული მანქანები კალინოვიჩის სადგურზე მიდიოდა, იქიდან მოსკოვში გაჰქონდათ. მოსკოვი არ ღებულობდა და ეს ვაგონები, უკვე ვაგონ-საფლავები უკან, ჩვენთან ბრუნდებოდა. მთელი ეშელონები. აქვე მარხავდნენ. გახრწნილი ხორცის სუნი ღამითაც არ გვაძინებდა. „ნუთუ ასეთი სუნი აქვს ატომურ ომს“ – ვფიქრობდი. ომს კვამლის სუნი უნდა ჰქონდეს...

პირველ დღეებში, ნაკლებ ხალხს რომ დაენახა, ჩვენი ბავშვები ღამლამობით გაჰყავდათ. მაღავდნენ უბედურებას, არ აჩენდნენ. ხალხი კი მაინც გებულობდა. გზაში ჩვენს ავტობუსებთან რძის ბიდონები მოჰქონდათ, ფუნთუშებს გვიცხობდნენ.

როგორც ომში, სხვას რას შეიძლება, შევადაროთ?“

„თათბირი საოლქო კომიტეტში... საომარი მდგომარეობა...“

ყველანი სამოქალაქო თავდაცვის უფროსის გამოსვლას ელიან, იმიტომ, რომ თუკი ვინმეს რამე გაახსენდა რადიაციამე, მხოლოდ მეთუ კლასის ფიზიკის წიგნში ამოკითხული ნაწყვეტები. ის ტრიბუნაზე დგას და გვიყვება იმას, რაც სახელმძღვანელოებსა და წიგნებში ატომურ ომზე წერია. ორმოცდაათ რენტგენს რომ მიიღებს, ჯარისკაცმა ბრძოლა უნდა დატოვოს, როგორ უნდა აშენდეს თავშესაფარი, როგორ უნდა გამოვიყენოთ აირწინალი, აფეთქების რადიუსზე... მაგრამ აქ ხიროშიმა და ნაგასაკი არ არის, აქ ყველაფერი სხვანაირადაა... ჩვენ უკვე ვხვდებით...

დაბინძურებულ ზონაში შევეუღმფრენით გავფრინდით. ინსტრუქციის მიხედვით ვიყავით ეკიპირებული: ქვედა საცვლები არ გვეცვა, კომბინეზონი ბამბის იყო, როგორც მზარეულისა, ზედ მუშამბა ეკრა, ხელთათმანები, დოლბანდის პირბადე. გვეკიდა ხელსაწყოები. სოფელში დავეშვით, იქ კი ბავშვები ქვიშაში ბანაობდნენ, როგორც ბელურები. პირში კენჭებით და ტოტებით. პატარები, უმარვლებოდ.

ტიტველი ტაკობით. ჩვენ კი გვიბრძანეს: ხალხს არ დაელაპარაკოთ, პანიკა არ დათესოთ...

ახლა კი, აი, ამით ვცხოვრობ...“

„ტელევიზორში რაღაც გადაცემებს უჩვენებდნენ...

ერთ-ერთი სიუჟეტი: ბებია ძროხას წველის, რძეს ქილაში ასხამს, რეპორტიორი სამხედრო დოზიმეტრით მიდის, ქილაში ურევს... კომენტარი გადის, რომ აი, შეხედეთ, სრულ ნორმაშია ყველაფერი, რეაქტორამდე კი მხოლოდ ათი კილომეტრია. უჩვენებენ მდინარე პრიპიატს... ბანაობენ, ირუჯებიან... მოშორებით რეაქტორი მოჩანს და კვამლის ქულა მის თავზე... კომენტარი: დასავლეთის ხმები თესავენ პანიკას, ავრცელებენ მიზანმიმართულ ჭორებს ავარიის შესახებ. და ისევ ამ დოზიმეტრით დადიან — ხან უხათი სავსე თეფშში დებენ, ხან შოკოლადს მიადებენ, ხან ფუნჩულებს ღია ჯიხურთან. ეს ტყუილი იყო. სამხედრო დოზიმეტრები, რომელებიც მაშინ ჩვენს ჯარს შეიარაღებაში ჰქონდა, არ იყო გათვლილი პროდუქტების შესამოწმებლად. ისინი მხოლოდ ფონს ზომავდა.

იმხელა ტყუილი, რასთანაც ჩვენს წარმოდგენაში ჩერნობილი ასოცირდება, ალბათ მხოლოდ ორმოცდაერთში იყო, სტალინის დროს“.

„მინდოდა, სიყვარულით გამეჩინა...

პირველ შვილს ველოდით. ქმარს ბიჭი უნდოდა, მე — გოგო. ექიმები ცდილობდნენ, დავეყოლიებინე: „უნდა გადაწყვიტოთ და აბორტი გაიკეთოთ. თქვენი ქმარი დიდი ხნის განმავლობაში იყო ჩერნობილში“. მძლოლია და პირველი დღეებიდანვე წაიყვანეს. მე კი არავის ვუჯერებდი, არ მინდოდა დამეჯერებინა. წიგნებში წამეკითხა, რომ სიყვარული ყველაფერზე გაიმარჯვებს, სიკვდილზეც კი.

ბავშვი მკვდარი დაიბადა. და ორი თითის გარეშე. ვტიროდი: „თითები მაინც ჰქონოდა. ის ხომ გოგონაა“...

„ვერაჲინ ხვდებოდა, რა მოხდა.

სამხედრო კომისარიატში დავრეკე. ჩვენ, ექიმები, ყველანი სამხედრო ვალდებულები ვართ. შევთავაზებ დახმარება. გვარი არ მახსოვს, მაგრამ მაიორი იყო და მიპასუხა: „ჩვენ ახალგაზრდები გვჭირდება“, ვცდილობდი დამერწმუნებინა: „ახალგაზრდა ექიმები, ჯერ ერთი, არ არიან მზად, მეორეც — ისინი დიდი საფრთხის წინაშე დადგებიან, ახალგაზრდა ორგანიზმი უფრო მგრძობიარეა რადიაციის მიმართ“. პასუხი: „გვაქვს ბრძანება, ავიყვანოთ მხოლოდ ახალგაზრდები!“

მახსოვს... ავადმყოფებს ცუდად უხორცდებოდათ ჭრილობები. კიდევ... ის პირველი რადიოაქტიური წვიმა, რომლის შემდეგაც გუბები გაყვითლდა. მზებზე ყვითლად ელავდა. ეს ფერი დღემდე მაშინებს. ერთი მხრივ — ჩვენი ცნობიერი მზად არ იყო რაიმე ამის მსგავსისთვისაც კი და მეორე მხრივ — ჩვენ ხომ ყველაზე უკეთესები, ყველაზე არაჩვეულებრივები ვართ, ყველაზე დიადი ქვეყანა. ჩემი ქმარი, უმაღლესი განათლების მქონე, ინჟინერი, სერიოზულად მიმტკიცებდა, რომ ეს ტერორისტული აქტი იყო. მტრების დივერსია. ჩვენ ასე ვფიქრობდით... ჩვენ ასე ვიყავით აღზრდილები... მაგრამ იმასაც ვიხსენებდი, როგორ მომიყვა ერთი მშენებელი სმოლენსკის ატომური სადგურის მშენებლობის შესახებ: რამდენი ცემენტი, ფიცრები, ლურსმნები, ქვიშა გადიოდა ობიექტიდან მეზობელ სოფლებში — ფულზე და ბოთლ არაყზე...

სოფლებში... ქარხნებში... პარტიის რაიკომის თანამშრომლები გამოდიოდნენ, დადიოდნენ, ხალხს ელაპარაკებოდნენ. მაგრამ არც ერთი მათგანს არ შეეძლო პასუხი გაეცა კითხვებზე — რა არის დეზაქტივაცია, როგორ დავიცვათ ბავშვები, როგორია რადიონუკლიდების გადასვლის კოეფიციენტი საკვებ ჯაჭვში? არ შეეძლოთ ელაპარაკათ ალფა-ბეტა-გამა ნაწილაკებზე, რადიობიოლოგიაზე, იონიზირებულ გამოსხივებაზე, საუბარი არ მაქვს იზოტოპებზე. მათთვის ეს ყველაფერი სხვა სამყაროდან იყო. ისინი კითხულობდნენ

ლექციებს საბჭოთა ადამიანების გმრობების შესახებ, სამხედრო სიმამაცის სიმბოლოებზე, დასავლური სპეცსამსახურების ვერაგობაზე...

პარტიის კრებაზე სიტყვა მოვითხოვე: სად არიან პროფესიონალები? ფიზიკოსები? რადიოლოგები? დამემუქრნენ, პარტიულეთს დაგატოვებინებთო...“

„ბევრის სიკვდილი იყო აუხსნელი... მოულოდნელი...“

ჩემს დას გული აწუხებდა... როცა ჩერნობილის შესახებ გაიგო, იგრძნო: „თქვენ ამას გადაიტანთ, მე კი – ვერა“. რამდენიმე თვეში გარდაიცვალა... ექიმებმა ვერაფერი ვერ ახსნეს. მისი დიაგნოზით კიდევ დიდხანს შეიძლებოდა ცხოვრება.

ჰყვებიან... მოხუცებს მკერდში რძე გაუჩნდათ, როგორც ახალგაზრდებს. ამ მოვლენის სამედიცინო სახელი რელაქსაციაა. გლეხებისთვის კი – ღვთის სასჯელი... ეს დაემართა ერთ ბებოს, რომელიც მარტო ცხოვრობდა. ქმრისა და შვილების გარეშე. სალოსობდა. დადიოდა სოფელში და რაღაცას არწევდა ხელში, შეშის ნაჭერს ან ბავშვების ბურთს ახვევდა თავსაფარში... ნა-ნა... ნანი-ნანააა“.

„მეშინია ამ მიწაზე ცხოვრება...“

დოზიმეტრი მომცეს, მაგრამ აბა, რად მინდა? თეთრეულს გავრეცხავ, გაქათქათდება – დოზიმეტრი ელავს... გავამზადებ საჭმელს, გამოვაცხობ ღვებელს – ელავს. ლოგინს გავშლი – ელავს. რად მინდა? ბავშვებს ვაჭმევ და ვტირი. „რატომ ტირი, დედიკო?“

ორი ბავშვი მყავს, ბიჭები. სულ საავადმყოფოში ვარ მათთან ერთად, ექიმებში. უფროსი, ბიჭია თუ გოგო, ვერ მიხვდებით, მელოტია. პროფესორებთანაც დამყავს და ექიმბაშებთანაც, შემლოცველებთანაც, მკითხავეებთანაც. კლასში ყველაზე პატარაა. არ შეიძლება მისთვის არც სირბილი, არც თამაში. უცებ ვინმემ უნებურად რომ დაარტყას, შეიძლება, მოკვდეს. სისხლის რაღაც

დაავადება სჭირს, სახელს ვერც გამოვთქვამ. ვწევარ მასთან ერთად საავადმყოფოში და ვფიქრობ — „მოკვდება“. მერე მივხვდი, არ შეიძლება ასე ფიქრი, თორემ სიკვდილი გაიგონებს. ტუალეტში ვტიროდი. დედები პალატებში არ ტირიან, მარტო ტუალეტში ან აბაზანაში. მხიარული დავბრუნდი.

— ლოყები მოგივარდისფრდა. გამოჯანმრთელდები.

— დედიკო, წამიყვანე აქედან. აქ მოვკვდები. აქ ყველა კვდება.

სად ვიტირო? ტუალეტში? იქ რიგია... იქ სულ ისეთები დგანან, როგორც მე ვარ...“

„რადუნიცაზე... მოხსენიების დღეს...“

სასაფლაოზე გვიშვებენ. საფლავებზე... ჩვენს ეზოებში შესვლა არ შეიძლება, მილიცია არ გვიშვებს. შვეულმფრენებით დაგვფრენენ თავზე. შორიდან მაინც შევავლებდით თვალს ჩვენს ქოხებს... პირჯვარს გადავწერდით...

მშობლიური ადგილიდან იასამნის ტოტი მომაქვს და მერე მთელი წელი მიდგას“.

„მოგიყვებით, როგორია ჩვენი, საბჭოთა ადამიანი...“

„ჭუჭყიან“ რაიონებში... პირველ წლებში მაღაზიები წიწიბურათი, ჩინური ხორცის კონსერვებით გაავსეს. ხალხს უხაროდა, ტრაბახობდნენ, ჩვენ აქედან რაღა გავგიყვანს, აქ კარგად ვართო. მიწა არათანაბრად ზიანდება, ერთსა და იმავე კოლმეურნეობაში იყო სუფთა და ჭუჭყიანი მიწებიც. მათ, ვინც ჭუჭყიან მიწებზე მუშაობს, მეტს უხდიდნენ და ყველას იქ უნდოდა. „სუფთა“ მიწაზე სამუშაოდ წასვლაზე უარზე იყვნენ...“

ამასწინათ ძმა მესტუმრა შორეული აღმოსავლეთიდან. მითხრა, „თქვენ ერთგვარი „შავი ყუთები“ ხართ... ადამიანი „შავი ყუთები“... „შავი ყუთები“ ყველა თვითმფრინავში აქვთ, ისინი ფრენის შესახებ მთელ ინფორმაციას იწერენ. როცა ავარია ხდება, „შავ ყუთს“ ეძებენ...“

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვცხოვრობთ, ისე, როგორც ყველა... დავდივართ, ვმუშაობთ, გვიყვარდება... არა! ჩვენ ინფორმაციას ვიწერთ მომავლისთვის...”

„ბავშვების ექიმი ვარ...”

ბავშვებთან ყველაფერი სხვანაირადაა, ისე არა, როგორც უფროსებთან. მათ, მაგალითად, არ ჰგონიათ, რომ კიბო — სიკვდილია. ეს განცდა არ უჩნდებათ. ყველაფერი იციან: დიაგნოზი, პროცედურების სახელები, წამლები. უფრო მეტი იციან, ვიდრე დედებმა. მათი თამაში? პალატებში დასდევენ ერთმანეთს და ყვირიან: „რადიაცია ვარ! რადიაცია ვარ!“ მეჩვენება, როცა კვდებიან, ყველას ძალიან გაკვირვებული სახეები აქვს... გაოცებული...

ასეთი გაოცებული სახეებით წვანან...”

„ექიმებმა გამაფრთხილეს, რომ ჩემი ქმარი კვდება... სისხლის კიბო აქვს...”

ავად გახდა, როგორც კი ჩერნობილის ზონიდან დაბრუნდა — ორითვის შემდეგ. ქარხნიდან წაიყვანეს. ღამის მორიგეობიდან დაბრუნდა:

— დილას მივდივარ...

— რა უნდა გააკეთო იქ?

— კოლმეურნეობაში უნდა ვიმუშაო.

თხუთმეტ კილომეტრიან ზონაში თივას აგროვებდნენ. ჭარხალს იღებდნენ. კარტოფილს თხრიდნენ.

დაბრუნდა. მის მშობლებთან წავედიო. მამამისს ღუმლის გაკეთებაში ეხმარებოდა. იქ წაიქცა. გამოვიძახეთ სასწრაფო, საავადმყოფოში წაგვიყვანეს — ლეიკოციტების სასიკვდილო რაოდენობა ჰქონდა. მოსკოვში გამოგვიშვეს.

იქიდან დაბრუნდა ერთი აზრით: „მოგკვდები“. აღარ ლაპარაკობდა. ვუმტკიცებ, ვეხვეწები, ჩემი სიტყვების არ სჯერა. რომ დაეჯერებინა, გოგონაც გაუწინე, სიზმრების ახსნას არ ვცდილობ...

ხან ეშაფოტზე გავყავარ, ხან სულ თეთრებში ვარ... დილას გავიღვიძებ, შევხედავ: როგორ უნდა დავრჩე მარტო? გოგონა მაინც გაიზარდოს ცოტათი, რომ მამა დაიმახსოვროს... პატარაა, ახლახან აიდგა ფეხი. გარბის „მა-მა-ა...“ თავიდან ვიშორებ ამ ფიქრებს...

ეს რომ მცოდნოდა... ყველა კარს ჩავკეტავდი, ზღურბლზე დავდებოდი. ცხრაკლიტულში გამოვკეტავდი...”

„უკვე ორი წელია, ჩემს ბიჭთან ერთად საავადმყოფოში ვცხოვრობ...”

საავადმყოფოს პალატებში პატარა გოგონები თოჯინობანას თამაშობენ. მათი თოჯინები თვალებს ხუჭავენ... ასე თოჯინები კვდებიან...

— რატომ კვდებიან თოჯინები?

— იმიტომ, რომ ეს ჩვენი შვილებია. ჩვენი შვილები კი ვერ იცოცხლებენ. დაიბადებიან და ეგრევე მოკვდებიან.

ჩემი არტიომკა შვიდი წლისაა, გარეგნულად ხუთისას ჰგავს.

დახუჭავს თვალებს, ვფიქრობ, რომ დაიძინა. ვტირი. მგონია, ვერ მხედავს.

ის კი — მეკითხება:

— დედა, უკვე ვკვდები?

დაიძინებს და თითქმის არ სუნთქავს. მის წინაშე მუხლებზე ვდგავარ. საწოლის წინ.

— არტიომკა, გაახილე თვალი... რაიმე მითხარი...

„შენ ისევ თბილი ხარ“ — ჩემს თავზე ვფიქრობ.

გაახელს თვალს. მერე ისევ დაიძინებს. ისე ჩუმად, თითქოს მოკვდა.

— არტიომკა, გაახილე თვალი...

არ ვაძლევ უფლებას, მოკვდეს...”

„ცოტა ხნის წინ ახალი წელი ვიბეიმეთ... კარგი სუფრა გავშალეთ. ყველაფერი ჩვენი გვექონდა: ძეხვეული, სალა, ხორცი, კიტრის წნილი, მარტო პური იყო ნაყიდი. არაფიც კი ჩვენი, შინნახადი

გვექონდა. ჩვენი, როგორც აქ ვიცინით, ჩერნობილური — ცეზიუმისა და სტრონციუმის არომატით. სად რას ვიყიდით? სოფლის მაღაზიებში ცარიელი დახლებია, რაიმე თუ გაჩნდა, ჩვენი ხელფასებით და პენსიით მაინც ვერ ვწვდებით.

სტუმრებიც გვყავდა — ჩვენი კარგი მეგობლები, ახალგაზრდები. ერთი მასწავლებელია, მეორე — კოლმეურნეობის მექანიკოსი, ცოლი ახლდა. დავლიეთ. საჭმელი მივაყოლეთ. სიმღერა დავიწყეთ. წინასწარ არ დაგვიგეგმავს, მაგრამ რევოლუციურ სიმღერებს ვმღეროდით. ომზე ვმღეროდით. ჩემი საყვარელი „დილა ნაზი შუქით ამკობს კრემლის ბებერ კედლებს“ კარგი საღამო გამოგვივიდა, ისეთი, როგორიც ადრე.

ეს ყველაფერი შვილს მივწერე. ქალაქში ცხოვრობს. სტუდენტია. პასუხიც მივიღე: „დედა, წარმოვიდგინე ეს სურათი — ჩერნობილის მიწა, ჩვენი ქოხი... საახალწლო ნაძვის ხე ანათებს... სუფრასთან კი რევოლუციურ და საომარ სიმღერებს მღერიან, თითქოს არც გულაგი ყოფილა და არც — ჩერნობილი“...

საკუთარი თავზე კი არა, შვილის გამო შევშინდი. აქ ვერსად დაბრუნდება“...

თავი მესამე

ალტაცება სევდით

მონოლოგი იმის გამო, რაც არ ვიცოდით —
თურმე სიკვდილი შეიძლება ლამაზი იყოს

„პირველ დღეებში მთავარი კითხვა ასეთი იყო: ვინ არის დამნაშავე? დამნაშავე გვეჭირდებოდა...“

მერე, ცოტა უფრო მეტი რომ გავიგეთ, დავფიქრდით, რა გავაკეთოთ? როგორ გადავრჩეთ? ახლა კი, როცა უკვე შევეგუეთ

აზრს, რომ ეს ერთი ან ორი წლის ამბავი არ არის, და რამდენიმე თაობას გაჰყვება, ფიქრებში უკან ვბრუნდებით, მოგონებებს ვფურცლავთ...

პარასკევ ღამით მოხდა, შაბათი რომ თენდებოდა, მაშინ. დილას არავის არაფერი უეჭვია... შვილი სკოლაში გავუშვი, ქმარი საპარაკ-მახეროში წავიდა. სადილს ვამზადებდი. ქმარი მალევე დაბრუნდა: „სადგურზე რაღაც ხანძარია. გვიბრძანეს, რადიო არ გამოვართოთ“. დამავიწყდა მეთქვა, რომ პრიპიატიში ვცხოვრობდით, რეაქტორთან ახლოს. ახლაც თვალწინ მიდგას ჟოლოსფერი, ღია ნათება, რეაქტორი თითქოს შიგნიდან ელვარებდა. წარმოუდგენელი ფერი იყო. ჩვეულებრივი ხანძარით ვი არა, რაღაც სხვანაირად იწვოდა. ლამაზად. სხვა ყველაფერი რომ დავივიწყო, ხანძარი ნამდვილად ლამაზი იყო. ამის მსგავსი კინოში არაფერი მენახა. ვერაფერს შევადარებ. საღამოს ხალხი აივნებს მიაწყდა, ვისაც აივანი არ ჰქონდა, მეგობრებთან, ნაცნობებთან წავიდა. მეცხრე სართულზე ვცხოვრობდით და ძალიან კარგად ჩანდა. პირდაპირ რომ იარო, სამი კილომეტრია. ბავშვები აივნებზე გამოჰყავდათ, მაღლა წევდნენ, „შეხედეთ! დაიმახსოვრეთ!“ ამას ისინიც აკეთებდნენ, ვინც რეაქტორზე მუშაობდა, ინჟინრებიც, მუშებიც... იდგნენ შავ მტვერში, საუბრობდნენ, სუნთქავდნენ, მოსწონდათ... ვიღაცები სანახავად ათეულობით კილომეტრიდან მოდიოდნენ მანქანებით, ველოსიპედებით. რა ვიცოდით, თუ სიკვდილი შეიძლებოდა ასეთი ლამაზი ყოფილიყო! მგონი, სუნი არ ჰქონდა. არც გაზაფხულის, არც შემოდგომის სუნი, რაღაც სულ სხვა იყო, არც მიწისა... არა... ყელში გვიღუტუნებდა, ცრემლები თავისთავად მოგვდიოდა. ღამით არ მიძინია და მესმოდა, ჩემ ზემოთ მეზობლებიც როგორ დადიოდნენ მთელი ღამე, ისინიც ფხიზლობდნენ. რაღაცებს მიათრევდნენ, აკაკუნებდნენ, შეიძლება ნივთებს ალაგებდნენ. ფანჯრებს ქოლავდნენ. თავის ტკივილს ციტრამონით ვიყუჩებდი. დილას, რომ გათენდა და მიმოვიხედე, ამას ახლა ვი არ მივხვდი, ან შემდეგ, მაშინვე ვიგრძენი, რომ რაღაც

ვერ იყო ისე, რაღაც შეიცვალა, სამუდამოდ შეიცვალა. დილის რვა საათზე ქუჩებში უკვე აირწინალებიანი სამხედროები დადიოდნენ. როცა ქალაქში ჯარისკაცები და სამხედრო მანქანები დავინახეთ, არ შევშინებულვართ, პირიქით, დავმშვიდდით. რაკი არმია მოვიდა დასახმარებლად, ესე იგი, ყველაფერი კარგად არის. ჩვენ წარმოდგენა არ გვქონდა, რომ მშვიდობიანი ატომიც კლავს, რომ შეიძლებოდა მთელ ქალაქს აღარ გაედვიძა იმ დამეს. ფანჯრებს ქვემოთ ვიღაც იცინოდა, მუსიკის ხმა ისმოდა.

სადილის შემდეგ რადიოში გამოაცხადეს, რომ ევაკუაციისთვის უნდა გავმზადებულიყავით — სამი დღით წაგვიყვანენ, გარეცხავენ, შეამოწმებენო. ახლაც ყურში მიდგას დიქტორის ხმა: „ევაკუაცია მახლობელ სოფლებში“, „შინაური ცხოველები არ წამოიყვანოთ“, „სადარბაზოებთან შეიკრიბეთ“. ბავშვებს უთხრეს, რომ აუცილებლად წამოედოთ სახელმძღვანელოები. ჩემმა ქმარმა ყოველი შემთხვევისთვის მაინც ჩაალაგა საბუთები და ჩვენი საქორწილო ფოტოები. მე კი ერთადერთი, თხელი შარფი წავიღე, ამინდი რომ გაფუჭებულიყო...

პირველივე დღეს ვიგრძენით, რომ ჩვენ, ჩერნობილელები, უკვე გარიყულები ვიყავით. ჩვენი ეშინოდათ. ავტობუსი, რომელითაც მივდიოდით, ღამით რომელიღაც სოფელში გაჩერდა. ადამიანებს იატაკზე ეძინათ სოფლის კლუბებსა და სკოლებში. ერთმა ქალმა შინ მიგვიწვია: „წამოდით, საწოლებში ჩაგაწვენთ. მეცოდება თქვენი ბიჭუნა“. მეორემ, რომელიც მასთან იდგა, გვერდით გაიყვანა: „გაგიჟდი? ეგენი გადამდებები არიან“. მოგილევში რომ გადავსახლდით, ბავშვი სკოლაში წავიდა და პირველივე დღეს სახლში ტირილით შემოვარდა... მერხზე ერთ გოგოსთან ერთად დასვეს, რომელსაც მის გვერდით ჯდომა არ უნდოდა, რადიაციულია და თუკი მასთან დავჯდები, შეიძლება მოვკვდეო. ბავშვი მეოთხე კლასში სწავლობდა, მთელ კლასში ერთადერთი ჩერნობილელი იყო. მისი ყველას ეშინოდა, „მანათლო-

ბელს“ და „ჩერნობილელ ზღარბს“ ეძახდნენ... შევშინდი, ჩემი შვილის ბავშვობა ასე მალე რომ დამთავრდა...

პრიპიატიდან მოვდიოდით, საპირისპირო მხრიდან კი სამხედრო კოლონები გვხვდებოდა, ჯავშანტექნიკაც. მაშინ კი შევშინდით. ვერაფერი გავიგეთ და ამან შეგვაშინა. არ მტოვებდა განცდა, რომ ეს ყველაფერი ჩემს თავს კი არა, ვიღაც სხვა ადამიანის თავს ხდებოდა. უცნაური განცდა იყო. ვტიროდი, ვეძებდი საჭმელს, ღამის გასათევს, ვეხვეოდი და ვამშვიდებდი შვილს. შინაგანად კი ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მხოლოდ შორიდან ვუყურებდი ყველაფერს. ფანჯრის მიღმა ვიხედებოდი... და ვიღაც სხვას ვხედავდი... პირველად კიევში მოგვცეს ფული, მაგრამ უკვე არაფრის ყიდვა არ შეიძლებოდა: ასობით ათასი ადამიანი აიყარა ადგილებიდან, ყველაფერი გაყიდული, შეჭმული იყო. ბევრს ინფარქტი, ინსულტი პირდაპირ სადგურებზე და ავტობუსებში ემართებოდა. დედაჩემმა გადამარჩინა. ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში ის არაერთხელ დარჩენილა სახლის გარეშე, დაუკარგავს ქონება. პირველად ოცდაათიანი წლების რეპრესიებში(30-იანი წლების რეპრესიები — 1928-1932 წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ ძალადობრივი კოლექტივიზაციის პროცესის პარალელურად რეპრესიები გაატარა „კულაკების, როგორც კლასის გასანადგურებლად“. გლეხებს ქონებას ართმევდნენ, ვინც არ ემორჩილებოდა, იჭერდნენ, ასახლებდნენ ან ხვრეტდნენ.

) მოყვა, ყველაფერი წაართვეს — ძროხა, ცხენი, ქოხი. მეორეჯერ — ხანძარი... მაშინ მხოლოდ ჩემი გამოყვანა შეძლო ცეცხლიდან. „უნდა გავუძლოთ“, — მამშვიდებდა, — „ჩვენ ხომ ცოცხლები ვართ“.

გამახსენდა... ავტობუსში ვსხედვართ. ვტირით. ამ დროს კი მამაკაცი წინა ადგილებიდან ხმამაღლა უყვირის ცოლს: „რა სულელი ხარ! ყველამ რაღაც ნივთი წამოიღო, ჩვენ კი სამლიტრიანი ქილებით დავიტვირთეთ!“ ცოლს უფიქრია, ბარემ ავტობუსით მივდივართ და გზად დედაჩემს მწინელებისთვის ქილებს მივაწვდიო. წინ ეწყობ

უზარმაზარი ბადურები და მთელი გზა იმ ქილებს ვეჯახებოდი. ასე, ამ ქილებიანად ჩავიდნენ კიევში.

...ეკლესიის გუნდში ვმდერი. სახარებას ვკითხულობ. ეკლესიაში დავდივარ, იმიტომ, რომ მხოლოდ იქ ლაპარაკობენ სამუდამო ცხოვრების შესახებ. ნუგეშს სცემენ ადამიანს. სხვაგან ასეთ სიტყვებს ვერსად გაიგონებ, არადა, ნუგეში გჭირდება. ევაკუაციაში რომ მივდიოდით და გზად ეკლესია გვხვდებოდა, ყველა ცდილობდა, შესულიყო, შეუძლებელი გახდა შეგეღწია. ათეისტები და კომუნისტები, ყველანი შედიოდნენ.

სწირად მესიზმრება, რომ ჩემს ბიჭთან ერთად მზით განათებულ პრიპიატიში მივაბიჯებ. ახლა — ეს უკვე ქალაქი-მოჩვენებაა. მივდივართ და ვარდებს ვათვალიერებთ, პრიპიატიში ბევრი ვარდი იყო, მთელი ბუჩქნარები. სიზმარი... მთელი ჩვენი ცხოვრება ახლა სიზმარია. მაშინ ისეთი ახალგაზრდა ვიყავი, ჩემი ბიჭი ძალიან პატარა... მიყვარდა...

დრო გავიდა, ყველაფერი მოგონებად იქცა. მე ახლაც... თითქოს მაყურებელი ვარ...“

ნადეჟდა პეტროვნა ვოგოვსკაია

ქალაქ პრიპიატიდან გადმოსახლებული

მონოლოგი იმაზე, თუ რა იოლია, მიწად იქცე

„დღიურს ვწერდი...“

ვცდილობდი, ის დღეები დამემახსოვრებინა... ბევრი ახალი განცდა გვქონდა. ცხადია, შიშიც... რალაც წარმოუდგენელში აღმოვჩნდით, თითქოს მარსზე... წარმოშობით კურსკიდან ვარ, სამოცდაცხრა წელში ჩვენ ახლოსაც, ქალაქ კურჩატოვშიც ააშენეს ატომური სადგური. პროდუქტებისთვის კურსკიდან იქ დავდი-

ოდით. მაგალითად, ძეხვის საყიდლად. იქ უმაღლესი კატეგორიის მომარაგება ჰქონდათ. დიდი ტბაც დამამახსოვრდა, სადაც თევზს ვიჭერდით, რეაქტორის ახლოს... ჩერნობილის შემდეგ ხშირად ვიხსენებდი... ახლა ამგვარი რამ შეუძლებელია.

მოკლედ, ასე იყო: უწყება გადმომცეს და როგორც დისციპლინირებულ მოქალაქეს შეეფერება, მეორე დღესვე გამოვცხადდი სამხედრო კომისარიატში. კომისარი ჩემს „საქმეს“ ფურცლავს და მეუბნება: „შეკრებაზე არც ერთხელ არ ყოფილხარ. იქ კი ქიმიკოსები გვჭირდება. არ გინდა მინსკთან, ბანაკში წახვიდე ოცდახუთი დღით? ვიფიქრე: „რატომაც არა, დავისვენებ სამსახურისგან და ოჯახისგან, სუფთა ჰაერზე ვივარჯიშებ“. ათას ცხრაას ოთხმოცდაექვსი წლის ოცდაორ ივნისს, თერთმეტ საათზე ბარგით, კარდალით და კბილის ჯაგრისით გამოვცხადდი შეკრების ადგილას. გამაკვირვა იმან, რომ მშვიდობიანი დროისთვის ძალიან ბევრნი ვიყავით. საომარ თემამზე გადაღებული ფილმებიდანაც გამახსენდა რაღაც სცენები... დღეც როგორი დაემთხვა — ოცდაორი ივნისი. ომის პირველი დღე... ხან გვიბრძანებდნენ, მოეწყვეთო, ხან — თავისუფლადო, საღამომდე ასე ვიყავით. ავტობუსებში მაშინ ავედით, როცა შეღამება დაიწყო. გვიბრძანეს: „ვისაც სპირტიანი სასმელი გაქვთ, დალიეთ. ღამით მატარებელში ჩავსხდებით, დილას სამხედრო ნაწილში ვიქნებით. დილას მხნედ უნდა იყოთ, კიტრებივით და არავითარი ზედმეტი ბარგი!“ ცხადია, მთელი ღამე ვსვამდით.

დილით ჩვენი ნაწილი ტყეში ვიპოვეთ. ისევ მოგვაწყვეს და ანბანის მიხედვით გვიძახებდნენ. სპეცტანსაცმელს გვაძლევდნენ. ერთი კომპლექტი მოგვცეს, მეორე, მესამე... ვიფიქრე, საქმე სერიოზულადაა-მეთქი. მოგვცეს შინელიც, ქუდიც, ბალიშიც, მატრასიც, — ყველაფერი ზამთრის სეზონისა. არადა, გარეთ — ზაფხული იყო და დავვიპირდნენ, ოცდახუთ დღეში გაგიშვებთო. „აბა, რას ამბობთ, ბიჭებო, — გაეცინა კაპიტანს, რომელმაც ჩამოგვიყვანა, რა ოცდახუთი დღე? ექვსი თვე ჩერნობილში იბრაგუნებთ!“ გაოცება... აგრესია...

დაიწყეს მოლაპარაკებები: ვინც ოც კილომეტრში მოხვდება, ორმაგ ხელფასს მიიღებს, ვინც ათ კილომეტრში — სამმაგს, ვინც რეაქტორთან — ექვსმაგს. ერთმა ანგარიში დაიწყო — ექვს თვეში აქედან სახლში საკუთარი მანქანით წავალ, მეორეს გაქცევა უნდოდა, მაგრამ სამხედრო დისციპლინას სად გაექცეოდა. რადიაცია რა იყო, არავის გაეგო. მე კი აქ ჩამოსვლამდე სამოქალაქო თავდაცვის კურსი გავიარე, სადაც ოცდაათი წლის წინანდელ ინფორმაციას გვაწვდიდნენ: ორმოცდაათი რენტგენი — სასიკვდილო დოზააო. გვასწავლიდნენ, როგორ უნდა დაეცე, რომ დარტყმის ტალღამ გადაგიაროს და არ წაგაქციოს. გამოსხივება... სითბური ცხელება... და არც ერთი სიტყვა იმაზე, რომ გარემოს რადიაქტიური დაბინძურება ყველაზე მძიმედ აზიანებს ჯანმრთელობას. იმ კადრის ოფიცრებმაც, რომელთაც ჩერნობილში მიყვავდით, ბევრი არაფერი იცოდნენ, გარდა ერთისა — საჭიროა ბევრი არაყი, რადგან რადიაციისგან იცავს. ექვსი დღე ვიდექით მინსკთან და ექვსი დღე გადაბმულად ვსვამდით. სპირტიანი სასმელების ეტიკეტებს ვაგროვებდი. თავიდან არაყს ვსვამდით, მერე რაღაც უცნაური სასმელები წამოვიდა: ნიტხინოლი და სხვა ნაირ-ნაირი შუშის საწმენდები. როგორც ქიმიკოსს, მაინტერესებდა. ნიტხინოლის შემდეგ ფეხები ბამბასავითაა, თავი კი — ფხიზელია. მისცემ საკუთარ თავს ბრძანებას „ადექ!“ და ეგრევე ეცემა.

მოკლედ, ასეა: ინჟინერ-ქიმიკოსი ვარ, მეცნიერებათა კანდიდატი, დიდი სამეწარმეო გაერთიანების ლაბორატორიის ხელმძღვანელის პოსტიდან წამომიყვანეს. როგორ უნდა გამოვეყენებინე? ხელში ნიჩაბი მომცეს და ჩემი ერთადერთი ინსტრუმენტიც ეს იყო. იქვე გაჩნდა აფორიზმიც: „ნიჩბით — ატომზე“. მოგვცეს დამცავი საშუალებებიც: რესპირატორები, აირწინაღები, მაგრამ ვერავინ ვერ ხმარობდა, — ოცდაათგრადაუსიანი სიცხე იყო, ჩამოიცმევდი და ეგრევე კვდებოდი. ხელი მოვაწერეთ, რომ

მივიღეთ როგორც დამატებითი აღჭურვილობა და იქვე დავივიწყეთ. ეს კიდევ ერთი შტრიხია. როგორ მივდიოდით? ავტობუსებიდან მატარებელში გადმოგვსვეს. მატარებლის ვაგონში ორმოცდახუთი ადგილი იყო, ჩვენ სამოცდაათნი ვიყავით. მორიგეობით გვეძინა. ეს ახლა გამახსენდა... რა არის ჩერნობილი? სამხედრო ტექნიკა და ჯარიკაცები; სარეცხი პოსტები; სამხედრო მდგომარეობა. კარვებში გაგვანაწილეს, ათ-ათი კაცი. ვილაცას შინ ბავშვები დარჩა, ვილაცის ცოლი ბავშვს აჩენდა, ვილაცას სახლი არ ჰქონდა. არავინ წუწუნებდა. თუ საჭიროა, ესე იგი – საჭიროა. სამშობლომ დაგვიძახა, სამშობლომ გვიბრძანა. ასეთია ჩვენი ხალხი...

კარვების ირგვლივ კონსერვის ცარიელი ქილების მთებია. მონბლანები! როგორც ჩანს, სადღაც სამხედრო საწყობებში ინახავდნენ, როგორც ხელუხლებელ მარაგს. ეტიკეტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ოცი-ოცდაათი წლის წინანდელია. ქილები ხორცის კონსერვებით, ხამსით, ქერის ფაფით... კატების ჯარი, რომლებიც ბუზებივით არიან... სოფლები გამოასახლეს, ადამიანები აღარ არიან... ქარისგან ტიშკარი გაიჯახუნებს, უცებ ბრუნდები: ადამიანს ელი. ადამიანის ნაცვლად კი კატა გამოდის.

მიწის ზედა, დაბინძურებულ ფენას ვიღებდით, მანქანებზე ვტვირთავდით და სამარხებთან გაგვქონდა. მეგონა, სამარხი რაიმე რთული საინჟინრო ნაგებობა იქნება-მეთქი, ეს კი ჩვეულებრივი ყორღანი აღმოჩნდა. მიწას ვწევდით დაუზარმაზარ რულონებად ვახვევდით, როგორც ხალიჩას. მწვანე კორდებს ბალახიანად, ყვავილებიანად, ფესვებიანად... ობობებით და ჭია-ღუებით... გიჟებისთვისაა ეს სამუშაო. როგორ შეიძლება მიწის მთლიანად მოხსნა, ყველა სულიერით?! ყოველ ღამე მაგრად რომ არ გვესვა, ამას ვერ ავიტანდით. ფსიქიკა დაგვენგრეოდა. ასობით მეტრი მოჭრილი მიწა, უკვე უნაყოფო... სახლები, ფარდულები, შარაგბები, ჭები, – შიმვლები რჩებოდა – ქვიშასთან და ქვიშაში. დილას უნდა გაიპარსო და სარკეში ჩახედვისა გეშინია, არ გინდა საკუთარი სახე დაინახო.

ყველანაირი აზრი გიჩნდებოდა, ყველანაირი აზრი... ძნელი წარმოსადგენია, რომ იქ ოდესმე ადამიანები ისევ დაბრუნდნენ, ისევ დაიწყოს ცხოვრება. მაგრამ მაინც — ჩვენ ვცვლიდით შიფერს, ვრეცხავდით სახურავებს. იმას, რომ უაზრო იყო ჩვენი შრომა, ყველანი ვხვდებოდით — ათასობით ადამიანი. მაგრამ ყოველ დილას ვდგებოდით და ისევ ვაკეთებდით. აბსურდი! წერა-კითხვის უცოდინარი ბაბუა შეგვხვდა: „დაანებეთ, შვილო, თავი ამ სულელურ შრომას, მოდით მაგიდასთან, ისადილეთ ჩვენთან ერთად!“ ქარი ქრის. ღრუბლები აიშალა. რეაქტორი ღიაა. ავიღეთ ერთი ფენა, მეორე კვირაში თავიდანაა ასაღები. მაგრამ ასაღებიც რომ არ დარჩა? ქვიშაღა ყრია. ერთადერთხელ მოიქცნენ აზრიანად, როცა შვეულმფრენებიდან გადმოასხეს სპეციალური ხსნარი, რომელიც პოლიემერულ აპკად იქცეოდა და მცოცავ გრუნტს აღარ აძლევდა მოძრაობის საშუალებას. ეს გასაგები იყო. მაგრამ ჩვენ ვთხრიდით, ვთხრიდით...

ადამიანები გაიხიზნენ, მაგრამ რამდენიმე სოფელში მოხუცები დარჩნენ. შეხვიდე ჩვეულებრივ ქოხში, დაჯდე და ისადილო... ეს ხომ რიტუალია... ადამიანური ცხოვრების ნახევარი საათი! თუმცა, იქ ჭამა არ შეიძლება, აკრძალულია. მაგრამ ისე გვინდოდა, მაგიდასთან ვმსხდარიყავით... ძველ ქოხში...

ჩვენ შემდეგ მხოლოდ ყორღანები რჩებოდა. მერე მათზე ბეტონის ფილები უნდა დაეწყოთ და მავთულხლართით შემოეღობათ. იქ თვითმცლელები, ორხიდიანი მანქანები, ამწეები დარჩა, რომლებითაც მუშაობდნენ, რადგან მეტალს აქვს თვისება, რადიაცია შეკრიბოს და გადაყლაპოს. მერე კი ეს ყველაფერი სადღაც გაქრა. თურმე, მოიპარეს. მჯერა, იმიტომ, რომ ჩვენთან ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ერთხელ განგაში ატყდა: დოზიმეტრისტებმა შეამოწმეს და აღმოჩნდა, რომ იმ ადგილას, სადაც სასადილო გვქონდა, რადიაცია უფრო მაღალი იყო, ვიდრე იქ, სადაც სამუშაოდ დავდიოდით. ჩვენ კი ორი თვე ვცხოვრობდით.

ასეთია ჩვენი ხალხი. მკერდის ზომამზე დაფადაჭედებული ბოძები იდგა — ამას ერქვა სასადილო. ფეხზე მდგომები ვჭამდით. კასრიდან ვიბანდით. ტუალეტი — თხრილი სუფთა მინდორში, ხელში — ნიჩაბი, გვერდით კი — რეაქტორი.

ორი თვის შემდეგ ნელ-ნელა რაღაცას მივხვდით. მივედით და ვთქვით: „თვითმკვლელები ხომ არ ვართ. ორი თვე ვიყავით, საკმარისია. დროა, გამოგვცვალოთ“. გენერალ-მაიორი ანტოშკინი გაგვესაუბრა: „ჩვენთვის მომგებიანი არ არის თქვენი შეცვლა. მოგეცით ერთი კომპლექტი ტანსაცმელი, მეორეც, მესამეც. ჩვევები გამოიმუშავეთ. თქვენი გამოცვლა ძვირი და სახლათფორთო საქმეა“. თან იმას აწვებოდა, გმირები ხართო. კვირაში ერთხელ, ვინც კარგად თხრიდა, ქების სიგელს აძლევდნენ — „საბჭოთა კავშირის საუკეთესო მესაფლავე“. სიგიჟე არაა?

ცარიელი სოფლები... ქათმები და კატები ცხოვრობენ. ფარდულში შეხვალ და კვერცხითაა სავსე. ვწვავდით. ჯარისკაცები — უშიშარი ბიჭები, ქათამს იჭერენ, კოცონს ანთებენ, შინნახადის ბოთლსაც დგამენ. კარავში ყოველ დღე სამლიტრიან ქილა შინნახადს ვსვამდით. ვიღაც ჭადრაკს თამაშობდა, ვიღაც გიტარას აჟღარუნებდა. ადამიანი ყველაფერს ეჩვევა. ვიღაც დაღევდა, ეძინებოდა, ვიღაცას — ყვირილი უნდოდა. ვჩხუბობდით. ერთხელ ორნი, მთვრალეები დასხდნენ საჭესთან. დაიმტვრნენ. მანქანა დაჭრეს და ისე ამოიყვანეს გაბრტყელებული რკინიდან. მე ის მშველოდა, რომ სახლში გრძელ წერილებს ვწერდი და დღიურსაც ვაწარმოებდი. პოლიტგანყოფილების უფროსმა გაიგო, დაიწყო გარკვევა, რას ვწერდი, სად ვინახავდი... მებობელი მომიგზავნა ჯამუშად. იმან კი გამაფრთხილა. „რას წერ?“ — „საკანდიდატო დავიცავი, ახლა სადოქტოროს ვწერ“. გაეცინა: „ასე გადავცემ პოლკოვნიკს, შენ კი კარგად დამალე“. კარგი ბიჭები იყვნენ. უკვე ვთქვი კიდევ, ერთიც არ ყოფილა წუწუნა, მშიშარა. დამიჯერეთ, ჩვენ ვერავინ დაგვამარცხებს! ვერასდროს! ოფიცრები კარავებიდან არც გამოდიოდნენ. სახლის ჩუსტე-

ბით დაიარებოდნენ. სვამდნენ. ჯანდაბას! ჩვენ ვთხრიდით. დაე, იმათ მიიღონ ახალი ვარსკვლავები სამხრეებზე. ჯანდაბას! ასეთია ჩვენი ხალხი...

დოზიმეტრისტები იქ ღმერთები არიან. ყველანი მათთან მიდიან: „აბა, შვილო, როგორია ჩემთან რადიაცია?“ ერთმა მოხერხებულმა ჯარისკაცმა მოიფიქრა: აიღო ჩვეულებრივი ჯოხი და მოახვია რაღაც მავთული. მერე ერთ ქოხს მიუკაკუნა და კედელზე ჯოხი მოატარა. ბებია გამოეკიდა: „შვილო, რა ამბავია ჩემთან?“ „სამხედრო საიდუმლოა, ბებო!“ „შენ მითხარი, შვილო და ერთ ჭიქა შინნახადს დაგალევეინებ“. „აბა, დამისხი!“ და დალია. „შენთან ყველაფერი წესრიგშია, ბებო,“ — უთხრა და გზა გააგრძელა...

ბოლოს და ბოლოს, ვადა რომ გავანახევრეთ, ყველას მოგვცეს დოზიმეტრები, პატარა კოლოფები, შიგნით კრისტალით. ვიღაცებმა მოიფიქრეს: დილით სამარხთან უნდა წაიღო, დატოვო და დღის ბოლოს მოიტანო. რაც უფრო მეტი იქნება რადიაცია, მით უფრო მალე მოგვცემენ შვებულებას, ან უფრო მეტს გადაგვიხდიანო. ვიღაცებმა ჩექმაზე, ზონარზე დაიკიდეს, მიწასთან ახლოს იქნებაო. აბსურდის თეატრი! აბსურდი! ეს მრიცხველები დატენილი არ ყოფილა, თვლა რომ დაიწყოს, რადიაციის პირველადი დოზით უნდა დაიტენოს. ეს უბრალო სათამაშოები თვალის მოსატყუებლად მოგვცეს, ფსიქოთერაპიული მიზნებით. სინამდვილეში ეს სილიციუმის ხელსაწყო აღმოჩნდა, რომელიც ორმოცდაათი წლის განმავლობაში საწყობში ეყარათ. ვადის ბოლოს სამხედრო ბილეთში ყველას ერთნაირი ციფრი ჩაგვიწერეს: მიღებული რადიაციის საშუალო დოზა იქ გატარებულ დღეებზე გაამრავლეს. საშუალო დოზა კი იმ კარვებში გამომეს, სადაც ვცხოვრობდით.

ანეკდოტია, ან იქნებ მართლა მოხდა: ურეკავს ჯარისკაცი საყვარელ ქალს. ქალი ღელავს: „რას აკეთებ მანდ?“ ამან გადაწ-

ყვიტა, ეტრაბახა. „ახლახან გამოვძვერი რეაქტორიდან, ხელი დავი-
ბანე“... და წყვეტილი ზარი. საუბარი შეწყდა. კაგებე ისმენდა...

ორი საათი გაქვს დასასვენებლად. ბუჩქის ქვეშ წევხარ. ალუბა-
ლი დამწიფდა, დიდია და ტკბილი. წყვეტ და ჭამ... თუთის ხე... მაშინ
პირველად ვნახე თუთის ხე...

როცა სამუშაო არ გვექონდა, ვმარშირებდით. დაბინძურებულ მი-
წაბე... აბსურდი! საღამოობით ფილმებს ვუყურებდით. ინდურ ფილ-
მებს, სიყვარულზე. ღამის სამ-ოთხ საათამდე. გაზეთებიც მოჰქონ-
დათ. იქ წერდნენ, რომ ჩვენ გმირები ვართ. მოხალისეები! პავკა
კორჩაგინის(პავკა კორჩაგინი — საბჭოთა მწერლის, ნიკოლაი ოს-
ტროვსკის რომანის — „ასე იწრთობოდა ფოლადი“ (1934) მთავარი
მოქმედი გმირი.) შთამომავლები! ფოტოებსაც ბეჭდავდნენ. ის ფო-
ტოგრაფი რომ შეგვხვედროდა...

იქვე ახლოს ინტერნაციონალური ნაწილები იდგა — ყაზანელი
თათრებისა. მათი თვითნებური სასამართლო ვნახე. ჯარისკაცს რი-
გის წინ დაარბენინებდნენ, თუ გაჩერდებოდა ან გვერდზე გაიქცე-
ოდა, სცემდნენ. ფეხებს ურტყამდნენ. თურმე ქოხებში დაძვრებოდა
და ასუფთავებდა. ჩანთაში ხარახურა უპოვეს. ცალკე იდგნენ ლიტ-
ველები. ერთი თვის შემდეგ აჯანყდნენ და შინ გაშვება მოითხოვეს.

ერთხელ სპეცშეკვეთა მოგვცეს: სასწრაფოდ უნდა გაგვერეცხა
სახლები ცარიელ სოფელში. აბსურდი! „რატომ?“ „ხვალ იქ ქორწი-
ლია“. შლანგებით მოვრეცხეთ სახურავი, ხეები, ავიღეთ მიწა. ამოვ-
თხარეთ კარტოფილი, მთელი ბალი, ბალახი ეზოში. ირგვლივ უდაბ-
ნო დარჩა. მეორე დღეს მოიყვანეს სასიძო და პატარძალი. მოვიდა
სტუმრებით სავსე ავტობუსი... მუსიკით... ნამდვილი სასიძო და პა-
ტარძალი, კინოდან კი არა. ისინი უკვე სხვა ადგილას ცხოვრობ-
დნენ, გადასახლდნენ, მაგრამ დაიყოლიეს, აქ მოსულიყვნენ, რათა
გადაეღოთ... მუშაობდა პროპაგანდა! „ჰოლივუდი“ იცავდა ჩვენს მი-
თებს: ჩვენ ყველგან ვიცხოვრებთ, მკვდარ მიწაზეც კი...

წამოსვლამდე უფროსმა დამიძახა: „რას წერდი?“ – „ახალ-გაზრდა ცოლს წერილებს ვწერდი“ – ვუპასუხე მე. „ფრთხილად იყავი!“ – მიბრძანა.

რა მახსოვს იმ დღეებიდან? როგორ ვთხრიდით. ვთხრიდით... დღიურში სადღაც მიწერია, რას მივხვდი იქ. პირველივე დღეებში... მივხვდი, რომ იოლია, მიწად იქცე...“

ივან ნიკოლაევიჩ ჟმიხოვი
ინჟინერ-ქიმიკოსი

მონოლოგი დიადი ქვეყნის სიმბოლოებისა და საიდუმლოებების გამო

„ისე ვიხსენებ, როგორც ომს...“

უკვე მაისის ბოლოს, ავარიიდან სადღაც ერთი თვის თავზე, შესამოწმებლად გვიგზავნიდნენ პროდუქტებს ოცდაათ კილომეტრიანი ზონიდან. ინსტიტუტი, როგორც სამხედრო დაწესებულება, ოცდაათი საათის განმავლობაში მუშაობდა. რესპუბლიკაში მხოლოდ ჩვენთან იყვნენ პროფესიონალები და სპეციალური აპარატურაც გვქონდა. შინაური და გარეული ცხოველების შიგნეულობა მოჰქონდათ. ვამოწმებდით რძესაც. პირველივე სინჯებიდან ცხადი გახდა, რომ ჩვენთან ხორცი კი არაა, რადიოაქტიური ნარჩენები მოდიოდა. ზონაში სავახტო მეთოდით მწყემსავდნენ ფარას. მწყემსები მიდიოდნენ და მოდიოდნენ, მწველავები მხოლოდ მოსაწველად მიჰყავდათ. რძის ქარხნები გეგმას ასრულებდნენ. შევამოწმეთ. რძე კი არაა, ისიც რადიოაქტიური ნარჩენი იყო. როგანევის რძის ქარხნის რძის ფხვნილს, შედედებულ და კონცენტრირებულ რძეს დიდხანს ვიყენებდით ლექციებზე, როგორც ნიმუშს. ამ დროს მათ მაღაზიებში ყიდდნენ. ყველა

დახლზე ეწყო... როცა ხალხი ეტიკეტებზე კითხულობდა, რომ რძე როგაჩევის ქარხნიდან იყო, აღარ ყიდულობდა, რძე ფუჭდებოდა, და უცებ გაჩნდა ქილები ეტიკეტის გარეშე. ვფიქრობ, ამის მიზეზი ქალაქის უქონლობა ნამდვილად არ ყოფილა. ხალხს ატყუებდნენ. სახელმწიფო ატყუებდა. მთელი ინფორმაცია შვიდი ბეჭდით დაბეჭდილ საიდუმლოდ იქცა, რომ „პანიკა არ გამოეწვიათ“. ეს პირველ კვირებში... ზუსტად იმ დროს, როცა მოკლევადიანი ელემენტები მწვავედ ასხივებდა და ყველაფერი „ანათებდა“, მუდმივად ვწერდით სამსახურეობრივ ჩანაწერებს. მუდმივად... მაგრამ მონაცემების შესახებ ღიად რომ გვეთქვა... სამეცნიერო ხარისხსაც დაკარგავდი და პარტილეთსაც (ნერვიულობს). მაგრამ შიში... მიზეზი შიში არ ყოფილა, რა თქმა უნდა, ესეც იყო... ჩვენი დროის საბჭოთა ქვეყნის შვილები ვიყავით. მისი გვჯეროდა. მთავარი — რწმენაა. ჩვენი რწმენა... (ნერვიულად ეწევა). დამიჯერეთ, შიშის გამო არა... მხოლოდ შიში გამო... არა... პატიოსნად გპასუხობთ. საკუთარ თავს პატივი რომ ვცე, ახლა პატიოსნად უნდა გიპასუხობთ. მე მინდა...

პირველი გასვლა ზონაში: ტყეში ფონი ხუთჯერ-ექვსჯერ მაღალია, ვიდრე მინდორში, გზაზე. დობები ზოგადად ყველგან მაღალია. ტრაქტორები მუშაობენ... გლეხები თავიანთ ბოსტნებს თხრიან, რამდენიმე სოფელში ფარისებრი გავუსინჯეთ ზრდასრულებსა და ბავშვებს: დასაშვებ ნორმაზე ასჯერ, ორასჯერ, სამასჯერ მაღალი ჰქონდათ... ჯგუფში ერთი ქალი გვყავდა, რადიოლოგი. ისტერიკაში ჩავარდა, როცა დაინახა, როგორ ისხდნენ ბავშვები ქვიშაში და თამაშობდნენ. გუბებში გემებს უშვებდნენ... მაღაზიები ღიაა და როგორც ჩვეულებრივ სოფლებშია ხოლმე, სამეურნეო საქონელი და პროდუქტი დახლებზე ერთად აწყვია: კოსტიუმები, კაბები, გვერდით ძეხვი, მარგარინი. ცელოფანიც კი არ აფარია არაფერს. ვიღებთ ძეხვს, კვერცხს... სინამდვილეში რენტგენის სურათს ვიღებთ: პროდუქტი კი არა, რადიაციული ნარჩენია. ახალგაზრდა ქალი ზის სკამ-

ზე, სახლის წინ. ბავშვს ძუძუს აჭმევს. დედის რძე შევამოწმეთ და რადიოაქტიურია. ჩერნობილის მადონა...

ვკითხულობდით — რა ვქნათ? რა გავაკეთოთ? გვპასუხობდნენ: „ჩაატარეთ ანაზომი. უყურეთ ტელევიზორს“. ტელევიზორში გორბაჩოვი გვამშვიდებდა: „მიღებულია გადაუდებელი ზომები“. მჯეროდა. ოცი წლის სტაჟის მქონე ინჟინერს, ფიზიკის კანონების კარგ მცოდნეს... ხომ ვიცოდი, რომ ამ ადგილებიდან ყველანაირი ცოცხალი არსება უნდა გახიზნულიყო, დროებით მაინც. მაგრამ ჩვენ კეთილსინდისიერად ვატარებდით ანაზომს და ვუყურებდით ტელევიზორს. შევეჩვიეთ იმას, რომ გვწამდა. უკანასკნელი თაობა ვართ, რომელიც ამ რწმენით გაიზარდა. საიდან იყო ეს რწმენა? ჩვენ ისეთ საშინელ ომში გავიმარჯვეთ! ჩვენ წინაშე მთელი მსოფლიო იხრიდა ქედს! ეს ხომ მართლა იყო! კორდოლიერებში, კლდეებში იყო ამოკვეთილი სიტყვა — სტალინი! რა იყო ეს? სიმბოლო. დიადი ქვეყნის სიმბოლო.

აი, ესაა პასუხი თქვენს კითხვაზე: რატომ ვდუმდით მაშინ, როცა ვიცოდით. რატომ არ გამოვედით მოედანზე, რატომ არ ვყვიროდით? ჩვენ ანგარიშებს ვწერდით... ხომ გითხარით, სამსახურეობრივ ჩანაწერებს ვაკეთებდით. ვდუმდით და უსიტყვოთ ვემორჩილებოდით ბრძანებებს, იმიტომ, რომ ასე მოითხოვდა პარტიული დისციპლინა. მე — კომუნისტი ვარ. არ მახსოვს, რომელიმე ჩვენი თანამშრომელი შეშინებულიყოს და უარი ეთქვას ბონაში მივლინებაზე. შიშის გამო კი არა, პარტბილეთი არ წამართვანო, არამედ — რწმენის გამო. უპირველესი იყო რწმენა, რომ ლამაზად და სამართლიანად ვცხოვრობთ, რომ ადამიანია ყველაფერზე მაღლა, ყველაფერში ზომიერებას ვიცავთ. ამ რწმენის ჩამოშლა ბევრისთვის თვითმკვლელობით ან ინფარქტით დასრულდა. გულში ტყვიით, როგორც აკადემიკოსმა ლეგასოვმა... იმიტომ, რომ როცა რწმენას კარგავ, რწმენის გარეშე რჩები,

შენ უკვე მონაწილე კი არა, თანამონაწილე ხდები და არანაირი გამართლება არა გაქვს. მე ასე მესმის.

რადღაც ნიშანი... ყოფილ საბჭოთა კავშირში, ყველა ატომურ სადგურში სეიფში ავარიის ლიკვიდაციის გეგმა ინახებოდა. ტიპური გეგმა, საიდუმლო. ასეთი გეგმის გარეშე შეუძლებელი იყო სადგურის გაშვების ნებართვის მიღება. ავარიამდე ბევრი წლით ადრე ის სწორედ ჩერნობილის სადგურის მიხედვით შეიმუშავეს: რა უნდა გაკეთდეს და როგორ, ვინ რაზეა პასუხისმგებელი, სად რა არის. დეტალებიც კი იყო გათვალისწინებული... და უცებ იქ, ამ სადგურზე ხდება კატასტროფა... რა არის ეს? დამთხვევა? მისტიკა? მე რომ მორწმუნე ვიყო... როცა გინდა, საზრისი იპოვო, თავს რელიგიურ ადამიანად გრძნობ. მე კი ინჟინერი ვარ, მე სხვა რწმენის კაცი ვარ, სხვა სიმბოლოები მაქვს...

რა ვუყო ახლა ჩემს რწმენას? რა ვუყო?“

მარატ ფილიპოვიჩ კოხანოვი

ბელარუსის მეცნიერებათა აკადემიის

ბირთვული ენერგეტიკის ინსტიტუტის

ყოფილი მთავარი ინჟინერი

მონოლოგი იმაზე, რომ ცხოვრებაში ყველზე დიდი საშინელება ჩუმად და ბუნებრივად ხდება

„სულ თავიდან...

სადღაც რადღაც მოხდა. დასახელებაც კი ვერ გავიგონე, სადღაც, ჩვენი მოგილევადან შორს. ჩემმა ძმამ მოიბრინა სკოლიდან: „ყველა ბავშვს რადღაც აბებს აძლევენ. როგორც ჩანს, რადღაც მოხდა. ვაი, ვაი“ ... და მორჩა. პირველ მაისს დღე შესანიშნავად გავატარეთ, ცხა-

დია, ბუნებაში. შინ გვიან საღამოს დავბრუნდით. ჩემს ოთახში ქარმა ფანჯარა შემოაღო... ეს მოგვიანებით გამახსენდა...

ბუნების დაცვის ინსპექციაში ვმუშაობდი. იქ მითითებებს ველოდით, მაგრამ არაფერი მოდიოდა... ველოდით... ინსპექციის შტატში პროფესიონალები თითქმის არ იყვნენ, განსაკუთრებით, უფროსობას შორის: გადამდგარი პოლკოვნიკები, ყოფილი პარტმუშაკები, პენსიონრები ან ყველაფრისთვის უვარგისები. სხვა ადგილას დააჯარიმეს და ჩვენთან გადმოიყვანეს, ზის ახლა და აშრიალებს ქალაქებს. მოსკოვში ჩვენი, ბელარუსი მწერლის, ალესია ადამოვიჩის (ალექსანდრ (ალესია) ადამოვიჩი (1927-1994) – ბელარუსი მწერალი.

) გამოსვლის შემდეგ ახმაურდნენ და ალაპარაკდნენ, მაშინ როცა მან ზარებს შემოჰკრა. როგორ სძულდათ, რაღაც დაუჯერებლად! მათი ბავშვები, მათი შვილიშვილები აქ ცხოვრობენ და ისინი კი არა, მწერალი შეჰყვიროდა მსოფლიოს – გვიშველეთ! თითქოს თვითგადარჩენის ინსტიქტი უნდა ამუშავებულიყო, მაგრამ ადამოვიჩს პარტიულ კრებებზე და მოსაწვევად გამოსულები, ყველანი კიცხავდნენ: სად მიძვრება სხვის საქმეში? გალალდა! არსებობს ინსტრუქცია! სუბორდინაცია! ფიზიკოსი ხომ არ არის! არსებობს ცეკვა, გვყავს გენერალური მდივანი! სწორედ მაშინ მიხვდი, რას ნიშნავს ოცდაჩვიდმეტი წელი! და როგორ იყო...

იმ დროს ჩემი წარმოდგენები ატომურ სადგურზე სრულიად იდილიური იყო. სკოლაში, ინსტიტუტში გვასწავლიდნენ, რომ ეს იყო ენერჯის ზღაპრული ფაბრიკები „არაფრიდან“, სადაც ადამიანები თეთრი ხალათებით ისხდნენ და ღილაკებს აჭერდნენ ხელს. ჩერნობილი მოუმზადებელი ცნობიერების ფონზე, ტექნიკის აბსოლუტური რწმენის ფონზე აფეთქდა. არანაირი ინფორმაცია, ქალაქის მთები გრიფით „სრულიად საიდუმლო“... გასაიდუმლოვდეს მონაცემები ავარიის შესახებ, გასაიდუმლოვ-

დეს მონაცემები მკურნალობის შედეგების შესახებ, გასაიდუმლოვ-
დეს მონაცემები იმ პერსონალის რადიოაქტიური დაზიანებების შე-
სახებ, რომელიც ლიკვიდაციაში მონაწილეობდა! ჭორები დადი-
ოდა: ვილაცამ გაზეთებში წაიკითხა, ვილაცამ გაიგონა, ვილაცას უთ-
ხრეს... ბიბლიოთეკებიდან გაქრა მთელი სასაცილო (როგორც შემ-
დეგ გაირკვა) მაკულატურა, რომელიც სამოქალაქო თავდაცვას შე-
ეხებოდა. ვილაცები დასავლურ რადიოს უსმენდნენ, მხოლოდ იქ
გადმოსცემდნენ, რომელი აბები უნდა დაგველია, როგორ უნდა
დაგველია. თუმცა უმეტესწილად რეაქცია ასეთი იყო: მტრები იტყუ-
ებიან, ჩვენთან კი ყველაფერი რიგზეა. ცხრა მაისს ვეტერანები აღ-
ლუმზე წავიდნენ... სასულე ორკესტრმა დაუკრა. თვით ისინიც კი,
ვინც ხანძარს აქრობდნენ, ამ ჭორებით ცხოვრობდნენ. თურმე გრა-
ფიტის ხელში დაჭერა საშიშია... თურმე...

ქალაქში საიდანღაც შეშლილი ქალი გამოჩნდა. ბაზარში და-
დიოდა და ყვიროდა: „მე ვნახე რადიაცია, ის ლურჯია და ფერები გა-
დასდის!“ ხალხი ბაზარში რძეს და ხაჭოს აღარ ყიდულობდა. დგას
ბებო რძით და არავის არაფერი მიაქვს. „ნუ გემინიათ, — იხვეწება, —
ძროხას მინდორში არ ვუშვებ, ბალახი მე თვითონ მიმაქვს“. ქალაქს
გასცდები და რაღაც საფრთხობელები დაბოდილობენ: ძროხა
ძოვს, ცელოფანი აქვს შემოხვეული, გვერდით კი ბებოა, ასევე ცე-
ლოფანგადაფარებული. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.
ჩვენც გვაგზავნიდნენ შემოწმებებზე. მე ტყის მეურნეობაში გამიშ-
ვეს. მეტყვევებს ხის მასალის გეგმა არ შეუმცირეს, როგორც იყო,
ისეთივე დაუტოვეს. საწყობში ჩართეს რაღაც ხელსაწყო, ეშმაკმა
უწყის, რას უჩვენებდა. ფიცრებთან თითქოს ნორმალურადაა, უკვე
გამზადებულ ცოცხებთან კი ელავს. „საიდანაა ცოცხები?“ — „კრას-
ნოპოლიდან“ (როგორც მერე გაირკვა, ეს მოგილევის ოლქში ყვე-
ლაზე დაბინძურებული რაიონია). ბოლო პარტია დაგვრჩა, სულ და-
ვაგზავნეთ“. და როგორ მოძებნი ცოცხებს სხვადასხვა ქალაქში?

კიდევ იყო რაღაც, რაც არ მინდოდა დამვიწყებოდა?! მნიშვნელოვანი... ჰო, გამახსენდა. ჩერნობილი... და უცებ ახალი, უცნაური განცდა, რომ ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენი ცხოვრება, რომელიც აქამდე თითქოს თავისით მიედინებოდა. მაშინ კი ადამიანები დაფიქრდნენ: რას ჭამენ, რითი კვებავენ ბავშვებს? რა არის საშიში ჯანმრთელობისთვის და რა — არა? უნდა გადავიდნენ საცხოვრებლად სხვა ადგილას თუ არა? გადაწყვეტილება ყველას თავად უნდა მიეღო. არადა, როგორ იყვნენ მიჩვეულნი? სოფელი, თემი, ქარხანა, კოლმეურნეობა ერთი, საერთო ცხოვრებით ცხოვრობდა. საბჭოთა ადამიანები იყვნენ. მეც საბჭოთა ადამიანი ვიყავი. თანაც ძალიან! ინსტიტუტში რომ ვსწავლობდი, ყოველთვის დავდიოდი „კომპოტრიალში“ — იყო ასეთი ახალგაზრდული მოძრაობა — ახალგაზრდული კომუნისტური რაზმები. იქ ვმუშაობდით და ფულს რომელიმე ლათინოამერიკულ კომპანიას ვურიცხავდით. ჩვენი რაზმი, მაგალითად, ურუგვაიში რიცხავდა...

ჩვენ შევიცვალეთ. ყველაფერი შეიცვალა. ამის გასაგებად დიდი ძალისხმევაა საჭირო. უარი უნდა თქვა იმაზე, რასაც მიეჩვიე... ბიოლოგი ვარ. სადიპლომო ნამუშევარი კრაზანების ქცევაზე გავაკეთე. ორი თვე დაუსახლებელ კუნძულზე გავატარე. იქ ჩემი კრაზანების ბუდე მქონდა. ერთი კვირის დაკვირვების შემდეგ მათ საკუთარი ოჯახის წევრად მიმიღეს. სამ მეტრზე ახლოს არავის უშვებდნენ, მე ერთი კვირაში უკვე ათ სანტიმეტრზე ვუახლოვდებოდი. პირდაპირ ბუდეში ვკვებავდი ასანთის კოლოფში ჩასხმული მურაბით. ჩემს მასწავლებელს უყვარდა თქმა: „ნუ დაანგრევ ჭიანჭველების ბუდეს, ის სხვისი ცხოვრების კარგი მოდელია“. კრაზანების ბუდე მთელი ტყის ნაწილია და მეც თანდათანობით ლანდშაფტის ნაწილად ვიქეცი. მორბის თავგუნა და პირდაპირ ჩემი ბოტასის წვერზე ჯდება, ველური ტყის თავგუნა, — ის

მე უკვე აღმიქვამს, როგორც პეიზაჟის ნაწილს — გუშინ იქ ვიჯექი, დღესაც ვზივარ, ხვალაც იქ ვიქნები...

ჩერნობილის შემდეგ... ბავშვთა ნახატების გამოფენა — გაბათხულის შავ მინდორზე ყარყატი დადის... და წარწერა: „ყარყატი არავინ გაათრთხილა“. ეს ჩემი მაშინდელი განცდებია. სამუშაოც იყო, ყოველდღიური სამუშაო... ოლქში დავდიოდით, ვიღებდით წყლის, მიწის ნიმუშებს და მინსკში მოგვექონდა. ჩვენი გოგონები ბუმბუღუნებდნენ: „ცხელი ღვეზლები დაგვაქვს“... არც დაცვა... არც სპეცტანსაცმელი... მანქანაში წინა საჯდომზე ზიხარ და უკან ნიმუშები „ანათებს“... ვადგენდით აქტებს რადიოაქტიური გრუნტის დამარხვის შესახებ. მიწას მიწაში ვმარხავდით... ადამიანის ახალი საქმიანობა... არავის ესმოდა... ინსტრუქციის მიხედვით სამარხთან გეოლოგიური მოკვლევა უნდა ჩატარებულიყო, რომ გრუნტის წყლები ოთხ-ექვს მეტრზე ახლოს არ ყოფილიყო, ქვაბულის ძირსა და კედლებზე პოლიეთილენის პარკები დაეფინათ, მაგრამ ეს მხოლოდ ინსტრუქციის მიხედვით... ცხოვრებაში კი, ცხადია, სხვანაირად ხდებოდა, როგორც არის ხოლმე, ისე. არავითარი გეოლოგიური შემოწმება. მიუშვერენ თითს: „აქ გათხარე!“ და ექსკავატორი თხრის. „რა სიღრმემდე თხრიდით?“ „ემშაკმა უწყის! წყალი ამოვიდოდა და ვჩერდებოდით!“ იქვე, გრუნტის წყლებთანვე სვამდნენ არაყს...

ხომ ამბობენ: გმირი ხალხი, დამნაშავე ხელისუფლება... იმასაც გეტყვით, რას ვფიქრობ ამ ყველაფერზე... ჩვენს ხალხზე და საკუთარ თავზე...

ყველაზე დიდი მივლინება კრასნოპოლსკის რაიონში მქონდა, ხომ გითხარით, ყველაზე დიდი... რადიონუკლიდების მინდვრებიდან მდინარეში ჩადინება რომ შეგვეჩერებინა, ინსტრუქციის მიხედვით უნდა გვემოქმედა. ორმაგი კვლები გაგვეთხარა, მერე გზა მიგვეცა, მერე ისევ ორმაგი კვლები და სულ ასე, ამ ინტერვალებით. ყველა პატარა მდინარესთან უნდა მივსულიყავი, შემემოწმებინა. რაიონულ ცენტრამდე ავტობუსის რეისს მივყვებოდი, მერე კი, ბუ-

ნებრივია, მანქანა გვჭირდებოდა. რაიონული კომიტეტის თავ-
მჯდომარესთან მივდივარ. თავმჯდომარე თავის კაბინეტში ხე-
ლებში თავჩარგული ზის: გეგმა არ მოუხსნეს, თესვის სტრუქტუ-
რა არ შეცვალეს, როგორც თესავდნენ ბარდას, ისევე უნდა და-
თესონ, მიუხედავად იმისა, რომ იციან — ბარდა ყველაზე მეტად
იღებს რადიაციას, ისევე, როგორც დანარჩენი პარკოსნები. იქ კი
ზოგან ორმოცი და მეტი კიურია. ჩემი თავი არა აქვს! საბავშვო
ბაღებიდან მზარეულები და მედღები გაქცეულან. ბავშვები მშიფ-
რები არიან. ვინმეს აპენდიციტის ოპერაცია რომ დასჭირდეს,
სასწრაფო დახმარებამ გვერდით რაიონში, სამოცი კილომეტ-
რის იქით უნდა წაიყვანოს. გზა ისეთია, როგორც სარეცხი დაფა.
ქირურგები გაიქცნენ. რა მანქანა? რა ორმაგი კვლები? მერე სამ-
ხედროებს მივვარდი. ახალგაზრდები იყვნენ, ექვს-ექვსი თვე
იმუშავეს იქ. ახლა ყველა უიმედო ავადმყოფია. ჯავშანტრანს-
პორტიორი მომცეს ევიპაჟითურთ, არა, ჯავშანტრანსპორტიო-
რი კი არა, როგორც იქ ეძახდნენ, „ბეერდემკა“, სადაზვერვო მან-
ქანა ტყვიამფრქვევით. ძალიან მწყდება გული, რომ სურათი არ
გადავიღე მასთან, დაჯავშნულთან. აი, ისევ რომანტიკა! პრა-
პორშიკი, რომელიც მეთაურობდა ამ მანქანას, გაუჩერებლად
იმეორებდა: „შევარდენო! შევარდენო! ვაგრძელებთ მუშაობას!“
მივდივართ. გზები ჩვენი, ტყეები ჩვენი, ჩვენ კი საბრძოლო
მანქანაში ვსხედვართ. ღობეებთან ქალები დგანან. დგანან და
ტირიან. უკანასკნელად ეს ტექნიკა სამამულო ომის დროს ნახეს.
ემინიათ, ომი არ დაიწყოს.

ინსტრუქციის მიხედვით ამ კვლების თხრისას ტრაქტორის კა-
ბინა დაცული, ჰერმეტიკული უნდა ყოფილიყო. ვნახე ასეთი ტრაქ-
ტორი, კაბინა მართლაც ჰერმეტიკულია. ტრაქტორი იდგა, ხოლო
ტრაქტორისტი ბალახზე იწვა, ისვენებდა. „გაგჟდით? ნუთუ არ
გაგაფრთხილეს?“ მპასუხობს: „მე ხომ თავზე ჯუბა მახურავს?“

ადამიანებს არ ესმოდათ. მათ გამუდმებით აშინებდნენ, ამზადებდნენ ატომური ომისთვის და არა — ჩერნობილისთვის...

იქაური ადგილები წარმოუდგენლად ლამაზია. ტყე ხელოვნურად დარგული კი არა, ნამდვილია, ძველი, მოჩუხჩუხე ნაკადულებით, სადაც წყალი ჩაის ფერია და სულ გამჭირვალე. ბალახი ბიბინებს. ადამიანები ტყეში ერთმანეთს ეძახიან... მათთვის ეს ბუნებრივია, ისევე, როგორც დილას საკუთარ ბაღში გასვლა... შენ კი იცი, რომ იქ ყველაფერი მოწამლულია — სოკოც, კენკრაც. კაკლის ხეებზე ციყვები დარბიან...

ბებო შემოგვხვდა:

— შვილებო, ჩემი ძროხის რძე ისმევა?

ჩვენ მიწას მივაჩერდით, ბრძანება გვაქვს, მონაცემები მოვაგროვოთ, მაგრამ ადგილობრივ მოსახლეობასთან არ უნდა ვიურთიერთოთ.

პირველი პრაპორშიკი გამოელაპარაკა:

— რამდენი წლისა ხარ, ბები?

— უკვე ოთხმოცს გადავცდი, შეიძლება, მეტიცაც ვიყო. საბუთები ომის დროს დაიწვა.

— მაშინ დალიეთ...

სოფლელები ყველაზე მეტად მეცოდებიან, ისინი უდანაშაულოდ დაისაჯნენ, ისევე, როგორც ბავშვები... ჩერნობილი გლეხს არ მოუგონია, მას ბუნებასთან თავისი ურთიერთობა აქვს, — მიმდობი და არა დამპყრობლური, როგორც ასი წლის, როგორც ათასი წლის წინ. გლეხი ისეთია, როგორც ღვთიურ ჩანაფიქრში იყო... სრულიად არ ესმოდათ, რა მოხდა, მზად იყვნენ ერწმუნათ მეცნიერების, ნებისმიერი ნასწავლი ადამიანის, როგორც მღვდლის სწამთ ხოლმე, ისე. მათ კი უმეორებდნენ: „ყველაფერი კარგადაა, არაფერია საშიში, ოღონდ ჭამის წინ ხელი დაიბანეთ“. მაშინვე ვერა, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ მივხვდი, რომ ჩვენ ყველანი დანაშულში ვმონაწილობდით... (ჩუმდება).

თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა რაოდენობის პროდუქტი გამოჰქონდათ ზონიდან მანქანებით, ყველაფერი, რაც იქ დახმარების სახით იქაური მცხოვრებლებისთვის შედიოდა: ყავა, ხორცის კონსერვი, ლორი, ფორთოხალი. ყუთებით, ფურგონებით გამოჰქონდათ. მაშინ ხომ ასეთი პროდუქტები არსად არ იყო. გამდიდრდნენ ადგილობრივი გამყიდვლები, ნებისმიერი, ვინც ამოწმებდა, წვრილი ჩინოვნიკობა... და მეც... მეც ცუდად... ახლა ვიცი ეს საკუთარ თავზეც... (ჩაფიქრდა). რა თქმა უნდა, ვალიარებ... ეს ჩემთვის მნიშვნელოვანია... აი, კიდევ ერთი მაგალითი... ერთ კოლმეურნეობაში, მაგალითად, ხუთი სოფელია. სამი „სუფთა“, ორი „ჭუჭყიანი“. მანძილი მათ შორის ორი-სამი კილომეტრია. ორს უხდიან ფულს, სამს კი — არა. „სუფთა“ სოფელში მეცხოველეობის კომპლექსს აშენებენ. ვითომ საქონლის სუფთა საკვებს შემოვიტანთო. სად იშოვიან? ქარს მტვერი ერთი მინდვრიდან მეორეში გადააქვს. ერთი მიწაა. კომპლექსი რომ აშენდეს, ქალაქდება საჭირო. კომისია აწერს ხელს, მეც ამ კომისიაში ვარ, თუმცა ყველამ იცის, რომ ხელის მოწერა არ შეიძლება. დანაშაულია! ბოლოს და ბოლოს, თავის გამართლებაც შეიძლებოდა, საქონლის სუფთა საკვები ბუნების დაცვის ინსპექტორის საქმე არ არის. მე პატარა ადამიანი ვარ. რას ვიზამ?

ყველა ასე ცდილობდა ახსნას და თავის გამართლებას. მე ასეთი გამოცდილება მაქვს... და საერთოდაც მივხვდი, რომ ცხოვრებაში ყველაზე დიდი საშინელება ჩუმად და ბუნებრივად ხდება“...

ზოია დანილოვნა ბრუკი
ბუნების დაცვის ინსპექტორი

მონოლოგი იმაზე, რომ რუს ადამიანს ყოველთვის უნდა, რაღაცის სწამდეს

„ნუთუ არ შეგიმჩნევიათ, რომ ერთმანეთში ამის შესახებ არ ვლაპარაკობთ? ათეულობით წლის შემდეგ, ასწლეულების შემდეგ — ეს მითოლოგიურ წლებად დარჩება. ამ ადგილებში ზღაპრები და მითები გაჩნდება... ლეგენდები...“

წვიმის მეშინია — აი, რა არის ჩერნობილი. თოვლის მეშინია, ტყის. ღრუბლების მეშინია, ქარის... ჰო! საიდან ქრის? რა მოაქვს? და ეს არც აბსტრაქციაა, არც ტვინის ჭყლეტის შედეგი, ჩემი პირადი განცდაა. ჩერნობილი... ის ჩემს სახლშია... ყველაზე ძვირფას არსებაში, ჩემს შვილში, რომელიც ოთხმოდრეკის გაზაფხულზე დაიბადა... ის ავადაა. ცხოველებმა, ტარაკნებმაც კი იციან, რამდენი და როგორ გააჩინონ. ადამიანებს ასე არ შეუძლიათ, ღმერთმა მათ წინათგონობა არ მისცა. ახლახან გაზეთებში გამოაქვეყნეს, რომ ოთხმოდრეკამეტ წელს, მხოლოდ ჩვენთან, ბელარუსში ქალებმა ორასი ათასი აბორტი გაიკეთეს. მთავარი მიზეზი — ჩერნობილია. ჩვენ უკვე სულ ამ შიშით ვცხოვრობთ. თითქოს ბუნება გაგვიწყრა, იცდის. გვიცდის. „ვაგლახ! სად გაქრა დრო?“ — ამოიძახებდა ზარატუსტრა.

ბევრი ვიფიქრე. ვეძებე აზრი... პასუხი... ჩერნობილი — ეს რუსული მენტალობის კატასტროფაა. ამაზე არ გიფიქრიათ? ცხადია, ვეთანხმები, როცა წერენ, რომ მხოლოდ რეაქტორი კი არა, მთელი ღირებულებათა სისტემა აფეთქდა. მაგრამ ამ განმარტებაში რაღაც მაინც არაა საკმარისი...

მეც იმაზე ვილაპარაკებდი, რაზედაც პირველმა ჩაადაევმა(პიოტრ ჩაადაევი (1794-1856) — რუსი ფილოსოფოსი და პუბლიცისტი, „ფილოსოფიური წერილების“ ავტორი.) თქვა — პროფესიის მიმართ ჩვენს მტრულ დამოკიდებულებაზე, ჩვენს ანტიტექნოლოგიურობაზე, ჩვენს ანტიინსტრუმენტალურობაზე. შეხედეთ ევროპას. აღორძინების ეპოქიდან მოყოლებული ის სამყაროსადმი ინსტრუმენტა-

ლური, გააზრებული, რაციონალური დამოკიდებულებით ცხოვრობს. ესაა ხელოსანი ადამიანის და მის ხელში არსებული ინსტრუმენტის პატივისცემა. ლესკოვს(ნიკოლაი ლესკოვი (1831-1895)— რუსი მწერალი, რუსული ლიტერატურის კლასიკოსი.) ერთი მშვენიერი მოთხრობა აქვს — „რკინის ხასიათი“. რა არის ეს რუსული ხასიათი? რუსულ თემას სულ ეს გასდევს ლეიტმოტივად. გერმანული ხასიათი აქცენტს ინსტრუმენტზე, მანქანაზე აკეთებს. ჩვენთან კი... ჩვენთან? ერთი მხრივ, არის მცდელობა გადალახო, მოაწესრიგო ქაოსი, ხოლო მეორე მხრივ — ჩვენი მშობლიური სტიქიურობაა. წადით, სადაც გენებოთ, მაგალითად, კიჩინი, და რას გაიგონებთ, სიამაყით რას მოგახსენებთ ნებისმიერი ექსკურსიამძღოლი? აი, ის ეკლესია ცულითაა ნაგები და თან ულუსრმეობდ! იმის ნაცვლად, კარგი გზები ვაშენოთ, რწყილს ვატყავებთ. ურმის ბორბლები ტალახში გვეფლობა, მაგრამ ხელში ფასკუნჯი გვიჭირავს. მეორე... მე მგონია... ეს რევოლუციის შემდგომი სწრაფი ინდუსტრიალიზაციის ბრალია. ოქტომბრის შემდეგ... ნახტომის ბრალია... ისევ დასავლეთზე რომ ვთქვათ — მანუფაქტურის საუკუნე გაიარეს... მანქანა და ადამიანი ერთად მოძრაობდნენ და იცვლებოდნენ. ტექნოლოგიური ცნობიერება, აზროვნება ჩამოყალიბდა. და ჩვენთან? რა აქვს ჩვენს მამაკაცს ეზოში, საკუთარი ხელების გარდა? ცული, ცელი, დანა — სულ ესაა. ამანვე დგას მისი სამყარო. ჰო, კიდევ ნიჩაბიც. როგორ ელაპარაკება რუსი ადამიანი მანქანას? მხოლოდ გინებით! ან ურტყამს... არ უყვარს მანქანა, სძულს, ეზიზღება. სინამდვილეში, ბოლომდე არ ესმის, რა უჭირავს ხელში, რა ძალის მქონე. სადაც წამიკითხავს, რომ იქ მომუშავე პერსონალი რეაქტორს — „ქვამს“, „სამოვარს“, „კეროგამს“, „კომფორას“ ეძახდა. აქ უკვე ჩანს რაღაც სიამაყე: კვერცხს მზეზე შევწვავთ! იმათ შორის, ვინც ჩერნობილის სადგურზე მუშაობდა, ბევრია სოფლელი. დღისით რეაქტორზე არიან, საღამოთი — ბოსტანში ან მშობლებთან

გვერდით სოფელში, სადაც კარტოფილს ბარით თესავენ, ნაკელი სამთითებით შეაქვთ... მოსავალსაც ხელით იღებენ... მათი ცნობიერება მხოლოდ ამ ორ დროს შორის — ქვის და ატომის ეპოქებს შორის არსებობს. რუსი ამ ორ ეპოქას შორის მუდმივად ირწევა, როგორც იალქანი. წარმოიდგინეთ ბრწყინვალე ინჟინერ-მშენებლების მიერ აშენებული რკინიგზა, მიჰქრის მატარებელი, მაგრამ მემანქანების ადგილას — გუშინდელი მეეტლეები სხედან. მოგზაურობა ორ ეპოქას შორის, ატომსა და ნიჩაბს შორის რუსეთის ბედია. და ტექნოლოგიური დისციპლინა? ეს ჩვენი ხალხისთვის ძალადობის, ტყვეობის, ბორკილების ნაწილია. ხალხი სტიქიურია და თავისუფალი. თავისუფლებამე კი არა, თავაშვებულობამე ოცნებობს. მათთვის დისციპლინა რეპრესიული ინსტრუმენტია. რაღაც განსაკუთრებული ნამდვილად არის ჩვენს უმეცრებაში, რაღაც აღმოსავლური უმეცრების მსგავსი...

ისტორიკოსი ვარ... ადრე ბევრს ვმუშაობდი ლინგვისტიკაში, ენის ფილოსოფიაში. მარტო ჩვენ კი არ ვფიქრობთ ენაზე, ენაც ფიქრობს ჩვენით. თვრამეტი წლისამ, ან ცოტა უფრო ადრე, როცა სამიზდატის(სამიზდატი — საბჭოთა კავშირში ლიტერატურა, რომელსაც ხელისუფლებისგან ფარულად გამოსცემდნენ.) ვითხვა დავიწყე და შალამოვი, სოლჟენიცინი აღმოვაჩინე, უცებ მივხვდი, რომ მთელი ჩემი ბავშვობა, მიუხედავად იმისა, რომ ინტელიგენტების ოჯახში ვიზრდებოდი (ბაბუა მღვდელი იყო, მამა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი), ბანაკის ცნობიერებით ყოფილა გაჯერებული. ბავშვობისდროინდელი მთელი ლექსიკონი — „გეკების“ ენა იყო. ჩვენ, მოზარდები, სრულიად ბუნებრივად მამას „პახანს“ ვეძახდით, დედას — „მახანას“. «На хитрую жопу есть х... с винтом» („ყველა გაიძვერა ტრავს თავისი ქანჩიანი ყ... მოენახებაო“ (ბჭკარედულითარგმანი). რუსული სკაბრებული იდიომა. გულისხმობს, არ არსებობს ეშმაკობა, რომელსაც ვერ ამხელ ან შეუძლებელია, ვინმეს სურდეს თავი დაიძვრინოს და მოახერხოს ეს. იდიომაში ანალური სექსის სე-

მანტიკა შესაძლოა მიანიშნებდეს, რომ ობიექტის მხილება ან იძულება მისთვის მტკივნეული იქნება, მით უმეტეს, რომ ფალოსი ქანჩიანია, ანუ დახრახნილი რკინით რეპრეზენტირდება.) ეს ათი წლისამ ვისწავლე. ჰო! არც ერთი ცივილური სიტყვა! თამაშები, ანდაზები, გამოცანებიც პატიმრებისა იყო. იმიტომ, რომ პატიმრების სამყარო სადღაც ცალკე კი არ იყო, შორს, ციხეებში კი არ არსებობდა, არამედ აქვე იყო, ჩვენ გვერდით. როგორც ახმატოვა(ანა ახმატოვა (1889-1966) – რუსი პოეტი, რუსული ლიტერატურის კლასიკოსი.) წერდა: „ნახევარი ქვეყანა იჯდა, მეორე ნახევარი კი – იჭერდა“. ვფიქრობ, ჩვენი ბანაკის ცნობიერება აუცილებლად უნდა შეჯახებოდა კულტურას და ცივილიზაციას.

და კიდევ, ცხადია, ჩვენ ყველანი განსაკუთრებული საბჭოთა კერპთაყვანისმცემლობის ეპოქაში გავიზარდეთ: ადამიანია მბრძანებელი, ქმნილებათა გვირგვინი. და აქვს უფლება სამყაროს გაუკეთოს ყველაფერი, რაც მოესურვება. მიჩურიჩის(ივან მიჩურიჩი (1855-1935) – რუსი ბიოლოგი და სელექციონერი.) ფორმულა: „ვერ დაველოდებით ბუნებისგან წყალობას, უნდა ავიღოთ მისგან – ეს ჩვენი ამოცანაა“. მცდელობა, რომ ხალხისთვის ის თვისებები მიენიჭებინათ, რომელიც მას არ ჰქონდა. ოცნება მსოფლიო რევოლუციამზე – ეს იყო ოცნება იმაზე, რომ გადაეკეთებინათ ადამიანი და სამყარო მის ირგვლივ. ყველაფერი გადაეკეთებინათ! ჰო! ცნობილი ბოლშევიკური ლოზუნგი: „კაცობრიობას რკინის ხელით მივიყვანთ ბედნიერებამდე!“ მოძალადის ფსიქოლოგია, გამოქვაბულის მატერიალიზმი, გამოწვევა ისტორიისთვის და ბუნებისთვის. და ეს არ მთავრდება... ერთი უტოპია ინგრევა, მას მეორე ცვლის. ახლა უცებ ყველა ღმერთზე ალაპარაკდა. ერთდროულად – ღმერთსა და ბაზარზე. რატომ არ ეძებდნენ მას გულაგში, ოცდაჩვიდმეტის კამერებში, ორმოცდარვის პარტიულ კრებებზე, როცა კოსმოპოლიტიზმს აცამტვერებდნენ, ხრუშჩოვის(ნიკიტა ხრუშჩოვი (1895-1971) – საბჭოთა

პარტიული მუშაკი, 1953-1964 წლებში ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი. მის სახელს უკავშირდება პარტიის მეოცე ყრილობა და სტალინის კულტის დაგმობა.) დროს, როცა ეკლესიებს ანგრევდნენ? რუსული ღვთის ძიების თანამედროვე ქვეტექსტი მზაკვრული და მატყუარაა. ჩეჩნეთში მშვიდობიან მოსახლეობას ბომბავენ, პატარა და ამაყ ქალაქს ანადგურებენ... ეკლესიებში კი სანთლებით დგანან... ჩვენ მხოლოდ ხმლით ცხოვრება შეგვიძლია. სიტყვის ნაცვლად კი კალაშნიკოვის ავტომატი გვაქვს. დამწვარ რუს ტანკისტებს გროზნოში ნიჩბებით და სამთითებით ხვეტავენ... იმას, რაც მათგან დარჩა... იქვე პრეზიდენტი და მისი გენერლები ლოცულობენ... ქვეყანა კი ამ ყველაფერს ტელევიზორით უყურებს...

რა გვჭირდება? ერთ შეკითხვას უნდა ვუპასუხოთ: შეუძლია კი რუს ერს გლობალურად გადააფასოს მთელი თავისი ისტორია, როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეძლეს იაპონელებმა და გერმანელებმა? გვეყოფა კი ამისთვის ინტელექტუალური სიმამაცე? ამის შესახებ ყველა დუმს. ლაპარაკობენ ბაზარზე, ვაუჩერებზე, ჩეკებზე... ჩვენ კიდევ ერთხელ ვცდილობთ თავი გავიტანოთ, მთელი ენერჯია ამაზე მიგვდის... სული კი მიგდებულია... ადამიანი ისევ მარტოა... მაშინ რად გვინდა ეს ყველაფერი... თქვენი წიგნი? ჩემი უძილო ღამეები? თუკი მთელი ჩვენი ცხოვრება ასანთის ღერის ერთი გაელვებაა? აქ შეიძლება რამდენიმე პასუხი მოვძებნოთ. პრიმიტიული ფატალიზმი მოვიშველიოთ. თუმცა, შეიძლება დიადი პასუხებიც მოიძებნოს. რუს ადამიანს სულ სჭირდება რაღაცის სჯეროდეს: რკინიგზის, ბაყაყის (ტურგენევის(ივან ტურგენევი (1818-1883) — რუსი მწერალი, რუსული ლიტერატურის კლასიკოსი.) ბაზაროვი), ბიზანტიის, ატომის... და აი, ახლა — ბაზრის...

ბულგაკოვი(მიხაილ ბულგაკოვი (1891-1940) — რუსი მწერალი, რუსული ლიტერატურის კლასიკოსი.) წერს „მოლიერში“: „მთელი ცხოვრება ვცოდავდი, მსახიობი ვიყავი“. ხელოვნების ცოდვილობის, მისი ბუნების ზნედაცემულობის განცდაა, სხვის ცხოვრებაში ჩა-

ხედვის ვნება, მაგრამ მან, როგორც უვარგისმა ღვრიტამ, შეიძლება სხვისი გამოცდილებისგან დაგვიცვას. ჩერნობილი — დოსტოევსკის თემაა. მცდელობა, გაამართლო ადამიანი. და იქნებ ყველაფერი ძალიან მარტივადაა: ფეხისწვერებზე დამდგარი გახვიდე სამყაროში და ზღურბლთან შეჩერდე?

გაოცდე ამ ღვთაებრივი სამყაროთი... და ისე იცხოვრო...“

ალექსანდრ რევალსკი

ისტორიკოსი

მონოლოგი იმაზე, თუ როგორი დაუცველია პატარა სიცოცხლე დიად დროში

„ნუ მეკითხებით... არა... არ მოვყვები ამაზე (ჯიუტად დუმს).

არა, შემიძლია დაგელაპარაკოთ, რომ გავიგო... თუ დამეხმარებით... მაგრამ ნუ შემიცოდებთ, ნურც დამიყვავებთ. გთხოვთ! არაა საჭირო! არა... არ შეიძლება ასე საზრისის გარეშე ტანჯვა, ამდენი ფიქრი არ შეიძლება! შეუძლებელია! შეუძლებელი! (თითქმის ყვირის). ჩვენ ისევ რებერვაციაში ვართ, ისევ ბანაკში ვცხოვრობთ... ჩერნობილის ბანაკში... მიტინგებზე ყვირიან, ლოზუნგებს დაატარებენ... გაზეთებში წერენ, რომ ჩერნობილმა დაშალა იმპერია, ჩვენ კი კომუნიზმისგან განგვკურნა... იმ გმირობებისგან, თვითმკვლელობას რომ ჰგავდა... საშინელი იდეებისგან... მე უკვე ვიცი... გმირობა — ესაა სიტყვა, რომელიც სახელმწიფომ მოიგონა ისეთებისთვის, როგორიც მე ვარ... მაგრამ მე სხვა არაფერი მაქვს, ასეთ სიტყვებსა და ადამიანებს შორის გავიზარდე. ყველაფერი გაქრა, ეს ცხოვრება გაქრა. რას მოვეჭიდო, როგორ გადავრჩე? საზრისის გარეშე ასე ტანჯვა არ შეიძლება...(დუმს) ერთი ვიცი, ბედნიერი ვერასდროს ვიქნები...

ჩამოვიდა იქიდან... რამდენიმე წელი ბოდვებში იცხოვრა... ყვე-
ბოდა და ყვებოდა. მე დავიმახსოვრე...

შუა სოფელში წითელი გუბურა დგას, ბატები და იხვები
გვერდს უვლიან...

ბიჭები, ჯარისკაცები, შიშველ-ტიტვლები ბალახზე წვანან, ირუ-
ჯებიან. „ადექით, ეშმაკებო, თორემ დაიხოცებით!“ ისინი კი — „ხა-
ხა“...

სოფლებიდან ბევრი საკუთარი მანქანით მოდიოდა. მანქანები
დაბინძურებული იყო. ბრძანება — გადმოდიო! მანქანას კი სპეცია-
ლურ ორმოში აგდებდნენ. იდგნენ და ტიროდნენ. ღამით კი მანქანას
ჩუმად თხრიდნენ...

„რა კარგია, ნინა, ორი შვილი რომ გვყავს...“

ექიმებმა მითხრეს: გული ერთნახევარჯერაა გადიდებული, თირ-
კმელები ერთნახევარჯერაა გადიდებული, ღვიძლი ერთნახევარჯე-
რაა გადიდებული.

ერთხელ, ღამით მეუბნება: „ჩემი არ გეშინია?“ სიახლოვისა უკვე
ეშინოდა.

არაფერს არ ვეკითხებოდი. მესმოდა მისი, გულით ვუსმენდი...
მინდოდა, თქვენთვის მეკითხა... მინდოდა მეთქვა... ხშირად მეჩვე-
ნება... იმდენად არ შემიძლია, რომ არც მინდა ვიცოდე... მეზიზღება
გახსენება! მეზიზღება! (ისევ ყვირის) ოდესღაც, ოდესღაც გმირების
მშურდა. მათი, ვინც დიდ მოვლენებში მონაწილეობდა, გარდამტეხ
მომენტებში უღელტეხილებზე იყო! ასე ვლაპარაკობდით მაშინ, ასე
ვმღეროდით. ლამაზი სიმღერები გვქონდა. (მღერის) „ირემო... ირე-
მო“... სიტყვები დამავიწყდა... „ფრთებზე მალლა გაფრინდი“... ასე
იყო, ჰო? როგორი, როგორი ლამაზი იყო ჩვენი სიმღერების სიტყვე-
ბი! ვოცნებობდი, გული მწყდებოდა, რომ ჩვიდმეტ ან ორმოცდაერთ
წელს არ დავიბადე. ახლა სხვანაირად ვფიქრობ: არ მინდა ისტორი-
აში, ისტორიულ დროში ცხოვრება. იქ ჩემი პატარა სიცოცხლე სრუ-
ლიად დაუსვენლია. დიადი მოვლენები ისე გათელავენ, ვერც შეამ-

ჩნევენ, არც შეჩერდებიან... (ჩაფიქრდა). ჩვენ შემდეგ დარჩება მხოლოდ ისტორია... ჩერნობილი დარჩება... და ჩემი სიცოცხლე? ჩემი სიყვარული?

ყვებოდა და ყვებოდა. მე ვიმახსოვრებდი.

მტრედები, ბელურები... წეროები... წერო მინდორში მირბის, მირბის, აფრენა უნდა და ვერ ფრინდება. ბელურა მიწაზე ხტის, მაგრამ ზემოთ ვერ ადის, ღობის ზემოთ ვერ იწევა.

ადამიანები წავიდნენ. სახლებში კი ცხოვრებას მათი ფოტოები აგრძელებენ.

მიტოვებულ სოფელში მიდიან და ხედავენ სურათს — როგორც ზღაპარში: ჭიშკართან ბებია და ბაბუა სხედან, მათ ირგვლივ კი ზღარბები დარბიან. იმდენია, წიწილები გეგონება. არ არიან ადამიანები და სოფელში სიჩუმეა, ზღარბებს აღარ ეშინიათ, მოდიან და რძეს ითხოვენ. მეღიებიც მოდიან, და ლოსიცო. ბიჭებიდან რომელიღაცას უთქვამს: „მე მონადირე ვარ!“ „რას ამბობ, რას ამბობ!“ — შეუცხადებიათ მოხუცებს — „არ შეიძლება მხეცების ხელის ხლება! დავნათესავდით და ახლა ერთი ოჯახი ვართ“.

იცოდა, რომ მოკვდებოდა, რომ კვდებოდა... და გადაწყვიტა — მხოლოდ მეგობრებით და სიყვარულით ეცხოვრა. ორ ადგილას ვმუშაობდი, მისი პენსია არ გვყოფნიდა. „მოდით, მანქანა გაყვიდით, ახალი არ არის, მაგრამ რაღაცას ხომ მოგვცემენ. სახლში იქნები, უფრო დიდხანს შეგხედავ“. მეგობრებს პატიუბდა... მოდიოდნენ, იქვე ახლოს ცხოვრობდნენ მისი მშობლები... ის რაღაცას მიხვდა... რაღაც ისეთი გაიგო იქ, რაც ადრე არ იცოდა. სხვა სიტყვებით ლაპარაკობდა...

„ნინა, რა კარგია, რომ ორი შვილი გყავს. გოგონა და ბიჭი“. ვეკითხები:

— ჩემზე და ბავშვებზე ფიქრობდი? რაზე ფიქრობდი?

— ბიჭუნა ვნახე, აფეთქებიდან ორი თვის თავზე გაჩნდა. ანტონი დაარქვეს. მაგრამ ყველა ატომჩიკს ეძახდა.

— ფიქრობდი...

— იქ ყველა ცოდოა. ჩრჩილიც ცოდოა და ბელურაც. დაე, ყველამ იცოცხლოს. დაე, ბუზებმა იფრინონ, კრაზანებმა იბზონ, ტარაკნებმა იცოცონ..

— შენ...

— ბავშვები ჩერნობილს ხატავენ... სურათებზე ხეები ფესვებით ზემოთ იზრდება. მდინარის წყალი წითელი ან ყვითელია. დახატავენ და მერე ტირიან.

მისი მეგობარი კი... მისი მეგობარი მიყვებოდა, როგორი საინტერესო იყო იქ, როგორ მხიარულად იყვნენ. ლექსებს კითხულობდნენ, გიტარას უკრავდნენ და მღეროდნენ. საუკეთესო ინჟინრები და მეცნიერები ჩავიდნენ. მოსკოვის და ლენინგრადის ელიტა. ფილოსოფოსობდნენ... პუგაჩოვა გამოვიდა მათ წინაშე... მინდორში... „ბიჭებო, თუ არ დაიღლებით, მთელი ღამე გიმღერებთ“, გმირები ხართო, — ეუბნებოდა... მისი მეგობარი... ის პირველი მოკვდა... შვილის ქორწილში ცეკვავდა, ანეკდოტებით ყველას აცინებდა. აიღო ბოკალი, სადღეგრძელო რომ ეთქვა და წაიქცა... ჩვენი კაცები... მშვიდობიან დროს ისე კვდებიან, თითქოს ომში იყვნენ... არ მინდა! არ მინდა გავიხსენო... (თვალებს ხუჭავს და ნელა ირწევს). არ მინდა ვილაპარაკო... მოკვდა და ისე შემეშინდა, თითქოს შავ ტყეში მართლ დავრჩი...

„ნინა, რა კარგია, რომ ორი შვილი გვყავს. გოგონა და ბიჭი. ისინი დარჩებიან“.

(აგრძელებს).

რას მინდა, მივხვდე? მე თვითონაც არ ვიცი... (ოღნავ იღიმება). მისმა მეგობარმა ხელი მთხოვა... როცა ვსწავლობდით, სტუდენტობისას მოვწონდი, მერე ჩემი მეგობარი შეირთო, მაგრამ მალევე გაშორდა. რაღაც არ გამოუვიდათ. თაიგულით მომადგა. „დედოფა-

ლივით იცხოვრებ!“ მაღაზია აქვს, დიდი ბინა ქალაქში, სახლი ქალაქგარეთ. უარი ვუთხარი... გაბრაზდა: „ხუთი წელი გავიდა... შენს გმირს ვერ ივიწყებ, ჰო?! ძეგლთან ერთად ცხოვრობ“... (თითქმის ყვირის). გავაგდე! გავაგდე! „შტერო, იცხოვრე შენი მასწავლებლის ხელფასით, შენი ასი დოლარით“. და ვცხოვრობ... (წყნარდება). ჩერნობილმა ჩემი ცხოვრება შეავსო და ჩემი სული გათავისუფლდა... მტკივა... ტკივილი გალაპარაკებს, კარგად გალაპარაკებს. ასე ვლაპარაკობდი... ამ ენაზე ვლაპარაკობდი, როცა მიყვარდა. და ახლა... რომ არ მჯეროდეს, ზეცაშია, ამას როგორ გადავიტანდი?

ის მიყვებოდა... მე დავიმახსოვრე (თითქოს ჰაერს ელაპარაკება).

მტვრის ღრუბელი... მინდორში ტრაქტორები... ქალები სამთითებით. დობიშეტრი ელაფს...

ადამიანები არ არიან და დროც სხვანაირად გადის... დღე გრძელია, ისეთი გრძელი, როგორც ბავშვობაში...

ფოთლების დაწვა არ შეიძლებოდა, ფოთლებს მარხავდნენ...

საბრისის გარეშე ასე ტანჯვა არ შეიძლება... (ტირის). ნაცნობი ლამაზი სიტყვების გარეშე, მედლის გარეშე, რომელიც მისცეს. სახლში დევს, კარადაში... ჩვენ დაგვიტოვა...

ერთი ვიცი, უკვე არასდროს ვიქნები ბედნიერი...“

ნინა პროხოროვა ლიტვინა

ლიკვიდატორის ცოლი

მონოლოგი ფიზიკაზე, რომელიც ერთ დროს ყველას გვიყვარდა

„მე ის ვარ, ვინც თქვენ გჭირდებათ... არ შემცდარხართ...“

ახალგაზრდობიდან ასეთი ჩვევა მაქვს, ყველაფერს ვიწერ. მაგალითად, ვიწერდი, სტალინი რომ მოკვდა, რა ხდებოდა ქუჩებში, რას წერდნენ გაზეთები. ჩერნობილსაც ყოველ დღე ვიწერდი, ვიცოდი, რომ დრო გავიდოდა და ბევრი რამ დაგვაავიწყდებოდა, სამუდამოდ გაქრებოდა. ასეც მოხდა. ჩემს მეგობრებს ბირთვულ-ფიზიკოსებს უკვე დაავიწყდათ, რას გრძნობდნენ, რას მელაპარაკებოდნენ. მე ყველაფერი ჩავიწერე...

იმ დღეს... მე, ბელარუსის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული ენერგეტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სამსახურში მივედი. ჩვენი ინსტიტუტი ქალაქგარეთ, ტყეშია. ულამაზესი ბუნებაა! გაბაფხულია. ფანჯარა გავადე. სუფთა ჰაერია. გამიკვირდა — რატომღაც დღეს არ მოფრინდნენ გულყვითელები, რომელთაც მთელი ზამთარი ვკვებავდი ფანჯარაში გაკიდული ძეხვის ნაჭრებით. უკეთესი საჭმელი ნახეს?

ამ დროს ჩვენი ინსტიტუტის რეაქტორზე პანიკაა: დომიმეტრული ხელსაწყოები აქტიურობის ზრდას უჩვენებს, ჰაერის გამწმენდ ფილტრებზე მისი ნიშნული ორასჯერ გაიზარდა. დომის სიძლიერე გასასვლელთან — საათში სამი მილირენტგენია. ძალიან სერიოზული ამბავია. ეს რაოდენობა ზღვრულია და რადიაციულად საშიშ შენობებში ამ პირობებში მუშაობა მხოლოდ ექვს საათსაა დაშვებული. თავიდან ვივარაუდეთ, რომ აქტიურ ზონაში ერთ-ერთი სითბოს გამომყოფი ელემენტის გარსის ჰერმეტიზაცია დაირღვა. შევამოწმეთ და ნორმაშია. იქნებ, კონტეინერი გამოჰქონდათ რადიოქიმიური ლაბორატორიიდან და გზაში მისი შიდა გარსი ისე დააზიანეს, რომ ტერიტორია დაბინძურდა? ახლა სცადე და რეცხე ლაქა ასფალტზე! რა მოხდა? ამ დროს შიდა რადიოში აცხადებენ — რეკომენდირებულია თანამშრომელებმა არ დატოვონ შენობა. კორპუსებს შორის სიცარიელეა. ადამიანის ჭაჭანება არ არის. საშიში და უცნაური გრძნობაა.

დობიმეტრისტებმა ჩემი კაბინეტი შეამოწმეს: „ანათებს“ მაგიდა, ანათებს ტანსაცმელი, კედლები... ვდგები და არც მინდა, სკამზე დავჯდე. თავი ნიჟარის ქვეშ დავიბანე. დობიმეტრს შევხედე — შედეგი სახეზეა. ნუთუ ჩვენთან მოხდა რაღაც, ჩვენს ინსტიტუტში? გაჟონა? როგორ მოვახერხოთ ახლა იმ ავტობუსების დეაქტივაცია, რომლითაც ჩვენ დავდივართ? თავის მტვრევა მოგვიწევს... არადა, როგორ ვამაყობდი ჩვენი რეაქტორით, მილიმეტრებში მქონდა შესწავლილი...

იგნალინსკის ატომურ სადგურზე ვრეკავთ, ის ახლოსაა. მათთანაც ყვირიან ხელსაწყოები. პანიკაა იქაც. ვრეკავთ ჩერნობილში... სადგურის არც ერთი ტელეფონი არ პასუხობს... სადილის დროს გაირკვა, რომ მთელ მინსკს რადიოაქტიური ღრუბელი ფარავს. განვსაზღვრეთ იოდის აქტიურობა. ავარიას რომელიღაც რეაქტორზე.

პირველი რეაქცია: სახლში უნდა დავრეკო და ცოლი გავაფრთხილო. ინსტიტუტში ყველა ტელეფონი ისმინება. ოჰ, ეს მარადიული, ათწლეულობით სისხლში გამჯდარი შიში! მაგრამ სახლში... იქ არაფერი იციან. ჩემი გოგონა კონსერვატორიაში მეცადინეობის შემდეგ მეგობრებთან ერთად ქალაქში სეირნობს. ნაყინს ჭამს. დავრეკო?! უსიამოვნებები იქნება. საიდუმლო სამუშაოებთან აღარ დამიშვებენ. მაინც ვერ ვიკავებ თავს, ყურმილს ვიღებ:

— ყურადღებით მომისმინე.

— რა ხდება? — ხმამაღლა მეკითხება ცოლი.

— ჩუმად. დაკეტე სარკმლები. პროდუქტები პოლიეთილენის პაკეტებში ჩააწყვე. რეზინის ხელთათმანები ჩაიცვი და სველი ჩვრით გაწმინდე ყველაფერი, რისი გაწმენდაც შეიძლება. ჩვარიც პაკეტში ჩადე და სადმე დამალე. თეთრეული, რომელიც აივანზე შრება, ისევ სარეცხში შეაბრუნე. არავითარ შემთხვევაში არ ჭამოთ ქუჩაში ღვებლები...

— რა მოხდა თქვენთან?

— ჩუმად. ორი წვეთი იოდი ერთ ჭიქა წყალში გააზავე. თავი დაიბანე...

— რა?.. — ყურმილს ვდებ, არაფრის თქმის უფლებას არ ვაძლევ ცოლს. უნდა მიხვდეს, თვითონაც ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელია. გებისტი(გებისტი — ასე ეძახოდნენ საბჭოთა კავშირში უშიშროების თანამშრომლებს.) თუ მისმენდა, ალბათ ფურცელზე ჩაიწერა რეკომენდაციები თავისთვის და თავისი ოჯახისთვის.

თხუთმეტ საათსა და ოცდაათ წუთზე ირკვევა, რომ ჩერნობილის რეაქტორზე ავარიაა...

სალამოს მინსკში სამსახურის ავტობუსით ვბრუნდებით. იმ ნახევარი საათის განმავლობაში, რაც გზაში ვართ, რაღაც სხვაზე ვლაპარაკობთ ან ვდუმვართ. გვეშინია ხმამაღლა იმაზე ლაპარაკი, რაც მოხდა. ყველას პარტბილეთი გვიდევს ჰიბეში...

ბინის კართან სველი ჩვარი აგია. ესე იგი, ცოლმა ყველაფერი გაიგო. შევდივარ, შემოსასვლელში ვიხდი კოსტიუმს, პერანგს, ტრუსებით ვრჩები. უცებ საშინელი სიბრაზე მიპყრობს... ეშმაკსაც წაუღია ეს საიდუმლოება! ეს შიში! ქალაქის ტელეფონის ცნობარს ვიღებ... ცოლის, ქალიშვილის სატელეფონო ბლოკნოტებს... ყველას სათითაოდ ვურეკავ, რომ მე, ბირთვული ენერგეტიკის ინსტიტუტის თანამშრომელი, ვამბობ — მინსკის თავზე რადიოაქტიური ღრუბელია... მერე ჩამოვთვლი, რა უნდა გააკეთონ: სარეცხი საპნით დაიბანონ თავი, დაკეტონ სარკმლები... სამ-ოთხ საათში ერთხელ სველი ჩვრით მოწმინდონ იატაკი. სარეცხი, რომელიც აივანზეა, ისევ გარეცხონ. დალიონ იოდი. ვასწავლი, როგორ უნდა დალიონ სწორად... რეაქცია ასეთია: მადლობა. არც არაფერს მეკითხებიან, არც ეშინიათ. ვფიქრობ, ჩემი არ სჯეროდათ ან მოვლენის გრანდიოზულობას ვერ აცნობიერებდნენ. არავინ შეშინებულა. საოცარი რეაქციაა! გამაოგნებელი!

საღამოს მეგობარი მირეკავს. ბირთვული ფიზიკის სპეციალისტი, მეცნიერებათა დოქტორი... რა უხერხულია! რა რწმენით ვცხოვრობდით! ეს მხოლოდ ახლა გვესმის! მირეკავს და სხვათა შორის, იმასაც მეუბნება, რომ მაისის დღესასწაულებზე ცოლის მშობლებთან, გომელშინოში აპირებს წასვლას. ჩერნობილი ერთი ხელის გაწვდენაზე იქიდან! პატარა ბავშვებთან ერთად მიდის. „გადასარევი გადაწყვეტილებაა!“ — ვყვირი, — „გაგიჟდი?“ ალბათ ვყვიროდი, არც ახსოვს, რომ მე გადავარჩინე მისი ბავშვები (ამოისუნთქავს და ისე ამბობს).

ჩვენ... ყველაზე ვამბობ... ჩვენ ჩერნობილი არ დავივიწყეთ, ჩვენ ის ვერ გავიგეთ. აბა, რა ესმოდათ ველურებს, როცა ელვას უყურებდნენ?

წიგნში ალესია ადამოვიჩის ესეია... მისი საუბარი აკადემიკოს ანდრეი სახაროვთან ატომური ბომბის შესახებ... „იცით, როგორი კარგია ოზონის სუნი ატომური აფეთქების შემდეგ?“ — ამტკიცებდა აკადემიკოსი, „წყალბადის ბომბის მამა“. ამ სიტყვებში რომანტიკაა. ჩემი... ჩემი თაობისა... მაპატიეთ, თქვენს სახეზე რეაქციას ვხედავ... თქვენ ეს ადამიანის გენიალობის კი არა, საყოველთაო კოშმარის წინაშე აღტაცებად მიგაჩნიათ... ეს ახლაა ბირთვული ენერგეტიკა დამცირებული და შერცხვენილი. ჩემი თაობა... ორმოცდახუთში, როცა ატომური ბომბი ააფეთქეს, მე ჩვიდმეტი წლისა ვიყავი. ფანტასტიკა მიყვარდა, სხვა პლანეტაზე გაფრენაზე ვოცნებობდი, მჯეროდა, რომ ბირთვული ენერგია ცაში აგვაფრენდა. მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტში ჩავაბარე და იქ გავიგე, რომ არსებობს სრულიად გასაიდუმლოებული ფიზიკა-ენერგეტიკის ფაკულტეტი. ორმოცდაათიანი, სამოციანი წლები... ბირთვული ფიზიკოსები... ელიტა... ყველანი აღფრთოვანებულები შევეყურებთ მომავალს... ჰუმანიტარები შევაფიწროვით... სამ კაპიკად, გვეუბნებოდა ჩემი სკოლის მასწავლებელი, იმდენი ენერგიაა, შეიძლება ელექტროსადგური აამუშავო. სუნ-

თქვა გვეკვროდა! ამერიკელ სმიტს ვკითხულობდი, რომელიც აღწერდა, თუ როგორ გამოიგონეს ატომური ბომბი, როგორ ატარებდნენ ცდებს, აფეთქების დეტალებს. ჩვენთან ეს ყველაფერი გასაიდუმლოებული იყო. ვკითხულობდი... წარმოვიდგენდი... საბჭოთა ატომურ ფიზიკოსებზე ფილმიც გამოვიდა – „ერთი წლის ცხრა დღე“ და ძალიან პოპულარული იყო. მაღალი ხელფასი და საიდუმლოება კიდევ უფრო ამძაფრებდა რომანტიზმს. ფიზიკის კულტი! ფიზიკის დრო! მაშინაც კი, როცა ჩერნობილი აფეთქდა... ძალიან ნელ-ნელა ვემშვიდობებოდით ამ კულტს... მეცნიერებს იძახებდნენ... ისინი რეაქტორზე სპეცრეისით გაფრინდნენ, რამდენიმე პირის საპარსიც კი არ წაიღო, ეგონათ, რამდენიმე საათით მივფრინავთო. გააფრთხილეს, ატომურ სადგურზე აფეთქებააო და მაინც. მათ ყველას ფიზიკა სწამდათ, ყველანი ამ რწმენის თაობის ხალხი იყო. ფიზიკის ერა ჩერნობილში დამთავრდა...

თქვენ უკვე სხვანაირად უყურებთ სამყაროს... ჩემს საყვარელ ფილოსოფოსთან, კონსტანტინე ლეონტიევთან(კონსტანტინე ლეონტიევი (1831-1891) – რუსი დიპლომატი, ფილოსოფოსი, მწერალი, პუბლიცისტი.

) ამოვიკითხე აზრი იმის შესახებ, რომ ოდესმე ფიზიკა-ქიმიის დანაშაულების შედეგები აიძულებს კოსმიურ გონს, რომ ჩვენი, დედამიწელების ცხოვრებაში ჩაერიოს. ჩვენ კი, სტალინის დროს გაზრდილებს, არ შეგვეძლო დაგვეშვა რაიმე ზებუნებრივი ძალის ან პარალელური სამყაროების არსებობა, ბიბლია მერე წავიკითხე... და ერთ ქალზე ორჯერ ვიქორწინე... წავედი და დავბრუნდი. კიდევ ერთხელ შევხვდით... ვინ ამიხსნის ამ სასწაულს? ცხოვრება საოცარი რამაა! უცნაურია! ახლა მწამს... რისი მწამს? იმისი, რომ სამგანზომილებიანი სამყარო ძალიან პატარაა თანამედროვე ადამიანისთვის... რატომ დაგვანტერესა დღეს სხვა რეალობამ? ახალმა ცოდნამ... ადამიანი მოსწყდა მიწას... ახლა ის ცდილობს დროის სხვა კატეგორიებში, არამხოლოდ დედამიწის, არამედ, სხვადასხვა სამყარო-

როლებში შეღწევას... აპოკალიფსი... ბირთვული ზამთარი... და-სავლურ ხელოვნებაში ეს ყველაფერი უკვე აღწერეს... დახატეს... გადაიღეს... ისინი მომავლისთვის ემზადებიან... ბირთვული იარაღის დიდი რაოდენობით აფეთქება გამოიწვევს უზარმაზარ ხანძრებს. ატმოსფერო კვამლით გაივსება. მზის სხივები მიწამდე ვერ მოაღწევს, იქ კი ჯაჭვური რეაქცია წავა და უფრო და უფრო აცივდება. „ქვეყნის დასასრულის“ ამ ვერსიას მეთვრამეტე საუკუნის სამეურნეო რევოლუციის შემდეგ ავრცელებენ. მაგრამ ატომური ბომბები არ გაქრება მაშინაც კი, როცა უკანასკნელი ჭურვიც განადგურდება. ცოდნა დარჩება...

თქვენ არაფერს ამბობთ... მე კი სულ გეკამათებით... ეს თაობათა შორის კამათია... ატყობთ? ატომის ისტორია – ეს არა მხოლოდ სამხედრო საიდუმლო და წყევლაა, ეს – ჩვენი ახალგაზრდობაა, ჩვენი დროა... ჩვენი რელიგიაა... და ახლა? ახლა მეც მენვინება, რომ მსოფლიოს ვიღაც სხვა მართავს და ჩვენ მის ხელში, ამ ჩვენი ქვემეხებით და კოსმოსური ხომალდებით ბავშვებივით ვართ... თუმცა, მთლად ბოლომდეც არ ვარ დარწმუნებული, რომ ასეა... ბოლომდე არ მჯერა... საოცარია ცხოვრება! მე ფიზიკა მიყვარდა და ვფიქრობდი, რომ ცხოვრებაში ფიზიკის გარდა არაფერს გავაკეთებდი, ახლა კი წერა მინდა. მაგალითად, იმაზე, რომ მეცნიერებას ადამიანი, თბილი ადამიანი ხელს უშლის, პატარა ადამიანი თავისი პატარა პრობლემებით, ან იმაზე, თუ როგორ შეუძლია რამდენიმე ფიზიკოსს, მთელი ქვეყნიერება შეცვალოს, ფიზიკისა და მათემატიკის დიქტატურაზე... კიდევ ერთი სუნთქვა გამეხსნა...

...ოპერაციის წინ... უკვე ვიცოდი, რომ კიბო მაქვს... ვფიქრობდი, რომ მხოლოდ რამდენიმე დღეა დამრჩენია და საშინლად არ მინდოდა სიკვდილი. უცებ დავინახე თითოეული ფოთოლი, ნათელი ყვავილები, ნათელი ცა, ღია ნაცრისფერი ასფალტი, მისი ნახეთქები, სადაც ჭიანჭველები დაცოცავდნენ. ვიფიქ-

რე, რომ არა, მათ გვერდი უნდა ავუარო. მეცოდებიან. რატომ უნდა დაიხოცონ? ტყის სუნი თავბრუს მახვევდა... სუნი ფერზე ცხადი იყო... მსუბუქი არყები... მძიმე ნაძვები... და ამ ყველაფერს ველარასდროს ვნახავ? სიცოცხლის ერთი წამი, ერთი წუთიც კიდევ რომ მქონოდა! რატომ გავატარე ამდენი დრო ტელევიზორის ეკრანთან და გაზეთების დასტებთან? მთავარი — სიცოცხლე და სიკვდილია. სხვა არაფერი არსებობს. ამ ორს სხვა ვერაფერი გადაწონის...

მივხვდი, რომ მხოლოდ ცოცხალ დროს აქვს აზრი... ჩვენს ცოცხალ დროს...“

ველენტინ ალექსეევიჩ ბორისოვიჩი
ბელარუსის მეცნიერებათა აკადემიის
ბირთვული ენერგეტიკის ინსტიტუტის
ლაბორატორიის ყოფილი გამგე

მონოლოგი იმაზე, რაც კოლიმაზე, ოსვენციმსა და ჰოლოკოსტზე მეტია

„მინდა, ვილაცასთან ამოვთქვა... გრძნობებს ველარ ვერევი...“

პირველ დღეებში... განცდებიც არეული გვექონდა... ორი ყველაზე ძლიერი გრძნობა მახსოვს — შიშისა და წყენის. ყველაფერი მოხდა და არანაირი ინფორმაცია: მთავრობა ღუმდა, არც ექიმები ამბობდნენ რამეს — არც ერთი პასუხი. რაიონში ელოდნენ მითითებებს ოლქიდან, ოლქში — მინსკიდან, მინსკში — მოსკოვიდან. გრძელი, გრძელი ჯაჭვი... სინამდვილეში ჩვენ სრულიად დაუცველი აღმოვჩნდით. იმ დღეებში ამას ყველაზე მძაფრად ვგრძნობდით. სადღაც შორს... გორბაჩოვი... და კიდევ რამდენიმე ადამიანი წყვეტდა ჩვენს ბედს. ყველას მაგივრად რამდენიმე წყვეტდა მილიონობით ადამიანის ბედს. ისევე, როგორც რამდენიმე ადამიანის შეეძლო,

მოვეკალით. მანიაკებს და ტერორისტული ჩანაფიქრის მქონე დამნაშავეებს კი არა, ატომური სადგურის ჩვეულებრივ მორიგეებს. შეიძლება, არც არიან ცუდი ბიჭები. როცა ეს გავიგე, საშინელ სასოწარკვეთაში ჩავვარდი. რაღაც ისეთი აღმოვაჩინე... მიხვდი, რომ ჩერნობილი კოლიმასა და ოსვენციმზე უარესია... და ჰოლოკოსტზეც... ნათლად ვამბობ? ადამიანს ცულითა და მშვილდით ან ადამიანს ტყვიამფრქვევითა და გაზის კამერებით არ შეეძლოთ ყველას დახოცვა... მაგრამ ადამიანი ატომით... აქ... მთელი დედამიწა საფრთხეშია...

ფილოსოფოსი არ ვარ და ფილოსოფოსობას არ დავიწყებ. გაგიზიარებთ იმას, რაც მახსოვს...

პირველი დღეების პანიკა: ვილაც წავიდა და აფთიაქში იოლი იყიდა, ვილაც ბაზარში რძის, ხორცის, განსაკუთრებით, ძროხის ხორცის საყიდლად აღარ დადიოდა, ჩვენს ოჯახში იმ დროს ვცდილობდით ფული არ დაგვეზოგა, ძვირიან ძეხვს ვყიდულობდით, ვფიქრობდით, რომ კარგი ხორცისგან იყო დამზადებული. მაგრამ მალევე გავიგეთ, რომ სწორედ ძვირიან ძეხვში ურევდნენ დაბინძურებულ ხორცს, ვითომ, ძვირია, ბევრს არ იყიდიან და ცოტას მოიხმარენო. ჩვენ სრულიად დაუცველები აღმოვჩნდით. ეს ყველაფერი, თქვენ, ცხადია, იცით. სხვა რამეზე მინდა გელაპარაკოთ, იმაზე, რომ ჩვენ საბჭოთა ადამიანები ვიყავთ.

ჩემი მეგობრები მასწავლებლები და ექიმები არიან, ადგილობრივი ინტელიგენცია. ჩვენი წრე გვქონდა. ჩემთან, სახლში შევიკრიბეთ. ყავას ვსვამთ. ზის ორი ძველი მეგობარი, ერთი — ექიმი. ორივეს პატარა ბავშვები ჰყავთ.

პირველი:

— ხვალ მშობლებთან მივდივარ. ბავშვებს წავიყვან. ავად რომ გამიხდნენ, ჩემს თავს ვერასდროს ვაპატიებ.

მეორე:

— გაბეთებში წერენ, რომ რამდენიმე დღეში მდგომარეობა ნორ-
მალური იქნება. იქ ჩვენი ჯარები დგას. შვეულმფრენები, ჯავშანტექ-
ნიკა. რადიოში გადმოსცეს...

პირველი:

— შენც გირჩევ: მოკიდე ბავშვებს ხელი! წაიყვანე! დამალე! რა-
ღაც... ომზე საშინელი მოხდა. ჩვენ ჯერ კიდევ ვერც წარმოვიდგენთ,
ისეთი!

უცვბ ხმას აუწიეს და ჩხუბით, ერთმანეთის მიმართ საყვედურე-
ბით დაამთავრეს:

— სადაა შენი დედობრივი ინსტიქტი? ფანატიკოსო!

— გამყიდველი ხარ! რა იქნებოდა, ყველა რომ ისე მოქცეულიყო,
როგორც შენ? ომში გავიმარჯვებდით?

ორი ლამაზი ქალი ჩხუბობდა, ქალები, რომელებსაც საკუთარი
შვილები სიცოცხლეს ერჩივნათ. რაღაც მეორდებოდა... ნაცნობი
სქემა იყო...

ყველას, ვინც იქ ვიყავით, და მათ შორის მეც, გაგვიჩნდა ერთი
განცდა: ჩემს მეგობარს შფოთი შემოჰქონდა, წონასწორობას გვი-
კარგავდა, ნდობას გვიკარგავდა იმის მიმართ, რასაც მივეჩვიეთ და
რისიც ამდენ ხანს გვჯეროდა. უნდა დავიცადოთ, როდის გვეტყვიან,
გამოაცხადებენ. ის ექიმი იყო და მეტი იცოდა: „საკუთარ შვილებსაც
კი ვერ იცავთ! არავინ გემუქრებათ და მაინც გეშინიათ!“

როგორ ვერ ვიტანდით იმ წუთებში, თითქმის გვძულდა, საღამო
გაგვიფუჭა. ნათლად ვამბობ? მარტო ხელისუფლება კი არ ვვატყუ-
ებდა, ჩვენ თვითონაც არ გვინდოდა, სიმართლე გვცოდნოდა. სად-
ღაც იქ... ქვეცნობიერის ფსკერზე... ცხადია, ახლა არ გვინდა, ამაში
საკუთარ თავს გამოვუტყდეთ, მოგვწონდა, როცა გორბაჩოვს და
კომუნისტებს ვლანძლავდით... ისინი დამნაშავეები არიან, ხოლო
ჩვენ კარგები, თანაც, მსხვერპლები.

მეორე დღეს ის წავიდა, ჩვენ კი ჩვენი ბავშვები ლამაზად გამო-
ვაწყვეთ და პირველი მაისის დემონსტრაციაზე წავიყვანეთ. შეგვეძ-

ლო წავსულიყავით, შეგვეძლო, არც წავსულიყავით. არჩევანი გვექონდა. არავინ არ გვთხოვდა, არავინ არ გვაიძულებდა. მაგრამ ეს საკუთარ მოვალეობად ჩავთვალეთ. აბა, როგორ? ასეთ დროს, ასეთ დღეს... ყველანი ერთად უნდა ვყოფილიყავით... დავრბოდით ქუჩებში... ხალხში...

ტრიბუნაზე პარტიის რაიკომის ყველა მდივანი იდგა, პირველი მდივნის გვერდით კი — მისი პატარა გოგონა. ისე იდგა, რომ ყველას დაენახა. მართალია, მზე ანათებდა, მაგრამ მას მაინც მოსასხამი ეცვა, ქუდიც ეხურა, ზემოდან სამხედრო მოსასხამ-კარავიც კი ჰქონდა მოხურული... მაგრამ ხომ იდგა! ეს მახსოვს... მარტო ჩვენი მიწა კი არა, ჩვენი ცნობიერებაც მოწამლულია. და ისიც, დიდი ხნით...

ამ წლებში გაცილებით უფრო მეტად შევიცვალე, ვიდრე მთელი მანამდელი ცხოვრების, ორმოცი წლის განმავლობაში. ჩვენ ზონაში ვართ ჩაკეტილები, გასახლება შეწყდა. ისე ვცხოვრობთ, როგორც გულაგში, ჩერნობილის გულაგში... ბავშვთა ბიბლიოთეკაში ვმუშაობ. ბავშვები ელიან, როდის დაველაპარაკებით: ჩერნობილია ყველგან, ირგვლივ — ისაა, სხვა გზა არა გვაქვს, უნდა ვისწავლოთ მასთან ერთად ცხოვრება. უფროსკლასელებს აინტერესებთ, გვეკითხებიან: როგორ იყო? საიდან გავიგოთ ამის შესახებ? სად წავიკითხოთ? არაა წიგნები, არც ფილმებია. ზღაპრებიც კი არაა. არც მითები. მე სიყვარულს ვასწავლი, ვცდილობ, შიშზე სიყვარულით გავიმარჯვო. ბავშვების წინ ვდგავარ: მიყვარს ჩვენი სოფელი, მიყვარს ჩვენი მდინარე, ჩვენი ტყეები... ისინი ყველაზე, ყველაზე საუკეთესოა! ჩემთვის არ არსებობს უკეთესი. არ ვატყუებ. სიყვარულით ვასწავლი. გასაგებად ვლაპარაკობ?

მასწავლებლის გამოცდილება ხელს მიშლის... ცოტათი აღელვებული ვლაპარაკობ და ვწერ, დღეს უკვე ასე მოძველებული პათოსით. მაგრამ ახლა ვპასუხობ თქვენს შეკითხვას, რატომ

ვართ ასეთი უმწეოები? უმწეო ვარ... იყო კულტურა ჩერნობილამდე და აღარ არის კულტურა ჩერნობილის შემდეგ. ომის იდეის, სოციალიზმის კრახისა და ბურუსით მოცული მომავლის პირობებში ვცხოვრობთ. არ გვაქვს ახალი შეხედულებები, მიზნები, იდეები. სადა არიან ჩვენი მწერლები და ფილოსოფოსები? იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ჩვენი ინტელიგენცია, რომელმაც მოამზადა და რომელიც ყველაზე მეტად ელოდა თავისუფლებას, დღეს სრულიად მიგდებულია, ლატაკია და დამცირებული. ჩვენ არავის ვჭირდებით. სრულიად არავის. ისიც კი არ შემოიძლია, აუცილებელი წიგნები ვიყიდო, წიგნი კი — ჩემი ცხოვრებაა. მე... ჩვენ... არასდროს არ გვჭირდებოდა ახალი წიგნები ისე, როგორც დღეს, იმიტომ, რომ ახალი ცხოვრება მოვიდა. ჩვენ კი უცხოები ვართ. არ შემოიძლია ამასთან შეგუება. რატომ მოხდა ასე? სულ ამას ვეკითხები საკუთარ თავს. ვინ გააკეთებს ჩვენს საქმეს? ტელევიზორი ბავშვებს ვერ ასწავლის, მასწავლებელმა უნდა ასწავლოს, მაგრამ ეს სხვა თემაა...

გავიხსენე... იმ დღეების და ჩვენი განცდების სიმართლის გამო. რათა არ დაგვავიწყდეს, როგორ ვიცვლებოდით ჩვენც და ჩვენი ცხოვრებაც...”

ლიუდმილა დიმიტრევნა პოლანსკაია
სოფლის მასწავლებელი

მონოლოგი თავისუფლებაზე და იმაზე, რომ ჩვეულებრივ სიკვდილზე ოცნებობ

„თავისუფალი ვიყავი... იქ თავისუფლად ვგრძნობდი თავს...

გაგიკვირდათ? ვხედავ, გაგიკვირდათ... ამას მხოლოდ ის გაიგებს, ვინ ომში ყოფილა. დალევენ ნაომარი კაცები და იხსენებენ, მისმენია მათთვის, ის თავისუფლება და აღმაფრენა დღემდე ენატ-

რებათ. სტალინის ბრძანებაა — არც ერთი ნაბიჯი უკან! გადამლობი (გადამლობი რაზმები — მეორე მსოფლიო ომის დროს სპეციალური რაზმები, რომლებიც საბჭოთა ჯარს არ აძლევდნენ უკან დახევის უფლებას.) რაზმები... გასაგები ამბავია... უკვე ისტორიაა. ისვრი, გადარჩენისთვის იბრძვი, იღებ დაწესებულ ას გრამს, წეკოს... ყოველ წამს შეიძლება მოკვდე, ნაწილებად დაიფანტო, მაგრამ თუ ეცდები, აჯობებ — ეშმაკს, სატანას, ზემდეგს, მეთაურს, იმას, ვინც მტრის ჩაფხუტში და მტრის ხიშტითაა, დაელაპარაკები ყველაზე მაღალს — შეძლებ, გადარჩე! რეაქტორზე ვიყავი... ისე ხარ იქ, როგორც წინა ხაზზე, სანგარში. შიში და თავისუფლება! უკანაკნელ წვეთამდე ცხოვრობ... ყოველდღიურ ცხოვრებაში ამას ვერ გაიგებ... ვერ ჩაწვდები. გახსოვთ, ყოველთვის გვეუბნებოდნენ — ომი იქნებაო. მაგრამ ცნობიერება მზად არ აღმოჩნდა. მე არ ვიყავი მზად... იმ დღეს... მე და ჩემი ცოლი საღამოს კინოში წასვლას ვაპირებდით... ქარხანაში ორი სამხედრო მოვიდა. გამომიძახეს: „სალიარკას ბენზინისგან არჩევ?“ ვკითხე: „სად მიშვებთ?“ — „სად და... მოხალისედ ჩერნობილში“. სამხედრო პროფესიაც მაქვს — რაკეტების საწვავის სპეციალისტი ვარ. საიდუმლო სპეციალობაა. პირდაპირ ქარხნიდან წამიყვანეს, მაისურით და სპორტული ქურთუკით, სახლში შერბენის უფლებაც არ მომცეს. ვთხოვე: „ცოლს გავაფრთხილებ!“ მითხრეს: — „ჩვენ თვითონ გავაფრთხილებთ!“ ავტობუსში თხუთმეტი ვიყავით. ბიჭები მომეწონნენ: თუ საჭიროა — წავალთ, თუ საჭიროა — ვიმუშავებთო. რეაქტორთან მიგვყარეს — რეაქტორის სახურავზე დავძვრებოდით...

გამოსახლებულ სოფლებთან კოშკები იდგა. კოშკებში — იარაღიანი ჯარისკაცები ისხდნენ. იარაღში ტყვიები ჰქონდათ. შლაგბაუმები იდგა წარწერებით: „გზისპირი დაბინძურებულია. შესვლა და გაჩერება მკაცრად აკრძალულია“. დეაქტივაციის სითხე შესხურებულია. თეთრ-მონაცრისფრო ხეები, თოვლივით

თეთრი. კინალამ გავაფრინე! პირველ დღეებში მიწაზე, ბალახზე დაჯდომის გვეშინოდა, კი არ დავდიოდით, დავრბოდით, როგორც კი მანაქანა მოგვიახლოვდებოდა, ეგრევე რესპირატორებს ვიმარჯვებდით. ცვლის შემდეგ კარვებში ვისხედით. ხა-ხა! რამდენიმე თვის შემდეგ ამ ყველაფერს მივეჩვიეთ, უკვე ეს იყო ჩვენი ცხოვრება. ქლიავებს ვწყვეტდით, ბადით თევზს ვიჭერდით, აი, ამხელა ქარიყლაპიებს! ამის შესახებ თქვენ ალბათ უკვე იცით?! ფეხბურთს ვთამაშობდით, ვბანაობდით! ხა-ხა! (ისევ იცინის). ბედის გვჯეროდა, სულის სიღრმეში ჩვენ ყველანი ფატალისტები ვართ და არა — აფთიაქარები... არც რაციონალისტები. სლავური მენტალიტეტი... ჩემი ვარსკვლავისა მწამდა! ხა-ხა! მეორე ჯგუფის ინვალიდი! ეგრევე ავად გავხდი. დაწყევლილი „სხივური“... დაწყევლილი... გასაგები ამბავია... მე კი მანამდე პოლიკლინიკაში სამედიცინო ბარათიც კი არ მქონია. ეშმაკმა დალახვროს! მარტო მე ხომ არ ვარ ასე... მენტალიტეტი...

ჯარისკაცი ვარ — სხვის სახლს ვკეტავდი, სხვის სახლში შევდიოდით. ეს ისეთი გრძნობაა, თითქოს ვიღაცას უთვალთვალებ... ან მიწა, რომელზედაც არ შეიძლება, რაიმე დათესო... ძროხა ბოსელშია ჩაკეტილი, სახლსაც ბოქლომი ადევს. ძუძუებიდან რძე გასდის... ეს ისეთი გრძნობაა! სოფლებში, რომელებიც ჯერ არ გამოესახლებინათ, გლეხები შინაურ არაყს ხდიდნენ, ეს იყო მათი სარჩო. ჩვენ ვყიდულობდით. ფული კი გვქონდა. ხელფასის სამმაგ ოდენობას გვიხდიდნენ და დღიურსაც სამმაგს გვიწერდნენ. მერე ბრძანება გამოსცეს — ვინც ბევრს დალევს, მეორე ვადით დავტოვებთო. შველის ნეტავ არაყი თუ ვერა? თუნდაც ფსიქოლოგიურად... იქ კი ამ რეცეპტისა ყველას სჯეროდა... გასაგები ამბავია... გლეხების ცხოვრება იოლად მიდის: რაღაცას დარგავ, მოიყვან, მოსავალს აიღებ... დანარჩენი არაფერი ეხებოდათ... არც მეფე აინტერესებდათ და არც — ხელისუფლება, არც ცეკას პირველი მდივანი და არც პრემიერდენტი... არც კოსმოსური ხომალდები, ატომური სადგურები და მიტინგები

დედაქალაქში. ისინი ვერ იჯერებდნენ, რომ ქვეყანა ერთ წამში ამობრუნდა, და უკვე სხვანაირ სამყაროში ცხოვრობენ... ჩერნობილისაში... თანაც, არსადაც არ წასულან... ელდისგან ხდებოდნენ ავად... ვერ ურიგდებოდნენ, უნდოდათ ეცხოვრათ ისე, როგორც ადრე. ჩუმად გამოჰქონდათ შეშა, მწვანე პომიდორს კრეფდნენ და ამწნილებდნენ. ქილები ფეთქდებოდა, ისინი კი კიდევ ერთხელ ადულებდნენ. აბა, როგორ უნდა გაენადგურებინათ, დაემარხათ, ექციათ ნაგვად? ჩვენ კი სწორედ ამას ვაკეთებდით. ვაუქმებდით მათ შრომას, მათი ცხოვრების საზრისს. ჩვენ მათთვის მტრები ვიყავით. მე კი... მე რეაქტორზე მინდოდა. „ნუ ჩქარობ, — მართხილებდნენ, — ბოლო თვეში, დემობილიზაციის წინ ყველას სახურავზე უშვებენ“. ექვსი თვე ვმსახურობდით. მართლაც, ხუთი თვის შემდეგ დისლოკაცია შეგვიცვალეს და ყველანი რეაქტორზე გაგვიშვეს. ხან ვხუმრობდით და ხან სერიოზულად ვლაპარაკობდით, რომ აი... სახურავზე ავალთ... და მერე რა, თუკი ცხოვრების ხუთ წელს დავკარგავთ? შვიდს? ათს? გასაგები ამბავია, ყველაზე ხშირად, რატომღაც, ციფრი „ხუთი“ სახელდებოდა. საიდან მოიტანეს? თანაც წყნარად, პანიკის გარეშე. „მოხალისეებო, ნაბიჯი წინ!“ და მთელი როტა წინ გამოდიოდა. მეთაურის წინ — მონიტორია, რთავენ — ეკრანზე რეაქტორის სახურავი ჩანს: გრაფიტის ნაჭრები, გამდნარი ბიტუმი. „აი, შეხედეთ, ნანგრევებია. გაწმენდთ. აი, აქ, ამ კვადრატზე ხვრელს გაჭრით. ინსტრუქციის მიხედვით დრო — ორმოცი — ორმოცდაათი წამია“. მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. რამდენიმე წუთი მაინც გვჭირდებოდა. აქეთ-იქით გაიქცევი, ჩააგდე. ვიღაცები ურიკებს ტვირთავდნენ, ვიღაცები ყრიდნენ. იქ, ნანგრევებში, ხვრელში... უნდა ჩააგდო, მაგრამ ძირს არ ჩაიხედო, არ შეიძლება. მაინც ვიხედებოდით. გაზეთებში წერდნენ, „რეაქტორის თავზე სუფთა ჰაერია“. ვკითხულობდით და ვიცინოდით, ვიგინებოდით. სუფთა ჰაერია, ჩვენ კი, აი, ამხელა დოზებს ვიღებთ. მოგვცეს დოზიმეტ-

რებიც. ერთი — ხუთ რენტგენს ზომავდა, ის ეგრევე ელავდა, მეორე, როგორც ავტოკალამი, ასობით რენტგენზე გათვლილი, ასევე ელავდა რამდენიმე ადგილას. ხუთი წელით, გვითხრეს, ბავშვის გაჩენა არ შეიძლებაო... ხუთ წელში თუ არ დავიხოცეთ... ხა-ხა! (იცინის). ვხუმრობდით... მაგრამ ხმაურისა და პანიკის გარეშე. ხუთი წელი... მე უკვე ათი წელია, ცოცხალი ვარ... ხა—ხა! (იცინის). სიგელეები გადმოგვცეს. ორი მაქვს ეგეთი... აი, ყველას ფოტოთი: მარქსი, ენგელსი, ლენინი... წითელი დროშები... ერთი ბიჭი დაიკარგა, ვიფიქრეთ, რომ გაიქცა. ორი დღის შემდეგ ბუჩქებში ვიპოვეთ. ჩამომხრჩვალნი. გასაგებია ალბათ, რა გრძნობაც გვექნებოდა ყველას... მაშინვე გამოვიდა პოლიტხელმძღვანელი და გვითხრა, სახლიდან წერილი მიიღო, ცოლმა უღალატაო. ღმერთმა უწყის... ერთი კვირის შემდეგ სახლში მივდიოდით. მზარეული გვყავდა, ისე ეშინოდა, რომ კარავში კი არ ცხოვრობდა, საწყობში დასახლდა, კარაქისა და ხორცის კონსერვების ყუთებს შორის მოიწყო ადგილი, იქ გადაიტანა მატრასი, ბალიში... მიწის ქვეშ ცხოვრობდა... ბრძანება გამოგზავნეს: ახალი გუნდი შეკრიბეთ და ყველანი სახურავგეო. უკვე ვიყავით ნამყოფები. იპოვეთ ხალხიო! და ისიც გაუშვეს. მხოლოდ ერთხელ აძვრა... დღეს მეორე ჯგუფის ინვალიდია. ხშირად მირეკავს. კავშირს არ ვკარგავთ, ერთმანეთს ვამხნევებთ... ჩვენი მესხიერება ხომ მხოლოდ იმდენ ხანს იცოცხლებს, რამდენსაც ჩვენ. აი, ასევე დაწერეთ...

გაზეთები ტყუიან... სულ ტყუიან... არსად არ წამიკითხავს, როგორ ვიკერავდით „კოლჩუგებს“, ტყვიის პერანგებს. ტრუსებს. ტყვიის ფირფიტებიან რეზინის ხალათებს გვაძლევდნენ, მაგრამ ქვედა საცვლებსაც ტყვიისგან ვიკეთებდით, ამ საქმეს ყურადღებას ვაქცევდით... გასაგები ამბავია... ერთ სოფელში ორი სახლი გვაჩვენეს საიდუმლო შეხვედრებისთვის... სახლიდან წამოსული მამაკაცები, ექვსი თვე ქალის გარეშე, ექსტრემალურ სიტუაციაში... ყველანი დავდიოდით იქ... გოგონები ადგილობრივები იყვნენ, ტიროდნენ,

სულ ერთია, მაინც მალე მოვკვდებითო. ტყვიის ტრუსები... შარ-
ვლის ზემოდან ვიცვამდით... დაწერეთ... ანეკდოტებსაც ვყვებოდით.
აი, ერთი: ამერიკული რობოტი აუშვეს სახურავზე, ხუთი წუთი იმუ-
შავა და სტოპ, გაჩერდა. იაპონურმა რობოტმა ცხრა წუთი გაძლო.
რუსული რობოტი ორი საათია, მუშაობს. რაციაში ბრძანებაა:
„რიგითო ივანოვო, შეგიძლიათ ჩამოხვიდეთ ძირს სიგარეტის
მოსაწევად!“ ხა-ხა! (იცინის).

რეაქტორზე გასვლის წინ მეთაური ინსტრუქციებს გვაძ-
ლევს... მწყობრში ვდგავართ... რამდენიმე ბიჭმა გააპროტესტა:
„ჩვენ ერთხელ უკვე ვიყავით იქ, ახლა დროა შინ გავვიშვათ!“ ჩე-
მი საქმე საწვავია, ბენზინი, მაგრამ მეც გამგზავნეს რეაქტორზე.
მე ჩუმად ვიყავი, მინდოდა იქ, მაინტერესებდა, ესენი კი აჯან-
ყდნენ. მეთაური: „სახურავზე მოხალისეები ავლენ, დანარჩენებ-
მა დატოვებთ მწყობრი, თქვენ პროკურორი დაგელაპარაკებათ!“
ეს ბიჭები გაჩერდნენ, ერთმანეთში მოილაპარაკეს და დათან-
ხმდნენ. ფიცი დადე? მაშინ ვალდებული ხარ! დროშას აკოცე,
დროშის წინ მუხლზე იდექი... მგონია, არც ერთ ჩვენგანს არ ეპა-
რებოდა ეჭვი, რომ ჩაგვსვამდნენ და მოგვისჯიდნენ. ხმა გაავ-
რცელეს, ორ-სამ წელს აძლევდნო. თუ ჯარისკაცი ოცდახუთ რენ-
ტგენზე მეტს მიიღებდა, მაშინ მეთაურს ჩასვამდნენ, იმისთვის
რომ პირადი შემადგენლობა დაასხივა. ყველამ ამაზე ნაკლები
მივიღეთ... გესმით? მაგრამ ხალხი მომწონდა. ორნი ავად გახ-
დნენ, ერთი მოვიდა და თქვა „ავალ!“ არადა, იმ დღეს ერთხელ
უკვე იყო სახურავზე ნამყოფი. პატივიც სცეს: პრემია — ხუთასი
მანეთი. მეორე ზემოთ ორმოს თხრიდა, ჩამოსვლის დროა, ის კი
ისევ თხის. ხელებს ვუქნევთ, „ჩამოდი!“, ის კი მუხლებზე დგას და
თხრის. სახურავში ხვრელი უნდა გაგვეკეთებინა, რომ ღარი ჩაგ-
ვედგა და ნაგავი ჩაგვეყარა. არ მოეშვა, სანამ არ გათხარა. პრე-
მია — ათასი მანეთი მისცეს. ამ ფულით მაშინ ორი მოტოციკლის
ყიდვა შეიძლებოდა. ახლა პირველი ჯგუფის ინვალიდია. გასაგე-

ბი ამბავია... შიშისთვის მაშინვე გისწორდებოდნენ... ის კი კვდება...
საშინლად წვალობს... ამ შაბათ-კვირას ვესტუმრე. „გაინტერესებს,
რაზე ვოცნებობ?“ „რაზე?“ „ჩვეულებრივ სიკვდილზე“ ორმოცი წლი-
საა... ქალები უყვარდა... ლამაზი ცოლი ჰყავს...

დემობილიზაციაა. მანქანებში ჩავსხედით. სანამ ზონაში მოვდი-
ოდით, სულ ვასიგნალებდით. უკან, იმ დღეებში ვიხედები... რაღაც
იყო... რაღაც ფანტასტიკური... აი, ეს სიტყვები: „გიგანტური“, „ფან-
ტასტიკური“ — ბოლომდე ვერ აღწერს... ისეთი გრძნობა გვქონდა...
როგორი? (ჩაფიქრდა).

ასეთი გრძნობა დიდი სიყვარულის დროსაც კი არ გამომიც-
დია...”

ალექსანდრ კუდრიაგინი
ლიკვიდატორი

მონოლოგი მახინჯზე, რომელსაც მაინც შეიყვარებენ...

ნუ გრცხვიანიათ... მკითხეთ... ჩვენზე უკვე იმდენი დაწერეს, რომ
მივეჩვიეთ. ერთხელაც იქნება, გაზეთებს ავტოგრაფებით გამოგვიგ-
ზავნიან. მაგრამ არ ვკითხულობ. ჩვენ ვინ გაგვიგებს, მაგრამ რას
ვიზამთ...

ამასწინათ ჩემმა გოგონამ მითხრა: „დედა, თუკი მახინჯს გავა-
ჩენ, მაინც მეყვარება!“ წარმოგიდგენიათ? მეათე კლასის მოსწავ-
ლეა, და უკვე ასეთი აზრები აქვს. მის მეგობრებსაც... ყველანი ამაზე
ფიქრობენ... ჩვენს ახლობელს ბიჭი შეეძინა... პირველი შვილი,
ელოდნენ. ლამაზი, ახალგაზრდა წყვილია. ბავშვს პირი ყურებამდე
აქვს, ცალი ყური არა აქვს. ველარ დავდივარ მათთან ისე ხშირად,
როგორც ადრე. არ შემეძლია... ჩემი გოგო კი, ვითომ არაო, მაგრამ

მაინც შეურბენს ხოლმე. რალაც ეწევა იქ, ან ათვალიერებს, ან ურიგდება... მე კი არ შემძლია...

შეგვეძლო აქედან წასვლა, მაგრამ ვითათბირეთ მე და ჩემმა ქმარმა და გადავიფიქრეთ. სხვებისა გვეშინია. აქ კი, ჩვენ ყველანი ჩერნობილელები ვართ. ერთმანეთის არ გვეშინია — თუკი ვინმე საკუთარი მოწეული ვაშლით ან კიტრით გვიმასპინძლდება, ვიღებთ და ვჭამთ და არ ვმაღავთ ჯიბეში, რათა მერე გადავადგოთ. ჩვენ ერთი მესხიერება გვაქვს... ერთი ბედისწერა... სხვაგან კი, ნებისმიერ ადგილას უცხოები ვართ. ეჭვით გვიყურებენ, შიშითაც... მივეჩვიეთ სიტყვებს: „ჩერნობილელები“, „ჩერნობილის ბავშვები“, „ჩერნობილელი გადმოსახლებულები“. ახალი თავსართი გაუნდა მთელ ჩვენს ცხოვრებას. მაგრამ ჩვენ შესახებ სხვებმა მაინც არაფერი იცით. თქვენ გეშინიათ. გაგვირბინხართ... ალბათ, აქ რომ ვიყოთ ჩაკეტილები, მილიციის კორდონები რომ იდგეს, ბევრი თქვენგანი დამშვიდდებოდა (ჩერდება). ნურაფერს დამიმიტკიცებთ... ნუ დამარწმუნებთ! ეს ყველაფერი პირველივე დღეებში გავიგე და გადავიტანე. გოგონას ხელი მოვკიდე და ჩემს დასთან, მინსკში გავიქეცი. ჩემმა დამ სახლში არ შეგვიშვა, პატარა ბავშვი ჰყავდა, ძუძუს აჭმევდა და იმიტომ. ასეთ რამეს საშინელ სიზმარშიც კი ვერ წარმოვიდგენდი! ვერც შევთხზავდი! სადგურზე ვათენებდით ღამეებს. თავში გიჟური იდეები მომდიოდა. სად გავიქეცი? ამ წამებას ხომ არ ჯობია, თავი მოვიკლა... ეს ხომ პირველი დღეები იყო... ყველანი რალაც საშინელ დაავადებებზე ვფიქრობდით. წარმოუდგენელზე. თანაც, მე ექიმი ვარ. დაახლოებით ვხვდები, რა ხდებოდა სხვების თავს. ჭორები ყოველთვის უარესია ნებისმიერ სწორ ინფორმაციაზე. ნებისმიერზე! ჩვენს ბავშვებს ვუყურებ: სადაც არ უნდა წავიდნენ, ყველგან გარიყულად გრძნობენ თავს. ცოცხალ საფრთხობელეზად... დასაცინ სამიზნეზად... პიონერთა ბანაკში, სადაც ერთ ზაფხულს ჩემი გოგონა ისვენებდა, მასთან მიახლოების ეშინო-

დათ: „ჩერნობილელი ციციანათელა. სიბნელეში ანათებს“. საღამოობით ებოში გაჰყავდათ, რომ ენახათ, ანათებდა თუ არა. ჰქონდა თუ არა ნიშნი თავზე...

აი, ამბობენ — ომის... ომის თაობა... ადარებენ... ომის თაობა? ისინი ბედნიერები იყვნენ! მათ გამარჯვება ჰქონდათ. გაიმარჯვეს! ამან მათ ძლიერი ენერგია მისცა, დღევანდელი ტერმინებით რომ ვთქვათ — გაძლების ძლიერი მუხტი. არ ეშინოდათ. უნდოდათ სიცოცხლე, სწავლა, შვილების გაჩენა... ჩვენ კი... ჩვენ ყველაფერის გვეშინია... ბავშვების გვეშინია... შვილიშვილების, რომელებიც ჯერ არ დაბადებულან... ჯერ არ არიან და უკვე გვეშინია... ადამიანები იშვიათად იღიმებიან, ისე აღარ მღერიან, როგორც ადრე მღეროდნენ დღესასწაულების დროს. მხოლოდ ლანდშაფტი კი არ იცვლება, როცა მინდვრების ნაცვლად ტყეები და ბუჩქნარები იზრდება, არამედ ნაციონალური ხასიათიც. ყველა დეპრესიაშია. ყველას განწირულობის განცდა აქვს... ვიღაცისთვის ჩერნობილი — მეტაფორა და ლოზუნგია. ჩვენთვის კი ცხოვრებაა, უბრალოდ — ცხოვრება.

ხანდახან ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა, ჩვენზე რომ არ წერდნენ... გვერდიდან რომ არ გვაკვირდებოდნენ... დიაგნოზებს რომ არ გვისვამდნენ — რადიოფობია ან კიდევ რაღაც... არ გვაცალკევებდნენ დანარჩენებისგან. მაშინ ჩვენი ნაკლებად შეეშინდებოდათ. კიბოიან ავადმყოფთან ხომ არ ლაპარაკობენ მისი საშინელი დიაგნოზის შესახებ, ხოლო სამუდამოდ პატიმრობამისჯილთან პატიმრობის ვადაზე? (დუმს). რამდენი ვილაპარაკე, არც ვიცი, გჭირდებოდათ თუ არა... (მეკითხება): სუფრა გავშალო? ვისადილოთ? თუ გეშინიათ? პატიოსნად მითხარით, ჩვენ უკვე აღარ გვწყინს. იმდენი რაღაც გამოვიარეთ... ჩემთან ერთი კორესპონდენტი მოვიდა. ვხედავ: სწყურია. ფინჯანს წყლით ვუვსებ, ის კი ჩანთიდან წყალს იღებს ბოთლით, მინერალურს. რცხვენია, თავს იმართლებს... საუბარი, რა თქმა უნდა, არ გამოგვივიდა, აღარ შემეძლო, გულწრფელი ვყოფილიყავი. მეც ხომ რობოტი და კომპიუტერი არ ვარ. რკინის არ ვარ!

ის თავის მინერალურ წყალს სვამს, ჩემს ფინჯანთან მიახლოვებისა ეშინია, მეც ხომ მაგიდაზე სულს ვერ ამოვუღებ, გულს ვერ გადავუშლი...

(უკვე მაგიდასთან ვსხედვართ. ვსადილობთ. რაღაცებზე ვლაპარაკობთ და...)

წუხელ მთელი ღამე ვიტირე... ქმარმა გაიხსენა: „რა ლამაზი იყავი“... ვიცი, რასაც ფიქრობდა... ჩემს თავს ყოველ დილას სარკეში ვუყურებ... აქ ადრე ბერდებიან... ორმოცი წლის ვარ და სამოცისას ვგავარ. ამიტომაცაა, გოგოებს ადრე უნდათ გათხოვება. ეცოდებათ ახალგაზრდობა – ხანმოკლეა და იმიტომ (ანერვიულდა). ან რა იცით ჩერნობილზე? რა შეგიძლიათ ჩაწერთ? უკაცრავად... (დუმს).

როგორ ჩაიწერთ ჩემს სულს? თუკი მეთვითონ ვერ ვკითხულობ მას...“

ნადეჟდა აფანასიევნა ბურაკოვა

ქალაქური დასახლება ხიონიკის მკვიდრი

მონოლოგი იმაზე, რომ ყოველდღიურ ცხოვრებას რაღაც უნდა დაუმატო, რათა მიხვდე

„თქვენ ფაქტები გაინტერესებთ, იმ დღის წვრილმანები თუ ჩემი – ისტორია?“

მე იქ ვიქეცი ფოტოგრაფად. მანამდე არასდროს ვიღებდი, იქ კი დავიწყე, შემთხვევით ფოტოაპარატი თან მქონდა. ვფიქრობდი, ისე, ჩემთვის ვიღებ-მეთქი. დღეს ეს ჩემი პროფესიაა. არ შემეძლო გავთავისუფლებულიყავი იმ ახალი გრძნობებისგან, რომლებიც იქ გამიჩნდა, ეს ხანმოკლე გრძნობები კი არა, მთე-

ლი სულიერი თავგადასავალი იყო. მე შევიცვალე... სამყარო სხვა-
ნაირად დავინახე... ცხოვრების საზრისიც... გესმით?

(ყვება და თან მაგიდაზე, სკამებზე, ფანჯრის რაფებზე ფოტო-
ებს აწყობს: გიგანტური, ურმის ბორბლისოდენა მზესუმზირა; წე-
როს ბუდე ცარიელ სოფელში; მიტოვებული სოფლის სასაფ-
ლაო, წარწერით „მაღალი რადიაცია. შესვლა აკრძალულია“; საბავ-
შვო ეტლი ფანჯრებაჭედილი სახლის ეზოში, რომელზეც ყვაფი ბის
ისე, როგორც ბუდეში; წეროების გადაფრენა გაველურებულ მინ-
დვრებზე...)

მეკითხებიან: „რატომ არ იღებ ფერად ფირზე? ფერში?“ მაგრამ
ჩერნობილი შავია... დანარჩენი ფერები არც არსებობს... ჩემი ისტო-
რია? ამათი კომენტარებია (ფოტოებზე მიმანიშნებს). კარგი, ვცდი.
გესმით, ყველაფერი აქაა... (ისევ ფოტოებზე მიმანიშნებს) იმ დროს
ქარხანაში ვმუშაობდი და უნივერსიტეტში ისტორიულზე დაუსწრებ-
ლად ვსწავლობდი. მეორე კატეგორიის ზეინკალი ვიყავი. ჯგუფი
შეგვკრიბეს და სასწრაფოდ გამოგვიშვეს. როგორც ფრონტზე.

- სად მივდივართ?
- სადაც გიბრძანებენ.
- რა უნდა გავაკეთოთ?
- რასაც გიბრძანებენ.
- ჩვენ ხომ მშენებლები ვართ.
- ჰოდა, ააშენებთ. ააგებთ.

დამხმარე ნაგებობებს ვაშენებდით: სამრეცხაოებს, საწყობებს,
ფარდულებს. ცემენტის ჩამომცლელად დამაყენეს. რა ცემენტი იყო,
საიდან, არავინ კითხულობდა. ვტვირთავდით. მთელი დღე ნიჩბით
მუშაობ, საღამოს კი მარტო კბილებილა გიჩანს. ცემენტის ადამიანი
ხარ — ნაცროსფერი, შენც და სპეცტანსაცმელიც. საღამოს ფერხთავ,
ხომ გესმით და... დილას ისევ იცვამ. პოლიტსაუბრებს გვიტარებ-
დნენ. გმირი, გმირობა, წინა ხაზი... სამხედრო ლექსიკა. რა არის ბე-
რი? კიური? რა არის მიკრორენტგენი? ვსვამთ შეკითხვებს, მაგრამ

მეთაური ვერ გვიხსნის, სამხედრო სასწავლებელში არ უსწავლებიან... მილი... მიკრო... ჩინურია მათთვის. „რად გინდათ, რომ იცოდეთ? შეასრულეთ, რასაც გიბრძანებენ. აქ თქვენ ჯარისკაცები ხართ“, მაგრამ ჩვენ ჯარისკაცები ვართ და არა — პატიმრები.

კომისია ჩამოვიდა. „თქვენთან ყველაფერი რიგზეა. ნორმალური ფონია. მაგრამ აქედან ოთხ კილომეტრში ცხოვრება არ შეიძლება, ხალხს ასახლებენ. თქვენთან სიწყნარია“. დოზიმეტრისტიც ახლავთ, აილო და ჩართო ყუთი, რომელიც მხარზე ეკიდა, გრძელი ჭოკით კი ფეხსაცმელებზე გვეხებოდა. უცებ გადახტებოდა ხოლმე — უნებური რეაქცია ჰქონდა.

აქ კი, თქვენთვის, მწერლისთვის ყველაზე საინტერესო რამ იწყება. როგორ გგონიათ, იქ რამდენი ხანი ვფიქრობდით ამ მომენტზე? ალბათ, სულ რამდენიმე დღე. ჰო, არ შეუძლია ჩვენს ადამიანს დიდხანს საკუთარ ცხოვრებაზე ფიქრი, არ შეუძლია საკუთარ თავში გამოკეტვა. ჩვენს პოლიტიკოსებს არ შეუძლიათ სიცოცხლის ღირებულებაზე ფიქრი, მაგრამ არც უბრალო ადამიანს შეუძლია. გესმით? ჩვენ ასე ვართ მოწყობილები, სხვანაირი ცომისგან მოზელილები. ცხადია, იქ ყველანი ვსვამდით და თანაც, კარგად ვსვამდით, მაგრამ დასათრობად კი არა, იმიტომ, რომ გვალაპარაკა. ორი სირჩის შემდეგ ვიღაცას მონატრებოდა და გაახსენდებოდა ცოლი, შვილები, ვიღაც სამსახურის ამბებს მოყვებოდა, უფროსობას აგინებდა. ხოლო შემდეგ, ორი-სამი ბოთლის შემდეგ, მიდიოდა საუბრები ქვეყნის ბედსა და სამყაროს მოწყობაზე. კამათი გორბაჩოვისა და ლიგაჩოვის შესახებ. სტალინის შესახებ. დიადია თუ არა ჩვენი სახელმწიფო, გავუსწრებთ თუ ვერ გავუსწრებთ ამერიკელებს? ოთხმოცდაექვსი წელი... ვისი თვითმფრინავებია უკეთესი და ვისი კოსმოსური ხომალდებია უფრო საიმედო? მართალია, ჩერნობილი აფეთქდა, მაგრამ კოსმოსში პირველები ჩვენ გავიჭერთ! გესმით? ასე დი-

ლამდე! ყველაზე ნაკლებს იმაზე ვლაპარაკობდით, დოზიმეტრები რომ არ გვექონდა და რაღაც თეთრ ფხვნილს გვაძლევდნენ, ისე, სხვათა შორის... რომ არ იყო სარეცხი მანქანები, სპეცტანსაცმელს თვეში ორჯერ ვრეცხავდით და არა — ყოველდღე. ამათ სასხვათაშორისოდ თუ შევხებოდით. მაგრამ გესმით, ასეთები ვართ ჩვენ! ეშმაკმა დალახვროს!

არაყი ოქროზე ძვირი ღირდა. ყიდვა არ შეიძლებოდა. ირგვლივ სოფლებში რაც იყო, ყველაფერი დავლიეთ: არაყი, შინნახადი, ლოსიონი, ლაქებამდე და აეროზოლებამდეც მივალწიეთ. მაგიდაზე — შინნახადის სამლიტრიანი ქილა ან ბოთლი ოდეკოლონ „შიპრით“ და... საუბრები, საუბრები. ჩვენს შორის იყვნენ მასწავლებლები, ინჟინრები... მთელი ინტერნაციონალი: რუსები, ბელარუსები, კაზაკები, უკრაინელები. ფილოსოფიური საუბრები მიდიოდა... იმაზე, რომ ჩვენ მატერიალიზმის ტყვეები ვართ, ხოლო მატერიალიზმი თავისი საგნობრივი სამყაროთი გვზღუდავს. ჩერნობილი კი — უსასრულობაში გასასვლელია. მახსოვს, როგორ ვკამათობდით რუსული კულტურის ბედზე, მის ლტოლვაზე ტრაგიკულისკენ. იმაზე, რომ სიკვდილის აჩრდილის გარეშე ვერაფერს გაიგებ. მხოლოდ რუსული კულტურის საფუძველზე თუ იქნება შესაძლებელი კატასტროფის გააზრება... მხოლოდ ისაა ამისთვის მზად... წინათგრძნობით ვცხოვრობდით... ბომბის, ატომური სოკოსი გვეშინოდა და აი, როგორ მოგვიბრუნდა. ჰიროშიმა — საშინელებაა, მაგრამ რაღაცნაირად გასაგები... აქ კი... ვიცით, როგორც იწვის სახლი ასანთისგან ან ავტომატის ჯერისგან, მაგრამ ეს არაფერს არ ჰგავს. აღწევდა ხმები, რომ არამიწიერი ცეცხლია, ცეცხლიც არაა, შუქია — ელვარება, ციალი. ლურჯი კი არა, ცისფერია. მეცნიერები ადრე ღმერთის ადგილს იკავებდნენ და ახლა დაცემულ ანგელოზებად იქცნენ. დემონებად! ადამიანის ბუნება, როგორი საიდუმლოც იყო, ზუსტად ისეთივე დარჩა მათთვის. რუსი ვარ, ბრიაშინიდან. ჩვენთან ბაბუა პარმალზე ზის, სახლი გადახრილია, უკვე ინგრევა, ის კი ფილოსოფოსობს, სამყა-

როს მოწყობაზე ფიქრობს. ნებისმიერი ქარხნის მოსაწევში აუცი-
ლებლადაა თითო ადგილობრივი არისტოტელე... ლუდხანაშიც...
ჩვენ კი მთლად რეაქტორის ქვეშ ვიყავით...

ხანდახან გაზეთის რეპორტიორები შემოგვირბენდნენ. იღებ-
დნენ. მოგონილი იყო სიუჟეტები. იღებენ მიტოვებულ სახლის
ფანჯარას, დადებენ მის წინ ვიოლინოს და დააწერენ „ჩერნობი-
ლის სიმფონია“. იქ კი არაფრის მოფიქრება არ იყო საჭირო. გო-
ნებაში მინდოდა აღმებუჭდა ყველაფერი: ტრაქტორისგან გაჭ-
ყლეთილი გლობუსი სკოლის ეზოში, გაშავებული საცვლები,
რომელებიც უკვე რამდენიმე დღეა აივანზე ჰკიდია, წვიმისგან
დაბერებული თოჯინები... მიტოვებული საძმო სასათლაოები...
ბალახი იქ თაბაშირის ჯარისკაცების სიმაღლე იყო, თაბაშირის
ავტომატებში კი ჩიტების ბუდეები მოჩანდა. სახლის კარი გატე-
ხილია, ის უკვე ყაჩაღებმა გაიტანეს, ფანჯრებზე კი ფარდებია ჩა-
მოშვებული. ადამიანები წავიდნენ, ფოტოები კი ქოხებში ცოც-
ხლობდნენ, როგორც მათი სულელები. არაფერი იყო უმნიშვნელო
და უბრალო. მინდოდა, ყველაფერი ზუსტად და დაწვრილებით
დამემახსოვრებინა: დღის დრო, როცა დავინახე ცის ფერი, ჩემი
განცდები. გესმით? ადამიანმა ეს ადგილები სამუდამოდ დატო-
ვა. ეს კი რა არის? ჩვენ ვართ პირველები, ვინც ეს „სამუდამოდ“
გადაიტანა. არ შეიძლება არაფრის გამოტოვება. ძველი ხატების
მსგავსი გლეხების სახეები... იმათ ყველაზე ნაკლებად ესმოდათ,
რა მოხდა. არასდროს დაეტოვებინათ თავისი ეზო, საკუთარი მი-
წა. იბადებოდნენ, უყვარდებოდათ, პურს არსობისას საკუთარი
ოფლით მოიპოვებდნენ, გვარს აგრძელებდნენ, შვილიშვილებს
მოესწრებოდნენ... გაივლიდნენ ამ ცხოვრებას და მორჩილად
მიდიოდნენ მიწაში, მიწად იქცეოდნენ. ბელარუსული ქოხი! ეს
ჩვენთვის, ქალაქელებისთვისაა სახლი ცხოვრების მანქანა.
მათთვის მთელი სამყაროა, კოსმოსია. ცარიელ სოფლებში მი-

დიხარ და ისე გინდა, ადამიანს შეხვდე.... გაქურდული ეკლესია...
შევედით, სანთლის სუნი იდგა, მოგვინდა, გველოცა...

მინდოდა, ეს ყველაფერი დამემახსოვრებინა. გადაღება და-
ვიწყე. ესაა ჩემი ისტორია.

ამასწინათ ახლობელი დავკრძალებთ, რომელთან ერთადაც იქ
ვიყავი. სისხლის კიბოსგან მოკვდა. ქელეხი... სლავური ტრადიციის
მიხედვით დავლიეთ, ვჭამეთ, ხომ ხვდებით... და დაიწყო საუბრები
შუალამემდე. თავიდან გარდაცვლილზე, მის წასულზე. მერე? მერე
ისევ ქვეყნის ბელსა და სამყაროს მოწყობაზე. გამოვლენ თუ არა რუ-
სეთის ჯარები ჩეჩნეთიდან? დაიწყება მეორე კავკასიური ომი თუ უკ-
ვე დაიწყო? როგორი შანსი აქვს ჟირინოვსკის, გახდეს პრეზიდენტი?
ელცინს? ინგლისის გვირგვინსა და პრინცესა დიანაზე, რუსულ მო-
ნარქიაზე, ჩერნობილზე. ახლა უკვე ნაირ-ნაირი ვარაუდები... ერთი
ასეთია, რომ უცხოპლანეტელებმა იცოდნენ კატასტროფის შესახებ
და დაგვეხმარნენ, მეორე — ეს კოსმოსური ექსპერიმენტი იყო, რამ-
დენიმე ხნის შემდეგ კი გაჩნდებიან ბავშვები გენიალური შესაძლებ-
ლობებით. შეიძლება, ბელარუსები გაქრნენ, როგორც ოდესღაც
სხვა ხალხები — სკვითები, ხაზარები, სარმატები, კიმერიელები...
ჩვენ — მეტაფიზიკოსები ვართ... მიწაზე კი არა, ოცნებებში ვცხოვ-
რობთ... ჩვეულებრივ ცხოვრებას რაღაც უნდა დავუმატოთ, რომ გა-
ვიგოთ... სიკვდილის გვერდითაც კი...

ესაა ჩემი ისტორია... მოგიყვით, თუ რატომ დავიწყე ფოტოების
გადაღება... იმიტომ, რომ სიტყვები აღარ მყოფნიდა..."

ვიქტორ ლატუნი,
ფოტოგრაფი

მონოლოგი მუნჯ ჯარისკაცზე

„ზონაში მეტჯერ აღარ შევალ, არადა, ადრე მინდოდა. თუკი კიდევ ვნახავ, ვიფიქრებ, ავად გავხდები და მოვკვდები. ჩემი ფანტაზია მოკვდება...

გახსოვთ ასეთი ფილმი, ომზე იყო — „წადი და უყურე“, ბოლომდე ვერ შევძელი ნახვა, გონება დავკარგე. იქ ძროხას კლავდნენ. მის თვალს მთელ ეკრანზე გვაჩვენებდნენ. ერთ თვალს... როგორ კლავდნენ ადამიანებს, აღარ მინახავს... არა! ხელოვნება — ეს სიყვარულია, ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ. არ მინდა ტელევიზორს ვუყურო, დღევანდელი გაზეთები ვიკითხო. იქ კლავენ, კლავენ... ჩეჩნეთში, ბოსნიაში... ავღანეთში... საღაბრს ვკარგავ, მხედველობა მიფუჭდება. საშინელება! ჰო, შემოგვეჩვია, უკვე ბანალურიც გახდა. და ჩვენც ისე შევიცვალეთ, რომ საშინელება, რომელსაც ეკრანზე დღეს ვნახულობთ, გუშინდელზე უარესი უნდა იყოს. ჩვენ ზღვარს გადავაბიჯეთ...

გუშინ ტროლეიბუსით ვმგზავრობდი და ასეთი სცენის მომსწრე გავხდი. ბიჭმა მოხუცს არ დაუთმო ადგილი. ბაბუა სინდისზე აგდებს:

- დაბერდები და არც შენ დაგსვამენ.
- მე არასდროს დავბერდები, — პასუხობს ბიჭი.
- რატომ?
- ჩვენ ყველანი მალე მოვკვდებით.

ირგვლივ სიკვდილზე საუბრობენ. ბავშვები სიკვდილზე ფიქრობენ. მაგრამ ეს ისაა, რაზედაც სიცოცხლის ბოლოს უნდა იფიქრო და არა — დასაწყისში.

სამყაროს სცენად აღვიქვამ... ქუჩა ჩემთვის — თეატრია. სახლი — თეატრია. ადამიანი — თეატრია. მოვლენას ვერასდროს ვიმახსოვრებ მთლიანად. მახსოვს დეტალები, ჟესტები...

ჩემს მეხსიერებაში ყველაფერი აირია. ველარ ვარჩევ, კინოდანაა, გაზეთიდან თუ სადმე მინახავს, მომისმენია... მიყურებია?

ვხედავ: მიტოვებული სოფლის გზაზე გიჟი მელა დაბოდიხობს. ჩუმი და კეთილი. ეფერება გაველურებულ ფისობებს და ქათმებს...

სიჩუმე... იქ ისეთი სიჩუმეა! სრულიად სხვანაირი, ვიდრე აქ... და უცებ, ამ სიჩუმეში უცნაური სიტყვები: „გოშა კარგია, გოშა კარგია“. ბებერი ვაშლის ხეზე დაჯანგული, კარლია გალია კილია. შინაური თუთიყუში საკუთარ თავს ელაპარაკება.

ევაკუაცია იწყება... დალუქეს სკოლა, კოლმეურნეობის შენობა, სოფლის საბჭო. დღისით ჯარისკაცებს სეიფები და საბუთები გააქვთ. ღამით კი სოფლის მცხოვრებლები სკოლიდან ეზიდებიან იმას, რაც დარჩა. მიაქვთ წიგნები ბიბლიოთეკიდან, სარკეები, სანტექნიკა, მოზრდილი გლობუსი... ვიღაცამ დილისკენ მიიღობინა, სკოლა კი უკვე ცარიელია. ჰოდა, ქიმიის ლაბორატორიიდან ცარიელი ხელსაწყოები წაიღო.

არადა, ყველამ იცის — სამ დღეში თვითონაც უნდა წავიდნენ. ყველაფერი უნდა დატოვონ.

რატომ ვაგროვებ ამ ყველაფერს? რატომ ვინახავ? არასდროს დავდგამ სპექტაკლს ჩერნობილზე, ისევე, როგორც არ დამიდგამს ომზე. მე სცენაზე არასდროს მეყოლება მკვდარი კაცი, მკვდარი ცხოველი და ფრინველიც კი. ტყეში ფიჭვს მივუახლოვდი, ძირს რაღაც თეთრი ჩანდა. სოკო მეგონა, მკვდარი ბელურები ეყარა, გულეებით ზემოთ. იქ, ზონაში... არ მესმის სიკვდილი. მის წინაშე ვჩერდები, რომ არ გადავიდე ჭკუიდან. ცხოვრების მეორე მხარეს... ომი ისე საზარლად უნდა აჩვენო, რომ ადამიანს გული აერიოს... ავად რომ გახდეს... ეს სანახაობა არაა...

პირველ დღეებში... ჯერ კიდევ არ გვენახა არც ერთი კადრი, მე კი წარმოვიდგენდი: ჩამონგრეული სახურავი, კვამლი, ჩატეხილი ფანჯრები. შეშინებული ბავშვები სადაც მიჰყავთ. მანქანების ჯაჭვი. უფროსები ტირიან, ბავშვები — არა. ჯერ არც ერთი ფოტო არ იყო დაბეჭდილი. ალბათ, ადამიანები რომ გამოვკითხოთ, საშინელების სხვა ხატი ჩვენ არც გვაქვს: აფეთქება, ხანძარი, გვამები, პანიკა, ეს

ბავშვობიდან მახსოვს (ჩუმდება). მაგრამ ამაზე შემდეგ... ცალკე.. აქ კი... რაღაც უცნობი მოხდა... ეს სხვანაირი შიშია. არ ისმის, არ ჩანს, არც სუნი აქვს, არც ფერი — ფიზიკურად და ფსიქიკურად კი ვიცვლებით. იცვლება სისხლის ფორმულა, იცვლება გენეტიკური კოდი, იცვლება პეიზაჟი... და რასაც არ უნდა ვფიქრობდეთ... ვაკეთებდეთ... აი, დილას ვდგები, ჩაის ვსვამ. რეპეტიციამე მივდივარ სტუდენტებთან. ის კი ჩემს თავზე ჰკიდია... როგორც ნიშანი. როგორც შეკითხვა. სხვას ვერაფერს შევადარებ. ბავშვობიდან მახსოვს რაღაც სრულიად სხვანაირი...

ომზე მხოლოდ ერთი კარგი ფილმი მინახავს. სახელი დამავიწყდა. ფილმი მუნჯ ჯარისკაცზეა. ის მთელი ფილმის მანძილზე დუმს. ფეხმძიმე გერმანელი გოგო მოჰყავდა, რუსი ჯარისკაცისგან დაფეხმძიმებული. ბავშვი დაიბადა, გზაში გაჩნდა, ურემზე. მან ასწია ჩვილი, უჭირავს და ამ დროს ის ავტომატზე აფსამს... კაცი იცინის... სიტყვები მისი სიცილია. უყურებს ბავშვს, საკუთარ ავტომატს და იცინის. ფილმის დასასრული.

ფილმში არ არიან რუსები და გერმანელები. არის ურჩხული — ომი, და არის სასწაული — სიცოცხლე. მაგრამ ახლა, ჩერნობილის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. და ესეც. შეიცვალა სამყარო, ის უკვე აღარაა ისეთი მარადიული, როგორც ამ ცოტა ხნის წინ გვეგონა. დედამიწა თითქოს შეიკუმშა, დაპატარავდა. უკვდავება წაგვართვეს — აი, რა დაგვემართა. მარადიულობის განცდა დაიკარგა. ტელევიზორში კი ვხედავ, როგორ კლავენ ყოველ დღე. ისვრიან. ისვრიან ადამიანები, რომლებსაც მარადიულობა წაართვეს... ერთი ადამიანიმეორეს კლავს... ჩერნობილის შემდეგ...

ყველაფერი ბუნდოვანია, თითქოს შორიდან მოჩანს... სამი წლისა ვიყავი, როცა დედასთან ერთად გერმანიაში გამიყვანეს, საკონცენტრაციო ბანაკში... ყველაფერი ლამაზად მახსოვს... შეიძლება ჩემი მზერაა ასე მოწყობილი... მაღალი მთა... ან წვიმა

იყო, ან თოვლი. დიდ, შავ ნახევარწრედ ადამიანები იდგნენ. ყველას ჰქონდა ნომერი. ნომრები ჩექმებზე... ისე მკაფიოდ — მჭახე ყვითელი საღებავით, ჩექმებზე, ბურგებზე... სულ ნომრები... ნომრები... ეკლებიანი მავთული. კოშკზე დგას ადამიანი ჩაფხუტით, ძაღლები დარბიან და ხმამაღლა, ხმამაღლა ყეფენ. საერთოდ არ მეშინია. ორი გერმანელია, ერთი დიდი, მსუქანი და შავებში, მეორე კი — პატარა, ყავისფერ კოსტიუმში. ის, რომელიც შავებშია, ხელით რაღაცას მიანიშნებს. შავი ნახევარწრიდან გამოდის რაღაც და ადამიანად იქცევა. შავებიანი გერმანელი მის ცემას იწყებს... ან წვიმა მოდის, ან თოვლი... მოდის...

მაღალი, ლამაზი იტალიელი მახსოვს... სულ მღეროდა. დედაჩემი ტიროდა, სხვებიც ტიროდნენ. ვერ ვიგებდი, რა ატირებდათ, როცა ის ასე ლამაზად მღეროდა...

ეთიუდები მქონდა ომზე. ვცდილობდი. არაფერი გამომდიოდა. მე არასდროს დავდგამ სპექტაკლს ომზე. მაინც არ გამომივა.

ჩერნობილის ზონაში ჩვენ მხიარული სპექტაკლი — „წყალი მოგვეცი, ჭავ!“ — წავიდეთ. რაიონულ ცენტრ ხოტიმსკიში ჩავედით. იქ არის ობოლთა სახლი, ობოლი ბავშვებისთვის. ისინი არსად არ წაუყვანიათ.

ანტრაქტი. ტაშს არ უკრავენ. არ დგებიან. ხმას არ იღებენ. მეორე განყოფილება. დამთავრდა სპექტაკლი. ისევ არ უკრავენ ტაშს. არ დგებიან. ხმას არ იღებენ.

ჩემი სტუდენტები ტირიან. კულისებში მოგროვდნენ: რა სჭირთ? მერე მივხვდით: ყველაფრის სჯეროდათ, რაც სცენაზე ხდებოდა. იქ მთელი სპექტაკლი სასწაულს ელოდებიან. ჩვეულებრივი, სახლის ბავშვები ხვდებიან, რომ ეს — თეატრია. ისინი კი სასწაულს ელოდნენ.

ჩვენ, ბელარუსებს, მარადისობა არასდროს არ გვექონია. ჩვენ მიწაც კი არ გვექონია მუდმივად, მას სულ ვიღაც გვართმევდა, ჩვენს კვალს შლიდა. ჩვენ არ შეგვეძლო მარადისობაში ცხოვრება, რო-

გორც, მაგალითად, ძველ აღთქმაშია: იმან გააჩინა ეს, მერე იმან — ის. უწყვეტი ჯაჭვი... ჩვენ არ ვიცით, რა უნდა ვუყოთ მარადისობას, როგორ ვიცხოვროთ მასთან. არ შეგვიძლია მისი გააზრება. და აი, ბოლოს და ბოლოს, ის მივიღეთ. ჩვენი მარადისობა — ჩერნობილია. აი, ის გვაქვს. და ჩვენ? ჩვენ ვიცინით... როგორც ძველ არაკშია... ხალხი თანაუგრძნობს იმას, ვისაც დაეწვა სახლი, ფარდული... ყველაფერი დაეწვა... ის კი პასუხობს: „სამაგიეროდ, რამდენი თავი გაიქცა!“ და ქუდს მხიარულად ისვრის ძირს! აი, აქ ის ბელარუსია! სიცილი შეუძლია ცრემლიანი თვალებით...

ჩვენი ღმერთები არ იცინიან. ჩვენი ღმერთები — წამებულები არიან. ძველ ბერძნებს ჰყავდათ მოცინარი ღმერთები, მხიარულები. და რა ვუყოთ, თუკი ზღაპრები, სიზმრები, ანეკდოტები — ყველა ტექსტი იმაზეა, თუ ვინ ვართ ჩვენ? თუმცა წაკითხვა არ შეგვიძლია. მუდმივად ჩამესმის ერთი მელოდია. იწელება და იწელება. ეს მელოდია კი არა, სიმღერა კი არა, დატირებაა. ესაა ჩვენი ხალხის მზდაყოფნა ნებისმიერი უბედურებისთვის, მუდმივად უბედურების მოლოდინში ცხოვრება. ბედნიერება? ბედნიერება — დროებითია, შემთხვევითი. ხალხში ამბობენ — „ერთი უბედურება უბედურება არ არის“. „უბედურებისგან თავს ვერ დაციავ“, ტანჯვის გარდა, ჩვენ სხვა არაფერი გვაქვს, არც სხვა ისტორია და არც სხვა კულტურა...

ჩემს სტუდენტებს უყვარდებათ, ბავშვებს აჩენენ. მაგრამ ისინი ჩუმები, სუსტები არიან. ომის შემდეგ საკონცენტრაციო ბანაკიდან ცოცხალი დავბრუნდი. მაშინ უნდა გაგვეძლო! ჩემს თაობას აქამდე უკვირს, რომ გაძლო! შემეძლო წყლის მაგივრად თოვლი მეჭამა, ზაფხულში მდინარიდან არ ამოვდიოდი, ასჯერ შემეძლო, ჩამეყვინთა. მათ ბავშვებს არ შეუძლიათ თოვლის ჭამა. სულ სუფთა, თეთრი თოვლის ჭამაც კი... (საკუთარ ფიქრებში მიღის)

სპექტაკლი როგორი წარმომიდგენია? მე ხომ მასზე ვფიქრობ... გამუდმებით ვფიქრობ... ზონიდან ერთი სიუჟეტი მომიტანეს... თანამედროვე ზღაპარი...

სოფელში ბერიკაცი და დედაბერი დარჩნენ. ზამთარში ბერიკაცი მოკვდა. დედაბერმა მარტომ დამარხა. ერთი კვირა თხრიდა ორმოს სასაფლაოზე. თბილ ტყავში გაახვია, რომ არ გაყინულიყო, ბავშვის ციგაზე დადო და წაიღო. მთელი გზა თავის ცხოვრებას იხსენებდა.

სულის მოსახსენიებლად უკანაკნელი ქათამი შეწვა. სუნზე დედაბერთან მშიერი ლეკვი მილოღდა. და აი, ბებიას ახლა ვიღაც ჰყავს, ვისთანაც შეუძლია ილაპარაკოს და იტიროს.

ერთხელ მომავალი სპექტაკლი დამესიზმრა კიდევ.

ვხედავ: ცარიელია სოფელი, ვაშლი ყვავის. შორთხვი ყვავის. ფუმფულაა და ლამაზი. სასაფლაოზე ველური მსხალიც ყვავის.

გამომშრალ ქუჩებში კატები დადიან აწეული კუდებით. არავინაა. კატები სიყვარულობენ ერთმანეთში. სიჩუმე და სილამაზეა. აი, კატები გამორბიან ქუჩაში და ვიღაცას ელიან. შეიძლება, ადამიანი ისევ ახსოვთ.

ჩვენ, ბელარუსებს, არ გვყავს არც ტოლსტოი და არც პუშკინი. ჩვენ გვყავს იანკა კუპალა(იანკა კუპალა (1882-1942) —ბელარუსი პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, ბელარუსული ლიტერატურის კლასიკოსი.), იაკუბ კოლოსი(იაკუბ კოლოსი (1882-1956) — ბელარუსი მწერალი, ახალი ბელარუსული ლიტერატურის ფუძემდებელი.)... ისინი მიწაზე წერდნენ... ჩვენი მიწის ხალხი ვართ და არა — ზეცისა. ჩვენი მონოკულტურა კარტოფილია — ვთესავთ, ვიღებთ და სულ მიწაში ვიყურებით. ძირს, ქვემოთ! და თუკი ადამიანი თავს ზემოთ წევს, მზერას წეროს ბუდეს მაინც არ აცილებს. ეს მისთვის უკვე მაღლაა, ესაა მისთვის ცა. ხოლო ცა, რომელსაც კოსმოსი ჰქვია, ჩვენ არა გვაქვს. ის ჩვენთვის არ არსებობს. ამიტომ ვიღებთ რუსული ლიტერატურიდან... პოლონურიდან... ნორვეგიელებს დასჭირდათ გრიგი(ედვარდ გრიგი (1843-1907) — რომანტიული ეპოქის

ნორვეგიელი პიანისტი და კომპოზიტორი.), ხოლო ებრაელებს — შალომ-აილეიხემი (შოლომ-ალეიხემი (1859-1916) — ებრაელი მწერალი. წერდა ებრაულ ენაზე, იდიშზე და რუსულზე. ნაწარმოებებს აქვეყნებდა 1879 წლიდან. იყო ებრაული და რუსული ლიტერატურის დემოკრატიისა და საგანმანათლებლო ტრადიციების მიმდევარი.), როგორც კრისტალიზაციის ცენტრი, რომლის ირგვლივაც გაერთიანდნენ და საკუთარი თავი შეიცნეს. ჩვენთვის ეს ცენტრი — ჩერნობილია. ის რაღაცას ძერწავს ჩვენგან. ახლა ჩვენ ხალხად ვიქცევით, ჩერნობილის ხალხად. და არა გზად — რუსეთიდან ევროპამდე ან ევროპიდან — რუსეთამდე. მხოლოდ ახლა...

ხელოვნება — მოგონებებია. მოგონებები იმაზე, რომ ვიყავით... მეშინია... მეშინია, რომ შიში ჩვენს ცხოვრებაში სიყვარულის ადგილს იკავებს...”

ლილია მიხაილოვნა კუმბენკოვა
მოგილევის კულტსასწავლებლის პედაგოგი,
რეჟისორი

მონოლოგი მარადიულსა და დაწყევლილზე: რა ვქნათ და ვინაა დამნაშავე?

„მე ჩემი დროის ადამიანი ვარ, მტკიცე კომუნისტი...”

ახლა ჩვენ სიტყვას არ გვაძლევენ... ასეა მოდაში. მოდაშია კომუნისტების ლანძღვა... ახლა ჩვენ ვართ ხალხის მტრები, ყველანი დამნაშავეები ვართ. ყველაფერზე პასუხს ჩვენ ვაგებთ, ფიზიკის კანონებზეც კი. მე მაშინ პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ვიყავი. გაზეთებში წერენ, რომ ისინი... კომუნისტები არიან დამნაშავეები — ცუდ, იაფასიან სადგურებს აშენებდნენ, ადამია-

ნების ცხოვრებას არ უფრთხილდებოდნენ, ადამიანი მათთვის — ქვიშაა, ისტორიის ნაგავიაო. დაწყევლილი შეკითხვები: რა ვქნათ და ვინაა დამნაშავე? მარადიული და ჩვენი ისტორიისთვის შეუცვლელი. ყველას ეჩქარება, შურისძიება და სისხლი უნდა! თავების გაგორებას ელოდებიან... პურსა და სანახაობას...

სხვები გაჩუმდნენ, მე კი გეტყვით... თქვენ წერთ... არა, კონკრეტულად თქვენ არა, მაგრამ გაზეთებში წერენ, რომ კომუნისტები ხალხს ატყუებდნენ, სიმართლეს უმაღავდნენ. მაგრამ ჩვენ იძულებული ვიყავით... დეპეშები ცეკადან, პარტიის ობკომიდან (პარტიის ობკომი — პარტიის საოლქო (რეგიონალური) კომიტეტი)... ჩვენ წინაშე ამოცანა იდგა: არ უნდა დაგვეშვა პანიკა. პანიკა კი, მართლაც, საშინელებაა. როგორც ომის დროს აქცევდნენ ყურადღებას ცნობებს ფრონტიდან, ისე იყო ჩერნობილის შემთხვევაშიც. შიში და ჭორები... ადამიანებს რადიაცია კი არა, თვითონ მოვლენა კლავდა. ჩვენ უნდა გაგვეკეთებინა... ჩვენი ვალი იყო... არც ის შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი ეგრევე დავმალეთ, თავიდან მომხდარის მასშტაბები არავის ესმოდა. მაღალი პოლიტიკური მოსაზრებებით ვხელმძღვანელობდით. თუმცა, ემოციებს რომ შევეშვათ, პოლიტიკას რომ შევეშვათ... უნდა ვაღიაროთ, რომ არავის სჯეროდა იმის, რაც მოხდა! მეცნიერებსაც კი უჭირდათ დაჯერება! არც ერთი მსგავსი მაგალითი! არა მხოლოდ ჩვენთან, მთელ მსოფლიოში. მეცნიერები იქვე, სადგურზე სწავლობდნენ მდგომარეობას და მაშინვე იღებდნენ გადაწყვეტილებებს. ამასწინათ ვუყურე გადაცემას „სიმართლის მომენტი“ ალექსანდრ იაკოვლევის (ალექსანდრ იაკოვლევ (1923-2005) — საბჭოთა და რუსი პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, რუსეთის აკადემიის აკადემიკოსი, პერესტროიკის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი, კომუნისტური პარტიის წევრი (1944 წლიდან), პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და მდივანი (1986-1990), პოლიტბიუროს წევრი ЦК КПСС (1987-1990), 1995-2000 წლებში რუსეთის სოციალური დემოკრატიის პარტიის თავ-

მკდომარე.), პოლიტიკურს წევრის, გორბაჩოვთან ერთად პარტიის იმდროინდელი მთავარი იდეოლოგის მონაწილეობით... რას იგონებს? მათ იქ, ზემოთაც არ ჰქონდათ წარმოდგენილი, რა ხდებოდა... პოლიტიკურს სხდომაზე რომელიღაც გენერალმა ახსნა: „რა არის რადიაცია? პოლიგონზე... ატომური აფეთქების შემდეგ... საღამოს თითო ბოთლი წითელი ღვინო დავლიეთ და არაფერიც არ მოგვსვლია!“ ჩერნობილზე ისე საუბრობდნენ, როგორც ავარიამზე, ჩვეულებრივ ავარიამზე...

მაშინ ვთქვი, რომ არ შეიძლებოდა ხალხის ქუჩაში გამოყვანა. „თქვენ გინდათ პირველი მაისი ჩაშალოთ?“ — პოლიტიკური საქმეა, პარტიული დადგენილება (ცოტა წყნარდება). მგონი, ანეკდოტი არც არის და მართლაც მოხდა: ჰყვებიან, რომ სამთავრობო კომისიის თავმჯდომარემ, შჩერბინმა, რომელიც აფეთქების შემდეგ პირველივე დღეებში მივიდა სადგურზე, მოითხოვა პირდაპირ ავარიის ადგილას მიეყვანათ. აუხსნეს: ჩაქცეულია გრაფიტი, არანორმალური რადიაციული ველია, მაღალი ტემპერატურაა, იქ არ შეიძლება. „რაის ფიზიკა? მე ყველაფერი ჩემი თვალისადაა უნდა ვნახო! — დაჰყვიროდა ქვეშევრდომებს, — საღამოს პოლიტიკურს უნდა მოვახსენო ყველაფერი“. ქცევის სამხედრო სტერეოტიპი... სხვანაირი არც ვიცოდით... არ გვესმოდა, რომ, მართლაც, არსებობს ფიზიკა... ჯაჭვური რეაქცია... რომ არანაირი ბრძანებები და სამთავრობო დადგენილებები ფიზიკას არ ცვლის. სამყარო ამაზე დგას და არა მარქსის იდეებზე. თუმცა ეს რომ ხმამაღლა მეთქვა? მეცადა, გადამედო პირველი მაისის დემონსტრაცია? (ისევ აღელდა). გაზეთებში ისე წერენ, თითქოს ხალხი ქუჩაში იყო და ჩვენ მიწისქვეშა ბუნკერებში ვისხედით... ორი საათი ტრიბუნაზე ვიდექი იმ მზეში! უქულოდ, მოსასხამის გარეშე... ცხრა მაისსაც, გამარჯვების დღეს... ვეტერანებთან ერთად მოვდიოდით... გარმონი უკრავდა, ვცეკვავდით, ვსვამდით. ჩვენ ყველანი ამ სისტემის ნაწილი ვიყავით. გვჯეროდა, მაღალი

იდეალებისა გვჯეროდა! ჩვენი გამარჯვებისა გვწამდა! დავამარცხებთ ჩერნობილს! ერთად დავამარცხებთ! სულმოუთქმელად ვკითხულობდით მართვიდან გამოსული რეაქტორის დასამარცხებლად გაჩაღებული გმირული ბრძოლის შესახებ. ვატარებდით პოლიტსაუბრებს. ჩვენი ადამიანი იდეის გარეშე? დიდი ოცნების გარეშე? ესეც ძალიან საშიშია... ნახეთ, რა ხდება ახლა! ნგრევა, უპატრონობა, ველური კაპიტალიზმი... მაგრამ... წარსულს განაჩენი გამოუტანეს... მთელ ჩვენს ცხოვრებას... ერთი სტალინილა დარჩა... არქიპელაგი გულაგი... და ადრე როგორი ფილმები იყო! როგორი ბედნიერი! სიმღერებიც მხიარული! მითხარით, რატომ? მიპასუხეთ... იფიქრეთ და მიპასუხეთ! რატომ აღარაა ახლა ასეთი ფილმები? სიმღერები? ადამიანი უნდა აღაფრთოვანო, სული შთაბერო! იდეალები გვჭირდება... მაშინ სახელმწიფო ძლიერი იქნება. არ შეიძლება ძეხვი იყოს იდეალი, არც სავსე მაცივარი, არც მერსედესი! დიადი იდეალებია საჭირო! ჩვენ ისინი გვქონდა!

გაზეთებში... რადიოსა და ტელევიზიაში ყვიროდნენ: სიმართლე, სიმართლე! მიტინგებზე მოითხოვდნენ: სიმართლე! ცუდია, ძალიან ცუდია... ჩვენ ყველანი მალე დავიხოცებით! ნაცია გაქრება! ვის რაში სჭირდება ასეთი სიმართლე? როცა კონვენტში ბრბო შევარდა და რობესპიერის დასჯას მოითხოვა, ეს სწორი საქციელი იყო? ბრბოს ემორჩილებოდნენ, ბრბოდ იქცნენ... ჩვენ პანიკა არ უნდა დაგვეშვა... ჩემი სამუშაო... ვალი... (დუმს) თუკი მეც დამნაშავე ვარ, მაშინ რატომაა ჩემი შვილიშვილი... ჩემი გოგონა... ისიც ავადა... ჩემმა შვილმა იმ გაზაფხულზე გააჩინა და სლავგოროდში ჩამოგვიყვანა შეხვეული, ეტლით. სადგურის აფეთქებიდან რამდენიმე კვირაში ჩამოვიდნენ — შვეულმფრენები ფრენდნენ, გზებზე სამხედრო მანქანები იდგა... ცოლი მეხვეწებოდა: „უნდა გავაცილოთ აქაურობას, ნათესავებთან გავუშვათ“. პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ვიყავი, კატეგორიულად ავუკრძალე: „რას იფიქრებს ხალხი, თუკი მე ჩემს ქალიშვილს და შვილიშვილს წავიყვან? მათი შვილები ხომ აქ

რჩებიან? იმათ, ვინც გარბოდა და საკუთარ ტყავზე ფიქრობდა, რაიკომში, ბიუროზე ვიძახებდი: „კომუნისტი ხარ, თუ არ ხარ კომუნისტი?“ ვამოწმებდი ადამიანებს... თუკი დამნაშავე ვარ, მაშინ რატომ ვკლავდი ჩემს საკუთარ შვილიშვილს... (მერე არეულად) მე თვითონ... ის... ჩემს სახლში... (რალაც დროის შემდეგ წყნარდება)

პირველ თვეებში... უკრაინაში — განგაში იყო, ბელარუსში — სიწყნარე. გახურებული თესვა მიდიოდა. არ ვიმალებოდი, კაბინეტში არ ვიკეტებოდი, მინდვრებში დავრბოდი. ვხნავდით, ვთესავდით... ახლა ჩვენ დაგვაფიწყდა, რომ ჩერნობილამდე ატომს მშვიდობის მუშაკს ვეძახდით, ვამაყობდით, რომ ატომის ერაში ვცხოვრობდით... მახსოვს... მაშინ ჯერ კიდევ არ გვეშინოდა მომავლისა. ატომის შიში არ მახსენდება. ვინ არის პარტიის რაიკომის პირველი მდივანი? ჩვეულებრივი ადამიანი ინსტიტუტის ჩვეულებრივი დიპლომით, ყველაზე ხშირად, ინჟინერი ან აგრონომი. ვილაცები კიდევ უმაღლეს პარტიულ სკოლასაც ამთავრებდნენ. რადიაციაზე მხოლოდ ის ვიცოდი, რისი წაკითხვაც სამოქალაქო თავდაცვის კურსებზე მოასწრეს. იქ ერთი სიტყვაც არ გამიგონია რძეში ცეზიუმისა და სტრონციუმის შესახებ... ცეზიუმიანი რძე რძის კომბინატებში მიგვექონდა. ხორცს ვაბარებდით. ორმოც კიურიან ბალახსაც. გეგმებს ვასრულებდით... მთელი პასუხისმგებლობით... ტყავს ვაძრობდი... გეგმები ჩვენთვის არავის მოუხსნია...

ერთი შტრიხიც... ასე ვთქვათ, პორტრეტის შესავსებად... პირველ დღეებში ადამიანები მხოლოდ შიშს კი არ გრძნობდნენ, არამედ — აღმაფრენას. მე ვარ კაცი, რომელსაც თვითგადარჩენის ინსტინქტი გამორთული აქვს. ეს ნორმალურია, რადგან მაღალი ვალდებულების გრძნობა მაქვს. მაშინ მარტო მე არ ვყოფილვარ ასეთი, ბევრი ვიყავით... მაგიდაზე ათობით განცხადება მედო: „გთხოვთ, ჩერნობილში გამიშვათ!“ ეს გულის ძახილი

იყო! ისინი მზად იყვნენ თავი გაეწირათ და სანაცვლოდ არაფერს ითხოვდნენ. რაც არ უნდა წერონ, ეს იყო, ასეთი იყო საბჭოთა ხასიათი. და იყო ისიც — საბჭოთა ადამიანი. რაც არ უნდა წეროთ, როგორც არ უნდა ლანძღოთ... აი, ნახავთ, მერე შეგეცოდებათ... გაიხსენებთ...

ჩვენთან მეცნიერები ჩამოდიოდნენ. კამათობდნენ! ყვიროდნენ! ხრიალებდნენ! ერთს ვკითხე: „ჩვენი შვილები რადიაციულ ქვიშაში თამაშობენ?“ მან კი მიპასუხა: „პანიკორები და დილეთანტები ხართ! ბირთვული ფიზიკის სპეციალისტი ვარ. რა იცით თქვენ რადიაციის შესახებ? ატომური ბომბი რომ აფეთქდებოდა, ერთი საათის შემდეგ ეპიცენტრში ორხიდიანი მანქანით მივდიოდი. მიწა დამდნარი იყო. რატომ თესავთ პანიკას?“ და მეც მჯეროდა მათი ხალხს ვეძახდი და ვეუბნებოდი: „ძმებო! მე გავიქცევი, თქვენც გაიქცევი. რას იფიქრებენ ადამიანები ჩვენზე? იტყვიან, რომ კომუნისტები დემორტირები არიან“. თუ ამ სიტყვებით ვერ ვარწმუნებდი, მერე უკვე სხვანაირად ვმოქმედებდი: „პატრიოტი ხარ თუ არ ხარ? თუ არ ხარ — დადე პარტილეთი მაგიდაზე, გადააგდე!“ ვიღაცები დებდნენ კიდევ...

რალაცას კი ვხვდებოდი... ვვარაუდობდი... ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტთან ხელშეკრულება გავაფორმეთ — ჩვენი მიწები უნდა გამოეკვლიათ. იღებდნენ ბალახს, იღებდნენ შავ მიწას და მინსკში, თავისთან მიჰქონდათ. იქ ანალიზებს ატარებენ. მერე კი მირეკავენ: „გამოაგზავნეთ ტრანსპორტი, თქვენი მიწა უკან უნდა წაიღოთ!“ — „თქვენ რა, ხუმრობთ? — კინაღამ გამივარდა ყურმილი ხელიდან, — მინსკამდე ოთხასი კილომეტრია, მიწა უკან როგორ წამოვიღოთ?“ „არა, არ ხუმრობთ, — მპასუხობენ ისინი, ეს სინჯები ჩვენი ინსტრუქციის მიხედვით სამარხში, მიწისქვეშა რკინა-ბეტონის ბუნკერში დამარხვას ექვემდებარება. მთელი ბელარუსიდან ჩვენთან ჩამოაქვთ სინჯები. ბუნკერი კი ამ ერთი თვის მანძილზე გადაივსოს!“ გესმით? ჩვენ ამ მიწას ვხნავდით, ვთესავდით. ჩვენი ბავშვები თამაშობ-

დნენ... რძისა და ხორცის გეგმის შესრულებას ითხოვდნენ. მარცვლისგან არაყს ვხდიდით, ვაშლი, მსხალი, ალუბალი წვენებში მიდიოდა...

ევაკუაცია... ვილაცას ზემოდან რომ გადმოეხედა, იფიქრებდა, მესამე მსოფლიო ომი დაიწყო... ერთი სოფელი გაჰყავთ, მეორეს აფრთხილებენ — „ევაკუაცია ერთი კვირის მერე იქნება!“ ადამიანები მთელი კვირა თივას აბინავებენ, ბალახს თიბავენ, ბოსტნებს ამუშავებენ, შეშას ამზადებენ... ჩვეულებრივად მიდის ცხოვრება... არ ესმით, რა ხდება. ერთი კვირის შემდეგ კი მოსახლეობა სამხედრო მანქანებით გაჰყავთ. თათბირები, მივლინებები, უძილო ღამეები... რამდენი რამ გადავიტანეთ. მინსკში, პარტიის ქალაქკომის წინ ვილაც კაცი იდგა პლაკატით: „მიეცი თხალს იოდი!“ ცხელოდა, მას კი საწვიმარი ეცვა.

(ჩვენი საუბრის დასაწყისს უბრუნდება)

დაგავიწყდათ... მაშინ... ატომური სადგურები — ეს მომავალია... მე არაერთხელ გამოვსულვარ... პროპაგანდას ვუწევდი... ერთ ატომურ სადგურზე ნამყოფიც ვარ: სინუმე და სადღესასწაულო განწყობა იყო, სისუფთავე... კუთხეში წითელი დროშები და ვიმპელები ელაგა: „სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული“... ჩვენი მომავალი... ბედნიერ ქვეყანაში ვცხოვრობდით. გვეუბნებოდნენ, ბედნიერები ხართო და მართლაც, ვიყავით. თავისუფალიც ვიყავი, არც მესმოდა, რომ ვილაცას შეიძლება ჩემი თავისუფლება მონობად ჩაეთვალა. ახლა კი ისტორიამ ჩამოგვწერა, ვითომც არ ვარსებობთ. ახლა სოლჟენიცინს ვკითხულობ... ვფიქრობ...(დუმს). ჩემს შვილიშვილს ლეიკემია აქვს... ყველაფრისთვის გადავიხადე... ძალიან დიდი საფასური...

მე ჩემი დროის ადამიანი ვარ. მე — დამნაშავე არ ვარ“.

ვლადიმირ მატვეევიჩ ივანოვი

სლავოგრადსკის პარტიის რაიკომის

ყოფილი პირველი მდივანი

საბჭოთა ხელისუფლების დამცველის მონოლოგი

„ე-ე-ე, თქვენი დედა... ე-ე-ე... (მრავალსართულიანი გინება) სტალინი გინდათ თქვენ... რკინის ხელი...“

რას იწერთ? ვინ მოგცათ ნებართვა? ფოტოსაც იღებთ... მოაშორეთ ეს სათამაშო! ახლავე... მოაშორეთ... თორემ გავტეხავ... გესმის, შენ... ჩამოხვედი... ჩვენ აქ ვცხოვრობთ... ვიტანჯებით, თქვენ კიდეც... თურმე წერთ! მწერლუკები! ხალხს თავგზასურევთ... აჯანყებთ... იმას სძალავთ, რაც საჭირო არ არის! წესრიგი აღარ არის! წესრიგი არ არის! გესმის შენ, ჩამოვიდნენ... მაგნიტოფონებით...

ჰო, მე ვიცავ! საბჭოთა ხელისუფლებას ვიცავ! ჩვენს ხელისუფლებას! სახალხოს! საბჭოთა ხელისუფლების დროს მაგრები ვიყავით, ჩვენი ყველას ეშინოდა. მთელი მსოფლიო შემოგვყურებდა! ვიღაც შიშით კანკალებდა, ვიღაცას შურდა... ეე... და ახლა? დემოკრატიის დროს... „სნიკერსი“ და ძველი მარგარინი შემოაქვთ, ვადაგასული წამლები და ნახმარი ჯინსები, როგორც ველურებისთვის, რომლებიც ახლახან ჩამოვიდნენ ხეებიდან, პალმებიდან... ქვეყანა მეცოდება... ხვდები, სად მოვედით... რა ქვეყანა გვქონდა! სანამ გორბაჩოვი არ გამობრწყინდა... მეფედ... ნიშნიანი ეშმაკი! გორბი... გორბი იმათი ცეერუს გეგმით მოქმედებდა... და რა გინდათ, რომ დამიმტკიცოთ? ხვდები თუ არა... იმათ ააფეთქეს ჩერნობილი... ცეერუმ(ცეერუ (რუს. ЦРУ) — ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო (ინგლ. ჩენტრალ ინტელიჯენცე აგენცე, ჩსა) — აშშ-ის ფედერალური მთავრობის სააგენტო, რომლის ძირითადი ამოცანა ინფორმაციის შეგროვება და ანალიზია უცხოური ორგანიზაციებისა და მოქალაქეების საქმიანობის შესახებ. აშშ-ის საგარეო დაზვერვის და კონტრდაზვერვის ძირითადი ორგანო.) და დემოკრატებმა... გაზეთებში

წავიკითხე... ჩერნობილი რომ არ აფეთქებულიყო, ქვეყანა არ დაიქცეოდა... დიადი ქვეყანა! ამის... (მრავალსართულიანი გინება) ხედები თუ არა... კომუნისტების დროს თეთრი პური ოცი კაპიკი ღირდა, ახლა ორი ათასი ღირს. სამ მანეთად დასალევსაც ვყიდულობდი და მისაყოლებელზეც მყოფნიდა... დემოკრატების დროს? მეორე თვეა, შარვალი ვერ მიყიდა. დახეული ფუფაიკით დავდივარ. ყველაფერი გაყიდეს! ჩააქციეს! ჩვენს შვილიშვილებს გაუჭირდებათ...

მთვრალი არ ვარ. კომუნისტების მხარეს ვარ! ისინი ჩვენკენ, უბრალო ადამიანებისკენ იყვნენ! არ მჭირდება ზღაპრები! დემოკრატია... ცენზურა გააუქმეს, მეტი რა გინდათ! რაც გინდა, წერე! თავისუფალი ადამიანი... ეეე... მოკვდება ეს თავისუფალი კაცი და ვერ ვმარხავთ... ამის.... ჩვენთან დედაბერი მოკვდა. მარტოხელა, უშვილო. საწყალი ორი დღე ქოხში ეგდო. ძველი ტანსაცმლით. ხატების ქვეშ... კუბო ვერ ვიყიდეთ... არადა, სტახანოველი იყო ერთ დროს, მერგოლური(მერგოლური – სსრკ-ში კოლმეურნეობის მუშა, რომელიც რგოლებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებებში მონაწილეობდა.

)... ორი დღე მინდორში არ გავსულვართ. მიტინგებს ვაწყობდით! ამის... სანამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე არ გამოვიდა... ხალხის წინ... და პირობა არ დადო, რომ ახლა, როცა ვინმე მოკვდება, კოლმეურნეობა უფასოდ გამოყოფს: ხის კუბოს, ჩვენებურად ტრუნას, ხბოს ან გოჭს და ორ ყუთ არაყს ქელეხისთვის. დემოკრატების დროს... ორი ყუთი არაყი... უფასოდ! ერთი ბოთლი ერთ კაცზე – ლოთობაა, ნახევარი – სამკურნალოა... რადიაციისგან...

ამას რატომ არ იწერთ? ჩემს სიტყვებს. მარტო იმას იწერთ, რაც თქვენ გაწყობთ. ხალხს თავგზას ურევთ... აბუნტებთ... პოლიტიკური კაპიტალი გჭირდებათ? ჯიბეების დოლარებით გავსება? ჩვენ აქ ვცხოვრობთ... ვიტანჯებით... დამნაშავეები არ ჩანან!

დამისახელეთ დამნაშავეები! მე კომუნისტების მხარეს ვარ! დაბრუნდებიან და ეგრევე იპოვნიან დამნაშავეებს! ამათი... გესმის, ჩამოდიან... იწერენ...

ე-ე-ე, თქვენი დედა... ე-ე-ე... (მრავალსართულიანი გინება)
(გვარი არ მითხრა)“.

მონოლოგი იმის შესახებ, როგორ შეხვდა ორი ანგელოზი ოლენკას

„მასალები მაქვს... სახლში ყველა წიგნის თაროზე მიდევს დიდი საქალაქლები. იმდენად ბევრი ვიცი, რომ წერა აღარ შემიძლია...

შვიდი წელი ვაგროვებდი — გაზეთის ამონაჭრებს, ინსტრუქციებს, ფურცლებს... ჩემს შენიშვნებს... ციფრები მაქვს... ყველაფერს მოგცემთ. ბრძოლა შემიძლია: მიტინგების ორგანიზება, პიკეტების მოწყობა, წამლების შოვნა, ავადმყოფ ბავშვებთან სიარული, — მაგრამ წერა არ შემიძლია. შეუდექით... მე კი იმდენნაირი გრძნობა მაქვს, რომ ვერ ვუმკლავდები, ხელს მიშლის. ჩერნობილს უკვე თავისი სტალკერები ჰყავს... თავისი მწერლები... მაგრამ არ მინდა იმათ შორის ვიყო, ვინც ამ თემით მანიპულირებს. პატიოსნად უნდა დაიწეროს... ყველაფერი უნდა დაიწეროს... (ჩაფიქრდა)

თბილი აპრილის წვიმა... შვიდი წელია, ეს წვიმა არ მავიწყდება... ნაწვიმარი გროვდებოდა, როგორც ვერცხლისწყალი... ხომ ამბობენ, რადიაცია უფერულიაო? მაგრამ გუბები მწვანედ და ღია ყვითლად ანათებდა. მეზობელმა ჩურჩულით მითხრა, რადიო „თავისუფლებამ“ გადმოსცა, ჩერნობილის ატომურ სადგურზე ავარია მოხდაო. მაშინ ამას არანაირი ყურადღება არ მივაქციე. სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რაიმე სერიოზული რომ ყოფილიყო, აუცილებლად გაგვაფრთხილებდნენ. არსებობს სპეციალური ტექნიკა, სპე-

ციალური სიგნალიზაცია, თავშესაფარი. გაგვაფრთხილებენ, — ჩვენ ამის გვჯეროდა! სამოქალაქო თავდაცვის კურსებზე ყველანი ვსწავლობდით. მე თვითონ ვატარებდი იქ მეცადინეობებს... გამოცდებს ვიბარებდი... იმავე დღეს, საღამოს, მეზობელმა რალაც ფხვნილი მომიტანა. ნათესავს მიუცია (ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტში მუშაობდა), აუხსნია კიდევ, როგორ უნდა დაეღია, მაგრამ შეიპირა, რომ სიტყვას არავისთან დაძრავდა. თევზივით ჩუმად იქნებოდა, ქვასავით! განსაკუთრებით საშიში იყო ტელეფონით საუბარი...

იმ დროს ჩემთან ერთად პატარა შვილიშვილი ცხოვრობდა. მე კი? მე მაინც არ დავიჯერე. მგონი, არც არავინ სვამდა ამ ფხვნილს. ძალიან გულუბრყვილოები ვიყავით, მართო უფროსი თაობა კი არა, ახალგაზრდებიც...

პირველ შთაბეჭდილებებს, პირველ ჭორებს ვიხსენებ... ერთი დროიდან მეორეში გადავდივარ, ერთი მდგომარეობიდან — მეორეში... იქიდან — აქეთ... წერის გამოცდილება მაქვს და ეს გადასვლები მაფიქრებდა, მაინტერესებდა. თითქოს ჩემში ორი ადამიანი ცხოვრობდა — ჩერნობილამდელი და ჩერნობილის დროისა. და „მანამდელის“ ზუსტად აღდგენა ახლა მიჭირს. ჩემი თვალსაწიერი შეიცვალა.

ზონაში პირველივე დღეებიდან დავდიოდი... მახსოვს, რომელიღაც სოფელში გავჩერდით და სრულიად გამაოგნა სიჩუმემ! არც ჩიტები, არც არაფერი... მიდიხარ ქუჩაში... და სიჩუმეა... გასაგებია, ქოხები მოკვდა, ადამიანები არ არიან, წავიდნენ, მაგრამ ირგვლივ ყველაფერი დუმდა, არც ერთი ჩიტი. პირველად ვნახე უჩიტებო მიწა... უკოლო... არაფერი დაფრენდა...

სოფელ ჩურიადიში ჩავედით — ას ორმოცდაათი კიური... სოფელ მალინოვკაში — ორმოცდაცხრამეტი კიური... მოსახლეობა იმაზე ასობით მეტ დობას იღებდა, ვიდრე ჯარისკაცები, რომლებიც ბირთვული ბომბების გამოსაცდელ რაიონებს იცავენ. პოლი-

გონებს! ასობით მეტს! დოზიმეტრი ისე ელავდა, ცახცახებდა... კოლმეურნეობის შენობებში კი ეკიდა რაიონელ რადიოლოგთა მიერ ხელმოწერილი განცხადებები, რომ — ხახვი, სალათი, პომიდორი, კიტრი — ყველაფერი იჭმება. იზრდებოდა და ჭამდნენ.

ახლა რას ამბობენ ეს რაიონელი რადიოლოგები? პარტიის რაიკომის მდივნები? როგორ იმართლებენ თავს?

სოფლებში სულ მთვრალებს ვხვდებოდით. ქალებიც კი ნაბახუსევები დადიოდნენ. განსაკუთრებით მწველავები, მეხბორეები. სიმღერებს მღეროდნენ... მაშინ მოდაში იყო ასეთი სიმღერა: „ჩვენთვის სულ ერთია, ჩვენთვის სულ ერთია...“ კინოფილმიდან „ბრილიანტის ხელი“...

იმავე სოფელში, მალინოვკაში (ჩეროკოვსკის რაიონი) საბავშვო ბაღში შევედით. ბავშვები ეზოში დარბოდნენ, პატარები ქვიშაში დაცოცავდნენ... ბაღის გამგე გვიხსნის, რომ ქვიშას ყოველთვე ცვლიან. საიდანღაც მოაქვთ. ხომ წარმოგიდგენიათ, საიდან მოიტანდნენ? ბავშვები ნაღვლიანები ჩანდნენ. ჩვენ ვხუმრობდით, ისინი კი არ იცინოდნენ. აღმზრდელი ატირდა: „ტყუილად ცდილობთ. ჩვენი ბავშვები არ იღიმებიან, ძილში ტირიან“. ქუჩაში შეგვხვდა ქალი, ახალშობილით. „ვინ მოგცათ უფლება, აქ გაგეჩინათ? ორმოცდაცხრამეტი კიურია...“ — „ექიმი რადიოლოგი ჩამოვიდა. მხოლოდ ის მირჩია, საფენები ეზოში არ გააშროლო“. ადამიანებს არწმუნებდნენ, არ წასულიყვნენ, დარჩენილიყვნენ. აბა როგორ? მუშახელია! მაშინაც კი, როცა სოფლები გაასახლეს, სამუდამო ევაკუაციაში გაიყვანეს, მაინც ჩამოჰყავდათ ხალხი მინდორში სამუშაოდ, კარტოფილის ამოსაღებად...

ახლა რას ამბობენ? რას ამბობენ რაიკომების და ობკომების მდივნები? როგორ იმართლებენ თავს? ვინაა მათთვის დამნაშავე?

ბევრი ინსტრუქცია მაქვს შენახული, სრულიად საიდუმლო ინსტრუქციები. ყველას მოგცემთ... დაზიანებული ქათმის ხორცის დამუშავების ინსტრუქცია... ცეხში მათი დამუშავებისას ისე უნდა ჩაეც-

ვით, როგორც დაბინძურებულ ტერიტორიაზე რადიოაქტიურ ელემენტებთან შეხების დროს: რეზინის ხელთათმანები, ჩექმები და ასე შემდეგ. თუკი რამდენიღაც კიურიზე მეტი იყო, მარილწყალში უნდა მოიხარშოს, წყალი კანალიზაციაში გადაიღვაროს, ხოლო ხორცი დაემატოს ძეხვებსა და პაშტეტებს. ასე სრულდებოდა ხორცის გეგმა. თუკი რამდენიღაც კიურია, ძვლები დაიფქვას და საქონლის საკვებში მოიხმარონ. დაბინძურებული რაიონებიდან ხბოებს იაფად ჰყიდდნენ სხვაგან, სუფთა ადგილებში. მძღოლები, რომელთაც ეს ხბოები გადაჰყავდათ, ჰყვებოდნენ, რომ ძალიან სასაცილოები იყვნენ, ბეწვი ძირს დასთრევდათ და ისე შიოდათ, რომ ყველაფერს ჭამდნენ — ნაჭრებსა და ქაღალდებსაც კი. ადვილი გამოსაკვები იყვნენ. კოლმეურნეობები ჰყიდდნენ, მაგრამ ვინმეს თუ უნდოდა, ისედაც შეეძლო წაეყვანა. სისხლის სამართლის დანაშაულია! დანაშაული!

გზაში მანქანა შემოგვხვდა. სატვირთო მანქანა ისე ნელა მოდიოდა, თითქოს მიცვალებული მოაქვსო. გავაჩერეთ. საჭესთან სულ ახალგაზრდა ბიჭი იჯდა. ვეკითხები: „ცუდად ხომ არ ხარ, რატომ მიდიხარ ასე ნელა?“ — „არა, რადიოაქტიური მიწა მიმაქვს“. არადა ცხელა, მტვერია! „გაგიჟდი?! ცოლი უნდა მოიყვანო, ბავშვები გეყოლოს!“ — „აბა, სად ვიშოვი ორმოცდაათ მანეთს ერთ რეისში?“ ორმოცდაათ მანეთად იმ დროს კარგი კოსტიუმის ყიდვა შეიძლებოდა. ფულზე უფრო მეტს საუბრობდნენ, ვიდრე რადიაციაზე... მიზერულ თანხებზე სიცოცხლის ფასთან შედარებით...

ტრაგიკული და სასაცილო გვერდიგვერდ იყო...

ქალები სახლის წინ, ბაღის სკამებზე სხედან. ბავშვები დარბიან. გავზომეთ — სამოცდაათი კიურია...

— საიდან არიან ბავშვები?

— მინსკიდან ჩამოვიდნენ საბაფხულოდ.

— დიდი რადიაციაა თქვენთან!

— რას დაექებ ამ რადიაციას, ეგ აქ უკვე ვნახეთ!

— რადიაციის ნახვა არ შეიძლება!

— აი, შეხედე: ქოხი დაუმთავრებელია. მიატოვეს და წავიდნენ. შეშინდნენ. ჩვენ კი საღამოს მივედით და ვხედავთ... ფანჯარაში შევიხედეთ... კოჭის ქვეშ ზის... ეს რადიაცია. ბოროტ-ბოროტ თვალებს აკვესებს... შავზე შავია...

— წარმოუდგენელია!

— დაგიფიცებთ! ხატზე დაგიფიცებთ!

პირჯვარს იწერენ. მხიარულად იწერენ! საკუთარ თავს დასცინიან თუ ჩვენ?

მივლინებების შემდეგ რედაქციაში ვიკრიბებით. „აბა, როგორაა საქმეები?“ ვეკითხებით ერთმანეთს. „ყველაფერი ნორმალურადაა!“ „ყველაფერი ნორმალურადაა? სარკეში ჩაიხედე, ჭაღარა შემოგრევი, რაც წახვედი“ ანეკდოტები გაჩნდა, საბჭოთა ანეკდოტები. ყველაზე მოკლე: „იყო კარგი ხალხი — ბელარუსები“.

დავალეხა მივიღე — ევაკუაციაზე უნდა დამეწერა. პოლესიეში სჯერათ — თუ შინ დაბრუნება გინდა, გრძელ გზას სანამ შეუდგები, ხე უნდა დარგო. ჩავდივარ... ერთ ეზოში შევედი, მეორეში, მესამეში... ყველანი ხეებს რგავენ. მესამეში რომ შევედი, ჩამოვჯექი და ავტირდი. დიასახლისი მეუბნება: „ქალიშვილმა და სიძემ ქლიავი დარგეს, მეორე გოგომ — შავი ცირცელი, უფროსმა ბიჭმა — ძახველი, ყველაზე უმცროსმა — ტირიფი. მე და ჩემმა ქმარმა — ერთი ვაშლი. ვემშვიდობებით, გვეხვეწება: „იმდენი მარწყვი მაქვს — მთელი ეზო სავსეა. წაიღეთ მარწყვი“. უნდოდა, რომ მისგან რაღაც დარჩენილიყო, მისი ცხოვრების რაღაც ნაკვალევი...

ცოტა რამის ჩაწერა მოვახერხე... ცოტა... სულ გადავდებდი ხოლმე. ერთხელაც დავჯდები და გავიხსენებ. შვებულებაში გავალ...

აი... გამახსენდა... სოფლის სასაფლაო... ჭიშკართან წარწერაა „მაღალი რადიაცია. შესვლა აკრძალულია“. ისეა საქმე, იმ ქვეყნა-

დაც კი ვერ მოხვდები (მოულოდნელად გაიცინა, პირველად, მთელი საუბრის მანძილზე).

მოუყოლიათ თქვენთვის, რომ რეაქტორთან ახლოს ფოტოს გადაღება სასტიკად აკრძალული იყო? მხოლოდ სპეციალური ნებართვის შემთხვევაში შეიძლებოდა. ფოტოაპარატებს ართმევდნენ. სანამ წამოვიდოდნენ, იქ მოსამსახურე ჯარიკაცებს ჩხრეკდნენ, როგორც ავღანეთში, რომ, ღმერთმა არ ქნას, რაიმე ფოტო არ წამოეღოთ. რაიმე სამხილი არ ყოფილიყო. ტელევიზიის თანამშრომლებს ფირებს კაგებე ართმევდა და გაფუჭებულს უბრუნებდა. რამდენი დოკუმენტია განადგურებული, რამდენი მოწმობა. ისტორიამ და მეცნიერებამ ეს ყველაფერი უკვე დაკარგა. ნეტავ ისინი გვაპოვნინა, ვინც ამ ბრძანებებს იძლეოდა.

როგორ გაიმართლებდნენ თავს? რას მოიფიქრებდნენ?

მე არასდროს ვამართლებ მათ... არასდროს! ერთი გოგოს გამო... საავადმყოფოში ცეკვავდა, „პოლენკა“ (პოლენკა – პოლკა, აღმოსავლეთევროპული სწრაფი ცეკვა.) მიცეკვა. იმ დღეს გახდა ცხრა წლის. ისე ლამაზად ცეკვავდა. ორი თვის შემდეგ დედამისმა დამირეკა: „ოლენკა კვდება!“ არ მეყო ძალა, რომ იმ დღეს საავადმყოფოში მივსულიყავი. მერე – უკვე ძალიან გვიან იყო. ოლენკას უმცროსი და ჰყავდა. დილას გაიღვიძა და ამბობს: „დედა, სიზმარში ვნახე, რომ ორი ანგელოზი მოფრინდა და ჩვენი ოლენკა წაიყვანეს. ასე თქვეს, ოლენკა იქ კარგად იქნება, იქ არაფერი ეტკინებაო. დედიკო, ჩვენი ოლენკა ანგელოზებმა წაიყვანეს“...

არავის გამართლება არ შემიძლია...”

ირინა კისილიოვა

ჟურნალისტი

მონოლოგი ერთი ადამიანის მეორეზე უსაზღვრო ძალაუფლების გამო

„ჰუმანიტარი არ ვარ. ფიზიკოსი ვარ. ამიტომაც — ფაქტები, მხოლოდ ფაქტები...

ჩერნობილისთვის ოდესმე პასუხს აგებენ. დადგება დრო, და ისევე მოუწევთ პასუხის გება, როგორც ოცდაჩვიდმეტი წლის გამო. თუნდაც, ორმოცდაათი წლის შემდეგ იყოს! თუნდაც მოხუცები... თუნდაც მკვდრები... ისინი პასუხს აგებენ, ისინი — დამნაშავეები არიან! (ჩუმდება) ფაქტები უნდა დავტოვოთ... ფაქტები! მათ მომავალში გამოიყენებენ...

...იმ დღეს, ოცდაექვს აპრილს... მოსკოვში ვიყავი, მივლინებაში. იქ გავიგე ავარიის შესახებ.

მინსკში, ბელარუსის ცეკას პირველ მდივანთან სლიუნკოვთან ვრეკავ. ერთხელ, მეორედ, მესამედ... ვრეკავ, მაგრამ არ მაერთებენ. ბოლოს მის თანაშემწეს ვპოულობ (კარგად მიცნობდა):

— მოსკოვიდან გირეკავთ. სლიუნკოვთან შემაერთეთ! სასწრაფო ინფორმაცია მაქვს, ავარიული!

სამთავრობო ხაზით ვრეკავ, მაგრამ უკვე ყველაფერი გასაიდუმლოებულია. როგორც კი ავარიაზე ვიწყებ ლაპარაკს, ეგრევე მითიშავენ ტელეფონს. ცხადია, ისმენენ. შესაბამისი ორგანოები ისმენენ... სახელმწიფო სახელმწიფოში... და ეს მაშინ, როცა ცეკას პირველ მდივანს ვურეკავ! მე კი... მე ბელარუსის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული ენერგეტიკის ინსტიტუტის დირექტორი ვარ. პროფესორი, წევრ-კორესპონდენტი... მაგრამ ჩემგანაც მაღავენ...

ორი საათი დამჭირდა, რომ ყურმილი თვითონ სლიუნკოვს აეღო. ვაუწყებ:

— ავარია სერიოზულია. ჩემი გათვლებით (უკვე მოვასწარი მოსკოვში ვილაცებთან მოლაპარაკებები, დავითვალეთ) რადიაქტიური სვეტი ჩვენ, ბელარუსს გვიახლოვდება. მოსახლეობას სასწრაფოდ

უნდა ჩავუტაროთ იოდით პროფილაქტიკა და გამოვასახლოთ ისინი, ვინც რეაქტორთან ახლოს ცხოვრობს. ას კილომეტრზე უნდა მოვაშოროთ ადამიანიც და ცხოველიც.

— უკვე მომახსენეს, — ამბობს სლიუნკოვი, — იქ ხანძარი იყო, მაგრამ ჩააქრეს.

თავს ველარ ვიკავებ:

— ეს ტყუილია! აშკარა ტყუილი! ნებისმიერი ფიზიკოსი გეტყვით, რომ საათში სადღაც ხუთი ტონა გრაფიტი იწვის! წარმოიდგინეთ, რამდენ ხანს იქნება ხანძარი!

მინსკში პირველივე მატარებლით მივდივარ. უძილო ღამეს ვათენებ. დილას შინ ვარ. შვილს ფარისებრს ვუბოძავ — ას ოთხმოცი მიკრორენტგენია საათში! მაშინ ფარისებრი იდეალური დოზიმეტრი იყო. იოდის კალიუმი გვჭირდებოდა. ეს ჩვეულებრივი იოდია. რეაქტორი ათ დღეს იწვოდა, ათ დღეს უნდა დაეღიათ ეს ხსნარი. მაგრამ ჩვენ არავინ გვისმენდა! ჩვენ — მეცნიერებსა და ექიმებს! მეცნიერება პოლიტიკის სამსახურში იყო, მედიცინაც პოლიტიკაში ჩაითრიეს! და თანაც! არ უნდა დაგვაფიწყდეს, როგორები ვიყავით იმ დროს, ათი წლის წინ. კაგებე მუშაობდა, საიდუმლო სამსახური. „დასავლეთის ხმებს“ ახშობდნენ, ათასობით ტაბუ იყო, პარტიული და სამხედრო საიდუმლოება... ინსტრუქციები... ამას გარდა, ყველანი გაგვზარდეს სულისკვეთებით, რომ საბჭოთა მშვიდობიანი ატომი ისეთივე უსაფრთხოა, როგორც ტორფი და ქვანახშირი. ჩვენ შიშებითა და ცრურწმენებით გონებადახშული ხალხი ვიყავით... მაგრამ ახლა ფაქტები... მხოლოდ ფაქტები, ფაქტები...

იმავე დღეს... ოცდაშვიდ აპრილს გადავწყვიტე უკრაინის საზღვარზე, გომელის ოლქში ჩასვლა, რაიონულ ცენტრებში — ბრაგინში, ხოინიკიში, ნაროვლიაში, იქიდან სადგურამდე მხოლოდ რამდენიმე ათეული კილომეტრია. სრული ინფორმაცია მჭირდებოდა. ფონი კი ასეთი იყო: ბრაგინოში — ოცდაათი ათასი მიკრო-

რენტგენი საათში, ნაროვლიაში — ოცდარვა ათასი... ხნავენ, თესა-ვენ... აღდგომისთვის ემზადებიან, კვერცხს ღებავენ, კულიჩებს აცხობენ... რაის რადიაცია? საერთოდ რა არის? არანაირი ბრძანება არ მიუღიათ. ზემოდან ანგარიშებს მოითხოვენ: როგორ მიდის თესვა, როგორი ტემპით... ისე მიყურებენ, როგორც გიჟს: „საიდან? რას ამბობთ, პროფესორო?“ რენტგენი, მიკრორენტგენი... უცხოპლანეტელების ენაა...

მინსკში ვბრუნდებით. გამზირზე ღვეზლებით, ნაყინით, ხორცის ფარშით, ფუნთუშებით ვაჭრობენ. რადიექტიური ღრუბლის ქვეშ...

ოცდაცხრა აპრილს... ყველაფერი ზუსტად მახსოვს... თარიღების მიხედვით... დილის რვა საათზე უკვე სლიუნკოვის მისაღებში ვიჯექი. ვცდილობდი შესვლას, არ მიღებდა. საღამოს ექვსის ნახევრამდე ველოდე. ექვსის ნახევარზე სლიუნკოვის კაბინეტიდან ერთი ცნობილი პოეტი გამოდის. ერთმანეთს ვიცნობთ.

— ამხანაგ სლიუნკოვთან ბელარუსის კულტურის პრობლემები განვიხილეთ.

— მალე აღარავინ იქნება, ეს კულტურა რომ განავითაროს და თქვენი წიგნები წაიკითხოს! — უცებ აფეთქდი, — თუკი ახლა არ გამოვასახლებთ ხალხს ჩერნობილიდან. თუ არ გადავარჩინთ!

— რას ამბობთ?! იქ უკვე ყველაფერი ჩააქრეს.

სლიუნკოვთან მაინც შევიჭერი. ვუხატავ სურათს, რომელიც წინა დღეს ვნახე. ხალხი უნდა გადავაჩინოთ! უკრაინაში (იქ დავრეკე) უკვე დაიწყო ევაკუაცია.

— თქვენი დოზიმეტრისტები (ჩემი ინსტიტუტიდან) ქალაქში დარბიან და პანიკას თესენ! ველაპარაკე მოსკოვს, აკადემიკოს ილინს. ჩვენთან ყველაფერი წესრიგშია. გადასროლილია არმია, სამხედრო ტექნიკა. სადგურზე მუშაობს სამთავრობო კომისია. პროკურატურა. გაერკვევიან... არ უნდა დაგვაფიქედეს: ცივი ომი მიდის. მტრებით ვართ გარშემორტყმული...

ჩვენს მიწაზე უკვე იდო ასობით ტონა ცეზიუმი, იოდი, ტყვია, ცირკონიუმი, კადმიუმი, ბერილიუმი, პლუტონიუმის გაურკვეველი რაოდენობა (ურანის და გრაფიტის დიდი სიმძლავრის არხისებური რეაქტორის ჩერნობილის ვერსიაში გამომუშავდებოდა პლუტონიუმი, რომლისგანაც შემდეგ ატომური ბომბები მზადდებოდა) — სულ ოთხასი-ხუთასი ტიპის რადიონუკლიდი. მათი რაოდენობა დაახლოებით იმ სამას ორმოცდაათი ბომბის სიმძლავრეს უდრიდა, რომლებიც ჰიროშიმაში ჩამოყარეს. ფიზიკაზე უნდა ელაპარაკათ, ფიზიკის კანონებზე! ისინი კი მტერზე ლაპარაკობდნენ. მტრებს ეძებდნენ!

„ადრე თუ გვიან, ამის გამო პასუხს აგებთ! — ვეუბნებოდი სლიუნკოვს, — თქვენ ტრაქტორმშენებელი ხართ (სატრაქტორო ქარხნის ყოფილი დირექტორი იყო) და რადიაციაში ვერ ერკვევით, მე ფიზიკოსი ვარ და წარმოდგენა მაქვს შედეგებზე“. მაგრამ როგორ? ვიღაც პროფესორი, ვიღაც ფიზიკოსები ცეკვას ასწავლიან ჭკუას? არა, ეს ბანდიტების ხროვა არ ყოფილა. ალბათ უფრო — უფიცობისა და კორპორატიულობის ნაზავი იყო. ცხოვრების პრინციპები აპარატში მუშაობისას ჰქონდათ ნასწავლი: თვალში არავის უნდა შეჩხეროდნენ. სლიუნკოვს კი სწორედ მაშინ მოსკოვში უპირებდნენ გადაყვანას, დაწინაურებას. ეგ იყო! ვფიქრობ, კრემლიდანაც დარეკავდნენ, გორბაჩოვისგან... „აბა, თქვენ იცით, ბელარუსებო, პანიკა არ ატეხოთ, დასავლეთში ისედაც ხმაურიან“. თამაშის წესები კი ასეთია — თუკი ზემდგომ უფროსობას არ აამებთ, არ დაგაწინაურებენ, იმ საგზურს არ გამოგიწერენ, იმ აგარაკს არ გამოგიყოფენ... უნდა მოაწონოთ თავი... ჩვენ რომ ისევ ისეთი დახურული სისტემა გვქონოდა, ისევ ის რკინის ფარდა, ადამიანები დღესაც სადგურის გვერდით იცხოვრებდნენ. გაასაიდუმლოებდნენ! გაიხსენეთ კიშტიმი(კიშტიმის ავარია — პირველი რადიაციული ავარია სსრკ-ში, რომელიც 1957 წელს დახურულ ქალაქ ჩელიაბინსკ-40-ში, ქიმიკომბინატ

„მაიაკში“ მოხდა. ქალაქის დასახელება საიდუმლოების დაცვის მიზნით რუკაზე არ იყო დატანილი და ავარიას სახელი ახლომდებარე ტბის, კიშტიმის მიხედვით ეწოდა. აფეთქება რადიოაქტიური ნივთიერებების საწყობში მოხდა, გაგრილების სისტემის გათიშვის გამო 80 მ³ მაღალი რადიოაქტიური ბირთვული ნარჩენი აფეთქდა. ატმოსფეროში 20 მლნ კიური რადიოაქტიური ნივთიერებები გაიტყორცნა, რომლებმაც უზარმაზარი ღრუბელი შექმნეს. რადიაციული დაბინძურების ზონაში მოხვდა „მაიაკის“ რამდენიმე საწარმო, სამხედრო ქალაქი, პატიმართა კოლონია და ა. შ.; 217 დასახლებული პუნქტი – ჩელიაბინსკის, სვერდლოვის და ტიუმენის ოლქები. სულ დაბინძურებულ ტერიტორიაზე 270 000 ადამიანი ცხოვრობდა. ავარიის ლიკვიდაციის დროს 23 სოფელი (10-12 000 მოსახლე) გაასახლეს.), სემიპალატინსკი(სემიპალატინსკის პოლიგონი – საბჭოთა პოლიგონი ატომური იარაღის გამოსაცდელად. მსოფლიოში სულ ოთხი ამ ტიპის პოლიგონია. აქ 1949 წელს გამოსცადეს პირველი საბჭოთა ატომური ბომბი, ხოლო 1953 წელს აკადემიკოს ანდრეი სახაროვის მიერ შექმნილი წყალბადის 400 მეგატონიანი ბომბი, რამაც პოლიგონი საგრძნობლად დააზიანა, რადიაციული ფონი იქ დღემდე შენარჩუნებულია. 1991 წელს ყაზახეთის ხელისუფლებამ პოლიგონი დახურა. პოლიგონის ტერიტორიის ახლოს, დაბინძურებულ ტერიტორიაზე დღემდე ცხოვრობს მოსახლეობა.). სტალინის ქვეყანა... ისევ სტალინის ქვეყანა...

ბირთვული ომის ინსტრუქციებში გაწერილია, რომ ბირთვული ავარიის საშიშროების დროს, ბირთვული თავდასხმისას, მოსახლეობას დაუყოვნებლივ უნდა ჩაუტარდეს იოდით პროფილაქტიკა. საშიშროების დროს... აქ კი... საათში სამი ათასი მიკრორენტგენი იყო... მაგრამ იმათ ხალხი კი არ ადარდებდათ, არამედ საკუთარი ხელისუფლება. ხელისუფლების ქვეყანა იყო და არა – ხალხის. სახელმწიფოს პრიორიტეტზე არავინ კამათობდა. ადამიანის სიცოცხლის ღირებულება ნულის ტოლი იყო. შესაძლებლობა გვქონდა,

ჩვენ ვთავაზობდით... განცხადებების, პანიკის გარეშე... უბრალოდ, იოდის პრეპარატები უნდა შეეყვანათ წყალსაცავებში, საიდანაც სასმელ წყალს იღებდნენ, დაემატებინათ რძეში. შეიძლება ვიღაცას ეგრძნო, რომ წყალს ოდნავ სხვა გემო ჰქონდა, ოდნავ სხვა გემო – რძეს. ქალაქში ჰქონდათ შვიდასი კილოგრამი პრეპარატი და ისევ ისე, მარაგად დარჩა საწყობებში. გემოდან რისხვისა უფრო ეშინოდათ, ვიდრე ატომისა. ყველა ბარს, ბრძანებას ელოდა და თვითონ არაფერს აკეთებდა. პირადი პასუხისმგებლობის შიში ჰქონდათ. დოზიმეტრი ჩანთით დამქონდა. რატომ? არ მიშვებდნენ, აღარ უნდოდათ ჩემი დანახვა დიდ კაბინეტებში... ვიღებდი დოზიმეტრს და იმ მდივანი ქალების, ან პირადი მძღოლების ფარისებრთან მიმქონდა, შესასვლელელებში რომ ისხდნენ. მათ ეშინოდათ, ეს ხანდახან ჭრიდა ხოლმე და მიშვებდნენ. „რა ისტერიკებს აწყობთ, პროფესორო? მარტო თქვენ დარდობთ ბელარუს ხალხზე? ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, რაღაცით კვდება: სიგარეტით, საავტომობილო კატასტროფით, თავს იკლავს“. უკრაინელებს დასცინოდნენ. ისინი ამ დროს კრემლში მუხლებზე დახობავდნენ, თხოულობდნენ ფულს, მედიკამენტებს, დოზიმეტრულ აპარატურას (არ იყო საკმარისი)... ჩვენმა კი (სლიუნკოვმა) თხუთმეტ წუთში მოახსენა: „ყველაფერი ნორმალურადაა. ჩვენი ძალებით გავუმკლავდებით“. შეაქეს: „ყოჩაღ, ძმებო-ბელარუსებო!“

რამდენ სიცოცხლედ დაჯდა ეს ქება?

ვიცი, რომ ისინი (უფროსობა) იოდს იღებდნენ. როცა მათ ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლები სინჯავდნენ, ფარისებრი ყველას სუფთა ჰქონდა. ეს კი იოდის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. შვილები ჩუმად გაიყვანეს, უბედურებას მოარიდეს. როცა მივლინებებში მიდიოდნენ, რესპირატორები და სპეცტანსაცმელი მიჰქონდათ. ყველაფერი ის, რაც დანარჩენებს არ ჰქონიათ. უკვე დიდი ხანია, საიდუმლო აღარ არის, რომ მინსკთან ახლოს

სპეციალური ფერმა იყო. თითოეული ძროხა დანომრილი ჰყავდათ და ინდივიდუალურად მიმაგრებული. პერსონალურად. სპეციალური მიწები, სპეციალური სათბურები... სპეცკონტროლი... ყველაზე გულისამრევი... (გაჩუმდა) ამაზე ჯერ არავის უგია პასუხი...

აღარ მიღებდნენ. აღარ მისმენდნენ. წერილებით ვბომბავდი, მოხსენებითი ბარათებით. რუკებს, ციფრებს ყველა ინსტანციაში ვაგზავნიდი. ოთხი საქალაქო შემიგროვდა, სულ ორას ორმოცდაათი ფურცელი. ფაქტები... მხოლოდ ფაქტები... ყოველი შემთხვევისთვის ორ ეგზემპლარად ვბეჭდავდი, ერთი ჩემს კაბინეტში რჩებოდა, მეორე შინ დავმალე. ცოლმა დამალა. რატომ ვიღებდი ასლებს? ჩვენ გვახსოვს... ჩვენ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ... კაბინეტს ყოველთვის მე თვითონ ვკეტავდი. მაგრამ ერთხელაც, დავბრუნდი მივლინებიდან და საქალაქოები აღარ დამხვდა... ოთხივე საქალაქო... უკრაინაში გავიზარდე, ბაბუები კაზაკები მყავდა. კაზაკური ხასიათი მაქვს! წერას და გამოსვლებს ვაგრძელებდი — უნდა გადავარჩინოთ ხალხი! სასწრაფოდ გავასახლოთ! მივლინებებიდან აღარც ჩამოვდიოდით. ჩვენმა ინსტიტუტმა „დაბინძურებული“ რაიონების პირველი რუკა შეადგინა. მთელი სამხრეთი წითელია... სამხრეთი იწვოდა...

ეს უკვე ისტორიაა. დანაშაულის ისტორია.

ინსტიტუტიდან წაიღეს რადიაციული კონტროლის მთელი აპარატურა. კონფისკაცია გაუკეთეს. რაიმე ახსნა-განმარტების გარეშე. სახლში მირეკავდნენ და მემუქრებოდნენ: „გაჩერდი, პროფესორო, ნუ აშინებ ხალხს! ციმბირს მოგანატრებთ! ვერ ხვდები? დაგავიწყდა? მალე დაგვიწყებია!“

მოსკოვში მივწერე...

აკადემიის პრეზიდენტმა პლატონოვმა გამომიძახა:

— ბელარუსი ხალხი აუცილებლად გაგიხსენებს, მისთვის ძალიან ბევრი გააკეთე, მაგრამ ცუდია, ძალიან ცუდი, მოსკოვში რომ მის-

წერე. ახლა მოითხოვენ, რომ თანამდებობიდან მოგხსნა. რატომ მისწერე? ვერ ხვდები, ვის უპირისპირდები?

მერუკები და ციფრები მქონდა. იმათ? შეეძლოთ ფსიქიატრიულ-ში ჩავესვი. მემუქრებოდნენ. შეიძლებოდა ავტოკატასტროფაში მოვყოლილიყავი... მაფრთხილებდნენ. შეეძლოთ სისხლის სამართლის საქმე აღედრათ ანტისაბჭოთა პროპაგანდისთვის, ანდა სულაც ერთი ყუთი ლურსმნისთვის, რომელსაც ინსტიტუტის სამეურნეო ნაწილის გამგე არ აღნუსხავდა.

სისხლის სამართლის საქმე აღძრეს...

თავისას მიაღწიეს. ინფარქტით ჩაწეჭი... (დუმს)

ყველაფერია საქალაქლებში... ფაქტები და ციფრები... დანაშაულის ციფრები...

პირველ წელს...

მილიონი ტონა „დაბინძურებული“ მარცვალი საკვებად გადაამუშავეს და საქონელს აჭამეს (ხორცი შემდეგ ადამიანის მაგიდაზე ხვდებოდა). ფრინველს და ღორებს სტრონციუმით გაჯერებულ ძვლებს აჭმევდნენ...

სოფლები ევაკუაციაში წაიყვანეს, მინდვრებს კი თესავდნენ. ჩვენი ინსტიტუტის მონაცემებით კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მიწების ერთი-მესამედი ცეზიუმ-137-ით იყო „დაბინძურებული“ და ხშირად, დაბინძურების სიმჭიდროვე თხუთმეტ კიურის შეადგენდა კვადრატულ კილომეტრზე. სუფთა პროდუქციის მოყვანა კი არა, იქ დიდხანს გაჩერებაც კი არ შეიძლებოდა. ბევრ მიწაში ჩაჯდა სტრონციუმი-90...

სოფლებში ადამიანები თავიანთი საკუთარი ბაღ-ბოსტნებით იკვებებიან, მაგრამ მათ არაფერს ამოწმებდა. გლეხებს არაფერი ელაპარაკებოდა, არ ასწავლიდა, როგორ უნდა ეცხოვრათ. არავითარი პროგრამა არ ყოფილა. მარტო ის მოწმდებოდა, რაც გადიოდა... მოსკოვში... რუსეთში...

შერჩეულ სოფლებში ბავშვები შევამოწმეთ.... რამდენიმე ათასი ბიჭი და გოგონა. მათ — ათას ხუთასი, ორი ათასი, სამი ათასი მიკრორენტგენი მიიღეს. სამი ათასზე მეტიც. ეს გოგონები... ისინი ვერასდროს გააჩენენ შვილებს... გენეტიკა დაუზიანდათ...

რამდენი წელი გავიდა... ღამე ხანდახან მეღვიძება და ვერ ვიძინებ...

ტრაქტორი ხნავს... პარტიის რაიკომის მუშავს ვეკითხები, რომელიც თან გვახლავს:

— ტრაქტორისტი რესპირატორით მაინც თუ არის დაცული?

— არა, ისინი რესპირატორების გარეშე მუშაობენ.

— რა, თქვენთან არ შემოიტანეს?

— აბა, რას ამბობთ! იმდენი შემოიტანეს, ორი ათას წლამდე გვეყოფა. მაგრამ არ გავცემთ. თორემ პანიკა დაიწყება. ყველანი გაიფანტებიან! გაიქცევიან!

— რას სჩადიხართ?

— თქვენთვის იოლია, პროფესორო, ასე ლაპარაკი! თქვენ სამსახურიდან გაგაგდებენ და ახალს იშოვით. მე სად წავიდე?

როგორი ძალაუფლებაა! უსაზღვრო ძალაუფლება ერთი ადამიანისა მეორეზე. ეს უბრალო ტყუილი კი არა, ომია უდანაშაულოებთან...

პრიპიატის ნაპირზე... კარვები დგას, ხალხი ოჯახებით ისვენებს. ბანაობენ, მზეზე ირუჯებიან... არ იციან, რომ უკვე რამდენიმე კვირაა ბანაობენ და ირუჯებიან რადიაქტიური ღრუბლის ქვეშ. მათთან გამოლაპარაკება მკაცრად იყო აკრძალული. მაგრამ ბავშვებს ვხედავ... მივდივარ და ვცდილობ, ავუხსნა... ძალიან უკვირთ: „რადიო და ტელევიზია რატომ არაფერს ამბობს?“ ჰო... თანმხლები... ჩვენთან ერთად, როგორც წესი, დადიოდა ვიღაც ადგილობრივი ხელისუფლებიდან, რაიკომიდან — ასეთი წესი იყო... თანმხლები დუმს... შემიძლია მის სახეზე ამოვიკითხო, რას გრძნობს და ფიქრობს: მოახსენოს თუ არა? თან ადამიანები ეცოდება, ისიც ხომ ნორმალური

კაცია... მაგრამ არ ვიცი, რომელი გრძნობა დაჯაბნის, როცა დაგ-ბრუნდებით, დამასმენს თუ არა? ყველა თავის არჩევანს აკეთებდა... (ცოტა ხანი დუმდა)

ჩვენ ისევ სტალინის ქვეყანა ვართ... ცოცხალია სტალინის ადამიანი...

მახსოვს კიევში... სადგურზე... შემადგენლობებს ერთი მეორის მიყოლებით გადაჰყავთ შეშინებული ბავშვები. ქალები და კაცები ტირიან. მაშინ პირველად ვიფიქრე: „ვის სჭირდება ასეთი ფიზიკა? ასეთი მეცნიერება? თუკი ფასი ასეთი მძიმეა... ახლა უკვე ცნობილია... დაწერეს... როგორი დამკვრელური ტემპით აშენებდნენ ჩერნობილის ატომურ სადგურს. საბჭოურად აშენებდნენ. იაპონელები ასეთ ობიექტებს თორმეტ წელიწადში აშენებენ, ჩვენები — ორ-სამში. განსაკუთრებული ობიექტის ხარისხი და სიმყარე არაფრით განსხვავდებოდა მეცხოველეობის კომპლექსისგან! მეფრინველეობის ფაბრიკისგან! როცა რაღაც არ ჰყოფნიდათ, მიაფურთხებდნენ პროექტს და იყენებდნენ იმ მასალას, რომელიც იქვე ჰქონდათ. სამანქანე დარბაზის სახურავზე სწორედ ამიტომ ესხა ბიტუმი. მერე მეხანძრეები აქრობდნენ... სადგურის ხელმძღვანელთა შორის — არც ერთი ბირთვული ფიზიკის სპეციალისტი. იყვნენ ენერგეტიკოსები, ტურბინების სპეციალისტები, პოლიტმუშაკები... მაგრამ არც ერთი დარგის სპეციალისტი, არც ერთი ფიზიკოსი...

ადამიანმა გამოიგონა ტექნიკა, რომლისთვისაც თვითონ აღარ აღმოჩნდა მზად. არაა მისი ტოლი და სწორი. შეიძლება ბავშვსხელში რევოლვერი მივცეთ? გიჟი ბავშვები ვართ... მაგრამ ეს ემოციებია, ჩემს თავს ავუკრძალე ემოციები...

მიწაზე... მიწაში, წყალში — რადიონუკლიდები დევს, ათობით რადიონუკლიდი.. რადიოეკოლოგები გვჭირდებოდა... მაგრამ ისინი ბელარუსში არ იყვნენ, მოსკოვიდან ეძახდნენ. ოდესღაც ჩვენს ლაბორატორიაში მუშაობდა პროფესორი ჩერკასოვა, მცი-

რე დომების და შიდა დასხივების პრობლემებს სწავლობდა. ჩერნობილამდე ხუთი წლით ადრე მისი ლაბორატორია გააუქმეს – ჩვენთან არ შეიძლება რაიმე კატასტროფა მოხდესო. რას ამბობთ? საბჭოთა ატომური სადგურები მოწინავე და მსოფლიოში საუკეთესოა! რომელი მცირე დომები? რომელი შიდა დასხივება? რადიოაქტიური საკვები პროდუქტები? ლაბორატორია შეამცირეს, პროფესორი პენსიაზე გაუშვეს... ვახტიორად მოეწყო სადღაც, პალტოს აწვდიდა ხალხს...

და პასუხი არავინ აგო...

ხუთი წლის შემდეგ... ფარისებრი ჯირკვლის კიბოს რაოდენობა ბავშვებში ოცდაათჯერ გაიზარდა. დადასტურებულია განვითარების თანდაყოლილი სიმახინჯეების, თირკმლების, გულის დაავადებების, ბავშვთა შაქრიანი დიაბეტის ზრდა...

ათი წლის შემდეგ... ბელარუსების სიცოცხლის ხანგრძლივობა ორმოცდათხუთმეტ-სამოც წლამდე შემცირდა...

მე ისტორიის მჯერა... ისტორიის სასამართლოსი... ჩერნობილი არ დასრულებულა, ის ახლა იწყება..."

ვასილი ბორისოვიჩ ნესტერენკო

ბელარუსის მეცნიერებათა აკადემიის

ბირთვული ენერგეტიკის ინსტიტუტის

ყოფილი დირექტორი

მონოლოგი მსხვერპლებსა და ქურუმებზე

„ის დილით ადრე დგება. დღე იწყება..."

და არ ფიქრობს მარადიულზე, იმაზე ზრუნავს, როგორ მოიპოვოს პური არსობისა... თქვენ კი გინდათ მარადისობაზე დააფიქროთ. ესაა თქვენი, ჰუმანიტარების შეცდომა...

რა არის ჩერნობილი?

სოფელში ჩამოვდივართ... პატარა გერმანული ავტობუსით (ჩვენს ფონდს აჩუქეს). ბავშვები გარს შემოგვერტყნენ. „დეიდა, ბიძია! ჩვენ — ჩერნობილელები ვართ. რა მოგვიტანეთ? რაიმე მოგვეცით, მოგვეცით!“

აი, ის — ჩერნობილი.

გზაზე, ზონაში ბებია გვხვდება მოქარგული სადღესასწაულო ქვედაბოლოთი, წინსაფრით. გუდა ჰკიდია ზურგზე.

— სად მიდიხარ, ბებო, სტუმრად?

— მარკიში მივდივარ... ჩემს ეზოში...

იქ ას ორმოცი კიურია! ოცდახუთი კილომეტრი უნდა იაროს. ერთი დღე იქით წასვლას უნდება, მეორე დღე — დაბრუნებას. ჩამოიტანს სამლიტრიან ქილას, რომელიც ორი წელი ღობეზე ეკიდება. მაგრამ საკუთარ ეზოში ხომ იყო...

აი, ის — ჩერნობილი.

რა მახსოვს პირველი დღეებისა? როგორ იყო? მაინც იქიდან უნდა დავიწყო... ჩემი ცხოვრება რომ მოვყვე, ბავშვობიდან უნდა დავიწყო. აქ და ახლა. ათვლის წერტილიც საკუთარიმაქვს... გამარჯვების ორმოც წლისთავს ვიხსენებ. მოგილევში მაშინ პირველად გაუშვეს ფოიერვერკი. ოფიციალური ნაწილის შემდეგ ადამიანები არ დაიშალნენ და სიმღერა დაიწყეს. სრულიად მოულოდნელად. მახსოვს ეს საერთო გრძნობა. ორმოცი წლის შემდეგ ყველა ომზე ალაპარაკდა, გააზრება დავიწყეთ. მანამდე ვცდილობდით გაგვეძლო, აღვედგინა, ბავშვები გაგვეჩინა. ასეა ჩერნობილის შემთხვევაშიც... ოდესმე მასაც დავუბრუნდებით და ღრმად შევისწავლით. სიწმინდედ ვაქცევთ, გოდების კედლად. ჯერ ფორმულა არ გვაქვს. არ გვაქვს ფორმულა! იდეა არ გვაქვს! კიური, ბერი, ზივერტი — ეს ხომ არც გააზრებაა, არც — ფილოსოფია, არც — მსოფლმხედველობა. ჩვენთან ადამიანი

ან იარაღითაა, ან — ჯვრით. მთელი ისტორიის მანძილზე... ადამიანი სხვანაირი არ ყოფილა... ჯერ არ ყოფილა...

...დედაჩემი ქალაქის სამოქალაქო თავდაცვის შტაბში მუშაობდა. მან პირველმა გაიგო. ყველა ხელსაწყო ამუშავდა. რომელიც ყველა კაბინეტში ეკიდათ. ინსტრუქციის მიხედვით, მოსახლეობა მაშინვე უნდა გაეფრთხილებინათ, გაეცათ აირჩინალები, რესპირატორები. გახსნეს საიდუმლო საწყობები და იქ ყველაფერი საშინელ მდგომარეობაში დახვდათ — უვარგისი იყო, არაფრის გამოყენება არ შეიძლებოდა. სკოლებში ომამდელი აირჩინალები ეწყო და თანაც ისეთი პატარები, რომ ბავშვსაც არ ერგებოდა. ხელსაწყოები ყვიროდა... არავის არაფერი ესმოდა, ასეთი რამ ადრე არასდროს ყოფილა. მერე ხელსაწყოები გამორთეს. დედაჩემი თავს იმართლებდა: „ომი რომ დაწყებულყო, გვეცოდინებოდა, რა უნდა გვეკეთებინა, აქ კი?“ ვინ ხელმძღვანელობდა სამოქალაქო თავდაცვას? გადამდგარი გენერლები, პოლკოვნიკები, რომელთათვისაც ომი ასე დაიწყო: რადიოში გადმოსცემენ სამთავრობო განცხადებებს, საავარიო განგაშს, ფუგასებს... ვერ ხვდებოდნენ, რომ დრო შეიცვალა. ფსიქოლოგიური გარდატეხა იყო საჭირო... და ის მოხდა... ჩვენ ახლა ვიცით: სადღესასწაულო მაგიდასთან ვისხდებით, ჩაის დავლევთ, ვილაპარაკებთ, ომი კი იქნება... ისე გავქრებით, ვერც გავიგებთ...

სამოქალაქო თავდაცვა კი ის თამაშია, რომელსაც დიდი ბიძიები თამაშობდნენ. ისინი პასუხს აღლუმებზე, სწავლებებზე აგებდნენ... ეს ყველაფერი მილიონები ღირდა... სამი დღით გამოვყავდით სამსახურიდან. რაიმე ახსნა-განმარტების გარეშე — სამხედრო სწავლებებზე. ამ თამაშს ერქვა „ატომური ომის დროს“. მამაკაცები — ჯარისკაცები და მეხანძრეები, ქალები — მედდები იყვნენ. გვაძლევდნენ კომბინეზონებს, სანიტრის ჩანთებს, დოლბანდებს, რაღაც წამლებს. აბა, როგორ! საბჭოთა ხალხი მტერს ღირსეულად უნდა დახვედროდა! საიდუმლო რუკები, ევაკუაციის გეგმები — ეს ყველაფერი ცეც-

ხლგამძლე სეიფებში მაგრად იყო ჩაკეტილი. ამ გეგმების მიხედვით განგაშის დროს რამდენიმე წუთში ხალხი უნდა გაეღვიძებინათ, ტყეში, უსაფრთხო ადგილას უნდა გაეყვანათ... სიგნალი ჩართულია... ყურადღება! ომი...

თასებით, დროშებით გვასაჩუქრებდნენ. და ბოლოს — ლაშქრობას ბანკეტი აგვირგვინებდა. კაცები სვამენ მომავალი გამარჯვებების და ცხადია — ქალების სადღეგრძელოს!

ამასწინათ... უკვე ახლა... ქალაქში განგაში გამოცხადდა. ყურადღება! სამოქალაქო თავდაცვა! ერთი კვირის წინ იყო... ადამიანებს შეეშინდათ, მაგრამ ახლა ეს სხვანაირი შიშია. იფიქრეს, რომ ამერიკელები ან გერმანელები კი არ დაგვესხნენ თავს, არამედ — ჩერნობილში ხომ არ მოხდა რამეო. ნუთუ კიდევ?

ოთხმოცდაექვსი წელი... ვინ ვართ? როგორებს მოგვისწრო ქვეყნიერების დასასრულის ტექნოლოგიურმა ვერსიამ? მე? ჩვენ? ადგილობრივი ინტელიგენცია ვიყავით, ჩვენი წრე გვექონდა. ჩვენი ცხოვრებით ვცხოვრობდით, იმ ყველაფრისგან განცალკევებას ვცდილობდით, რაც გარს გვერტყა. ეს იყო ჩვენი პროტესტის ფორმა. არ ვკითხულობდით გაზეთ „პრავდას“, მაგრამ ჟურნალი „ოგონიოკი“ ხელიდან ხელში გადადიოდა. ის-ის იყო სადავეები მოუშვეს და ამით ვთვრებოდით. ვკითხულობდით სამიზდატს, რომელმაც, როგორც იქნა, მოაღწია ჩვენამდეც, ჩვენს მიყრუებულ მხარემდე. ვკითხულობდით სოლჟენიცინს, შალამოვს... ვენიჩკა ეროფეევს(ვენედიქტ ეროფეევი (1938-1990) — რუსი მწერალი, რუსული ლიტერატურის კლასიკოსი, რომელსაც საბჭოთა კავშირში, პერესტროიკამდე არაფერი გამოუქვეყნებია. მისი მთავარი ნაწარმოები, პოემა-რომანი „მოსკოვი-პეტუშკები“ 1973 წელს ისრაელში გამოიცა, საბჭოთა კავშირში კი სამიზდატის საშუალებით ვრცელდებოდა.)... ერთმანეთთან სტუმრად დავდიოდით და დაუსრულებლად ვსაუბრობდით სამზარეულოებში... ვოცნებობდით: აი, სადღაც ცხოვრობენ

მსახიობები, კინოვარსკვლავები... აი, კატრინ დენევი ვიქნები, ჩამოვიცვამ სულელურ ქლამიდს, უცნაურად დავიხვევ თმას... თავისუფლებაზე ვოცნებობდით... ის, იდუმალი სამყარო... სხვა სამყარო... როგორც თავისუფლების ფორმა... მაგრამ ესეც ხომ თამაში იყო. რეალობიდან გაქცევის მცდელობა. ვიღაც ჩვენი წრიდან გატყდა, გალოთდა... ვიღაც პარტიაში შევიდა, კარიერული წინსვლა დაიწყო. არავის სჯეროდა, რომ კრემლის კედელი შეიძლებოდა გაგეტეხა, გაგელო... ის კი სულაც დაინგრა... გვეგონა, ამას ვერ მოვესწრებოდით. ამიტომაც, ვფიქრობდით — მიგვიფურთხებია, რა ხდება მანდ, ჩვენ აქ ვიცხოვრებთ... ჩვენს ილუმბორულ სამყაროში...

ჩერნობილი... თავიდან ასეთი რეაქცია გვექონდა — რა ჩვენი საქმეა? ხელისუფლებამ იცეს თავში ხელი... მისია ეს ჩერნობილი. და თანაც — შორსაა. რუკაც კი არ გვინახავს. არ გვაინტერესებდა. სიმართლე აღარ გვაინტერესებდა... მაგრამ როცა რძის ბოთლებზე ეტიკეტები გაჩნდა: „რძე ბავშვებისთვის“ და „რძე უფროსებისთვის“... მაშინ უკვე! რაღაც მოგვიახლოვდა... ჰო, პარტიის წევრი არა ვყოფილვარ, მაგრამ მაინც საბჭოთა ადამიანი ვარ. შიში გაჩნდა: „წელს ბოლოკს რაღაც ჭარხალივით ფოთოლი აქვს, არა?“ და საღამოს ტელევიზორს რთავ: „არ წამოეგოთ პროვოკაციას“ და ყველა ეჭვი იფანტება... საპირველმანისო დემონსტრაცია? არავინ გვაიძულებდა, წავსულიყავით, მაგალითად, ჩემთვის არავის დაუძაღვებია: არჩევანი გვექონდა. მაგრამ არ გამოვიყენეთ. ისეთი ხალხმრავალი, ისეთი მხიარული საპირველმანისო დემონსტრაცია არც მახსოვს, როგორც იმ წელს იყო. აღელვებულები ვიყავით, რა თქმა უნდა, ჯოგში გარევა გვინდოდა. ყველასთან ერთად ყოფნა, ვიღაცისთვის ხელის ჩაჭიდება... გვინდოდა, ვიღაც გველანძღა... უფროსობა... ხელისუფლება... კომუნისტები... ახლა ვფიქრობ... იმ წერტილს ვეძებ... სადაც გაწყდა... არადა, სულ თავშია ის წერტილი... ჩვენს მონობაშია... თავისუფალი ამრის მწვერვალი: „შეიძლება თუ არა ვჭამოთ ბოლოკი?“ ისევ ჩვენი მონობა...

ქარხანა „ხიმვოლოკნოში“ ინჟინრად ვმუშაობდი. ჩვენთან გერმანელი სპეციალისტების ჯგუფი იყო ჩამოსული. ახალ დანადგარებს აწყობდნენ. ვნახე, როგორ იქცევინან სხვა ადამიანები, სხვა ეროვნებისა... სხვა ქვეყნიდან... როცა ავარიის შესახებ შეიტყვეს, მაშინვე მოითხოვეს, მოსულიყვნენ ექიმები, მიეცათ დოზიმეტრები, შეემოწმებინათ საჭმელი. ისინი საკუთარ რადიოს უსმენდნენ და იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. ცხადია, მათთვის არაფერი მიუციათ. ჩემოდნები მაშინვე ჩაალაგეს და წასასვლელად გაემზადნენ. გვიციდეთ ბილეთები! გაგვიშვით შინ! მივდივართ, რადგან არ შეგიძლიათ, რომ ჩვენი უსაფრთხოება უზრუნველყოთ! აჯანყდნენ. წერილებს წერდნენ საკუთარ ხელისუფლებას, პრეზიდენტს... იბრძოდნენ ცოლებისთვის, შვილებისთვის (ოჯახებით იყვნენ ჩვენთან), საკუთარი სიცოცხლისთვის იბრძოდნენ! და ჩვენ? როგორ მოვიქცით ჩვენ? ოჰ, როგორები არიან ეს გერმანელები, ისტერიკებს აწყობენ, მშიშრები! რადიაციას ბორშიში და კოტლეტში ეძებენ! ქუჩაში გასვლის ეშინიათ! სეირია! ჩვენი კაცები — აი, ნამდვილი მამაკაცები! რუსი კაცები! თავგებულადებულები! რეაქტორს ებრძვიან! საკუთარ ტყავს არ უფრთხილდებიან! შიშველი ხელებით, ბრებენტის ხელთათმანებით ადიან დამწვარ სახურავზე (ამას ტელევიზორში ვნახულობდით)! ჩვენი ბავშვები დროშებით მიდიან დემონსტრაციებზე! ომის ვეტერანებიც... ძველი გვერდია! (ფიქრობს). ესეც ბარბაროსობის რაღაც ფორმაა — შიშის არქონა ასეთ დროს... ყოველთვის ვამბობთ „ჩვენ“, და არა „მე“: „ჩვენ გიჩვენებთ საბჭოთა გმირობას“, „ჩვენ გიჩვენებთ საბჭოთა ხასიათს“. მთელ მსოფლიოს! მაგრამ მე! მე არ მინდა სიკვდილი... მე მეშინია...

საინტერესოა საკუთარ თავზე, საკუთარ გრძნობებზე დაკვირვება. გაანალიზება, თუ როგორ იცვლებოდა ისინი. კარგა ხანია, საკუთარი თავი დავიჭირე, რომ ყურადღებიანი გავხდი სამყარ-

როს მიმართ, იმის მიმართ, რაც გარეთაა და რაც ჩემშია. ჩერნობილის შემდეგ თავისთავად ხდება ასე. ვსწავლობთ ვთქვათ — „მე“. მე არ მინდა სიკვდილი, მე მეშინია! მაშინ? ტელევიზორს ხმამაღლა ვრთავდი: წითელ დროშას სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ მწველავებს გადასცემენ. მაგრამ ეს ხომ ჩვენთანაა, მოგილევის ახლოს? სოფელში, რომელიც ცეზიუმის ლაქის ქვეშ აღმოჩნდა? სადაცაა უნდა, გადაასახლონ... დიქტორის ხმა: „ადამიანები, მიუხედავად ყველაფრისა, თავდაუზოგავად შრომობენ“ — „სიმამაცის და გმირობის სასწაული“. წარღვნაც რომ იყოს! რევოლუციური ნაბიჯით! ჰო, მე არ ვარ პარტიის წევრი, მაგრამ მაინც საბჭოთა ადამიანი ვარ. ტელევიზორი დღედაღამ გაჰყვიროდა: „ამხანაგებო, არ აჰყვეთ პროვოკაციას!“ ეჭვები იფანტება...

(სატელეფონო ზარი. ნახევარ საათში ვუბრუნდებით საუბარს).

ყველა ახალი ადამიანი მაინტერესებს. ყველა, ვინ ამაზე ფიქრობს...

მომავალში ჩერნობილი უნდა გავიგოთ, როგორც ფილოსოფია. ორი სახელმწიფო გვაქვს, რომლებიც მავთულხლართებითაა გაყოფილი: ერთი — თვით ზონა, მეორე — ყველაფერი დანარჩენი. ზონის ირგვლივ, დამპალ ბოძებზე, როგორც ჯვრებზე, თეთრი პერანგები კიდია. ჩვენი წესია... ადამიანები იქ მიდიან, როგორც სასაფლაოზე... სამყარო ტექნოლოგიების შემდეგ... დრო უკან მიბრუნდა... აქ მხოლოდ სახლი კი არ არის დამარხული, არამედ მთელი ეპოქა... რწმენის ეპოქა! მეცნიერების რწმენისა! სამართლიანი სოციალური იდეისა! დიადი იმპერია ნაკერებიდან დაირღვა. დაიშალა. თავიდან — ავღანეთი, მერე — ჩერნობილი. როცა იმპერია გაიპარა, ჩვენ მარტონი აღმოვჩნდით. მეშინია ვთქვა, მაგრამ ჩვენ... ჩვენჩერნობილი გვიყვარს. შეგვიყვარდა. ის ცხოვრების ახლად ნაპოვნი საზრისია. ჩვენი ტანჯვის საზრისი. როგორც ომი. სამყარომ ჩვენზე, ბელარუსებზე ჩერნობილის შემდეგ გაიგო. ერთდროულად მისი მსხვერ-

პლიც ვართ და ქურუმებიც. საშინელი სათქმელია ეს... ამას ახლახან მივხვდი...

...თვით ზონაში... იქ ხმებიც კი სხვანაირია... თითქოს მძინარე მზეთუნახავთან მოხვდი. თუ გაქურდული არ არის: ფოტოები, ჭურჭლეული, ავეჯი... ისინი, სადღაც აქვე უნდა იყვნენ, ადამიანები. ხანდახან იქ მათაც ვხვდებით. ჩერნობილზე არ ლაპარაკობენ. ლაპარაკობენ იმაზე, რომ მოატყუეს. აღელვებით, მიიღებენ თუ არა იმ ყველაფერს, რაც ეკუთვნით და კიდევ: სხვები უფრო მეტს ხომ არ იღებენ? ჩვენს ხალხს სულ აქვთ განცდა, რომ ატყუებენ, ყველა ეტაპზე. ერთი მხრივ — ნიჰილიზმი და ყველაფერის უარყოფა, ხოლო მეორე მხრივ კი — ფატალიზმი. ხელისუფლების არ სჯერათ, ექიმებისა და მეცნიერების არ სჯერათ და თვითონაც ვერაფერს აკეთებენ — უდანაშაულოები და უმწეოები. თვით მათ ტანჯვაშია საბრისი და გამართლება, სხვა დანარჩენი თითქოს არცაა მნიშვნელოვანი. მინდვრების წინ წარწერებია: „მაღალი რადიაციაა“, ხოლო მინდვრები — იხვნება. ოცდაათი კიური, ორმოცდაათი. ტრაქტორისტები ღია კაბინებში სხედან (ათი წელი გავიდა და ისევ არ არის ტრაქტორები ჰერმეტიკული კაბინებით). რადიოაქტიურ მტვერს სუნთქავენ. ათი წელი გავიდა! ვინ ვართ ჩვენ? დაბინძურებულ მიწაზე ვცხოვრობთ, ვხნავთ, ვთესავთ, ბავშვებს ვაჩენთ... მაშინ რა აზრი აქვს ჩვენს ტანჯვას? რატომაა? რატომაა ამხელა? ამაზე ბევრს ვკამათობ ჩემს მეგობრებთან. ხშირად განვიხილავთ. იმიტომ, რომ ზონა — ეს ბერი და კიური, ან მიკრორენტგენი კი არ არის, ეს ხალხია. ჩვენი ხალხია... ჩერნობილი მომაკვდავ სისტემას „დაეხმარა“... ისევ საგანგებო სიტუაციაში აღმოვჩნდით. ისევ ისე ვანაწილებთ დღიურ ნორმას, როგორც ადრე! ჩაგვჩინებდნენ: „ომი რომ არ ყოფილიყო“... და ისეა ახლაც — ყველაფერი ჩერნობილს ბრალდება: „ჩერნობილი რომ არ ყოფილიყო“, და ეგრევე ცრემლს ვიწმენდთ —

ვგლოვობთ. მოგვეცით, მოგვეცით! რაღაც ხომ უნდა გვექონდეს გასანაწილებელი! გეჯა! მეხამრიდი!

ჩერნობილი უკვე ისტორიაა. მაგრამ ეს ჩემი სამუშაოცაა და ყოფაც. დავდივარ... ვნახულობ... იყო პატრიარქალური ბელორუსული სოფელი, ბელორუსული ქოხი... ტუალეტისა და თბილი წყლის გარეშე, მაგრამ ხატებით, ხის ჭით, ამოქარგული რუშნიკებით, პირსახოცებით. სტუმართმოყვარეობით. ერთ ასეთ ქოხში წყლის დასალევად შევედით, მასპინძელი კი ძველი სკივრიდან, ისეთივე ძველიდან, როგორც თვითონაა, რუშნიკს იღებს და მიწვდის: „ჩემი ეზოს სახსოვრად გქონდეს“. იყო ტყე და მინდორი. თემი და თავისუფლების ნაფლეთები გადარჩა: მიწა სახლის წინ, ბაღი, საკუთარი ძროხა... ჩერნობილიდან კი ხალხი პირდაპირ „ევროპაში“ გადაასახლეს, ევროპული ტიპის დასახლებებში. შეიძლება სახლი ააგო — უკეთესი, კომფორტული, მაგრამ ახალ ადგილას ვერ ააშენებ იმ უზარმაზარ სამყაროს, რასთანაც ისინი ასე იყვნენ დაკავშირებული. ჭიპით იყვნენ მიბმულნი. ტრადიციასთან, საუკუნეების კულტურასთან კავშირის გაწყვეტა ადამიანის ფსიქიკისთვის კოლოსალური დარტყმაა. როცა ამ ახალ დასახლებებს უახლოვდები, ისე ჩანან ჰორიზონტზე, როგორც მირაჟი. ცისფრად, ლურჯად, წითელყვითლად შეღებილები. სახელებიც როგორი აქვთ — მაისკი(სამაისო), სოლნენი(მზიანი). ევროპული კოტეჯები გაცილებით უფრო მოსახერხებელია, ვიდრე მათი ძველი ქოხები. ეს უკვე მზა მომავალია, მაგრამ არ შეიძლება მომავალში პარაშუტით დაეშვა... ადამიანები ველურებად აქციეს. ახლა მიწაზე სხედან და ელიან, როდის მოფრინდება თვითმფრინავი, როდის მოვა ავტობუსი და ჰუმანიტარულ დახმარებას მოიტანს. არ აქვთ განცდა, რომ აი, ფერფლიდან აღვდექი, სახლი მაქვს, სუფთა მიწა მაქვს და რამენაირად უნდა გადავარჩინო შვილები, რომელთაც ჩერნობილი უკვე სისხლსა და გენში აქვთ გამჯდარი. სასწაულს ელიან. ეკლესიაში დადიან. და იცით, ღმერთს რას ეხვეწებიან? ისევ იმას — სასწაულს... და არა

იმას, რომ მისცეს ჯანმრთელობა და ძალა, რაღაცას თავად მიაღწიონ. შეეჩვივნენ თხოვნას. ან უცხოელებს შესთხოვენ, ან — გეცას.

კოტეჯებში ისე ცხოვრობენ, როგორც ვოლიერებში. ისინი ინგრევა, იშლება. იქ თავისუფლებაწართმეული ადამიანი ცხოვრობს. განწირული. შიშითა და ბრაზით ცხოვრობს, ლურსმნის დაჭედებაც კი არ უნდა. კომუნიზმი სურს. ელოდება... ზონას კომუნიზმი სჭირდება... ყველა არჩევნებში იქ „მკაცრ ხელს“ აძლევენ ხმას, ენატრებათ სტალინის წესრიგი, სამხედრო წესრიგი. სამართლიანობის სინონიმი მათთვის ესაა. იქ, მართლაც, სამხედროებივით ცხოვრობენ: მილიციის პოსტები, ადამიანები სამხედრო ფორმებით, საშვების სისტემა, დღიური ნორმა, ჩინოვნიკები, რომელებიც ჰუმანიტარულ დახმარებას ანაწილებენ. ყუთებზე გერმანულად და რუსულად აწერია: „არ შეიძლება გაცვლა, არ შეიძლება გაყიდვა“, არადა, ყველგან იყიდება, ნებისმიერ კომერციულ ჯიხურში...

და ისევ... როგორც თამაში... როგორც სარეკლამო შოუ... ქარავანი მომყავს ჰუმანიტარული დახმარებით. უცხო ადამიანები... უცხოელები... ქრისტეს ან კიდევ რაღაცის სახელით მოდიან ჩვენთან. ჭაობებში, ჭუჭყში, ფუფაიკებით, დაბამბული ჯუბებითა და ჩექმებით დგას ჩემი ტომი... „არაფერი არ გვინდა, მაინც მოიპარავენ“ — ამასაც ვკითხულობ იმათ თვალელებში. მაგრამ იქვეა დაუძლეველი სურვილი, დაეუფლოყუთს, კოლოფს, რაიმეს უცხოურს... უკვე ვიცით, სად როგორი ქალები ცხოვრობენ... როგორც ნაკრძალში... და ეს საზიზღარი, უაზრო სურვილი... ვბრაზობ! და უცებ ვეუბნები: „აი, ახლა ისეთ რაღაცას გაჩვენებთ, რასაც აფრიკაშიც ვერ ნახავთ. მსოფლიოში ასეთი არაფერია. ორასი კიური, სამასი კიური“... ვხედავ, როგორ შეიცვალნენ აქაური ქალები, ბოგიერთი ნამდვილ „კინოვარსკვლავად“ იქცა. ნასწავლი მონოლოგები აქვთ, ცრემლიც ბუსტად მაშინ მოსდით, როცა

საჭიროა. როცა პირველად მოდიოდნენ უცხოელები, ისინი ჩუმად ტიროდნენ. ახლა ლაპარაკი ისწავლეს. ეგებ ბავშვებსკიდევ ერთით მეტი საღეჭი რეზინა და ტანსაცმლიანი ყუთი შეხვდეთ... ეგებ... და ეს ყველაფერი იმ „ღრმა“ ფილოსოფიის ფონზე, სიკვდილთან და დროსთან საკუთარი დამოკიდებულება რომ აქვთ. თავიანთ ქოხებს, ადგილს გერმანული შოკოლადისა და საღეჭი რეზინის გამო არ ტოვებენ...

ვბრუნდებით. მე ვუჩვენებ: „რა ლამაზი მიწაა!“ მზე ქვემოთ, სულ ქვემოთ დაეშვა. გაანათა ტყე და მინდორი. ასე დაგვემშვიდობა. „ჰო, — მეუბნება გერმანული ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, რომელიც რუსულად ლაპარაკობს, — ლამაზია, მაგრამ მოწამლული“. ხელში დობიშეტრი უჭირავს.

და ვხვდები, რომ ეს მზის ჩასვლა მხოლოდ ჩემთვისაა ძვირფასი. ეს ჩემი მიწაა“.

ნატალია ევგენევნა პოსლოვა
მოგილევის ქალთა კომიტეტის
„ჩერნობილის ბავშვები“ თავმჯდომარე

ბავშვთა ქორო

ალიოშა ბელსკი — 9 წლის; ანია ბოგუში — 10 წლის; ნატაშა დვორეცკაია — 16 წლის; ლენა ჟურდო — 15 წლის; იურა ჟუკი — 15 წლის; ოლია გვონაკი — 10 წლის; სნეჟანა ზინევიჩი — 16 წლის; ირა კუდრიანევა — 14 წლის; იულია კასკო — 11 წლის; ვანია კოვაროვი — 12 წლის; ვადიმ კრასნოშლნიშკო — 9 წლის; ვასია მიკულიჩი — 15 წლის; ანტონ ნაშივაკინი — 14 წლის; მარატ ტატარცევი — 16 წლის; იულია ტარასკინა — 15 წლის; კატია შევჩუკი — 14 წლის; ბორის შკირმანოვი — 16 წლის.

„საავადმყოფოში ვიწეტი...

ისე მტკიოდა... დედას ვთხოვდი: „დედიკო, ველარ ვითმენ. ჯობია, მომკალი“.

„ისეთი შავი ღრუბელია... ისეთი თავსხმაა...

გუბეები გაყვითლდა... გამწვანდა... თითქოს იქ საღებავი ჩა-
ასხეს... ამბობდნენ, ყვავილების მტვერიაო... გუბურებში არ და-
ვრბოდით, მხოლოდ ვუყურებდით. ბებია სარდაფში გვკეტავდა.
თვითონ კი მუხლებზე იდგა და ლოცულობდა. ჩვენც გვასწავლი-
და: „ილოცეთ. ქვეყნის დასასრულია. ღმერთი ჩვენი ცოდვების
გამო გვსჯის“. ჩემი ძმა რვა წლისა იყო. მე — ექვსის. დავიწყეთ
ჩვენი ცოდვების გახსენება — მან გატეხა ჟოლოსმურაბინი ქილა.
მე კი დედას გამოვუტყდი, რომ ღობეს გამოვედე, ახალი კაბა
დავხიე... მერე კარადაში დავმალე.

დედა ხშირად იცვამს შავებს. შავ თავსაფარს იხურავს. ჩვენს
ქუჩაზე სულ ვილაცას მარხავენ. მუსიკას რომ გავიგებ, სახლში
შევდივარ და ვლოცულობ. „მამაო ჩვენოს“ ვკითხულობ.

დედაზე და მამაზე ვლოცულობ...“

„მანქანებით მოგვაკითხეს ჯარისკაცებმა. ვიფიქრე, ომი და-
იწყო-მეთქი.

ჯარისკაცებს მხრებზე ნამდვილი ავტომატები ეკიდათ. გაუგე-
ბარ სიტყვებს ამბობდნენ: „დეაქტივაცია“, „იზოტოპი“...

გზაში მესიზმრა: აფეთქდა! მე კი ცოცხალი ვარ! არ არის სახ-
ლი, არ არიან მშობლები, ბელურები და ყვავიც კი არ არის. შიშით
გავიღვიძე, ყვირილით... ფარდა გაწეიე... ფანჯარაში ვიყურებო-
დი... იქ ხომ არ არის ის კოშმარული სოკო?

მახსოვს, როგორ მისდევდა ჯარისკაცი კატას... კატასთან დო-
ზიმეტრი ისე მუშაობდა, როგორც ავტომატი: წკაპ, წკაპ... კატას
ბიჭი და გოგოც მისდევდნენ. იმათი ფისო იყო... ბიჭი არაფერი,
მაგრამ გოგონა ყვიროდა: „არ მოგცემ!“ გარბოდა და ყვიროდა:
„საყვარელო, გაიქეცი, გაიქეცი, საყვარელო!“

ჯარისკაცს კი პოლიეთილენის დიდი ტომარა ეჭირა...”

„სახლში დავტოვეთ, ჩავკეტეთ ჩემი ზაზუნა... თეთრი... ორი დღის სამყოფი საჭმელი დავუტოვეთ.

და სამუდამოდ წამოვედით“...

„მატარებლით პირველად ვმგზავრობდი....

მატარებელი ბავშვებით იყო სავსე. პატარები ტირილდნენ, ჩაისვარეს. ოც ადამიანზე ერთი აღმზრდელია, ყველანი ტირიან: „დედა! სადაა დედა? სახლში მინდა“. მე ათი წლის ვარ, ჩემხელა გოგონები უფროსებს პატარების დამშვიდებაში ეხმარებოდნენ. ბაქნებზე ქალები გვხვდებოდნენ და პირჯვარს სწერდნენ მატარებელს. შინ გამომცხვარი ნამცხვრები, რძე, თბილი კარტოფილი მოჰქონდათ...

ლენინგრადის ოლქში მივყავდით. როცა სადგურს ვუახლოვდებოდით, ადამიანები პირჯვარს იწერდნენ და შორიდან გვიყურებდნენ. ჩვენი მატარებლისა ეშინოდათ, რომელსაც ყველა სადგურზე დიდხანს რეცხავდნენ. როცა ერთ გაჩერებაზე ვაგონიდან ჩამოვედით და ბუფეტში შევირბინეთ, იქ აღარავინ შემოუშვეს: „აქ ჩერნობილელი ბავშვები ჭამენ ნაყინს“. მებუფეტე ვილაცას ტელეფონით ელაპარაკებოდა და ჩვენ გვესმოდა: „ისინი წავლენ, იატაკს ქლორით გავრეცხავთ და ჭიქებს გამოვხარშავთ“. გვესმოდა...

ექიმები დაგვხვდნენ. აირწინალებით და რეზინით ხელთათმანებით.... წაიღეს ჩვენი ტანსაცმელი, ყველა ნივთი, კონვერტები, ფანქრები და კალმები – ცელოფანის ტომრებში მოათავსეს და ტყეში დამარხეს.

ძალიან შევშინდით... მერე დიდხანს ველოდით, როდის დავიწყებდით კვდომას...”

„დედამ და მამამ ერთმანეთს აკოცეს და მე დავიბადე.

ადრე მეგონა, რომ არასდროს მოვკვდებოდი. ახლა კი ვიცი, რომ მოვკვდები. ჩემთან ერთად ერთი ბიჭი იწვა საავადმყოფოში... ვადიკ

კორნიკოვი... ჩიტებს მიხატავდა. მოკვდა. სიკვდილი საშიში არ არის. დიდხანს, დიდხანს დაიძინებ და აღარ გაიღვიძებ. ვადიკი მეუბნებოდა, როცა მოკვდები, მერე დიდხანს სხვა ადგილას ვიცხოვრებო. ეს მან რომელიღაც უფროსი ბიჭისგან შეიტყო. ვადიკს არ ეშინოდა.

დამესიზმრა, როგორ მოკვდი. ძილში მესმოდა, როგორ ტიროდა დედაჩემი. და გამეღვიძა...“

„ჩვენ მივდიოდით...

მოგიყვებით, როგორ დაემშვიდობა სახლს ბებიაჩემი. მამას სთხოვა, ფარდულიდან ხორბლიანი ტომარა გამოეტანა. ხორბალი ბაღში დაყარა: ეს „ღვთის ჩიტებსო“. ცხრილში კვერცხი მოაგროვა და ებოში მიმოფანტა: „ეს ჩვენს ძაღლს და კატასო“. სალაც დაუჭრა. სტაფილოს, გოგრის, კიტრის, ხახვის, სხვადასხვა ყვავილის თესვები ტომსიკებიდან ბოსტანში მიმოაბნია: „დაე, მიწაში იცხოვრონო“. შემდეგ თავი მოუხარა სახლს... ფარდულს... ბაღი მოიარა და ყველა ხესთან მოიხარა...

ბაბუამ კი, როცა მივდიოდით, ქუდი მოიხადა...“

„პატარა ვიყავი...

აღბათ, ექვსი ან რვა წლის... არა, ახლა დავთვალე და რვის. ბევრი შიში მახსოვს. ბალახზე ფეხშიშველა სირბილისა მეშინოდა. დედამ შემაშინა, მოკვდებო. ბანაობის, ყვინთვის — ყველაფრის მეშინოდა. ტყეშიკაკლის მოწყვეტის. ხელში ხოჭოს დაჭერის... ის ხომ მიწაზე დალოღავს, დაბინძურებულია. ჭიანჭველები, პეპლები — ყველანი დაბინძურებულები არიან. დედა ისვენებს, რომ აფთიაქში ურჩიეს, ჩემთვის დღეში სამჯერ ერთი ჩაის კოვზი იოდი მოეცა. მაგრამ შეეშინდა...

გაზაფხულს ველოდით: ნუთუ ისევ გაიშლება გვირილა? როგორც ადრე? ჩვენთან ყველა ლაპარაკობდა, რომ სამყარო შეიცვალა... რადიოსა და ტელევიზორში... გვირილა გადაიქცევა... რად გადაიქცევა? რაღაც სხვად... მელიას კი... მეორე კუდი გაეზ-

რდება... ზღარბები ეკლების გარეშე გაჩნდებიან, ვარდები — ფურცლები გარეშე. დაიბადებიან ჰუმანოიდების მსგავსი ადამიანები, რომელებიც ყვითლები იქნებიან. თმა და წარბები არ ექნებათ, მართლ ერთი თვალი... მზის ჩასვლა წითელი კი არა, მწვანე იქნება...

პატარა ვიყავი... რვა წლის...

გაზაფხული... გაზაფხულზე კვირტებისგან, როგორც ყოველთვის, ისე გაიშალა ფოთლები. თეთრად აყვავდა ვაშლი. დადგა შორხთვის სურნელი. გაიშალა გვირილები — ისევ ისეთივე, როგორც ადრე. მერე მდინარესთან, თევზებთან გავიქეცი: ნუთუ თევზებს თავიც აქვთ და კუდიც? შოშიების ბუდეებს ვამოწმებდით — მოფრინდნენ თუ არა. გვაინტერესებდა, ეყოლებოდათ თუ არა შვილები...

დიდი სამუშაო გაგვიჩნდა — ყველაფერს ვამოწმებდით...“

„უფროსები ჩურჩულებდნენ... მე მესმოდა...

ჩემი დაბადების წელს (ოთხმოცდაექვსს) გაჩენილი ჩვენს სოფელში არც ბიჭია და არც გოგო. მე ერთი ვარ. ექიმებმა არ დართეს ნება... დედასაც აშინებდნენ... მაგრამ დედაჩემი საავადმყოფოდან გაიქცა და ბებიასთან დაიმალა. და მეც... მიპოვეს... ესე იგი — დავიბადე... ყველაფერი მესმოდა.

ძამიკო ან დაიკო არ მყავს. ძალიან კი მინდა, მყავდეს. საიდან ჩნდებიან ბავშვები? წავიდოდი და მოვძებნიდი ძამიკოს.

ბებია სხვადასხვანაირად მპასუხობს:

— ყარყატს მოჰყავს, ხან ისე ხდება, მინდორში იზრდება გოგონა. ბიჭებს კენკრაში ნახულობენ, თუკი ჩიტი დატოვებს.

დედა სხვანაირად მეუბნება:

— ციდან ჩამომივარდი.

— როგორ?

— წვიმა მოდიოდა და პირდაპირ ჩემს ხელებში აღმოჩნდი.

დეიდა, თქვენ მწერალი ხართ? როგორ შეიძლებოდა, მე არ ვყოფილიყავი? და სად ვიქნებოდი? სადღაც მაღლა, ცაში? ან შეიძლება სხვა პლანეტაზე?”

„ადრე მიყვარდა გამოფენებზე სიარული... ნახატების თვალიერება...”

ჩვენს ქალაქში ჩამოიტანეს გამოფენა ჩერნობილის შესახებ... ტყეში კვიცი გარბის, მარტო ფეხებია, რვა ან ათი ფეხი აბია... სამთავიანი ხბო, გალიაში მელოტი ბოცვრები სხედან, პლასტმასისებს ჰგვანან... მინდორში სკაფანდრიანი ადამიანები დადიან... ხეები ეკლესიებზე მაღალია, ხოლო ყვავილები ხეების ხელაა... ბოლომდე არც მინახავს. ასეთ სურათს შევეფეთე: ბიჭს ხელები გაუწვდია, შეიძლება, ბაბუაწვერასკენ, შეიძლება — მზისკენ, და ამ ბიჭს ცხვირის მაგივრად... ხორთუმი აქვს. ყვირილი და ტირილი მომინდა: „არ გვინდა აქ ასეთი გამოფენები! ნუ მოგაქვთ! აქ ისედაც სულ სიკვდილზე ლაპარაკობენ. მუტანტებზეც! არ მინდა!“ პირველ დღეს გამოფენაზე ხალხი მივიდა, მეორე დღეს — აღარავინ. გაზეთებში წერდნენ, მოსკოვში, პეტერბურგში ძალიან ბევრი ხალხი დადიოდაო, ჩვენთან კი — დარბაზები ცარიელი იყო.

ავსტრიაში ვიყავი სამკურნალოდ. იქ არიან ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ ასეთი ფოტო სახლში ჰქონდეთ. ხორთუმიანი ბიჭი... ან ისეთი, ხელების მაგივრად ლასტები რომ აქვს... და ყოველდღე ამას უყურონ, იმიტომ, რომ სულ ახსოვდეთ ისინი, ვისაც უჭირს. მაგრამ როცა აქ ცხოვრობ... ეს ფანტასტიკა და ხელოვნება კი არა, ცხოვრებაა. ჩემი ცხოვრება... თუკი ასარჩევად მექნება, მაშინ ჩემს ოთახში ლამაზ პეიზაჟს დავკიდებ, ისეთს, სადაც ყველაფერი ნორმალური იქნება — ხეებიც, ჩიტებიც... ჩვეულებრივი და მხიარული...

სილამაზებზე მინდა ვიფიქრო...”

„ავარიის შემდეგ, პირველ წელს...”

ჩვენთან, დასახლებაში ბელურები გაქრა... ყველგან ეყარა: ბა-
ლებში, ასფალტზე. მათ ხვეტდნენ და ფოთლებთან ერთად კონტეი-
ნერებით გააქონდათ. იმ წელს ფოთლების დაწვას კრძალავდნენ,
ისინი რადიოაქტიური იყო. ფოთლებს მარხავდნენ.

ორი წლის შემდეგ ბელურები ისევ გამოჩნდნენ. ძალიან გავიხა-
რეთ, ერთმანეთს ვუყვიროდით: „გუშინ ბელურები ვნახე... ისინი
დაბრუნდნენ...“

მაისის ხოჭოებიც გაქრა. ისინი აქამდე არ გამოჩენილან. ჩვენი
მასწავლებელი ამბობს, შეიძლება, ასი ან ათასი წლის შემდეგ დაბ-
რუნდნენო. მეც კი ვერ ვნახავ მათ — ცხრა წლის ვარ...

და ბებია? ის ხომ მოხუცია...“

„პირველი სექტემბერი... სასკოლო ხაზზე(სასკოლო ხაზი — საბ-
ჭოთა სკოლაში, გაკვეთილების დაწყების წინ ერთ რიგად ჩამწკრი-
ვებული მოსწავლეები ესალმებოდნენ მასწავლებლებს.

) ვიდექით...“

არც ერთი თაიგული. ყვავილებში, უკვე ვიცოდით, რომ ბევრი
რადიაციაა. სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლაში მღებავები და
დურგლები კი არ მუშაობდნენ, როგორც ადრე, არამედ — ჯარისკა-
ცები. ისინი ყვავილებს თიბავდნენ, იღებდნენ, მისაბმელიან მანქა-
ნაზე ყრიდნენ და სადღაც მიჰქონდათ. მთელი ძველი, დიდი პარკი
ამოთხარეს. ძველი ცაცხვები... ნადია ბებო... მას ყოველთვის მაშინ
ეძახდნენ, როცა ვიღაც კვდებოდა. გამოსალოცად. ლოცვების წასა-
კითხად. „მეხმა არ დაგკრას... ბოროტი არ დაგეცეს... ზღვამ არ გა-
დაგიაროს...“ წვანან, როგორც შავი კუბოები... ისე დასტიროდა ხე-
ებს, როგორც ადამიანებს... „ჩემო საწყალო მუხავ, ჩემო კარგო ვაშ-
ლუკავ...“

ერთი წლის შემდეგ ევაკუაციაში გაგვიყვანეს. სოფელი დამარ-
ხეს. მამაჩემი — მძღოლია, დადიოდა იქ და გვიყვებოდა. ჯერ დიდ
ორმოს თხრიან... ხუთმეტრიანს... მოდიან მეხანძრეები... ბრან-
დსპოითით რეცხავენ სახლს თავიდან ბოლომდე, რადიოაქტიური

მტვერი რომ არ დადგეს. ფანჯრებს, სახურავს, პარმალს — ყველაფერს რეცხავენ. მერე ამწე მოეჭიდება სახლს და ორმოში დგამს... იყრება თოჯინები, წიგნები, ქილები... ექსკავატორი მიწას აყრის... ყველაფერს აყრიან ქვიშას, თიხას და კარგად ტკეპნიან. სოფლის ნაცვლად უკვე სწორი მინდორია. იქაა ჩვენი სახლიც, სკოლაც, სოფლის საბჭოც... იქ ჩემი ჰერბარიუმი და მარკების ორი ალბომია. ვოცნებობდი, წამომელო.

ველოსიპედიც მქონდა. ის-ის იყო, მიყიდეს...“

„თორმეტი წლის ვარ.

სულ სახლში ვარ, რადგან ინვალიდი ვარ. ჩვენთან სახლში ფოსტალიონს პენსია ჩემთვის და ბაბუასთვის მოაქვს. კლასში, გოგონებს, რომ გაიგეს, სისხლის კიბო მქონდა, ჩემთან დაჯდომის შეეშინდათ. შეხებისაც... მე კი ვუყურებ ჩემს ხელებს... ჩემს ჩანთას და რვეულებს... არაფერი შეცვლილა. რატომ ეშინიათ?

ექიმებმა თქვეს: თურმე ავად იმიტომ გავხდი, რომ მამა ჩერნობილში მუშაობდა. მე ამის შემდეგ დავიბადე.

მამა ძალიან მიყვარს“.

„ამდენი ჯარისკაცი ადრე არასდროს მინახავს...

ჯარისკაცები რეცხავდნენ ხეებს, სახლებს, სახურავებს... კოლმეურნეობის ძროხებსაც რეცხავდნენ... ვფიქრობდი: საბრალო მხეცები! ტყეში მათ არავინ გარეცხავს. ისინი ყველანი დაიხოცებიან. არც ტყეს რეცხავენ. ისიც მოკვდება.

მასწავლებელმა თქვა: „დახატეთ რადიაცია“. მე დავხატე, როგორ მოდის ყვითელი წვიმა... როგორ მოედინება წითელი მდინარე“.

„ტექნიკა ბავშვობიდან მიყვარდა... ვოცნებობდი — გავიზრდები და ტექნიკოსი ვიქნები, როგორც მამაჩემი. ისიც გიჟდებოდა ტექნიკაზე. სულ ერთად ვაკეთებდით რაღაცას. ვაშენებდით.

მამა წავიდა... არ გამიგია, როგორ მოემზადა. მეძინა. დილას დედა ნამტირალევი იყო: „მამა ჩერნობილშია“.

ისე ველოდით მამას, თითქოს ომიდან უნდა დაბრუნებულიყო... დაბრუნდა და ისევ დაიწყო ქარხანაში სიარული. არაფერს არ ჰყვებოდა. სკოლაში ყველასთან ვტრაბახობდი, რომ მამაჩემი ჩერნობილიდან დაბრუნდა, რომ ის — ლიკვიდატორია, ხოლო ლიკვიდატორები ისინი არიან, ვინც ავარიის ლიკვიდაციაში მონაწილეობდა. გმირები! ბიჭებს ჩემი შურდათ!

ერთი წლის შემდეგ ავად გახდა...

საავადმყოფოს სკვერში მოვდიოდით... მეორე ოპერაციის შემდეგ... მაშინ პირველად დამელაპარაკა ჩერნობილზე...

რეაქტორის ახლოს მუშაობდნენ. ჩუმად, წყნარად იხსენებდა, ლამაზად. ამ დროს რაღაც ხდებოდა. ბაღები ყვაოდა. ვისთვის? ადამიანები სოფლებიდან წავიდნენ. ქალაქ პრიპიატში გაიარეს: აივანზე თეთრეულია გაფენილი, ქოთნებია ყვავილებით. ბუჩქის ქვეშ ველოსიპედი დგას, ზედ ფოსტალიონის ბრეზენტის ჩანთა კიდია. ჩანთა გაზეთებით და წერილებითაა სავსე. მასზე ჩიტის ბუდეა, როგორც კინოში, მე მინახავს...

ისინი „ასუფთავებდნენ“ იმას, რაც მერე უნდა მიეტოვებინათ. იღებდნენ ცეზიუმითა და სტრონციუმით დაბინძურებულ გრუნტს, მეორე დღეს კი ყველაფერი ისევ „ელავდა“.

„დამშვიდობებისას ხელი ჩამოგვართვეს და ცნობები მოგვცეს თავდადებისთვის“... მამა იხსენებდა და იხსენებდა. უკანასკნელად რომ დაბრუნდა საავადმყოფოდან, გვითხრა: „თუკი ცოცხალი დავრჩები, არავითარი ფიზიკა, არავითარი ქიმიკა. წამოვალ ქარხნიდან, მწყემსად წავალ“...

მე და დედა დავრჩით. არ წავალ ტექნიკურ ინსტიტუტში, რაზედაც დედაჩემი ოცნებობს... იქ, სადაც მამა სწავლობდა“...

„პატარა ძმა მყავს...

„ჩერნობილის“ თამაში უყვარს. ბომბსაფარს აშენებს. რეაქტორს მიწას აყრის... ან საფრთხობელად გამოეწყო, დარბის და გვაშინებს: „ო-ო-ო! რადიაცია ვარ! ო-ო-ო! რადიაცია ვარ!“

ჯერ არ იყო დაბადებული, როცა ეს მოხდა...”

„ლამლამობით დავფრინავ...”

ნათელ შუქში დავფრინავ... ეს არც რეალობაა და არც იმქვეყნიურია. ეს ერთიცაა, მეორეც და მესამეც. სიზმარში ვიცი, რომ იმ სამყაროში შესვლა და ყოფნა შეუძლებელია... თუ იქ დავრჩე? პირში ენას ვერ ვაბრუნებ, არასწორად ვსუნთქავ, მაგრამ არავისთან საუბარი არ მჭირდება. რაღაც მსგავსი ადრეც გამომიცდია. მაგრამ როდის? აღარ მახსოვს... დიდი სურვილი მაქვს შევუერთდე, მაგრამ ვერავის ვხედავ... მხოლოდ სინათლეს... არადა, ისეთი განცდა მაქვს, რომ შემიძლია ხელითაც შევეხო. უზარმაზარი ვარ! ყველასთან ერთად ვარ, მაგრამ რაღაცნაირად გვერდით, ცალკე, მარტო. ადრეულ ბავშვობაშიც მინახავს ფერადი გამოსახულებები ისე, როგორც ახლა ვხედავ. ამ სიზმარში... არის რაღაც დროის მონაკვეთი, როცა სხვაზე ველარაფერზე ვფიქრობ... მარტო ამაზე... უცებ ფანჯარა იღება... მოულოდნელად ქარი შემოვარდება. რა არის ეს? საიდანაა? ჩემსა და ვილაცას შორის კავშირი მყარდება... ურთიერთობა... მაგრამ როგორ მიშლის ხელს საავადმყოფოს ნაცრისფერი კედლები... ჯერ სუსტად ვარ... შუქს თავით ვეფარები, იმიტომ, რომ მიშლის ხელს, დავინახო... მე გავიჭიმე, გავიჭიმე, ზემოთ დავიწყე ყურება...

აი, დედაც მოვიდა. გუშინ პალატაში ხატი ჩამოვიდა. რაღაცას ბუტბუტებდა კუთხეში, მუხლებზე დგას. ისინი ყველანი ჩუმად არიან: პროფესორი, ექიმები, მედლები. ჰგონიათ, რომ ვერ ვხვდები... არ ვიცი, მალე რომ მოვკვდები... მე კი ლამლამობით ფრენას ვსწავლობ...

ვინ თქვა, რომ ფრენა იოლია?

ოდესღაც ლექსებს ვწერდი... მეხუთე კლასში ერთი გოგო შემიყვარდა... მეშვიდეში გავიგე, რა არის სიკვდილი... ჩემი საყვარელი პოეტი გარსია ლორკვაა. მასთან ამოვიკითხე: „ყვირილის შავი ფესვი“. ღამე ლექსები სხვანაირად ჟღერს, სულ სხვანა-

ირად. ფრენის სწავლა დავიწყე. არ მომწონს ეს თამაში, მაგრამ რა ვქნა?

ჩემს საუკეთესო მეგობარს ანდრეი ერქვა... მას ორი ოპერაცია გაუკეთეს და შინ გაუშვეს. ნახევარი წლის შემდეგ კიდევ ერთი უნდა გაეკეთებინათ. საკუთარი ქამრით ჩამოიხრჩო თავი... ცარიელ კლასში, როცა ყველანი ფიზკულტურის გაკვეთილზე წავიდნენ. ექიმებმა მას სირბილი, ხტომა აუკრძალეს, არადა, სკოლაში საუკეთესო ფეხბურთელად ითვლებოდა. ოპერაციამდე...

აქ ბევრი მეგობარი მყავს... იურა, კატია, ვადიმი, ოქსანა, ოლეგი... ახლა — ანდრეი. „მოვკვდებით და მეცნიერებად ვიქცევით“ — ამბობდა ანდრეი... „მოვკვდებით და დაგვივიწყებენ“ — ფიქრობდა კატია. „როცა მოკვდები, სასაფლაოზე არ დამმარხოთ, მეშინია სასაფლაოსი, იქ მართო მკვდრები და ყვავენია“ — ითხოვდა ოქსანა. „მოვკვდებით“ — ტიროდა იულია.

ახლა რომ ვუყურებ, ჩემთვის ცა ცოცხალია... იქ ისინი არიან“.

მარტოსული ადამიანის ხმა

„ცოტა ხნის წინ ისეთი ბედნიერი ვიყავი. რატომ? დამავიწყდა...“

ყველაფერი სადღაც, სხვა ცხოვრებაში დარჩა... არ მესმის... არ ვიცი, კიდევ როგორ შევძელი ცხოვრება... როგორ მომიხდა ცხოვრება. აი — ვიცინი, ვლაპარაკობ. ისე ვდარდობდი... თითქმის პარალიზებული ვიყავი... ვიღაცასთან ლაპარაკი მინდოდა, მაგრამ ადამიანებთან — არა. ეკლესიაში შევდივარ. იქ ისეთი სიჩუმეა, როგორც მხოლოდ მთებში იცის. იქ შეიძლება დაგავიწყდეს შენი ცხოვრება. დილაობით კი... ვიღვიძებ... ხელით ვეძებ... სად არის? მისი ბალიში, მისი სუნი... პატარა, უცნობი ჩიტუნა დარბის ფანჯრის რაფაზე და ზანზალაკების ხმით მალვიძებს. ადრე ასეთი ბგერები, ასე-

თი ხმა არასდროს მომისმენია. და არის? ყველაფერს ვერც გადმოგცემთ, ვერც ამოვთქვამ. არ მესმის, როგორ დავრჩი ცოცხალი. საღამოთი ჩვენი გოგონა მომიახლოვდება: „დედი, გაკვეთილები უკვე ვისწავლე“, აქ გამახსენდება, რომ შვილები მყავს. ის კი, სად არის? „დედიკო, ღილი ამძვრა, მიმიკერე“. როგორ გავყვე? როგორ შევხვდე. თვალებს ვხუჭავ და მასზე ვფიქრობ, სანამ არ დამეძინება. ძილში მოდის, მაგრამ წუთიერად, ეგრევე ქრება. მისი ფეხის ხმაც კი მესმის.... სად ქრება? სად? ისე არ უნდოდა სიკვდილი. იყურებოდა და იყურებოდა ფანჯარაში. ცას უყურებდა. ერთ ბალიშს ვუდებდი, მერე მეორეს, მესამეს. დიდხანს კვდებოდა. მთელი წელი... ვერ ვცილდებოდი ერთმანეთს... (დიდხანს დუმს).

არა-არა, ნუ გეშინიათ, არ ვიტყვებ. ტირილსაც გადავეჩვიე. ლაპარაკი მინდა... ხანდახან ისე მიჭირს, იმდენად აუტანელია — მინდა საკუთარი თავი დავარწმუნო, რომ არაფერი არ მახსოვს. ასეა ჩემი მეგობარიც... რომ არ გავგიჟდეთ... ისიც... ჩვენი ქმრები ერთ წელს მოკვდნენ, ერთად იყვნენ ჩერნობილში. ახლა გათხოვებას აპირებს, უნდა დაივიწყოს, უნდა დახუროს ის კარი... არა, არა, მისი მესმის. ვიცი, უნდა გადავრჩეთ... ბავშვები ჰყავს... ჩვენ სადღაც ვიყავით, საღაც არავინ ყოფილა, რაღაც ისეთი ვნახეთ, რაც არავის უნახავს. ჩუმად ვარ, ჩუმად, მაგრამ ერთხელ მატარებელში უცნობ ხალხთან დავიწყე მოყოლა. რატომ? მართლობის მეშინია.

ჩერნობილში ჩემს დაბადების დღეს წავიდა... სტუმრებს, რომლებიც ისევ მაგიდასთან ისხდნენ, ბოდიში მოუხდა. მაკოცა. მანქანა უკვე ფანჯრის ქვეშ უცდიდა. ათას ცხრაას ოთხმოცდაექვსი წლის ცხრამეტ ოქტომბერს, ჩემი დაბადების დღეს... მემონტაჟე იყო, მთელ საბჭოთა კავშირში დადიოდა, მე კი ველოდი. ასე იყო წლების მანძილზე. ისე ვცხოვრობდით, როგორც შეყვარებულები — ვემშვიდობებოდით და მერე ისევ ვხდებოდით. მა-

შინ კი... მხოლოდ დედები შეშინდნენ, მისიც და ჩემიც, ჩვენ არაფრის შეგვეშინებია. ახლა ვფიქრობ — რატომ? ხომ ვიცოდით, სადაც მიდიოდა? მეზობლის ბიჭისთვის მეთუე კლასის ფიზიკის სახელმძღვანელო რომ გამოგვერთმია და გადაგვეთვალაიერებინა... იქ უქუდოდ დადიოდა. სხვა ბიჭებს თმა გასცვივდათ, მას კი პირიქით — ქოჩორი უფრო გაუსქელდა. დღეს აღარც ერთი აღარ არის ცოცხალი. მისი ბრიგადა, შვიდნი, ყველანი დაიხოცნენ... ერთმანეთს მიჰყვნენ... პირველი სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა. ვიფიქრეთ, შემთხვევითი ამბავია, ბედიაო. მერე მეორე, მესამე, მეოთხე... დარჩენილები ელოდნენ, თვითონ როდის... ასე ცხოვრობდნენ. ჩემი ქმარი ბოლო იყო... მემონტაჟე-მცოცავები... ელექტროობას რთავდნენ დაცლილ სოფლებში, ბოძებზე დაძვრებოდნენ. მკვდარ სახლებში, ქუჩებში. სულ მაღლა, ზემოთ. სიმაღლე ორი მეტრი ჰქონდა, წონა — ოთხმოცდაათი კილოგრამი. ვინ იფიქრებდა, რომ ამხელას რამე მოერეოდა? დიდხანს არ შეგვეშინებია... (მოულოდნელად იღიმება).

ოჰ, როგორი ბედნიერი ვიყავი! დაბრუნდა... დავინახე... სახლში დღესასწაული გვექონდა, ყოველთვის, როცა ბრუნდებოდა, დღესასწაული იყო. ერთი ღამის პერანგი მაქვს, გრძელი-გრძელი, ლამაზი-ლამაზი, იმას ვიცვამდი. ძვირფასი საცვლები მიყვარდა, რაც მაქვს, ყველაფერი კარგია, მაგრამ ეს პერანგი განსაკუთრებულია. სადღესასწაულოა. ჩვენი პირველი დღისთვის... ღამისთვის... მთელი მისი სხეული ზეპირად ვიცოდი, სულ ვუკოცნიდი. ხანდახან დამსიზმრებია, რომ მისი სხეულის ნაწილი ვარ — იმდენად ერთნი ვიყავით. მის გარეშე ძალიან ვდარდობდი, ფიზიკურ ტკივილს ვგრძნობდი. როცა ვშორდებოდით, რაღაც დროით ორიენტირს ვკარგავდი — აღარ ვიცოდი, სად ვიყავი, რომელ ქუჩაზე, რომელი საათი იყო... დროიდან ვვარდებოდი... რომ ჩამოვიდა, ოდნავ გადიდებული ლიმფური ჯირკვლები ეგრევე ვუპოვე — ტუჩებით. ვთხოვე: „ექიმს არ ეჩვენები?“ დამამშვიდა: „გამივლის“. — „როგორ იყო იქ, ჩერნობილში?“ „ჩვეულებრივ ვმუშაობდით“. არც უწუწუნია, არც შეშინებია. ერთი გამოვ-

ტყუე: „იქაც ისე იყო, როგორც აქაა“. სასადილოში, სადაც აჭმევდნენ, პირველ სართულზე რიგითები სადილობდნენ — ლაფშას, კონსერვებს ჭამდნენ, მეორეზე — უფროსობას და სამხედრო გენერლებს ხილი, წითელი ღვინო, მინერალური წყალი ჰქონდათ, თითოეულს — საკუთარი დობიშპეტი. ამათ, მთელ ბრიგადას ერთი დობიშპეტრიც კი არ მისცეს.

ზღვა მახსოვს... ერთად ვიყავით ზღვაზე და დამამახსოვრდა, რომ ზღვაც ისეთივე ბევრია, როგორც ცა. ჩემი მეგობარი და მისი ქმარი... ისინიც წამოვიდნენ. ჩემი მეგობარი იხსენებს: „ზღვა ჭუჭყიანი იყო, ყველას ეშინოდა, ქოლერა არ დამართოდა“. რალაცას ასეთს გაზეთებშიც წერდნენ. მე სხვანაირად მახსოვს... მახსოვს, რომ ზღვა იყო ყველგან, როგორც ცა. ლურჯი-ლურჯი. ის გვერდით მყავდა. მე სიყვარულისთვის დავიბადე... ბედნიერი სიყვარულისთვის... სკოლაში გოგონები ინსტიტუტში ჩაბარებაზე და კომკავშირულ მშენებლობაზე წასვლაზე ოცნებობდნენ. მე კი გათხოვება მინდოდა. დიდი-დიდი სიყვარული, ისეთი, ნატაშა როსტოვას რომ ჰქონდა. მხოლოდ სიყვარული! მაგრამ ამას ვერავის ვეუბნებოდი, იმიტომ, რომ იმ დროს, თქვენ უნდა გახსოვდეთ, მხოლოდ კომკავშირულ მშენებლობებზე ოცნება შეიძლებოდა. ჩვენ ამას ჩაგვჩიჩინებდნენ. და მიდიოდნენ ციმბირში, გაუვალ ტაიგაში... გახსოვთ, მღეროდნენ: „ბურუსისა და ტაიგის სუნს იქით“. ინსტიტუტში პირველ წელს ვერ მოვხვდი, ქულები არ მეყო და სამუშაოდ სატელეფონო სადგურზე წავედი. იქ გავიცანი... მორიგეობისას... მერე მე თვითონ დავაქორწინე საკუთარ თავზე, ვთხოვე: „მომიყვანე ცოლად. ისე მიყვარხარ“. უზომოდ მიყვარდა. ისეთი ლამაზი ბიჭი იყო... მეცხრე ცაზე დავფრინავდი... მე თვითონ ვთხოვე: „მომიყვანე ცოლად!“ (იღიმება)

ხანდახან ვფიქრობ და სხვადასხვანაირად ვიმშვიდებ თავს: იქნებ, სიკვდილი დასასრული არ არის, მხოლოდ შეიცვალა და სხვა სამყაროში ცხოვრობს. სადღაც აქვე? ბიბლიოთეკაში ვმუ-

შაობ, ბევრ წიგნს ვკითხულობ, ადამიანებს ვხვდები. სიკვდილზე ლაპარაკი მინდა. სიკვდილის გაგება. ნუგემს ვეძებ. გაზეთებში, წიგნებში ვკითხულობ. თეატრში მივდივარ, თუკი იქ ამაზეა, სიკვდილზე... ფიზიკურად მტკივა უმისობა, არ შემიძლია მარტოს...

ექიმთან წასვლა არ უნდოდა: „ვერაფერს ვგრძნობ, არ მტკივა“. ლიმფური ჯირკვლები კი უკვე კვერცხისოდენა გაუხდა. ძალით ჩატენე მანქანაში და პოლიკლინიკაში წავიყვანე. ონკოლოგთან გაგვიშვეს. ექიმმა რომ გასინჯა, მეორე გამოიძახა. „აქ კიდევ ერთი ჩერნობილელია“ და აღარც გამოგვიშვეს. ერთი კვირის შემდეგ ოპერაცია გაუკეთეს. მთლიანად ამოუღეს ფარისებრი ჯირკვალი, ხორხი და რაღაც მილებით შეუცვალეს (ჩუმდება). ჰო... ახლა უკვე ვიცი, რომ ეს ისევ ბედნიერი დრო იყო. ღმერთო! რა სისულელეებს ვაკეთებდი: მაღაზიებში დავრბოდი, ექიმებისთვის საჩუქრებს ვყიდულობდი — კანფეტების ყუთებს, უცხოურ ლიქიორებს. ძიძებისთვის — შოკოლადებს. ყველანი იღებდნენ, ის კი დამცინოდა: „დამიჯერე, ღმერთები არ არიან. ქიმია და დასხივება კი აქ ყველასთვის საკმარისია. კანფეტების გარეშეც მომცემენ“. მაგრამ მე „ჩიტის რძის“ ტორტისა და ფრანგული სუნამოსთვის ქალაქის მეორე ბოლოში გავრბოდი, ასეთი რაღაცები მაშინ მხოლოდ ნაცნობობით და დახლსქვემოთ იყიდებოდა. შინ დაბრუნების წინ... ჩვენ... სახლში მივდიოდით! სპეციალური შპრიცი მომცეს და მასწავლეს, როგორ უნდა მეხმარა. შპრიცით უნდა მეჭმია. ყველაფერი ვისწავლე. დღეში ოთხჯერ ვხარშავდი ახალ საჭმელს, ხორცსაკვებ მანქანაში ვატარებდი, ცხრილზე ვწურავდი და შპრიცში ვასხამდი. მერე ყველაზე დიდ მილში ვუშვებდი, რომელიც კუჭთან იყო მიერთებული... სუნს უკვე ვღარ გრძნობდა. ვკითხავდი, „გემრიელია?“ და არ იცოდა.

რამდენჯერმე მერეც ვიყავით კინოში. იქ ვკოცნიდით ერთმანეთს. ამ 3-ა-ა-ტარა ძაფს მივყვებოდით და გვეგონა, რომ ცხოვრებას ისევ ვეჭიდებოდით. ვცდილობდით, ჩერნობილზე არ გველაპარაკა. არ გაგვეხსენებინა. ტელეფონთან არ ვუშვებდი... ვასწრებდი

მისვლას. მისი ბიჭები ერთი მეორის მიყოლებით კვდებოდნენ. ეს აკრძალული თემა იყო... ერთ დილით ვალვიძებ და ადგომა აღარ შეუძლია... არც არაფრის თქმა... დიდი-დიდი თვალებით მიყურებს... აი, მაშინ შეეშინდა... ჰო... (ისევ ჩუმდება). მხოლოდ ერთი წელი გვრჩებოდა... ამ ერთი წლის განმავლობაში კვდებოდა... ყოველდღე უარესდებოდა, თან ხომ იცოდა, რომ მისი ბიჭებიც კვდებოდნენ... ამ მოლოდინით... ლაპარაკობდნენ — ჩერნობილი, წერდნენ — ჩერნობილი... მაგრამ არავინ იცის, ეს რა არის. ჩვენთან ყველაფერი შეიცვალა: სხვანაირები ვიბადებით და სხვანაირად ვკვდებით. ისე არა, როგორც ყველა. მე უნდა მკითხოთ, როგორ კვდებიან ჩერნობილის შემდეგ... ადამიანი, რომელიც მიყვარდა, და ისე მიყვარდა, რომ უფრო ძლიერად ვერ მეყვარებოდა, მე თვითონ რომ გამეჩინა, ჩემ თვალწინ თანდათან ურჩხულად იქცეოდა. ლიმფური ჭირკვლები ამოუღეს, სისხლის მიმოქცევა დაერღვა, ცხვირი მოეღრიცა, სამჯერ გაუდიდდა, თვალებიც სხვანაირი გაუხდა — სხვადასხვა მხარეს გაექცა, რაღაც უცნობი შუქი ჩაუდგა და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს კიდევ ვიღაც სხვა იყურებოდა მისი სხეულიდან. მერე ერთი თვალი საერთოდ დაეხუჭა... მე კი რისი მეშინოდა? მხოლოდ იმისი, რომ საკუთარი თავი არ დაენახა... ასეთად არ დამახსოვრებოდა. დამიწყო თხოვნა, ხელებით მაჩვენებდა, სარკე მომიტანეო. ხან სამზარეულოში გავრბოდი, ვითომ დამავიწყდა, ვერ გავიგე, ან კიდევ რამე სხვას მოვიფიქრებდი ხოლმე. ორი დღე ასე ვატყუებდი, მესამე დღეს რვეულში დიდი ასობით და სამი ძახილის ნიშნით ჩამიწერა: „სარკე მომეცი!!!“ ჩვენ რვეული, პასტა და ფანქარი გვქონდა და ასე ვურთიერთობდით, იმიტომ, რომ უკვე ჩურჩულითაც აღარ შეეძლო ლაპარაკი, ჩურჩულიც აღარ გამოსდიოდა — სრული სიჩუმე. ისევ სამზარეულოში გავიქეცი, ქვაბები ავახმაურე. კიდევ დამიწერა: „სარკე მომეცი!!!“ ამ ნიშნებით... ყველაზე პატარა სარკე მივუტანე. შეხედა,

თავი ხელებში მოიქცია და საწოლში ირწეოდა და ირწეოდა... შევეცადე, დამემშვიდებინა... „აი, ცოტათი მოიკეთებ და მე და შენ სადმე მიტოვებულ სოფელში წავალთ. სახლს ვიყიდით და იქ ვიცხოვრებთ, თუ ქალაქში არ მოგინდება, სადაც ბევრი ხალხია, მარტონი ვიცხოვრებთ“. არ ვატყუებდი, მასთან ერთად ყველგან წავიდლოდი, ოღონდ ყოფილიყო და როგორი იქნებოდა, არ ჰქონდა მნიშვნელობა. მართო ის მინდოდა, არ მომიტყუებია...

არ მახსენდება არაფერი ისეთი, რაზედაც ვერ ვილაპარაკებ. ყველაფერი იყო... იმდენად შორს გადავიხედე, შეიძლება, სიკვდილზე შორსაც... (ჩერდება).

თექვსმეტი წლის ვიყავი, როცა გავიცანი, ჩემზე შვიდი წლით უფროსი იყო. ორი წელი ვხვდებოდით. ძალიან მიყვარს მინსკის ფოსტის მთავარი შენობა, იქ, საათის ქვეშ მინიშნავდა პაემანს. მე მაუდის კომბინატთან ვცხოვრობდი და ხუთი ნომერი ტროლეიბუსით მივდიოდი, რომელიც ფოსტასთან არ აჩერებდა, ცოტათი წინ მიდიოდა, მაღაზია „ბავშვთა სამყაროსთან“. მოსახვევამდე ცოტა ანელებდა სვლას, ცოტას ყოველთვის ვაგვიანებდი, მინდოდა, ფანჯრიდან რომ დამენახა და გამხარებოდა: როგორი ლამაზი ბიჭი მელოდება! ორი წელი ვერაფერს ვამჩნევდი — ვერც ზაფხულს, ვერც ზამთარს. კონცერტებზე დაგყავდი... ჩემს საყვარელ ედიტა პიეხას კონცერტზე... ცეკვებზე არ გვირბენია, საცეკვაო მოედნებზე, არ იცოდა ცეკვა. „ჩემო მშვენიერო“ — ასე მეძახდა. დაბადების დღე... ისევ ჩემი დაბადების დღე... უცნაურია, ყველაზე მნიშვნელოვანი რაღაცები სწორედ ამ დღეს ხდებოდა, მოდი და ნუ დაიჯერებ ბედისას! საათის ქვეშ ვდგავარ: ხუთზე გვქონდა პაემანი, ის კი არ მოდის. ექვსზე, უკვე ნაწყენი, ცრემლიანი, ჩემი გაჩერებისკენ მივლასლასებ, ქუჩაზე გადავდივარ, უკან ვიყურები, ვიგრძენი — მომდევს, წითელზე გადმოდის, სამსახურის სპეცტანსაცმლით, ჩექმებით... სამსახურიდან უფრო ადრე ვერ გამოსულა... ასეთი ყველაზე მეტად მიყვარდა: მონადირის კოსტიუმში, დაბამბული ჯუბით — ყველაფერი უხდებოდა.

მასთან წავედით სახლში, გადაიცვა და გადავწყვიტეთ, ჩემი დაბადების დღე რესტორანში აღგვენიშნა. მაგრამ რესტორანში ვერ შევედით, რადგან საღამოს უკვე აღარ იყო თავისუფალი ადგილები, ხოლო ხუთმანეთიანის ან ათიანის შვეიცარიისთვის მიცემა ჩვენ, არც მე და არც იმან, არ ვიცოდით (მაშინ ჯერ კიდევ ძველი ფული იყო). „მოდით, — უცებ გაუბრწყინდა სახე, — მაღაზიაში შამპანური, ნამცხვრები ვიყიდოთ, პარკში წავიდეთ და იქ ვიზივით“. ვარსკვლავების, ცის ქვეშ! აი, ასეთი იყო! გორკის პარკში, სკამზე დილაძე ვისხედით. მეორე ასეთი დაბადების დღე აღარასდროს მქონია. მაშინ ვუთხარი: „მომიყვანე ცოლად. ისე მიყვარხარ!“ გაეცინა: „ჯერ ძალიან პატარა ხარ“. მეორე დღეს კი განცხადება შევიტანეთ მმაჩის ბიუროში...

ოჰ, როგორი ბედნიერი ვიყავი! ჩემს ცხოვრებაში არაფერს არ შევცვლიდი, თუნდაც ზემოდან, ვარსკვლავებიდან გავეფრთხილებინე ვინმეს... სიგნალი კი იყო... ქორწილის დღეს მისი პასპორტი ვერ ვიპოვეთ, მთელი სახლი გადავთხარეთ, ვეძებეთ. მმაჩის ბიუროში რაღაც ფურცელზე ჩაგვწერეს: „შვილო, ეს ცუდის ნიშანია“, — ტიროდა დედაჩემი. პასპორტი მერე ვიპოვეთ ძველ შარვალში, სხვენზე. სიყვარული! ეს სიყვარული კი არა, ხანგრძლივი შეყვარებულობის ხანა იყო. დილაობით სარკის წინ ვცეკვავდი: ახალგაზრდა ვარ, ლამაზი ვარ და მას ვუყვარვარ! ახლა უკვე მავიწყდება ჩემი სახე, ის სახე, რომელიც მასთან ერთად მქონდა... ახლა იმ სახეს სარკეში ვეღარ ვხედავ...

შეიძლება ამაზე ლაპარაკი? გათქმა... არსებობს საიდუმლო... აქამდე ვერ ვხვდები, ეს რა იყო. ჩვენი ერთად ყოფნის უკანაკნელ თვემდე... ღამღამობით მეძახდა... სურვილი ჰქონდა. უფრო ძლიერად ვუყვარდი, ვიდრე ადრე... დღისით, როცა ვუყურებდი, არ მჯეროდა იმის, რაც ღამით ხდებოდა... არ გვინდოდა განშორება... ვეფერებოდი, ვუაღერებოდი... იმ წუთებში ყველაზე კარგ რამეებს ვისხენებდი... ბედნიერს... როგორ ჩამოვიდა

კამჩატკიდან წვერით, იქ გაუზრდია წვერი... ჩემს დაბადების დღეს, პარკში, სკამზე... „მომიყვანე ცოლად!“ უნდა ვთქვა ნეტავ? საჭიროა ამის თქმა? მე მასთან მივდიოდი, როგორც კაცი ქალთან... რა შემეძლო მიმეცა, გარდა წამლებისა? როგორ მიმეცა იმედი? ისე არ უნდოდა სიკვდილი... სჯეროდა, რომ ჩემი სიყვარული გადაგვარჩენდა! ასეთი სიყვარული! მარტო დედაჩემს არ ვუყვებოდი, ვერ გამიგებდა, გამიბრაზდებოდა და დამწყევლიდა. ეს ხომ ჩვეულებრივი კიბო არ იყო, რომლისაც ყველას ეშინია, არამედ, ჩერნობილისა, რომელიც გაცილებით უფრო საშიშელია. ექიმებმა ამისხსნეს: მეტასტაზებს შინაგანი ორგანოები რომ დაეზიანებინა, გაცილებით უფრო მალე მოკვდებოდაო, ისინი კი გარეთ გამოდიოდა... სხეულზე, სახეზე... რალაც შავმა დააყარა. სადღაც გაუქრა ნიკაპი, კისერი, ენა გარეთ გადმოუვარდა. სისხლძარღვები უსკდებოდა, სისხლდენა ეწყებოდა. „ვაი, – ვყვიროდი, – ისევ სისხლი!.. ცხვირიდან, ლოყებიდან, ყურებიდან... ცივი წყალი მომაქვს, ტამპონებს ვადებ, არ შველის. რალაც საშიშლესაა. მთელი ბალიში სველდებოდა... ტაშტს ვუდგამდი, აბაზანიდან... წვეთების დაცემის ხმა... როგორც ძროხის წველის დროს... ასეთი მშვიდი და სოფლური... ახლაც მესმის ღამღამობით. სანამ გონებაზე იყო, ტაშს დაუკრავდა – ეს პირობითი ნიშანი იყო – „დაუძახე“, გამოიძახე სასწრაფო. არ უნდოდა სიკვდილი... ორმოცდახუთი წლის იყო... სასწრაფო დახმარებას ვურეკავ, უკვე გვიცნობენ და არ უნდათ მოსვლა. „ჩვენ თქვენს ქმარს ვერაფრით დავეხმარებით!“ – „ნემსი მაინც გაუკეთეთ, ნაკოტიკი!“ მე თვითონ ვუკეთებდი, ვისწავლე. დავარტობდი შპრიცს და კანი ეგრევე ულურჯდებოდა და მერე აღარ ურჩებოდა. ერთხელ მოვახერხე გამოძახება, მოვიდა სასწრაფო... ახალგაზრდა ექიმი... მიუახლოვდა და ეგრევე უკან დაიხია: „მითხარით, შემთხვევით ჩერნობილიდან ხომ არ არის. იქაა ნამყოფი?“ ვპასუხობ: „დიახ“. ექიმი კი, არ ვაჭარბებ: „საბრალოვ, ნეტავ მალე დამთავრდებოდეს! ჩქარა! მე ვნახე, როგორ კვდებიან ჩერნობილელები!“ ის კი გონებაზეა და ყველაფერი

ესმის! კარგია, რომ არ იცის, ვერ ხვდება, რომ მისი ბრიგადიდან მხოლოდ თვითონაა ცოცხალი... უკანასკნელია... მეორეჯერ პოლიკლინიკიდან ექთანი გამოგვიგზავნეს, კორიდორში დადგა, სახლში ვერც შემოვიდა: „ვაი, არ შემიძლია!“ მე შემეძლო? რა მომეფიქრებინა? სად იყო შველა? ყვიროდა, სტკიოდა... მთელი დღე ყვიროდა... მერე გამოსავალი მოვძებნე. შპრიცით მილში ერთი ბოთლი არაყი შემეყავდა. მე თვითონ ვერ მივხვდი, ჩემს დღეში მყოფმა ქალებმა მასწავლეს... მოვიდოდა დედამისი: „რატომ გაუშვი ჩერნობილში? როგორ შეგეძლო?“ მე კი მაშინ თავშიც ვერ გავივლებდი, რომ არ უნდა გამეშვა, მას კი, ალბათ არც შეეძლო ეფიქრა, რომ არ წასულიყო. ეს ხომ სხვა დრო იყო, საომარი. ჩვენც სხვანაირები ვიყავით. ერთხელ ვკითხე: „ახლა არ ნანობ, რომ წახვედი?“ თავი გააქნია – არაო. რვეულში ჩამიწერა: „რომ მოვკვდები, მანქანა გაყიდე, სათადარიგო საბურავებიც. ტოლიკს (მისი ძმა) არ გაჰყვე ცოლად“. ტოლიკს მოვწონდი...

საიდუმლოც მაქვს... მის გვერდით ვიჯექი... ეძინა... თმა ჯერ კიდევ ლამაზი ჰქონდა... ავიღე და ფრთხილად მოვაჭერი ერთი კულუღი... თვალი გაახილა, დაინახა, რაც მეჭირა ხელში და გამიღიმა. დამრჩა მისი საათი, სამხედრო ბილეთი და ჩერნობილის მედალი... (სიჩუმის შემდეგ). ოჰ, როგორი ბედნიერი ვიყავი! სამშობიაროში, მახსოვს, მთელი დღეები ფანჯარაში ვიჯექი, ველოდი, ვიყურებოდი. არაფერი მესმოდა: რა ხდებოდა ჩემს თავს, სად ვიყავი... მარტო ის მინდოდა, დამენახა... ვერ ვძლებოდი მისი ყურებით, ალბათ ვხვდებოდი, რომ დიდხანს არ გაგრძელდებოდა... დილას ვაჭმევდი და შევხაროდი, როგორ ჭამდა, როგორ იპარსავდა პირს, როგორ დადიოდა ქუჩაში. კარგი ბიბლიოთეკარი ვარ, მაგრამ არ მესმის, ასე როგორ შეიძლება გიყვარდეს საქმე. მე მხოლოდ ის მიყვარდა... ის, ერთადერთი... და არ შემიძლია უიმისოდ. ღამდამობით ვყვირი... ბალიშში ვყვირი, ბავშვებმა რომ არ გაიგონონ.

ერთი წუთითაც ვერ ვიჯერებდი, რომ ერთმანეთს ვშორდებოდით... რომ... უკვე ვიცოდი, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი... დედაჩემი... მისი ძმა... მეუბნებოდნენ, რომ ექიმები გვირჩევენ, მიმართვას გვაძლევენ... ერთი სიტყვით, მინსკთან ახლოს არის სპეციალური საავადმყოფო, სადაც ადრე ასეთი უიმედო ავადმყოფები კვდებოდნენ... ავღანელები... უხელფეხოები... მარწმუნებენ — იქ უკეთ იქნება, ექიმები სულ იქ არიან... არ მინდოდა, გაგონებაც კი არ მინდოდა. მაშინ მას მოელაპარაკენ და დამიწყო ხვეწნა: „იქ წამიყვანე, ნუ წვალაობ“. ხან ბიულეტენს ვითხოვდი, ხან უხელფასო შვებულებას. კანონით ბიულეტენს მხოლოდ ავადმყოფი ბავშვის მოვლის დროს აძლევდნენ, შვებულებას კი მხოლოდ ერთ თვეს. მაგრამ მთელი ჩვენი რვეული გაავსო. შემიპირა, რომ წავიყვანდი. მის ძმასთან ერთად წავედი. სოფლის ბოლოში, გრებიონკა ერქვა, დიდი ხის სახლი იდგა. დანგრეული ჭა, ტუალეტი გარეთ. ვიღაც მოხუცი ქალები შავებში... მანქანიდანაც კი არ გადმოვსულვარ. ღამით ვკოცნიდი: როგორ შეგეძლო, ჩემთვის ეს გეთხოვა? ამას არასდროს არ გავაკეთებ! არასდროს არ გავაკეთებ! არასდროს! სულ, მთლიანად დავკოცნე...

ყველაზე საშინელი უკანასკნელი კვირები... ნახევარლიტრიან ქილაში ნახევარი საათი ფსამდა. თვალებს ვერ სწევდა. რცხვენოდა. ვკოცნიდი: „როგორ შეგიძლია ასე იფიქრო?“ უკანასკნელ დღეს ასეთი წუთი გვექონდა: თვალები გაახილა, წამოჯდა, გამიღიმა და მითხრა „ვალეუშკა!“ ბედნიერებისგან დავმუნჯდი... მისი ხმისგან...

სამსახურიდან დარეკეს: „წითელ სიგელს მოვიტანთ“. ვეკითხები: „შენს ბიჭებს უნდათ მოსვლა. სიგელს გადმოგცემენ“. თავს აქნევს: არა-არა. მაინც მოვიდნენ... რაღაც ფული მოიტანეს, სიგელი, რომელიც ლენინის პორტრეტიან წითელ საქაღალდეში იდო. ავიღე და ვფიქრობდი: რატომ კვდება? გაზეთებში წერენ, რომ არა მხოლოდ ჩერნობილი, არამედ, კომუნისტებიც აფეთქდა. საბჭოთა ცხოვრება დასრულდა. წითელ საქაღალდესა და სიგელზე კი ისევ ის

პროფილია“. ბიჭებს უნდოდათ, რაღაც კარგი სიტყვები ეთქვათ, მაგრამ საბანი გადაიფარა თავზე, მარტო თმა უჩანდა. იდგნენ და მერე წავიდნენ... უკვე ეშინოდა ხალხის... მარტო ჩემი არ ეშინოდა... მაგრამ ადამიანი მარტო კვდება. ვეძახდი და თვალს აღარ ახეულა. სუნთქავდა... რომ ვმარხავდით, სახე ორი ცხვირსახოციით დავუფარე. თუ ვინმე მთხოვდა, მხოლოდ მაშინ ვხდიდი. ერთ ქალს გული წაუვიდა... ადრე იმ ქალს უყვარდა და ვეჭვიანობდი... „უკანასკნელად მანახე“. „შეხედე!“ არ მომიყოლია, როცა მოკვდა, ვერავინ ეკარებოდა, ყველას ეშინოდა. სლავური ტრადიციის მიხედვით არ შეიძლება ნათესავმა დაბანოს და ჩააცვას. მორგიდან ორი სანიტარი მოიყვანეს, იმათ არაყი მოითხოვეს: „რა არ გვინახავს, — გამოგვიტყდნენ, — ყველაფერი: დამტვრეულები, დაჭრილები, ბავშვების ცხედრები ხანძრის შემდეგ, მაგრამ ასეთი...“ (ჩუმდება). მოკვდა და ცხელი-ცხელი იწვა. ვერ მიეკარებოდი... სახლში საათი გავაჩერე — დილის შვიდი იყო. ჩვენი საათი დღემდე გაჩერებულია, აღარ იქოქება. ხელოსანი გამოვიძახე, ხელები გაშალა: „აქ მექანიკის და ფიზიკის კი არა, მეტაფიზიკის ამბავია“.

პირველი დღეები... უიმისოდ... ორი დღე მეძინა, ვერ მალვიძებდნენ, ავდგებოდი, წყალს დავლევდი და ისევ ბალიშზე ვეცემოდი. ახლა მიკვირს, როგორ შემეძლო დამეძინა? მეგობარს ქმარი რომ უკვდებოდა, ჭურჭელს ესროდა, ტიროდა, — რატომ რჩები ცოცხალი ასეთი ახალგაზრდა და ლამაზი? ჩემი კი მხოლოდ მიყურებდა და მიყურებდა... ჩვენს რვეულში ჩამიწერა: „რომ მოკვდები, ჩემი ნეშტი დაწვი“. რატომ გადაწყვიტა? ხმები დადიოდა: ჩერნობილელები სიკვდილის შემდეგაც ასხივებენ. ღამით საფლავებიდან შუქი ამოდისო... მე თვითონ წამიკითხავს, რომ მოსკოვის ჰოსპიტლებში გარდაცვლილი ჩერნობილელი მეხანძრეების საფლავებს მიტინსკის სასაფლაოზე ადამიანები გვერდს უვლიან, თავის მიცვალებულებს ახლოს არ კრძალავენ.

მკვდრებს მკვდრების ეშინიათ, ცოცხლებზე რომ არაფერი ვთქვათ. ეს იმიტომ, რომ არავინ იცის, ჩერნობილი რა არის. ვარაუდები და წინათგრძნობებია. ჩერნობილიდან თეთრი კოსტიუმი ჩამოიტანა, შარვალი, სპეცტანსაცმელი... ის კოსტიუმი ანტრესოლში მედო, სანამ არ მოკვდა. მერე დედამ გადაწყვიტა: „მისი ნივთები უნდა გადაყაროთ“. ეშინოდა. მე კი კოსტიუმს ვუფრთხილდებოდი. დამნაშავე ვარ! მე ხომ ბავშვები მყავს — გოგო და ბიჭი. ქალაქგარეთ წავიღეთ და დავმარხეთ... ბევრი წიგნი წავიკითხე, წიგნებში ვცხოვრობ, მაგრამ წიგნებს არაფრის ახსნა არ შეუძლიათ.

მომიტანეს ურნა... არ შემშინებია... ხელით მოვსინჯე და იქ რაღაც წვრილი ეყარა, როგორც ნიჟარები ზღვის ნაპირზე, სილაში. ეს მენჯ-ბარძაყის ძვლებია. აქამდე მის ნივთებს ვეხებოდი, არ მესმოდა არაფერი, ვერაფერს ვგრძნობდი, აქ კი თითქოს მოვეხვიე. ღამით, მახსოვს, ის — მკვდარია, მის გვერდით ვზივარ. და უცებ რაღაც კვამლივით გაკრთა... მეორეჯერ კრემატორიუმში ვნახე ისეთივე კვამლი... მისი სული... არავის არ უნახავს და მე ვნახე... ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ისევ შევხვდით...

ოჰ, როგორი ბედნიერი ვიყავი! როგორი ბედნიერი... მივლინებაში მიდის... დღეებს, საათებს ვითვლი შეხვედრამდე! წამებსაც! ფიზიკურად არ შემიძლია მის გარეშე! არ შემიძლია! (სახეს ხელებში მალავს). ვიხსენებ... მის დასთან მივდივართ სოფელში, საღამოს გვიჩვენა: „შენ ამ ოთახში გაგიშალე, იმას კი — აქეთ“. ერთმანეთს შევხედეთ და გაგვეცინა. ვერ წარმოგვედგინა, რომ შეიძლება ცალცალკე, სხვადასხვა ოთახებში დაგვეძინა. ერთად უნდა ვყოფილიყავით. არ შემიძლია მის გარეშე... არ შემიძლია! ბევრი მთხოულობდა... მისი ძმაც... ისე ჰგავს... სიმაღლითაც, სიარულითაც... მაგრამ მგონია, რომ ვინმე სხვა თუ შემეხება, ვიტირებ და ვიტირებ. ვერასდროს ვერ გავჩერდები...

ვინ წამართვა? რა უფლებით? წითელბოლიანი უწყება ათას ცხრაას ოთხმოცდაექვსი წლის ცხრამეტ ოქტომბერს...

(ალბომი გამოაქვს. ქორწილის ფოტოებს მიჩვენებს და როცა უკვე წამოსასვლელად ვდგები, მაჩერებს).

როგორ ვიცხოვრო ამის შემდეგ? ყველაფერი არ მითქვამს... ბოლომდე არ... მე ბედნიერი ვიყავი... სიგიჟემდე... საიდუმლოც მაქვს... იქნებ, არ იყოს საჭირო ჩემი სახელი... ლოცვებს ჩუმად კითხულობენ... თავისთვის (ჩუმდება). არა, დაწერეთ ჩემი სახელი! ღმერთს შეახსენეთ! მინდა ვიცოდე... მინდა გავიგო, რატომ ვიტანჯებით ასე? რისთვის? თავიდან მეჩვენებოდა, რომ ამ ყველაფრის შემდეგ მზერაში რაღაც ბნელი გამიჩნდებოდა, სხვისი. და ვერ გადავრჩებოდი... რამ გადამარჩინა? ცხოვრებასთან რამ მომაბრუნა? ჩემი შვილი... მე კიდევ ერთი შვილი მყავს... ჩვენი პირველი შვილი... ის გაიზარდა, მაგრამ სამყაროს ბავშვის თვალებით ხედავს, ხუთი წლის ბიჭის თვალებით... ახლა მინდა მასთან ვიყო... ვოცნებობ, ბინა გადავცვალო ნოვინკასთან ახლოს, იქაა ფსიქიატრიული საავადმყოფო, სულ იქ ცხოვრობს. ექიმების განაჩენია. რომ იცოცხლოს, იქ უნდა იყოს. ყოველდღე დავდივარ. მხვდება: „მამა მიშა სად არის? როდის მოვა?“ აბა, ამას სხვა ვინ მკითხავს? ის კი ელოდება.

ერთად ვიცხოვრებთ. მე ჩემს ჩერნობილის ლოცვას წავიკითხავ... ის კი სამყაროს ისევ ბავშვის თვალებით შეხედავს...

ვალენტინა ტიმოფეევნა აფანასევიჩი
ლიკვიდატორის ცოლი

ეპილოგის მაგივრად

„...კიევის სამოგზაურო ბიურო გთავაზობთ ტურისტულ ტურებს ჩერნობილში...“

შემუშავებულია მარშრუტი, რომელიც მკვდარი ქალაქიდან, „პრიპიატიდან“ იწყება: ტურისტები ნახავენ მიტოვებულ მრავალსართულიან სახლებს გაშავებული თეთრეულით აივნებზე და საბავშვო ეტლებით, ყოფილი მილიციის, საავადმყოფოს და პარტიის ქალაქკომის შენობებს. ასევე შემორჩენილია კომუნისტური ეპოქის ლოზუნგები — ისინი რადიაციას არ წაუშლია.

ქალაქ პრიპიატიდან მარშრუტი მკვდარ სოფლებში გაგრძელდება, სადაც ქოხებში დღისით დადიან მგლები და ველური ტახები. გამრავლდნენ!

მოგზაურობის კულმინაციაა, ან როგორც რეკლამაში წერია, მის სამკაულად ითვლება ობიექტ „საფარის“, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, სარკოფაგის დათვალიერება. აფეთქებული მეოთხე ენერგობლოკის თავზე ნაჩქარევად აშენებული კონსტრუქცია დიდი ხანია, რაც ნაპრალებით დაიფარა, საიდანაც სასიკვდილო შიგთავსი — ბირთვული საწვავის ნარჩენები „ანათებს“. რომ დაბრუნდებით, მეგობრებისთვის ბევრი რამ გექნებათ მოსაყოლი, იცოდეთ, ეს არც კანარის კუნძულებია და არც მაიაში. ექსკურსია ჩერნობილში დაღუპული გმირების უკვდავსაყოფად აშენებულ სტელასთან ფოტოს გადაღებით დასრულდება, გექნებათ შესაძლებლობა, თავი ისტორიის ნაწილად იგრძნოთ.

დაბოლოს, მოგზაურობის დასასრულს ექსტრემალური ტურიზმის მოყვარულებს სთავაზობენ პიკნიკს, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს და წითელ ღვინოს... აგრეთვე რუსულ არაყს... ჰპირდებიან, რომ გატარებული დღის განმავლობაში იმაზე მცირე დოზას მიიღებენ, ვიდრე რენტგენის სურათის გადაღებისას. არ არის რეკომენდებული ბანაობა, მონადირეობა თევზის ან ფრინველის ხორცის ჭამა, კენკრისა და სოკოს მოგროვება და მათი კოცონზე შეწვა; ასევე ქალებისთვის მინდვრის ყვავილების ჩუქება.

თქვენ ეს ბოღვა გგონიათ? ცდებით, ბირთვულ ტურიზმზე ახლა დიდი მოთხოვნაა, ის განსაკუთრებით აინტერესებთ ტურისტებს და-

სავლეთიდან. ადამიანები მოდიან ახალი და ძლიერი შთაბეჭდი-
ლებებისთვის, რომელსაც მსოფლიოში ახლა იშვიათად თუ მი-
იღებენ სადმე, რადგან დედამიწა დასახლებული და ადვილად
შეღწევადია. ცხოვრება მოსაწყენი ხდება. ამ დროს რაღაც მარა-
დიული გჭირდება...

ეწვიეთ ბირთვულ მექას... ფასები ზომიერია“.

ბელარუსული გაზეთების მიხედვით. 2005 წ.

1986-2005 წ.